ფრანგულიდან თარგმანი: მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი
სამეცნიერო რედაქტორი — პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე

ჟან-მარი დენკენი
"პოლიტიკური მეცნიერება" 1996 წ.

სსიპ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი დიდ მადლობას უხდის ავტორს, ჟან-მარი დენკენს, რომელმაც ინსტიტუტს გამოუგზავნა სპეციალურად ქართული თარგმანისთვის გაკეთებული ცვლილებებისათვის. .

L'Institut des Sciences Politiques remercie sincèrement M. Jean-Marie Denquin pour les changements portés à la version de la traduction géorgienne.

წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Ouvrage réalisé dans le cadre du programme d'aide à la publication Mérab Mamardachvili avec le soutien du Ministère français des Affaires Étrangères, de L'Ambassade de France en Géorgie et du Centre culturel français Alexandre Dumas de Tbilissi.

©Presse Universitaire de France, 1985
©თარგმანი ნ. ცქიტიშვილის 2007
©თარგმანი მ. ბალავაძის 2007

ISBN 978-9941-0-0113-0 პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2007

DROIT POLITIQUE ET THÉORIQUE

SCIENCE
politique

JEAN-MARIE DENQUIN

professeur
A L'UNIVERSITÉ DE ROUEN

5 édition revue et augmentée

PRESSE UNIVERSITAIRE DE FRANCE
Jean-Marie Denquin

"Science politique", Paris, PUF, 1996. Ve éd.

ჟან-მარი დენკენი არის რუანისა და პარი X-ის უნივერსიტეტების პროფესორი, სადაც კითხულობს პოლიტიკური მეცნიერების კურსს. მას გამოქვეყნებული აქვს მეტად საინტერესო ნაშრომები: „საარჩევნო უმრავლესობის დამხობა კორეზის დეპარტამენტში (1958-1973 წწ.)" (Presse Universitaire de France, 1976), „რეფერენდუმი და პლებისციტი" (Librairie Générale de Droit et de Jurisprudence, 1976), „1958. V რესპუბლიკის გენეზისი" (Presse Universitaire de France, 1988), „პოლიტიკა და მეტყველება" (Broche, 2001), „პოლიტიკური უფლებები" (Broché, 1998), „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში" (Broché, 2007. მე-3 გამოცემა), „მყიფე მონარქია" (Broché, 2001).

ჟან-მარი დენკენის ნაშრომი „პოლიტიკური მეცნიერება" ხუთჯერ არის გამოცემული საფრანგეთში, რაც უდავოდ მეტყველებს მის პოპულარობაზე.

სარჩევი

შესავალი 7
ნაწილი პირველი. პოლიტიკური მეცნიერების შინაარსი და საზღვრები 10
თავი I. მეცნიერების ზოგადი ხასიათი 11
ნაწილი I. მეცნიერება არის მსჯელობა, მაგრამ განსაკუთრებული ტიპის მსჯელობა 11
ნაწილი II. მეცნიერება არის ცოდნა, მაგრამ შეფარდებითი და გადასინჯვას ექვემდებარება 13
თავი II. პოლიტიკა 16
ნაწილი I. რა არის პოლიტიკა? 16
1/ სიტყვა „პოლიტიკის" გარეგნული ანალიზი 17
2/ ტექნოკრატია, პოლიტიკის უარყოფა 22
3/ პოლიტიკის სფერო ცვალებადია 27
4/ პოლიტიზირების ფენომენი 31
5/ პოლიტიკური სფეროს ცვლილებების საზღვრები 34
ნაწილი II. პოლიტიკური სამყარო 42
1/ პოლიტიკური სამყაროს სტატიკა 43
2/ პოლიტიკური სამყაროს დინამიკა 53
თავი III. მეცნიერება და პოლიტიკა 57
ნაწილი I. პოლიტიკური მეცნიერება არ არის მეცნიერება პოლიტიკის შესახებ 57
ნაწილი II. პოლიტიკური მეცნიერება არის პოლიტიკური სამყაროს მეცნიერება 60
ნაწილი მეორე. ცნებები 68
თავი I. პოლიტიკური ხელისუფლება 69
ნაწილი I. ხელისუფლების ცნება 69
ნაწილი II. პოლიტიკური ხელისუფლება 83
ნაწილი III. პოლიტიკური ხელისუფლების რამდენიმე ტიპი 86
ნაწილი IV. ხელისუფლება როგორც მაკლასიფიცირებელი ცნება 92
თავი II. პოლიტიკური სისტემა 93
ნაწილი I. სისტემური ანალიზი 94
ნაწილი II. სისტემური ანალიზის კრიტიკული შეფასება 99
თავი III. კულტურა, სოციალიზაცია და პოლიტიკური ცვლილებები 102
ნაწილი I. პოლიტიკური კულტურა 103
ნაწილი II. პოლიტიკური სოციალიზაცია 108
ნაწილი III. პოლიტიკური ცვლილება 110
თავი IV. პოლიტიკური იდეოლოგიები 114
ნაწილი I. სიტყვა „იდეოლოგიის" სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება 115
ნაწილი II. პოლიტიკური იდეოლოგიების ხასიათი 119
თავი V. პოლიტიკური პროპაგანდა 125
ნაწილი I. როგორ უნდა განისაზღვროს პროპაგანდა? 125
ნაწილი II. პროპაგანდის საშუალებები 131
ნაწილი მესამე. მოქმედი პირები 135
თავი I. პოლიტიკური პერსონაჟები 136
ნაწილი I. ამომრჩეველი 137
ნაწილი II. აქტივისტები 141
ნაწილი III. პოლიტიკური ლიდერები 144
ნაწილი IV. ინტელექტუალები 147

თავი II. პოლიტიკური პარტიები 149
ნაწილი I. პარტიის ცნება 150
ნაწილი II. პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგიები 164
ნაწილი III. პოლიტიკური პარტიების ფუნქციები 188
ნაწილი IV. პარტიათა სისტემა 202
თავი III. ზეწოლის ჯგუფები 222
ნაწილი I. ზეწოლის ჯგუფის ცნება 222
ნაწილი II. ზეწოლის ჯგუფების ტიპოლოგიები 225
ნაწილი III. ზეწოლის ჯგუფების მოქმედების საშუალებები 242
ნაწილი IV. ზეწოლის ჯგუფების ფუნქციები 251

Nam ex verbis et imaginibus longe plures ideae
componi possunt quam exsolis principiis et notionibus,
quibus tota naturalis cognitio superstruitur

Spinoza, Tractatus
theologico-politicus, chap. I

შესავალი

პოლიტიკური მეცნიერების ჩართვა სამართლისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა სწავლების ციკლში დღეს უკვე აღიარებული ფაქტია და ამის დადებით როლს არავინ უარყოფს. მის მიერ გაანალიზებული მექანიზმები სამართალს საფუძვლად უდევს ისეთ სამყაროში, სადაც ეკონომიკური მოვლენები მათი ლოგიკის მიხედვით ვითარდება. გარდა ამისა, სამართალმცოდნეობის ზოგიერთი დარგი, უპირველეს ყოვლისა საკონსტიტუციო სამართალი,ბოლომდე გააზრებული და ზუსტად გაგებული ვერ იქნება იმ განსხვავებული, დამატებითი განმარტებების გარეშე, რომელთაც პოლიტიკური მეცნიერება იძლევა. სწავლების იმ ციკლში, სადაც ის ინტეგრირებულია, მას განსაკუთრებული ადგილი ორი თვალსაზრისით უკავია: ინტელექტუალურ გარემოსთან მიმართების და ჩვენს კულტურულ გარემოსთან მიმართების თვალსაზრისით.

1. პოლიტიკური მეცნიერების ადგილი მის ინტელექტუალურ გარემოში. — პოლიტიკური მეცნიერება სიცარიელეში არ არსებობს. მას განსაზღვრავს შესწავლის საგნითა და ხედვით მისგან განსხვავებულ დისციპლინებთან არსებული მსგავსებანი და განსხვავებები. ეს საზღვრები ხშირად ბუნდოვანი, სუბიექტური და საკამათოა. უსარგებლო იქნებოდა პირველ ეტაპზე მაინც ამ საზღვრების ობიექტური და ზუსტი მოხაზვა; თუმცა მნიშვნელოვანია მათი ზოგადი კონტურების განსაზღვრა, რათა მიახლოებით მაინც გამოიკვეთოს ჩვენი შესწავლის საგანი. საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რა განასხვავებს პოლიტიკურ მეცნიერებას სამართლისგან, პოლიტიკური ფილოსოფიისგან და სოციოლოგიისგან. თუმცა აუცილებელი არ არის პოლიტიკურ მეცნიერებას და ეკონომიკურ მეცნიერებებს შორის არსებულ განსხვავებებზე შეჩერება, იმდენად აშკარაა შესწავლის საგნებს შორის სხვაობა.

იურიდიული ხედვა ნორმატიულია. ის მიზნად ისახავს მოქმედი წესების გათვალისწინებით (რომელთა შექმნისა და შეცვლის ფორმები, ასევე ვარგისიანობის კრიტერიუმები მას წინასწარ აქვს განსაზღვრული) განასხვავოს, თუ რა არის კანონით ნებადართული და რა უკანონო. ამასთანავე ის სუბიექტური და თავისუფალია. სამართალმცოდნეობის მიზანია შედეგების მიღება, სოციალური მონაცემების შენარჩუნება, შეცვლა ან გადაკეთება სიტუაციების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ის მომავალზეა ორიენტირებული. ის არ ამოიწურება რეალობაში და არ შემოიფარგლება აწმყოთი. სამართალმცოდნეობა ნაწილობრივ წარმოსახვაზე არის დამოკიდებული, მაგრამ ეს წარმოსახვა ადამიანთა ქმედებების მედიაციით ქმნის რეალობას; ამასთანავე, სამართალი, განსაკუთრებით მისი პოლიტიკურ მეცნიერებასთან ახლოს მდგომი განშტოებებით, პრივილეგირებული ფორმით — ინსტიტუტების დახმარებით პოულობს გამოხატულებას; ე.ი. ის მატერიალურ რეალობას მოკლებული ადამიანის გონების ნაყოფია, მაგრამ თავისი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების შექმნით მეტად ეფექტურად და რეალურად მკვიდრდება სოციალურ პრაქტიკაში, ბუნებრივი მოვლენების მსგავსად. პოლიტიკური მეცნიერება პირიქით, სცილდება ნორმატივებს. ის ცდილობს დაადგინოს რა არის და არა ის, თუ რა შეიძლება იყოს. მისი ჰორიზონტი არ სცილდება აწმყოს და არსებულს. მას ინსტიტუტები იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ისინი რეალობის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ მას არ შეუძლია უარყოს ყველა ის არაფორმალური და არაიურიდიული ფენომენი, რომელიც საფუძვლად უდევს, მოიცავს, სცილდება ან ეწინააღმდეგება იურიდიულ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს. სამართალმცოდნეობა და პოლიტიკური მეცნიერება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან ინტელექტუალური თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სიტუაციების ანალიზისას მათ დამატებითი როლი ენიჭება.

ფილოსოფია მისი დღეს გავრცელებული გაგებით, რომელიც არ შეესაბამება სიტყვის მნიშვნელობას, ასევე ნორმატიულია. პოლიტიკურ ფილოსოფიაში იმ ნაშრომების ერთობლიობა იგულისხმება, რომელთაც პრეტენზია აქვს გამოკვეთოს კარგი მართვის პრინციპები და რეცეპტები. ეს ის ფილოსოფიაა, რომელიც მარქსმა განსაზღვრა თავის ცნობილ ნაშრომში „XI თეზისი ფოიერბახზე": ის მიზნად აღარ ისახავს მხოლოდ სამყაროს ახსნას, არამედ მის შეცვლას ცდილობს. მაგრამ მარქსის მტკიცების საწინააღმდეგოდ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მეტის-მეტად ძველია: ამისათვის, თუნდაც პლატონის ნაშრომის გახსენება კმარა. სამართალმცოდნეობასა და პოლიტიკურ მეცნიერებას შორის არსებულ განსხვავებაზე გაკეთებული დაკვირვებები აქაც გამოდგება: ამ ჟანრის ნაშრომები პოლიტიკური მეცნიერების მიზნებს ემთხვევა, რადგან პოლიტიკური რეალობის ანალიზს შეიცავს. ისინი მას შორდება საბოლოო მიზნებით, რადგან მეცნიერების მიზანი მხოლოდ ცოდნაა. ისინი მას ასევე მათი აქსიომური მსჯელობის ფორმით შორდება: საჭიროა განისაზღვროს სიკეთე, იმისთვის რომ ცნობილი გახდეს მისკენ სწრაფვის გზა და საკმარისია სხვა პოსტულატებზე დაყრდნობა, რომ ეს ინტელექტუალური კონსტრუქციები ჩაითვალოს უვარგისად და მომავლის არ მქონედ. უფრო ღრმა მნიშვნელობით, ფილოსოფია განისაზღვრება როგორც თვითშემეცნებითი ცოდნა: ის არ სწავლობს სამყაროს, არამედ სწავლობს ადამიანს სამყაროსთან მიმართებაში. ნიუტონის ფიზიკა გარე სამყაროს აღწერს. ფილოსოფია შეეცადა აეხსნა, თუ ადამიანის გონება როგორ ხდის მისაწვდომს ამგვარ ცოდნას და რა საზღვრებში ჯდება ის: ეს არის კანტის „წმინდა გონების კრიტიკის" საგანი. პოლიტიკურ ფილოსოფიაში განსხვავება ასე გამოკვეთილი არ არის, რასაც ჩვენი შემდგომი მსჯელობის შედეგად დავინახავთ. მიუხედავად ყველაფრისა, ისეთი ნაშრომები, როგორიცაა სპინოზას „თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი" ან რუსოს „სოციალური კონტრაქტი", იმის მაგალითს გვაძლევს, თუ როგორია წმინდა ფილოსოფიური მსჯელობა პოლიტიკაზე. პოლიტიკური მეცნიერება ამ გენიალურ ნაშრომებში უამრავ მოსაზრებას ეყრდნობა. თუმცა მიზანშეწონილი არ იქნება შეეცადოთ მათზე პოლიტიკური მეცნიერების დაფუძნება. ბოლოს, სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას შორის არსებული განსხვავების დადგენა ბევრ ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს. პოლიტიკა სოციალური ფენომენია, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ პოლიტიკური მოვლენები რაღაც სოციალური ფაქტებია. რადგან, როგორც სოციალური პროდუქტი, ის უკუქმედებს მასზე და სოციალურ ფაქტებს სხვა მნიშვნელობით, ტერმინის უფრო ვიწრო გაგებით უპირისპირდება. სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას შორის კავშირი არ წყდება, მაგრამ ამით პოლიტიკური მეცნიერება არ კარგავს მისი საგნის სპეციფიურობიდან გამომდინარე განსაკუთრებულობას, საიდანაც ერთდროულად იკვეთება პოლიტიკური მეცნიერების კავშირი სხვა სოციალურ მეცნიერებებთან მეთოდებისა და მიდგომების დონეზე და შესწავლის საგნის განსაკუთრებულ ხასიათზე (ხშირად პარადოქსულზეც კი) დამოკიდებული პრობლემატიკა.

ეს რამდენიმე დაზუსტება შეცდომის თავიდან ასაცილებლად იყო აუცილებელი: არ არის საჭირო პოლიტიკური მეცნიერების სახელმძღვანელოში ზემოთ მოკლედ აღნიშნული დისციპლინების ასპექტებისა და შესწავლის საგნების ძიება. სწორედ დეტალები ქმნიან ძირითადს და არა პირიქით. აღარც ზედმეტი შესავლის გაკეთებაა საჭირო. აქ უკვე შეიძლება ამ საკითხზე მსჯელობის შეწყვეტა და სხვა, შეიძლება ნაკლებმნიშვნელოვან, მაგრამ უფრო უშუალო საკითხზე გადასვლა.

2. პოლიტიკური მეცნიერება თანამედროვე კულტურულ გარემოში. — პოლიტიკურ მეცნიერებას ის განსაკუთრებული ნიშანი აქვს, რომ ზემოქმედებს პიროვნების გარემომცველი სამყაროს შემადგენელ ნაწილებზე. პოლიტიკური გადაწყვეტილებები, როგორც მნიშვნელოვან, ასევე უმნიშვნელო საკითხებში, დიდ გავლენას ახდენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რასთან დაკავშირებითაც ხალხის უმეტეს ნაწილს თავისი აზრი გააჩნია, მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანები, რომელთაც უშუალო, პოლიტიკური გამოცდილება აქვთ: პოლიტიკური წრეები ხშირად ვიწროა და დახურული. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პოლიტიკურ სფეროში მიღებული ცოდნა კერძოა: ეს ჩვეულებრივი, ზოგადი ცოდნაა, ხშირად დარწმუნებული თავის თავში, მაგრამ მეორე მხრივ, მიახლოებითი და მეტწილად მცდარი. პოლიტიკის გარდა, მოქალაქეები მასობრივი საშუალებების მიერ პოლიტიკაზე გავრცელებულ სურათს იცნობენ. აქ გარკვეული სირთულეები იქმნება იმ სტუდენტებისთავის,

რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების შესწავლას იწყებენ. მართალია ფაქტების გასაცნობად აუცილებელია ინფორმაციის მიღება, მაგრამ მისი მიწოდების ფორმა ხშირად დამახინჯებულია და ეს სამი მიზეზის გამო ხდება.

პირველი მიზეზია ის, რომ მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებები, თუკი რეჟი დებრიეს გამოთქმას გამოვიყენებთ, „მარტივის შესაქმნელი მანქანებია". ყველაფერი ხელს უწყობს შეხედულებების დამახინჯებას. მოკლე, უმნიშვნელო ინფორმაციების მიწოდების ვალდებულებას პრობლემების სირთულე ეწირება. გაავრცელო ორ წუთში, როგორც ეს ხშირად ხდება, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსი ან საარჩევნო რეფორმის შედეგები, არ არის სერიოზული. სენსაციურის ძიებაში ხდება სანახაობრივი ელემენტების გაზვიადება მნიშვნელოვანი ფაქტების და თანამიმდევრული ევოლუციის საზიანოდ, რომლებიც არ ჯდება ამ თვალშისაცემ ექსპოზიციაში. დაბნეული აუდიტორიის ან მკითხველისთვის ნათელი და გასაგები პასუხების გაცემის სურვილს მივყავართ დელიკატური, ორაზროვანი საკითხების გადაჭარბებულ სქემატიზაციამდე, ძნელად განსაჭვრეტ ევოლუციამდე. საზოგადოების სურვილი გონების დაძაბვის გარეშე დაამუშაოს ინფორმაცია და ჟურნალისტების ბუნებრივი ტენდენციები, რომელთაც ხშირად აკლიათ აუცილებელი კომპეტენციები, ერთმანეთთან შერწყმის შემდეგ იძლევა მეცნიერული ცოდნის საპირისპირო ცოდნას, საიდანაც, საბოლოო ჯამში, გამომდინარეობს რაოდენობრივი ზეინფორმაციის თანაარსებობა ხარისხიანი ინფორმაციის ნაკლებობასთან.

მეორე — პოლიტიკური ფაქტები არ არის ნეიტრალური. ისინი ძნელად ჯდება მოვლენების მიუკერძოებელ და ობიექტურ ჭრილში, რადგან მათი გაგების ფორმა უკვე თავისთავად ქმნის პოლიტიკას. შესაძლებელია შეცვლის გარეშე ბაყაყების რეპროდუქციის ჩვენება, მაგრამ მავანი პარტიის ან პრეზიდენტის პოლიტიკის წარდგენაში შეიძლება ჩართული იყოს ამასთან დაკავშირებულ მოქალაქეთა განსხვავებული რეაქციები, რითაც შეიცვლება ინფორმაციის შედეგები და ბუნება. აქ დგება საინფორმაციო წყაროების ობიექტურობის საკითხი, რაზეც თავის გასამართლებლად ხშირად ამბობენ, რომ ეს შეუძლებელია. სიმართლე მიუწვდომელია, ხოლო ტყუილი იოლად მისაწვდომი და ამ ორ პოზიციას შორის არსებობს შუალედური მდგომარეობა. ყველა ინფორმატორის და ინფორმაციის ერთნაირად განხილვა არ შეიძლება, ჩვენ უნდა შეეცადოთ იმის განსხვავებას, თუ რა არის სარწმუნო და რა არის პროპაგანდა. აქვე დგება აზრის გამოთქმის საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების საკითხი: არა მარტო ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, არამედ პლურალისტულ დემოკრატიებშიც კი, ხელისუფლებას (პოლიტიკურს, ეკონომიკურს) თავისი ინტერესები აქვს საინფორმაციო საშუალებებზე ზეწოლის განსახორციელებლად. ამ განსხვავებული ფაქტორების შედეგი ის არის, რომ საინფორმაციო საშუალებების ხედვასა და მეცნიერულ ხედვას შორის მნიშვნელოვანი უფსკრული ჩნდება.

მესამე — საინფორმაციო საშუალებები სისტემატურად არიდებენ თავს გარკვეული საკითხების გაშუქებას. ისინი ერთგვარ პოლიტიკურ სიფრთხილეს იჩენენ (თუ ეს გამოთქმა გადაჭარბებულად არ გაიაზრებს). საინფორმაციო საშუალებები, ყოველ შემთხვევაში მასობრივი, იშვიათად ასახელებენ ზოგიერთი პოლიტიკური ნაბიჯის მამოძრავებელ ძალას. მათ თითქოსდა არ იციან (და ამაში მათი დამოკიდულება რაღაცით ჰგავს პოლიტიკური მეცნიერების პოზიციას), რომ ფული და ამბიცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ დემარშებში. ისინი თითქოს დადგენილ ნორმად თვლიან, რომ მხოლოდ უანგარო მოტივები, ღრმა რწმენა, სხვების სამსახურის სურვილი ამოძრავებს პოლიტიკურ მოღვაწეებს. თუმცა, აბსურდული იქნება იმის მტკიცება, რომ პოლიტიკა მხოლოდ პირად, ეგოისტურ ინტერესებამდეა დაყვანილი: ცინიზმი გულუბრყვილოა, რადგან ქცევის რაციონალურობას ამტკიცებს, რაც ნამდვილად არ არის წესი ადამიანთა საქმიანობაში. თუმცა საპირისპირო პოზიციის თავგამოდებით დაცვაც ამახინჯებს რეალობას. ადვილი შესამჩნევია ნებისმიერ ჟურნალისტთან გასაუბრებისას, რომ ისინი არ მიმართავენ გადამეტებულ ფორმებს. ოფიციალურ განცხადებებსა და ჟურნალისტების პირად განცხადებებს შორის არსებულ შეუსაბამობას ისეთი მიზეზები აქვს, რომელთაც ამ ნაშრომში არ განვიხილავთ. მაგრამ საჭიროა მათი აღნიშვნა, რადგან არც ისინი ემთხვევა ნამდვილ მეცნიერულ დემარშებს.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საინფორმაციო არხებს შეუძლიათ ინფორმაციის სერიოზული დამახინჯება. სტუდენტებს, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების შესწავლას იწყებენ, მოქალაქეთა უმრავლესობის მსგავსად, არა აქვთ შესაძლებლობა პოლიტიკურ რეალობას დაუპირისპირდნენ იმ სურათით, რომელსაც მედია იძლევა; არსებული სიტუაცია მათ

უნდა დაიმახსოვრონ. ასევე არასდროს უნდა გამორჩეთ მხედველობიდან ის გარემოება, რომ პოლიტიკური მოვლენების მეცნიერული შესწავლის მოთხოვნები ვერასდროს შესრულდება წყაროების კრიტიკისას მუდმივი სიფხიზლის გარეშე.

3. გეგმა. — პოლიტიკური მეცნიერება თავისი შესწავლის საგნის მოცულობით უზარმაზარი სფეროა და ის კიდევ უფრო ფართოვდება. ტრადიციულად განხილულ საკითხებს გამუდმებით ემატება ახალი მიდგომები და ახალი სფეროები. ძალიან ბევრი ლიტერატურა გროვდება პოლიტიკურ მეცნიერებაზე, თუმცა რაოდენობის ამგვარი მატება ყოველთვის როდია ხარისხის გაუმჯობესების გარანტი. ისე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჭარბი ექსპერიმენტები სულ უფრო ნაკლებად საინტერესო ინფორმაციის გავრცელებას იწვევს, ასევე პოლიტიკური მეცნიერების დარგში მონოგრაფიების სიჭარბე ადვილი შესაძლებელია არაფრის მთქმელი აღმოჩნდეს.

სწორედ ფაქტობრივ (ამომწურავი მასალის არსებობის შეუძლებლობა, განსაკუთრებით, შესავალი ნაშრომის დონეზე) და კანონზომიერ მიზეზებს (როცა მნიშვნელოვან ინტელექტუალურ ქმედებებს უპირატესობა ენიჭება იოლად გავრცელებად ინფორმაციების წყებასთან მიმართებაში) მიჰყავს ჩვენი აზროვნება გარკვეულ მაჟორულ თემებზე კონცენტრაციისკენ. პირველ ნაწილში ჩვენ შევეცდებით დავაზუსტოთ, თუ რა არის პოლიტიკური მეცნიერება და რაზე ამახვილებს ყურადღებას და რაზე არა, რას უნდა მოველოდეთ მისგან და რას არა. მეორე ნაწილში გავაანალიზებთ რამდენიმე ფუნდამენტურ კონცეფციას. ბოლოს, მესამე ნაწილში იმ მთავარ მოქმედ გმირებს შევისწავლით, რომლებიც ფიგურირებენ პოლიტიკურ სამყაროში და ამოქმედებენ მას.

ნაწილი პირველი

პოლიტიკური მეცნიერების შინაარსი და საზღვრები

4. პოლიტიკური მეცნიერების იდეა სამ შედეგს გულისხმობს. — პოლიტიკურ მეცნიერებაზე საუბარი ნიშნავს სამი რამის ერიბად მტკიცებას. პირველი იმისა, რომ არსებობს ცოდნის განსაკუთრებული ტიპი, ინტუიციური და ჩვეულებრივი ცოდნისაგან განსხვავებული, რომელიც თავისი სპეციფიურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ სახელს, სტატუსს, ნდობას იმსახურებს, რასაც ტრადიციულად მეცნიერებას უწოდებენ. გარდა ამისა, არსებობს თავისებურებებითა და შიდა კავშირით აღნიშნული სფერო, რომელსაც მთლიანობაში პოლიტიკას უწოდებენ. ბოლოს ცოდნის ეს სფერო და ეს ტიპი შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდეს იმგვარად, რომ შეიქმნას მნიშვნელოვანი ცოდნა, რომელიც პოლიტიკური მოვლენების შემსწავლელი მეცნიერება იქნება, ამ სიტყვებში ნაგულისხმევი ყველა ნიუანსით. ეს სამი პუნქტი სამი თავის განხილვის საგანი იქნება. პირველი თავი აუცილებლად იქნება ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათის, სადაც აუცილებელია ერთდროულად მოხდეს, მეცნიერული მსჯელობიდან გამომდინარე, დასკვნების დასაბუთება და მისი თავისებურებებისა და საზღვრების განსაზღვრა. მეორე თავის მიზანი პირიქით, პოლიტიკის ცნების განსაზღვრის მცდელობა იქნება. ამ ტერმინის შინაარსის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდება, თუ როგორ ხდება პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო კერძო სამყარო, თავისი ერთდროულად ნაცნობი და უცნობი ხასიათით. მესამე შეაჯამებს პირველი ორი თავის შედეგებს და გვიჩვენებს, რომ მეცნიერებისთვის და პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ლოგიკა, განაპირობებს მათ თანხვედრას და ამისაგან წარმოიქმნება განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც შეთანხმებულია ყველა იმ მოვლენასთან, რომელიც შეიძლება მას შეადარონ.

თავი I. მეცნიერების ზოგადი ხასიათი

5. მეცნიერების განსაზღვრის პრობლემა. — გამოთქმა „პოლიტიკური მეცნიერება" შეიცავს სიტყვას მეცნიერება. მისი შერჩევა ამ დისციპლინის დასახასიათებლად თავისთავად არ მომხდარა: საჭიროა იმის გაანალიზება, თუ რას გულისხმობს ეს სიტყვა. სავაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა სანამ ჩვენს თავს დავუსვამთ კითხვას, თუ რაში მდგომარეობს პოლიტიკური მეცნიერების სპეციფიურობა სხვა მეცნიერებებთან მიმართებაში, ჩვენს თავს შეეკითხოთ რითი იმსახურებს პოლიტიკური მეცნიერება მეცნიერებათა რიგში დგომას. ეს მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან ტერმინი „მეცნიერება" დატვირთულია განსაკუთრებული ავტორიტეტით და გონებაში ზუსტ ასოციაციებს იწვევს. თანაც მეცნიერული ცოდნა არ არის სრული ცოდნა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ დაუსრულებლად ვიყენებთ ცოდნას, რომლის არცთუ მცირე ნაწილი არ პასუხობს ფორმულირებას „მეცნიერული". თვით ცხოველებსაც უგროვდებათ გარკვეული ცოდნა: მათ იციან რითი უნდა იკვებონ, ვინ არის მათი მტერი, რა ძირითადი საფრთხე ემუქრებათ. ამ ცოდნის გარეშე ისინი ვერ იცოცხლებდნენ. თუმცა მათ, რამდენადაც ცნობილია, მეცნიერება არ შეუქმნიათ. ამასთანავე მეცნიერება ნამდვილი ცოდნის მოდელად რჩება. თანამედროვე საზოგადოებები უარყოფენ ცოდნის ყველა დანარჩენი ფორმის სანდოობას.

რა არის მეცნიერება? ეს მთავარი და პარადოქსული კითხვაა, რადგან შეუძლებელია მისი თავიდან აცილება, თუმცა ცნობილია, რომ ზუსტი პასუხი არ არსებობს. მისი დასმის თავიდან აცილება ნიშნავს, ეს სიტყვა იხმარო ისე, რომ მიახლოებითაც არ იცოდე რას გულისხმობს ეს ცნება და ბრმად გამოიყენო მეტყველებაში. ეს იქნებოდა ინტელექტუალური სიზუსტის მინიმალური მოთხოვნების უარყოფა, მაგრამ მასზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნებოდა იმდენ განსხვავებულ, რთულ და წინააღმდეგობრივ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომ პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის ანალიზს იმაზე მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე თვით საგნის შესწავლას. ანალიზის დროს სირთულის დაძლევა შესაძლებელია, რადგან სიტყვა „მეცნიერება" სხვა სიტყვების მსგავსად მხოლოდ იარლიყია. დიდი მნიშვნელობა არა აქვს რას მიაკრავ ამ იარლიყს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ რასაც მიაკრავ, ის არ იყოს განსხვავებული ბუნებისა და აქედან გამომდინარე, სიტყვების ხმარებამ არ გამოიწვიოს ბუნდოვანება შესწავლის საგნებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა იმის ცოდნა, თუ რაზეა ლაპარაკი და ამისათვის უნდა გაირკვეს, თუ რა მნიშვნელობით მოხდება სიტყვის ხმარება.

ამ პერსპექტივაში საჭიროა განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება ორ პუნქტზე. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერება არის მსჯელობა, ოღონდ არა განურჩევლად ნებისმიერი. საჭიროა შეფასდეს ის შედეგები, რომელთაც მისი ამ კატეგორიაში მიკუთვნება გულისხმობს და აგრეთვე ის, თუ რით განსხვავდება ის მსჯელობის სხვა ფორმებისგან. მეორე — მეცნიერება არის ცოდნა, მაგრამ მუდმივად განვითარებადი ცოდნა. ის არ არის აბსოლუტური, საბოლოო და უცვლელი. პირიქით, პირობითი და ცვალებადია, რადგან თავის შესწავლის საგანთან დამაკავშირებელი კავშირები არ ვანისაზღვრება მარტივად და ცალსახად ფაქტებით, ისინი თეორიული არჩევანის შედეგია, საიდანაც თვითნებობა ვერასდროს გამოირიცხება მთლიანად.

ნაწილი I. მეცნიერება არის მსჯელობა, მაგრამ განსაკუთრებული ტიპის მსჯელობა

6. მეცნიერება არის რეალობაზე კონცენტრირებული სისტემატური მსჯელობა. — მეცნიერება უპირველეს ყოვლისა, არის მსჯელობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჰეტეროგენულია თავის საგანთან მიმართებაში. ის არ არის ადამიანის გონების მიერ არეკვლილი რეალობის ასლი, არამედ მონაცემთა ერთობლიობაა. ის შეიძლება იმ ერთ-ერთი ენით გამოიხატოს, რომელსაც ადამიანები იყენებენ სპონტანურად (მშობლიური ენა), ან ხელოვნური ენის საშუალებით, რომელიც შემუშავებულია სწორედ მეცნიერების საჭიროებისათვის (ლოგიკა, მათემატიკა). ამ პირველი პუნქტიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: არაფერი იძლევა იმის გარანტიას, რომ a priori შესაძლებელია სრული ადეკვატურობა გარე სინამდვილესა და იმ საშუალებებს შორის, რომელთაც მეცნიერება იყენებს მის ასახსნელად. უფრო შესაძლებელია საპირისპირო, რადგან

ყოველგვარი მეტყველება აბსტრაქციის პროცესს გულისხმობს, რომელიც მხოლოდ მეტ-ნაკლებად არის სრულყოფილი. ეს პროცესი გენერალიზაციის გასაღებია: ყველაფერი, რაც თავის თავს ჰგავს განსხვავდება დანარჩენისგან, მხოლოდ ამა თუ იმ ელემენტის აბსტრაქციით არის შესაძლებელი მოვლენების შედარება, რაც მეცნიერული მოღვაწეობის პირველი ნაბიჯია. ადამიანის გონებას ცოდნის გამდიდრება დეტალებით შეუძლია ძირითადიდან გადახვევის გზით. ამგვარი გადახვევა ნაყოფიერია, მაგრამ ამავე დროს, დამამახინჯებელი, რადგან მეცნიერებამ უარი უნდა თქვას დეტალების, როგორც ასეთის ცოდნაზე. მას არ შეუძლია სრულად მოიცვას რეალობა, არც იმის მტკიცება შეუძლია, რომ ყველაფრის გაანალიზების უნარი შესწევს, რაც პრინციპში მისთვის მისაწვდომია. შეიძლება არსებობს უზენაესი არსება, რომელიც ფლობს ჭეშმარიტების ინტუიტიურ და ამომწურავ ცოდნას, მაგრამ ეს ცოდნა არ არის მეცნიერება, რადგან მას არ სჭირდება აბსტრაქციიდან და ენიდან გადახვევა.

მეცნიერული მსჯელობა სისტემურია იმაში, რომ საკუთარი თავისგან შინაგან გამართულობას მოითხოვს. ცოდნის არასრულყოფილებიდან გამომდინარე, წინააღმდეგობრივი მტკიცებანი ერთი და იგივე მეცნიერულ სივრცეში, ან ორ მეზობელ სივრცეში ანომალიად ითვლება, რის აღმოფხვრასაც ვცდილობთ. ამით მეცნიერული მსჯელობა განსხვავდება სხვა ტიპის მსჯელობებისგან, კერძოდ პოლიტიკურისგან, რომელიც უდრტვინველად იტანს წინააღმდეგობრიობას და არათანამიმდევრულობას.

მეცნიერული მსჯელობა რეალობას ეხება. ასეთ მტკიცებას უარყოფითი ასპექტიც აქვს. მართლაც, მისთვის პოზიტიური შინაარსის მისაცემად საჭირო იქნებოდა ჭეშმარიტების განსაზღვრის უნარი. თუმცა მთლიანობაში განხილული საკითხი რთულ და სადავო ფილოსოფიურ პრობლემებს სვამს. კერძო ფენომენთან მიმართებაში განხილული (არის ეს საგანი რეალური თუ არა?) საკითხი ფაქტობრივი შეკითხვაა: საგნის არსებობა მხოლოდ თვითკონსტატირებაა და შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ (ვერც ერთი ემპირიული მოკვლევა ვერ იქნება ამომწურავი, კერძოდ იმიტომ, რომ ის ვერ იქნება მომავლისკენ მიმართული), საგანი არ არსებობს. შეუძლებელია ჭეშმარიტების a priori მსჯელობით შემოფარგვლა. მაგრამ უარყოფითი ასპექტით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება არ არის დაკავებული იმით, რაც ნამდვილი არ არის. ის ვერ შესძლებს, თეოლოგიის მსგავსად, აქსიომად დააყენოს რაიმეს არსებობა და შემდეგ დედუქციური მსჯელობით გააკეთოს აუცილებელი დასკვნები ამ დამტკიცებულ არსებობაზე. შესაბამისად, ყველაფერი ნამდვილი კანონიერად აინტერესებს მეცნიერებას, თუნდაც, სინამდვილეში ესა თუ ის სფერო არ ესადაგებოდეს მეცნიერულ კვლევას.

7. მეცნიერება კონტროლირებადია ინტერსუბიექტურად. — მეცნიერება, უფრო ზუსტად მისი მოღვაწეობის პროდუქტი კონტროლირდება ინტერსუბიექტურად. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ის ზღუდავს მეცნიერული ცოდნის მოქმედების რადიუსს, რადგან მას ისეთ ფაქტებს აშორებს, რომელთა არსებობაც ეჭვქვეშ არ დგას (ჩემი პირადი გამოცდილება ჩემთვის უტყუარია), თუმცა არ შეუძლია იყოს სხვადასხვა პიროვნების განხილვის საგანი. სამაგიეროდ, ის მეცნიერების პროდუქტს უზრუნველყოფს უტყუარობის უმაღლესი ხარისხით, რომელიც გასაგებია ადამიანის შემეცნებისათვის. თეორიულად, მეცნიერული ფაქტი მაშინ არის აღიარებული, როცა მას ნამდვილად მიიჩნევს ყველა ან ის პირები, რომლებიც ამისთვის აუცილებელ ცოდნას ფლობენ.[1] აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ კომპეტენტურ პიროვნებას უფლება აქვს უარყოს მეცნიერული თეორია. მეცნიერება არ სცნობს ავტორიტეტულობის პრინციპს. შედეგად, როგორც სერ კარლ პოპერმა გვიჩვენა, იმისთვის, რომ მტკიცება მეცნიერული იყოს, მას უნდა შეეძლოს იყოს ყალბი. აღნიშნული ძალიან ბუნდოვანი თეორიაა იმისთვის, რომ ლოგიკური საშუალებებით და დიალექტიკური ხერხებით უკუგდებული იქნეს, ან შეძლოს უპასუხოს ყველა შენიშვნას, არ არის მეცნიერული, რადგან აღარ კონტროლდება ინტერსუბიექტურად. ისეთი სისტემები, როგორიც, მაგალითად, ასტროლოგია ან ფსიქოანალიზია, მეცნიერული არ არის.

---

[1] ამ შეზღუდვის თავიდან აცილება რთულია, რადგან ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ დაგვეშვა თითქოს კომპეტენტურობას მოკლებული ინდივიდის აზრი მეცნიერული ცოდნის განსაზღვრისას ისეთივე ღირებულია, როგორც აღიარებული სპეციალისტების აზრი. მაგრამ ეს აუცილებლობა ორაზროვანია. ის კარს ეღების მეცნიერული ცოდნის ყოველგვარ სოციოლოგიურ კრიტიკას. იმის გამო, რომ მეცნიერებას ერთეულები ქმნიან და არა ყველანი, ყოველთვის იქნება შესაძლებელი იმის მტკიცება, თითქოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი ცოდნის არარსებობის მიუხედავად, ის გაბატონებული კოლექტიის შემადგენელი ნაწილი, შემაკავშირებელი დოღაბია და უზრუნველყოფს მის გავლენასა და პრივილეგიებსაც.

8. მეცნიერება ზრდის ადამიანების სამყაროზე ზემოქმედების უნარს. — მეცნიერული ცოდნის ინტერსუბიექტური ხასიათი არ არის ერთადერთი საფუძველი იმაში დასარწმუნებლად, რომ მეცნიერება არ დადის სუბიექტურ შეხედულებამდე, არამედ ის აღწევს სინამდვილის ღრმა ფენებს. ამგვარად ფიქრის სხვა საფუძველი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ მეცნიერება ზრდის სამყაროზე ადამიანის ზემოქმედების უნარს. სიტყვა ზემოქმედება განზრახ არის ბუნდოვანი. მართლაც, ეს შენიშვნა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე არ უნდა გავრცელდეს. ამ მეცნიერებებს განსაკუთრებული და დასაბუთებული ნდობა აქვთ. მათი ჰიპოთეზურ-დედუქციური სისტემის წყალობით შესაძლებელია ფენომენის წინასწარ განჭვრეტა და რეალობაზე შეგნებული ზემოქმედება. მათ მიერ დაგროვილი ცოდნის წყალობით, შესაძლებელი გახდა საძყაროს ტრანსფორმაცია. მაგრამ წმინდად დესკრიპციული მეცნიერებები, მაგალითად გეოგრაფია. ან ისეთი მეცნიერებები, რომელთაც არ შეუძლიათ ზუსტი აღწერებით სარგებლობა, როგორც, მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ადამიანის ჩარევის უნარს უბრალოდ იმიტომ ზრდიან, რომ ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას სინამდვილეზე. განსხვავება უფრო მეტად ხარისხშია, ვიდრე ბუნებაში. მართალია ზუსტი მეცნიერებების წარმატებული პროგნოზების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, მაგრამ თეორიების ევოლუციის საფუძვლებში ისინი ნაკლებ მარცხს როდი განიცდიან. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ინტერვენციის ეს უნარი ძლიერი არგუმენტია მეცნიერული ცოდნის ობიექტურობის სასარგებლოდ. რაციონალურია იმის ვარაუდი, რომ წარმატებული თეორია უფრი ნამდვილია და იმაზე ზუსტად წარმოაჩენს (როგორი რთულიც არ უნდა იყოს ასეთი ცნების გასაგები შინაარსის გადმოცემა) რეალურის შიდა სტრუქტურას, ვიდრე ყველანაირ ეფექტურობას მოკლებული კონცეპტუალური მექანიზმი. უდავოდ, სწორედ ამაშია მეცნიერების დიდი უპირატესობა ადამიანების განკარგულებაში არსებულ სხვა ცოდნაზე.

ნაწილი II. მეცნიერება არის ცოდნა, მაგრამ შეფარდებითი და გადასინჯვას ექვემდებარება

9. მეცნიერება ქმნის შეფარდებით სინამდვილეს. — მეცნიერება აყალიბებს ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს ჭეშმარიტება მხოლოდ შეფარდებითია. მეცნიერება ქმნის და არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსტატირებით, როგორც ამას გულუბრყვილო ემპირიზმი თვლის. გულუბრყვილო ემპირიზმი, რომელიც საღი აზრის სპონტანური ეპისტემოლოგიაა (და რომელიც არ არის არეული დიდი ემპირისტი მოაზროვნეების დამოკიდებულებასთან, რომელთაც ასეთ დიდ გულუბრყვილობას არ მიაწერენ), ამტკიცებს, რომ თეორიები უსარგებლოა, რადგან საკმარისია იმაზე დაკვირვება და ჩანიშვნა თუ რა ხდება. ერთი სიტყვით ფაქტების კონსტატირება, რომლებიც, როგორც ყველასთვის ცნობილია, ჯიუტია. უბედურება ის არის, რომ ფაქტები მხოლოდ თეორიასთან მიმართებაში იძენს მნიშვნელობას, რომელიც მათ თავის ადგილს და სათანადო ხასიათს ანიჭებს. მეცნიერება, როგორც ცნობილია, მოვლენების ერთობლიობას კი არ აღწერს, არამედ მათ ზოგიერთ ასპექტს გამოჰყოფს. მაგალითად, კინეტიკური ენერგიის თეორია არსებითად თვლის მოძრავი საგნის სიჩქარესა და მასას და არა ფერს. თუმცა, საგნის ფერი ისეთივე ობიექტური რეალობაა, როგორც მისი მასა და ამას ამტკიცებს მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელო თეორიული დასკვნა. სამაგიეროდ, თუ შემუშავდება თეორია ფერების შესახებ, ამ შემთხვევაში საგნის მასა აღარ იქნება არსებითი. ყველა მეცნიერულ თეორიაში არსებობს სინამდვილის ისეთი ასპექტები, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უგულებელყოფილია. მაგრამ თეორია მხოლოდ არაარსებით სინამდვილეს არ აწყდება. ის უპირისპირდება საწინააღმდეგო სინამდვილეს, რომელზე დაკვირვებასაც მისი უარყოფა უნდა მოჰყვეს. უნდა აღინიშნოს, რომ თეორია ყოველთვის უარყოფილი არ არის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოსაზრებაა, რომელიც დეტალურ განხილვას მოითხოვს.

10. მეცნიერული მსჯელობა არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაგღერული ფაქტებით. — ავიღოთ რომელიმე მეცნიერული თეორია. ის შედეგების გარკვეულ რაოდენობას გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ თეორია ჭეშმარიტია, ასევე ჭეშმარიტი უნდა იყოს

მისგან ლოგიკურად გამომდინარე მტკიცებულებები. თეორიასა და მის შედეგებს შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შედეგი მხოლოდ მაშინ იქნება მცდარი თუ თვითონ თეორიაც მცდარია. უფრო ზუსტად თეორია მოიცავს ფორმას, რომელსაც ლოგიკოსები მატერიალურ პირობითობას უწოდებენ და რომელიც სიმბოლურად შემდეგნაირად გამოისახება:

p > q

ეს ფორმულა, რომელიც ასე იკითხება „თუ **p**, მაშინ **q** ნიშნავს, რომ თუ დებულება „**p**" (რომელსაც წანამძღვარს უწოდებენ) ჭეშმარიტია, ასევე ჭეშმარიტია დებულება „**q**" (რომელსაც უწოდებენ შედეგს). ინდივიდუალურად აღებული დებულებები **p** და **q** შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, რაც ოთხი ვარიანტის გამოყოფის საშუალებას იძლევა: **p** და **q** ორივე ჭეშმარიტია; **p** და **q** ორივე მცდარია; **p** ჭეშმარიტია, **q** მცდარი; **p** მცდარია **q** ჭეშმარიტი. სამ ვარაუდში თეორია, რომელსაც პირობა ამტკიცებს „თუ **p** მაშინ **q**", გამართლებულია როცა: **p** და **q** ორივე ჭეშმარიტია, **p** და **q** ორივე მცდარია, **p** მცდარია და **q** ჭეშმარიტი, რადგან თეორია არაფერს ამბობს იმაზე, რომ **q** წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოიქმნება **p**. სამაგიეროდ თუ **p** ჭეშმარიტია და **q** მცდარი პირობა მცდარია.

თუ ამ სქემას დავეყრდნობით, მეცნიერული მოღვაწეობა ორი ფაზისგან შემდგარი პროცესია. პირველი მდგომარეობს იმ თეორიების შემუშავებაში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ერთი ფაქტი (წანაპძღვარი **p**) იწვევს აუცილებლად მეორე ფაქტს (შედეგს **q**). მეორე ფაზაში ხდება იმაზე დაკვირვება მართლდება თუ არა ვარაუდი. თუ ის მართლდება, თეორია დამტკიცებულია, თუ არა, სერ კარლ პოპერის ტერმინოლოგიის მიხედვით, ის ფალსიფიცირებულია, ე.ი. მცდარად ითვლება და საჭიროა ახალი თეორიის ძებნა, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოვა იგივე შენიშვნებთან. ამგვარად, მეცნიერული მოღვაწეობა ობიექტურია და მარტივი თავის პრინციპში, მიუხედავად მისი პრაქტიკული სირთულისა.

თუმცა, სამწუხაროდ, მთლად ასე არ არის, რადგან კარგად დაფიქრების შემდეგ, კონსტატირებულ ფაქტებს (შედეგი **q**) არავითარი ლოგიკური პრივილეგია არ აქვთ წანამძღვარ **p**-სთან და პირობასთან **p > q**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია სამი ვარიანტიდან, რომელიმე ერთის ჭეშმარიტობის შეცვლა იმგვარად, რომ დარჩენილი ორის ჭეშმარიტება დადგენილად ჩაითვალოს. პირობის **p > q** მცდარობის გამოცხადება ჭეშმარიტი **p**-სა და მცდარი **q**-ს დროს, ე.ი. თეორიაზე უარის თქმა, სინამდვილეში სამი შესაძლებელი ვარიანტიდან მხოლოდ ერთ-ერთია; აგრეთვე შესაძლებელია, პირობის **p > q** ჭეშმარიტად და **q**-ს მცდარად ჩათვლით დავასკვნათ, რომ **p** მცდარია, რადგან ეს პირობის წესების და მისი ორი ჰიპოთეზის ერთადერთი შესაბამისი გადაწყვეტილებაა (ამ ოპერაციას ლოგიკოსების ენაზე **modus tollens** ეწოდება). და ბოლოს, შესაძლებელია **p > q** ჭეშმარიტისა და **p** ჭეშმარიტიდან გამომდინარე დავასკვნათ, რომ **q** ჭეშმარიტი (ამ ოპერაციას ეწოდება **modus ponens**). ამ პრინციპის გამოყენება მაშინაც არის დასაშვები, თუ ცდის შედეგად **p** ჭეშმარიტია და **q** მცდარი: საკმარისია დარწმუნებულობის სახელით, რომ **p > q** ჭეშმარიტია, საკმარისია დავამტკიცოთ, რომ რეალობაში **p** არის მცდარი: ან **q** არის ჭეშმარიტი. პრაქტიკაში, მაგალითად დაამტკიცებენ, რომ ცდა ცუდად წარიმართა, მომზადების ფაზაში და, რომ პირობა სინამდვილეში არ განხორციელდა, ანდა შედეგი არასწორად იქნა გაგებული და შედეგი **q** მართლაც მიღებულია, ასევე შეიძლება კოლექტიური ჰალუცინაციის მოშველიება. მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ ამგვარი ხერხები საკუთარი გამართლებულია თუ თეორია მართლაც ჭეშმარიტია, რადგან მაშინ საჭიროა, რომ ის, რაც მას ეწინააღმდეგება იყოს მცდარი. არ შეიძლება ბრმად მივენდოთ ორთოდოქსული მეთოდოლოგიის პრინციპებს, რომელიც ამ ტიპის პრაქტიკას არ ამართლებს.

ამგვარად არსებობს ლოგიკური პროცედურები, რომელიც იმ თეორიის უცვლელად დატოვების საშუალებას იძლევა, რაც ექსპერიმენტით აშკარად განწირულია; თუმცა თეორიის პროგნოზების საპირისპიროდ მიღებული შედეგები თუ სარწმუნო აღმოჩნდება, უმჯობესი იქნება თეორიის შესანარჩუნებლად მისი იმგვარად გადაკეთება, რომ ის შეესაბამებოდეს დაფიქსირებულ შედეგებს. შესაძლებელია ექსპერიმენტის შედეგის გათვალისწინებით, მართლაც გაჩნდეს სურვილი არამყარი თეორიის შენარჩუნებისა. ბევრ შემთხვევაში ის შეიძლება დაკმა-

ყოფილებული აღმოჩნდეს. მეცნიერულ სფეროში მას შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს, რომ მასზე უარის თქმა მთელი მიღებული ცოდნის ეტვქვეშ დაყენების ტოლფასი გახდეს; ანდა ნებისმიერ საწინააღმდეგო თეორიას სჯობდეს. ასეთ შემთხვევაში, გადასარჩენი თეორია შესაბამისობაში რომ მოვიყვანოთ იმ ექსპერიმენტებთან, რომელთა შედეგები უარყოფს ამ თეორიას, ორი მისაღები სტრატეგია არსებობს. პირველი ეს არის წანამძღვარში დამატებითი პირობების დამატება ისე, რომ ისინი შესრულებული არ იყოს იმ ექსპერიმენტში, რომლის შედეგებიც არ იყო წინასწარ გათვლილი. ასეთ შემთხვევაში თეორია ჩაიწერება **pr > q**, „თუ **p** და **r**, მაშინ **q**" მეორე სტრატეგია იმ ფაქტის აღიარებაში მდგომარეობს, რომ პირობა **p**-ს შეიძლება მოჰყვეს ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული შედეგი: ასეთ შემთხვევაში თეორია ჩაიწერება **p > q v r**, „თუ **p**, მაშინ **q** ან **r**". ამით მიიღება გადასინჯული თეორია, რომელიც უკვე ითვალისწინებს რეალობას.

ასევე შესაძლებელია დავკმაყოფილდეთ განხილულ ცვლადებს შორის სუსტი ან სტატისტიკური კორელაციის დამყარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უარი ვთქვათ ისეთი თეორიის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ზუსტი იქნება. შემოვიფარგლებით იმის კონსტატირებით, რომ **p**-სა და **q**-ს შორის არსებობს ისეთი მიმართება, რომ **p** ძალიან ხშირად ხორციელდება მაშინ, როდესაც რეალიზებულია **q**. ამით სულაც არ უარვყოფთ იმ აზრს, რომ ცვლადებს შორის მიმართება მთლიანად განსაზღვრულია. თუმცა ვაღიარებთ, რომ უძლურნი ვართ განვაცალკევოთ და აღვწეროთ ისინი, რადგან რაოდენობა უამრავია, ზოგიერთი მათგანი შემთხვევითია ან ძალზე რთული და მიუწვდომელი ადამიანის გონებისათვის. ამგვარი სტრატეგიული გადახედვა უარყოფას არ ნიშნავს: ეს უფრო გარკვეულ მოვლენაზე რაიმეს ცოდნაა, ვიდრე მისი სიხშირის სტატისტიკაში გარკვევა. ეს ყოველ შემთხვევაში არის იმაზე უფრო მეტის ცოდნა, ვიდრე იძულებით მისი ჩათვლა შემთხვევითობათ. **p**-ს არსებობა სავარაუდოდ გამოიწვევს **q**-ს, მაგრამ არ შეგვიძლია წინასწარ დანამდვილებით იმის მტკიცება, რომ ეს ასე იქნება კონკრეტულ შემთხვევაში. და ბოლოს, საბოლოო გადაწყვეტილებაზე უკვე იყო ლაპარაკი: თეორია უნდა უარყოფილი იქნეს იმის დაშვებით, რომ ცვლადები, რომელთაც ის ერთმანეთთან აკავშირებდა, მთლიანად დამოუკიდებელია, ან მათ შორის არსებული კავშირები, ჩვენი ცოდნის მოცემულ მომენტში, არ ექვემდებარება არანაირ აღწერას.

11. მეცნიერული ცოდნის საზღვრები. — ამ ასპექტის ასეთი დეტალური, მაგრამ სქემატური წარმოჩენა საჭირო იყო იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო შემდეგი დასკვნის ისეთი სახით ჩამოყალიბება, რომ მოცემული მტკიცება უსაფუძვლო არ გამოჩენილიყო: მეცნიერული თეორიები არ არის ობიექტურად და ერთმნიშვნელოვნად განპირობებული ექსპერიმენტებით. მოსალოდნელის საპირისპიროდ, მიღებული შედეგების ფონზე გვაქვს არა ერთი, არამედ ოთხი გადაწყვეტილება: თეორიის შენარჩუნება არსებული სახით და იმის განცხადება, რომ ექსპერიმენტი არ არის შესაბამისი; მისი იმგვარად შეცვლა, რომ გათვალისწინებული იქნეს შედეგები და ეტვქვეშ არ დადგეს მისი მთავარი შტრიხები; მისი შემცირება სტატისტიკურ ნაწილში, რაც მხოლოდ სტატისტიკური პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა; და ბოლოს, მასზე საერთოდ უარის თქმა. მიზეზები, რომელიც პირველი სამი და არა ბოლო გადაწყვეტილების არჩევის საფუძველს იძლევა, განსხვავებულია და მისაღები ჩანს. სხვა შემთხვევაში უმჯობესია თავი დავანებოთ თეორიას, რადგან თავს იყრის მეტად მნიშვნელოვანი წინააღმდეგობრივი ფაქტები. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, იმის შესწავლა ამა თუ იმ შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი მიზნები კარგია თუ ცუდი, ნაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგ დასკვნასთან შედარებით: საქმე ეხება არჩევანს, რომელსაც, როგორც ყველა არჩევანს, ახლავს თვითნებობის და შეცდომების რისკი. ასე უფრო გასაგები ხდება რაში შეიძლება არ ჩაითვალოს, რომ მეცნიერება სინამდვილის წმინდა კალკია, რომლის გადამუშავებაც განპირობებული იქნებოდა მხოლოდ კონსტატირებული ფაქტების ბუნებით. მეცნიერება არის უთვალავი დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი ეფექტური ან არაეფექტური თეორიული არჩევანის შედეგი. მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ის არამყარი ცოდნაა. მეცნიერება არ წარმოაჩენს საბოლოო სახით არსის ბუნებას. მეცნიერება არის უთვალავი დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი, ეფექტური ან არაეფექტური თეორიული არჩევანის შედეგი. მეცნიერება მიახლოებითი და მუდმივად გადასინჯვადია.

თუ უფრო ჩავულრმავდებით, უნდა დავასკვნათ, რომ არსებობს ჰეშმარიტების მხოლოდ ერთი კრიტერიუმი, ეს არის სინამდვილე. თანაც სინამდვილე და მეცნიერება აუცილებელი არ არის ემთხვეოდეს ან განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. სინამდვილის უშუალო შეცნობის სხვა გზა რომ არსებობდეს, შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი მეცნიერების მასთან შეფარდება, ამჯერად უშეცდომოდ და იმის ცოდნა, სადამდე ახერხებს ის სინამდვილესთან მიახლოებას. მაგრამ პრაქტიკაში სხვა გზა არ არსებობს და ამიტომაც, მეცნიერული ცოდნა რჩება, როგორც უკვე ვნახეთ, სინამდვილის საუკეთესო აპროქსიმაციად, თანაც გაუგებარია და ვერც ვერასოდეს შეეძლებთ გავიგოთ რეალურად რა მანძილზე ვუახლოვდებით სინამდვილეს.

აქედან სხვა დასკვნაც გამომდინარეობს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და სოციალურ მეცნიერებებს შორის მტკიცებული განსხვავება არც ისე ღრმაა, როგორც ადრე ეგონათ. მართალია პირველებს აქვთ აპრობირებული მეთოდების და უზარმაზარი შედეგების უპირატესობა, მაგრამ განხილულიდან გამომდინარეობს, რომ მათი მოქმედების ფორმა ხშირად იმაზე ნაკლებად სარწმუნო, პოზიტიური და საბოლოოა, როგორც ჰგონიათ. ის არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც ხშირად ახასიათებს სოციალურ მეცნიერებებს, სახელდობრ პოლიტიკურ მეცნიერებას, უსაფუძვლოა. მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ზუსტი მეცნიერებების ეპისტემოლოგიის ცოდნა, რითაც უკეთ იქნება აღქმული და გაგებული ის მსგავსებები, რომლებიც მათ აერთიანებს და ის განსხვავებანი, რომლებიც მათ აშორებს.

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ პოლიტიკური მეცნიერება წინ ვერ წავა დეტალების კვლევის და გამოკითხვების რაოდენობის გაზრდით, ან საარჩევნო შედეგების სტატისტიკური მეთოდების დამუშავებით: ის თავისი თეორიული კვლევით განვითარდება, თუკი ამას მოახერხებს. ზუსტი მეცნიერებების ეპისტემოლოგიური კვლევა ალბათ ერთ-ერთი გზაა, რომლითაც პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები შეძლებენ განაახლონ და გაამდიდრონ კონცეფტუალური აღჭურვილობა.

თავი II. პოლიტიკა

12. პოლიტიკა და პოლიტიკური სამყარო. — წინა თავში განხილულმა მსჯელობებმა დაგვანახა, თუ რა ტიპის კვლევა უნდა აწარმოოს პოლიტიკურმა მეცნიერებამ იმისთვის, რომ მეცნიერების სახელი დაიმკვიდროს. ახლა მისი საგანი უნდა შევისწავლოთ. რა არის ეს ერთდროულად უცნობი და ნაცნობი რეალობა, რომელსაც პოლიტიკას უწოდებენ? ამ კითხვაზე პასუხი ორი მიმართულებით უნდა ვეძებოთ. თავდაპირველად, უნდა გამოვკვეთოთ ცნება პოლიტიკა. ეს პირველი ნაწილის განხილვის საგანი იქნება. რა არის პოლიტიკა? ჩვენ ვინარჩუნებთ კითხვით ფორმას იმისთვის, რომ ხაზი გავუსვათ შემდეგ ფაქტს. კვლევის ინტერესი ნაკლებად ეხება დასკვნებს, უფრო მნიშვნელოვანია მისი მოქმედების ფორმა, დაბრკოლებები, რომელსაც ხვდება, პარადოქსები, რომელსაც ჭრის, სფეროები, რომელსაც თავის გზაზე აშუქებს. მაგრამ ამ პირველი მიდგომით დაკმაყოფილება არ შეიძლება. პოლიტიკა მაგნიტს ჰგავს, რომელიც თავის გარშემო მაგნიტურ ველს ქმნის. გარემო, რომელიც მას გარს არტყია არ არის აბსტრაქტული და ნეიტრალური. ამ პოლიტიკური გარემოს აღწერა, ან, როგორც უფრო ხშირად ამბობენ პოლიტიკური სამყაროს აღწერა, მეორე ნაწილის საგანი იქნება.

ნაწილი I. რა არის პოლიტიკა?

13. საკითხის დასმა. — ეს კითხვა, იმის მიხედვით თუ როგორ დაისმება, შეიძლება გულუბრყვილოდაც მოგვეჩვენოს და გადაუჭრელადაც. გულუბრყვილო იმიტომ, რომ საერთო აზრის მიხედვით, ის ისეთ კითხვებს განეკუთვნება, რომლებზეც ამბობენ, რომ „მასზე საკითხი არც კი დგას". მასთან დაკავშირებით ყველას აქვს თავისი პოზიცია, მიუხედავად იმისა ეს აზრი ზედაპირულია, ბუნდოვანი, უფრო განცდილი, ვიდრე გამოხატული. ნებისმიერ ადამიანს რომ შეეკითხოთ რა არის პოლიტიკა, ის გასცემს ან მართებულ ან სადავო პასუხს, მაგრამ აუცილებლად იტყვის რაღაცას. ეს არ არის ისეთი კითხვა, რომელიც თანამოსაუბრეს პირდაღებულს

დატოვებს. თავისთავად ეს საყურადღებო ფაქტია: პოლიტიკა მათთვისაც კი, ვინც მასზე უარს ამბობს, ყოველდღიური ცხოვრების სფეროს განეკუთვნება. ის იმ სამყაროს ნაწილია, რომელშიც ჩვენ ბავშვობიდან ვერთვებით და ეს მიჩვევა ხელს გვიშლის დავინახოთ მისი უჩვეულობა. გამოკვეთო ჩვეულებრივის უჩვეულობა ან მარტივის სირთულე, ნიშნავს განსაზღვრო ის ძალისხმევა, რომელიც დაიხარჯება მოვლენის უფრო ღრმად შესასწავლად.

მართალია კითხვა არ არის უსარგებლო, მაგრამ არის კი ის ამოხსნადი? როდესაც გადავლახავთ სიცხადის პირველ შთაბეჭდილებას და შეეცდებით ერთდროულად მარტივი და ზუსტი განსაზღვრების პოვნას, სერიოზულ პრობლემებს წავაწყდებით. ფენომენი, რომლის აღწერასაც ვცდილობთ მოუხელთებელი ჩანს. პოლიტიკა არ არის რაღაც, ეს არის მრავალსახოვანი და არამდგრადი პრაქტიკა. ეს არის თვისება, რომელსაც სხვადასხვა რამეს მიაწერენ. საუბრობენ „პოლიტიკაზე", ანდა რომელიმე ქმედებას ან რეალობას თვლიან, რომ არის ან არ არის პოლიტიკური. გარდა ამისა პოლიტიკის განსაზღვრა, ისევე როგორც რაიმეს პოლიტიკურობის დადგენა მრავალი დებატის საგანი ხდება, რომელიც თავისთავად... პოლიტიკურია. რეალობა თავის თავს ულრმავდება და უსასრულოდ არკვევს განმასხვავებელ კრიტერიუმებს, რომელთა ჩამოყალიბებას ვერ ახერხებს და რომლებსაც ფორმას უცვლის, ამდიდრებს, ეწინააღმდეგება საკუთარი განვითარებით. შესაძლებელია ამ არამდგრად კომპლექსურობაში საერთო და მუდმივი შტრიხების აღმოჩენა? აბსტრაქციის რა დონის მიღწევაა საჭირო ფენომენის მთლიანობის დასადგენად, თუკი ასეთი არსებობს? და ხომ არ არსებობს მისი ისეთ სიმაღლეზე აყვანის რისკი, რომ ნებისმიერი მისი განსაზღვრება იყოს მართალი და აქედან გამომდინარე, სინამდვილის დასადგენად აღარ წარმოადგენდეს არავითარ პრაქტიკულ ან სხვა რაიმე ინტერესს?

საკითხის გასარკვევად ჯერ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ გაცემული მარტივი პასუხების საერთო მახასიათებელი უფრო არის შეფასებითი მსჯელობა, ვიდრე პრობლემის განმარტება. ადვილია იმის თქმა, რომ პოლიტიკა არის საზოგადოებრივი ინტერესების ერთგულება, იმის სურვილი, რომ სხვების სამსახურს მიეძღვნას ცხოვრება და ა.შ., ასევე ადვილია იმის მტკიცება, რომ ეს არის მაკიაველური, ცბიერებით აღსავსე მოღვაწეობა, რომლის ერთადერთი მამოძრავებელი ძალაც არის შემოსავლის სიყვარული, ამბიცია და ხელისუფლების წყურვილი. ამგვარი პოზიციების გადმოსახედიდან, როგორიც არ უნდა იყოს მათში სიმართლის წილი, ჩვენ ვიგებთ, რომ პოლიტიკა კარგია ან ცუდი, მაგრამ ვერ ვარკვევთ სინამდვილეში რა არის ის. სწორედ ამაშია იმ წინააღმდეგობრიობის ახსნა, რომელსაც ვაწყდებით. თუ კითხვაზე პასუხის გაცემა თავიდან ადვილი ჩანს, ეს იმიტომ, რომ შეფასებითი მსჯელობა არ არის ძნელი, ხოლო „ხალხის" აზრი სწორედ შეფასებითი მსჯელობაა, მკაფიოდ ან შენიღბულად გამოხატული. მაგრამ ასეთი დემარში ისეთივე უნაყოფოა, როგორი ადვილიცაა, რადგან არც საკითხის არსის გარკვევაში გვეხმარება და არც საწინააღმდეგო აზრის მქონე ხალხის გადარწმუნებაში. იგივე შეიძლება ითქვას იმ კარგად ცნობილ ლაპიდარულ ფორმულირებებზე, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ისმის: „პოლიტიკა არის ის, რასაც ხმამაღლა არ ამბობენ" ან „პოლიტიკა ეს არის ხალხისათვის ხელის შეშლის ხელოვნება, ჩაერიოს იმაში, რაც მას ეხება" (ვალერი). შეიძლება ამგვარი შენიშვნები მიზანში ხვდება, მაგრამ ასეთი პოზიცია მხოლოდ მახვილგონივრული ხუმრობაა, დაფუძნებული იმპლიციტურ შეფასებით მსჯელობაზე, რაც არ ნიშნავს პრობლემის ამოწურვას. მართლაც, თუ საკითხში გარკვევა გვინდა, ის უნდა შევისწავლოთ სიღრმისეულად და a priori გამოვრიცხოთ ყოველგვარი შეფასებითი მსჯელობა.

1/ სიტყვა „პოლიტიკის" გარეგნული ანალიზი

14. ანალიზის მთავარი ამოსავალი წერტილია ღაკეირევება სიტყვა „პოლიტიკის" გამოყენებაზე. — რომელი მეთოდი უნდა ავირჩიოთ ამისთვის? სწორ მიმართულებას თვითონ კითხვა გვიჩვენებს: „პოლიტიკა" არის სიტყვა და რაღა თქმა უნდა, ის აღნიშნავს ექსტრალინგვისტურ რეალობებს, თუმცა ისინი გარეშე რეალობებს კი არ წარმოადგენს, არამედ ცნობიერების მდგომარეობას აღნიშნავს. შეიძლება დავუშვათ, რომ თუკი ვიღაც აცხადებს: „ეს საკითხი პოლიტიკურია", მისი გონების მდგომარეობა განსხვავებულია იმისაგან, როდესაც ამტკიცებს: „ეს საკითხი არ არის პოლიტიკური". შეგვიძლია უფრო შორს წავიდეთ და ვამტკიცოთ, რომ სიტყვა გარეშე ფენომენისთვის დამახასიათებელ თვისებას გამოხატავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკის საგანი ატარებს ისეთ რეალურ თვისებებს,

რომელიც მას არაპოლიტიკური ობიექტისგან გამოარჩევს? სწორედ ამაშია პრობლემა. მასზე პასუხის გაცემის სიძნელე გამომდინარეობს იმ a priori აშკარა ფაქტიდან, რომ ექსტრალინგვისტური სინამდვილე, რეფერენტი, აქ ერთდროულად უფრო გააზრებულიც არის და უფრო გაუკონტროლებელიც, ვიდრე იმის თქმისას, რომ „ეს საგანი სპილენძისაა". სიტყვის „პოლიტიკა" გამოყენება, მხოლოდ ფაქტის კონსტატირებას როდი ახდენს. ის ამ ფაქტს ანიჭებს უფრო ფართო გაგებას. სინამდვილეში არ არსებობს ის დამადასტურებელი პროცედურები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვააშკარაოთ მტკიცების ნამდვილობა ან სიყალბე. როგორ დავუმტკიცოთ საპირისპირო აზრში დარწმუნებულ ადამიანს, რომ ფაქტი პოლიტიკურია? ის ყოველთვის გვიპასუხებს, რომ სიტყვის მნიშვნელობა შეცვლილია. არ არის ნათელი, როგორ უნდა გავცდეთ ენას, რომ მივაღწიოთ იმ ექსტრალინგვისტურ რეალობას, რომლის არარსებობასაც ვამტკიცებთ. ამ პირობებში ამაოა, როგორც კონფუცი იტყოდა, „სახელწოდებების დახვეწის" მცდელობა. არა მარტო უსარგებლოა, არამედ ლოგიკურად აბსურდულიც არის სიტყვის „მნიშვნელობიდან" ამოსვლა, იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ მისი ხმარების სისწორეზე. ნაგულისხმევი „მნიშვენლობა" ყოველთვის იქნება მოსაუბრე ადამიანის წინასწარ შექმნილი აზრი. მოქმედება საპირისპირო ბოლოდან უნდა დაიწყოს. ამოსავალი უნდა იყოს სიტყვის გამოყენება იმის წარმოსაჩენად არსებობს თუ არა ამ გამოყენების დროს შიდა კავშირი, იმპლიტიტური რაციონალურობა. სიტყვის „პოლიტიკა" გამოყენების ანალიზი ერთადერთი საშუალებაა თვითნებურობის თავიდან ასაცილებლად. სწორედ იმიტომ, რომ a priori არაფერი მიუთითებს ამ სიტყვის თვითნებურ გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე როგორ განვასხვავოთ სიტყვის სხვადასხვანაირი გამოყენება? პირველი აშკარა განსხვავება ერთმანეთს უპირისპირებს არსებით სახელს „პოლიტიკა" და ზედსართავს „პოლიტიკური". უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კვლევისათვის ეს განსხვავება არ არის არსებითი და მათ გამოყენებას ჩვენ მთლიანობაში აღვიქვამთ. მართლაც, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს განსხვავება მხოლოდ გრამატიკულია: „პოლიტიკურია", რაც „პოლიტიკიდან" გამომდინარეობს და შესაბამისად, „პოლიტიკას" ქმნის ყველაფერი „პოლიტიკური". ხოლო მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რაც ერთმანეთს უპირისპირებს ტერმინის სპეციფიკურ და არასპეციფიკურ გამოყენებას. არასპეციფიკურ ხმარებაში იგულისხმება ისეთი გამოყენება, როდესაც შესაძლებელია „პოლიტიკურის" სინონიმებით ჩანაცვლება, სპეციფიკურია ისეთი გამოყენება, როდესაც შეუძლებელია სიტყვის სხვა სიტყვით შეცვლა. თავდაპირველად, არასპეციფიკური გამოყენება განვიხილოთ.

პირველი ფორმით სიტყვა „პოლიტიკურის" გამოყენებაში სამი ასპექტი გამოიყოფა, აქედან პირველი ორი დესკრიფციული, მესამე ნორმატიული.

15. პირველი არასპეციფიკური გამოყენება: პოლიტიკა = მართვა — სიტყვა „პოლიტიკა" მაშინ არის გამოყენებული მართვის მნიშვნელობით, როდესაც მას საგნის აღმნიშვნელი სიტყვა მოსდევს და მოღვაწეობის სფეროს ეხება: „სატრანსპორტო პოლიტიკა", „საავტომობილო პოლიტიკა", „რძის პოლიტიკა" და ა.შ. ამ შემთხვევებში ამ ტერმინით გამოხატავენ იმ პრობლემების ობიექტურ არსებობას, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ადამიანები ბუნებრივი თუ სოციალური რეალობიდან გამომდინარე. „პოლიტიკას" უწოდებენ ამ სფეროში დასახული მიზნებისა და გამოყენებული საშუალებების ერთობლიობას მის მიერ შეთავაზებული საშუალებებისა და შექმნილი დაბრკოლებების გათვალისწინებით. მაგალითად, „რძის პოლიტიკა" რძის პროდუქციიდან გამომდინარეობს, რომელიც შეიძლება იყოს ჭარბი ან არასაკმარისი. ამ პოლიტიკის აშკარა მიზანი არის არსებული გაუწონასწორობლობის აღმოფხვრა. პირველ შემთხვევაში, როდესაც პროდუქცია ჭარბია, მისაღები ზომები იქნება მეწველი ძროხების ხორცის წარმოებაში გაშვება, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში, საძოვრების გადაფორმება. „სატრანსპორტო პოლიტიკა" გამოიხატება რკინიგზებს, გზატკეცილებს, სანაოსნო გზებს შორის ოპტიმალური წონასწორობის დამყარებაში, რომ რაც შეიძლება რაციონალურად მოხდეს ეკონომიკურ მოთხოვნებთან დაპირისპირება.

„ენერგეტიკის პოლიტიკის" მიზანია რაც შეიძლება იაფად მოხდეს ელექტრო ენერგიით მომარაგება, ფინანსური და პოლიტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით (საზღვარგარეთზე დამოკიდებულება, ბირთვული ენერგიის საწინააღმდეგო მოძრაობა). „პერსონალის პოლიტიკა" მდგომარეობს პერსონალის შერჩევისა და ადმინისტრირების საკითხებში საწარმოს მიერ გაკეთე-

ბულ არჩევანში: გარკვეული „პროფილის" მქონე კანდიდატებისთვის უპირატესობის მინიჭება, ელიტარული თანამშრომლებისთვის ძალიან ძვირის გადახდა ან პირიქით, ხარჯების შემცირების მიზნით დაბალი ხელფასების პრაქტიკის გამოყენება. ყველა ამ მაგალითში, სიტყვა „პოლიტიკა" ინარჩუნებს ძალზედ ნეიტრალურ მნიშვნელობას, იმდენად, რამდენადაც წამოჭრილი პრობლემა ნეიტრალურია თავისი ბუნებით: არავითარი ადამიანური ნება არ ქმნის პრობლემას ცუდი განზრახვით. ამ პრობლემას მთელი კოლექტივი უპირისპირდება და ვალდებულია გადაჭრას ის. ამ შემთხვევაში პოლიტიკა გამოიხატება მართვაში.

აქვე უნდა დავამატოთ ორი მოსაზრება. პირველი მოსაზრება შემდგომში მდგომარეობს: პრაქტიკაში „რისამე პოლიტიკაზე" მაშინ საუბრობენ, თუ საკითხი პრობლემატურია, შეშფოთების საგანია და ჩარევას მოითხოვს. თუკი რძე, ენერგია, საკომუნიკაციო საშუალებები მოთხოვნებს აკმაყოფილებს და მდგომარეობა ნორმალურია, ასეთ შემთხვევაში საკითხი არ დგება მათთან დაკავშირებით რაიმე პოლიტიკის გამოყენებაზე. ეს ნორმალურ ფაქტად ითვლება და ძალისხმევა იმ სფეროებისკენ არის მიმართული, სადაც ამგვარი ჰარმონია არ სუფევს. პოლიტიკა არის გაუწონასწორობლობის ნიშანი (ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი), რაც ამ ცნებას შემაშფოთებელ აურას ანიჭებს. მეორე მოსაზრება პირველის გაგრძელებაა. როდესაც პრობლემა რეალურად წამოიჭრება, უნდა მოხდეს მისი სიღრმის, სერიოზულობის შეფასება და ჩარევის აუცილებლობის განსაზღვრა, რაც აუცილებლად შეიცავს სუბიექტურობის ფაქტორს. იმის შიში, რომ კერძო პირები თავის სასარგებლოდ მოახდენენ პრობლემის მონაცემების შეცვლას, ფარულად, მაგრამ აუცილებლად დგას.

16. მეორე არასპეციფიკური გამოყენება: პოლიტიკა — სტრატეგია. — პოლიტიკის ასეთი მნიშვნელობით გამოყენებისას, წინ არის წამოწეული ამ ცნების სუბიექტური მხარე. პოლიტიკა აღარ არის რაღაცის პოლიტიკა, ის ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის პოლიტიკა ხდება: „ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკა", „ამა თუ იმ საწარმოს პოლიტიკა", „ამა თუ იმ პროფკავშირის პოლიტიკა", „მთავრობის პოლიტიკა". ჩვენ ამგვარად გადავდივართ, როგორც გრამატიკოსები უწოდებენ, ობიექტური გენიტივიდან სუბიექტურ გენიტივზე. სახელის დამატება ხდება მიმართების საგანი. კლემანსოს პოლიტიკა აღნიშნავს იმას, რასაც კლემანსო აკეთებს და არა იმას, რისი ობიექტიც ის არის. მაშინ როცა პირველი არასპეციფიკური გამოყენების შემთხვევაში პირიქით იყო, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ობიექტს ადამიანები წარმოადგენენ („პერსონალის პოლიტიკა"). ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის სუბიექტური ნება. მისი საბოლოო მიზანი შედგება იმ მიზნებისგან, რომელსაც პიროვნება ან პიროვნებები ისახავენ მოქმედების დროს და რომელიც შეიძლება არც კი დაისახონ. საშუალებებად არჩეულია ის, რაც მიაჩნიათ თავისი მიზნებისთვის შესაფერისად და რაც შეიძლება არ იყოს შესაფერისი: აქ გვაქვს ორმაგი დონე გაურკვევლობის, არჩევანის და პოტენციურად უკონტროლობისაც. ამგვარად, საწარმოს შეუძლია აირჩიოს განვითარების ისეთი გზა, რომ ბაზარზე გაზარდოს თავისი წილი, თუმცა ასევე შეუძლია ამჯობინოს განვითარების საშუალო დონე, შეინარჩუნოს მოქნილი სტრუქტურა, რომელიც გაუძლებს გაუთვალისწინებელ კონიუნქტურას და თავიდან აიცილებს დიდ დავალიანებას. პროფკავშირს შეუძლია მოიზიდოს მოსამსახურეები და აწარმოოს მოთხოვნების საშიში კამპანია დაფუძნებული „მძიმე" გაფიცვებზე. მთავრობას შეუძლია დასახოს „გრანდიოზული გეგმები" ან მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე იფიქროს. ასევე შეუძლია დიდი ყურადღება არ დაუთმოს მიმდინარე საქმეებს ან ხელისუფლებაში თავისი დარჩენა შესწიროს ისეთი არაპოპულარული ღონისძიებების განხორციელებას, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს ეროვნული ინტერესებისთვის. ბოლოს, ადამიანი შეიძლება უმიზნებდეს სახარბიელო პოსტს ან იმით დაკმაყოფილდეს, რაც ბედმა უბოძა. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, მიზანი განსაზღვრულია, ადამიანებს შეუძლიათ მეტ-ნაკლებად მოხერხებულად და რაციონალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, რომელიც არათანაბარი და მრავალფეროვანია. საწარმოს შეუძლია დაიკავოს მყუდრო კომერციული „ნიშა", იქონიოს დამაკმაყოფილებელი თვითდაფინანსება, იყოლიოს კომპეტენტური და ერთგული პერსონალი, ან პირიქით. პროფკავშირს შეიძლება ჰყავდეს აქტიური და გამოცდილი მებრძოლები, მოახერხოს მოსამსახურეების მიმხრობა, ან პირიქით. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ტალანტი და საყრდენი, ან არა. მას ასევე შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მისი მორალისთვის მისაღები გზები, ან მიზნის მისაღწევად არაფერზე დაიხიოს უკან. ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით, ამგვარად განსაზღვრული პოლიტიკა შეიძლება ან წარმატებით დაგვირგვინ-

დეს ან მარცხით დამთავრდეს. ყველაფერ ამას — მიზნების განსაზღვრას, საშუალებების არჩევას, არჩევანის გაკეთებას, მარცხს ან წარმატებას — შეიძლება ვუწოდოთ სტრატეგია. თავდაპირველად ამ სიტყვას სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს ის თავისუფლად გამოიყენება სამოქალაქო და მშვიდობიანი მოღვაწეობის აღსაწერად. „პოლიტიკის" ეს მეორე გამოყენება მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. მისი ხმარება შეიძლება „პოლიტიკის" ყოველგვარი მოშველიების გარეშე. საწარმოს, ადამიანის, პროფკავშირის პოლიტიკაზე საუბრისას, სულაც არ იგულისხმება, რომ ისინი ატარებენ პოლიტიკას ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ეს კი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავებული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ამ ერთ სიტყვას სალაპარაკო ენაში.

17. მესამე არასპეციფიკური გამოყენება: „პოლიტიკა", როგორც შეფასებითი მსჯელობა. — მეორე ვარიანტში, როგორც ვნახეთ, შემოვიდა გააზრებული ნების იდეა. მესამე ვარიანტში ობიექტი შეფასებითი მსჯელობის საგანია. აქ გასაკვირი არაფერია: როგორც კი ქმედება ნებაყოფლობითია, ის შეიძლება შეფასდეს როგორც კარგი ან ცუდი. რძის სიუარბე არ არის მორალური ფაქტორი (თუმცა მისი გადაჭრის ფორმა, როგორც უკვე შევნიშნეთ, იწვევს შეფასებებს), მაშინ როცა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მოქმედება მიზნის მისაღწევად ნამდვილად მორალური ფაქტორია. იქ სადაც არის შეფასებითი მსჯელობა, ადგილი აქვს გაორებას, რადგან ის, რაც კარგია ერთი პოზიციიდან, ცუდია მეორე მხრიდან და პირიქით. სულაც არ არის გასაკვირი, რომ სიტყვა „პოლიტიკა" ამ მესამე ვარიანტში შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც კარგი, ისე ცუდი მხრიდან. საოცარი ის არის, რომ დომინირებს უარყოფითი მნიშვნელობა, რომელსაც პირველ რიგში განვიხილავთ.

ასეთი გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, თავისი გლობალური ასპექტით ხასიათდება. ეს აღარ არის ამის თუ იმის პოლიტიკა, არამედ ეს „პოლიტიკაა" აბსოლუტური მნიშვნელობით, გაგებული, როგორც მაკიაველური, საზიზღარი, მოსაუბრისთვის სრულიად უცხო პრაქტიკა. სიტყვა იმისთვის არის გამოყენებული, რომ დააკანონოს ის, რისთვისაც გამოიყენება: „ეს პოლიტიკაა" უარყოფითი გამოთქმაა და არა განსაზღვრება, და როგორც ასეთი, არ არის სადავო. თუ გსურთ, რომ მსჯელობის საკითხს ჩამოაშოროთ ეს კნინობითი შეფასება, არ არის საკმარისი მის მთქმელს აუხსნათ, რომ ზემოხსენებული საკითხი მხოლოდ მართვა ან სტრატეგიაა. საჭიროა მისთვის იმის დამტკიცება, რომ ქმედება სამართლიანია, თუმცა პრაქტიკაში ამას იშვიათად აღწევენ.

ყოველივე ამას რამდენიმე შედეგი მოსდევს. ჯერ ის კნინობითი დატვირთვა აღვნიშნოთ, რომელიც სიტყვას აქვს და რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ხშირად საერთოდ არ იყენებენ, იმის ნაცვლად, რომ მოახდინონ იმ საგნის რეაბილიტაცია, რომელსაც ეხება. აქედან გამომდინარეობს პოლიტიკოსების პარადოქსული, მაგრამ ხშირი ძალისხმევა დაამტკიცონ, რომ კავშირი არ აქვთ პოლიტიკასთან. ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით მივუბრუნდებით და წარმოვაჩენთ თუ რა სტრატეგიები გამოიყენება ამ საოცარი მიზნის მისაღწევად. შემდეგ (და ეს თითქმის იგივეა) ხდება იმ მცდელობების კონსტატირება, რომ გაიფანტოს ტერმინში ნაგულისხმევი ორაზროვნება და მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კარგი და ცუდი პოლიტიკა. ამის შედეგია უცნაური გამოთქმების შემოღება, რომელიც ერთბაშად გვიჩვენებს რაზეა ლაპარაკი (როგორც პოლიტიკაზე). მაგალითად საფრანგეთში ბოლო წლებში გაჩნდა გამოთქმა „პოლიტიკური ინტრიგანობა" („politique politicienne"). პლეონაზმი აქ მხოლოდ ფორმაშია.

თუმცა არსებობს „პოლიტიკის" დადებითი მნიშვნელობით გამოყენების პრაქტიკა, მაგრამ ის გაცილებით იშვიათია და რაც აღსანიშნავია, თითქმის ყოველთვის ზერელე დატვირთვა აქვს. გარკვეულ ნაბიჯებზე ვამბობთ, რომ ეს არ არის პოლიტიკური ან, რომ ეს პოლიტიკურად წინდაუხედავი ნაბიჯია. მაგალითად: „არჩევნების წინა დღეს მთავრობამ გადასახადები 75%-ით გაზარდა; ეს არ არის პოლიტიკური სვლა!" „პოლიტიკა" აქ თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით „მიზანშეწონილი", „დიპლომატიური", „დასახული მიზნების შესაბამისი".

რატომ არის სიტყვის დადებითი მნიშვნელობით გამოყენება თითქმის მეორეხარისხოვანი უარყოფით დატვირთვასთან შედარებით? ეს ორი მიზეზით აიხსნება.

პირველი გულისხმობს არსის განხილვას: პოლიტიკას ცუდი რეპუტაცია აქვს. კონკრეტულ კულტურაში (მაგალითად ჩვენი), კონკრეტულ ეპოქაში (რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ) ის მთლიანად გაუფასურებულია. ეს არსებითი კულტურული ნიშანია თუ ფუჭი კონსენსუსი, რომელსაც არანაირი გავლენა არ აქვს რეალურ პრაქტიკაზე? ეს დელიკატური კითხვებია და მათზე

პასუხის გაცემა ემპირიულ კვლევას მოითხოვს. მეორე შესაძლებელი ახსნა ლინგვისტური ხასიათისაა. ის მტკიცებისა და უარყოფის ასიმეტრიის შესწავლაში მდგომარეობს. „ეს პოლიტიკური აქციაა" სავსებით შეესაბამება გამოთქმას „ეს მიზანშეწონილი მოქმედებაა" ან „ეს მოქმედება პოლიტიკის ნაყოფია?" „ეს მოქმედება არ არის პოლიტიკური" სამაგიეროდ ნიშნავს, რომ „ეს წინდაუხედავი ქმედებაა" და კონტექსტი გამორიცხავს ყოველგვარ ორაზროვნებას. სიტყვა „პოლიტიკურის" დადებითი მნიშვნელობით გამოყენება, როდესაც ის ნიშნავს „წინდახედული", საკმაოდ რთული გამოსაკვეთია.

ამ ლინგვისტური ფაქტის მნიშვნელობა სათანადოდ შეუფასებელი არ უნდა დარჩეს. ამის დასამტკიცებლად უნდა მივუბრუნდეთ არასპეციფიკურ მნიშვნელობას, როდესაც არსებობს ორაზროვნების გაფანტვის საშუალება. რას ნიშნავს გამოთქმა „ძალიან პოლიტიკური გადაწყვეტილება?" ის არ უპირისპირდება გამოთქმას „ძალიან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება", რომელსაც არავითარი აზრი არ აქვს. ის ნიშნავს „ძალიან წინდახედული გადაწყვეტილება."

კითხვა თუ რა არის პოლიტიკა გადაუჭრელი რჩება, იმის გამოკლებით, რომ ჩვენ გავაშუქეთ ზოგიერთი გაუგებრობა და ვაჩვენოთ, რომ სიტყვა „პოლიტიკა" შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, აპოლიტიკური მნიშვნელობით. მაგრამ რა არის პოლიტიკური მნიშვნელობა? ამ საკითხზე პასუხის გასაცემად, რომელიც პრობლემის კვანძია, საჭიროა განვიხილოთ სიტყვა „პოლიტიკის" სპეციფიური გამოყენება.

18. სიტყვა „პოლიტიკის" სპეციფიური გამოყენება. — როგორც უკვე ვნახეთ, არასპეციფიკური გამოყენება ნიშნავს სიტყვა „პოლიტიკის" იოლად ჩანაცვლებას სინონიმით და განვიხილეთ კიდეც რომლებით. სპეციფიკურია ისეთი გამოყენება, როდესაც ეს მეთოდი აღარ გამოდგება და ის ვერ გამოხატავს გამოთქმის მნიშვნელობას. ეს ხდება მაშინ, როდესაც სიტყვა აღებულია თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით, მაგრამ არა კნინობითი დატვირთვით. ეს მაშინაც ხდება, როდესაც სიტყვა გამოიყენება როგორც ზედსართავი სახელი. ამის მაგალითი ჩვენ შეგვხვდა: მნიშვნელობა შეიძლება იყოს პოლიტიკური. საინტერესოა რას ნიშნავს აქ „პოლიტიკური"? სინონიმით ჩანაცვლებით პასუხს ვერ ვიპოვით. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ რას გვაძლევს პოლიტიკურის და არაპოლიტიკურის დაპირისპირება. ამ პერსპექტივაში იკვეთება პირველი დასკვნა: ზედსართავი პოლიტიკური არ შეიძლები გამოყენებული იქნეს ნებისმიერ სიტყვასთან (თუ ეს რაიმე ახირების ან ეფექტის მოხდენის მიზნით არ კეთდება). „პოლიტიკური ძაღლი" ან „პოლიტიკური კარადა" ისეთი გამოთქმებია, რომელიც განსაკუთრებული კონტექსტის ან გარემოებებით გამოწვეული ახსნის გარეშე ყოველგვარ აზრს მოკლებულია. სამაგიეროდ, კონფლიქტი, მოხსენება, ადამიანი, ფილოსოფია, პროცესია, კარიერა შეიძლება იყოს პოლიტიკური, რადგან აქ თვისებითი ზედსართავი ამ რეალობებს მსგავს, მაგრამ არაპოლიტიკურ რეალობებს უპირისპირებს: სოციალური კონფლიქტი, მოხსენება ფასების განაწილებაზე, კერძო პირი, ესთეტიკური ფილოსოფია, საჯარო სამართლის პროცესი, სამხედრო კარიერა. აქ სიტყვა „პოლიტიკური" აღარ არის დესკრიფციული თუ ნორმატიული, ის აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეგატიურად ნათელია: თავიდანვე გასაგებია, რომ „პოლიტიკური ფაქტი" არ არის არც სოციალური, არც ადმინისტრაციული, არც მორალური და ა.შ. მაგრამ განა ყველაფერი იმის ჯამი, რაც არ შეიძლება იყოს რაღაც, საკმარისია ამ რაღაცის დასახასიათებლად? და რომელია, თუკი ასეთი არსებობს, ეს განსაკუთრებული რეალობა, რომელსაც შეიძლება ეკუთვნოდეს კონფლიქტი, მოხსენება, ადამიანი, ფაქტი, ფილოსოფია, პროცესი, კარიერა და არა ძაღლი?

იმისთვის, რომ უცნობი გახდეს ნაცნობი არც თავის არიდება გამოდგება და არც რაიმე სტრატეგია. საჭიროა პრობლემის თავის არსში განხილვა.

მის გადასაჭრელად აუცილებელია უკან მიბრუნება. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკური მოღვაწეები იმ უარყოფითი კონოტაციის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც სიტყვა პოლიტიკა ატარებს, ცდილობენ, მიუხედავად სიაშკარავისა, თავისი მოღვაწეობა წარმოაჩინონ, როგორც არაპოლიტიკური. იმაზე დაკვირვებით თუ ისინი როგორი ცვალებადი წარმატებით აღწევენ ამ მიზანს, ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ a contrario, რა არის პოლიტიკა.

პოლიტიკისთვის პოლიტიკური დატვირთვის მოშორებას თავისი სახელი აქვს: ეს არის ტექნოკრატული იდეოლოგია. ჩვენ არ შევეცდებით ამ რთული და მრავალფორმიანი პრობლემის მთლიანად შესწავლას, არამედ მას განვიხილავთ, იმდენად, რამდენადაც ის მოგვაწვდის ინფორ-

მაციას ჩვენს ასახსნელ საკითხზე. ამასთანავე, იმისთვის, რომ შუქი მოვფინოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, საჭიროა ამ მოვლენის განსაზღვრების მოხაზვა.

2/ ტექნოკრატია, პოლიტიკის უარყოფა

19. ტექნოკრატია. — ტექნოკრატიის განსაზღვრა, სხვათა შორის, ადვილი არ არის და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ ტექნოკრატია არაა მკაფიოდ გამოხატული და ერთიანი დოქტრინა. ის შედგება როგორც პრაქტიკული მოქმედებების ერთობლიობისგან (სახელდობრ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დარგში), ასევე ისეთი იდეებისა და ღირებულებებისგან, რომელიც განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ პროფილს ქმნის. ეს განსხვავებული და ჰეტეროგენული ელემენტები გაფანტულია და მათი სინთეზის მცდელობა გარკვეულ თვითნებობას გულისხმობს.

მეორე, უფრო უცნაური სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ ტექნოკრატებს არ აქვთ არავითარი ტერმინი საკუთარი თავისა და იდეოლოგიის შესაფასებლად, მათ ასე შორიდან უწოდებენ. ოდესმე ვინმეს თუ გაუგია, რომ ადამიანი თავის თავს ტექნოკრატს უწოდებდეს? ეს სიტუაცია განსხვავდება იმ სიტუაციისგან, როდესაც ორატორს შეუძლია ერთი და იგივე ფაქტს მისცეს დადებითი ან უარყოფითი შეფასება (მაგ., როდესაც ადგილი აქვს შეუთანხმებლობას ღირებულებაზე: ის, რასაც ერთნი „სახალხო დემოკრატიას" უწოდებენ, მეორეთათვის „ერთი პარტიის დიქტატურაა"), ანდა შეფასებისას მიმართოს ევფემიზმს ან უხეშობას (როდესაც შეუთანხმებლობაა მნიშვნელობაზე: მაგ., „სტალინიზმი" და „პიროვნების კულტი"). ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ის, რაც ზოგისთვის ერთიანი და უარყოფითი ფაქტების ერთობლიობაა, რასაც ტექნოკრატიას უწოდებენ, სხვებისთვის უმნიშვნელო ფაქტია. აქ არ არსებობს უთანხმოება ღირებულებასა და სერიოზულობაზე. არამედ ეს შეუთანხმებლობა თვით შესაფასებელი ფაქტის არსებობას ეხება. ტექნოკრატი შეგვიძლია ვუწოდოთ ადამიანს, ვისთვისაც ტექნოკრატია არ არსებობს. მაგრამ ფსიქოანალიტიკოსების მიერ გამოგონილი ამგვარი მსჯელობა ჩიხს ქმნის (თუ მე ვაღიარებ X-ს, X დამტკიცებულია, თუ X-ს არ ვაღიარებ, ხდება ჩემი მოტივების ახსნა და შესაბამისად X-ის არსებობა მაინც მტკიცდება), რადგან ეს არის არგუმენტის უდავო გამოცხადება: უნდა დავუშვათ, რომ ვიღაცას აქვს სხვაზე ვერდიქტის გაპროტესტების უფლება. რას ეფუძნება ამგვარი პრეტენზია?

ამასთანავე, შესაძლებელია ამ განურჩეველი და შეუთავსებელი სუბიექტურობის წინააღმდეგობის გადალახვა იმის ჩვენებით, რომ ტექნოკრატიისთვის სახელის დარქმევაზე და მისი, როგორც განსხვავებული რეალობის აღიარებაზე უარის თქმით, უკვე არსებობს პასუხი მათთვის, ვინც მას გარედან აფასებს და მიჯნავს. ამას კი ჩვენი თემის მთავარ ნაწილამდე მივყავართ.

ტექნოკრატიისთვის ყველაზე ამაღლებული სახელის მინიჭება უკვე პოლიტიკაზე დათანხმების ნიშანია. თავის ისე დაჭერა, თითქოს ვერაფერს ხედავდე, საუკეთესო სტრატეგიაა. თუმცა რაღაც მაინც არსებობს, რადგან შეიძლება ამ რაღაცას დაუპირისპირდეს სახელმწიფო საქმეების მართვის სხვა ფორმა, მაგალითად პოლიტიკა.

როგორც ვხედავთ, თუ ტექნოკრატებისთვის ტექნოკრატიას სახელი არა აქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს ზუსტი ადგილი მათეულ სამყაროს ხედვაში, ადგილი, რომელიც ვაკანტური დარჩა პოლიტიკის უარყოფის შემდეგ. ორი მსჯელობის დისიმეტრია კრძალავს „აპოლიტიზმად" ითარგმნოს ტექნოკრატების ენაზე ის, რაც ანტიტექნოკრატიის ენაზე იწოდება „ტექნოკრატად". რადგან იქ, სადაც ტექნოკრატიის მოწინააღმდეგეები ხედავენ თავის ძალებში დარწმუნებულ ადამიანთა ჯგუფს, მიმავალს ზუსტად განსაზღვრული მიზნებისკენ, შეიარაღებულს იდუმალი იდეოლოგიით, რომლებიც ერთიან სტრატეგიას იყენებენ, ტექნოკრატები მხოლოდ ბუნდოვან, წყვეტილ რეალობას ამჩნევენ, რომლის ერთადერთი ერთეული ნეგატიურია: ის არ არის პოლიტიკა. ტექნოკრატიისა და პოლიტიკის ცნებების დაკავშირება გვიჩვენებს, თუ სად იწყება ნამდვილი კამათი.

20. პოლიტიკის სფერო ტექნოკრატების მიხედვით. — რა არის პოლიტიკა ტექნოკრატების აზრით? პოლიტიკა არსებობს და თანაც მეტისმეტადაც. უფრო ზუსტად, ტექნოკრატები ანსხვავებენ: ვიწრო და ზუსტ სფეროში ჩამჯდარი პოლიტიკა კანონიერი ან მეტი რომ არ ითქვას გარდაუვალია. ამის იქით, პოლიტიკა არაკანონიერია. ეს განეკუთვნება ნეგატივის კა-

ტეგორიას, რომელიც ერთდროულად ილუზიაც არის და ბოროტებაც. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, როცა პოლიტიკა არ არის, ის უარყოფილია, როცა არის დაგმობილია.

პოლიტიკის კანონიერი სფერო ეს არჩევანის სფეროა, რომელშიც ყოველთვის შეინიშნება გარკვეული თვითნებობა. თვითნებობა ორი ცნების, გადაუჭრელის და უპირატესობის მინიჭების შერწყმის დროსაც არის. გადაუჭრელია პრობლემა, რომლისთვისაც არც კანონიერად და არც ფაქტობრივად, არ არსებობს პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა შესაძლებელ პასუხებში გაკეთდეს არჩევანი ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობით. როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაურისთვის მიცემული ოპტიმალური ვადა? ამ კითხვაზე არ იციან როგორ გასცენ პასუხი და არც ის არის ცნობილი, თუ რას ნიშნავს ცნება „ოპტიმალური ვადა". ამასთანავე, არჩევანის გაკეთება ხდება ალალბედზე, თუნდაც ეს შემთხვევითობა ნაკარნახევი იყოს კულტურული ადათ-ჩვეულებით (მაგიური რიცხვები, დამრგვალებული რიცხვების ხიბლი) ან რაციონალურობის მარცვალს შეიცავდეს (სამი დღე ძალიან ცოტაა, სამოცი წელი ძალიან ბევრი). თუ გადაუჭრელი პრობლემა ობიექტურობის მარცხს ეფუძნება, უპირატესობის მინიჭება სუბიექტურობის არსებობას ამტკიცებს. ადამიანებს აქვთ საკუთარი აზრის ქონის და მისი გამოხატვის უფლება. ამგვარად, საბოლოო ანალიზით, როგორც ეს ადრე შენიშნა რუსომ, დემოკრატია იმ ფაქტს კი არ ეყრდნობა, რომ ის საუკეთესო მთავრობას შექმნის, არამედ ადამიანთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც მათ ეხება. უპირატესობის მინიჭება, რომელიც შეფასებით მსჯელობას მოიცავს, თავისი ბუნებით გადაუჭრელია. მაგრამ ურთიერთმიმართება არ არის სწორი: გადაუჭრელი პრობლემების სხვადასხვა გადაწყვეტაში ნორმალურ პიროვნებას შეუძლია საერთოდაც არ გააკეთოს არჩევანი.

ეს ორი ცნება, ერთად თუ დამოუკიდებლად, ბევრ სფეროში გამოიყენება. მაგალითად, სოციალური მოწყობის ძირითადი ფორმების არჩევაში: ინდივიდუალიზმი თუ კოლექტივიზმი, ლიბერალიზმი თუ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა (დირიჟიზმი), ინდუსტრიალიზაცია თუ ეკოლოგია. ეს დიდი არჩევანი ვერ გაკეთდება ობიექტურ საფუძვლებზე დაყრდნობით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეუძლებელია განისაზღვროს, განსაკუთრებით წინასწარ, მათი უპირატესობები და ღირებულებები და იმიტომაც, რომ ყველას თავისი საკუთარი აზრი აქვს მისი ფსიქოლოგიითა და პირადი ისტორიით განპირობებული. ასევე, არ არსებობს ობიექტური პროცედურა რესპუბლიკის პრეზიდენტის საუკეთესო კანდიდატის ასარჩევად. ამაში მდგომარეობს გასაოცარი პარადოქსის ახსნა: მენაგვეებს მუნიციპალიტეტში ჩატარებული კონკურსის შედეგად ირჩევენ, ხოლო სახელმწიფოს ყველაზე მაღალი პოსტისთვის არავითარ განსაკუთრებულ კვლიფიკაციას არ ითხოვენ. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია თუ რა პირობები უნდა ჩაიდოს რესპუბლიკის პრეზიდენტობისთვის მოწყობილ კონკურსში, ანდა როგორ უნდა შეირჩეს ჟიური: ეს საკითხი გადაუჭრელია. გარდა ამისა, მოქალაქეებს აქვთ უფლება აირჩიონ მათთვის სასურველი ადამიანი მისი რეალური თუ სავარაუდო შესაძლებლობებისგან დამოუკიდებლად. ამ სფეროში კანონიერად შეიძლება გამოიხატოს სუბიექტური უპირატესობის მინიჭება. აი რა არის ტექნოკრატებისთვის პოლიტიკის სფერო: მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება, რომელიც საფუძველს უყრის საზოგადოების მომავალს და მთავრობის დანიშვნას.

ამგვარად განსაზღვრული სფერო ერთი შეხედვით ძალიან ფართოა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მის ფარგლებს გარეთ მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხები რჩება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რეალურად ტექნოკრატებმა მთავარი პოლიტიკას მიუძღვნეს. მაგრამ ეს ოპტიკური ილუზია იქნება. საზოგადოებების მომავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი არჩევნები პრაქტიკულად ყოველთვის უკვე გაკეთებულია. ადამიანთა შეგნებული ქმედება ამაზე მხოლოდ შეზღუდულად ახდენს გავლენას, იშვიათი კრიზისული მომენტების გამოკლებით. რაც შეეხება მმართველების არჩევას, მისი ნამდვილი მნიშვნელობა განსაზღვრულია დაკავებული პოზიციების მიხედვით ეს ალბათ ადამიანთა იმ მცირე ჯგუფს აინტერესებს, რომელიც საარჩევნო თანამდებობების დასაკავებლად მეტოქეობს. მათთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ დანარჩენი მოქალაქეებისთვის? მათ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება თუ ვინ იქნება რესპუბლიკის პრეზიდენტი, დეპუტატი, მინისტრი, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როდესაც პიროვნება გავლენას ახდენს პოლიტიკაზე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ბატონი დიუპონი ხელისუფლებაში ბატონი დიურანისგან განსხვავებულ პოლიტიკას გაატარებს. ნებისმიერი მოქალაქისთვის ასეთი შედეგი აშკარა დადასტურება იქნება, მაგრამ არა ტექნოკრატებისთვის. მათი აზრით, მნიშვნელოვანი იდეოლოგიური არჩევანის და პიროვნული პრობლემის გამორიცხვის

შემდეგ, წმინდად ტექნიკური მხარე რჩება. კომუნალური მომსახურება, ეკონომიკის მართვა, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება, ენერგომომარაგება, მოკლედ ყველაფერი, რაც ადამიანებისა და საზოგადოებების ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება, ისეთ პრობლემებამდე დადის, რომელიც არც გადაუჭრელია და არც სუბიექტური უპირატესობების სფეროს განეკუთვნება. პირიქით, ეს საკითხები განპირობებულია მისაღწევი მიზნებით და არსებული საშუალებებით, რომელიც ერთდროულად ტექნიკური ხასიათისაცაა (აქვთ ან არა მიზნის მისაღწევი ტექნოლოგია) და ფინანსური (ეს გადაწყვეტილება შეესაბამება ან არა კოლექტივის რესურსებს) ასეთ პირობებში გადაწყვეტილებები აღარ არის არჩევანი, სადაც შეიძლება გამოიხატოს პირადი, a priori იდეოლოგიური პრეფერანსები, ან განსაკუთრებული ინტუიციები. პრობლემის გადაწყვეტა აღარ მდგომარეობს არჩევანის გაკეთებაში ან გადაწყვეტილების მიღებაში. იკვეთება საგანთა ბუნება და პასუხისმგებელი პირები მას მხოლოდ ადასტურებენ და აქედან აუცილებელ დასკვნებს აკეთებენ. აქედან გამომდინარეობს, რომ პიროვნება, იდეები, მმართველთა პრეფერანსები გავლენას ვერ ახდენს სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე, რადგან როგორიც არ უნდა იყოს ისინი, სიცხადის ძალიდან გამომდინარე, ისინი იძულებელი იქნებიან მიიღონ მხოლოდ იგივე გადაწყვეტილებები, რომელიც რეალობის მოთხოვნებს შეესაბამება. კითხვა: ვინ მართავს? რომელზე პასუხის გაცემაც პოლიტიკას გადაელოცა, მხოლოდ ზედაპირულ ინტერესს ატარებს, რადგანაც ყველა ერთნაირად მართავს.

აქედან გამომდინარე, ვიწრო სფეროს გაცილებული პოლიტიკა, სადაც ის ჩაკეტილია. შეიძლება იყოს მხოლოდ უკეთურება ან ილუზია. ილუზია არის მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები პომპეზური რიტორიკის, კეთილშობილი გრძნობების, ხელშეუხებელი პრინციპების საფარქვეშ ნიღბავენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყველა ვარიანტში უნდა იყოს მიღებული. პოლიტიკა, ამბობდა კარდინალი რეცი, „არის ხელოვნება მიიღო პატივი აუცილებლიდან.„ ეს ფორმულა, რომელიც აკონკრეტებს ტექნოკრატების გამოცდილებისგან ძალიან განსხვავებულ გამოცდილებას, უცნაურად თანხვდება ტექნოკრატიულ შეხედულებას პოლიტიკაზე. თანამედროვე ენაზე ეს შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: „პოლიტიკა არის ხელოვნება ხელახლა აარჩევინო თავი იმის გაკეთებით, რასაც შენი მოწინააღმდეგეები გააკეთებენ„ ასეთია ტექნოკრატების აზრი, რომელიც, როგორც ვხედავთ, განსხვავებულია პოლიტიკაზე არსებული პოპულარული შეხედულებისაგან. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ტექნოკრატების დამოკიდებულება ამ შეხედულებასთან ძალიან ორაზროვანია. ხშირად ისინი ეგუებიან მას: ხალხი, რომელიც გულუბრყვილოა და სჯერა, რომ საგანთა ბუნებას ზუსტად ასახავს მათი სახელწოდებები, პოლიტიკაში ადამიანებისა და იდეების დაპირისპირებას ხედავს. ეს ილუზია მისი მორალის შენარჩუნებას ემსახურება. ხალხი დარწმუნებულია, რომ მმართველების არჩევით გავლენას ახდენს მოვლენების განვითარებაზე. მას ჰგონია, რომ პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია და როდესაც მოვლენები ცუდად ვითარდება, ის მოთმინებით იტანს ამ ცუდს ახალ არჩევნებამდე. შესაბამისად, ტექნოკრატები ხშირად ცდილობენ არ გამოიყვანონ ხალხი შეცდომიდან.

პირიქით, მაშინ როცა პოლიტიკა მათი აზრით ხდება ბოროტება, ისინი ძალას არ იშურებენ თავისი შეხედულებების პროპაგანდისა და განმარტებისათვის. ეს მაშინ ხდება, როდესაც აუცილებელი და განსაზღვრული გადაწყვეტა უგულებელყოფილია ისეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ, რომელიც სავალალო, შეუსაბამო და შეუთავსებადია სიტუაციის მოთხოვნებთან. ბოროტება დაურწმუნებლობიდან კი არ წარმოიშობა, არამედ რწმენის უარყოფიდან. ტექნოკრატებისთვის გამოსავალი ცნობილია. მათთვის ის არამარტო საუკეთესო, არამედ ერთადერთია, რომელიც დასახული მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა არსებული საშუალებების გათვალისწინებით. თუმცა მმართველები ირჩევენ სხვა, არაადეკვატურს, იმისთვის, რომ არ დაუპირისპირდნენ საზოგადოებრივ აზრს, რომ დააკმაყოფილონ რომელიმე ზეწოლის ჯგუფი: ტექნოკრატები სწორედ ამგვარად აანალიზებენ სიტუაციას. ამგვარ ქცევას ისინი სამარცხვინოდ მიიჩნევენ და მის დასაგმობად აქვთ სპეციალური სიტყვა: ეს არის პოლიტიკა.

ჩვენ უკვე გვაქვს არსებითი ელემენტები იმ კითხვაზე საპასუხოდ, რომელიც თავიდან დავსვით: რა არის პოლიტიკა? თუმცა ჯერ სხვა გზა გამოვიყენოთ. ჩვენ ვნახეთ როგორ ცდილობენ ტექნოკრატები პოლიტიკის დეპოლიტიზირებას. ახლა გავიგოთ რას მიმართავენ მათი მოწინააღმდეგეები ასეთი სტრატეგიის წინააღმდეგ საბრძოლველად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ ცდილობენ ისინი ტექნიკის პოლიტიზირებას.

21. ტექნოკრატიული მცდელობის მარცხი. — დღეს აშკარად შეიმჩნევა, რომ ტექნოკრატების ავტორიტეტი, რომელიც ასე დიდი იყო სამოციან წლებში, აშკარად შემცირებულია. სამოციან წლებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური წინსვლა აღინიშნებოდა და პოლიტიკური კონფლიქტების ერთგვარი ჩაცხრობაც. ოთხმოციან წლებში ამ ტერმინს ანათემად მიიჩნევდნენ: ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა და რთული ფაქტორებიდან გამომდინარეობს, რომელშიც კონიუნქტურული შემთხვევითობის როლიც შედის. მაგალითად საფრანგეთში, ტექნოკრატიის თემას, გამომდინარე კულტურული მონაცემებიდან, განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა. მაგრამ პოლიტიკური ცვლილებების საკითხმა, მართალია დიდი ხნის დაგვიანებით, თუმცა მაინც წამოჭრილმა 1981 წელს, ძველ „პოლიტიკურ" თემებს, რომლებიც ცოტა არ იყოს შეიეწყებული იყო, ახალი სული შთაბერა. მათ მიერ გამოწვეულმა დაპირისპირებებმა ნაწილობრივ დაჩრდილა ტექნოკრატიის პრობლემატიკა. არანაკლებ საყურადღებოა ის, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში აღინიშნა თემის ხელახალი გააქტიურება: „ბრიუსელის ტექნოკრატიის" დაგმობა ანტიევროპული პოლემიკის მუდმივი არგუმენტი იყო.

ტექნოკრატიის თემის აქტუალობის ცვალებადობის დეტალური შესწავლა ჩვენს თემას სცილდება, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთებას მაინც მოითხოვს იმ მიზეზების გამო, რომლებმაც გამოიწვია ტექნოკრატების მიერ დაცული თეზისების დისკრედიტირება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ განვლილი დროის თვალის გადავლებით დავინახავთ ტექნოკრატიული ეფექტურობის საზღვრების მერყეობას. ეს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში შეინიშნება. განვითარებად ქვეყნებში დასავლეთელმა ტექნოკრატებმა საუკეთესო განზრახვით შეიტანეს თანამედროვე ტექნოლოგიაზე დაფუძნებული განვითარების პროგრამები. მაგრამ ისინი არასაკმარისად ითვალისწინებდნენ ადგილობრივ პირობებს, ჰავას, ნიადაგის ბუნებას, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ ადათ-წესებს, დემოგრაფიულ ფაქტორს, რაც ხშირად ახალი კატასტროფების მიზეზი ხდებოდა: საკვები კულტურების გადაშენების, სოფლების დაცლის, ნიადაგის გამოფიტვის და ა.შ. სასურველი შედეგი კარგად გააზრებულმა ტექნიკურმა ინიციატივებმა ვერ გამოიღო თვით განვითარებულ ქვეყნებშიც. მიწის მეურნეობების გამსხვილებისთვის ჩატარებულმა სამუშაოებმა, რომელიც ტყისზოლიან დაბლობ ადგილებში მიმდინარეობდა და მოსავლიანობის გაზრდას ისახავდა მიზნად სოფლის მეურნეობის ტექნიკის გამოყენებით, მთლიანად შეცვალა ჰიდროგრაფიული სისტემა: ტყეების მოშორებას, რომელიც წყალს აკავებდა, კატასტროფიული შედეგები მოჰყვა. მოქალაქეებმა თანდათან გაიცნობიერეს ტექნოკრატიული ინიციატივების, ცხოვრების წესის შეცვლის, დაბინძურების, ურბანიზაციის უკუშედეგი და იმ განზოგადების ფასი, რომელსაც ეს ინიციატივები ეყრდნობოდა. ეკოლოგიური დოქტრინის გამოჩენა, რომელიც პოლიტიკური ძალა იყო, ამ მარცხის პირდაპირი შედეგია.

ბირთვულ ენერგიასთან დაკავშირებული კამათი ტექნოკრატების სუსტი წერტილიც არის და მათი მოწინააღმდეგეების სტრატეგიაც. ბუნებრივია, შეუძლებელია ამ ნაშრომში აღნიშნული პრობლემის საფუძვლიანი განხილვა, მაგრამ საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ დგას საკითხი უბრალო მოკვდავთათვის, ე.ი. ჩვეულებრივი ამომრჩევლებისთვის. აქ ერთმანეთს ორი პოზიცია უპირისპირდება: ბირთვული ენერგიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ: 1)მომავალ წლებში ბირთვულ ენერგიაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება დღევანდელთან შედარებით; 2) მატერიალური (ეროვნული რესურსების ამოწურვა), ფინანსური (ადგილობრივი ენერგორესურსების არარენტაბელობა), და პოლიტიკური (მომწოდებლისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებლობა) ზეწოლა შეუძლებელს გახდის დღეს არსებულ დონეზე ელექტროენერგიის მოხმარების შენარჩუნებას და აუცილებელი გახდება ბირთვული ელექტროსადგურების გამოყენება; 3) ბირთვული ენერგიის გამომუშავების ტექნოლოგია მაღალ დონეზეა და სავსებით შესაძლებელია მისი უსაფრთხოდ გამოყენება. ბირთვული ენერგიის გამოყენების მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ: 1) ენერგიის მოხმარებაზე გაკეთებული გათვლები გაზვიადებულია და შესაძლებელია ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენება (მზის, ქარის ენერგია და ა.შ.); 2) მატერიალური, ფინანსური და პოლიტიკური ზეწოლის საშიშროება ასევე გაზვიადებულია და შეიძლება არც მიექცეს ყურადღება, რადგან 3) ბირთვული ენერგია უზარმაზარ საფრთხეს უქმნის პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნებას.

როგორი დამოკიდებულება აქვს ჩვეულებრივ მოქალაქეს ამგვარ პოზიციებთან? იგი შეიძლება არც კი დაინტერესდეს და პრობლემის გადაწყვეტა მთავრობას მიანდოს. მაგრამ დავუშვთ

სურს საკუთარი აზრის ქონა ან საჭიროა მიიღოს გადაწყვეტილება — ეს ვარაუდი დასაშვებია თუკი საკითხი რეფერენდუმზე დადგება, როგორც ეს 1978 წელს მოხდა ავსტრიაში. იგი კარგად უნდა გაეცნოს პრობლემის არსს და თავისი მტკიცე პოზიცია ჩამოაყალიბოს ორივე მხარის აზრის გაცნობის შემდეგ. თუმცა არსებობს სამი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუშლის რაციონალური აზრის შექმნას და საკითხის სიღრმისეულად გაცნობას. უპირველეს ყოვლისა, საკითხთან დაკავშირებული მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. ბევრი რამ მოქალაქეებისთვის დამალულია. გარდა ამისა, მათ უმეტესობას არ სურს სერიოზულად ჩაუღრმავდეს პრობლემას, შეიძინოს საკმარისი კომპეტენცია ექსპერტების ნათქვამის გადასამოწმებლად და წინააღმდეგობრივ მტკიცებებს შორის შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად. და ბოლოს, ბევრი საკითხი ობიექტური მიზეზების გამო გადაუწყვეტელია, რადგან მომავალს ეხება და ის განზოგადება, რომელიც მსჯელობის საფუძველია, ერთდროულად უდავოც არის და დაუმტკიცებელიც: როგორი იქნება ამა თუ იმ ტექნიკური გადაწყვეტილების შედეგი ხანგრძლივი დროის შემდეგ? ეს არავინ იცის. აქ მხოლოდ სუბიექტური ვარაუდების შეფასება შეიძლება.

აქედან გამომდინარეობს, რომ მოქალაქეების მიერ გაკეთებული არჩევანი არ არის რეალური სიტუაციის ანალიზის შედეგი, რომელიც თავადაც დამოკიდებულია შემთხვევითობაზე და ანტითეზისზე ან ანალიზების იმ ელემენტებზე, რომლებიც მოქალაქეებმა მოისმინეს და აითვისეს. სწორედ აქ არის ტექნოკრატიის გლობალური წარუმატებლობა და არა a posteriori კონსტატირებულ მარცხში. მისი მოწინააღმდეგეების ამოცანა ბევრად იოლია, ვიდრე ეს a priori ჩანს: როდესაც ტექნოკრატები შეიმუშავებენ პრობლემის გადაწყვეტის გზას, რომელიც მათი აზრით ერთადერთია და გამორიცხავენ არჩევანის ყოველგვარ შესაძლებლობას, სულაც არ არის აუცილებელი მათი შეცდომის რაციონალური დასაბუთება. არა აქვს მნიშვნელობა ისინი მართალნი არიან თუ ცდებიან, საკმარისია ალტერნატიული შესაძლებლობის განხილვის დაწყება. მისი ეფექტურობა შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში დამოკიდებული იყოს მის სისწორეზე. თუ ეს შეიცავს იმას, რისი გაგონებაც მოქალაქეებს სურთ, აღარ არის საჭირო მისი მართებულობა იმისთვის, რომ დაიჯერონ. ამასთანავე, ანტიტექნოკრატები ძირითადად ცდილობენ, კარგად ცნობილი მიზეზების გამო, წარმოადგინონ არგუმენტირებული ანალიზი, რომელიც პუნქტებით პასუხობს მათი მოწინააღმდეგეების მტკიცებებს: ანტიბირთვული გამოსვლა, რომლის შინაარსიც მოვხაზეთ, პასუხობს ამ შეშფოთებას. ტექნოკრატების მოწინააღმდეგეები იყენებენ ტექნოკრატული ანალიზის სუსტ ადგილებს. ის, როგორც ვნახეთ, გადაუმოწმებელია მოკვდავთათვის: დასაბუთებულობის მიუხედავად, ის ვერ უძლებს წინააღმდეგობას. მეორე მხრივ, ყოველთვის შეიძლება ექსპერიმენტებს შორის არსებული წინააღმდეგობრიობის წარმოჩენა ყველა იმ სფეროში, სადაც კეთდება ექსპერტიზა — დაწყებული კრიმინოლოგიით და დამთავრებული დიდ ხელოვანთა ტილოების ნამდვილობის დადგენით. ბოლოს, ტექნიკის გაბედული ნაბიჯები ხალხს იმაში არწმუნებს, რომ ყველაფერი შესაძლებელია. აქედან, ტექნოკრატიული მსჯელობის დონეზე, აქცენტი გადადის მატერიალური ზეწოლიდან (ასეთი გადაწყვეტილება შეუძლებელია) ფინანსურ ზეწოლაზე (ასეთი გადაწყვეტილება შესაძლებელია, მაგრამ ძვირი ეღირება). მატერიალური საკითხიდან ფინანსურზე გადასვლით დგინდება მოქმედების გარკვეული რადიუსი: რამდენიმე გადაწყვეტილებას შორის, რომელიც უფრო ძვირადღირებულია, ის არის უფრო დამაკმაყოფილებელი. ამიტომ საჭიროა არჩევანი მასზე შეჩერდეს, თუნდაც ამას დასჭირდეს შესაბამისი დაფინანსება.

აქედან გამომდინარე, და საჭიროა ამას ხაზი გაესვას, ტექნოკრატიული გადაწყვეტილებები საერთო ეპვის ქვეშ დგას. ჩნდება პრობლემის რაციონალურად ჩამოყალიბების და თითოეულისთვის სწორი გადაწყვეტის მოძებნის საჭიროება, რადგან მარტო ერთი აუცილებლად იწვევს დაპირისპირებას. ამგვარი პოზიცია ქმნის არჩევანის შესაძლებლობას, როგორც პრობლემის დაყენების საკითხში, ასევე მისი გადაჭრის საკითხშიც. ამას ემატება ტექნოკრატიის დაფარული აზრების დაგმობა: მისი მოწინააღმდეგეები ცდილობენ გამოააშკარავონ, რომ ტექნიკის ე.წ. ნეიტრალიტეტი მხოლოდ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ინტერესების რაციონალიზებული შენიღბვაა. საკითხის ეფექტური შემობრუნებით ტექნოკრატიის მოწინააღმდეგეები იმ მსჯელობას იყენებენ მის წინააღმდეგ, რითაც თვითონ ცდილობდნენ პოლიტიკის დაგმობას: ტექნოკრატია ილუზიაა იმდენად, რამდენადაც მას პრეტენზია აქვს მშვიდობიანი, ნეიტრალური, ფსევდორაციონალური ტონით დაფაროს კერძო ინტერესები. ტექნოკრატიული მსჯელობის ჰიპერტროფია ახდენს იმის კომპრომეტირებას, რაც მასშია და რომელიც თავიდან არის სწორი: ადამიანი არ არის ყველაფრის საზომი, სამყარო ობიექტურია და ის განხორციელებული უტოპიები, რომელ-

საც პრეტენზია აქვს შეცვალოს ტექნიკოსები პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მზარეულებით კრახით მთავრდება. ამის გამოცდილება აქვთ ლენინისტურ რუსეთსაც და მაოისტურ ჩინეთსაც. მაგრამ, თუ ტექნოკრატიული მსჯელობით წარმოქმნილ უნდობლობას არ მოსდევს ამგვარი გადაჭარბება იმ ქვეყნებში, სადაც მომწიფებული პოლიტიკური ცნობიერება და განათლების მაღალი პროცენტული მაჩვენებელია, ტექნოკრატებს ისღა რჩებათ უკან დაიხიონ და იმის საპირისპირო რევოლუცია მოახდინონ, რომელიც ადრე სურდათ: უკონტროლობისგან გადარჩენით ტექნიკას არ განუდევნია პოლიტიკა. პირიქით, პოლიტიკის უკანონობა მასზე გადავიდა.

22. პოლიტიკის ცნება უკაეშირდება არჩევანის ცნებას. — ფაქტების ამ ერთობლიობიდან გამომდინარეობს პირველი დასკვნა. პოლიტიკის ჩამოსაშორებლად ან შესაძლებლობის ფარგლებში მისი გავლენის სფეროს შესამცირებლად არჩეული სტრატეგია იმის ჩვენებაში მდგომარეობს, რომ არჩევანი არის შეუძლებელი, მოჩვენებითი ან უკვე განხორციელებული. საპირისპიროდ, იმისათვის, რომ პოლიტიკა ხელახლა შევიდეს იმ სფერში, საიდანაც მისი განდევნა სურდათ, საჭიროა იმ აზრის რეაბილიტაცია, რომ გარკვეულ დონეზე არჩევანი შესაძლებელია. თუმცა (და ეს ნებისმიერი ტექნოკრატიული იდეოლოგიის აქილევსის ქუსლია) იშვიათია ისეთი სიტუაციები, როდესაც ამისი გაკეთება არ შეიძლება. ტექნოკრატები წარმოადგენენ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევების ისეთ ანალიზს, რომელსაც რაციონალური გზით მივყვართ აუცილებელ გადაწყვეტილებამდე. მაგრამ დამტკიცების ლოგიკა აუცილებლად ეყრდნობა ერთ ან რამდენიმე პოსტულატს. მაგალითად, საავტომობილო მოძრაობის ზრდის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა არის გზატკეცილის აშენება, რომელიც გაანადგურებს ბუნებრივ ლანდშაფტს. ეს სავალალო შედეგია, მაგრამ ციფრები და საყრდენი გეგმა გვიჩვენებს, რომ ვერავითარი სხვა გადაწყვეტილება ვერ იძლევა დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მსჯელობა სწორია, დასკვნა აბსოლუტური, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ შემდეგ პოსტულატს დავუშვებთ: საავტომობილო მოძრაობის ზრდა აბსოლუტური, გარდაუვალი მოთხოვნაა, რასაც ნებისმიერი სხვა მოსაზრება უნდა შეეწიროს. თუ ამ პოსტულატზე უარს ვიტყვით ან მას საპირისპიროთი ჩავანაცვლებთ (გარემოს დაცვის, მოსახლეობის სიმშვიდის შენარჩუნების პრიორიტეტი და ა.შ.), მტკიცებულება კარგავს ფასს. და სწორედ სიტყვა პოსტულატის გამოყენებით გვინდა განვმარტოთ აქ, რომ თავისი ბუნებით მოთხოვნა სუბიექტურია და შეფარდებითი. საგანთა ბუნება (დავუშვათ, რომ ამ გამოთქმას აქვს მნიშვნელობა) არ გულისხმობს არსებობის არავითარ ვალდებულებას. ეს (არსებობის ვალდებულება) მხოლოდ სუბიექტის ცნობიერებასთან მიმართებაში იარსებებს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არსებობის აუცილებლობა თავს მოეხვეს ყველა სუბიექტის ცნობიერებას და ამ შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნის შედეგები ყველასათვის სავალდებულო აღმოჩნდება. ამგვარ საფუძველზე შეიძლება ტექნოკრატიული მსჯელობა ყველას დასანახად განვითარდეს და ხაზი გაუსვას გარდაუვალობას. მაგრამ ცხადია, ასეთი სიტუაცია უფრო გამოსაკლისია, ვიდრე წესი და სწორედ ამგვარ ვარაუდში შეიძლება მოხდეს პოლიტიკის სპექტრის (კონფლიქტი, ლოგიკურად გადაუჭრელი კამათი) გაწმენდა.

3/ პოლიტიკის სფერო ცვალებადია

23. არჩევანის ობიექტის განსაზღვრება ცვალებადია. — ტექნოკრატიული იდეოლოგიისა და მის დასამარცხებლად გამოყენებული მეთოდების შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვენახა, რომ პოლიტიკა ისეთი პრობლემატიკაა, რომელიც თავისთავად არ წარმოიქმნება და ვერ გადაიჭრება ისეთი პროცედურით, რომელსაც მოჰყვება ყველას დარწმუნება ამ დასკვნის გამოტანა ჩვენ იმიტომ შევძელით, რომ თანამედროვე ეპოქაში ეს საკითხები ტექნოკრატულმა დებატებმა სავსებით შეგნებულად და რაციონალურად წამოჭრა. ის საკითხები, რომელიც ყველა ეპოქაში პოლიტიკური დებატების საფუძველი იყო, მან ლოგიკურ დიაგრამაზე დაიყვანა. თავისი კატეგორიული ხასიათით მან ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს პოლიტიკის გაქრობა შეუძლებელია, რადგან მათ, ვისაც მისი გაძლიერება აინტერესებს, ძირითადად მძლავრი ბერკეტები აქვთ თავისი შეხედულებების დასამყარებლად. მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვაბრმავოს თანამედროვე კონტექსტმა. თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას დავინახავთ, რომ სხვადასხვა ეპოქაში მართლაც არსებობდა ბევრი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც არც პრობლემატური ჩანდა, ან

თუ შეიძლება ასე ითქვას, არ ჰქონდათ გადაქცეული პრობლემატურად და არც პოლიტიკის კატეგორიაში თავსდებოდა.

მართალაც, ყველა საზოგადოება პრობლემატიკას ერთნაირად არ განსაზღვრავს, რადგან თვითონვე განსხვავდება თავისი საპირისპიროს გამიჯვნით, რაც შეიძლება განვსაზღვროთ ტერმინებით: აუცილებელი და საწინააღმდეგო ბუნება. ეს ცნებები ერთმანეთს არ ფარავს. უცილობელი განისაზღვრება ფაქტის შეუძლებლობით. საპირისპირო ბუნება მოიცავს ბუნებრივის იდეას, რომელიც ადამიანის გონებისთვის დამახასიათებელი პარადოქსით კულტურის ცნებაა. თითოეული საზოგადოება თავის აზრს ქმნის ბუნებრივზე, ე.ი. იმაზე, რაც შეიძლება დაირღვეს ფაქტობრივად, მაგრამ არა კანონით. პირველ შემთხვევაში ვერაფერს გახდები და პოლიტიკური პრობლემატიკა აქით პარალიზებულია.[2] მეორე შემთხვევაში, a priori ხდება ყოველგვარი ჩარევის უკუგდება, რადგან ეს ზიანის მომტანი იქნებოდა. თუ ჩვენ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც ტრადიციის გავლენა დიდია, პრაქტიკული შედეგი იგივეა. ამ ორი ცნების საზღვრები არამყარია. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ადგილს უცვლის შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის გაელებულ სადემარკაციო ხაზს, და ბუნებრივის განსაზღვრა, იქ ნაგულისხმევი აკრძალვებით შეიძლება შეიცვალოს: კოლექტიური შეგნების ენდოგენურ ან ეგზოგენურ შეცვლას შეუძლია ბუნებრივი აქციოს იმად, რაც ადრე ბუნების საწინააღმდეგო იყო.

ავიღოთ მაგალითები. ძალიან ახლო წარსულში გენეტიკური მანიპულაციები შეუძლებელი იყო. აზრიც არ ჰქონდა მათ აკრძალვაზე ან შეზღუდვაზე კამათს. შესაბამისად, პოლიტიკურ ხელისუფლებას არ შეეძლო არც მათი საკითხის განხილვა, არც მათი გავლენის ქვეშ მოქცევა. დღეს, საკითხი ამგვარად არ დგას და ეს პრობლემა პოტენციურად პოლიტიკურ პრობლემად იქცა. თუმცა პოლიტიკური ხელისუფლება არ ჩქარობს მისთვის ყურადღების მიქცევას და სწორედ ეს არის გასაოცარი ფაქტი, იმ ექსპანსიონიზმის გათვალისწინებით, რომელსაც ხშირად მიაწერენ პოლიტიკურ ხელისუფელებას და რომელზე საუბარიც აუცილებელია მომავალში.

მაგრამ ჯერ მეორე ჰიპოთეზა განვიხილოთ — კულტურული აკრძალვებით პოლიტიკური სფეროს შეზღუდვა. ამის მაგალითია აზრი კაცობრიობის არსებობაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაამკვიდრა ქრისტიანობამ. ამ პერსპექტივაში, ყველა ის უბედურება, რომელიც კაცობრიობას ატყდება თავს — შიმშილი, ეპიდემიები, ომები, შემთხვევითი არ არის. ისინი ღვთის ნებაა. კატასტროფები გამოგზავნილია ადამიანების დასასჯელად მათ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო, ხოლო ცოდვილებთან ერთად თუ მართლებიც ისჯებიან, ეს მათი რწმენის გამოსაცდელად ხდება. სასჯელსაც და გამოცდასაც დადებითი ღირებულება აქვს, რადგან ეს ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გამოსწორდნენ და შეუდგნენ გადარჩენის გზას. ამ პირობებში კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლა არათუ უსარგებლო, არამედ ურწმუნოების გამოხატვაც არის, რადგან ეს ღვთის ნების წინააღმდეგ გალაშქრების ტოლფასია. ამგვარ კონტექსტში, არავითარი აზრი არ აქვს ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ აღმოჩენილი მთავრობის დადანაშაულებას უმოქმედებაში. გამოდის, რომ პირიქით, მათ უნდა უსაყვედურონ კიდეც რაიმე ინიციატივის გამოჩენა. მაგალითად, თუ რომელიმე განათლებული დესპოტი მოისურვებს წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად დამბების აღმართვას, იგი გაკიცხვის ღირსია. მეფის რუსეთის ისტორიას ახსოვს ამგვარი დაპირისპირება ქვეყნის მოდერნიზაციის მსურველ მონარქსა და სტაროვერებს შორის. დაპირისპირება ცივილიზაციასა და ანტიკური ადათების პატივისცემას შორის პოლიტიკურ აზრს იძენს. მაგრამ თუ ხელისუფლება არ გამოიჩენს ინიციატივას და საუკუნეების მემკვიდრეობის მართვით დაკმაყოფილდება, კაცობრიობის არსებობის პრობლემა აღარ იქნება პირდაპირი მნიშვნელობით პოლიტიკური პრობლემა.

24. პოლიტიკა და ეკონომიკა: ლიბერალიზმიდან ჩარევის პოლიტიკამდე. — XIX საუკუნეში, ევროპაში ამგვარი განწყობა მხოლოდ მღელვარების პერიოდში არსებობდა. მაგრამ ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიამ, უფრო რაციონალური ფორმით, თუმცა ნაკ-

---

[2] არისტოტელე წერდა: „არავინ იხილავს საკითხებს, რომელთაც არ შეუძლიათ იყვნენ ისეთი, როგორიც არ არიან" (ეთიკა ნიკომაქესთვის, 1139 a 10). ამ იდეას იგი აშუქებს წარსულის გარდაუვალი ხასიათით: „არავის აურჩევია ის, რომ ილიონი განადგურებული ყოფილიყო". არისტოტელე ვერ გაითვალისწინებდა, რომ თანამედროვე ტოტალიტარიზმი მოახერხებდა წარსულის პოლიტიზირებას და თავის ამჟამინდელ ინტერესებს მოარგებდა მას, რომ ვთქვათ ტროაკის არ შეუქმნია წითელი არმია, ან რომ მაო ყოველთვის იყო ერთადერთი და უდავო ლიდერი ჩინეთის კომუნისტური პარტიისა.

ლები მასშტაბებით, მსგავსი ეფექტი მოახდინა. აღარ სწამდათ, რომ ავადმყოფობებთან ბრძოლა სახელმწიფო ჰიგიენის პოლიტიკით უღმერთობა იქნებოდა, მაგრამ დარწმუნებული იყვნენ, რომ არ იყო საჭირო სიღატაკესთან ბრძოლა. მართლაც, წამყვანი დოქტრინა ამტკიცებდა, რომ საბაზრო კანონების თავისუფალი მოქმედება აუცილებლად იწვევდა ეკონომიკურ ოპტიმალურობას უწონასწორობის ავტომატური გამოსწორებით. გარედან ყოველგვარი ჩარევა მხოლოდ მოშლიდა მექანიზმს და ეკონომიკური ფაქტორების სპონტანურობით მიღებულ შედეგზე ნაკლებად სასურველ გლობალურ წონასწორობას დაამყარებდა, რომელიც იმაზე ნაკლებად სასურველი იქნებოდა, ვიდრე ეკონომიკური ფაქტორების სპონტანურობით მიღებული შედეგი. ამ თეორიაში შეუნიღბავად ჩანდა ის მძიმე სოციალური შედეგები, რომელიც აბსოლუტურ ლიბერალიზმს მოჰყვებოდა, „ველურ" ლიბერალიზმს, როგორც დღევანდელ ჟარგონზე უწოდებენ: ეს შედეგები ყველასათვის აშკარა იყო და ძალიან მალე მოხდა მათი მკაცრად დაგმობა. მაგრამ ლიბერალიზმის მომხრეები ამაში ბუნებრივი სიტუაციის აუცილებელ შედეგს ხედავდნენ, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა მხოლოდ კერძო ქველმოქმედებას შეეძლო. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა მხოლოდ დაარღვევდა ეკონომიკური მანქანის მთლიანობას და გააღრმავებდა იმ მძიმე მდგომარეობას, რომლის დამარცხებაც მისი მიზანი იყო. ამ სფეროში სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიცია. „სახელმწიფო ჟანდარმი" — ის უნდა ყოფილიყო მხოლოდ გარეშე აგრესიისაგან დაცვისას და შიდა არეულობების დროს სოციალური წესრიგის შენარჩუნების საკითხებში. ამ კონტექსტში პოლიტიკური სფეროდან გამოცალკევებული, ყოველ შემთხვევაში თეორიის მიხედვით, იყო ეკონომიკური ცხოვრება. ამგვარად, „ეკონომიკური მოვლენები", რომლებთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს უნდა დაეცვა მკაცრი ნეიტრალიტეტი, უპირისპირდებოდა „პოლიტიკურ პრობლემებს", რომელთა გადაჭრაში მონაწილეობის მისაღებად მას სრული თავისუფლება ჰქონდა. ჩვენს ეპოქაში ასეთი დაპირისპირება ძნელად გასაგებია, კონკრეტულად კი საფრანგეთში, სადაც ეკონომიკური მართვა პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი სფეროა. თუმცა XIX საუკუნეში ის ძირითადი იყო და ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ პოლიტიკურია ის, რაც კანონიერად (ანუ ფაქტობრივად და სამართლებრივად) ხდება კამათისა და შეგნებული არჩევანის საგანი. სამაგიეროდ, ყველაფერი ის, რაც მომდინარეობს აუცილებლიდან თუ სპონტანურობიდან, ყველაფერი ის, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარტო მიაბიჯებს, უსხლტება პოლიტიკის სფეროს. თანამედროვე ლიბერალურ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების მიუხედავად შენარჩუნებულია საბაზრო კანონებს დაქვემდებარებული ეკონომიკური სექტორი, ეკონომიკურ-პოლიტიკური განსხვავება მნიშვნელობას ინარჩუნებს. თუ მთლად მისაღები არ არის ერთის მეორესთან გლობალური დაპირისპირება, მართებულია წარმატებულ სექტორებში ეკონომიკურ ფენომენებზე საუბარი, ხოლო მნიშვნელოვანი სექტორის ან საწარმოს დაუძლურება პოლიტიკური პრობლემის არსებობაზე მეტყველებს. პირველ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ ხელისუფლებას ჩარევის მცდელობა აქვს, მას მაშინვე წესრიგისაკენ მოუწოდებენ — არათანაბარი წარმატებით მმართველების იდეოლოგიური ორიენტაციებიდან გამომდინარე. ხოლო, როდესაც საქმეები ცუდად მიდის, პირიქით, მეპატრონე და მოსამსახურეები სახელმწიფოს ჩარევას ითხოვენ. კერძო ინიციატივების მომხრეებისთვის ის, რაც წარმატებით ფუნქციონირებს, არ შედის პოლიტიკის სფეროში.

25. პოლიტიკა და მორალი: თაეშეკაეებიდან კომპეტენციამდე. — ჩვენს მიერ განხილული კონტრასტი, რომელიც XIX და XX საუკუნეების პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ურთიერთობებში არსებობდა, მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი არ შემოიფარგლება. პოლიტიკას და მორალს შორის განსხვავებაში სხვა მაგალითის პოვნაც შეიძლება. აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია საფრანგეთში XX საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკურ პრობლემად იქცა: ერთხმად აღიარეს, რომ ამ ცვლილების მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა დაპირისპირების საფუძველი პოლიტიკური იყო. არა მარტო იმ მიმართებით, რომ პრობლემა იურიდიული მნიშვნელობის იყო და კანონმდებლის ჩარევას მოითხოვდა (პარლამენტარებს აუცილებლად უნდა გამოეხატათ თავიანთი პოზიცია), არამედ უფრო ფართო გაგებითაც, რადგან პრობლემის განხილვა ხდებოდა პოლიტიკური კატეგორიების მიხედვით (მემარჯვენე თუ მემარცხენე, პროგრესის მომხრე თუ კონსერვატორი და ა.შ.). პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ უფლება ჰქონდათ მიეღოთ გადაწყვეტილება ასეთი სახის საკითხზე, ხოლო მოქალაქეები ამ საკითხთან დაკავშირებით თავის პოზიციას გამოხატავდნენ პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცე-

დურების საშუალებით: არჩევნები, პარტიები, ზეწოლის ჯგუფები და ა.შ. საკითხის ამგვარი დასმა XIX საუკუნეში ფართო საზოგადოებისთვის გაუგებარი იქნებოდა. აბორტი მორალური ან რეალური პრობლემა იყო, რაც ნიშნავდა იმას, რომ ის პრინციპში გამორიცხული იყო პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირების თემატიკიდან. მართალია, მმართველები კანონმდებლის რანგში ერეოდნენ მორალურ საკითხებში: მკვლელობა ან ქურდობა არ იყო მხოლოდ ის ცოდვები, რის გამოც ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებოდნენ, ეს ასევე დანაშაული იყო, რომელიც კანონით ისჯებოდა. თუმცა ეს ყველაფერი ძირითადად დამკვიდრებული პრინციპების სანქციონირებისათვის კეთდებოდა და არ ხდებოდა განსახვავებული გადაწყვეტილებების კომპეტენციის მიწერა. დასკვნა შემდეგია: ეს იყო პოლიტიკური ხელისუფლების თავმდაბლობა. პრინციპები კი შემუშავებული იყო არაპოლიტიკური ძალების მიერ (ეკლესია ან „დიდი საერო თვითშეგნება"), რომლებიც უცვლელად ირეკლავდნენ საზოგადოებრივ აზრს. ამას ის ფაქტი ადასტურებდა, რომ რეალური მორალი და საერო მორალი, სხვადასხვა თეორიული საფუძვლების მიუხედავად, ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა. ამ სფეროებში არ არსებობდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების ავტონომია, რადგან, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება ჩარევას იწყებდა, გადაწყვეტილებები თავისი ძირითადი მიმართულებებით და ფორმით უკვე მიღებული იყო.

26. კერძო სფეროდან პოლიტიკურ სფერომდე. — XIX საუკუნეში მსგავსი მდგომარეობა ბევრ სხვა სფეროში იყო. ჯანმრთელობა, „ქალის მდგომარეობა", ოჯახი, პირადი ცხოვრების პატივისცემიდან გამომდინარე, გამორიცხული იყო პოლიტიკური ჩარევის სფეროდან. პოლიტიკურ ხელისუფლებას, ფართო კონსენსუსის საფუძველზე, არ უნდა ემოქმედა ამ ჩაკეტილ სფეროებში პერსონალურ შეგნებებზე. იგივე ხდებოდა რელიგიური მრწამსის საკითხშიც, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ის არ კარგავდა თავის სოციალურ მნიშვნელობას (სახელმწიფო რელიგია) და იკეტებოდა კერძო სფეროში. მეცნიერება, ეს ობიექტური და მიუკერძოებული ცოდნა, პოლიტიკის საპირისპიროდ ითვლებოდა, მით უფრო, რომ მეცნიერული საუკუნე ცდილობდა პასუხი გაეცა კაცობრიობის მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე. ხელოვნების ნიმუშები აღიარებული თავისი ღირებულებების გამო, აპოლიტიკურად მიიჩნეოდა. ფრენსის ჰასკელმა მშვენივრად წარმოაჩინა თუ თავიდან როგორ გამოიყენებოდა პოლიტიკური ენა, როგორც მეტაფორა, ხელოვნების გასაკრიტიკებლად, სანამ თანდათან არ დაიმკვიდრა საკუთარი არსებობა და ლოგიკა, რაც არ მომხდარა გარკვეული წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობების გარეშე. (სამაგიეროდ, ხელოვნება პოლიტიკურია იმ გაგებით, რომ სახელმწიფო ვალდებულია მას ყურადღება მიაქციოს, დაეხმაროს ხელოვანთ და შეინარჩუნოს ფრანგული სკოლის მაღალი დონე: ასეთი კუთხით მთავრობის მოქმედება პოლიტიკური დებატების საკითხია). როგორც ვხედავთ, საუკუნის განმავლობაში გამოიკვეთა ყოველგვარი ისტორიული და სოციალური პირობითობისგან თავისუფალი ხელოვნება: დელაკრუას „თავისუფლება — ხალხის მეგზური" ცხადია უფროა პოლიტიკური შინაარსის მატარებელი, ვიდრე მონეს „დუმფარები". ამ საკითხების სიღრმისეულად განსახილველად, საჭირო იქნებოდა უთვალავი ნიუანსის, დაზუსტების, გამონაკლისის მოშველიება, რომელიც დადგენილ წესს დაადასტურებს ან უარყოფს. სფეროების, ეპოქების, შეხედულებების მიხედვით დახარისხებული პოლიტიკური და არაპოლიტიკური ფაქტების სიები ძალიან განსხვავებული იქნება. ჩვენ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ ჩვენი პერსპექტივისთვის მეორეხარისხოვან ფაქტებს. მთავარი ის არის, რომ XIX საუკუნე ერთხმად ან უმრავლესობით გლობალურად გამორიცხავდა მთელ რიგ საკითხებში პოლიტიკურ ჩარევას.

XX საუკუნეში პირიქით, აღინიშნებოდა პოლიტიკური სფეროს ჰიპერტროფია. უხერხული აღარ იყო სახელმწიფოს ჩარევა ჯანმრთელობის, ოჯახის, სქესებს შორის ურთიერთობების საკითხებში. რაც შეეხება რელიგიურ საკითხებს, საეროობის შესახებ საფრანგეთის დოქტრინა გამორიცხავს ამ ქვეყნებში იმის თქმას, რომ სახელმწიფო რელიგიაში ერევა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებებში პოლიტიკასა და რელიგიას შორის ურთიერთობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

თუ განვიხილავთ არა პოლიტიკურ პრაქტიკას, არამედ იდეოლოგიურ კატეგორიებს, ტენდენცია კიდევ უფრო გასაოცარი გამოჩნდება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, არ არსებობს ადამიანის მოღვაწეობის არც ერთი სექტორი, რომელშიც არ არის პოლიტიკური ინტერპრეტაციის მცდელობა. თითქმის ყველაფერთან დაკავშირებით ისმის კითხვა (დაწყებული

გზატკეცილების საკითხიდან დამთავრებული აბსტრაქტული მხატვრობით) მემარჯვენე მიმართულებაა ეს თუ მემარცხენე. ეს უსაზღვროდ რთული, დელიკატური, არასაიმედო კლასიფიკაციები ხშირად აბსურდამდე დადის (არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი წვრილმანი, რის მიხედვითაც: ბალზაკი მემარცხენეა, მაკიაველი მარქსისტი, საფრანგეთში აბსტრაქტული მხატვრობა პროგრესულია, რუსეთში არა, იმპრესიონისტები კომუნარები არიან — დეგა და ბუნუამალონი ერთად იბრძვიან, სეზანი პროლეტარულ რევოლუციას ამზადებს და ა.შ.). რა თქმა უნდა განზოგადება საჭირო არ არის. სერიოზულმა ისტორიკოსებმა ამ პოლიტიკურ ცდუნებაში ევრისტიკული პრინციპი აღმოაჩინეს, რამაც მათ საშუალება მისცა შეემჩნიათ წარსულის უყურადღებოდ დარჩენილი ასპექტები ან გამოესწორებინათ მრავალი მოვლენის მიკერძოებული ან შერბილებული ინტერპრეტაცია. მაგალითად, ამოტივტივდა ფემინისტური მოძრაობები და თემები, რომელიც ტრადიციულ ისტორიაში უგულებელყოფილი ან საერთოდ წაშლილი იყო. ამ ბევრ სხვა საკითხში არ შეიძლება ზოგადი დასკვნის გაკეთება: საჭიროა სათითაოდ შეფასდეს აზროვნების პროდუქტები. ისღა დაგვრჩენია დავასკვნათ, რომ ყველა ადამიანური ფაქტორის პოლიტიკურ განზომილებამდე დაყვანა ქმნის დამახინჯებულ ხედვას, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლაა საჭირო, რადგან ის მეტისმეტად ამარტივებს რთულ მოვლენებს, ხოლო ანალიზს ლოზუნგით ცვლის. ზედმეტი პოლიტიზირება, რომელმაც თავის აპოგეას 60-იან, 70-იან წლებში მიაღწია, დღეს აქტუალური აღარ არის, მაგრამ თუ XIX საუკუნესთან შედარებით ყიმსჯელებთ, პოლიტიზირება მასობრივ ფაქტად რჩება.

4/ პოლიტიზირების ფენომენი

27. სოციალური მოვლენების პოლიტიზირება. — როგორ მოხდა XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი სიტუაციიდან (შეზღუდული პოლიტიკა) XX საუკუნისათვის დამახასიათებელ სიტუაციაზე გადასვლა (პოლიტიკა ყველგან და ყველაფერში) ახლა ჩვენ საკმარისი ინფორმაცია გვაქვს პოლიტიკაზე იმის გასაგებად, თუ რა არის პოლიტიზირება, ე.ი. მექანიზმი, რომლითაც არაპოლიტიკურად მიჩნეული ფაქტი პოლიტიკურ კატეგორიაში გადადის. არაპოლიტიკური ფაქტი ხასიათდება იმით, რომ ის გადაწყვეტილებები, რომელთა ობიექტიც ის შეიძლება გახდეს, არ წარმოადგენს არჩევანს. საგანთა ბუნება, ან მათზე შექმნილი საზოგადოების აზრი გავლენას ახდენს დასმული საკითხის გადაწყვეტაზე და პირიქით, ფაქტი პოლიტიკურია, როდესაც მასზე რეაგირებისას არსებობს მოქმედების გარკვეული არეალი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება წამოიჭრას საპირისპირო აზრი, განსხვავებული ინტერესები და გამოიწვიოს დაპირისპირება ან პოლიტიკური კონფლიქტი. ფაქტის პოლიტიზირება ნიშნავს იმ აზრის გატარებას, რომ მისი პრობლემა ჯერ არ გადაჭრილა, მაგრამ არსებობს რამდენიმე გადაწყვეტილება, ან შესაძლებელია მდგომარეობა უცვლელი დარჩეს.

ამასთანავე, გაანალიზებისას ირკვევა, რომ პოლიტიკური სივრცის ასე განსაზღვრა მხოლოდ პირველი აპროქსიმაციაა: სწორია, მაგრამ არასრული. XIX საუკუნის პოლიტიკური სფეროდან გამორიცხული ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მაგალითებიდან, ზოგიერთს ვერ განვიხილავთ მხოლოდ არჩევანის არსებობისა და არარსებობის დაპირისპირებით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არჩევანი მორალური თვალსაზრისით, მთავრობამ მიანდო კვალიფიცირებულ ორგანოებს, რომლებიც საზოგადოების განწყობას უფრო განაზოგადებდნენ, ვიდრე მიმართულებას აძლევდნენ. პირადი ცხოვრების დამოუკიდებლობა იმას ნიშნავს, რომ არჩევანს აკეთებენ თვითონ დაინტერესებული პირები. საჭიროა შემდეგი დაზუსტება: პოლიტიკური სფეროდან გამორიცხულია არა მარტო ის ფაქტები, რომლებთან დაკავშირებითაც ვერ განხორციელდა არჩევანი, არამედ ისეთი ფაქტებიც, რომელთა მიმართაც პოლიტიკურ ხელისუფლებას არ გააჩნია კომპეტენცია, ან ეს სფერო მათთვის აკრძალულია, ან თვითონვე ურჩევნია თავი აარიდოს ჩარევას.

28. პოლიტიკური ხელისუფლების ცნება. — ჩაღრმავებული ანალიზი გვავალდებულებს მხედველობაში მივიღოთ სხვა ცნება — *პოლიტიკური ხელისუფლება*. ეს ახალი ცნება რამდენიმე დაზუსტებას მოითხოვს. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ არ ეწინააღმდეგება ადრე გამოკვეთილ აზრს: არჩევანის არსებობა რჩება პოლიტიკის გაგების გასაღებად. მაგრამ აქამდე ჩვენ ამას მისი ობიექტური ასპექტით განვიხილავდით: არის თუ არა შესაძლებელი ამა თუ იმ სიტუაციაში რამდენიმე შესაძლებლობიდან ალტერნატიულის არჩევა, თუ მხოლოდ ერთია გამო-

ყენებადი? არჩევანის იდეას მეორე მხარეც აქვს: იმისთვის, რომ არჩევანი გაკეთდეს, საკმარისი არ არის არჩევანის შესაძლებლობის არსებობა, საჭიროა აგრეთვე ერთი ან რამდენიმე პიროვნება, რომელთაც ამ არჩევანის გაკეთება შეუძლიათ. ახლა უკვე ვიცით, ჯერჯერობით შეიძლება ძალიან თეორიულად, რომელ პიროვნებებზეა ლაპარაკი. მათთან დაკავშირებით ზოგადი ტერმინის ხმარება შეიძლება — „პოლიტიკური ხელისუფლება".

ამ მომენტში ეს ცნება გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის გააშუქებს პოლიტიკის ცნებას. მეორე ნაწილში ჩვენ სპეციალურ თავს მივუძღვნით პოლიტიკური ხელისუფლების შესწავლას. ახლა კი მხოლოდ იმას გავარკვევთ გამოთქმაში „პოლიტიკური ხელისუფლება" სიტყვა „პოლიტიკური" არის თუ არა გამოყენებული იგივე მნიშვნელობით, რომელიც აქვს უკვე განხილულ მაგალითებში.

ასევე, შეგვიძლია უკვე დავასკვნათ, რომ ცნების „პოლიტიკური ხელისუფლება" გამოყენებას აქვს უპირატესობა ორაზროვნების გაფანტვისას. შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველანაირი ხელისუფლება გულისხმობს პოლიტიკას: მშობლების, საწარმოს ხელმძღვანელის, ლიტერატურის ან ესთეტიკური სკოლის დირექტორის ხელისუფლება აპოლიტიკურია ჩვეულებრივი მნიშვნელობით, მაგრამ გულისხმობს პოლიტიკას, რომელსაც ეს თანამდებობის პირები ატარებენ ბავშვების, თანამშრომლების, ხელოვნების მუშაკთა მიმართ, რომლებიც გარკვეულწილად მათ ექვემდებარებიან. მაგრამ „პოლიტიკა", რომელზეც ამ სიტყვის გამოყენებისას მიანიშნებენ სხვა დაზუსტების გარეშე, სპეციფიკური რეალობაა. ჩვენ ვნახეთ, რომ სალაპარაკო ენაში სულაც არ არის წინააღმდეგობრივი საწარმოს ხელმძღვანელის პოლიტიკაზე საუბარი და იმის მტკიცება, რომ იგი არ ატარებს პოლიტიკას. აბსოლუტური მნიშვნელობთ აღებული „პოლიტიკა" არ აღნიშნავს ნებისმიერ პოლიტიკას, არამედ იმ პოლიტიკას აღნიშნავს, რომელსაც პოლიტიკური ხელისუფლება ატარებს. საჭიროა ის არაპოლიტიკურ ხელისუფლებასთან მიმართებაში განისაზღვროს, რომლის გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია, თუმცა გავრცელების არეალი ანალოგიურია.

29. პოლიტიზირება და პოლიტიკური ხელისუფლება. — პოლიტიკური ხელისუფლების ცნების წარმოჩენის აუცილებლობის ასეთი ფორმით ცხადყოფის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ და დავასრულოთ პოლიტიზირების მექანიზმის აღწერა. როგორც ვნახეთ, ეს გულისხმობს ამ მოვლენის შეფასების ფორმის შეცვლას. ის, რაც გარდაუვალი ჩანდა, ხდება არჩევანის საგანი. ბაზრის კანონები ბუნებრივი ჩანდა, მათი სოციალური შედეგები გარდაუვალი. ახლა კი არსებობს მოსაზრება, რომ საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რისთვისაც შეიძლება აუცილებელი გახდეს ეკონომიკური ლიბერალიზმის დოგმების შეწირვა. მაგრამ, ამგვარი ტრანსფორმაცია ცარიელ ადგილზე არ ხდება. ან შეიძლება ის თეორიული დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება დამოკიდებულების შეცვლა იმ ადამიანების მიერ, რომელთაც ხელეწიფებათ ამ ცვლილებებს მოაყოლონ კონკრეტული შედეგები. ეს არის პოლიტიკური ხელისუფლების ჩარევა, რომელიც ბოლომდე მიიყვანს პოლიტიზირების პროცესს. ამასთანავე, ხელისუფლება აფართოებს თავის გავლენას. მაგრამ, ამ უკანასკნელის პოზიციიდან ეს ევოლუცია ორაზროვანია. ერთი მხრივ, ის ზრდის თავის გავლენას საზოგადოებაზე. ამიერიდან, მას შეუძლია ისეთ საქმეებში ჩაერიოს, რომელიც ადრე არ ეხებოდა. ხელისუფლება არ ერეოდა ეკონომიკის სფეროში: ახლა მას შეეძლება კანონიერად მოახდინოს ეკონომიკის განვითარების რეგლამენტირება, აკრძალვა, განსაზღვრა, საკუთარი მოსაზრების თავს მოხვევა. მეორე მხრივ, ის პასუხისმგებლად ჩაითვლება იმ მოვლენებზე, რომელიც ადრე არსებულ სიტუაციაში მისგან დამოუკიდებლად ხდებოდა. ეკონომიკური კრიზისები ვითარდება ციკლური პრინციპით, ობიექტური კანონების შესაბამისად, რომელთაც პოლიტიკური ძალაუფლება ვერ მართავდა. ახლა კი, შეიძლება მას ამაზე პასუხი მოთხოვოს.

რა ზომებს იღებს ის კრიზისის წინააღმდეგ? რატომ არ მოახდინა რეაგირება უფრო ადრე, უფრო ეფექტურად, უფრო ადეკვატურად? რა თქმა უნდა, ყველა იმ სფეროში, რომელზეც ვრცელდება ხელისუფლების გავლენა, მის გამარჯვებებს მისთვის ერთი და იგივე დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ მმართველ წრეებში ყოველთვის არ სურთ თავისი ჩარევის არეალის გაზრდა. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც დამახინჯებულია, აუცილებელი არ არის სოციალური მოვლენების პოლიტიზირება იყოს გამომდინარე ძალაუფლების მოპოვების დაუოკებელი სურვილიდან. მართალია, საბოლოო ჯამში,

სწორედ ის ასრულებს პროცესს, თუკი შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას თანხმდება. მაგრამ ყოველთვის არ იღებს ხელისუფლების გაფართოების სურვილის გამოთქმის ინიციატივას. სინამდვილეში, ყოველნაირი შესაძლებლობა არსებობს.

ხანდახან მმართველები წინ უსწრებენ მოვლენებს და საზოგადოების წინააღმდეგობის მიუხედავად ერევიან. ამისკენ მათ უბიძგებს ძალაუფლების სიყვარული, მატერიალური ინტერესები, ან აზრი, რომ გარკვეული სფეროს მართვა უკეთ შეუძლიათ (რაც საქმეში მართლდება ან მცდარი აღმოჩნდება), ვიდრე ტრადიციული ვალდებულებების შესრულება. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით ხშირია საფრანგეთში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა, ბევრის თვალში, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებისთვის, კეთილშობილური მიზნებით, მიუკერძოებლად და კომპეტენტურად ხდება.

ხანდახან პირიქით, მოთხოვნა ქვევიდან მოდის. სახელმწიფოს ჩარევას ითხოვენ მოქალაქეები ან მათი ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები, პარტიები და ზეწოლის ჯგუფები. ისინი მას სთხოვენ თავის თავზე აიღოს პრობლემის გადაწყვეტა, რადგანაც საკუთარი უძლურების შეგრძნება აქვთ ან უბრალოდ სურთ საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნა. ისეც ხდება, რომ შიდა დაპირისპირების შედეგად გახლეჩილი სოციალური ჯგუფები ამჯობინებენ გარეშე ძალას მოუხმონ, ვიდრე გარისკონ პირადი მოლაპარაკებებით დაპირისპირების გაღრმავება, რაც ბოლოს მოუღებდა მათი საზოგადოების მთლიანობას. ეს მექანიზმი მუშაობს მაგალითად მაშინ, როდესაც მეცნიერული ჯგუფები ნებაყოფლობით ექვემდებარებიან პოლიტიკურ ხელისუფლებას: მათ წევრებს ურჩევნიათ საკვლევი პროგრამები, კრედიტების მინიჭება სახელმწიფომ დაამტკიცოს. ეს მათ ააცილებს არბიტრაჟის ფუნქციას, რომელიც მათ შორის დაპირისპირებას გამოიწვევდა. სხვა მაგალითები შეგვიძლია ეკონომიკური სექტორიდან ავიღოთ, სადაც მეპატრონეები და დაქირავებული მუშაკები სირთულეების შექმნისას საშველად სახელმწიფოს უხმობენ. ყველა ამ მოთხოვნას ხელისუფლება მეტ-ნაკლები ენთუზიაზმით პასუხობს. ხშირად, მათი პირველი რეაქცია თავშეკავებაა: პრობლემები მას საკმარისზე მეტი აქვს, თანაც მშვენივრად იცის, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ, მაშინ როდესაც სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მეტისმეტად გართულებულია იმისთვის, რომ ტრადიციული მეთოდებით გამოსწორდეს. მაგრამ ყოველთვის უარის თქმა არ შეუძლია, როგორც კი თხოვნა პოლიტიკურ ნიადაგზე ჩამოყალიბდება, უარიც უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. საკუთარი ნების წინააღმდეგ ხელისუფლება ისეთი ალტერნატივის წინ დგება, რომელიც ადრე არ არსებობდა. ის ან უნდა ჩაერიოს ან არა, მაშინ როცა ადრე არსებულ სიტუაციაში უარის თქმა თავისთავად ხდებოდა. ჩარევა უდრის იმ რისკზე წასვლას, რაზეც ადრე ვისაუბრეთ. მაგრამ ჩაურევლობას იმათი უკმაყოფილების გამოწვევა მოსდევს, ვინც დახმარებას ითხოვს. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს გზა ეხსნებათ. ოპოზიცია მაშინათვე აიტაცებს თემას, დაგმობს მთავრობის გულგრილობას და წინ შემხვედრ წინადადებას წამოწევს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლების ჩარევა პოლიტიზაციის პროცესს ასრულებს. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი მტკიცება ყველა ნიუანსს უნდა მოიცავდეს. თანაც, შესაბამის სოციალურ სფეროს ხელისუფლების ჩარევა პოლიტიკური მოვლენების კატეგორიაში აქცევს და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ საკითხში ძნელია სიიდან ამოღება. გარდა ამისა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ხელისუფლებისთვის მიმართული თხოვნა უპასუხოდ დარჩეს და მოხდეს statu quo ante-სთან მიბრუნება. მაგრამ, როგორც კი თხოვნის წარმდგენი სოციალური ძალები ძლიერია, მათი ქმედების შედეგად პრობლემა პოლიტიზირებულია. ძალიან ხშირად საკითხი პოლიტიკური ხდება უბრალოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებას მიმართეს თხოვნით, მისი პასუხისგან დამოუკიდებლად. მართული პირები დავის მსაჯულები არიან: საკითხი მმართველების მიერ ძალაუფლების შენარჩუნებას ეხება.

საბოლოოდ, XIX საუკუნიდან, დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიზაციის პროცესის პასუხისმგებლობა გადანაწილებულია. ამაში ხელისუფლებას თავისი წილი აქვს. მაგრამ არ არის ცხადი ეს წილი მოჭარბებულია თუ არა. ამ მექანიზმში საკმაოდ დიდი წელილი მოქალაქეებს მიუძღვით. ეს განსაკუთრებით კარგად ღარიბ ფენებში ჩანს, რომლებსაც, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, აშკარა ინტერესი ჰქონდათ არსებული წყობის შეცვლა მოეთხოვათ. მათი გავლენა მხოლოდ ინსტიტუციური სისტემის დანერგვაში გამომჟღავნდა, რომელშიც მთავარი როლი საყოველთაო არჩევნებმა შეასრულა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ინტენსიურად მთავრობისთვის მოთხოვნების წაყენება. ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზე ჩანს, თუ

როგორი გავლენა მოახდინა ხელისუფლებაზე გაზრდილმა ვალდებულებებმა და როგორ გამოიწვია სოციალური პრობლემების პოლიტიზირება. „მფარველი სახელმწიფო" (l'ETAT- providence), რომლისგანაც მოქალაქეები ბედნიერებას თუ არა, კეთილდღეობას მაინც ელიან, ამგვარი ევოლუციის ნაყოფია. მდიდარი ფენები თვლიან, რომ არსებობას სახელმწიფოს ჩარევის გარეშეც შეძლებენ და ებრძვიან კიდეც მისი გავლენის გაფართოებას, ხოლო ღარიბი ფენები სარგებლისა და გარანტიების მიღების, ქონების გადანაწილების მიღწევის და ა.შ. საშუალებას პოლიტიკაში ხედავენ. რაც უფრო დიდი წონა აქვთ მათ პოლიტიკურ სისტემაში, მით უფრო ფართოა პოლიტიკის გავლენის სფერო.

30. დადგენილი საკითხების რეზიუმე. — ჩვენ ახლა შეგვიძლია მიღებული შედეგები შევაჯამოთ. სპეციფიკური გამოყენების დროს სიტყვა „პოლიტიკა" ყველა იმ ფენომენზე ვრცელდება, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს მოქმედების ალტერნატივა და შესაბამისად არჩევანის შესაძლებელობა. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ის უფლებამოსილი ადამიანები, რომლებიც ამ არჩევანს აკეთებენ (არჩევანი ჩარევასთან დაკავშირებით და არჩევანი ჩარევასა და ჩაურევლობას შორის), იყვნენ პოლიტიკური ძალაუფლების მქონე. ჩვენ ასევე გავარკვიეთ როგორ ეწყობა სიტყვა „პოლიტიკის" არასპეციფიკური მნიშვნელობა სპეციფიკურ მნიშვნელობას. მართვისა და სტრატეგიის ცნებები იმ პირველ პირობას აკმაყოფილებს, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ: საქმეების წარმართვა, არსებული საშუალებების მიზნის მისაღწევად გამოყენება არჩევანს გულისხმობს იმ შეზღუდული და სავარაუდოდ არარეალური შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ტექნოკრატიული იდეოლოგია რეალობას შეესაბამება. სამაგიეროდ, ეს ქმედებები არ აკმაყოფილებს მეორე პირობას. მართვა თუ სტრატეგია ხანდახან პოლიტიკური ძალაუფლების ფაქტორებია, ხანდახან არა. პირველ შემთხვევაში ეს „პოლიტიკა" „პოლიტიკურია," მაშინ როცა მეორე შემთხვევაში პარადოქსს ქმნის ზემოთ ნახსენებ აპოლიტიკური პროფკავშირის პოლიტიკასთან ან საწარმოს აპოლიტიკურ პოლიტიკასთან. პარადოქსი მთლიანად სიტყვაშია: თუ მოხდება სიტყვა „პოლიტიკის" მხოლოდ ერთი მიმართულებით სპეციალიზება, ჩვენ მიერ გამოყენებული მხოლოდ გარეგნულად წინააღმდეგობრივი განმოთქმები, ადგილს დაუთმობს ნაკლებად უცხო ფორმულირებებს. ერთი და იგივე სიტყვის ხმარება სხვადასხვა რეალობის აღსანიშნავად ორაზროვნებას ბადებს, რომელიც მხოლოდ უხერხულობას ქმნის. ამას ის უპირატესობა აქვს, რომ ნათელს ხდის პოლიტიკური მოღვაწეობის იდენტურობის ფაქტს, მიუხედავად იმისა როგორი ადამიანები არიან მასში ჩაბმულნი, თუნდაც პოლიტიკურ ხელისუფლებასა და სხვა ხელისუფლებებს შორის არსებული განსხვავებები აპირისპირებდეს პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ პოლიტიკას და ფართო მნიშვნელობით გამოყენებულ პოლიტიკას. რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ის თანაბრად გამოიყენება როგორც ერთთან, ისე მეორესთან დაკავშირებით, რადგან ორივეში შეინიშნება მაკიაველიზმიც და დიპლომატიაც. შეიძლება გავროსკოთ და წინ წამოვწიოთ ვარაუდი, რომ „პოლიტიკა" ე.ი. ის, რომელსაც ხელისუფლება ატარებს, უფრო არის ყველას განხილვის საგანი, უფრო აშინებს ან იმედს უცრუებს პიროვნებებს და უფრო უწყობს ხელს იმას, რომ a priori ნეიტრალურ სიტყვას კნინობითი ელფერი შეემატოს.

ამ საკითხზე დასკვნის გაკეთებამდე, შესასწავლი რჩება ბოლო საკითხი. როგორც ვნახეთ, პოლიტიკური სფეროს გაფართოება ცვალებადია დროში. ჩვენ მოკლედ გავაანალიზეთ ორი მაგალითი, ერთი პოლიტიკის ატროფიის შესახებ (XIX საუკუნის ლიბერალური საზოგადოება), მეორე პოლიტიკის ჰიპერტროფიაზე (თანამედროვე საზოგადოებები). სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს ისეთი ფაქტები, რომელიც არასდროს არის პოლიტიკური და ფაქტები, რომელიც ყოველთვის პოლიტიკურია? ჩვენ ამით ვისარგებლებთ და კიდევ ერთ სადავო საკითხს შევეხებით, რომელიც პოლიტიკის საზღვრებს ეხება არა ფაქტობრივად, არამედ სამართლებრივად: არსებობს სფეროები, რომელიც უნდა იყოს პოლიტიზირებული და სფეროები, რომელიც არ უნდა იყოს პოლიტიზებული? რა პასუხი შეიძლება გავცეთ ამას?

5/ პოლიტიკური სფეროს ცვლილებების საზღვრები

31. სამი სფერო ყოველთვის პოლიტიკურია: პოლიტიკური რეჟიმი... — საერთო აზრის მიხედვით სამი სფერო ითვლება თავისი ბუნებით პოლიტიკურად და, აქედან გამომდინა-

რე, ყოველთვის პოლიტიკურია. მათ მაშინ ახსენებენ პირველ რიგში, როდესაც უნდა უპასუხონ კითხვას: რა არის პოლიტიკა? ეს სფეროებია პოლიტიკური რეჟიმი, ხელისუფლების მოპოვება და მისი გამოყენება.

პოლიტიკურ რეჟიმში იგულისხმება რომელიმე სოციალური კოლექტივის, ტომის, ერის ან სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობის ფორმა და შესაბამისად, არსებული პოლიტიკური ფორმის შეცვლის საკითხი.

განა აშკარად პოლიტიკური ფაქტი არ არის ის, რომ ხალხი ცხოვრობს მონარქიასა თუ რესპუბლიკაში, დემოკრატიისა თუ დიქტატურის რეჟიმში? სინამდვილეში, აქ საჭიროა განსხვავების გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოწყობის ფორმის თავისთავად არსებობა არ არის პოლიტიკური ფაქტი. ასეთი მტკიცება შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ გაანალიზების შემდეგ ეს აშკარა ხდება. მართლაც, ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოება (შესაძლოა გამოვაკლოთ მათ შორის ყველაზე პრიმიტიული, რომლის შესახებაც არსებული მასალა ძალიან მწირია და აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს) იცნობს პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას. ეს არ არის აღმოჩენა: ადამიანთა ყველა ჯგუფმა უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი და არ უნდა თქვას მასზე უარი თუნდაც საკუთარი არსებობის ფასად, ნებისმიერის სპონტანური ნების სასარგებლოდ. ეს ფუნქცია უნდა შესრულდეს, თუ მხოლოდ არ წარმოვიდგენთ ადამიანთა ისეთ საზოგადოებას, რომელიც ჭიანჭველების ბუდის პრინციპით მუშაობს, სადაც თითოეულს ევალება თავისი მოვალეობის შესრულება, რომელსაც ვერაფრით აარიდებს თავს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ არჩევანი პოლიტიკური მოწყობის ფორმასა (როგორიც არ უნდა იყოს ის) და ნებისმიერი სტრუქტურის არსებობას შორის გამორიცხულია. შესაბამისად, არჩევანის გარეშე პოლიტიკაც არ არის. ანარქისტების კეთილშობილური ოცნებების და უტოპისტი ფილოსოფოსების მაგალითების მოყვანა არაფრის მომცემია. მათ მიერ წარმოქმნილი სიმპათიები ვერ შენიღბავს იმ ფაქტს, რომ ამ თეორიებით შემოთავაზებული ალტერნატივა ძალიან თეორიული რჩება. მათ შეიძლება პიროვნების ცხოვრებას მისცენ მიმართულება. საზოგადოებისთვის ისინი არასდროს ყოფილა ალტერნატივა.

შეიძლება არ არსებობდეს არჩევანი პოლიტიკურ მოწყობასა და პოლიტიკური მოწყობის არარსებობას შორის, სამაგიეროდ შეიძლება დაისვას საკითხი ამ მოწყობის ბუნებაზე. მაგრამ არის კი ეს საკითხი არჩევანი? პასუხი უმეტეს შემთხვევაში უარყოფითია. ადამიანები იბადებიან უკვე არსებულ სამყაროში, უკვე დამკვიდრებულ რეჟიმში და ამ არსებულ რეალობებს ისინი სპონტანურად არ აყენებენ ეჭვქვეშ. სპონტანური დამოკიდებულება ზუსტად საპირისპიროა. პირველი საუკუნის რომაელებმა იცოდნენ, რომ ჰყავდათ იმპერატორი და ეს ბუნებრივად მიაჩნდათ. XVII საუკუნის ფრანგებს სწამდათ, რომ მონარქია ღვთის ნება იყო. მხოლოდ რამდენიმე პიროვნებამ თუ იცოდა, რომ სხვაგან სხვა პოლიტიკური რეჟიმებიც არსებობდა. კიდევ უფრო ცოტანი იყვნენ ისინი, რომლებიც ამ განსხვავებაში ალტერნატივას ხედავდნენ. რაც შეეხება ბრძოლას მის დასამყარებლად, ის უკვე სხვა ისტორიაა. საქმე სხვაგვარად არ არის თანამედროვე საზოგადოებებში, თუმცა ისტორიული და უცხოური რეალობების არცოდნაზე დაფუძნებულ ანტიკურ გულუბრყვილობას ბოლო მოეღო: თუ არ ჩავთვლით კრიზისულ მდგომარეობებს, პოლიტიკური აქტიორების უმრავლესობა თავის მოღვაწეობას მოიაზრებს არსებული რეჟიმის ჩარჩოში. აზრთა თანხვედრით, სიტყვა რეჟიმის ხმარება გამოყენების მიხედვით გაცვეთილია, თუმცა აქვს უპირატესობა უნიათოდ აღნიშნოს უნიათო რეალობა, იმდენად უნიათო, რომ ხსენებითაც კი ეკარგება ელფერი: ნამდვილი თანხვედრა კი იმაში გამოიხატება, რომ არავინ აცნობიერებს მას, რადგან პოლიტიკური რეჟიმის არსებობა ისეთივე ბუნებრივია, როგორც ჰაერში ყანგბადი. ასეთ ვითარებაში, რაც დამახასიათებელია ისტორიული კონიუნქტურის დიდი უმრავლესობისათვის, რეჟიმის საკითხი არ არის პოლიტიკური საკითხი, რადგან არ არის სადავო. მდგომარეობა რომ შეიცვალოს, საჭიროა პრობლემა წამოიჭრას კონკრეტულად, ე.ი. ის ხალხს უნდა აწუხებდეს და არა მარტო მეცნიერ და ერუდიტ უმცირესობას; ამისთვის არც მხოლოდ შესაძლებელი მოდელებია საკმარისი, არამედ უნდა არსებობდეს რეალისტური სცენარი, რომელშიც აღწერილი იქნება ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადასვლის ფორმა. ეს სცენარი შეიძლება მშვიდობიანად განვითარდეს — ხელისუფლებაში მოსვლა შესაძლებელია არჩევნებით და რეჟიმის შეცვლა უმრავლესობის ნებაზე დაყრდნობით, — ან სრულიად საპირისპირო გზით — სახელმწიფო გადატრიალებით. თუმცა ორივე შემთხვევაში

არსებობენ მებრძოლები, რომლებიც მზად არიან საბრძოლველად, სიცოცხლის გასაწირადაც კი, ოღონდ არსებული რეჟიმი დაინგრეს. ასეთ სიტუაციაში, რეალურად დგება რეჟიმის არსებობის საკითხი და რასაკვირველია ის არის პოლიტიკური. როგორც ვხედავთ, a priori წარმოდგენილის საპირისპიროდ, პრობლემა პოლიტიკური ხდება მხოლოდ იშვიათ კრიზისულ შემთხვევაში. ნორმალურ პერიოდში რეჟიმი იმ მონაცემის ნაწილია, რომელიც ზედმეტი დაფიქრების გარეშე ბუნებრივად აღიქმება.

32. ...ხელისუფლების მოპოვება... — სამაგიეროდ, აშკარაა ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ყველგან და ყოველთვის პოლიტიკური მოვლენაა. ეს აზრი არ არის მცდარი. თუმცა, მაინც საჭიროა აქ რამდენიმე იმპლიკაციის და შეზღუდვის დანახვა.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების მოპოვებამ და მთავრობის დანიშვნამ აუცილებელი არ არის ერთმანეთი გადაფაროს, რადგანაც მეორეს (მთავრობის დანიშვნას) ზოგიერთ პოლიტიკურ სისტემაში ავტომატური ხასიათი აქვს. ამის კლასიკური მაგალითია მონარქია, სადაც შეცვლის რეჟიმი წინასწარ არის განსაზღვრული ზუსტი და მკაცრი წესებით. კაპეტინგების მონარქია ამის საუკეთესო მაგალითია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ხანგრძლივობის წყალობით ადგილი ჰქონდა მონარქიის შეცვლის ყველა შესაძლებელ შემთხვევას. პრაგმატულად გადაჭრილმა კრიზისებმა შექმნა პრეცედენტები და შეავსო ჩვეულებითი სამართლის ცარიელი ადგილები. პირველშობილი მამრობითი სქესის უპირატესობას დაემატა ქალების გამეფების გამორიცხვა მამაკაცი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაშიც და ქალების მიერ მამაკაცი მემკვიდრეების განდევნა. გარდა ამისა დამკვიდრდა აზრი, რომ სამეფო გვირგვინი „ატყვევებდა" მეფეს. ამ პრინციპში („საფრანგეთის გვირგვინი არ არის მემკვიდრეობითი ის გარდამავალია") ლეგისტები სამეფოს ერთ-ერთ ძირითად კანონს ხედავდნენ. ასეთ სისტემაში ტახტის მემკვიდრეობის მიღება ობიექტურ ხასიათს ატარებს, რომელიც ყველაზე ვრცელდება: ახალ მეფეზე, რომელიც ვერც უარს იტყვის ტახტზე, ვერც გადადგება, მის ქვეშევრდომებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ სხვა კანდიდატს მიანიჭონ უპირატესობა. ეს ასეა მანამ, სანამ ვინმე კანონს არ გააპროტესტებს, ე.ი. სანამ არ მოხდება რევოლუცია. მეფის არჩევა არ არის პოლიტიკური ფაქტი მანამდე, სანამ ამაში ვინმე არ ჩაერევა პირადი ინიციატივით. სამაგიეროდ, ლუი-ფილიპეს გამეფება პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან ამას იელისის რევოლუცია დასჭირდა.

ამასთანავე, უმაღლესი ხელისუფალის ავტომატური დანიშვნა არ აწესრიგებს ხელისუფლების მოპოვების პრობლემას. სახელმწიფოს მეთაურს როგორი თეორიული ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს და მართვის როგორი უნარიც არ უნდა გააჩნდეს, იგი მარტო მაინც არ მართავს: მას სჭირდება მინისტრები, მრჩეველები, აღმასრულებლები, რომლებიც მის ნებას წარმართავენ, აზუსტებენ, არგებენ სიტუაციას, ან ეწინააღმდეგებიან. რეალურად, ეს ხელისუფლების გუნდია, რომელიც მართავს, ხოლო სახელმწიფოს მეთაურის ნამდვილი გავლენა ამ გუნდის შექმნაში გამოიხატება, ასევე მის შენარჩუნებასა თუ შეცვლაში, ხანდახან მისი უბრალო ნების გამო, ხანდახან ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, თვით ამ ბოლო შემთხვევაშიც კი, ყოველთვის არსებობს არჩევანის გაკეთების ფარგლები. a fortiori, ასეა თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში, სადაც ყველა პოლიტიკური მოვალეობის შესრულება, თვით უპირველესისაც კი, არჩევნების გზით არის გათვალისწინებული. მთავრობის არჩევა არასდროსაა თავიდან ბოლომდე წინასწარ განსაზღვრული, რადგან კანდიდატების რაოდენობა ყოველთვის მეტია თანამდებობის რაოდენობაზე. თვით ელიტარიზმის თეორეტიკოსები მარცხდებიან ამ ბოლო შემცირებების ჩასატარებელი პოლიტიკის შემუშავებისას: თუნდაც შეიცვალოს მათი დასაბუთებული თეზისები, „საუკეთესოებს" შორის არჩევანის გაკეთება მაინც გახდება საჭირო იმაში, რომ იყო არჩეული. მეტოქეობა მათ შორის ვისაც ხელისუფლება აქვს და ვისაც მისი მოპოვება სურს მარადიულია: ყველაზე გავლენიანი დიქტატორიც კი აკვირდება თუ როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს მისი ხელქვეითები მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ვინაიდან ერთ დღეს აუცილებლად დადგება შემცვლელის არჩევის საკითხი. თავის ყველაზე მარტივ გამოხატულებამდე დაყვანილი პოლიტიკა მხოლოდ ეს არის, მაგრამ ვერ მოხერხდება მისთვის ამ ბოლო საყრდენის ჩამოშორება ისე, რომ არ გაუქმდეს თვითონ პოლიტიკური ხელისუფლება. მართლაც, ადამიანური თვალსაზრისით ამგვარი ლიკვიდაცია შეუძლებელია. ამიტომაც ხალხის თვალში პოლიტიკა იოლად დადის მოჭარბებული მადის მქონე ადამიანების გააფორებულ შეჯიბრამდე. ეს იმითაც აიხსნება, რომ პოლიტიკური ქვესისტემა ერთადერთია სოციალური სისტემების ერთობლიობაში, რომელიც მუდმივად

კონფლიქტურ ხასიათს ატარებს. ეს იმიტომ, რომ ის იმ საკითხის გარშემო ყალიბდება, რომელიც ერთდროულად ყოველთვის გადაჭრილია და მუდმივად პრობლემატური.

პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა არის პოლიტიკის შეიძლება ერთადერთი უნივერსალური მახასიათებელი. თუმცა როდესაც ხდება კონკრეტული ისტორიული გარემოებების შესწავლა, რომელიც განსხვავდება იმისგან, რასაც ჩვენ შეჩვეულები ვართ, საჭიროა სიფრთხილე, რათა მსგავსებებმა არ შეგვიყვანოს შეცდომაში. მაგალითად, რომის რესპუბლიკაში პოლიტიკური ბრძოლა ჩვენთვის უკვე ცნობილ სხვადასხვა ფორმას ღებულობდა. იმას, რასაც ჩვენ ვიცნობთ, ან გვგონია, რომ ვიცით, პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონდა, ან თუ ჰქონდა, უმნიშვნელო. თანამედროვენი სპონტანურად ფიქრობენ, რომ პოლიტიკური ბრძოლის ბედი სხვადასხვა მაგისტრატურაში წყდებოდა არჩევნებით: საკონსულოში, საპრეტოროში, და ა.შ. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა. სინამდვილეში, როგორც პოლ ვეიენი წერს: „ამომრჩევლები ხმას იმიტომ კი არ აძლევდნენ, რომ მმართველები აერჩიათ, არამედ იმიტომ, რომ ყოველ წელს ოცდაათამდე პოსტი მიეღოთ და ის სამხედრო, იურიდიული თუ ადმინისტრაციული მოვალეობები შეესრულებინათ, რომელსაც ჩვენ ტექნიკურ მუშაკებს ვავალებთ". ოლიგარქებს მაგისტრატურების ხელში ჩაგდება სურდათ, რადგან ეს მათ მთელი ცხოვრების მანძილზე უზრუნველყოფდა ადგილით სენატში, რასაც მათთვის ღირსება და პირველობა მოჰქონდა. სამაგიეროდ, ამომრჩევლებისთვის სულ ერთი იყო რომელ კანდიდატს აირჩევდნენ, რადგან ეს არ ეხებოდა მართვას. „რაც შეეხება პოლიტიკას, მას სენატი აკონტროლებდა, სადაც კლანური დაპირისპირებების მიუხედავად, გაერთიანებული უმრავლესობა უზრუნველყოფდა ოლიგარქის პირველობას, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე populares სენატორს, რომელთა ხელის აწევა მიმართული იყო იქითკენ, რომ კენჭისყრაზე დაეყენებინათ რევოლუციური კანონები". ასეთ სისტემაში არსებობს პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური ფსონები და საკმაოდ უხეში და სისხლიანი პოლიტიკური დაპირისპირებები. მაგრამ ხელისუფლების კონტროლისთვის ბრძოლა არ იღებს ჩვენთვის ნაცნობ ფორმებს, რადგან ამ ბრძოლის რეალური სახე არ არის იქ, სადაც ვეძებთ სპონტანურად. ეს მაგალითი გარდა იმისა, რომ თავისთავად საინტერესოა, გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური რეალობები ყოველთვის თავისი რეალური შინაარსით უნდა შეფასდეს და არა იმ მეტ-ნაკლებად რეალურ ფორმებში, რომელსაც ისინი მოიცავს. ასე ხდებოდა საბჭოთა კავშირში არჩევნების დროს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის „სახალხო დემოკრატიებში", ან ლათინური ამერიკის ზოგიერთ დიქტატორულ რეჟიმში, სადაც ადგილი არ ჰქონდა არჩევანს და არსებულ პოლიტიკურ წყობაში არაფერი იცვლებოდა. თუმცა არსებობდა გამონაკლისი შემთხვევები: 1984 წლის პოლონეთის არჩევნები პოლიტიზირებული იყო პროფკავშირი „სოლიდარობის" წინააღმდეგობის გამო. ასევე მექსიკის რევოლუცია, რომელიც პორფირიო დიასის უსასრულო ხელახალი არჩევის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას მოჰყვა.

33 ...ხელისუფლების აღსრულება... — უნდა მივიჩნიოთ თუ არა, რომ ხელისუფლების აღსრულება ყველგან და ყოველთვის პოლიტიკური მოვლენაა? A priori შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა იმდენად, რამდენადაც აშკარაა, რომ ხელისუფლების აღსრულება გულისხმობს მის მოპოვებას. თუ სახელმწიფოს მმართველები აკმაყოფილებენ იმ ძალებს, რომელიც დამოკიდებულია მათი ხელისუფლებაში ყოფნა და ეს ძალები, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოადგენდნენ ამომრჩეველთა კორპუსს, კერძო მესაკუთრეებს, ჯარს, საიდუმლო პოლიციას და ა.შ. მაშინ მმართველებს შეუძლიათ თანამდებობის შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპირისპირებულ ჯგუფებს დიდი შანსი აქვთ შეცვალონ ისინი. ხელისუფლების აღსრულება ასეთ შემთხვევაში ყოველთვის პოლიტიკური იქნება, რადგან ის პირდაპირ ზემოქმედებს ხელისუფლებისთვის ბრძოლაზე, რომელიც ყოველთვის პოლიტიკურია.

მოვლენების ამგვარი ანალიზი თავისი პრინციპით მართალია. თუმცა ამასთანაც საჭიროა ნიუანსების გამოყოფა, რამდენადაც მმართველები ცდილობენ და ხშირად წარმატებითაც, განაცალკევონ მათი მოქმედების ობიექტურად და სუბიექტურად პოლიტიკური ასპექტები. პოლიტიკური ხელოვნება ხშირად ხელოვნების საფარქვეშ პოლიტიკის დაფარვაში მდგომარეობს. აქ ტექნოკრატულ პრობლემატიკას ვაწყდებით. ჩვენ წარმოვაჩინეთ ამ იდეოლოგიის გლობალური კრახი. მაგრამ ეს მარცხი სწორედ, რომ გლობალურია. ტექნოკრატებმა ვერ მოახერხეს პოლიტიკის მთლიანად განდევნა და ახლა უკეთ გავიგებთ თუ რატომ. ხელისუფლების ვადაცემის საკითხი, რომელიც მუდამ აქტუალურია, ვირტუალურად თან სდევს ყველაფერ იმას, რაც

ხელისუფლების აღსრულების საკითხს გულისხმობს. აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ ტექნოკრატებს არ ჰქონიათ ნაწილობრივი წარმატება, რომელიც შემდეგში გამოიხატება: სახელმწიფოს მმართველები ახერხებენ მართულები დაარწმუნონ იმაში, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში მათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, შესაბამისი სიტუაციისა და დასახულ მიზნებთან. ეს შეიძლება მართალიც იყოს და მცდარიც. საკითხი, რომლის დეპოლიტიზირებასაც მმართველები ცდილობენ, „ობიექტურად" პოლიტიკურია. რეალურად, შესაძლებელია სხვაგვარად მოქცევა: საკითხი დადგა, თუმცა მთლიანად გადაჭრილი არ არის. სწორედ ამას ამტკიცებენ მათი მოწინააღმდეგები. მაგრამ, თუ საზოგადოებრივი აზრი მმართველების გავლენით შეიქმნა და არ შეტრიალდა ოპოზიციის ძალისხმევით, საკითხი, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებს დაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს, სუბიექტურად დეპოლიტიზირებულია. ამ საკითხში, როგორც ამას მოგვიანებით ვნახავთ, სუბიექტური ფარავს ობიექტურს. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფაქტი „ობიექტურად" პოლიტიკურია, თუკი ყველა მოქალაქე ან მათი დიდი უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს და საკუთარ ქცევას ამ რწმენიდან გამომდინარე განაპირობებს? რას ნიშნავს „ობიექტურად" თუ არა იმას, რომ ის „არის სუბიექტრად გააზრებული პიროვნების მიერ, რომელიც თავს რეალობის ერთადერთი განმსაზღვრელად მიიჩნევს?" პოლიტიკაში არაპოლიტიკურად მიჩნეული ფაქტი ქიმიურ რეაქციაში ინერტული სხეულის ტოლფასია: ის არსებობს, მაგრამ არაფერს ცვლის. მმართველებისთვის არ მოაქვს დიდება იმის მტკიცებას, რომ საკითხის გადაჭრისას მათ ინიციატივა არ გამოუჩენიათ, მაგრამ თუ მათი აზრი მიღებულია, მაშინ მათ ვეღარ უსაყვედურებენ საქმის დასრულების შედეგს. ძირითადად ეს მათთვის საკმარისია. პრობლემის დეპოლიტიზირება ნიშნავს წინააღმდეგობის a priori დაძლევას. მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ მოუწოდებენ მმართველები მუდმივად კონსენსუსისკენ და რატომ ხედავს ოპოზიცია ამაში ყოველთვის მახეს. კონსენსუსი უდრის მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაში ალტერნატივის არარსებობას. ოპოზიციას არ შეუძლია ამ საკითხის გამო მისი გაკრიტიკება, თანაც მანძილი გაკრიტიკებასა და მხარდაჭერას შორის ძალიან მცირეა.

ამასთან ერთად, კონსენსუსისკენ მოწოდება არ არის მმართველებისთვის პანაცეა. რადგან, თუ ამ სტრატეგიის არჩევანი მათ ეკუთვნით, მისი ეფექტურობა უკვე აღარ არის დამოკიდებული მათზე, არც მათ მოწინააღმდეგეებზე. ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადოებრივი აზრის ხშირად რთულ რეაქციებზე, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ძნელია. საბოლოო ჯამში, სწორედ საზოგადოებრივი აზრი განსაზღვრავს ყველა იმ მოქმედების თუ თავშეკავების პოლიტიკურ ხასიათს, რომელსაც ხელისუფლების აღსრულება გულისხმობს. არაფერი იძლევა იმის გარანტიას, რომ საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება რაციონალური და ლოგიკური იქნება. ასევე აზრი არა აქვს მისი ფორმულად ჩამოყალიბების მცდელობას ან მისი ფარული ლოგიკის ძიებას. შესაძლებელია მხოლოდ მისი კონსტატირება და შედეგების შეფასება.

საბოლოო ჯამში, ანალიზი პარადოქსული დასკვნით მთავრდება. ხელისუფლების აღსრულებასა და მოპოვებას შორის არსებულმა მჭიდრო, აშკარა და უცილობელმა კავშირებმა ორივე მოვლენა ერთმანეთზე მთლიანად დამოკიდებული უნდა გახადოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეორის პოლიტიკური ხასიათი ავტომატურად უნდა გადაედოს პირველს. რეალობა უფრო რთულია, რადგან საკმარისია მმართველობის რომელიმე ინიციატივა საზოგადოებრიობამ ჩათვალოს ნორმალურად, გარდაუვლად, არაპრობლემატურად, რომ წაიშალოს მისი პოლიტიკური ხასიათი და მასთან ერთად ყველა ის შედეგი, რომელსაც ეს ცნება მოიცავს. ვინაიდან საზოგადოების მიერ ამგვარი შეფასება უკონტროლობის შეუზღუდავ არეალს მოიცავს, ამ სფეროში შეუძლებელია განზოგადებაც და წინასწარ განჭვრეტაც. შესაძლებელია მხოლოდ მოვლენების განვითარებაზე დაკვირვება.

უფრო ზოგადად, იკვეთება აზრი, რომ ყოველთვის და ყველგან პოლიტიკური მხოლოდ მმართველების არჩევაა, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისს (რომელიც ყოველთვის ნაწილობრივია) მონარქის დანიშვნის წინასწარ განსაზღვრული შეცვლის წესით. რეჟიმის საკითხი პოლიტიკურია მხოლოდ კრიზისის იშვიათ მომენტებში. ბოლოს, ხელისუფლების აღსრულება, თუ ზოგადად პოლიტიკურია, ხანდახან უსხლტება ამგვარ ხასიათს ჩვენს მიერ აღწერილი პროცესის მიხედვით. პოლიტიკური სფეროს სურათი, გამომდინარე ამ მოსაზრებიდან, უფრო რთული და ნიუანსებით სავსეა ამ საკითხებში, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე წარმოდგენილი. მაგრამ მისი დადებითი

მხარე ის არის, რომ საშუალებას გვაძლევს იმაზე უკეთ გავიგოთ რეალობა, ვიდრე ამას ის შემაჯამებელი და დოგმატური აღწერები გვთავაზობს, რომელიც ხშირად ანალიზის ნაცვლად კეთდება.

34. არსებობს პოლიტიკური სფეროს გაფართოების უაქტობრივი ზღვრები? — ახლა პრობლემას მეორე მხრიდან შევხედოთ. არსებობს ფაქტები, რომელიც ყველგან და ყოველთვის გამორიცხულია პოლიტიკური სფეროდან? არც ამაზეა მარტივი პასუხის გაცემა. მართლაც, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მაგალითები იმ მოვლენებისა, რომელიც რაციონალურობიდან გამომდინარე მთლიანად უსხლტება ადამიანთა კონტროლის სფეროს და შედეგად, არასდროს გამოიწვევს მმართველების პასუხისმგებლობის საკითხს. ამ მოვლენებში შედის კლიმატური პირობები, ნიადაგის ნაყოფიერება, ბუნებრივი კატასტროფები. თუმცა „თანამედროვე რაციონალურობაზე" საუბარი დამატებით შენიშვნას გულისხმობს, რომელიც მნიშვნელოვანი და აუცილებელია. გამომდინარე იქედან, რომ „პრიმიტიულ საზოგადოებაში" ძალაუფლებას მიიჩნევენ ბუნებრივი და სოციალური მოვლენების ერთობლიობად, განსხვავებული მიდგომების ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით მოკლედ მას ვუწოდოთ მაგიური[3]. ამ პერსპექტივაში არაფერი უშლის ხელს იმ აზრის გავრცელებას, რომ ბუნებრივი კატასტროფები საზოგადოებაში მიმდინარე არეულობების შედეგია. ეს თემა ფართოდ არის გაშუქებული ეთნოლოგების მიერ. კარგი მეფე უხვმოსავლიანობის და პირუტყვის სიმრავლის გარანტი იყო. მაგალითად, ჰომეროსის ეპოქის ბერძნები ამ აზრს იზიარებდნენ, რასაც „ოდისეადან" აღებული ნაწყვეტიც გვიჩვენებს: „როდესაც მეფეს ღმერთების ეშინია და იგი სამართლიანია, მიწა უხვად გვაძლევს ხორბალსა და ქერს. ხეხილიც კარგად ისხამს და პირუტყვიც მრავლდება, ხოლო ზღვა თევზით არის სავსე. ხალხი კი ამ დროს ბედნიერია". ასეთ პირობებში საკვებით ლოგიკური იყო ცუდი მოსავლის ან ბუნებრივი კატასტროფების დროს მეფის გადაყენება ან სულაც მოკვლა. აზრი ძალაუფლებასა და ადამიანთა კეთილდღეობას შორის მაგიურ კავშირზე არა მარტო პრიმიტიულ საზოგადოებებში იყო დიდხანს ფესვგამდგარი. ფილონ ალექსანდრიელი განმარტავს, რომ კალიგულას ავადმყოფობის დროს ყველა ავად იყო, ეშინოდათ ანარქიის და მისგან გამომდინარე ყველა უბედურების. კატასტროფებისა და სასოწარკვეთილების ერთადერთი წამალი იმპერატორის გამოჯანმრთელება იყო. ამიტომაც ჰეროდიანემ სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაწერა შემდეგი ფრაზა: „რადგან რომს გაუთავებლად თავს ატყდებოდა ახალ-ახალი უბედურებები, ხალხი აღარ თანაუგრძნობდა კომოდიუსს". მეფეებს შეეძლოთ შუამავლებიც ყოფილიყვნენ: III საუკუნიდან მოყოლებული ითვლებოდა, რომ რომის იმპერატორებს თავისი ღვთისმოსაობით შეეძლოთ მიეღწიათ უხვმოსავლიანობისთვის და ზღვების დაწყნარებისთვის. ეს სამეფო ვალდებულება (რომელიც მთელი თეოლოგიის შემცველია) უპირისპირდება შორსმჭვრეტელური პოლიტიკით ადამიანთა ქმედების ორგანიზებისა და სტიმულირების უბრალო უნარს. ცნობილია აგრეთვე ფრანგი მეფეების უნარი ხელის დადებით განეკურნათ საყმაწვილო ავადმყოფობები.

მართალი რომ ითქვას, არის კი სწორი ასეთი პარალელის გავლება ამგვარ რწმენებსა და იმას შორის, რასაც ჩვენ „პოლიტიკას" ვუწოდებთ? აქვთ მათ საერთო მნიშვნელი? ხომ არ არის მცდარი შეხედულება პოლიტიკის არსზე, როგორც ადამიანების მართვაზე, იმის შესაძლებლობა, რომ დავაკავშიროთ ძალიან შორეული ფაქტები საერთო პრობლემატიკაში დასარჩენად? ალბათ საჭიროა თითოეული შემთხვევის გადამოწმება იმაში დასარწმუნებლად, მართლა ჰქონდა თუ არა „მეფეს" ეს უნარები, რომელსაც ამ იდეას ვუკავშირებთ: ასეთი კვლევა ხშირად შეუძლებელია ჩვენი მასალების სიმწირის გამო, თუმცა ის მაინც ჩასატარებელია. მაგრამ ეთნოლოგიის სფეროში ამგვარ გადასვლას ერთი დადებითი მხარე აქვს. ის გვახსენებს, რომ პოლიტიკური სფეროს საზღვრების დადგენა მენტალური განსჯის შედეგია. ამაოა იმედი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოხდება საზღვრების გავლება ფსევდო-უტყუარობის დახმარებით, რაც ისევ და ისევ ჩვენი წინასწარ შექმნილი ცრუ აზრის გამოხატვა იქნება.

თუ ახლა გვერდზე გადავდებთ არქაულ აზროვნებას და სამყაროს ჩვენი რაციონალური კონცეფციიდან გამომდინარე გადავავლებთ თვალს, აშკარაა, რომ ის მოვლენები, რომელიც ადამიანების ჩარევას არ ექვემდებარება, ასევე არ შედის პოლიტიკის სფეროში. თავისთავად ბუნებ-

---

[3] უნდა აღინიშნოს, რომ მაგიას აქვს თავისი რაციონალურობა. მასში არაფერია არალოგიკური და აბსურდული, თუმცა მისი ლოგიკა არ ემთხვევა ჩვენსას. ჯადოქარს უამრავი მაგალითის მოყვანა შეუძლია თავისი ჩარევის ეფექტურობის დასამტკიცებლად. წარუმატებლობის შემთხვევაში იგი თავის მარცხსაც ასაბუთებს, ისევე როგორც ჩვენი მეცნიერები და ტექნიკოსები.

რიეი კატაკლიზმი, ცუდი მოსავალი, წვიმიანი ზაფხული არ არის პოლიტიკური მოვლენა: ისინი მმართველების სურვილით არ მომხდარა და ამაზე პასუხისმგებლობა მათ არ ეკისრებათ. ამგვარი გამორიცხვა დადგენილი ნორმა არ არის და ამის დასადგენად საჭირო არ არის მაგიურ აზროვნებასთან მიბრუნება. მართლაც, თუ მოვლენა ნეიტრალურია, ყველაფერი ის, რაც მას თან ახლავს და რაც ადამიანის ჩარევას მოითხოვს, შეიძლება პოლიტიკური განხილვის საგანი გახდეს. სახელმწიფო ორგანოებმა მიიღეს ყველა საჭირო ზომა კატასტროფის დროს? კარგად იყო ორგანიზებული სამაშველო სამუშაოები? დაზარალებულებს შესაბამისად აუნაზღაურდათ ზარალი? ყველაფერი გაკეთდა შესაძლებლობის ფარგლებში მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად? ეს უაღრესად პოლიტიკური კითხვებია და მათ დასმას ვერ აიცილებენ მმართველები. გარდა ამისა, ეს მეტად დელიკატური კითხვებია, რადგან ასეთ სიტუაციებში ყოველთვის შეიძლება იმის მტკიცება, რომ შესაძლებელი იყო უფრო ეფექტურად მოქმედება. მმართველებს ეშინიათ ამგვარი მოვლენების, თუმცა ისინი ერთადერთია, რაშიც მათ a priori არ მიუძღვით ბრალი. სიმპტომურია, რომ ამ მიმართებით ავტორიტარული რეჟიმები ცდილობენ დაფარონ, რამდენადაც შესაძლებელია, ბუნებრივი კატასტროფები და მათ მიერ მიყენებული ზარალი. ჩვენს საზოგადოებებში კლიმატური მოვლენა, მაგალითად, განსაკუთრებულად ძლიერი გვალვა არ ექვემდებარება მთავრობის მხრიდან ჩარევას. არც მისი პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ფერმერებს შეუძლიათ მოითხოვონ სწრაფი დახმარება, ზარალის ანაზღაურება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მმართველების პასუხი პოლიტიკური იქნება და ის დააკმაყოფილებს ან არ დააკმაყოფილებს ფერმერებს და რიკოშეტით სხვა სოციალურ კატეგორიებს. მმართველებს ვერ დაადანაშაულებენ იმაში, რომ არ იწვიმა, სამაგიეროდ მოსთხოვენ გვალვით გამოწვეული შედეგების გამოსწორებას. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს შეუძლებელია პოლიტიზირების მექანიზმის საზღვრების დადგენა. ყველა მოვლენა, ადამიანის ნებისგან ყველაზე დამოუკიდებელიც კი, შესაძლებელია განხილული იქნეს პოლიტიკური თვალსაზრისით და გამართლებული იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაყენება.

35. არსებობს პოლიტიკური სფეროს გაფართოების კანონიერი საზღვრები? — ეს მეორე კითხვა ლოგიკურად განსხვავდება პირველისგან. ის ჩვენ მიერ გაკეთებული კონსტატაციიდან წარმოიშვა: თანამედროვე საზოგადოებებში პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ჩარევის არეალი. და ეს მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეების გარეშე არ ხდება, რაც სამ პუნქტად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ.

პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული მიზეზების ანალიზიდან გამომდინარე პოლიტიკა გულისხმობს კონფლიქტს: შეიძლება მოხდეს ისე, რომ მხოლოდ ერთი რამ იყოს გასაკეთებელი, მაგრამ არ შეიძლება ისე მოხდეს, რომ იმის გასაკეთებლად მხოლოდ ერთი ადამიანი იყოს საჭირო. რომელიმე სფეროს პოლიტიზირება იქ არსებული კონფლიქტების გამწვავების ან ახალი დაპირისპირებების წარმოქმნის ტოლფასია. საქმე, რომელიც პოლიტიკური ხდება უფრო რთული გადასაწყვეტია, რადგან უბრალო ინტერესებს ემატება პოლიტიკური მეტოქეობა, რომელიც ან ყოვლისმომცველია ან დანაწევრებულია. პოლიტიკოსები, პარტიები, მთავრობა და ოპოზიცია რომელიმე პროექტის ან პიროვნების მხარდასაჭერ ან საწინააღმდეგო პოზიციას იკავებენ. თავდაპირველი პრობლემა, რომელიც შეიძლება მართებული მოსაზრებებით მისაღები ფორმით გადაჭრილიყო, პოლიტიკის ჩარევის შემდეგ ისეთი მოსაზრებებით იტვირთება, რომელსაც არავითარი კავშირი აქვს მასთან. ვთქვათ მთავრობა მხარს უჭერს არქიტექტურულ პროექტს: გონივრული იქნებოდა მასზე მსჯელობა ესთეტიკური კრიტერიუმებით. საქმის პოლიტიზირება იმით დამთავრდება, რომ მთავრობის მომხრეები პროექტს დიდებულად ჩათვლიან, ხოლო ოპოზიცია საშინლად. საბოლოოდ, შეიძლება დრეიფუსის საქმის საშინელ ლოგიკამდე მივიდეთ: საკითხმა, რომელიც შეიძლება თავიდან რაციონალური საფუძვლებით გადაჭრილიყო (დრეიფუსი დამნაშავეა თუ არა), საბოლოო ჯამში თავი მოუყარა უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, ორად გაჰყო ქვეყანა და ყველაზე აშკარაც კი შეუმჩნეველი გახადა. ასეთ პირობებში ბუნებრივია, საკითხების პოლიტიზირება ხშირად დაგმობილია, როგორც სახიფათო: სახიფათო სამოქალაქო მშვიდობისთვის, სახიფათო მოქმედების ეფექტურობისთვის, სახიფათო არჩევანის რაციონალურობისთვის. ამ ბოლო პუნქტთან დაკავშირებით კვლავ ჩნდება ტექნოკრატიული ინტერესების საკითხი.

მეორე, პოლიტიკა შემზღუდავია, ყოველ შემთხვევაში იმ სფეროებში, სადაც ის ძალით არის შეყვანილი. დიდი ხანი არ არის, რაც მთელი სერიოზულობით ისმებოდა შემდეგი სახის კითხვები: მოცარტის მუსიკა ბურჟუაზიულია? ეს აშკარად აბსურდული შეკითხვაა, მაგრამ თუ დადებითად უპასუხებენ, ამას შესაბამისი შედეგები მოჰყვება, რადგან ყველა შეგნებული რევოლუციონერი თავს ვალდებულად ჩათვლის დაგმოს მოცარტი. ლიბერალურ საზოგადოებაში ფსიქოდრამა ფარსის ჩარჩოებში დარჩება, ტოტალიტარულ საზოგადოებაში ის შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცეს (პირდაპირი მნიშვნელობით). სტალინის რუსეთმა, ჰიტლერის გერმანიამ, მაოს ჩინეთმა მსოფლიოს შესთავაზეს ასეთი მსჯელობების სისხლიანი ანთოლოგიები. ასეთ კოშმარულ შედეგებს რომ თავი დავანებოთ, მაინც ნათელი რჩება, რომ ნიუანსების გარეშე პოლიტიკური ინტერპრეტაციების ცხრილის გამოყენება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკურ სფეროს არ განეკუთვნება, ან თუ განეკუთვნება მეორეხარისხოვანია, მთავრდება მოვლენების ძირითადი მნიშვნელობების გაწირვით. ეს ინტელექტუალური დამახინჯებაა, რომელიც უნდა აღმოიფხვრას, მისი ყველაზე ოდიოზური შედეგებისგან დამოუკიდებლად.

მესამე პუნქტი მჭიდროდ უკავშირდება წინა პუნქტს. ის პოლიტიზაციის მექანიზმის იმ პროცესის დაგმობაში მდგომარეობს, რომელსაც აუცილებლად მივყავართ ტოტალიტარიზმამდე. A contrario, მოღვაწეობის მოცულობის მრავალფეროვნება წარმოდგენილია როგორც დამცავი მექანიზმი ხელისუფლების იმ პრეტენზიებისგან, რომ მან უნდა მოახდინოს ყველაფრის რეგლამენტირება და მართვა.. თუ ყველაფერი პოლიტიკაა და მხოლოდ პოლიტიკა, ბარიერები იშლება, და ადამიანის წინააღმდეგობა პოლიტიკური ძალაუფლების მიმართ კარგავს არა მარტო ჰრაქტიკულ ეფექტურობას, არამედ მთელ შინაგან ლეგიტიმურობას. ადამიანი თვითონ ახდენს თავის ექსპროპრიაციას. პოლიტიკური ლოგიკის საბოლოო დასასრული რეალურ ტოტალიტარიზმზე მეტად, რომლის სიშინელებანიც არასდროს არის გაზვიადებული, უნდა ვეძებოთ ორუელის პესიმისტურ უტოპიაში (1984 წ.). მართლაც, რეალური ტოტალიტალური რეჟიმები აუცილებლად ჯდება ადრე არსებულ კონტექსტში, რასაც ვერანაირი მცდელობა ვერ წაშლის. ისინი იმ მრავალ წინააღმდეგობას აწყდებიან, რომელსაც რეალობა უპირისპირებს ადამიანის ქმედებას. ამიტომაც, სოლჟენიცინის კითხვისას უფრო განსხვავებული გრძნობა ჩნდება, ვიდრე ორუელის რომანის კითხვისას, თუმცა ამ ნაწარმოების დამსახურება დიდია, როგორც განსჯის მცდელობისა.[4]

იმ რეალური თუ პოტენციური საფრთხეების დაგმობისას, რომელსაც პოლიტიკის არეალის გაფართოება მოიცავს, საჭიროა მოხდეს რეალურისა და შესაძლებელის, გამართლებული შიშისა და მხედველობითი ჰალუცინაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა. ეს ძნელი იქნება, რადგან იმ პოლიტიკურ სამყაროში, რომლის შესწავლასაც მომდევნო ნაწილში ვაპირებთ და სადაც წინსწრება გადამწყვეტ როლს ასრულებს, ისინი თანაბარ დონეზეა. თუმცა ჩვენი მიზანი ეს არ არის. კითხვას — არის თუ არა საჭირო ბრძოლა პოლიტიკის გაფართოების წინააღმდეგ რაციონალური პასუხი არა, მაგრამ დასაბუთებული პასუხი აქვს, ე.ი. მოიცავს ზოგიერთ გაკვეთილსა და ექსპერიმენტს. სამაგიეროდ, როგორც უკვე ვნახეთ, აშკარაა, რომ პოლიტიკის სფეროს არ აქვს ფაქტობრივი საზღვრები. როდესაც ავტორები პოლიტიკის საზღვრებს აღწერენ, არა მოცემული ისტორიული კონიუნქტურის ჩარჩოში, არამედ როგორც უნივერსალურად ღირებულს, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ისინი წერენ (შეგნებულად თუ შეუგნებლად) თხრობით კილოში, მაშინ როცა უნდა წერდნენ ოპტატივში (ნატვრითი კილო). ასეთი ტიპის ფრაზები: „პირადი ცხოვრება არ არის პოლიტიკური" სინამდვილეში ნიშნავს „პირადი ცხოვრება არ უნდა იყოს პოლიტიკური". თავისთავად მტკიცება პოლიტიკურია, მაგრამ ამაზე პოლიტიკურ მეცნიერებას არ გააჩნია სპეციალური კომპეტენცია და ვერ ჩამოაყალიბებს თავის აზრს, რადგან ის დესკრიფციულია და არა ნორმატიული.[5]

36. დასკვნა. — ახლა უკვე უფრო ზუსტად შეგვიძლია პოლიტიკის ცნების შემოსაზღვრა. ტერმინის ყველაზე ბანალურ და ყოველდღიურ ხმარებაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ პრობლემის მთავარი საკითხი მაშინ იკვეთება, როდესაც ის აღებულია, როგორც განმასხვავებელი ნიშანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ხღება განსხვავებული მოვლენების ორ კატეგო-

---

[4] newspeak-ის ცნების გამოგონება ორუელის მიერ ძალიან საინტერესო მსჯელობის საბაბია არა მარტო ტოტალიტარულ პოლიტიკაზე, არამედ ძალიანად პოლიტიკაზე. საჭიროა მასში სერიოზული ჩაღრმავება.
[5] იხ.n° 54

რიად დაყოფა, ერთი, რომელიც განეკუთვნება პოლიტიკის სფეროს და მეორე, რომელიც მას არ განეკუთვნება. იმთავითვე საჭირო იყო ამგვარ კლასიფიკაციაში ჩადებული ლოგიკის განსაზღვრა, რომელსაც თავიდან პოსტულატის სახე ჰქონდა: არაფერი იძლეოდა a priori იმის გარანტიას, რომ პოლიტიკური ხასიათი თვითნებურად არ ენიჭებოდა მოვლენებს. გახადა ჩვენმა კვლევამ ეს პოსტულატი დამტკიცებული ფაქტად თუ წარმოაჩინა როგორც დამაიმედებელი, მაგრამ ირაციონალური? პასუხი ორაზროვანია.

ერთი მხრივ, ჩვენ კარგად გამოვკვეთეთ ფაქტების მოშველიების გარეშე ძირითადი პრინციპი, რომელიც გვიჩვენებს სიტყვა პოლიტიკის გამოყენებას კლასიფიკაციისათვის. პოლიტიკურია ყველაფერი, რაც არჩევანის ობიექტია და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ აზრს ორი მხარე აქვს. არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა ერთი მხრივ არსებობდეს ალტერნატივა, მეორე მხრივ, ერთი ან რამდენიმე პიროვნება, რომელიც შეძლებს ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებას. თუ უფრო არ დავაზუსტებთ, საქმე გვექნება სიტყვა პოლიტიკის ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით გამოყენებასთან, თუ დავაზუსტებთ, რომ ის პიროვნება ან პიროვნებები, ვისზეც საუბარია ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, მაშინ მივიღებთ სიტყვა პოლიტიკის მხოლოდ ყველაზე ვიწრო და გავრცელებული მნიშვნელობით გამოყენებას.

მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ დავადგინეთ, რომ ამგვარი ლოგიკა საშუალებას არ გვაძლევს გავაკეთოთ პოლიტიკის „ბუნების" ზოგადი აღწერა და წინასწარ მოხდეს იმის განჭვრეტა, რაც კონკრეტულ ისტორიულ კონიუნქტურაში არის პოლიტიკური. ის რაც ერთ რომელიმე საზოგადოებაში პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება, მეორე საზოგადოებაში არ ეკუთვნის მას. არც ის არის ცხადი, რომ პოლიტიზირების პროცესი, რომელიც მთელი საუკუნეა მიმდინარეობს, შეუქცევადია და პოლიტიკა ახალ-ახალ სფეროებს იპყრობს. უფრო ჩნდება გრძნობა (თუმცა ამის დასამტკიცებლად საკმარისი დრო არ გვქონია), რომ ძლიერდება ტენდენცია და მისწრაფება დეპოლიტიზაციისკენ.[6] სავარაუდოდ, პოლიტიკის ცნება არ შეიძლება განისაზღვროს შინაარსით. ის არის პრობლემატიკა, ანუ მეტ-ნაკლებად ფართო სფერო, სადაც შეიძლება მიღებული იქნეს ზოგიერთი გადაწყვეტილება, სადაც საგნებს, აზრებს, აქტებს, თავის შეკავებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

დასკვნა არ არის იმედის მომცემი ან ასეთი იქნებოდა, თუ ვერ მოახერხებდა პრობლემის ადგილიდან დაძვრას. შეიძლება ჩვენ ბოლომდე ვერ განვსაზღვრეთ პოლიტიკა, მაგრამ ის მაინც ვაჩვენეთ, თუ როგორ არ უნდა მოხდეს მისი განსაზღვრა, რომ დავასრულოთ მისი გაგება, უნდა აღვწეროთ ახლა ის გარემო, რომელშიც მოქმედებს.

ნაწილი II პოლიტიკური სამყარო

37. პოლიტიკური სამყარო იგივეა პოლიტიკოსისთვის, რაც გრამატიკა ენისთვის. — ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ „პოლიტიკა" მისი ყველაზე უბრალო და გავრცელებული მნიშვნელობით თავისთავად არ ჩნდება. პირიქით, ის გარკვეულ კონტექსტში ჯდება, რაც მას არსებობის საშუალებას აძლევს და რომელიც მისი არსებობის ფორმას განსაზღვრავს. ნებისმიერი კონკრეტული პოლიტიკა ამ კონტექსტში ვლინდება და გაუცნობიერებლად მის შეზღუდვებს განიცდის. ორივე დაახლოებით ისეთ კავშირშია ერთმანეთთან, როგორც დაწერილი თუ წარმოთქმული წინადადებები გრამატიკასთან: ფრანგული ენის გრამატიკა არ ითხოვს არც „გარგანტუას", არც „დაკარგული დროის ძიებაში" დაწერას, მაგრამ ეს ნაწარმოებები, ისევე როგორც „ფრანს სუარის" ნებისმიერი სტატია, გარკვეულ წესებს იცავს, როგორც წინადადებების აგებისას, ასევე სიტყვების შერჩევისას. სხვაგვარად, მათი გაგება შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ამ წესებს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: მათი გამოყენება მათი ცოდნის გარეშეც შეიძლება, როგორც ამას ბავშვები აკეთებენ, რომლებიც მშობლიურ ენას

[6] ამაზე მოწმობს ლიბერალური თეზისების განახლება, „მფარველი სახელმწიფოს" ეტვეტვეშ დაყენება და, უფრო ზუსტად, კულტურული ცვლილებები, რომელიც პოლიტიკურ მოვლენებს აკარგვინებს პრესტიჟს. ეს მოძრაობა, უფრო გასაგები იდეოლოგიურ დონეზე, ვიდრე პრაქტიკაში, და რომლის გრძელვადიანი შედეგები ძნელი შესაფასებელია, განხილული აქვს ჟორჟ ბურდოს თავის „პოლიტიკური მეცნიერების ტრაქტატში".

იმიტაციით სწავლობენ. თუმცა შეიძლება მათი გაცნობიერება, სისტემატიზაცია და ნორმატიული გამოყენება გრამატიკოსების მსგავსად. ასევე პოლიტიკურ სამყაროს აქვს თავისი იმპლიციტური სტრუქტურები, რომლებიც ისე განაპირობებს პოლიტიკურ აქტივობას, რომ ხშირად არ ხდება მათი გააზრება. ცხადია, ამ სტრუქტურების გაშუქება პოლიტიკური მეცნიერების ერთერთი უმთავრესი ამოცანაა.

38. ტერმინოლოგიის პრობლემა. — სანამ ამ კვლევას დავიწყებთ, საჭიროა ერთი საკითხის გადაჭრა: რა ვუწოდოთ ტერიტორიას, რომელიც ეს-ეს არის მოვნიშნეთ და რომლის გამოცალკევებასაც ვცდილობთ? გამოთქმა „იმპლიციტური სტრუქტურები, რომლებიც განაპირობებს პოლიტიკურ აქტივობას" გვაძლევს დაზუსტების, მაგრამ არა საკითხის გამარტივების საშუალებას. გარდა ამისა, ის იმ უხერხულობასაც ქმნის, რომ მიუთითებს იმ რადიკალურ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ჩვენ მიერ გაკეთებულ ანალიზსა და სხვა ავტორების ანალიზებს შორის, თუმცა ჩვენი საზრუნავი არის საკითხის გაშუქება და არა ორიგინალობა: კონცეპტუალური ფსევდო სიახლეების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც მხოლოდ ტერმინოლოგიური სიახლეა, ერთ-ერთი იმ გზათაგანია, რომელიც პოლიტიკურ მეცნიერებას თავისი სახელის ღირსად ხდის.

განსხვავება, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, ერთმანეთს უპირისპირებს „პოლიტიკურს" და „პოლიტიკას". თუ მეორე ჩვეულებრივ გამოხატავს მხოლოდ ამ ტერმინით აღნიშნულ აქტივობას, პირველი არის იმ პირობების ერთიანობა, რომლებიც მას თავს აქვს მოხვეული და განსაზღვრავს არა იმას, რაც ის არის (ისევე, როგორც გარამატიკა არ განსაზღვრავს სიტყვის შინაარსს), არამედ იმ საზღვრებს, რომელიც მას ობიექტურად უკავშირდება. ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ამ ფორმულირებას, თუმცა ის სავსებით მისაღებია, რადგან მისი უარყოფითი მხარეა ის, რომ არსებითს (პოლიტიკას თავისთავად) უპირისპირებს გარეგან გამოხატულებას (ტრივიალურ პოლიტიკას) თუმცა საქმე ამას არ ეხება. როგორც ვნახეთ წინა ნაწილში, პოლიტიკის არსის მოძებნა და აღწერა აბსურდულია. რაც შეეხება „ყველანაირი მომავალი პოლიტიკის წინასწარ განხილვას (ნორმატულს)" ბუნებრივია არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ცნებას მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მისაღწევი მიზანი არის მხოლოდ წინ წაწევა იმის გასარკვევად, თუ რა არის რეალური პოლიტიკა, რისთვისაც უნდა გავარკვიოთ თუ რა არ შეიძლება ის იყოს.

ამიტომაც, ჩვენ გამოვიყენებთ ბუნდოვან, მაგრამ მოხერხებულ გამოთქმას — „პოლიტიკური სამყარო". პოლიტიკური სამყარო არის ის, რომელიც მოიცავს პოლიტიკას მთლიანად და მას განსაზღვრავს არა მარტო დადებითად, არამედ უარყოფითადაც.

V პოლიტიკური სამყაროს სტატიკა

39. პოლიტიკური სამყარო არის წარმოდგენების სამყარო. — პირველი მთავარი პუნქტი შემდეგში მდგომარეობს: პოლიტიკური სამყარო წარმოდგენების სამყაროა. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ რას გულისხმობს ეს მტკიცება, ასევე იმისაც, თუ რას არ გულისხმობს. მართლაც, იმის გაგებით, თუ როგორი იქნებოდა პოლიტიკური სამყარო, წარმოდგენების სამყარო რომ არ ყოფილიყო, ჩვენ გავერკვეთ რამდენად შეესაბამება რეალობას საპირისპირო მტკიცება. ამ მიზნით ალბათ მოვახდენთ პარადოქსების და ტრუიზმების მონაცვლეობას, რაც ორმაგად უხერხულია, მაგრამ თუ დავუკვირდებით დავინახავთ, რომ ეს შთაბეჭდილება ორმაგი ილუზიაა შექმნილი სწორედ რეალობის ბუნებიდან გამომდინარე, რომლის აღწერასაც ვცდილობთ. ერთი მხრივ, არსებობს პოლიტიკური ფაქტების სიმწირე და ბანალურობა: აქ არაფერი ჰგავს არც მათემატიკას, არც ესთეტიკას ან მეტაფიზიკას. არავითარი შანსი არ არსებობს, რომ ამ სფეროში მოხდება ერთდროულად ღრმა, ზუსტი და გასაოცარი სპეკულაციები. მაგრამ მეორე მხრივ, პოლიტიკური სამყარო სწორედ იმიტომ, რომ შექმნილია წარმოდგენებისგან, გადატვირთულია წინასწარ შექმნილი აზრებით, ფეტიშებით და საყვარელი მითებით. მაგალითად, იმის დადგენა, რომ „ხალხს" შეუძლია სწორად აზროვნება ד არჩევანის გაკეთება ტრუიზმია. მაგრამ ეს ბევრისთვის საშინელი პარადოქსია, სანამ ამის უარყოფის საშუალება აქვთ და შემუშავებულია, როდესაც რეალობა თავზე მოეხვევათ. (საბედნიეროდ, პოლიტიკაში ყოველთვის არსებობს თავის დაძვრენის საშუალება, ვინაიდან ნორმატიულია ის, რაც ყველაზე ხაკლებად აკლიათ: არახელსაყრელ პირობებში ჩაყენებული კლასების ნაწილი მარჯვნივ იხრება — თუმცა ასე არ უნდა ხდებოდეს).

სამყარო, რომელიც წარმოდგენების სამყარო არ არის, ფიზიკური სამყაროა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. რა თქმა უნდა შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ფიზიკურ სამყაროს ვიცნობთ ექსკლუზიურად ჩვენი შეგძნებებით და რომ ჩვენი ცოდნა ეხება მხოლოდ იმ წარმოდგენებს, რომელიც მასზე გვაქვს: შეგრძნებების მიღმა არსებული საგანთა ბუნება სავარაუდოდ შეუცნობელია. თუმცა ეს წარმოდგენები ერთდროულად მყარი და ინტერსუბიექტურია. იდენტური სხეულების ვარდნა იდენტურად ხდება და ორი მეცნიერის დამოუკიდებელი დაკვირვება ერთნაირი შედეგით მთავრდება. ამ პირობებში შესაძლებელია სხეულთა ვარდნის შესახებ კანონის შემუშავება. გარდა ამისა, ფიზიკური სამყარო არის იძულებების სამყარო, რომელიც გარს არტყია ადამიანს და რომლის უგულებელყოფასაც ის ვერ შეძლებს, შესაბამისი შედეგების ატანის გარეშე. აქედან ის გამომდინარეობს, რომ თვით ფიზიკური სამყაროს ცოდნაც წარმოდგენებისგან შედგება, ყველაფერი კი ისე ხდება, თითქოს ეს ადამიანის გონებისგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობის ზუსტი ასახვაა.[7]

პოლიტიკური სამყარო ფიზიკური სამყაროს ანალოგიური რომ იყოს, საჭირო გახდებოდა იგივე ნიშნების წარმოდგენა. პოლიტიკური ფაქტები სტაბილური და ინტერსუბიექტურად ცნობილი უნდა იყოს. ისინი მოსალოდნელი კანონზომიერებების ადგილი უნდა იყოს, ობიექტური მიზეზობრიობის მექანიზმის მიხედვით გადაბმული და მათზე შექმნილი წარმოდგენისგან დამოუკიდებელი. ასეთი მდგომარეობის შედეგი იქნებოდა პოლიტიკური ევოლუციის ზუსტი წესების ჩამოყალიბება და მომავლის წინასწარმეტყველება, წარსულსა და აწმყოზე დაყრდნობით. მოვლენების ამგვარ ხედვას თავისი მხარდამჭერები ჰყავდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პლატონის მიერ შემუშავებული ციკლების თეორია: არისტოკრატია მექანიკურად დეგრადირდება ტიმოკრატიამდე, რასაც მოსდევს ოლიგარქია, დემოკრატია და ტირანია.[8] მარქსიზმიც ასევე ამტკიცებს ისტორიის დეტერმინისტულ ხასიათს: კაპიტალიზმი წარმოშობს სულ უფრო და უფრო მრავალრიცხოვან და ღარიბ პროლეტარიატს; ასეთი ევოლუცია აუცილებლად მთავრდება რევოლუციით, რასაც უკლასო საზოგადოების დამყარება მოჰყვება. ამ ნიშნებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდებოდა ზუსტი პროგნოზირება.

ამგვარად, ვღებულობთ ფაქტს, რომლის მნიშვნელობის უარყოფაც არ შეიძლება — ეს თეორიები წარუმატებელია. რეჟიმების თანამიმდევრობა, როგორც ამას პლატონი აღწერს, უპირველეს ყოვლისა განსჯის გამოცდილებაა: იმის გათვალისწინებით, რომ არისტოკრატია სრულყოფილი რეჟიმია, საინტერესოა, დარჩება ის ზეცასავით უცვლელი და უკვდავი? არა, ის როგორც ცისქვეშეთის ნებისმიერი რეალობა, დაქვემდებარებულია მომავალზე, რომელიც ბერძნული აზროვნებით და სახელდობრ, პლატონის აზრით, გაიგივებულია ბოროტებასთან. რეჟიმების მონაცვლეობა გულისხმობს ნორმატიულ შეხედულებას: ეს არის დეგრადაცია, რომლის თანამიმდევრული ფაზები ემორჩილება რაციონალურობას; პლატონი თვლის, რომ დედუქციური ლოგიკის საშუალებით შეუძლია მისი a priori აღწერა. მაგრამ ამაო იყო მოლოდინი, რომ შუქი მოეფინებოდა საბერძნეთის ქალაქების რეალურ ისტორიას, რომელიც რთული, ორაზროვანი და წყვეტილია. მართალია, პლატონი თავის თეორიას წინასწარმეტყველურად თვლიდა, მაგრამ ეს სიმართლისგან შორსაა და სულ მცირე, რაც შეიძლება ითქვას მის შესახებ ის არის, რომ ეს თეორია არ დამტკიცდა. იგივე შენიშვნები შეიძლება მარქსისტულ თეორიასთან დაკავშირებით გაკეთდეს. მისი ფუძემდებლის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ნათელია, რომ მარქსის წინასწარმეტყველებები არ გამართლდა. კაპიტალიზმის „რკინის კანონს" არ უშვია სულ უფრო და უფრო მეტი გაღატაკებული პროლეტარი. გაღატაკებულ ქვეყნებში არ მომხდარა სოციალური რევოლუცია. „სოციალისტურ" ქვეყნებში საწარმოო საშუალებების კერძო საკუთრების გაუქმებას ნავარაუდევი შედეგები არ მოჰყოლია. რეჟიმებმა, რომლებიც თავს მარქსისტულად თვლიდნენ, მასობრივად უარყვეს იგი. რა თქმა უნდა, არიან მოაზროვნეები, რომლებიც ექსტრამეცნიერული მოტივებით ცდილობენ თეორიის გადარჩენას და განმარტავენ, თუ როგორ შეიძლება ერთდროულად დოქტრინა იყოს სწორი, მისი წინასწარმეტყველებანი კი მცდარი. ასეთი

---

[7] ისიც მართალია, რომ თანამედროვე ფიზიკა მნიშვნელოვნად შორდება ამ ტრადიციულ შეხედულებას. მაგრამ, გარდა იმისა, რომ აქ ვერ მოვიტანთ ფარდობითობის თეორიას, მნიშვნელოვანია მხოლოდ მივხვდეთ კონტრასტს პოლიტიკურ სამყაროსა და გარე სამყაროს შორის.

[8] ტიმოკრატია არის რეჟიმი, რომელიც ეურდნობა პატივისა და დიდების ძიებას.

მოქმედება არ არის a priori მეცნიერული რაციონალურობის საწინააღმდეგო.[9] სანამ გავარკვევთ რა უფრი გონივრულია, ნებისმიერ ფასად თეორიის გადარჩენა თუ უბრალოდ მისი უარყოფა, ერთი ფაქტი აშკარაა: თავდაპირველად იყო თეორია, რომელსაც შეეძლო წინასწარმეტყველება; ახლა გვაქვს თეორია, მართალი ან მცდარი, მაგრამ რომელზეც ვერავითარ წინასწარმეტყველებას ვერ დავაფუძნებთ. ჭეშმარიტებაში გასარკვევად თეორია ეძებდა საყრდენ წერტილს, ახლა ირკვევა, რომ თვითონ მას სჭირდება სულ უფრი მეტი საყრდენები იმისთვის, რომ არ გაისრისოს იმ კატეგორიული უარყოფების ქვეშ, ამ ჭეშმარიტებამ რომ წარმოაჩინა. XX საუკუნის დასაწყისშივე საჭირო იყო იმის ახსნა, თუ რატომ არ იფეთქა მარქსის მიერ ნავარაუდევმა რევოლუციამ. ლენინმა გამოიგონა ცნება „მუშათა არისტოკრატია", სოციალური ჯგუფი, რომელსაც შეეძლო ელალატა პროლეტარიატის ისტორიული მისიისთვის და ინტეგრირებულიყო არსებულ საზოგადოებაში. დღეს საჭიროა იმის ახსნა, თუ რატომ არ გაღატაკდნენ არახელსაყრელ პირობებში ჩაყენებული კლასები მარქსის წინასწარმეტყველების შესაბამისად, რომელთა ხვედრი მთლიანად გაუმჯობესდა. საჭიროა იმის ახსნა, თუ რატომ ატყდა ომები „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნებს შორის, მაშინ როცა ისინი, დოქტრინის მიხედვით, არ უნდა დაკავშირებოდნენ იმპერიალიზმს. საჭიროა იმის ახსნა, თუ რეჟიმებმა, რომლებიც სიუხვისა და თავისუფლების დაპირებებს იძლეოდნენ, რატომ მოიტანეს მხოლოდ გაჭირვება და დიქტატურა. სწორედ აქ არის ფაქტობრივი მონაცემი: თავიდან მარქსისტული თეორია შემტევი იყო, დღეს გამუდმებით თავს იცავს და თავისი დამცველებისგან სასწაულებრივ გადარჩენას ითხოვს, თუმცა დღითიდღე გაჭრობისკენ მიდის. ამგვარი მარცხი კარგ გაკვეთილებს იძლევა. თუ მას შემდეგ, რაც ადამიანები პოლიტიკაზე მსჯელობენ, ვერ მოხერხდა მცირე ოდენობითაც კი ისეთი ფაქტორების აღმოჩენა, რომელიც ახსნიდა და იწინასწარმეტყველებდა ევოლუციას, ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ სათანადო გასაღები ვერ მოიძებნა, უბრალოდ იმიტომ, რომ კლიტე არ არსებობს. შეუძლებელია ფიზიკურ სამყაროსთან მიმართებაში გამოყენებული მეთოდების გადმოტანა პოლიტიკურ სამყაროში, რადგან ის სრულიად განსხვავებული ბუნებისაა: ის წარმოდგენების სამყაროა.

აი პირველი მიზეზი, თანაც უარყოფითი, იმისთვის, რომ პოლიტიკური სამყარო ჩაითვალოს წარმოდგენების სამყაროდ: ფიზიკურ სამყაროში ვარგისი მეთოდებით მისი გაგების მცდელობა მარცხით მთავრდება და ვგრძნობთ, რომ ეს მარცხი უძლურების ან მოუხერხებლობის შედეგი კი არ არის, არამედ კანონიერი არაადექვატურობისა. ამ უარყოფით მიზეზს ემატება მეორე, პოზიტიური მიზეზი: პოლიტიკური მოვლენების ლოგიკური ინტერპრეტაციისათვის საჭიროა ვაღიაროთ, რომ მათი არსი დაკავშირებულია შემეცნებასთან.

40. პოლიტიკური სამყარო შემეცნების ფაქტორებისგან შედგება. — პოლიტიკური სამყაროს განსაზღვრული რეალობა არ არსებობს ადამიანისგან დამოუკიდებლად: ის შემეცნების ფაქტორებისგან შედგება. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ნებისმიერი ფაქტი ისეთივე წარმატებით იქნებოდა პოლიტიკური, როგორც ლამპა ანთია ან ვეფხვია მტაცებელი ცხოველი იმისგან დამოუკიდებლად, არსებობს თუ არა მაყურებელი და მსხვერპლი და სურთ თუ არა მათ იყვნენ სინათლეში ან შეჩმული. საპირისპიროდ, არაფერია პოლიტიკური იმის შეცნობის გარეშე, რომ ის პოლიტიკურია. ფაქტისთვის პოლიტიკური ხასიათის მინიჭებაში შემოდის ნებისა და თვითნებობის წილიც.

დაისმება კითხვა, თუ პრაქტიკაში პიროვნული შემეცნება წინ იდგება სუბიექტურ კონიუნქტურებზე, რომელიც იგივე შედეგებს იწვევს, რასაც ობიექტური სიტუაციები, როგორ უნდა მიეხვდეთ, რომ ისინი უფრო პირველისგან (სუბიექტური) მომდინარეობს, ვიდრე მეორისგან (ობიექტური)? ჩვენ მიერ პირველ ნაწილში გაკეთებული დასკვნები ნათელყოფს პასუხს: პოლიტიკური ხასიათი იცვლება დროში, მაგრამ ობიექტი, რომელსაც ეს ნიშანი ენიჭება უცვლელი რჩება. როგორც ჟორჟ ბურდომ შენიშნა, XIX საუკუნეში დაბინძურებული უბანი მხოლოდ სოციალური მოვლენა იყო, მართალია სავალალო, მაგრამ ის ურბანიზმის სფეროში შედიოდა. ხალხის უმრავლესობის აზრით ამ ფაქტს არაფერი ჰქონდა საერთო პოლიტიკასთან და აზრადაც არავის მოსდიოდა სახელმწიფოსთვის საკითხის მოგვარების მოთხოვნა. დღეს, თითოეული ჩვენთაგანი ამაში დაინახავს პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირების უმოქმედობას, თუმცა დაბინ-

[9] იხ. n° 10

ძურებული ადგილის ცნება არ შეცვლილა. ცვლილებების მიზეზი პრობლემის აღქმაში უნდა ვეძებოთ. ის მდგომარეობს იმ წარმოდგენაში, რომელსაც პიროვნება იქმნის რეალობაზე.

ეს დასკვნა საკმარისია საკითხის გადასაჭრელად. ჩვენ შეგვიძლია კიდევ ბევრი მოვლენა მოვიყვანოთ მაგალითად, რომელიც ამ ჭრილში ადვილი გასაგებია, ხოლო სხვაგვარად გაუგებარი. თუ პოლიტიკურ სამყაროს რეალობების ობიექტურობა ახასიათებს, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ მცდარი აზრი შეიძლება ისეთივე ან უფრო მეტადაც ეფექტური იყოს, ვიდრე მართალი აზრი? რატომ არ არის „ფაქტები" ჯიუტი? სიმართლე, რომელიც ითვლება, რომ შურისმგებლურია, რატომ იძიებს შურს იშვიათად? მაგალითები იმდენად ბევრი და ყოველდღიურია, რომ უკვე შეუმჩნეველი რჩება. მნიშვნელობა არა აქვს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც მოქალაქეთა დაუცველობა შემცირებულია, თუ რამდენიმე გახმაურებული დანაშაული მოქალაქეთა უმრავლესობას საპირისპიროში დაარწმუნებს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ საგადასახადო რეფორმის შედეგად გადასახადები შემცირდა, თუ მოხერხებული პროპაგანდა პანიკას დათესავს მცირე მესაკუთრეებში. პოლიტიკოსების მცდელობა დაამტკიცონ, რომ ფაქტები ისეთია, როგორიც არის, ხანდახან პათეტიკურია: მტკიცებულებები ამაოა, რწმენები იმაზე სიცოცხლისუნარიანია, რასაც სინამდვილეში ისინი უნდა წაეშალა. უფრო მეტიც: პოლიტიკურ სამყაროში ერთი და იგივე ფაქტის რეალური არსებობა და უარყოფა (მაგალითად სტალინის საკონცენტრაციო ბანაკები) შეიძლება თანაარსებობდეს და ერთდროულად ეფექტსაც ახდენდეს. ზოგი ამაში ხედავს მიზეზს საბჭოთა რეჟიმის დასაგმობად, სხვები დამახინჯებულ პროპაგანდას, რომელსაც ამ რეჟიმის მოწინააღმდეგეები იყენებენ. ამგვარად, ფიზიკურ სამყაროში სტალინის საკონცენტრაციო ბანაკები ან არსებობს, ან არა. ხოლო თუ სამაგიეროდ პოლიტიკური სამყარო თავისუფლდება წინააღმდეგობრივი პრინციპისგან ეს იმიტომ ხდება, რომ მასში შემავალი ფაქტები და მიზეზობრიობა შემეცნების ფაქტებია.

ეს დასკვნები ერთდროულად ბანალურიც არის და უცნაურიც. ბანალურია იმიტომ, რომ ნებისმიერი „პოლიტიკური" საუბარი სუბიექტურობის გამარჯვების მაგალითია. უცნაურია იმიტომ, რომ ისინი არ ემთხვევა იმ სურათს, რომლის შექმნაც საკუთარ თავზე უყვართ ადამიანებს: რაციონალური მოაზროვნენი, რომლებიც კეთილი განზრახვით ეძებენ ობიექტურ სინამდვილეს. ამ დისონანსის შესამცირებლად საჭიროა უფრო ღრმაღ გაანალიზდეს პოლიტიკური წარმოდგენის ცნება.

41. პოლიტიკური წარმოდგენების სუბიექტი. — უპირველეს ყოვლისა, ზედმეტია იმის თქმა, რომ წარმოდგენა არ არსებობს იმ სუბიექტის გარეშე, რომელსაც ის აქვს. მაშ ვინ არიან პოლიტიკური წარმოდგენების სუბიექტები? ზოგიერთი დოქტრინის მოშველიებით შეიძლებოდა გვეპასუხა, რომ ეს სუბიექტები კოლექტიური არსებებია: მარქსიზმის მიხედვით კლასები, ისტორიის ტრადიციონალისტური ინტერპრეტაციის მიხედვით ერები. ერთი წუთით დაფიქრებაც საკმარისია ამის დასანახად, რომ ეს კოლექტიური არსებები აბსტრაქციებია.[10] ფრანგი ერი ფრანგებისგან დამოუკიდებლად, მუშათა კლასი მუშებისგან დამოუკიდებლად მხოლოდ გონებაში არსებობს. ამ დონეზე, ეს აბსტრაქციები ზუსტად გაცნობიერების ფაქტების მაგალითებია. კოლექტიური არსებები პოლიტიკური წარმოდგენების ობიექტებია. პროლეტარები და ბურჟუები პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას მთლიანობად აღიქვამენ და ეს წარმოდგენები განსაზღვრავს ქმედებას: იმ კლასის ინტერესების დაცვა, რომელსაც თავს მიაკუთვნებენ არ ნიშნავს პირადი სარგებლის ძიებას. მაგრამ განსჯის ობიექტები, კოლექტიური არსებები ვერ შეძლებენ იყვნენ მისი სუბიექტები. გონების მიღმა მხოლოდ პიროვნებები არსებობენ და აზროვნებენ. პოლიტიკური წარმოდგენების სუბიექტებიც პიროვნებები არიან, თუნდაც მათი გარკვეული ნაწილი, რომელიც ან ეთანხმება ან არა ამა თუ იმ განსაზღვრებას, ეროვნებას, სოციალურ მდგომარეობას, გარკვეულ საკითხებზე იგივე აზრისაა.

---

[10] კონკრეტული შემთხვევაა ე.წ. იდიომორფული ჯგუფები (ე.ი. პიროვნებების მსგავსი), რომლებიც ხასიათდება იმით, რომ მათში არსებობს კოლექტიური გადაწყვეტილების გარკვეული მექანიზმი. ეს არის, მაგალითად, საპარლამენტო ასამბლეის შემთხვევა და შესაძლებელია მის ნებაზე საუბარი. მაგრამ სამაგიეროდ ვერ ვიტყვით, რომ ის წარმოდგენის სუბიექტია. სოციალური კლასებიც არ არის იდიომორფული ჯგუფები. ისინი „ფარული ჯგუფებია" რ. დარენდორფის მიხედვით, ე.ი. ჯგუფები, რომლებიც საერთო ინტერესებით ხასიათდება, მაგრამ ვერ შეძლებს კოლექტიური მოქმედების წარმოებას სპეციფიკური ორგანიზაციების შუამავლობის გარეშე.

ეს დამოუკიდებელი სუბიექტები როგორ იქმნიან თავიანთ პოლიტიკურ წარმოდგენებს? გამოკვლევა შეიძლება საზოგადოებაში მცხოვრებ თითოეულ ინდივიდთან დაკავშირებით ჩატარდეს და უსასრულო ვარიანტებით დამთავრდეს.

ძირითადს რომ არ მოვწყდეთ, ავიღოთ რომელიმე მე, პოლიტიკის a priori სუბიექტი. ეს ტრანსცენდენტული მე ერთი რომელიმე ადამიანი კი არ არის, უბრალოდ არ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის დამოუკიდებელი, ჩამოუყალიბებელი, სოციალურ ურთიერთობებში ჩაფლული ვიღაც, როგორ ყალიბდება მისი პოლიტიკური წარმოდგენა? სქემატურად შეიძლება ითქვას, რომ ეს სამი წყაროს საშუალებით ხდება. პირველი არის ოჯახური გარემო. ეს არის აღზრდის პროცესში მიღებული აზრებისა და გრძნობების ერთობლიობა. მისი ფსიქოსოციალური ცოდნა შეიძლება ჩაითვალოს ან მოდელად ან უარყოფით ნიმუშად: შეიძლება ოჯახური მემკვიდრეობის ასახვა ან უარყოფა. მაგრამ ორივე შემთხვევაში ის ინდივიდის პიროვნულობას აყალიბებს. მეორე წყარო ინფორმაციაა ფართო გაგებით: ინფორმაცია მიღებული როგორც პირადი კონტაქტებით, ასევე მედიის საშუალებით. ბოლოს, მესამე წყაროა ადამიანის პირადი გამოცდილება, რომელიც ან ღებულობს ან უარყოფს მიღებულ ცოდნას.

ეს სხვადასხვა ელემენტი იმ ცოდნის მთლიანობას ქმნის, რომელიც პოლიტიკურ „მეს" პოლიტიკური სამყაროს ინტერპრეტაციისა და მასთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის განსაზღვრის საშუალებას აძლევს. ცხადია, ეს ცოდნა არაფრით ჰგავს მეცნიერულ ცოდნას. ოჯახიდან მიღებული ცოდნა შეიძლება თაობების მიერ დაგროვილი გამოცდილება იყოს და ამავე დროს, წინასწარ შექმნილი აზრების ჯაჭვი. ინფორმაცია შეიძლება მართალიც იყოს და მცდარიც. პიროვნებისთვის ძვირფასი პიროვნული გამოცდილება შეიძლება ატიპური იყოს და არ ასახავდეს პოლიტიკურ რეალობას. ამ განსხვავებულ ფაქტებს სუბიექტი თვითონ აწესრიგებს მეტ-ნაკლებად ექსპლიციტურ და ინტელექტუალურად ორგანიზებულ სისტემაში. თუმცა ადამიანთა უმრავლესობაში ეს ხდება სპონტანურად, კონკრეტული მეთოდის, კრიტიკული მიდგომის გარეშე და ალალბედზე: ცოტანი არიან ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ საკითხებზე ფიქრობენ. ის ვინც ფიქრობს, იქმნის კი სწორ წარმოდგენას? საეჭვოა, რადგან თვით ყველაზე დიდი ინტელექტუალები, კრიტიკული აზროვნების ათლეტები, დახვეწილი ანალიტიკოსები პოლიტიკაზე მსჯელობისას საოცარ გულუბრყვილობას იჩენენ. ამ უცნაურ მოვლენაში უკეთ გავერკვევით თუ გავაცნობიერებთ იმ პოლიტიკური სამყაროს თავისებურებებს, რომლის აღწერასაც ვცდილობთ.

42. პოლიტიკური წარმოდგენები უძლებს ფაქტების გამოცდას. — პოლიტიკურ სამყაროში არსებული მოვლენების სუბიექტური ხასიათის აღიარების შემდეგაც უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს პოლიტიკური მე-ს შეუვალობა იმის მიმართ, რასაც ემპირისტები ფაქტებს უწოდებენ: აქ ჩვენ კვლავ ვაწყდებით იმ პრობლემატიკას, რომელიც პირველ თავში გარვიხილეთ, როდესაც აღვნიშნეთ, რომ საპირისპირო ფაქტის აღმოჩენა არ იწვევდა ყოველთვის თეორიის ეჭვქვეშ დაყენებას. ჩვენ ვნახავთ, რომ საკითხი შეიძლება განხილული იქნეს იგივე გასაანალიზებელი საშუალებებით. როგორ შეიძლება პოლიტიკური სუბიექტი თავისი წარმოდგენის ერთგული დარჩეს, როდესაც ეს წარმოდგენა წინააღმდეგობაშია აშკარა ფაქტთან? პასუხად შეიძლება ვთქვათ, რომ კითხვა ცუდად არის დასმული, რადგან სუბიექტისთვის აშკარა იგივე არ არის. პოლიტიკური წარმოდგენები საკომპენსაციო მექანიზმებია, რაც მათ საშუალებას აძლევს გაუძლონ იმას, რასაც ისინი უნდა გაენადგურებინა.

ამის ახსნის საუკეთესო საშუალებაა მაგალითის მოყვანა. დავუშვათ ჩვენი პოლიტიკური სუბიექტი სტალინისტია, რომლის პოლიტიკური მსჯელობაც მიმდინარეობს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მეორე დღეს. როგორც სტალინისტი, იგი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირი ამქვეყნიური სამოთხეა. როგორც მემარცხენე ადამიანი, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, იგი თვლის, რომ საკონცენტრაციო ბანაკები აბსოლუტური ბოროტებაა. ამიტომაც დასაშვებია, რომ მას სწორად მიაჩნია შემდეგი წინადადება: ა) თუ საბჭოთა კავშირში საკონცენტრაციო ბანაკები არსებობს, ე.ი. სტალინიზმი ცუდია.

სუბიექტი იგებს, რომ მოარული ხმების მიხედვით საბჭოთა კავშირში არსებობს საკონცენტრაციო ბანაკები. გამოდის, მან უნდა დაასკვნას, რომ სოციალიზმი ცუდია. სინამდვილეში იგი გამოიყენებს სხვადასხვა სტრატეგიას იმისთვის, რომ გაამართლოს თავისი რწმენა, ამიტომაც:

1) მას შეუძლია განაცხადოს, რომ ვინაიდან სოციალიზმი არ არის ცუდი, ხმები საბჭოთა კავშირში საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ სიცრუეა.[11]

2) მას შეუძლია დამატებითი პირობების შეტანა. მაგალითად: ბ) თუ საბჭოთა კავშირში არსებობს საკონცენტრაციო ბანაკები, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ იქნება ცუდი თუ იქ არ განვითარდება მძიმე მრეწველობა.[12] საკმარისია განუხორციელებელი პირობების არჩევა და სოციალიზმი დარჩება კარგი საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის მიუხედავად.[13]

3) მას შეუძლია უბრალოდ გაიხებოს თავი ა) წინადადებას და განაცხადოს, რომ ვინაიდან სოციალიზმი მსოფლიოს მომავალია, საკონცენტრაციო ბანაკების საკითხი მეორეხარისხოვანია და ა.შ.

ეს პროცედურები თანაბარმნიშვნელოვანი არ არის. პირველს, თუნდაც ლოგიკურად სწორს, პოლიტიკური სამყაროს მიღმა დიდი ღირებულება არა აქვს, რადგან ის საკითხის ფაქტობრივად შეფასებას უდრის რწმენის სისტემიდან გამომდინარე, რაც აბსურდულია. ის არც პრაქტიკაშია დიდად ეფექტური, რადგან ძალიან მარტივია. კარგი სტრატეგიაა მის უკან მიმალვა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ეს აპლიკაციები პოლიტიკაში უთვალავია. ისინი გვიჩვენებს, რამდენად გულუბრყვილოა „ფაქტების" პედაგოგიური სიკეთე, რადგან მათსა და რწმენას შორის კავშირს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ფაქტებს შეუძლია რწმენის დანერგვა, მაგრამ რწმენას შეუძლია მათი უარყოფა: **ჭეშმარიტებას არავითარი პრივილეგია არ აქვს პოლიტიკური წარმოდგენების ჩამოყალიბების პროცესში.** ორი დარჩენილი პროცედურა ნაკლებად კარგია, რადგან ისინი სტრატეგიულ უკანდახევას გულისხმობს: რწმენა, რომელსაც უტევენ, ვერ გაძლებს მის მიერვე არჩეულ ბრძოლის ველზე. თუმცა სუბიექტს შეუძლია ჯიუტად გააგრძელოს თავისი სტრატეგია, რადგანაც მისი აზრით შექმნილი აქვს ლოგიკური ინტელექტუალური სისტემა, რაც მას თავიდან აცილებს სამყაროს ხედვის მისეული კონცეფციის გადასინჯვას.

ამგვარად, გასაგები ხდება როგორ რჩება წარმოდგენები უცვლელი, თუმცა ნაწილობრივ ცვლილებას მაინც განიცდიან, რაც მათ გარკვეულ მოქნილობას ანიჭებს. ახალი და a priori უხერხული ელემენტების დამატებით ისინი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არ წაიშალოს. ისეც ხდება, რომ უეცარი გამოფხიზლება მათ ანგრევს: ამის ტიპური შემთხვევაა სტალინისტი, რომელიც კარგავს რწმენას მას შემდეგ, რაც აღმოაჩენს, რომ საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა მითი არ არის. თუმცა მსგავსი მაგალითები იშვიათია და ადვილი გასაგებია რატომაც: პიროვნებისთვის უდიდესი ტრავმაა იმაში დარწუნება, რომ მთელი მისი ღირებულებების სისტემა ტყუილს ან შეცდომას ეყრდნობოდა. რწმენის ნაწილობრივი შეცვლა ნორმალურია და ხსნის პოლიტიკური წარმოდგენების გასაოცარ სტაბილურობას.

43. პოლიტიკური სამყარო არის მეტყველების სამყარო. — წარმოდგენების სამყაროს, პოლიტიკურ სამყაროს ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ **მეტყველებით გაშუალებული** სამყაროა. ასეთი დაზუსტება უსარგებლო იქნებოდა პოლიტიკური სამყარო რომ საკუთარ თავთან და სხვასთან კომუნიკაციის გამქვირვალე საშუალება იყოს. მაგრამ ასე არ არის. მეტყველებას ორი თვისება აქვს, რომელიც მას პოლიტიკაში შედარებით დამოუკიდებლობას ანიჭებს: ის ნორმატიულია და ინერციის ფაქტორია.

პოლიტიკური ენის ნორმატიული ხასიათი იმაში ვლინდება, რომ სიტყვები იმ დამატებითი კონოტაციების მატარებელია, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ანალიზისა და არგუმენტაციისგან. ფრანგულ ენაში სიტყვები „გარიცხვა", „მორალური წესი", „პოპულიზმი" ანათემებია,

---

[11] აქ უნდა მოვიმოქმედოთ modus rollens-ით: თუ წინადადება „თუ p მაშინ q" მართალია და „ q " მცდარი, p არის აუცილებლად მცდარი

[12] ამ მაგალითში არაფერია წარმოუდგენელი. როდესაც სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი" გამოქვეყნდა ზოგიერთი მოაზროვნე საჭიროდ თვლიდა ემტკიცებინა, რომ არ იყო სამართლიანი სტალინის ტერორზე სუბარი, თუ იქვე ნახსენები არ იქნებოდა ეკონომიკური მიღწევები საბჭოთა კავშირში. იგივე მოაზროვნეებისთვის შეიძლებოდა ამგვარი მსჯელობის შეთავაზება: მართალია ჰიტლერმა 6 მილიონი ებრაელი გაანადგურა, მაგრამ სამაგიეროდ როგორი გზატკეცილები დააგო! პოლიტიკურ წარმოდგენას არ სჭირდება ლოგიკური იყოს ფაქტებთან მიმართებაში და არ არის მზად იტვირთოს ის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს მისი წინაპირობებიდან.

[13] თუ ამ ფორმის წინადადება p> |(q>r) . (r>q)| არის ჭეშმარიტი და p არის ჭეშმარიტი, შეგვეძლება q ჭეშმარიტების ღირებულების ცოდნა r-ის ჭეშმარიტების დამყარებით და პირიქით.

რომლებიც a priori სახელს უტეხს ყველაფერს, რასთანაც გამოიყენება. წმინდა პოლიტიკური ეფექტი იმაში კი არ მდგომარეობს, რა ღირებულებით არის დატვირთული სიტყვები, არამედ იმაში, რომ მიკრული იარლიყით იცვლება საგნის მნიშვნელობა. სხვა სიტყვებით, მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ პოპულიზმი (თუ ამ სიტყვას საერთოდ აქვს აზრი) ცუდია, არამედ ის, რომ რაც პოპულიზმად არის შეფასებული, ასევე ითვლება ცუდად. ასევე ხდება ხოლმე, რომ გარკვეული მოვლენა მსმენელის მიერ დადებითად ან უარყოფიდად ფასდება. მაგალითად, ნაპოლეონი მომხრეებისთვის იყო „მისი აღმატებულება იმპერატორი", ხოლო მტრებისთვის „კორსიკელი ურჩხული". საინტერესო აქ ის არის, რომ ორივე დახასიათება ერთ ობიექტს ეკუთვნის: საკუთარი მნიშვნელობით ისინი იდენტურია, მაგრამ შინაარსით განსხვავებულია. ეს დაკვირვება ადასტურებს თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ენა რამდენად მოიცავს მიზანს თავის თავში. ამ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა ადამიანები რაციონალურად რომ ფიქრობდნენ: სიტყვები თავისთავად არ ხსნის საგნებს და მათ შესახებ ვერაფერს გავიგებთ, თუ უშუალოდ მათ არ შევისწავლით. თუმცა პრაქტიკაში ენის ინერცია საპირისპირო შედეგით მთავრდება. ამ კუთხით ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა „ბურჟუაზიის" უსიამოვნო თავგადასავალი. თავიდან სიტყვა ქალაქის იმ მცხოვრებლებს აღნიშნავდა, რომლებიც გარკვეულ პირობებს პასუხობდნენ და ზოგიერთ პრივილეგიას ფლობდნენ. შემდეგ, უზრუნველყოფილი კლასის წარმომადგენლების მნიშვნელობით იხმარებოდა, რომლებიც არისტოკრატიას არ მიეკუთვნებოდნენ. ამის მერე არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის დაპირისპირებამ მისი არსი შეცვალა და ის ბურჟუაზიულად მცხოვრებ ადამიანს აღნიშნავდა. არ იყო აუცილებელი მათ ცხოვრების მაღალი დონე ჰქონოდათ, ისინი არც შეძლებულ მოქალაქეებზე მაღლა იდგნენ. ასეთი იყო მისი გამოყენება სალაპარაკო ენაში. მაგრამ სოციალისტმა თეორეტიკოსებმა ამ სიტყვას ახალი ტექნიკური მნიშვნელობა მიანიჭეს. „ბურჟუა" მათთვის ნიშნავდა: „წარმოების საშუალებების მფლობელს" და შესაბამისად „ექსპლუატატორს". გობლო აღნიშნავდა, რომ ეს ორი მნიშვნელობა ერთმანეთს არ ჩრდილავს: შეიძლება იცხოვრო ბურჟუაზიულად ისე, რომ არ იყო არანაირი წარმოების საშუალების მეპატრონე. თავიდან, ეს ტექნიკური მნიშვნელობა თავისუფალი და ნეიტრალური, რევოლუციურ დატვირთვას იძენს. ამგვარად, ლენინისტური ლოგიკით, რევოლუცია, „საწარმოო საშუალებების ექსპროპრიაცია" ამართლებს იმ მასობრივ ტერორს, რომელიც მიმართული იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს კანონიერი იყო მოცარტის შემსრულებლების დასჯა, რომელიც „ბურჟუაზიულ კომპოზიტორად" ითვლებოდა. წითელმა ქმერებმა თავისებურად აიტაცეს ეს ლოგიკა და ელიტა ამოჟლიტეს. ყველაფერი ისე ხდებოდა, თითქოს თავისი კონტექსტიდან ამოვარდნილი „ბურჟუაზია" საკუთარ ლოგიკას ქმნიდა, რომელიც კატასტროფული იყო.

ნორმატიულობისა და ინერციის იგივე მოვლენები შეიძლება სხვა მაგალითით გაშუქდეს, რომელიც უფრო დააზუსტებს მის მექანიკას.

დავუშვათ პოლიტიკა სისხლის სამართლის სფეროში დაქვემდებარებულია შემდეგ აზრს: „პრევენცია უნდა ემჯობინოს რეპრესიას". უეჭველია, რომ პრევენცია კარგია და რეპრესია ცუდი: სიტყვები ამ მნიშვნელობას ატარებს, ფორმულა კი მათ ამყარებს. ეს მხოლოდ ერთი სახის შენიშვნას ბადებს: „სიკეთე ჯობია ბოროტებას". ვინაიდან შეიძლება გაჩნდეს სიკეთის განსაზღვრის მცდელობა a priori მიცემული შინაარსის მიხედვით კი არა, თვით იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ უმჯობესი უნდა იყოს და ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს: „ის რაც უმჯობესია უკეთესია იმაზე, რაც უმჯობესი არ არის". ასეთი ფორმით იდეა უცილობელია. ისინი, ვინც მას იზიარებს, მას მიიჩნევს ძირითად აზრად, რომელიც ფსიქოლოგიურად აშკარაა, ლოგიკურად ტავტოლოგიაა. მაგრამ ეს აზრი მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩება თუ არ მოგვცემს არჩევანის გაკეთების საშუალებას კრიტერიუმის შემოთავაზებით. ამისათვის ის გამოხატული უნდა იყოს გარეგნულად მსგავსი, მაგრამ სიღრმისეულად განსხვავებული ახალი ფორმით: „ნებისმიერი პრევენცია კარგია, ნებისმიერი რეპრესია ცუდი". ასეთი მტკიცებით განისაზღვრება მოქმედება: თუ ვინმე რეპრესიული ზომის მიღებას მოითხოვს, შესაძლებელი იქნება მისი უარყოფა იმ ძირითადი პრინციპის სახელით, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვაყალიბეთ. უბრალოდ, ამ მეორე ფორმით წინადადება აღარ არის ტავტოლოგია. ის შეიძლება იყოს მცდარი, მაგალითად, თუ აღმოჩნდება კარგი რეპრესიის ან ცუდი პრევენციის შემთხვევა. ბუნებრივია, ამგვარი შემთხვევები არსებობს, განსაკუთრებით კარგის ორაზროვანი მნიშვნელობის გათვალისწინებით: კარგია რაც მორალურია და ისიც, რაც ეფექტურია. საჭირო გახდება დაწვრილებით განხილვა იმისა, თუ რა არის კარგი და მეორე ფორმულის გამოყენება იქნება ლოგიკური შეცდომა: ის გულისხმობს იმას, რისი დამტკი-

ცებაც საჭიროა. მაგრამ ფორმულა ინარჩუნებს სიცხადეს და, შესაბამისად, დაშინების ძალას, რომელიც თავისი პირველი ტავტოლოგიური ფორმიდან აქვს. ახლა მას ლოზუნგის ფორმა აქვს. სიტყვა „რეპრესია" იწვევს დასჯის რეფლექსს, რომელიც გვათავისუფლებს რეალობის ყოველგვარი ანალიზისგან. როგორიც არ უნდა იყოს საკითხის საფუძველი, ამ სფეროში ყოველგვარი მოქმედება უნდა ითვალისწინებდეს ენის ინერციას.

სხვა სიტყვებით, პოლიტიკაში მოღვაწეობისთვის ძალიან სახიფათო ხდება როდესაც ლოზუნგის სისწორეში დარწმუნებულ აუდიტორიას მიმართავენ, ტერმინების დამატებითი მნიშვნელობების არცოდნა. ისინი ვერ გარისკავენ წინ წამოსწიონ „კარგი რეპრესიის" იდეა, როგორც ჩვენ ეს გავაკეთეთ. მათ დასჭირდებათ თავისი გამოსვლის შერბილება სიტყვა „რეპრესიის" გამოყენების თავიდან აცილებით, ანდა იმას, რაც „რეპრესიის" კატეგორიაში ჯდება, უწოდონ „პრევენციული". ენის თავისუფლება ამგვარ სტრატეგიას ყოველთვის შესაძლებელს ხდის. საპირისპიროდ, ორატორის მოწინააღმდეგეები შეეცდებიან ყველა იმ ქმედების „რეპრესიული" ხასიათი დაამტკიცონ, რომელსაც ორატორი პრევენციულს უწოდებდა. ყველაფერი ისე ხდება, თითქოს მნიშვნელობა ებმება სიტყვას და არა საკითხს. ეს ადვილი გასაგებია: ადამიანთა უმრავლესობა იმის გამეორებით კმაყოფილდება, რაც ასწავლეს.

როგორც ირკვევა, პოლიტიკური სამყაროს წარმოებული ანალიზი ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან უცნაური და პოლიტიკურად სპეციფიკური მოვლენების აღწერის საშუალებას იძლევა მათი სირთულის გათვალისწინებით. საპირისპიროდ, როგორ შეიძლება ამ რეალობაში გარკვევა თუ პოსტულატად ცხადდება ის, რომ პოლიტიკური შეგნება სოციალური სამყაროს მექანიკური არეკვლაა? ძნელია რაიმეს მოფიქრება. ავტორები, რომლებიც მარქსიზმს იშველიებდნენ, აცხადებდნენ, რომ სოციალური კლასები და ბრძოლა, რომელიც მათ ერთმანეთთან აპირისპირებს, განსაზღვრავს ისტორიას, მაგრამ ისინი არაფერია კლასობრივი შეგნების გარეშე. ეს არ გულისხმობს აუცილებლად რომელიმე კლასისადმი კუთვნილებას. ამის მერე ჩვენ ვაწყდებით განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც არ განსაზღვრავს, რაც პირველი ამოუხსნელი საიდუმლოა. თუ გვსურს შევინარჩუნოთ პოლიტიკური სამყაროს ობიექტურობის თავდაპირველი პოსტულატი, უნდა ვიპოვოთ ის, რაც რაიმეს განსაზღვრავს. ეს კი მეორე ამოუხსნელი საიდუმლოა. ამ პირობებში, უმჯობესი იქნებოდა თავი დაგვენებებინა პოსტულატისთვის და გვეღიარებინა, რომ პოლიტიკური სამყარო შემეცნების გამოვლენაა, შესაბამისად, ის არ არის მოკლებული კავშირებს გარე რეალობასთან, თუმცა მას უამრავი რთული, ორმაგი მნიშვნელობის ურთიერთობებით უკავშირდება და საკუთარი ლოგიკით და დინამიკით არის დაჯილდოებული. სამყაროს გაგება ძნელია, უსარგებლოა საკუთარ თავს ჰკითხო, რატომ არ არის ის, რაც უნდა იყოს, a priori თვითნებობიდან გამომდინარე.

ჩვენ დავადგინეთ, რომ პოლიტიკური სამყარო წარმოდგენების სამყაროა. ვნახეთ რა არის ამ წარმოდგენების თემა, როგორ შეუძლია მათი შიდა წონასწორობის შენარჩუნება და როგორ ზრდის ენის ინერცია სუბიექტური წარმოდგენების შეუსაბამობას: ისინი მიკერძოებულია; ისინი ანტაგონისტურია.

44. პოლიტიკურ წარმოდგენებს თავისი ინტერესები აქვს. — ის, რომ პოლიტიკური წარმოდგენები არ არის განსაზღვრული ობიექტური სამყაროთი, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მთლიანად თავისუფალი უნდა იყოს. ჩვენ დავაკვირდით, რომ მათ აქვთ რესტრუქტურიზაციის უნარი ახალ გამოცდილებასთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ მათ შინაგანი კავშირი ახასიათებს. ეს კავშირი იქიდან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური წარმოდგენები საკუთარი ინტერესების მქონე ცოდნაა. ეს მათ პირდაპირ აპირისპირებს მეცნიერულ წარმოდგენებთან. პრინციპში, მეცნიერის დამოკიდებულება ხასიათდება თავისუფლებით და ნეიტრალიტეტით: ის რეალობისგან სწავლობს და ერთ რომელიმე შედეგს არ ამჯობინებს სხვას. სამაგიეროდ, პოლიტიკური წარმოდგენები ყოველთვის წინასწარ არის განსაზღვრული სუბიექტის ადრინდელი ცხოვრებით, მისი ყველა ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, თუ სხვა თვისებებით. ამ წარმოდეგენების შემუშავება არ ხდება თავისუფალ მდგომარეობაში და სუბიექტიც ნეიტრალური არ არის პროცესის შედეგების მიმართ. მაგალითად, მოსამართლე ცდილობს გაარკვიოს არის თუ არა ბრალდებული დამნაშავე, თუმცა მისთვის პირადად სულ ერთია როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. ასე რომ არ იყოს, იგი მოსამართლის წოდებას ვერ დაიმსახურებდა. შეიძლება მოსამართლე და მეცნიერი ყოველთვის მიუკერძოებელ-

ნი არ არიან, მაგრამ ამით არ მცირდება მეცნიერებისა და მართლმსაჯულების ობიექტურობის ხარისხი. პოლიტიკურ წარმოდგენებთან დაკავშირებით ასეთ იდეალიზმს უბრალოდ აზრი არ აქვს. ვინაიდან პოლიტიკური სუბიექტისთვის პოლიტიკა მისი პირადი ინტერესების სფეროა და მამოძრავებელი მიზეზი, მისი დამოკიდებულება პრობლემის მიმართ განსხვავებულია. მუშა, რომელიც სიძნელეების მქონე საწარმოში მუშაობს, იმედოვნებს, რომ საწარმოს რესტრუქტურიზაცია, რომელიც სიტუაციის გამოსწორებისთვის აუცილებელია, განხორციელდება დათხოვნების გარეშე. სახელისუფლებო პარტიის აქტივისტი თვლის, რომ მისი პარტიის ხელში უმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო თუ საქმეში ოპოზიცია ჩაერთვება, ის გაუარესდება. თუ პოლიტიკურ მოღვაწეს კორუფციაში დაადანაშაულებენ, მისი ბრალეულობა დამტკიცდება პოლიტიკური ფერის მიხედვით. სტალინისტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა საკონცენტრაციო ბანაკები, ხოლო მას, ვისაც ნაციზმზე სწყდება გული, ვერ წარმოუდგენია, რომ გერმანელებს ოდესმე გაზის კამერები ჰქონდათ. ყველა ამ მაგალითში რეალობა არ ფასდება, როგორც თავისთავად არსებული. საკითხის გადაწყვეტა არ არის სულ ერთი. ის ორიენტირებულია ადრე არსებულ რწმენებისა და ინტერესებიდან გამომდინარე.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ინტერესები, რომლებზეც საუბარია მხოლოდ ობიექტური და მატერიალური არ არის. ისინი შეიძლება სუბიექტური და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტერესს მოკლებული იყოს. აქტივისტი, რომელიც თანაპარტიელის უდანაშაულობას ამტკიცებს, მატერიალურ ინტერესზე არ ფიქრობს, აქ საქმეში ერთვება მისი რწმენა, თავდადება, საკუთარ თავზე წარმოდგენა. თუ იგი აღიარებს, რომ ცდება, მაშინ ავტორიტეტს დაკარგავს სხვების და თავისი თავის წინაშე. ან ბოლომდე თავის აზრზე უნდა დარჩეს, ანდა, თუ სხვაგვარად ვერ იქცევა, იმ საკომპენსაციო მექანიზმებს უნდა მიმართოს, რომელიც უკვე გავაანალიზეთ.

ინტერესების ბუნებაში არსებული ეს მრავალფეროვნება იმ შენიშვნას აბათილებს, თითქოს შესაძლებელია წარმოდგენებზე მალულად ზემოქმედების განხორციელება. ობიექტური ინტერესი, მაგალითად მუშის ინტერესი, რომელსაც ეშინია სამსახურიდან დათხოვნისა, არსებობს, მაგრამ სხვა ინტერესებთან ერთად: შეიძლება პოლიტიკურმა რწმენამ მას აზრი შეაცვლევინოს შექმნილ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ეს ინტერესი იმ გლობალურ წარმოდგენაშია გააზრებული, რომელიც, როგორც მოგვიანებით ვნახავთ, მოიცავს წინასწარ ვარაუდებს და ალტერნატივას: მუშის ქცევა იმის მიხედვით შეიცვლება, თუ რამდენად აქვს მას სამუშაოს იოლად პოვნის იმედი, ან შტატების შემცირებას რამდენად გარდაუვალ ფაქტად თვლის.

ბოლოს უნდა დავამატოთ, რომ წარმოდგენების მოქნილობა არ გამორიცხავს ფაქტების აღიარებას მთელი მათი ობიექტურობით. ზოგიერთ ადამიანს შესწევს ძალა დაუშვას სიმართლე, რომელიც არ შეესაბამება სამყაროს მისეულ აღქმას. თუმცა უარი უნდა ვთქვათ იმ აზრზე, რომ პოლიტიკოსი რეალობას აღიქვამს ისე, როგორც ის სინამდვილეშია, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როდესაც განსაკუთრებული მიზეზით ინტერესის შეცვლა მას უარს არ ათქმევინებს ამაზე. უფრო სწორი საპირისპიროა: ინტერესი ქმნის პოლიტიკურ წარმოდგენებს და ამ ძირითად მიკერძოებას მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევით თუ გავექცევით. როგორი არასასიამოვნოც არ უნდა იყოს, ასეთი შედეგი იმის დამატებითი დასტურია, რომ არ არსებობს პოლიტიკური წარმოდგენების ობიექტური განპირობება და თუ ასე გვირჩევნია, პოლიტიკური სამყარო წარმოდგენებისგან შედგება.

45. პოლიტიკური წარმოდგენები კონფლიქტურია. — ჩვენ აქამდე ტრანსცენდენტურ პოლიტიკურ სუბიექტს ვიხილავდით. მაგრამ ეს საკითხის გამარტივებაა, ვინაიდან მარტო ერთი პოლიტიკური სუბიექტის არსებობა არარეალურია. თავის კუნძულზე მარტო მყოფი რობინზონი არ არის პოლიტიკური სუბიექტი. გარემოსთან მას იგივე დამოკიდებულება აქვს, როგორც ნებისმიერ ცხოველს. შეიძლება ითქვას, მისი სტრატეგია იმაში გამოიხატება, რომ თავი გამოიკვებოს და შეეცადოს სხვამ არ შეჭამოს. ამისთვის გამოყენებული საშუალებები მისი ძალისა და გონივრული მონაცემების პროპორციულია. მის ქცევაში არაფერია პოლიტიკური, თუ მხოლოდ მეტაფორას არ გამოვიყენებთ. აქცევს მას პარასკევასთან შეხვედრა პოლიტიკურ სუბიექტად? ჯერ არა. თუმცა თამაში რთულდება, რადგან აქ ურთიერთობის ახალი ტიპები ერთვება: სიყვარული, დამორჩილება და სხვა. ორ ინდივიდს შორის ძალისმიერი ურთიერთობები მყარდება, თუმცა ისინი უშუალოა. ადამიანი ადამიანისათვის ჯერ კიდევ ბუნებაა: ის მას იმორჩილებს ან ემორჩილება, უყვარს ან მისი სიყვარულის ობიექტია, კლავს ან მისი ხელით არის მოკლული,

მაგრამ ეს ჯერ არ არის პოლიტიკა. უმცირესი პოლიტიკური საზოგადოება სამი სუბიექტის კონფრონტაციას საჭიროებს, ვინაიდან თითოეულს არჩევანის შესაძლებლობა აქვს: არჩევანის გაკეთება ორ ალიანსს შორის, არჩევანი არსებული ალიანსის შენარჩუნებასა თუ დარღვევას შორის. ეს აცილდება უბრალო ძალისმიერი ურთიერთობის ფარგლებს. აქ იწყება ისეთი ურთიერთობების სამყარო, რომელიც პიროვნებების კონკრეტულ თავისუფლებას ზრდის, მაგრამ გარკვეულ დაუკმაყოფილებლობასა და შიშს იწვევს. ამ სიღრმეში იკვეთება სიტყვა „პოლიტიკის" მნიშვნელობებიდან ორი, რომელიც წინა თავებში განვიხილეთ. სამ ადამიანთან უკვე ჩნდება სტრატეგია და შეფასებითი მსჯელობები: „მოხერხებულნი" ძალიან ადვილად ხდებიან „საშიშნი".

მრწამსის მრავალფეროვნება შეადგენს პოლიტიკურ სამყაროს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი წევრი არ არის ინდივიდუალური სუბიექტი, არამედ ეს იმაზე მეტყველებს, რომ ინდივიდუალური სუბიექტი ხდება პოლიტიკური სუბიექტი არანაკლებ ორ პარტნიორთან ინტერაქციისას. ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ თავისი სტრუქტურით პოლიტიკური წარმოდგენები მრავალფეროვანია.

პოლიტიკური წარმოდგენები ბევრია და ანგარებიანი. ბევრი ანგარებიანი წარმოდგენა შეიძლება იყოს თანხვდენილი. ასეთია გემის კაპიტნისა და მეზღვაურების საერთო წარმოდგენა, დაფუძნებული საერთო ინტერესზე: ეს არის პორტში დაბრუნების სურვილი. ანგარებიანი წარმოდგენების უმეტესობა ყოველთვის არ სვამს რეალურად კონფლიქტის საკითხს, რადგან თითოეული ინდივიდუალური სუბიექტი, თავისი პირადი ინტერესებით ეჯახება სხვების ინტერესებს. სხვა სიტყვებით, ინტერესები შეიძლება ერთმანეთს შეესაბამებოდეს ან მათ შორის დამყარდეს modus vivendi. მაგრამ აუცილებელი არ არის ყოველთვის ასე მოხდეს, ამის გარანტიას არ იძლევა არანაირი ადრე დამყარებული ჰარმონია. ზოგიერთი თეორეტიკოსის მიერ შემუშავებული ინტერესების თანხვედრის მოდელები პოლიტიკაში გამოუყენებელია, რადგან ამ სფეროში ადამიანების მიერ ნავარაუდები დაკმაყოფილებულობა წარმოუდგენელია, იმის მიუხედავად რეალური იქნება ის თუ სიმბოლური. ეკონომიკაში, თუ არ ჩავთვლით დეფიციტურ სიტუაციას, თითოეულ ადამიანს შეუძლია მისთვის საჭირო საკვების მიღება, რადგან როცა ადამიანს ერთი ნაჭერი პური უნდა, მას მხედველობაში არა აქვს კონკრეტული ნაჭერი. სამაგიეროდ პოლიტიკაში მოგებით ვერ დატკბები ისე, თუ მას სხვას არ წაართმევ: ყველა პარტია ერთდროულად ვერ მოვა ხელისუფლებაში, ვერც პრეზიდენტი გახდება ყველა ერთად. აქედან გამომდინარეობს ის, რომ პოლიტიკური კონფლიქტები მარტო ადრე არსებული და უნივერსალური კონფლიქტების რეპროდუქცია არ არის. მაგრამ ასევე ისიც მართალია, რომ პოლიტიკურმა არჩევნებმა უნდა განახორციელოს არბიტრაჟი წინააღმდეგობრივ ინტერესებში: არ შეიძლება პროფკავშირების როლის გაზრდა პატრონატის ძალაუფლებაზე ზემოქმედების გარეშე და ა.შ.

ეს დასკვნები საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ შენიშვნას, რომელიც შეიძლება ჩვენს წინა მოსაზრებაზე გაკეთდეს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფაქტის პოლიტიკური ხასიათის აღიარებაში მონაწილეობს გარკვეული ნება, თუ ეს ფაქტი არ გამომდინარეობს რომელიმე ობიექტური გადაწყვეტილებიდან. ინდივიდუალურ მრწამსზე შეიძლება ითქვას, რომ ზუსტ ისტორიულ კონიუნქტურაში ფაქტის პოლიტიკური ან სხვა ხასიათი განსაზღვრულია ისევე ობიექტურად და ურყევად, როგორც ბუნებრივი მოვლენის ფაქტი. თუ მაგალითად, ნებისმიერს შეუძლია დაამტკიცოს, რომ: „ხელოვნება არ არის პოლიტიკური". ასეთი პოზიცია არაფერს შეცვლის იმ ძირითად კონცეფციებში, რომელიც არსებობს პოლიტიკური სამყაროს გაზვიადებული როლით დატვირთულ რევოლუციურ პერიოდში. პიროვნება ვერ გაბედავს თავისი შეხედულების წარმოჩენას. ეს სახიფათოც კი იქნება. მისთვის პოლიტიკური სამყარო იქნება ობიექტური. ახლა გასაგებია, რომ შენიშვნა არ იქნება კარგად დასაბუთებული, რადგან თუ ინდივიდუალური მრწამსია პოლიტიკური წარმოდგენების თემა, ინდივიდუალური მრწამსი ასევე ურთიერთქმედებაშია სხვა ინდივიდუალურ რწმენებთან. მარტო თავის აზრთან დარჩენილი პიროვნება აწყდება კედელს, რომელიც ისეთივე ძნელი გადასალახავია, როგორც ბუნების კანონის უარყოფა. ასეთი მდგომარეობა, რომელსაც ყველა ხვდება, მეტწილად ნაცნობი ილუზიაა, რომელიც პოლიტიკურ სამყაროს ფსევდო-ობიექტურ ხასიათს ანიჭებს. ეს მართლაც ილუზიაა. ჩვენს წინაშე არსებული რეალობა არ არის ბუნებრივი, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ საკუთარი ძალებით მისი შეცვლა. ის მხოლოდ სხვა პიროვნებების მრწამსით გადმოცემული რეალობაა.

46. პოლიტიკურ სამყაროში სიმართლეს არ აქვს პრივილეგირებული მდგომარეობა. — ყველაფერი იქიდან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური სამყარო ფუნქციონირებს ჭეშმარიტების ცნების მოშველიების გარეშე. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება არ არსებობს, ან რომ ის არ გამოირჩევა ძალისმიერი სოციალურ-პოლიტიკური კავშირებისგან. პოლიტიკურ სფეროში, როგორც სხვა სფეროებში, არსებობს სიმართლე და შეცდომა, ადამიანები, რომლებიც ცრუობენ და ამბობენ სიმართლეს. მაგრამ მთავარია დავინახოთ, რომ პოლიტიკური სამყაროს ლოგიკა არ ანიჭებს სიმართლეს არავითარ ონტოლოგიურ პრივილეგიას. პოლიტიკაში სწორი წარმოდგენა არაფრით არის ცრუ წარმოდგენაზე ეფექტური და უმჯობესი. ის უბრალოდ, განსხვავებულია და სხვებივით ექვემდებარება ანგარებიანი ცნობიერებების ინტერაქტიურ თამაშს. შესაძლებელია პოლიტიკური სამყაროს ამომწურავად აღწერა ჭეშმარიტების კონცეფციის გამოყენების გარეშე. თუ ლაპლასის პაროდირებას მოვახდენთ, შეიძლება მისგან სისტემის შექმნა, ისე რომ არ დაგვჭირდეს ეს ჰიპოთეზა.

ახლა უკვე ვიცით, რომ წარმოდგენები, რომლებისგანაც შედგება პოლიტიკური სამყარო, მრავალი და კონფლიქტურია. თუმცა ეს დასკვნა პოლიტიკური სამყაროს ჯერ მხოლოდ სტატიკურ და პოტენციურ სურათს გვთავაზობს, რაც არ არის ჭვრეტის სამყარო. პოლიტიკაში, უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, მართლდება გოეთეს სიტყვები: თავიდან იყო მოქმედება და მხოლოდ აბსტრაქციით არის შესაძლებელი ამ მოქმედების შესაძლებლობის პირობების გამოცალკევება.

2/ პოლიტიკური სამყაროს დინამიკა

47. პოლიტიკურ აქტზე გაღასელა. — რა ხდის შესაძლებელს პოლიტიკურ მოღვაწეობას? როგორ ხდება ტრანსცენდენტული პოლიტიკური სუბიექტი აქტიური პოლიტიკური სუბიექტი? ამ ცვლილებას ნათელს ხდის პოლიტიკურ აქტზე გადასვლა. პოლიტიკური აქტი შეიძლება იყოს იშვიათი, სახიფათო და გრანდიოზული: მაგალითად, როდესაც რევოლუციონერი ახდენს რევოლუციას. ის ასევე შეიძლება იყოს შეზღუდული და ყოველდღიური: მაგალითად, ამომრჩეველის მიერ ხმის მიცემა, დემონსტრაციებში მონაწილეობა, პარტიული მოღვაწეობა.

რა არის პოლიტიკურ აქტზე გადასვლის პირობა? ეს არის წარმოდგენა. მართლაც, პოლიტიკური აქტი გულისხმობს ორ ან რამდენიმე შესაძლებელ მომავალზე დაყრდნობით მონაცემების ექსტრაპოლაციას; აქედან ერთ-ერთი მომავალი იქნება მონაცემების განხორციელება, ის ასევე გულისხმობს, რომ პოლიტიკური სუბიექტისთვის ეს რამდენიმე მომავალი არ არის ერთნაირი და ეს უკანასკნელი თვლის, რომ შეუძლია მოვლენების განვითარებაზე ზემოქმედება. თუ არც ერთი ალტერნატივა არ არის მისაღები, თუ ყველანაირი მომავალი მისაღებია, თუ მომავალს მხოლოდ ვანგება განსაზღვრავს, სუბიექტი პოლიტიკურად პასიური იქნება. პოლიტიკური აქტი გულისხმობს რამდენიმე მომავალს, არაერთნაირად სასურველს და მათ შორის არჩევანი ადამიანის ჩარევის შემდეგ კეთდება.

ეს სხვადასხვა მომავალი ხშირად გლობალურ და ძნელად მისაღებ ხასიათს ატარებს: როგორიცაა უკლასო საზოგადოების დამყარება. სხვა შემთხვევებში, ისინი სპეციფიურია და მოლაპარაკებებს ექვემდებარება: დღევანდელი სამყარო, პლუს მოსამსახურეების ხელფასების ორპროცენტიანი ზრდა. თუ ერთ-ერთი ალტერნატიული საკითხი ეხება statu quo-ს შენარჩუნებას, ამის მომხრეების პოზიციას ტექნიკური ტერმინით — *კონსერვატიზმით* აღნიშნავენ.

პოლიტიკის არსებობა უშუალოდ არის განპირობებული წარმოსახვაში სხვა სამყაროს არსებობით, რომელიც განხორციელებადი და უკეთესია. სწორედ ამ ორი სამყაროს შედარება ქმნის პოლიტიკურ დინამიზმს. თუ არაფერი იქნება ერთდროულად განსხვავებული, სასურველი და შესაძლებელი, სამყარო იქნებოდა ისეთი, როგორიც არის; ცნობიერება, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო მხოლოდ რეალობის ამსახველი იქნებოდა. წარმოსახვაში ის მოქმედების შესაძლებლობას პოულობს, მაგრამ ასეთი თავისუფლება უფერულდება დაურწმუნებლობით. ორმაგი დაურწმუნებლობითაც კი: გადაუწყვეტლობა იმაში, თუ რა უნდა ისურვო, ვინაიდან პოლიტიკურ სამყაროში, ეკონომიკური სამყაროსგან განსხვავებით, უპირატესობების რაოდენობა განუზომელია; გაურკვევლობა იმაში, თუ რა მივიღეთ, რადგან ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით, წარმოსახვის რეალურად ქცევა პოლიტიკურ სამყაროში არასაიმედოა.

48. პოლიტიკური სამყარო განუზომელი პრეფერანსების სამყაროა. — პოლიტიკურ სამყაროში ინდივიდუალური უპირატესობების მინიჭება მხოლოდ სხვა პრეფერანსებს როდი უპირისპირდება ღიად თუ პოტენციურად. ისინი საკუთარ თავთანაც მოდის წინააღმდეგობაში. მართლაც, თითოეული პიროვნება უპირატესობას ანიჭებს ერთდროულად სხვადასხვა რამეს. მათგან ზოგიერთის განხორციელება ხელს შეუშლიდა დანარჩენების განხორციელებას. ეს მდგომარეობა იოლად ასატანი იქნებოდა, თუ პიროვნება თვითონ შეძლებდა სწორი კრიტერიუმებით თავისი წინააღმდეგობრივი სურველების აწონ-დაწონვას. ის ვერ მიიღებდა ყველაფერს რაც სურს, მაგრამ ეცოდინებოდა საითკენ მიემართა თავისი ძალები განსხვავებული სურვილების ობიექტური კონფრონტაციისას. სამწუხაროდ, პოლიტიკაში ეს შესაძლებელია, რადგან იქ განუსაზღვრელი რაოდენობით ხდება უპირატესობების მინიჭება. მათ შორის არჩევანი გარდაუვლად თვითნებურია.

ამ საკითხში უკეთ გავერკვევით, თუ მოვიშველიებთ ეკონომიკურ სამყაროსთან შედარებას. მისი ჰარმონიულობა ემყარება ყველაზე არაორდინალური ერთეულების საერთო საზომში გაერთიანების შესაძლებლობას. A priori არაფერი აქვთ საერთო შექსპირს და ერთ წყვილ ჩექმას. როდესაც ტოლსტოი აცხადებდა, რომ პირველს მეორეს ამჯობინებდა, ის ამით წმინდად სუბიექტურ პოზიციას გამოხატავდა; სუფთა ფსიქოლოგიურ, გასაანალიზებლად შეუძლებელ ფაქტს. ყველასთვის ცნობილია, რომ გემოვნებაზე არ დავობენ. მხოლოდ მათი კონსტატირება შეიძლება. გარდა ამისა, ზოგიერთისთვის ის არის განცდა და არა არჩევანი. ჩვეულებრივ, ის არ არის სტრატეგიის საგანი და არ მართლდება რაციონალურობით. ამასთანავე, ეკონომიკური სამყარო არ დადის სპონტანური სურვილების ასეთ პრიმიტიულ სტადიაზე. შექსპირიც და ჩექმებიც, როგორც სხვა დანარჩენი, შეიძლება ერთადერთი და აბსტრაქტული ეტალონით — ფულით გაიზომოს: ფულით გამოხატული ღირებულება ხსნის ინდივიდუალური პრეფერანსების სუბიექტურ ფაქტორებს; მაგრამ ის მოიცავს აგრეთვე ნაწილობრივ ობიექტურ ფაქტორს — სარგებლიანობას და ფაქტობრივ მონაცემს — იშვიათობას. ერთი წყვილი ჩექმა ფიზიკური არსებობისთვის ნამდვილად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ოქსფორდის ფოლიოს გამომცემლობა. მაგრამ ნაკლებად იშვიათია და შესაბამისად, ნაკლებად ძვირი. ამ ფენომენის გაგებამ შეადგინა ნაკლებად ავტორიტეტული ეკონომისტების ძირითადი აღმოჩენა. ასეთი მიდგომით სტრატეგია შესაძლებელი ხდება, რადგან ფულის საშუალებით ყველანაირი ქონება იცვლება ერთმანეთში და პირველადი უპირატესობები შეიძლება დაკმაყოფილდეს არა მაშინვე, არამედ შუამავლის საშუალებით — ბაზრის ჩარევით. გარდა ამისა, სტრატეგია შეიძლება რაციონალურიც იყოს, ვინაიდან არჩევნები შეიძლება თანაზომადი იყოს: ირაციონალური იქნებოდა ორი ჩექმა ვამჯობინოთ იშვიათ გამოცემას, რადგან იშვიათი გამოცემის გაყიდვით ბევრი ჩექმის ყიდვა შეიძლება.

პოლიტიკურ სამყაროში არაფერი ამგვარი არ არსებობს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური სამყარო არის უპირატესობების სამყარო, რადგანაც ეს არის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ზოგიერთ სფეროში, რაც განსაზღვრავს პოლიტიკურ სუბიექტს, როგორც ასეთს. მაგრამ ეს არის განუზომელი პრეფერანსების სამყარო. ავიღოთ ამომრჩეველი, რომელიც აფასებს ერთი რომელიმე პარტიის ეკონომიკურ პროგრამას. მაგრამ არა მის კურსს საგარეო პოლიტიკაში. როგორ უნდა მოხდეს ამ ელემენტების კონვერტირება ერთ მთელად და მათი შედარება მოწინააღმდეგე პარტიის არჩევანთან? ამომრჩეველი იძულებული იქნება არჩევანი გააკეთოს, რადგან თავის შეკავებაც უკვე არჩევანის გაკეთებაა. ეს არჩევანი არ იქნება აუცილებლად შემთხვევითი: აქ შეიძლება არსებობდეს შეფასების ობიექტური ელემენტები. მაგრამ არჩევანი აუცილებლად იქნება თვითნებური იმ მიმართულებით, რომ იქ არ იქნება ობიექტური შედარება დადებითი და უარყოფითი მხარეებისა.

იგივე პრობლემა წამოიჭრება, თუ დავუპირისპირებთ არა ერთი ალტერნატივის ორ პუნქტს, არამედ რომელიმე გადაწყვეტილების ღირებულებასა და სარგებლიანობას. გამოცდილებით დადგენილია, რომ არც ერთი არჩევანი არ არის მთლიანად პოზიტიური და არ არსებობს საპირისპიროს გარეშე.

მფარველი სახელმწიფოს განვითარება უზრუნველყოფს ადამიანებს უსაფრთხოებითა და თანასწორობით. არსებობის გაუთვალისწინებელი შემთხვევები შემცირებულია, რისკები შეზღუდული და სხვისი კეთილდღეობა ნაკლებად შემაწუხებელია. მაგრამ ამის სანაცვლოდ ადგილი აქვს ბევრ სხვა იძულებას, ინიციატივების შეზღუდვას, ბიუროკრატიულ ინფლაციას და ა.შ. რა ეტალონით გამოიხატება და იზომება უსაფრთხოების ზრდა და თავისუფლების შეზღუდვა? აქაც

არჩევანი თავისუფალია. რა თქმა უნდა, აქაც არის უსიამოვნო გამეორებები უპირატესობების მინიჭებაში და შეიძლება იმის მტკიცება, რომ თვითნებობის ხარისხი ყოველთვის ერთნაირი არ არის. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანები, რომლებიც იკავებენ „სუსტების" და „ძლიერების" პოზიციას (ცოტა არ იყოს ბუნდოვანი ცნებებია) სავარაუდოდ უფრო რაციონალურ არჩევანს აკეთებენ, ვიდრე ის ადამიანები, რომელთაც შუალედური პოზიცია უკავიათ: „სუსტებს" აინტერესებთ სოციალური დაცვის გაზრდა, „ძლიერებს" საპირისპირო ინტერესები აქვთ. მიუხედავად ამისა, ყველა არჩევანზე მოდის უკონტროლობის წილი, რომელიც არ მცირდება, რადგან სოციალურ ცხოვრებას და ისტორიას თავისი ხრიკები აქვს. ან ავიღოთ ასეთი კითხვა: რა ჯობია კარაქი თუ ქვემეხები? სუბიექტურად, ინდივიდუალური პრეფერანსების მიხედვით, ხდება ფსიქოლოგიური (ქვეცნობიერი გარეშე მუქარის პირისპირ ან მომავლის შიში; დამსახურების შესაბამისი ანაზღაურების მიღების სურვილი ან ფუფუნების სიყვარული — ერთი და იგივე დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს ან მოწონების სიტყვებით ან კნინობითი ფორმით, სუბიექტის დამოკიდებულების მიხედვით და საჭიროა უსარგებლო მითითებების მოშორება) და იდეოლოგიური (სამშობლოს კეთილშობილური ზრუნვა ან აგრესიული ნაციონალიზმი; სილაჩრე ან პაციფიზმი — ასევე მოსაშორებელია) პარამეტრების ჩართვა: ობიექტურად, ეს ხდება საერთაშორისო კონიუნქტურის მიხედვით, პოტენციური მოწინააღმდეგეებიდან გამომდინარე, შეიარაღების შესაბამისად და ა.შ. უბედურება ის არის, რომ ობიექტურად კონიუნქტურა ყოველთვის სუბიექტურია. მტერს უნდა ომი? დათმობები შესაძლებელს გახდის უარესის თავიდან აცილებას თუ პირიქით, აგრესორს სულ უფრო მეტი მოთხოვნების სურვილს გაუღვივებს? დაურწმუნებლობა ასეთ სიტუაციებში არ არის სავალალო კონიუნქტურული შემთხვევითობა. ის არის განმსაზღვრელი რეალობა.

1936 წელს ფასიან შვებულებებს ქვემეხების დამზადება სჯობდა, თვით ამ შვებულებებით მოსარგებლეთა აზრითაც, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი ტანჯვისა და უბედურების აცილება შეიძლებოდა ჰიტლერზე სწრაფი გამარჯვებით, მაგრამ მდიდარი და ღარიბი კლასების მოკლევადიანი ინტერესების შერწყმამ და მცდარმა გათვლებმა, შეამცირა ომის რისკი, მაგრამ შეუძლებელი გახადა იმ არჩევანის გაკეთება, რომელიც a posteriori, რაციონალური ჩანდა.

თუ მკითხველს ეს მაგალითი სქემატურად მოეჩვენება (ის ასეთია, მაგრამ მისი მიზანიც ეს არის), აი მეორე, უფრო რაფინირებული. 1920 წლის 27 დეკემბერს ტურის კონგრესის ტრიბუნიდან, ლეონ ბლუმმა ახსნა პროლეტარიატის დიქტატურის კონცეფციაში არსებული ის განსხვავებები, რომელიც მას აშორებდა III ინტერნაციონალის მომხრეებს. მისთვის და მისი მეგობრებისთვის ის არ უნდა ყოფილიყო კონკრეტულად ვინმესთან დაკავშირებული, მაგალითად გარკვეული ადამიანების ჯგუფთან. ის ასევე უნდა ყოფილიყო დროებითი. მისი მიღების მომხრეებისთვის კი ის იყო „არა რევოლუციისთვის აუცილებელი საჭიროება, არამედ მართვის საშუალება". ერთმა დელეგატმა ბლუმს სიტყვა გააწყვეტინა და შეეკითხა: „შეგიძლიათ თქვენი პოზიციის დასაცავად რაიმე ციტატა მოიყვანოთ"? ბლუმმა არ უპასუხა. შეიძლება არც ჰქონდა სათანადო ციტატა. თუმცა ვის შეუძლია უარყოს ბლუმის პოზიციის წინასწარმეტყველური ხასიათი? (იმაზე წინასწარმეტყველური, ვიდრე თვითონ წარმოიდგენდა). მაგრამ აქაც, მხოლოდ a posteriori შეიძლება დადგინდეს ვინ იყო ამ საკითხში მართალი.

49. პოლიტიკური სუბიექტის ბანჭერეტები არასაიმედოა. — ის, რომ სწორი გადაწყვეტილების ცოდნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ a posteriori, ეს იმის შედეგია, რომ პოლიტიკური დინამიკა წარმოიშობა ორი წარმოდგენის შედარებით, რეალურ სამყაროზე წარმოდგენისა და ისეთი სამყაროს წარმოდგენით, რომელიც ერთდროულად შესაძლებელიც ჩანს და სასურველიც. მართლაც, ერთიდან მეორეზე გადასვლა ხორციელდება იმ ოპერაციის საშუალებით, რომელიც ამტკიცებს, რომ თუ შესრულდა რაიმე ქმედება, მას მოპყვება გარკვეული შედეგი. ეს წინადადება იგივეა, რაც ლოგიკის მატერიალური პირობა თუ p მაშინ q. ფიზიკურ სამყაროში ეს მტკიცება ნდობას იმსახურებს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო ცოცხალი ჯიშების გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა: როგორ მოხდებოდა გამოკვება, თუ ნებისმიერი საკვები, არასაიმედო პროცესის ანაბარა, იქნებოდა ვარგისი ან მომაკვდინებელი? თვით ისეთ სამყაროშიც, რომელიც ექვემდებარება „ბუნების კანონებს" მარცხი შესაძლებელია როდესაც მოსალოდნელი შედეგი არ მიიღება, მეცნიერები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას „კანონების" შესასწორებლად ან შესაცვლე-

ლად.[14] მაგალითად, თუ რომელიმე საკვები პროდუქტი იწვევს მოწამვლას, დააზუსტებენ, რომ მას უკუჩვენება აქვს ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის, რომ ის გაფუჭებულია, ან დაადგენენ, რომ საკმაოდ ხშირად ხდება საშიში იმისთვის, რომ საკვები პროდუქტების სიაში იყოს. ეს სტრატეგიები საშუალებას იძლევა a posteriori დაისვეწოს ჩვენი ცოდნა რეალობაზე და შემდგომში უკეთესი წინასწარმეტყველების იმედს გვიტოვებს.

პოლიტიკურ სამყაროში „თუ p მაშინ q-ს" მსგავსი მსჯელობა გაცილებით სუსტია. მოსალოდნელ ეფექტსა და მიღებულ შედეგს შორის განსხვავება ხშირად მნიშვნელოვანია. თანაც პოლიტიკური სუბიექტის განჭვრეტები არასაიმედოა და ორმაგად არასაიმედოც კი: არასაიმედო, რაც შეეხება მოვლენების სპონტანურ განვითარებას იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ჩარევა და არასაიმედო, რაც შეეხება ჩარევის შედეგად მიღებულ შედეგებს, საპირისპირო შემთხვევაში. პოლიტიკოსები თავისი ძალაუფლების გასამყარებლად იწყებენ ომებს, რასაც ეს ძალაუფლება ეწირება. უმრავლესობა ხელისუფლებაში დასარჩენად ისეთ საარჩევნო კანონებს იღებს, რომლებიც მომავალში მათ მარცხს განაპირობებს. სოციალური ჯგუფები და ადამიანიები ისეთ პარტიებს უჭერენ მხარს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სწორედ მათი ინტერესების საპირისპირო პოლიტიკას ატარებენ და ა.შ. ყველა ეს შემთხვევა სავარაუდოდ მარცხს იწვევს: მოქმედებენ იმ აზრის შესაბამისად, რომ თუ x მაშინ y და ღებულობენ z. სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა დასკვნები შედეგების შესაბამისად გაკეთდეს აქ სავსებით შეიძლება გამოყენებული იქნეს. თუმცა გაცილებით ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ფიზიკურ სამყაროში.

50. პოლიტიკური სამყაროს განუსაზღვრელობის პრობლემა. — ნაადრევი იქნება იმ დასკვნის გაკეთება, რომ პოლიტიკური სამყარო თავიდან ბოლომდე განუსაზღვრელია, რომ იქ ყველაფერი შემთხვევით ხდება და ნებისმიერი რაციონალური მოქმედება მარცხისთვისაა განწირული. ჩვენი ცოდნა ამასთან დაკავშირებით ნამდვილად არასრულია. ის, რომ მათზე დამყარებული დასკვნები და მოქმედებები ასე ნაადრევია პოლიტიკურ სფეროში, სავარაუდოდ ორი მარტივი მიზეზით არის გამოწვეული. პირველი მდგომარეობს პოლიტიკური მოვლენების უკიდურეს სირთულეში: აქ იმდენი პარამეტრია ჩართული, რომ ყველას ცოდნა და გამოყოფა შეუძლებელია, მათი ინტერაქცია იმდენად ძლიერია, რომ ზუსტი დეტერმინიზმის შემთხვევაშიც დარჩება შთაბეჭდილება თითქოს ნებისმიერ რამეს ნებისმიერი რამის წარმოქმნა შეუძლია. მეორე იმ ფაქტს ემყარება, რომ ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით აქ შეუძლებელია რაიმე ექსპერიმენტის ჩატარება. ეს გარკვეულწილად წინა პუნქტს უკავშირდება: რაც უფრო რთულია რეალობა, მით უფრო პრობლემატურია მნიშვნელოვანი და აბსტრაქტული მოდელის შექმნა. ეს ასევე პრაქტიკის ისეთ დაბრკოლებებს უკავშირდება, რომელთა გვერდის ავლაც შეუძლებელია: ვერ შექმნი in vitro პოლიტიკურ საზოგადოებას მიკრობების კოლონიის მსგავსად.

რაც არ უნდა იყოს, მთავარია დავინახოთ, რომ პოლიტიკურ არჩევნებთან დაკავშირებული დაურწმუნებლობის კოეფიციენტი განსაკუთრებით მაღალია ამ სფეროში არსებული არასაიმედო დასკვნების გამო. შესაბამისად, ძალიან სუსტია კავშირი მონაცემებსა და წარმოდგენილს შორის. აქ სიტყვა „წარმოდგენილი" ზუსტი მნიშვნელობით უნდა ავიღოთ, რადგან ის, რაც მოცემული არ არის არ გამომდინარეობს სტაბილურად და ერთმნიშვნელოვნად მონაცემიდან და აუცილებელი არ არის გათვალისწინებული გამომდინარეობდეს გასათვალისწინებელიდან.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ პოლიტიკაში გადადგმული ნებისმიერი რაციონალური ნაბიჯი არის ილუზორული და გადაწყვეტილებები „არჩევანისა და არადანის" თამაშის მსგავსად უნდა იქნეს მიღებული? სიმართლე რომ ითქვას, საინტერესო იქნებოდა ამ ექსპერიმენტის ჩატარება და მიღწეული წარმატების პრინციპული მაჩვენებლის შედარება იმ მაჩვენებელთან, რომელსაც ე.წ. რაციონალური პოლიტიკოსი ვარაუდობს. მაგრამ ასეთი ექსპერიმენტი არასდროს ჩატარდება და ამას გასაგები მიზეზები აქვს, რომელთა გაგების შემდეგ, ამ საკითხზე საბოლოო დასკვნა გაკეთდება.

ეს მიზეზები ანთროპოლოგიურ კონსტანტას უკავშირდება. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ შეგნებულად მართონ თავისი ბედი, ზემოქმედება მოახდინონ მასზე ეფექტურობის

---

[14] იხ. n° 10

გასაძლიერებელი სტრატეგიებით — თვით ისეთ სფეროებში, სადაც გარეგნულად შეუძლებელია რაიმე ეფექტური ქმედება: მაგალითად მაგია და ცრურწმენა ილუზორულ, მაგრამ დამამშვიდებელ ეფექტს იძლევა. ეს მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მათი გამოყენების წარუმატებლობა არ იწვევს მათთვის თავის მინებებას, იმდენად ძლიერია მათზე ფსიქოლოგიური მოთხოვნილება. თუნდაც იმის დაშვებით, რომ პოლიტიკური არჩევნების რაციონალურობა მოჩვენებითია (რაც რა თქმა უნდა გადაჭარბებულია) ადამიანები მაინც არ ეშვებიან იმ ილუზიას, რომელიც მათ აფიქრებინებს, რომ ისინი საკუთარი ბედის განმგებლები არიან. საბოლოოდ, პოლიტიკური სამყაროს განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ერთი მხრივ არის ობიექტურად ირაციონალური სამყარო, მაგრამ ასევე სუბიექტურად აღქმულია როგორც რაციონალური — ისე, რომ სუბიექტური და ობიექტური რაციონალურობა არ ჩრდილავს ერთმანეთს და ვერც იმაში ვიქნებით დარწმუნებული, რომ მათ შორის რაიმე კავშირი არსებობს.

თავი III. მეცნიერება და პოლიტიკა

51. ცნების "პოლიტიკური მეცნიერება" განმარტების აუცილებლობა.— ჩვენ უკვე გვაქვს უფრო ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რას მოიცავს ცნებები „მეცნიერება" და „პოლიტიკა." არის კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ ზუსტად მოვხაზოთ ცნება „პოლიტიკური მეცნიერება?" ვირტუალურად საკმარისია. მაგრამ ამასთანავე აუცილებელია განვმარტოთ ზოგიერთი პუნქტი, რომელიც ამის გარეშე გაუგებრობას გამოიწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დავაზუსტოთ ის, რაც არ არის პოლიტიკური მეცნიერება: ის არ არის მეცნიერება პოლიტიკაზე. სამაგიეროდ ის არის მეცნიერება პოლიტიკურ სამყაროზე.

ნაწილი I პოლიტიკური მეცნიერება არ არის მეცნიერება პოლიტიკის შესახებ

52. ცოტა რამ მეცნიერებაზე პოლიტიკის შესახებ. — თუ დავუკვირდებით გამოთქმას „პოლიტიკური მეცნიერება", დავინახავთ, რომ ის ფართო და მრავალფეროვანი შინაარსის მომცველია. მაგრამ პოლიტიკურ მეცნიერებაზე დაწერილი რომელიმე ნაშრომის კითხვისას, მაშინვე დავინახავთ, რომ სავარაუდო შინაარსიდან ზოგიერთი მისი მნიშვნელობა ამოღებულია რადიკალურად და იმპლიციტურად და ამას შეიძლება ეუწოდოთ „მეცნიერება პოლიტიკაზე". არ არის საჭირო ამის გაკრიტიკება: ჩვენ დავინახავთ, რომ მეცნიერება, რომელსაც დიდხანს ეძებდნენ და კიდეც ეგონათ, რომ იპოვეს, ილუზორულია, სწორედ იმ მიზეზების გამო, რომელიც პოლიტიკურ სამყაროს თავის სპეციფიკურობას ანიჭებს. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ საკითხების ამგვარად გამოტოვება ჩვეულებრივ ხორციელდება და არც კი ხდება ამის მიზანშეწონილობაზე კამათი. ალბათ თვლიან, ეს იმდენად აშკარაა, რომ არც არის სადავო, თუმცა აშკარა უკვე სუბიექტურ სფეროს განეკუთვნება. ის ხშირად ჩვევის ნიღაბია. ამიტომაც უმჯობესია ამ საკითხის ანალიზს გარკვეული დრო დავუთმოთ.

რა შეიძლება იყოს მეცნიერება პოლიტიკაზე? ეს შეიძლება იყოს მეცნიერება, რომელიც პოლიტიკაში ჩართულ პირებს, როგორც მმართველებს, ისევე ოპოზიციას, საშუალებას მისცემდა თავიანთი ქმედებები მეცნიერული პრობლემატიკის ჩარჩოში მოექციათ. სხვა სიტყვებით, ეს იქნებოდა მეცნიერება ხელისუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებაზე, ის შესაძლებელს გახდიდა საშუალებების მიზნებთან მისადაგებას, როგორც მაგალითად, ქიმია საშუალებას იძლევა მივიღოთ წყალი ჟანგბადისა და წყალბადისაგან ან როგორც ფიზიკა გვეხმარება ძალის და იმ აუცილებელი ტრაექტორიის გამოთვლაში, რითაც კოსმოსურ ხომალდს თანამგზავრი გააქვს ორბიტაზე. მეცნიერება პოლიტიკის შესახებ გვაპოვნინებდა პასუხებს კითხვებზე: 1789 წელს საფრანგეთის მდგომარეობის გათვალისწინებით შეეძლო თუ არა ლუი XVI რევოლუციის თავიდან აცილება? როგორ უნდა მოხდეს სოციალური დაზღვევის რეფორმირება ისე, რომ მას არ მოჰყვეს

რევოლუცია? საშუალო კადრებზე, რძის მწარმოებლებზე და პენსიონერ რკინიგზელებზე დაყრდნობით, როგორ შეძლებია გავხდე რესპუბლიკის პრეზიდენტი?

ასეთი ფორმით გამოხატული ინტელექტუალური პროგრამა ღიმილის მომგვრელია. თუმცა დიდი ხნის მანძილზე მას მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ. ტრადიციულ ცივილიზაციებში უამრავი ლიტერატურაა შექმნილი, რომელიც მიზნად ისახავს შემუშავდეს და ისწავლებოდეს მეცნიერება პოლიტიკაზე. ეს ლიტერატურა შეიძლება სამ ძირითად ტიპად დაიყოს. პირველი, როგორც მას გერმანული იდეალიზმის ენაზე უწოდებენ, არის **პრაგმატული ისტორია, უნივერსალური ისტორის** საპირისპიროდ, მაშინ როცა მეორე ტიპის ჟანრში შემავალი თხზულებები გამოჰყოფს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ტენდენციებს და არეულია ფილოსოფიის ისტორიაში. პირველი ტიპის ნაშრომები ყურადღებას ამახვილებს წარსულის ფაქტებიდან აღებულ უნივერსალურ გაკვეთილებზე, რომელსაც პოლიტიკოსები გამოიყენებენ: ამ რეცეპტებით განათლებული მმართველები თავიდან აიცილებენ მათი წინამორბედების წარუმატებლობებს. ამის საუკეთესო მაგალითია პოლიბიოსის „ისტორია".

მეორე ტიპს უფრო ტექნიკური მიზანი ახასიათებს. საქმე ეხება **სახელმძღვანელოებს**, რომელთაც იმის პრეტენზია აქვთ, რომ ასწავლიან ხელისუფლებაში მოსვლის და მისი შენარჩუნების ხელოვნებას ან უფრო ზოგადად პოლიტიკურ მოღვაწეობას. ბერძნული, ჩინური, არაბული, სპარსული, ბიზანტიური ლიტერატურა ამ ჟანრის უამრავ ნაშრომებს ითვლის, როგორიცაა პლუტარქეს **„პოლიტიკური მითითებანი"**, **„წიგნი პრინც ჩანგზე"**, რომელშიც მოცემულია ჩინელი ლეგისტების რეცეპტები მართვაზე ან **„კამათი მარილსა და რკინაზე"** („Yantie Lan"), რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებიან უხეში და პრაგმატული გადაწყვეტილებების მომხრე ფუნქციონერები და კეთილგონივრული მართვის მომხრე განათლებული კონფუციელები. ამავე კატეგორიაში შედის ტრაქტატები, გამიზნული ამბიციური დამწყები პოლიტიკოსებისათვის, სადაც მოცემულია წინსვლის უტყუარი საშუალებები: ბალთაზარ გრაციანის **„სამეფო კარის კაცი"** („Homme de cour") „პოლიტიკოსების სამაგიდო წიგნი", რომლის ავტორობასაც მაზარინს მიაწერენ ან შედარებით ახალი მორის ჯოლის **„ძიებანი წარმატების ხელოვნებაზე"**. ეს ნაშრომები საკმაოდ ორაზროვანია, რადგან ცინიკური რჩევების მიღმა იკითხება მათში გულმოდგინედ აღწერილი პრაქტიკის მორალური დაგმობა. სხვადასხვა „წიგნები ხრიკებზე", რომელშიც მოცემულია მტრის მოსატყუებელი ხერხები, მესამე ტიპზე გარდამავალი ეტაპია.

ბოლო კატეგორია შედგება სტრატეგიის ძველი სახელმძღვანელოებისაგან, რომლის ყველაზე ცნობილ ნიმუშად რჩება სუნძის „ომის ხელოვნება". ამ ნაშრომებში, რომლებიც სამხედრო თემატიკას ეხება, ამ სფეროში დაწერილი თანამედროვე ნაშრომებისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსი და სამხედრო პირი ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან: იქ გადამწყვეტი პერსონალური ინიციატივაა, ბრძოლის ბედს გადაწყვეტს მეთაურის გონიერება. ამიტომაც უმნიშვნელოვანესია სათანადო ფანდების ცოდნა.

გარდა ამ ნიუანსებისა, ეს ლიტერატურა უპირისპირდება იმ ნაშრომებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ახასიათებენ როგორც „პოლიტიკურ ფილოსოფიას". მართლაც, მისი ხედვა არ არის ნორმატიული: ის არ აძლევს **დავალებებს** მეფეებს მათი ხალხის ან ღმერთის მიმართ. მას არა აქვს პრეტენზია აღწეროს „კარგი მთავრობა". მისი პერსპექტივა გადაჭრით პოზიტიური და ამორალურია და მისი მიზანია ეფექტურობა. სწორედ ამ ტრადიციას, წარმოშობილს საუკუნეებგამოვლილი პრობლემატიკიდან, განეკუთვნება მაკიაველის თხზულებები. მათი ორიგინალურობა უფრო მეტად უკავშირდება სხვა ავტორების მივიწყებას, რომელთაც კარგად გააშუქეს ასეთი ტიპის აზროვნება და რომელსაც დღეს არ იციან რა ადგილი მოუძებნონ „თანამადროვე პერსპექტივაში. მართლაც, **„მთავარი"**, **„მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო"**, **„ომის ხელოვნება"**, უფრო „ხრიკების ტრაქტატს" ჰგავს, ვიდრე პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე ნაშრომს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია სარჩევის გადათვალიერება. დღეს ვინ დაასათაურებს თავისი ნაშრომების თავს ასე: „სისასტიკისა და გულმოწყალეობის შესახებ" და „რა სჯობს, უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი?" („მთავარი", თავი XVII) ან „რესპუბლიკამ ან მეფემ თავი ისე უნდა მოაჩვენოს თითქოს იმას, რასაც აუცილებლობა აიძულებს აკეთებს გულმოწყალების გამო" („მსჯელობა", წიგ. I, თავი LI). გასაოცარია აგრეთვე ის, რომ ასე არქაულად ფიქრის ფორმა არ აოცებს კომენტატორებს. მაკიაველი არ არის პოლიტიკური

მეცნიერების წინამორბედი თუ სიტყვებს არ გამოვეკიდებით. მართლაც, თუ მაკიაველის მსჯელობას პრეტენზია აქვს, რომ მეცნიერულია იმის გამო, რომ ცდილობს გამოკვეთოს უნივერსალურად ღირებული პრინციპები ყველა ნორმატიული ინტერესის მიღმა, ის ჯდება უხეირო მეცნიერების ჩარჩოში, მეცნიერებაში პოლიტიკის შესახებ და არა პოლიტიკურ მეცნიერებაში.

53. პოლიტიკის შესახებ მეცნიერების უუნარობა. — რატომ არის ასეთი მეცნიერება პოლიტიკის შესახებ ილუზორული? პოლიტიკური სამყაროს აღწერა, რომელიც წინა თავში გავაკეთეთ ამის გაგების საშუალებას გვაძლევს. პოლიტიკური სამყარო, რომელიც შედგება ენით გაშუალებული, არცთუ უანგარო კონფლიქტური წარმოდგენებისაგან, იმდენად რთულია, რომ რაციონალური ნაბიჯების შედეგები იქ ძალიან არასაიმედოა. საწყის პირობებში არსებული ძალიან მცირე განსხვავება იმით მთავრდება, რომ იდენტურ ქმედებებს საპირისპირო შედეგები აქვს. ავტორიტარულ რეჟიმს ლიბერალიზაცია ან გადაარჩენს, ან დაამხობს. ინტენსიური წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატს ან ხმების უმრავლესობას მოაპოვებინებს ან გაღიზიანებას და მის უარყოფას გამოიწვევს. ბუნებრივია ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ამას ემატება თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა. მაკიაველი „მთავარის" XVII თავში დასმულ კითხვას პასუხობდა, რომ მთავარი უნდა შეეცადოს შიშის დათესვას, რადგან შიში მასზეა დამოკიდებული, ხოლო სიყვარული სხვებზეც არის დამოკიდებული. პასუხმა შოკში ჩააგდო მორალისტები. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ქმნის მაკიაველისეულ პრობლემას და მის ზღვარს. საკითხი არ ეხება იმას, თუ თავისთავად რა არის უმჯობესი ან ყველაზე ეფექტური; საქმე იმას ეხება, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხელმწიფე მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფლების ფარგლებიდან გამომდინარე. საკითხი ტექნიკურია და მთლიანად შემოსაზღვრულია სახელმწიფოს მეთაურის პერსონალური მოქმედების საზღვრებით. ამიტომაც, ნაკლებად მნიშვნელოვანია ვუსაყვედუროთ მაკიაველს პოლიტიკის ეკონომიკური და სოციალური მასშტაბების არცოდნა. შეიძლება იცოდა კიდეც მათი წონა, მაგრამ რატომ გააცნობდა მას მეფეს, როდესაც იგი პრაქტიკულად უუნარო იყო ზემოქმედება მოეხდინა ამაზე? მაკიაველს ცოდნა აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის საჭიროა დაუყოვნებელი და ინდივიდუალური მოქმედების რეცეპტებში. ასეთი ქმედება შეიძლება გამართლდეს მიზნით, რომელიც აყვანილია კატეგორიულ და სასწრაფო იმპერატივამდე: მაკიაველის შემთხვევაში ეს არის იტალიის ერთიანობა. კითხვა შემდეგნაირად დაისმის: „რა უნდა გაკეთდეს კონიუნქტურის გათვალისწინებით, სასურველი შედეგის მისაღებად?" ამ ტიპის სიტუაციაში კითხვას ყოველთვის გაეცემა პასუხი. მას სტრატეგიული ხასიათი ექნება: გენერალი ბრძოლის მოგებას იმ საშუალებებით ცდილობს, რომელიც გააჩნია. სამაგიეროდ, ირაფერი იძლევა იმის გარანტიას, რომ ასეთი პასუხი მეცნიერულია, რადგან კითხვა შეიძლება ისეთი იყოს, რომ არ ჰქონდეს პასუხი: კითხვას „როგორ უნდა მოიქცეს ცეზარე ბორჯია, რომ აუცილებელი გახდეს იტალიელი მბრძანებლებისათვის?" არა აქვს მეცნიერული პასუხი და ალბათ, საერთოდ უპასუხოა.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ტიპის ლიტერატურა იმედის გაცრუებას იწვევს. სქემატურად, შეიძლება ითქვას, რომ ის ორ პოლუსს შორის მერყეობს. პირველ შემთხვევაში, ავტორი საინტერესო სპეკულაციებს ეწევა, რადგან ზუსტი, ისტორიული კონიუნქტურის ანალიზს ეყრდნობა. ეს ცხადად ჩანს მაკიაველის ნაშრომში „მსჯელობები". მეორე წიგნის XXXI თავში იგი ამბობს, რომ სახიფათოა პოლიტიკური დევნილების ნდობა, რადგან ისინი ყველაფერს ჰპირდებიან მეფეებს, ოღონდაც სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ მიზნის მიღწევისთანავე ავიწყდებათ მიცემული დაპირებები. მტკიცება აზრს მოკლებული არ არის: ისეთ ისტორიულ გარემოში, სადაც ასეთი რამ ხშირად ხდება და სადაც მეფეები შეიძლება შეეცადონ დევნილთა გამოყენებას, მათთვის უმჯობესია თავის შეკავება, რადგან ასეთი ტაქტიკა ყოველთვის ცუდათ მთავრდება. თუმცა, მაკიაველმა იცის, რომ არ შეიძლება აბსოლუტური განზოგადება: ხანდახან დევნილები ასრულებენ დანაპირებს. ამიტომაც იგი იმით კმაყოფილდება, რომ წინდახედულობის რჩევას იძლევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაფერია სარწმუნო. კონკრეტულ სიტუაციაში რა უნდა გაკეთოს ხელმწიფემ: დაეხმაროს თუ არა დევნილებს? მაკიაველის კითხვა მას ერთ რამეში დაარწმუნებს: მოქმედებისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. იგი უეჭველად ასეც მოიქცა. აზრი, რომელსაც თავიდან გაურკვეველი შინაარსი ჰქონდა, მისგან თანდათან იცლება და არ შეუძლია განსაზღვროს მოქმედების კრიტერიუმი.

ამ ტიპის ლიტერატურის მეორე დამახასიათებელი ნიშანია ტრუიზმი. უნივერსალურად ღირებული წინადადების მისაღებად, მას იმგვარად აგებენ, რომ შეუძლებელია ყალბი იყოს, თუმცა არაფრის მომცემია. სუნძის „ომის ხელოვნება" შემდეგი სახის მითითებებს შეიცავს: „სივრცის შეფასება დამოკიდებულია ადგილზე" ან: „გამოააშკარავეთ მტრის გეგმები და გეცოდინებათ, რომელი სტრატეგია იქნება ეფექტური და რომელი არა", ასევე პოლიბიოსის „ისტორია": „შეგახსენებთ, რომ საღად მოაზროვნე ადამიანებმა ქალაქებში არ უნდა ჩააყენონ ძალიან ძლიერი გარნიზონები, მით უმეტეს, თუ ისინი ბარბაროსებისგან შედგება". აქ წამოიჭრება შემდეგი დილემა: ან მმართველებისთვის მიცემული რჩევები საინტერესოა, მაგრამ უცნობია, როდის არის ისინი მართალი და შესაძლებელია მათი გამოყენება ან ისინი ყოველთვის მართალია, მაგრამ არ არის საინტერესო. თანაც, ამ ტიპის ლიტერატურის ამაოება თავიდანვე აშკარაა. თუ შემთხვევით ის იქნებოდა ეფექტური, მას მოწინააღმდეგეც წაიკითხავდა და ყველაფერი საწყის წერტილს დაუბრუნდებოდა.

თუ ნაყოფის მიხედვით ვიმსჯელებთ, მეცნიერება პოლიტიკის შესახებ ფუღუროვანია. ასეთი დასკვნა მთლიანად ნეგატიური ჩანს. თუმცა თავისი ღადებითი მხარეც აქვს, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ a contrario, რა არის პოლიტიკური მეცნიერება.

ნაწილი II. პოლიტიკური მეცნიერება არის პოლიტიკური სამყაროს მეცნიერება

54. პოლიტიკური მეცნიერების მდგომარეობა. — თავიდან, პოლიტიკური მეცნიერება მხოლოდ დესკრიფციული იქნება. საჭიროა ამ განცხადების მნიშვნელობის დაზუსტება. პირველად, ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა მეცნიერება მხოლოდ აღწერაა იმ სრული სიმართლის გარკვევასთან შედარებით, რომელიც ხსნიდა საგანთა ბუნებასა და არსს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მეცნიერება არამყარი და გადასინჯვადია. ასე ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რომელიც გვთავაზობს საკმაოდ სარწმუნო პროგნოზებს, რასაც შემდეგ მეთოდები ეფუძნება. მაგრამ ჩვენ ახლახან დავადგინეთ, რომ ვერ შეეძლებთ მართვის ტექნიკის დასაბუთებას თუ გვინდა გავცდეთ არასაიმედო მითითებების დონეს, რომ არაფერი ვთქვათ ფუჭ ყბედობაზე. პოლიტიკური მეცნიერება გაზრდის ადამიანის უნარს იმოქმედოს სამყაროზე მხოლოდ შეზღუდულად და იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას რაციონალური ცოდნა მისცემს: ის გვთავაზობს მოვლენების გაშუქებას, აქარწყლებს დაუსაბუთებელ იმედებს და იშორებს ყალბ პრობლემებს. ეს ანგარიშგასაწევი წვლილია, მაგრამ მას საერთო არა აქვს სამყაროს შეცვლასთან, როგორც ეს მოახერხა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა. მეორე, პოლიტიკური მეცნიერების დესკრიფციული ხასიათიდან გამომდინარე, არ უნდა დავასკვნათ, რომ ის მხოლოდ შთაბეჭდილებებს აღწერს. პირიქით, აქ აუცილებელია კონცეპტუალური მიდგომა იმისათვის, რომ გაღრმავდეს აღწერა და გავცდეთ პირველადი სიცხადის სტადიას.

მეორე მხრივ, უნდა მოხდეს იმ ფაქტების გაცნობიერება, რომ პოლიტიკური მეცნიერება განწირულია, თავისი ორმაგი განსაზღვრებიდან გამომდინარე, იყოს მსჯელობა კვადრატში, მსჯელობა მსჯელობაზე. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ პოლიტიკური სამყარო მეტყველების სამყაროა. არა იმ ბანალური მნიშვნელობით, რომ ენას იქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, არამედ გამომდინარე იქიდან, რომ ის არის წარმოდგენების სამყარო, გაშუალებული ენით და მისი შემადგენელი პროცესები, მიუხედავად ნებისმიერი წარმოთქმული სიტყვისა, არის მეტყველების პროცესი. პოლიტიკური გამოცდილება, ყველაზე პრიმიტიულიც კი, უკვე აუცილებლად არის სიტყვაში განხორციელებული, თუნდაც პოლიტიკური სუბიექტი მხოლოდ თავის თავთან ურთიერთობდეს. სიხარულიც და მწუხარებაც სიტყვით გამოიხატება, მაგრამ პოლიტიკური სიხარული და მწუხარება გულისხმობს გაცნობიერებას, რომელიც მეტყველებაში და მეტყველებით ხორციელდება.

მეცნიერება და პოლიტიკური სამყარო, ორივე ენით არის შედგენილი. ეს აშკარა ხდება იმით, რომ მეცნიერული კანონების ადაპტაციის პროცესში და პოლიტიკური პოზიციების გაწონასწორების პროცესში ერთი და იგივე მექანიზმები გამოიყენება.

თუმცა მიზნები განსხვავებულია. პირველი მიზნად ისახავს რეალობის შეცნობას, რაც შეიძლება ზუსტად და ეფექტურად, მონაცემების გათვალისწინებით. მეორე მიზნად ისახავს ფაქტების შეთანხმებას უკვე ჩამოყალიბებულ და არცთუ უანგარო რწმენებთან. ორივე შემთხვევაში არსებობს გარკვეული ინერტულობა: ყოველთვის ურჩევნიათ მიღწეულის შენარჩუნება მის შეც-

ვლას. მაგრამ მეორე შემთხვევაში, ინერტულობა გაცილებით მეტია, რადგან პირველ შემთხვევაში, ურთიერთობაში ჩაბმული ერთ-ერთი პოლუსი არის გარე რეალობა, ხოლო მეორეში ორივე პოლუსი მეტყველებას უკავშირდება. პოლიტიკური რწმენა და ის, რაც მის გადახედვას იწვევს, ორივე თანაბრად გაცნობიერების პროცესია, ე.ი. აზრით დატვირთული ფაქტები. ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირი ამქვეყნიური სამოთხეა შენების პროცესში, ბუნებრივია გაცნობიერების პროცესია. მაგრამ საბჭოთა კავშირში საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა ასევე გაცნობიერების პროცესია, ოღონდ მას შემდეგ, რაც ეს განიხილება არა როგორც უბრალო ფაქტი, არამედ როგორც პოლიტიკური მოვლენა. ვინაიდან ფაქტი, რეალური იქნება თუ არა, პოლიტიკური ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მას ზუსტი მნიშვნელობა ენიჭება — მოცემულ შემთხვევაში სკანდალური — და როცა ის არ ითვლება მხოლოდ საბჭოთა სისტემის სამართლის უცნაურ მოვლენად. სხვა სიტყვებით, პოლიტიკური მოვლენები მხოლოდ ღირებულებების მეშვეობით არსებობს. ეს იმპლიციტური იყო ჩვენს მიერ გაკეთებულ ანალიზში პოლიტიკური სფეროს ვარიაციებზე: თუ დაბინძურებული ადგილი XIX საუკუნეში იყო სოციალური პრობლემა, დღეს ის პოლიტიკური პრობლემაა და ეს იმიტომ, რომ შეიცვალა ღირებულებათა სისტემა, ახლა შეგვიძლია გავაცნობიეროთ ამ ფაქტის ეპისტემოლოგიური შედეგები.

მართლაც, ნათელია სიფრთხილის ზომების მიღების აუცილებლობა მეცნიერებასა და მის საგანს შორის არსებული მსგავსების გამო. პოლიტიკური მეცნიერება არის მსჯელობა მსჯელობაზე, ე.ი. სუბიექტური ანალიზია, თუნდაც მისი მიზანი იყოს ობიექტურობა თავისთავად სუბიექტური სამყაროს მიმართ, თუნდაც შესაძლებელი იყოს ამ სუბიექტურობის ობიექტურად განხილვა: მაგალითად, შეგვიძლია ობიექტურად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ დაბინძურებული ადგილის პრობლემა სუბიექტურად გადავიდა სოციალური პრობლემიდან პოლიტიკურ პრობლემაში. მაგრამ საჭიროა ორ დონეს შორის არსებული განსხვავების შენარჩუნება და სიფრთხილის გამოჩენა შეჯახების თავიდან ასაცილებლად. შეჯახების, რომელიც შეიძლება ორმხრივი იყოს. არსებობს მცდელობა მეცნიერული მსჯელობის პოლიტიკურ მსჯელობამდე დაყვანისა. არიან ავტორები, რომლებიც ვერ უძლებენ ამ ცდუნებას და მეცნიერულ მსჯელობაში გადააქვთ პოლიტიკური მსჯელობის ცნებები, ვარაუდები და წინასწარ შექმნილი აზრები: მეცნიერული მსჯელობა ხდება სენტიმენტალური და ნორმატიული, ცნებები დაყოფილია იმგვარად, რომ ზოგი პროცესი გამოჩნდეს კარგი, ზოგი ცუდი. სიმეტრიულად, პოლიტიკური მსჯელობაც შეიძლება გადავიდეს მეცნიერულში: მსჯელობა ხდება ობიექტივისტური, პრეტენზია აქვს პოლიტიკურ რეალობებს თავს მოახვიოს მეცნიერული ცნებები, — წინააღმდეგობაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტურობასთან. ამასთანავე შესაძლებელია ორივე მცდელობის თანხვედრა. ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი საკითხი გამორიცხეს პოლიტიკური სფეროდან მათი „ბუნებიდან" გამომდინარე, მიმართავენ მეორე შესაძლებლობას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ამას აკეთებს გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი პოლიტიკური ვარაუდების საფუძველზე. ამგვარად, მარქსისტები ნებისმიერ ისტორიულ კონიუნქტურას განიხილავენ როგორც კლასთა ბრძოლას იმ მოსაზრებების მიხედვით, რომელიც ერთდროულად თეორიულიც არის და პოლიტიკურიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტიპის მოკლე ჩართვების თავიდან აცილება და მსჯელობის ორ დონეს შორის განსხვავების შენარჩუნება.

55. ინტრალინგვისტური პრედიკაცია და ექსტრალინგვისტური პრედიკაცია. — ამას რომ მივაღწიოთ საჭიროა პრედიკაციის[15] სამ ფორმას შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინება. თანამედროვე ლოგიკამ დაგვანახა, რომ ზმნა „ყოფნა" შეიძლება გამოყენებული იქნეს სამი ფორმით, რომელიც ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი ტიპის გამოყენება ხდება შემდეგი სახის წინადადებებში: „ყველა კრეტელი არის ბერძენი". მეორე შემდეგში: „ყვავი არის შავი". მესამე: „ფლობერი არის „სენტიმენტალური აღზრდის" ავტორი". პირველ შემთხვევაში ერთ ან რამდენიმე პიროვნებას ერთ მთელში აერთიანებენ. მეორე შემთხვევაში ერთ ან რამდენიმე არსებას ენიჭება გარკვეული თვისება. და ბოლოს, მესამეში ზმნა „ყოფნა" დგას ტოლობის ნიშნის ადგილას: ფლობერი — „სენტიმენტალური აღზრდის" ავტორი. თავი დავანებოთ მესამე ფორმას, რომელიც ამჟამად არ გვაინტერესებს. მაგრამ პირველ ორს შორის განსხვავება

[15] პრედიკაცია ლოგიკის მნიშვნელობით არის ქმედება, რომლითაც შემასმენელი უკავშირდება ქვემდებარეს მაკავშირებელი ზმნით „ყოფნა".

მთავარია. ეს განსხვავება მუდამ უნდა გვახსოვდეს, რათა მათი პოლიტიკური თუ მეცნიერული დონის შესაბამისად აიგოს ის კონტრვერსიები, რომელიც პოლიტიკურ მეცნიერებას ახასიათებს.

მართლაც, როგორც რენე ტომმა შენიშნა, პრედიკაციის პირველადი ტიპი ინტრალინგვისტურია: ის მხოლოდ სიტყვებზე ვრცელდება. ყველა ის კლასიფიკაცია, რომელსაც რეალობაში მოვახდენთ, ხელოვნურია. ისინი ჩვენი გონების ანარეკლია და შეიძლება მთლიანად შეიცვალოს ისე, რომ რეალობაზე არაფრით აისახოს. სამაგიეროდ, პრედიკაციის მეორე ტიპის მნიშვნელობა ონტოლოგიურია: ის რაღაცას ამტკიცებს საგნებზე, ის ექსტრალინგვისტურია თუმცა ცხადია, რომ „საგნებზე" ვერაფერს გავიგებთ ისეთი კვლევით, რომელიც მხოლოდ სიტყვებს ეხება. ესენი აუცილებელი დასკვნებია, თუმცა პარადოქსულად ჟღერს. ყოველდღიურ ხმარებაში ისეთი ტიპის მტკიცება როგორიც არის „კრეტელები არიან ბერძნები" მდიდარი აზრის მატარებლად ითვლება, რომელიც არა მარტო ცნობებს იძლევა პრედიკაციის საკითხზე, არამედ ყველაზე სერიოზულ კონტრვერსიას აძლევს საზრდოს. პროცესის გაგება ხდება მაშინ, როდესაც შემდეგს დავაკვირდებით: ყველაზე ფართო კატეგორიები (შემასმენელი), რომლებშიც ყველაზე ვიწრო კატეგორიები (ქვემდებარე) თავსდება, თვითონ არის განსაზღვრული იმპლიციტურად და ექსპლიციტურად თვისებებით, ე.ი. ონტოლოგიური პრედიკაციით და შესაძლებელია ლოგიკურ ჭრილში ტავტოლოგიურად მოხდეს ერთი სახის შემასმენლის მეორეში გადაყვანა მაგალითად:

ყველა კრეტელი არის ბერძენი

ხოლო ყველა ბერძენი არის გულადი

მაშასადამე ყველა კრეტელი არის გულადი

პირველი წანამძღვარი სიტყვებს ეხება. მაგრამ მეორე დასკვნა ეხება საგანს, რადგან მსჯელობა ვალიდურია, პირველი მტკიცებაც ასევე ეხება საგნებს, ოღონდ არაპირდაპირ. ის საშუალებას იძლევა კრეტელების შესახებ ვამტკიცოთ რაღაც, მოცემულ შემთხვევაში, რომ ისინი გულადები არიან. ამის შემდეგ, დასაწყის'ში მოცემული განსხვავება აზრისაგან იცლება.

მართლაც, ის აღარ არის საჭირო. რადგან რას ნიშნავს: „ყველა x არის y"? არაფერს სხვას თუ არა ამას: ემპირიულად მოხდა დაკვირვება ყველა x-ზე, x^1-დან x^n-მდე და დადგინდა, რომ x^1 არის y, x^2 არის y.... x^n არის y. თუ აღმოჩნდებოდა, რომ რომელიმე x არ არის y, იძულებულნი ვიქნებოდით დაგვესკვნა, რომ მტკიცება „ყველა x არის y" არის ყალბი, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დილემა: ან ძალიან ამომწურავი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველა კრეტელი გულადია და მათი ბერძნებში გაერთიანება აღარაფერს გვამცნობს მათზე; ან ასეთი გამოკვლევა არ ჩატარებულა და არაფერია ცნობილი კრეტელების სიმამაცეზე. ერთი ლაჩარი კრეტელის აღმოჩენაც კი გვაიძულებდა დაგვესკვნა, რომ ან ყველა კრეტელი არ არის ბერძენი, ან ყველა ბერძენი არ არის გულადი ონტოლოგიური ტერმინების მიხედვით (როგორც არისტოტელეს სილოგისტიკაში) და არა ჰიპოთეზურად (როგორც თანამედროვე ლოგიკაში თუ ... და თუ ... მაშინ) მსჯელობა არის ლოგიკური შეცდომა, რადგან ვარაუდობს იმას, რისი დამტკიცებაც უნდა. ლოგიკა იძლევა გარანტიას, რომ მსჯელობა არის მართალი მაშინ, როდესაც წანამძღვრები მართალია, მაგრამ არ იძლევა გარანტიას წანამძღვრების სიმართლეზე, რომელიც მხოლოდ ემპირიული მოკვლევის საქმეა. შემოვლითი მანევრი, რომელსაც უნდა საგანთა თვისება გადაიყვანოს სიტყვებში ილუზორული აღმოჩნდება.

მაგრამ ილუზია მყარია. ის ადამიანის გონების სპონტანური ტენდენციებით იკვებება, რომელიც კატეგორიებით აზროვნებს და მუდმივად იხრება იმისკენ, რომ სიტყვები საგნებად აღიქვას. თანაც ჩვენ ვნახეთ, რომ პოლიტიკური სამყარო არის მეტყველების სამყარო. გონების ტენდენციებს ემატება ის ინტერესები, რომელიც ინდივიდების კატეგორიებში გადანაწილებას პოლიტიკურ მიზანს ანიჭებს. ავიღოთ მაგალითები: გოლისტური მოძრაობები პარტიებია? საბჭოთა კომუნიზმი წითელი ფაშიზმია? რევოლუციის პერიოდში ვანდეელების ამოხოცვა იყო გენოციდი? ალზასელები არიან გერმანელები? იმის გათვალისწინებით, რაც ჩვენ განვიხილეთ ამ კითხვებზე პასუხს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან საგნის კატეგორიაში მოთავსება ვერ შეცვლის ამ საგნის რეალობას, შეიცვლება უბრალოდ ამ კატეგორიის განსაზღვრება. გოლისტურ მოძრაობებს ან აქვთ ან არა პარტიებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები. თუ მათ ეს თვისებები არა აქვთ, შესაძლებელია ad libitum ითქვას, რომ ისინი არ არის პარტიები ან გაფართოების მიზნით შეიცვალოს ამ კატეგორიისთვის აუცილებელი კრიტერიუმები. ასევე, საბჭოთა კომუნიზმი არც

უკეთესი და არც უარესი იყო იმ ტერმინზე, რომლისაც მას აღნიშნავენ. თუ ვანდეელების ამოხოცვას არ დაერქვა „გენოციდი" ეს ვერ გააცოცხლებს ვერც ერთ მსხვერპლს, არც ამ ტერმინის გამოყენება მოკლავს ვინმეს. რაც შეეხება ალზასელებს, თუ აღმოჩნდება, რომ ისინი უარს ამბობენ იყვნენ გერმანიის სახელმწიფოს ნაწილი, შეიძლება ითქვას, რომ ან ყველა გერმანელი (გერმანულ დიალექტზე მოლაპარაკე მოსახლეობა) არ არის გერმანელი ეროვნების ან ალზასელები არ არიან გერმანელები, რადგან ერი განისაზღვრება ერთად ცხოვრების ნებით და არა ენით — და ასეა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანთა ჯგუფის ეროვნული კუთვნილება სადავოა.

ამ ტიპის დისკუსიები უპირატესად ყალბი პრობლემებია. და მაინც, ყველასათვის ცნობილია, რომ ისინი იწვევს შეურიგებელ ბრძოლებს, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტებამდეც მიდის. ჩვენი გამოკვლევა პოლიტიკურ სამყაროზე იძლევა იმის პასუხს, თუ რატომ ხდება ეს. კატეგორიები ან უფრო მათ აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვები დატვირთულია ემოციურად და გადმოგვცემს შეფასებით მსჯელობას. აქედან ის გამომდინარეობს, რომ სახელის მინიჭება, ლოგიკურად ინდიფერენტული, პრაქტიკაში ხშირად ხდება გადამწყვეტი პოლიტიკური მიზანი. ყველაფერი იმგვარად ხდება, თითქოს ნებისმიერი რეალობის საპირისპიროდ ამა თუ იმ კატეგორიაში განთავსება შეცვლიდა განსახილველი მოვლენების ხასიათს: „წითელ ფაშიზმად" წოდებული საბჭოთა სისტემა ნაციზმის შეჩერების გზა აღმოჩნდა; თუ ამ ზედსართავს ჩამოვაშორებთ, ის მხოლოდ მსუბუქად ავტორიტარული მართვის ფორმა იქნება, კონკრეტული ხალხის ფსიქოლოგიასთან მისადაგებული. „გენოციდი" იწვევს გერმანელების მიერ ევროპელი ებრაელების გაჟლეტის ასოციაციას ბოლო ომის დროს: ის მოიცავს გამოუსყიდავი დანაშაულის შინაარსს. სიტყვას იმაზე მეტად შეუძლია სისხლიანი ლაქებით დაფაროს რევოლუციის უბიწო სამოსი, ვიდრე ნამდვილ ხოცვა-ჟლეტას. თუ ალზასელები გერმანელები არიან, მაშინ კანონიერი იქნებოდა ისინი აიძულონ იყვნენ ის, რაც არიან და ა.შ.

ამ ფაქტების ეპისტემოლოგიური შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია. ახლა მეტი სიზუსტით შეგვიძლია გავარჩიოთ პოლიტიკური მსჯელობა მეცნიერული მსჯელობისაგან. პირველი უპირატესად იყენებს ინტრალინგვისტურ პრედიკაციას. ის ამას აკეთებს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს პოლიტიკური სამყაროს ბუნება და ნებისმიერი ლოგიკის საპირისპიროდ ირკვევა, რომ ეს პრედიკაცია არის რეალობის შეცვლის უნარის მქონე. მეცნიერული მსჯელობა, პირიქით, მიზნად ისახავს რამე თქვას რეალობაზე. ის ექსტრალინგვისტურია. ამასთანავე, ისიც იყენებს კატეგორიებს. მაგრამ განსხვავებული მიზნით: კატეგორიები (ტიპები, ფორმები) გამოიყენება რეალობაზე ცოდნის გაღრმავების საშუალებად და არა ცოდნის მიზნით.

56. პოლიტიკური მეცნიერების მეთოდები. — ასეთ პირობებში რაში გამოიხატება პოლიტიკური მეცნიერება? ის კანონებს ვერ შექმნის. სამაგიეროდ ის პროგრესირებს კონცეპტუალიზაციით, რომელიც ღებულობს ტიპოლოგიის სტატიკურ და მოდელის დინამიურ ფორმას.

პოლიტიკური მეცნიერება ვერ ჩამოაყალიბებს კანონებს. კანონი არის შემდეგი სახის პირობითი წინადადება — თუ p მაშინ q. ის იძლევა მომავლის წინასწარ განჭვრეტის საშუალებას და პრაქტიკაში დიდი წარმატება აქვს. თუმცა ასეთი დემარშის ამაოება მთლიანად ნაგულისხმევია პოლიტიკაზე მეცნიერების მარცხში, რაც წინა ნაწილში განვიხილეთ. ვინაიდან კანონი იქნებოდა იმ ავტორების პროგრამის შესასრულებელი აუცილებელი ეპისტემოლოგიური ფორმა, რომელთაც სურთ მმართველებს შესთავაზონ სწორი მოქმედების გზამკვლევი. განა არ შეიძლება კანონების ლოგიკური ფორმით მათი მითითებების ჩამოყალიბება: ამისათვის საკმარისია მათში წინსწრების სახით ჩაისვას ზუსტი კონიუნქტურის ყველა კონკრეტული განსაზღვრება და შედეგად ყველაფერი ის, რაც აქედან გამომდინარეობს. ამგვარად ისტორიულ მოვლენას ეძლევა კანონის ასპექტი, მაგრამ სარგებელი ნულის ტოლია, რადგან სხვა კონიუნქტურა აუცილებლად სხვა განსაზღვრებებით იქნება აღნიშნული და კანონი პრაქტიკაში გამოუყენებელი აღმოჩნდება. სამაგიეროდ, შესაძლებელია ცოდნის გაღრმავება ტიპოლოგიის გამოყენებით. ტიპოლოგია კლასიფიკაციის მეთოდია. ის კლასიფიკაციისაგან იმით განსხვავდება, რომ კლასიფიკაცია მხოლოდ ერთ კრიტერიუმს შეიცავს, ხოლო ტიპოლოგია რამდენიმეს. ასეთი ტიპის მოქმედება არ არის ინტრალინგვისტური პრედიკაციის ვარიანტი, რომელიც როგორც ვნახეთ, ახასიათებს პოლიტიკურ მსჯელობას. მართლაც, ის მდგომარეობს, ყველანაირი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ინდივიდებზე დასკვნის გაკეთებაში, ადრე არსებული კატეგორიების მიხედვით. მეცნიერული ნაბიჯი მიზნად

ისახავს კატეგორიების შექმნას იმ ინდივიდების მიხედვით, რომელთაც საერთო ნიშნები აქვთ. მაგრამ თუ ასეთი მცდელობა არ არის უკანონო, მაშინ ხომ არ არის ილუზორული? რას ემსახურება მოვლენების კონცეპტუალურ დანაყოფში დახარისხება? ამ ოპერაციის შემდეგ ისინი ხომ ისეთივე დარჩება, როგორიც მანამდე იყო? გარდა ამისა, ვიცით, რომ როგორიც არ უნდა იყოს კლასიფიკაცია, ის თვითნებობის გარკვეულ წილს მაინც შეიცავს, რადგან ზოგიერთი კრიტერიუმი არჩეულია მათი იმ მთლიანობიდან, რომელიც თეორიულად შესაძლებელია. თუ საგნის ყველა თვისება გვეცოდინებოდა, მაშინ უბრალოდ სრულ რეალობას მივიღებდით იმ სახით, რომ თითოეულ რუბრიკაში მხოლოდ ერთი საგანი მოთავსდებოდა თავისი კონკრეტული მახასიათებლებით, რომელიც თავისი თავის იდენტური და ყველა დანარჩენისგან განსხვავებული იქნებოდა. ხოლო თუ ტიპოლოგია არ იქნება თვითნებური, ის არ იქნება ტიპოლოგია.

ეს დასკვნები გარკვეულწილად მნიშვნელოვანია. ისინი გვიჩვენებს მეთოდის საზღვრებს. მაგრამ თუ იმ დასკვნის გაკეთებას შევეცდებით, რომ ტიპოლოგია უსარგებლოა, ისინი ზედაპირულია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქ შედეგზე უფრო საინტერესო მოქმედებაა. ცხადია, ტიპოლოგიები არ იძლევა სრული რეალობის მიღწევის საშუალებას და არც ისახავს ამას მიზნად. არარეალურია იმაზე ფიქრი, რომ ტიპოლოგია გვიჩვენებს მოვლენათა „არსს", იმ უბრალო მიზეზით, რომ ასეთი ცნება აზრს მოკლებულია: რეალობაში არ არსებობს ბოლო საფეხური, წერტილი, როდესაც ჭეშმარიტება სრულად გადაიშლება ჩვენს თვალწინ. ტიპოლოგია არც სწორია და არც მცდარი. სამაგიეროდ, ტიპოლოგიური დემარში რეფლექსიის საშუალებას იძლევა. მას რეალობაში შემოაქვს ნიშნულები, რის გარეშეც იქ ქაოსი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით სტილიზაცია, გაკეთებული მრავალთა შორის ამორჩეული კრიტერიუმებით, უარყოფით მხარეზე მეტად სასარგებლოა, რადგან ის აზრის მომცემია. ლინგვისტებმა აჩვენეს რეალობის ზოგიერთი ელემენტის დესტრუქცია რამდენად საჭიროა მნიშვნელობით დატვირთული ნაწილების შესაქმნელად: თუ ადამიანები მთლიანად გამოიყენებდნენ იმ ბგერებს, რომლებსაც მათი ვოკალური სპექტრი შეიცავს, მათი მეტყველების გარჩევა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ვოკალური დანაწევრებით და ზოგიერთი ელემენტის შეერთებით ხდება შესაძლებელი აზრიანი და გამოკვეთილი მეტყველება. იგივე ხდება მეცნიერული მსჯელობის დონეზე. შესწავლილი რეალობის ზოგიერთი პარამეტრის უგულებელყოფით, ის უფრო მისაწვდომი ხდება. რა თქმა უნდა, არჩევანი ალალბედზე არ უნდა გაკეთდეს. უნდა შეეცადოთ ძირითადის გარჩევას იმის გათვალისწინებით, რომ აქ მხოლოდ შედეგია მთავარი: ტიპოლოგია თავისი შედეგებით ფასდება. ის კარგია თუ ცოდნის დახარისხების და სინამდვილეზე საინტერესო კითხვების დასმის საშუალებას იძლევა. ტიპოლოგიის გამოყენება ევრისტიკულია. ის ისეთი პრობლემების გააზრების საშუალებას იძლევა, რომელიც მის გარეშე შეუმჩნეველი ან ცუდად გაგებული იქნებოდა.

ეს ევრისტიკული ასპექტი ასევე მთავარია დიდი გერმანელი ისტორიკოსისა და სოციოლოგის მაქს ვებერის მიერ შემუშავებულ მეთოდებში (1864-1920 წწ.). აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია მოვლენათა კლასიფიკაცია, მეტი ყურადღება ექცევა მათ აღქმას თავის ლოგიკურ სიღრმეში გააზრების მცდელობით. ამისათვის მათ ერთმანეთს კი არ ადარებენ, არამედ გონებით შექმნილ სურათს. ეს სურათი აზროვნების შედეგია: თუ პროცესი განვითარდება თავისუფლად, მისი აუცილებლობიდან გამომდინარე და მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც რეალობა უპირისპირებს, როგორ ფორმას მიიღებს ის? აქედან გამომდინარეობს ის, რომ შესაძლებელია ერთი უნიკალური საგნის იდეალური ტიპის შექმნა, მაგრამ ვერ შევძლებთ მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით ტიპოლოგიის გაკეთებას. მეორე მხრივ, იდეალური ტიპი ორმაგ დინამიკას გულისხმობს. პირველ ხანებში, ის გამომდინარეობს რეალობიდან და აბსტრაქციის პროცესით მისგან გამოჰყოფს მნიშვნელოვან შტრიხებს. შემდეგ, ასე აგებულ იდეალურ ტიპს შეადარებენ მოვლენის სხვადასხვა განსახიერებას. ამგვარად შეიძლება გაიზომოს ის მეტ-ნაკლებად დიდი განსხვავება, რომელიც თითოეულ ფენომენს აშორებს იდეალურ ტიპს: პოლ ვეინის აზრით, ასეთი მოქმედება განსხვავებების ჩამონთვალის შედგენის საშუალებას იძლევა და ამასთანავე მნიშვნელოვანი კითხვების დასმისაც: სიცარიელეში განვითარებული პროცესის სურათს და განსაზღვრულ კონტექსტში განვითარებულ პროცესს შორის განსხვავება გამოააშკარავებს ნამდვილ პრობლემებს და აჩვენებს სად და როგორ უნდა ვეძებოთ აქტიური ელემენტები კონკრეტულ სიტუაციაში.

იდეალური ტიპის იდეა გარდამავალი ეტაპია ტიპურ ცნებასა და მოდელს შორის. ორივე შემთხვევაში მივიღებთ ცნობებს რეალობაზე, იდეალურ სურათთან მისი შედარებით. მოდელი

იდეალური ტიპისაგან იმით განსხვავდება, რომ აქცენტს აკეთებს მოვლენების დინამიურ მხარეზე. მისი მიზანია გასაგები გახადოს პროცესები. მოდელის აგება გულისხმობს გარკვეული ვარაუდების დაშვებას, რომელთაგან შეიძლება შედეგების გამოყოფა და წინასწარ განჭვრეტა. მაგალითად, შესაძლებელია სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით კორელაციის დამყარება მოცემულ რეგიონში ელექტორატის სოციალურ შემადგენლობასა და ხმების პოლიტიკურ ორიენტაციას შორის. აქედან გაკეთდება მოდელი, რომელიც ვარაუდების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს ან სხვა რეგიონებში ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთობაზე ან იგივე რეგიონის პოლიტიკურ ევოლუციაზე სოციალური შემადგენლობის შეცვლის შემდეგ. ეს გათვლები შორს არის იმისგან, რომ ყოველთვის მართალი იყოს: სხვაგვარად საწყისი ვარაუდები შეიძლება ჩამოყალიბდეს კანონების ფორმით. მართლაც, მოდელის ვალიდობა ყოველთვის შეზღუდულია. იმ ცალკე აღებული სიტუაციის მიღმა, რომელმაც მისი ჩამოყალიბების საშუალება მოგვცა, მოდელი იდეალურია. ის წარმოადგენს ზღვარს, რომელსაც შეიძლება შეედაროს სხვა ცალკეული სიტუაციები. მოდელის თეორიულ შედეგებსა და რეალურად შესწავლილ რეალობას შორის არსებული განსხვავების გასაგებად გამოყენებული ძალისხმევა განსაზღვრავს აზრის მიმართულებას და აღრმავებს ანალიზს.

ირკვევა, რომ რეალობაზე ცოდნის გაღრმავება შეიძლება განსჯის ობიექტიდან გადახვევის გზით. აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე, თეორიულიდან რეალურზე გადასვლა და პირიქით, კვლევის ძლიერი საშუალებაა. შეიძლება ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჰიპოთეთიკურ-დედუქციურ აპარატზე ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ მისი შედეგები საკმარისია სიტყვების „მეცნიერება" და „პოლიტიკა" დაკავშირების გასამართლებლად.

57. აზრის გამოკითხვა. — საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას აზრის გამოკითხვაზე მისი თეორიული მნიშვნელობის გამო, მაგრამ უფრო მეტად მისი არაჩვეულებრივი სოციოლოგიური წარმატების გამო, სახელდობრ საფრანგეთში.

თავისი პრინციპით, გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მოსახლეობის რაოდენობრივად განსაზღვრულ აზრს, როდესაც ხდება ამ მოსახლეობის მხოლოდ ნაწილის გამოკითხვა. ბუნებრივია შეიძლება მთელი მოსახლეობის აზრის ცოდნა, თუ ყველა გამოიკითხება. მაგრამ გარდა იმისა, რომ ზოგიერთი პიროვნება უარს იტყვის პასუხის გაცემაზე, თვითონ გამოკითხვის პროცესიც იქნებოდა მძიმე და ძვირად ღირებული. ამიტომაც, „ფართომასშტაბიანი" გამოკითხვა მხოლოდ არჩევნებისთვის ტარდება — სადაც პასუხს იძლევიან მხოლოდ ხმის მისაცემად მისული მოქალაქეები. გამოკითხვის პრაქტიკული ღირებულება იმაშია, რომ იძლევა ანკეტების გავრცელების და ისეთი დიდი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას, რაც სხვა გზით განუხორციელებელია. ამ პროცესს არცთუ ცოტა შეზღუდვა აქვს, რისი ცოდნაც მნიშვნელოვანია. ზოგიერთი სირთულე უკავშირდება თვით გამოკითხვის ტექნიკას: ყველაფრის გაგება რაღაც ნაწილზე დაყრდნობით არ არის ტოლფასი ყველაფრის ცოდნისა მთელზე დაყრდნობით. სხვა აშკარა, მაგრამ ხშირად უყურადღებოდ დატოვებული შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ გამოკითხვა იძლევა მხოლოდ სტილიზებულ აზრებს, იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს მათი რაოდენობრივად დახარისხება; თანაც ნაწილი გვეტყვის იმაზე მეტს, რასაც მთელი. ბოლოს, გამოკითხვებში ხშირად ხდება სხვადასხვა ფორმის მანიპულაცია.

პირველი შეზღუდვები, როგორც ვთქვით უკავშირდება გამოკითხვის ტექნიკას. თანაც ალბათობის თეორია განსაზღვრავს პროცესის ლეგიტიმურობას: შედეგი, სხვადასხვა სიფრთხილის გათვალისწინებით, არ არის თვითნებური. შეიძლება იმის დამტკიცებაც (და დამტკიცება აუცილებელია, რადგან ფაქტი ინტუიციას ეწინააღმდეგება), რომ გამოკითხვის სიზუსტე თითქმის არ არის დამოკიდებული გამოსაკითხი მოსახლეობის სრულ რაოდენობაზე, არამედ მხოლოდ გამოკითხული პირების რაოდენობაზე. სხვა სიტყვებით, საფრანგეთის აზრის გასაგებად არ არის საჭირო იმაზე მეტი რაოდენობის გამოკითხვა, რაც პარიზის მოსახლეობის აზრის ცოდნისთვის არის საჭირო. მაგრამ ალბათობის თეორია გვიჩვენებს, რომ გამოკითხვის შედეგებში ორმაგი უზუსტობა არსებობს. შედეგებში მართლაც არის შეცდომები, რაც შეიძლება შემცირდეს, მაგრამ ბოლომდე ვერ აღმოიფხვრება. (ამისათვის საჭიროა ყველას გამოკითხვა, ე.ი. გამოკითხვის პრინციპზე უარის თქმა). მეორე მხრივ, შეცდომა მდგომარეობს არა რაოდენობაში, არამედ განსხვავებაში. შეცდომის რისკის შემცირება არ შეიძლება განსხვავების გაზრდის გარეშე. სამაგიეროდ, შეიძლება განსხვავების შემცირება (მისი სრულად მოსპობის გარეშე) გამოკითხული პირების რა-

ოდენობის გაზრდით. მაგრამ საჭიროა რაოდენობა გამრავლდეს ოთხზე, რომ განსხვავება გაიყოს ორზე. ბოლოს, განსხვავება უფრო დიდია საშუალო სიდიდისათვის, ვიდრე დიდი სიდიდისათვის. (სხვაგვარად, თუ მიღებული შედეგი 1000 გამოკითხულ კაცზე არის 98%, შეცდომა იქნება პლიუს-მინუს 0,9; თუ 50%-ია, შეცდომა უდრის 3,2%). სტატისტიკური უზუსტობა ამ განსხვავებული პარამეტრებისათვის მოცემულია „გაუსის ტაბულაში", რომელიც ცნობილი გერმანელი მათემატიკოსის სახელს ატარებს.

რა შეიძლება დავასკვნათ? შემდეგი: როდესაც გაზეთები აქვეყნებენ 1000 კაცზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს და ამაყად ასათაურებენ: ფრანგების 57% თვლის, რომ... „სინამდვილეში უნდა იძლეოდნენ ერთადერთ სწორ ფორმულირებას, გამომდინარეს ალბათობის თეორიიდან: არსებობს 95%-იანი შანსი იმისა, რომ იმ ფრანგების პროცენტული მაჩვენებელი ვინც ფიქრობს, რომ.... მერყეობს 53,9 და 60,1%-ს შორის". უზუსტობა რომ პლიუს-მინუს 1 პროცენტამდე დავიყვანოთ საჭიროა 9000 ადამიანის გამოკითხვა. ეს ბუნებრივია ძალიან ძვირი დაჯდება.

ამიტომაც, არასაიმედო გამოკითხვის ტექნიკა, რომელიც შემთხვევითი ადამიანების გამოკითხვაში მდგომარეობს არ გამოიყენება, თანაც კარგად არის ცნობილი მისი ვალიდობის საზღვრები. ინსტიტუტები მას ემპირიული მეთოდებით ანაცვლებენ: პროფესიონალების ცოდნას და ინტუიციას შეუძლია ჩაანაცვლოს შესუსტებული მათემატიკური ბაზა.

ძირითადი არსი მდგომარეობს მოცემული საზოგადოების შემცირებული მოდელის შექმნაში, ე.ი. მნიშვნელოვნად მიჩნეული ზოგიერთი ცვლადის პროპორციულ კვლავწარმოებაში (სქესი, სოციოპროფესიული და გეოგრაფიული დაყოფა). გამოიკითხება 47,5% მამაკაცებისა თუ მთელ მოსახლეობაში მათი რაოდენობა შეადგენს 47,5 პროცენტს და ა.შ. თუ გამოკითხვისათვის არჩეული ადამიანთა ჯგუფი წინასწარ არის არჩეული და იდენტიფიცირებული, ლაპარაკია სტრატიფიკაციის მეთოდის გამოყენებაზე. თუ ეს ჯგუფი განსაზღვრულია, მაგრამ არ არის იდენტიფიცირებული ლაპარაკია კვოტების მეთოდზე. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება, რადგან პირველი ხანგრძლივია და ძვირად ღირებული. ეს ფაქტი უმნიშვნელო არ არის, რადგან კვოტების სისტემა მოითხოვს, რომ გამოკითხვის ჩამტარებელებმა თვითონ იპოვონ ის ადამიანები, რომლებიც წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს პასუხობენ. როგორ უნდა გამოიკითხოს მოსამსახურე ადამიანი თავის სახლში კვირის მანძილზე? როგორ უნდა გააღებინო კარი ხანში შესულ ქალბატონს? როგორ უნდა იპოვო პარიზის დაუტოვებლად პერიგორის ან კორეზის მაცხოვრებელი სამოცი წლის ფერმერი? სხვადასხვა კატეგორიების მოძებნას არათანაბარი სირთულე სჭირდება, რაც გამოკვლევაში მნიშვნელოვანი ცდომილების რისკს იძლევა.

როგორც ვხედავთ, სარწმუნო გამოკითხვის სურათი ცოტა არ იყოს გაზვიადებულია. და ამასთანავე, მეთოდის ყველაზე სერიოზული ლიმიტი მის მეორე პუნქტშია.

მართლაც, გამოკითხული პიროვნება არ ამბობს იმაზე მეტს, რაც სურს და იმაზე მეტს, რაც იცის.

გამოკითხვა ამყარებს პიროვნებათშორის ურთიერთობას გამომკითხველსა და გამოკითხულს შორის, თუნდაც ეს ეფემერული იყოს. თანაც არსებობს ისეთი რამ, რაშიც საკუთარ თავსაც არ უტყდებიან, სხვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არ ამხელენ უხერხულ ან ტაბუდადებულ ფაქტებს. ადამიანებს უყვართ საკუთარი თავის კარგი კუთხით წარმოჩენა. ინსტიქტურად ეძებენ კარგ პასუხებს, იმისათვის რომ გამოჩნდნენ ზრდასრულები, შეგნებულები, პასუხისმგებლები, თანამედროვენი, დინამიურები. მათი პასუხი ძირითადად ცუდად შეჯერებული საკუთარი აზრია და ის არის, რასაც თვლიან, რომ უნდა ფიქრობდნენ.

გარდა ამისა, გამოკითხული პირები იშვიათად არიან თვითანალიზის უნარის მქონე. საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარი მოტივაციის გაგება საკმაოდ ძნელია და ცოტას თუ შეუძლია მოთმინებით ამის გაკეთება. საკუთარი გრძნობების სიტყვებით გამოხატვა ასევე ყველას ერთნაირად არ შეუძლია. ამგვარად, გამოკითხული პირები, მათი არჩევანიდან გამომდინარე, ცდილობენ თავისი ღრმა ნაფიქრალი ჩაანაცვლონ უფრო პრეზენტაბელური და რაციონალური აზრებით, რაც სიტყვებით გადმოცემისას უფრო მომგებიანია. ამგვარად, მათი ლოგიკიდან გამომდინარე, გამოკითხვები გვაძლევს მომზადებულ პასუხებს, სტერეოტიპებს: საჭიროა ისინი ყველასათვის გასაგები იყოს, ყველას ერთნაირი ფორმით მიეწოდოს, რათა შესაძლებელი გახდეს მათი სტატისტიკური დამუშავება. ორი პროცესის კომბინაცია იწვევს მოსალოდნელ შედეგს: ის ფსიქოლოგიური ფაქტების კომპლექსურობას და ორაზროვნებას ცვლის გადამუშავებული მასალით, გამოხატულს ფორმულებში და პროცენტებში. თუმცა რეალობასთან მისი მიმართება ერთდროულად

არასაიმედოც არის და უცნობიც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეცნიერული მიზნებით მისი დამუშავება სირთულეს არ წარმოადგენს. როდესაც არა მოტივების, არამედ უპირატესობების საკითხი დგება, სხვა სირთულე იჩენს თავს: რესპონდენტებს ადრე არასდროს უფიქრიათ დასმულ პრობლემებზე, პასუხი არ არის სავალდებულო, არც პასუხის უქონლობაა უხერხული: ბევრი პასუხი ალალბედზეა გაცემული და შელამაზებულია (ამ თვალსაზრისით წინასაარჩევნო გამოკითხვები სხვებთან შედარებით უფრო სანდოა, რადგან დასმული შეკითხვა და რეალური არჩევანი გასაგებ ენაზე წერია: გამომკითხველისათვის განდობილი გვარი და ბიულეტენში აღნიშნული არ არის განსხვავებული რეალობები. გულწრფელად გაცემული პასუხები არ არის განსჯის საკითხი). ამით აიხსნება ის გაუფასურება, რაც გამოკითხვების სიმრავლემ გამოიწვია. თანაც, რიცხვები უტყვია, ისინი თავს ვერ დაიცავენ იმათგან, ვინც იყენებს. მეთოდის თავისუფლება ისეთ ხარისხში ადის, რომ აღარაფრის მომცემია: ისინი აღარ გამოხატავენ გამოკითხულთა სავარაუდო მენტალიტეტს, ისინი უბრალოდ კონკრეტულ კითხვაზე კონკრეტული პასუხების რაოდენობას იძლევიან. ამ დასკვნებს უნდა დაემატოს ყველაზე მნიშვნელოვანი შენიშვნა, თუმცა ის იშვიათად კეთდება. ის ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ გამოკითხვები ძალიან ეფექტურია სოციალური პროცესების გასაცნობად, ვერ ამჩნევენ, რომ მოცემული საზოგადოების ჩარჩოში არ შეიძლება ყველანაირი კითხვის დასმა. ზოგიერთი მათგანი არაკანონიერია თვით ფრანგულ საზოგადოებაშიც, რომელსაც უყვარს იმის გამეორება, რომ თავისუფალია ყველანაირი ტაბუსაგან. არსებობს მაგალითად უხერხული შეკითხვები: იშვიათად ტარდება, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში, გამოკითხვები სკანდალებზე და მათში ჩართულ პოლიტიკოსებზე. არ ისმება კითხვები კანდიდატების ასაკზე და გარეგნობაზე. არ იზომება ადამიანების ცოდნა, რადგან უზრდელობაა საჭიროების გარეშე სხვისი უვიცობის გამომჟღავნება. აღარ ისმება კითხვები ისეთ სფეროებზე, რომლებზეც შექმნილია აზრი, რომ იგი საზოგადოებრივი აზრის გადასაწყვეტი არაა. მაგალითად, არის თუ არა ცნობილი ბრალდებული დამნაშავე? არის თუ არა პიკასო დიდი მხატვარი? ითვლება, რომ ეს თემები არ საჭიროებს უმრავლესობის აზრს ან მხოლოდ გამოცდილი ექსპერტების საქმეა. რა თქმა უნდა ყოველთვის არ შეიძლება ამ სახის გამოკითხვების ჩატარება და ეს უფრო მისაღებად მიჩნეული საკითხების გასაფართოებლად იქნება საჭირო. მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო არ იქნება მიღებული შედეგი: მნიშვნელოვანი იქნება ფაქტის იშვიათობა, პროფესიონალების თავშეკავება (ბევრი შეკითხვა უკვე ნიშნავს მისთვის გარკვეული ლეგიტიმურობის მინიჭებას) ან მედიის თავგამოდება გამოაქვეყნოს გამოკითხვა. საჭიროა უმნიშვნელო პროცენტების მიღმა დავინახოთ აშკარად კულტურული, ალბათ არამყარი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ზღვარი იმას შორის, რაც უთქმელად დაშვებულია როგორც შესაძლებელი თემა გამოკითხვისა და იმას შორის, რაც იმპლიციტურად გამორიცხულია.

გამოკითხვების ბოლო შეზღუდვა ის მანიპულაციებია, რისი ობიექტიც ისინი შეიძლება გახდეს. აქ პროცესი უფრო მეტად ობიექტს უკავშირდება, ვიდრე პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის ტექნიკას. მართლაც, არაპოლიტიკური გამოკითხვების „დამუშავება" არ ხდება: ისინი, ვინც ამ გამოკითხვებს უკვეთავენ, ცდილობენ ზუსტი ინფორმაციის მიღებას და შედეგებს მიიჩნევენ პროპაგანდის იარაღად. პოლიტიკაში საქმე სხვაგვარადაა, სახელდობრ მაშინ, როდესაც საქმე წინასაარჩევნო გამოკითხვებს ეხება. გამოცდილი პოლიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ კარგი გამოკითხვა მათი კანდიდატურის გარშემო სასურველ დინამიკას შექმნის, ხოლო ცუდი გამოკითხვა ამომრჩევლებს კონკურენტებისაკენ მიატრიალებს. ამის დამტკიცება უკიდურესად რთული იქნება: ამ აზრის სიმართლეზე ბევრი არაორაზროვანი მაგალითი მეტყველებს, მაგრამ როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ კამპანიის დასაწყისში ყველაზე წარმატებული კანდიდატი საბოლოოდ შეიძლება არ იქნეს არჩეული. გარდა ამისა, როგორ გამოყარჩიოთ გამოკითხვის ეფექტი იმ ფაქტების ერთობლიობიდან, რომელსაც საარჩევნო კამპანია ქმნის?

მთავარი პროცესების რეალობაში კი არ არის, არამედ მონაწილეების სუბიექტურ რწმენაში, რადგან ეს საკმარისია იმისათვის, რომ მათ გამოკითხვებით მანიპულირების მოტივი მიეცეს.

თუმცა, ნიადაგი ხელსაყრელია ორი მიზეზით.

პირველ რიგში, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ გამოკითხვების ინსტიტუტები კომერციული დაწესებულებებია, რომლებიც შეკვეთებზე მუშაობენ. თითოეული შეკვეთა დამკვეთის საკუთრებაა, ფულს ის იხდის და იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ შედეგები მის ინტერესებს არ

ემსახურება, შეუძლია ისინი მოისროლოს და ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც პრესის ორგანოს მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვები ძირითადათ ემსახურება ამ პრესის ორგანოს პოლიტიკურ ორიენტაციას? გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ასეა.

მეორე მიზეზი: გამოკითხულებმა ძალიან კარგად იციან, რომ გამომკითხველებისთვის მიცემული მათი პასუხები ხშირად არაგულრწფელია. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც არ სურთ გამოამჟღავნონ თავისი დამოკიდებულება ექსტრემისტული პარტიების მიმართ: ზოგიერთი პიროვნება მალავს ისეთ არჩევანს, რომელიც შეიძლება საერთო აზრიდან გადახვევად ჩაითვალოს. მაგალითად, კომუნისტებისათვის მიცემული ხმები წინასწარი გათვლებით ყოველთვის ღაწეული იყო. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ეროვნული ფრონტის ხმებთან დაკავშირებითაც. ასეთი ფაქტები გვიჩვენებს, რომ მთლიანად არ უნდა ვირწმუნოთ წინასწარი მონაცემები. საჭიროა მათი კორექტირება, ან როგორც ჟარგონზე იტყვიან, მათი შესწორება. უკონტროლობის თავიდან ასაცილებლად ითვალისწინებენ სხვადასხვა პარამეტრს: კონკრეტულად, წინა არჩევნების შედეგებს. მეთოდის უარყოფითი მხარე აშკარაა: როგორც კი ახალი წყვეტს კავშირს ძველთან, გამოკითხვა ხდება ბეცი. ამიტომაც, საფრანგეთში გამოკითხვებმა ვერ იწინასწარმეტყველა ვერც კომუნისტური პარტიის მარცხი, ვერც ეროვნული ფრონტის წინსვლა; ფაქტი უფრო საინტერესო ხდება იმდენად, რამდენადაც ვერ აიხსნება ალბათობის თეორიით; ის ეშვქვეშ აყენებს თვით გამოკითხვის პრინციპს. ბოლოს, რადგანაც შეუძლებელია შესწორების თვითნებური პროცესის სრულად აღმოფხვრა, წინასწარ იკვეთება ცთუნება. მას ყველა როდია აყოლილი, მაგრამ ნდობა, რომელსაც გამოკითხვა იმსახურებს, ხდება ნდობის ფაქტორი, რომელსაც გამომკითხველი იმსახურებს.

საბოლოოდ, როგორ შევაჯამოთ ეს ყველაფერი? ცხადია, გამოკითხვები გვაწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელსაც სხვა გზით ვერ მივიღებთ. ვინ დახარჯავს დროს იმისათვის, რომ ვამოკითხოს ფრანგები მოსწონთ თუ არა ბავშვის საფენები? მაგრამ ეს შენიშვნა ვერ გადაჭრის შედეგების სანდოობის და ინტერპრეტაციის პრობლემას. პირველი ღირებულია გამოყენებული ტექნიკის კარგი ცოდნით, თავისი უპირატესობებით და შეზღუდვებით, რაზეც ვისაუბრეთ ამ თავში. ის ასევე მუდმივ სიფხიზლეს მოითხოვს. გამოკითხვების ინტერპრეტაცია არ განსხვავდება პოლიტიკური მეცნიერებისაგან თავის მთლიანობაში, თავისი მეთოდებით, კონცეფციებით, გამოცდილებით. მეცნიერება განაპირობებს გამოკითხვების ეფექტურობასა და მნიშვნელობას და არა პირიქით. გამოკითხვა არ გვათავისუფლებს განსჯისაგან.

ნაწილი მეორე

ცნებები

58. ზოგადი მიმოხილვა. — პოლიტიკური მეცნიერება მოიცავს ცნებებს, რომელიც მისი ანალიზის პრივილეგირებული იარაღებია. ზოგიერთი მათგანი იმ ადამიანებს აღნიშნავს, რომლებიც აცოცხლებენ პოლიტიკურ სამყაროს, პარტიებს და ზეწოლის ჯგუფებს. მათ შემდეგ ნაწილში განვიხილავთ. სხვა ცნებებს, მათი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, ასე რომ ვთქვათ, უფრო ტრანსვერსალური ხასიათი აქვს. ისინი იმ სტრუქტურებისა და ძალების გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც პოლიტიკურ თამაშში მონაწილეთა მიზნებსა და საშუალებებს წარმოადგენს. ცნება **პოლიტიკური ხელისუფლება** მისი გლობალური ხასიათიდან და თავისი ობიექტის ყოვლისმომცველობიდან გამომდინარე, პირველ რიგში გახდება მსჯელობის საგანი. შემდეგ განვიხილავთ ცნებას **პოლიტიკური სისტემა**. ის შედარებით ახალი, უფრო ფართო, მაგრამ უფრო ბუნდოვანია, ვიდრე პოლიტიკური ხელისუფლება, ის მისი აუცილებელი დამატებაა. მისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტზე: ხელისუფლების როგორც პოლიტიკური აქტივობის გვირგვინის და პოლიტიკური სამყაროს ყველაზე თვალსაჩინო ნაწილის აღქმა და გაგება შეიძლება მხოლოდ მის დამოკიდებულებაში იმასთან, რაც თვითონ არ არის. მესამე თავში იმ სამ ცნებას შევისწავლით, რომელსაც წინა წლებში დიდი წარმატება ჰქონდა პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტებში: **პოლიტიკური**

კულტურა, პოლიტიკური სოციალიზაცია და პოლიტიკური ცვლილება. ამ თემების მიმართ დღევანდელი გულგრილობა მომდინარეობს, როგორც ვნახავთ, არა მათდამი ინტერესის ნაკლებობით, არამედ იმ ნაშრომების წარუმატებლობით, რომელიც სპეციალურად დაჯგუფეს ამ იარლიყების ქვეშ. ბოლოს გამოვიკვლევთ ორ ფენომენს, რომლის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია: იდეოლოგია ის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც აერთიანებს პიროვნებებსაც და კოლექტივსაც; პროპაგანდა, რომელსაც a priori ტექნიკური ხასიათი აქვს, არის იმ წარმოდგენებზე 'მეგნებული ზემოქმედების საშუალება, რომელიც პოლიტიკურ სამყაროს ქმნის.

თავი I. პოლიტიკური ხელისუფლება

59. სიტყვა "ხელისუფლების" პოლისემია. — ძალიან ცოტა სიტყვას თუ ექნება იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც აქვს ხელისუფლებას. ის აღნიშნავს აბსტრაქტულ, მარადიულ ცნებას, ყოველ შემთხვევაში იმ ავტორებთან, რომლებიც ამ იდეას უშვებენ. ის აღნიშნავს იმ ისტორიულ ფორმებს და კონტინგენტს, რომლის დახმარებითაც ეს ცნება აქტუალური გახდა: ამ მიმართულებით საუბარი იქნება პერსონალიზებულ ან ინსტიტუციონალიზებულ ხელისუფლებაზე. ის აღნიშნავს ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლების სხვადასხვა ფორმას განასახიერებენ. ის ასევე აღნიშნავს გამოცდილებას: ემორჩილება ან ახორციელებს ხელისუფლების ამა თუ იმ ფორმას. ლაპარაკობენ ადამიანების ძალაუფლებაზე, მაგრამ ასევე სიტყვების, აზრების, კანონების ძალაზე საუბრობენ. სიტყვა ხელისუფლების ხან პატარა, ხანაც ასომთავრული დაწერისას გარკვეული ნიუანსები შეაქვთ. ასომთავრული, როგორც მომავალში ვნახავთ, უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველია. ეს სხვადასხვა მნიშვნელობა ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა კავშირი ხანდახან სუსტია. გარდა ამისა, ის მოქმედებს დაპირებების სისტემების მეშვეობით, რომელიც ერთმანეთს არ ფარავს. ხელისუფლებისა და ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების დაპირისპირება ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. თუ იმ ბანალურ აზრს გამოვრიცხავთ, რომ ხელისუფლება ვერ იარსებებს იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც მას ახორციელებენ, ამ წიგნში ჩვენი კვლევის საგანი არის ხელისუფლების ცნება აღებული თავისი აბსტრაქტული მნიშვნელობით და არა მსჯელობა კონკრეტულ ადამიანებზე, მათი ისტორია და ფსიქოლოგია. პირიქით, მნიშვნელოვანია ხელისუფლების ცნებისა და მისი ისტორიული გამოხატულებების დაპირისპირება თუ ხელისუფლება კონკრეტულად მხოლოდ ისტორიული ფორმით არსებობს. საინტერესოა ზოგადად ხელისუფლებაზე მსჯელობა, თუკი აღმოჩნდება, რომ ასეთი სახის მსჯელობა ჩიხში შეგვიყვანს, თავისთავად ეს შედეგი ყურადსაღები იქნება.

ხელისუფლების შესწავლისას აქცენტი ოთხ საკითხზე გაკეთდება. პირველად, ხელისუფლების ცნებას ზოგადად მოვხაზავთ, შემდეგ ხელისუფლებას გამოვყოფთ, მესამე ეტაპზე შევისწავლით პოლიტიკური ხელისუფლების რამდენიმე ტიპს, თუმცა არა ამომწურავად. და ბოლოს, მოკლედ დავსვამთ შემაჯამებელ კითხვას: შეიძლება ცნება ხელისუფლება იყოს პოლიტიკური მეცნიერების სფეროს განსაზღვრის კრიტერიუმი?

ნაწილი I. ხელისუფლების ცნება

60. ხელისუფლების ორმაგი ბუნება. — ხელისუფლებაზე ყველანაირი მეცნიერული მსჯელობის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს შემდეგი წინასწარი კონსტატაცია: ხელისუფლება, როგორც ცნება განსხვავებული ეპოქებისა და კულტურების გადასახედიდან ორმაგი ბუნებისაა. ხელისუფლება ხანდახან კურთხეულია. მისი მპყრობელების ნებისმიერი ინიციატივა, შესაძლოა ხშირად ნაკარნახევი მათი ეგოისტური ინტერესებით, გულგრილობით და დაუდევრობით, ძალიან მაღალ შეფასებას იღებს. ხან კი თვლიან, რომ ძალიან ცუდია და არც ერთი მისგან გამომდინარე ქმედება, გამიზნული საზოგადოების სასიკეთოდ, არ რჩება გაუკრიტიკებელი. ხელისუფლების გაღმერთებაზე ან შეჩვენებაზე ბევრი რამ არის დაწერილი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ორ ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულ, მაგრამ თავისთავად ძალზედ შთამბეჭდავ ტექსტს.

პირველი ბიბლიიდან არის აღებული. აბიმელექმა, გედეონის ვაჟმა "ერთ ქვაზე" დახოცა თავისი სამოცდაათი ძმა. ერთადერთმა გადარჩენილმა იოთამმა სიქემის მცხოვრებლებს მიმართა და მათ არაკი მოუყვა: ხეებმა მეფის არჩევა გადაწყვიტეს. მათ რიგრიგობით სთხოვეს მეფობა ზეთისხილის, ლეღვის ხეს და ვაზს. სამივემ უარი თქვა, რადგან პირველს არ ეთმობოდა თავისი ზეთი, მეორეს ლეღვი, მესამეს ყურძენი. ბოლოს, ხეებმა ეკლის ბუჩქს მიმართეს. ის დათანხმდა. მაგრამ შეეშინდა, რომ ხეები გადაწყვეტილებას შეცვლიდნენ და დაემუქრა, რომ სიტყვის გატეხვის შემთხვევაში ის ცეცხლს გააჩაღებდა და ტყეს გააჩანაგებდა.

ძნელია ამაზე დამგმობი და გესლიანი მხილების მოგონება. ხელისუფლება შეუთავსებელია სასარგებლო საქმიანობასთან, ხელისუფლების აღსასრულებლად მასზე უარის თქმა არის საჭირო. ხელისუფლებაზე უნაყოფოები თანხმდებიან. ეს ეხება მეფეების ამპარტავნობას და იმ მუქარებს, რომლითაც საზოგადოებას აშინებენ. ბოლოს, როდესაც ადამიანი ხდება გარემოების მსხვერპლი, მას უკან დასახევი გზა აღარ აქვს: არჩევანი აღარ რჩება, როდესაც ხელისუფლების საკითხი დგება, იგულისხმება მორჩილება ან სიკვდილი.

მეორე ტექსტში საპირისპირო პოზიციაა აღწერილი, ის ჟან ანუის პიესა „ანტიგონედან" არის აღებული. ეს არის კრეონის დასაცავი მჭერმეტყველური სიტყვა, რომელიც ამართლებს ძალაუფლების მპყრობელის ქმედებას, მიმართულს გმირი ქალის შეუვალი პატიოსნებისა და თუ ასე ვიტყვით, აპოლიტიკურობის წინააღმდეგ.

ამისათვის გამოყენებულია მეტაფორა: საზოგადოება გემთან არის შედარებული, რომელიც ქარიშხალში მოყვა. ძალაუფლება საჭეა, რომელსაც მმართველები ჩაეჭიდნენ, რადგან მესაჭე გაიქცა. ეკიპაჟი, ე.ი. ქვეშევრდომები ურჩი უქნარები არიან, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ, რითაც საფრთხეში აგდებენ ყველას სიცოცხლეს. ადამიანი, რომელიც მართვის ბერკეტს იღებს, უმისამართოდ ისვრის. ეს წესრიგის დამყარების ერთადერთი საშუალებაა და ამიტომაც, ასეთი საქციელი კანონიერად უნდა ჩაითვალოს. აქ არ არის იმის გარკვევის ადგილი, რამდენად გასაგები და შესაბამისია მეტაფორა, ან იმის დადგენის აუცილებლობა, რამდენად შეიძლება მსგავსი მსჯელობების შეზღუდვა, ან ამართლებს თუ არა ისინი ნებისმიერ საქციელს. მთავარია განვსაზღვროთ ხელისუფლება თავის თავში.

ჩვენს მიერ მოტანილი ეს ორი ტექსტი გვაძლევს ორ, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციას, რომელთაც მიუხედავად ამისა, ორი რამ აქვთ საერთო. პირველ რიგში, ორივე ეყრდნობა შეფასებით მსჯელობას. პირველი გმობს უნაყოფო, დამანგრეველ და მანკიერ ხელისუფლებას. მეორე, მიუხედავად სისასტიკისა, ხელისუფლებას ამართლებს, რადგან იმასთან შედარებით, რის აცილებასაც ცდილობს, ის მცირე ბოროტებაა. პირველი იმას ასკვნის, რომ ხელისუფლებას ნებისმიერი უწესრიგობა ჯობია, მეორე კი იმას, რომ უწესრიგობას ნებისმიერი ხელისუფლება სჯობს. ორივე შემთხვევაში ფაქტი დგინდება ღირებულებებთან კავშირში. რეალობის ანალიზი ნაკარნახევია იმ პოლიტიკური და წინასწარი არჩევანით, რომელიც ერთდროულად ეთიკურიც არის და პოლიტიკურიც. დაგმობისა და ხოტბის შესხმის ზოგადი ხასიათი მხოლოდ შემდეგ პერსპექტივაში შეიძლება გავიგოთ: უტყუარობა, რომ a priori ჩანდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ხელისუფლების, როგორც ასეთის შეფასების ნაცვლად, უფერულად, მაგრამ უფრო რეალისტურად კონკრეტული ხელისუფლებების დამსახურებებსა თუ უღირს საქციელზე მსჯელობა. ამას მეორე პუნქტთან მივყავართ: ორივე პოზიციას აერთიანებს ის, რომ დადგენილად მიიჩნევს ხელისუფლების მთლიანობას და ერთადერთობას. არსებობს მხოლოდ ერთი ხელისუფლება თავისი სხვადასხვა გამოხატულებებით და მას შეიძლება მიეწეროს მარადიულად კეთილისმყოფელი ან დამანგრეველი ბუნება. მაგრამ არის დასაბუთებული ეს უფრო აშკარა, ვიდრე დამტკიცებული თვალსაზრისი?

ამ კითხვაზე პასუხი რა თქმა უნდა უარყოფითია. მაგრამ ამის საჩვენებლად საჭიროა განვასხვაოთ ხელისუფლების ორი დიდი, ტრადიციული კონცეფცია, რომელიც მასში ხედავენ ან არსს ან ურთიერთობას. პირველი, როგორც ჩვენმა მოყვანილმა მაგალითებმა აჩვენა მასში ხედავს არსს, მის ფორმებში კი ამ არსის გამოხატულებას და ძალას. მეორე კონცეფცია პირიქით, ხაზს უსვამს დამოკიდებულების ასპექტს. ხელისუფლების დამოკიდებულება პირველია და აბსტრაქციის საშუალებით მისგან აღებულია ხელისუფლების ცნება. თითოეულ ამ კონცეფციას თავისი მნიშვნელოვანი შედეგები აქვს ფენომენის გაგების ფორმასთან დაკავშირებით.

61. ხელისუფლება როგორც არსი. — იმის მიჩნევა, რომ ხელისუფლება არის არსი უდრის ორი პოსტულატის დაშვებას, რომელიც ლოგიკურად არ არის დაკავშირებული, მაგრამ ძირითადად ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. პირველი, როგორც ახლახან ვნახეთ უშვებს, რომ არსებობს აბსტრაქტული ბუნება, რომელიც ხელისუფლების ბუნებას ჰგავს. მეორეს მიხედვით, ხელისუფლება არის მთლიანობა, რომელსაც ფლობენ გარკვეული პიროვნებები. ის არის ლოკალიზებული ძალა მმართველი ადამიანის ხელში ან საზოგადოების მიერ მიღებულ პრინციპებში გარემოებების შესაბამისად. მას შეიძლება ფლობდე როგორც საგანს, შეიძლება იყოს მოპოვებული, გადაცემული, დაკარგული, გაყიდული. ეს არის ის, ერთი შეხედვით ფალიან მარტივი ინტერპრეტაცია, რომელსაც პირველ რიგში აღიქვამენ ადამიანები. როდესაც დავაკვირდებით მეფეს, მის დიდებულებას, თუ როგორ მოითხოვს და იღებს თავისი ქვეშევრდომებისაგან სრულ მორჩილებას, ძნელია არ დაიჯერო, რომ იგი განსაკუთრებული უნარის მფლობელია. თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მეფე ცალკე დგას ადამიანთა საზოგადოებიდან. ამ განსაკუთრებული სტატუსის დასაბუთება სხვადასხვანაირად შეიძლება, მაგრამ უპირველესად ვუშვებთ, რომ მეფეს განსაკუთრებული ძალა გააჩნია. უფრო ადვილია ხელისუფლება აღვიქვათ როგორც ძალა, ვიდრე როგორც ინტერაქცია.

ეს კონცეფცია ამასთანავე მთავარ სირთულეს აწყდება: ხანდახან ხელისუფლება უძლურია. მისი ნება არავითარ ეფექტს არ ახდენს. არა მარტო საქმეები არ ემორჩილება, არამედ ის ადამიანებიც ეურჩებიან და ჯანყდებიან მის წინააღმდეგ, რომლებიც ოფიციალურად არ არიან ხელისუფლებაში. თუ საბოლოოდ, ძალაუფლება იცვლის მფლობელს, შეიძლება ითქვას, რომ არსმა მდებარეობა შეიცვალა და ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდა. მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ მეფე მეფედ რჩება და მას არ ემორჩილებიან?

შენიშვნა მნიშვნელოვანი ჩანს, მაგრამ ხელისუფლების თეორია, რომელიც მას არსად მიიჩნევს აქაც იმარჯვებს (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად) და დაპირისპირებაში მეტ ძალასაც იკრებს. ხდება ფაქტებიდან ღირებულებებზე გადასვლა. აქ პარადიგმა თეოლოგიურია: ღმერთი ყოვლისშემძლეა; იგი ამასთანავე კეთილია. როგორ შევაჯეროთ ორივე, სამყაროს მდგომარეობის გათვალისწინებით? ყველაზე ადვილია დავუშვათ ცუდი ძალის არსებობა, რომელსაც ღმერთი უტოვებს (დროებით) მოქმედების თავისუფლებას მხოლოდ მისთვის ცნობილი მოსაზრებით. ანალოგიური სქემა შეიძლება ადამიანურ ე.ი. პოლიტიკურ დონეზე გადმოვიტანოთ: თუ სავარაუდოდ ყოვლისშემძლე ხელისუფლება აღმოჩნდება უუნარო, ეს იმიტომ მოხდება, რომ შეეჯახება დემონურ ძალას. (აქ არ შევეცდებით იმის დადგენას ხელისუფლების თეორია იმეორებს თუ არა თეოლოგიას ან პირიქით). მისი წყალობით ხელისუფლების ყოვლისშემძლეობა აღდგენილია სამართლებრივად, თუნდაც ფაქტობრივად ის დამარცხებული იყოს. ის არ გადაეცემა კანონიერი საფუძვლით სხვას, განსხვავებულს, მაგრამ ასევე კანონიერს. გაიმართება უშეღავათო ბრძოლა სინათლესა და უკუნეთს შორის. ამგვარი საბაბით, ყველანაირი პრინციპი, ყველაზე ამქვეყნიურიც კი მისაღებია: რამდენადაც ხელისუფლება არის ღვთიური ნების ძალა, დემოკრატიული კონსენსუსი, ისტორიის დედაარსი, მისი ყველა მოწინააღმდეგე ბოროტია. მათ ასეთებად ჩათვლას თავისი უპირატესობა აქვს. დამატებითი უპირატესობა: ხელისუფლების პასუხისმგებლობა თავისუფალი იქნება, რადგანაც მისი მარცხი მისი სისუსტით კი არ იქნება გამოწვეული, არამედ, უცხო, ბოროტი ძალის ჩარევით. საპირისპიროდ, თუ ხელისუფლება ეშმაკისეულია, მისდამი ყოველგვარი მორჩილება მხილებული იქნება, როგორც უკან დახევა, სილაჩრე და ღალატი პროლეტარიატის მხრიდან, მისი ისტორიული მისიის შესრულებისას. ხელისუფლება რომ წარმოდგენილი იყოს არა როგორც ძალა, არამედ როგორც სხვადასხვა ძალიდან გამომდინარე, მაშინ ამ თემაზე და მის საწინააღმდეგო თემაზე მორალის წაკითხვა ძალიან ძნელი იქნებოდა. არსებობს პირდაპირი კავშირი ხელისუფლების, როგორც არსის კონცეფციასა და ეშმაკისეული მიზეზობრივობის თეორიას შორის.[16]

კონცეფციას, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არის არსი, თავისი პრაქტიკული დადებითი მხარეები აქვს. მაგრამ ეს მხარეები უფრო თეორიულ სისუსტეზე მეტყველებს. მხოლოდ ემოციური ლოგიკა ხსნის იმას, რომ ბოროტების ბოროტი საქციელით არის განპირობებული ხელისუფლების უუნარობა. რაციონალურ პერსპექტივაში ხელისუფლების ინტერპრეტაცია, როგორც არსისა, ნახევარი პრობლემების გაგებას ართულებს. თუ ხელისუფლება

[16] იხ. n°105.

დადებითი არსია, დაუმორჩილებლობა ძნელი გასაგებია. თუ უარყოფითი არსია, მორჩილება პრობლემატური ხდება. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი თანამედროვე ლიტერატურის ნაწილი იმეორებს ფსევდო-რაციონალური ფორმით ამ ძალიან ანტიკურ სპეკულაციებს. იქ ხელისუფლება წარმოდგენილია როგორც უზარმაზარი, გაფეტიშებული, მრავალფორმიანი და ოდიოზური რამ — რადგან ტერმინს ამ კონტექსტში მხოლოდ კნინობითი დატვირთვა აქვს. ამასთანავე, ღვთაებრივი შორს არ არის, ამისათვის ხანდახან უმრავლესობის შეცვლაც კმარა. სინამდვილეში, ეს მოსაზრებები მხოლოდ ახანგრძლივებს ხელისუფლებისა და საკრალურის ალიანსს, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ორგვაროვნება ამ უკანასკნელის (საკრალურის) დამახასიათებელია. ერთდროულად ნათელის და ბნელის, საშინელისა და ღვთაებრივის. თუ გვსურს მეცნიერული რეფლექსიის ჩარჩოში დავრჩეთ, ავიცილოთ მორალის საფრთხეები და მისტიკური ბოდვა, უფრო გონივრული იქნება და პროზაულიც ხელისუფლება განვიხილოთ, როგორც დამოკიდებულება.

62. ხელისუფლება როგორც დამოკიდებულება. — ამ მიმართებით ხელისუფლება აღარ არის იდუმალი, კეთილისმყოფელი ან დამლუპველი ძალა. ხელისუფლებაზე აბსოლუტური მნიშვნელობით საუბარს აზრი აღარ აქვს. ხელისუფლება არის ერთგვარი მოქმედება, განხორციელებული რაიმეს (ან ვინმეს) მიმართ. ხელისუფლებაზე ლაპარაკი შეიძლება სულ ცოტა ორი მხარის არსებობის შემთხვევაში. თუ ვინმე იზოლირებულად არის აღებული, მაშინ აზრი არა აქვს ამ ცნების გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს ორმაგი ფუნქცია: მაგალითად ადამიანი, რომელიც კანტის მიხედვით მორალური კანონის შესაბამისად კანონმდებელიც არის და სუბიექტიც.

როგორ დავადგინოთ ასეთი კავშირის ბუნება? თუ არ განვიხილავთ ხელისუფლებას, რომელსაც ახორციელებენ საგნებზე, ან ღირებულებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენზე. განსაკუთრებულად დაგვრჩება ძალისმიერი ურთიერთობები პიროვნებებს შორის, ერთადერთი არსებითი ჩვენს პერსპექტივაში და ამისათვის ყველაზე მარტივი იქნება მაქს ვებერის ტრადიციული განსაზღვრების გამეორება: ხელისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ A-ს შეუძლია აიძულოს B იმოქმედოს ან თავი შეიკავოს A-ს ნების შესაბამისად. ორივე პირობა უნდა შესრულდეს, რადგან იმისათვის, რომ ხელისუფლება განხორციელდეს მხოლოდ B-ს რეაგირება არ კმარა. ის A -ს სურვილების მიხედვით უნდა მოქმედებდეს: თუ მე ვინმეს რაიმეს ვუბრძანებ და იგი საწინააღმდეგოდ მოიქცევა, ჩვენს შორის იქნება ურთიერთობა, მაგრამ ეს არ იქნება ხელისუფლების გამოხატულება.

ეს განსაზღვრება ზუსტია იმდენად, რამდენადაც საშუალებას იძლევა ნათლად წარმოვიდგინოთ ხელისუფლების ცნება. ის იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ პრაქტიკაში დაუფიქრებლად გამოვიცნოთ ხელისუფლების გამოვლინებები? ეს ნაკლებად სარწმუნოა. მეორე ელემენტი უპრობლემოდ ფასდება კონკრეტულ შემთხვევაში: თავისუფლად შეგვიძლია დავრწმუნდეთ, შეესაბამება თუ არა B-ს საქციელი ამას. თუ A-ს ნება არ გამოითქვა ხმამაღლა და B ემორჩილება იმას, რაც მისი აზრით A-ს ნებაა, ხელისუფლების გამოხატვის დადგენა გართულდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად პრობლემატური პირველი ელემენტია. ის გულისხმობს რეალური ფაქტის (B-ს განხორციელებული საქციელი) და არარეალური ფაქტის შედარებას იმის განსაზღვრით თუ: რას გააკეთებდა B A-ს ჩარევის გარეშე. ზუსტად რომ ვთქვათ, ეს შედარება შეუძლებელია, რადგან ალტერნატივის ერთ-ერთი ნაწილის შესრულება გამორიცხავს მეორის შესრულებას. თეორიულად საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ხელისუფლება არ არსებობს: B ყოველთვის იმას აკეთებს, რაც სურს და მხოლოდ შემთხვევითობაა, რომ მისი ქმედება ემთხვევა A-ს სურვილს და ხელისუფლება დადის A-ს ძლიერების ილუზიამდე. რატომ ვიღებთ სხვა ინტერპრეტაციას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ გვჯერა ხელისუფლების რეალური არსებობა? როგორ ვცნობთ მას? სამი ფორმით.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინტროსპექცია: მე მგონია, რომ გამაჩნია გარკვეული ძალაუფლება ერთი მხრივ, ჩემს თავზე, მეორე მხრივ, სხვაზე. შეიძლება ეს ილუზიაა. მაგრამ ამ ილუზიას მე ისე შევეჩვიე, რომ ის განსაზღვრავს ჩემს საქციელს და სამყაროს ჩემეულ აღქმას. შემდეგ, მე ვაწყდები ისეთ ძალაუფლებას, როდესაც სხვისი ნება მოქმედებს ჩემზე. აქაც არის გარკვეული ორაზროვნება: მე შემიძლია ვირწმუნო, ან მინდა მჯეროდეს, რომ სინამდვილეში მე ვარ თავი-

სუფალი და ის რაც სხვას ჰგონია, რომ თავს მახვევს, ჩემი სურვილია. აგრეთვე, მე შეშიძლია ვიფიქრო, რომ სხვას გავლენა აქვს ჩემზე და ამით გავთავისუფლდე ჩემს საქციელზე პასუხისმგებლობისაგან. და ბოლოს, როდესაც მე ვაკვირდები ორ ადამიანს შორის ურთიერთობას, მე ვასკვნი ჩემი პირადი გამოცდილებიდან, რომ ერთ ადამიანს მეორეზე აქვს ძალაუფლება. ასეთი ახსნა ჩემი აზრით უკეთ აშუქებს შესწავლილ მოქმედებებს ჩემი მონაცემების გათვალისწინებით, ვიდრე ის ახსნა, რომელიც თვლის, რომ მოქმედებები თავისუფალია და თანხვედრილი.

ამგვარად გაგებული ხელისუფლება ერთდროულად გამოცდილებაც არის და ვარაუდიც. ეს ორი ინტერპრეტაცია მოიცავს იმ არეს, სადაც ხდება ხელისუფლების პროცესის გამოვლინება: ვარაუდი ანაცვლებს გამოცდილებას იქ, სადაც ის აღარ ითვლება მართებულად. მაგრამ ამ არის შიგნით ერთმანეთის გვერდიგვერდ, ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებს უკუპროპორციულად. სხვა სიტყვებით, შეგვიძლია ხელისუფლებაზე არსებულ ჩვენ გამოცდილებაზე დაყრდნობით აღვწეროთ სოციალური ფაქტების მთლიანობა ისე, როგორც სუბიექტური ნებით თავსმოხვეული ხელისუფლების ფაქტები და უარვყოთ მოქმედი პირების ნებისმიერი თავისუფლება: მეორე მხრივ, შესაძლებელია ხელისუფლების გამოცდილების უარყოფა და მისი დაყვანა წმინდა ვარაუდზე, რომლის გამოყენებაც პრობლემატურია: მოხდება სოციალური ურთიერთობების აღწერა, როგორც პირადი ნების თავისუფალი თამაშისა შემზღუდავ სივრცეში.

არც ერთი ეს ინტერპრეტაცია არ არის დამაჯერებელი, რადგან ორივე ძალზედ აშკარად უპირისპირდება ჩვენს ყოველდღიურ გამოცდილებას, რომელიც იძულებასაც ეყრდნობა და თავისუფლებასაც. თუმცა აუცილებელია მათი გააზრება, რადგან ისინი გვიჩვენებს, რომ ხელისუფლების ნებისმიერი აღწერა აუცილებლად ორ პოლუსს შორის ხორციელდება: ერთი, რომელიც ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს მისი როლი იმ მოვლენების უკიდურესად შემცირებით, რომელიც აიხსნებოდა ამ ცნებით; მეორე, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს მისი როლი საპირისპირო შედეგებით. თავისთავად ცხადია, ამ სტრატეგიების მიზანი არ არის მოცემული ფენომენის ნეიტრალური აღწერა. მათ ექსტრამეცნიერული, სახელდობრ პოლიტიკური მიზნები აქვს. ისინი პირდაპირ გამომდინარეობს ხელისუფლების იმ შეფასებითი მსჯელობიდან, რომელიც ზევით განვიხილეთ. მათ სახე იცვალეს პოსტულატისა და მისაღწევი მიზნის შესაბამისად მოცემულ სიტუაციაში: თუ მე ვთვლი, რომ ხელისუფლება ცუდია, მე ვერ დავინახავ თავისუფალ მოქმედებას სხვის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ სუბიექტებში. სამაგიეროდ, ჩემი ხელისუფლება არ არის ფაქტობრივი ხელისუფლება, ეს არის საგანთა ბუნება, უპრობლემოდ მიღებული მორჩილების შედეგი და ა.შ.

თუ გადავალთ ფენომენის გლობალური შეფასებიდან კონკრეტული სიტუაციების შესწავლაზე დავადგენთ, რომ მათ, ვინც ხელისუფლებას იყენებს და მათ, ვიზეც ხორციელდება ხელისუფლება მიდრეკილება აქვთ კონიუნქტურის მიხედვით შეამცირონ ან გაზარდონ ხელისუფლების წონა. A priori, ის ვინც იყენებს ხელისუფლებას, ზრდის მას, რომ საკუთარ თავს მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს და ის, ვიზეც ხელისუფლება ხორციელდება, ამცირებს მას ღირსების შესანარჩუნებლად. მაგრამ a posteriori, თუ საქმე ცუდად შემოტრიალდა, ხელისუფლების მქონე ამცირებს მას („ბრძანება გავეცი, მაგრამ არ დამემორჩილნენ") და ვიზეც ხორციელდება, ის ზრდის მას („მე არაფერ შუაში ვარ, ასეთი ბრძანება მქონდა"). ვინაიდან არ არსებობს პროცედურა, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, განგვასაზღვრინებდა ხელისუფლების დამოკიდებულებას, ნებისმიერი სტრატეგია დასაშვებია.

აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ქცევაზე დაკვირვებით არ მოხერხდება ხელისუფლების ახსნა. თუ ამას არ დაემატება ვარაუდები დამოკიდებულების თაობაზე, ე.ი. სუბიექტების გონებრივი მდგომარეობა, თავისუფლად შეიძლება მისი დანახვა ყველგან ან არსად. ძალაუფლების კონკრეტული დადგენა შეიცავს შეთანხმების წილს და იმპლიციტურ ვარაუდს. პრაქტიკაში, უნდა შეფასდეს თითოეული შემთხვევა ემპირიულად და მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რასაც დამკვირვებელი უმატებს თავისი დაკვირვების ობიექტს.

63. ხელისუფლების პრობლემისადმი ექსპერიმენტული მიდგომა. — ამ სირთულეების გადასალახავად, ზოგიერთი, კერძოდ ამერიკელი სოციოლოგებისათვის, აუცილებელი აღმოჩნდა პრობლემის ექსპერიმენტული შესწავლა. ბუნებრივია, არ შეიძლება ლაპარაკი ყოფილიყო მთელი საზოგადოების მოდელის შექმნაზე. ამ ექსპერიმენტის

ინიციატორებმა შეძლეს მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ, შეზღუდულ და მოხალისეებით დაკომპლექტებულ ჯგუფებზე ოპერირება, რაც სამჯერ ართულებდა მათ ამოცანას. ამ მიდგომის ვარგისიანობის დადგენამდე, საჭიროა მოკლედ მათი მეთოდებისა და შედეგების აღწერა.

ხელისუფლების მიკროსოციოლოგიური კვლევის მთავარი პრინციპი მდგომარეობს სადისკუსიო ჯგუფების შექმნაში, რომლებშიც მოხდება ავტორიტარული ურთიერთობების პროგრესული წარმოქმნის შესწავლა. ისეთი მნიშვნელოვანი მკვლევარების, როგორიც არიან ჟ.ლ. მორენო, რ.ფ. ბალი და კ. ლევინი, ვარაუდები, მეთოდები და შედეგები განსხვავებულია, მაგრამ მათი ნაშრომებიდან ერთი საერთო აზრი შეიძლება გამოვკვეთოთ: ჯგუფები ის ცენტრია, სადაც იკვეთება ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენი, როგორიცაა ლიდერები, ე.ი. პიროვნებები, რომელთაც გარკვეული პრესტიჟი და ავტორიტეტი აქვთ სხვა წევრებში. ამ დასკვნის გარდა, არც ერთი დასკვნა არ არის აბსოლუტური. ჯგუფებში გამოკვეთილი ლიდერები განსხვავებული არიან: ისინი შეიძლება კონფორმისტები იყვნენ, ან პირიქით, მარგინალები — რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გავლენა შეიძლება იმ ფაქტიდან გამომდინარეობდეს, რომ ჯგუფის წევრები მათთან მსგავსებას პოულობდნენ, ან პირიქით, სწორედ გამორჩეულობა შეიძლება მათ პრესტიჟს მატებდეს. მათი დახასიათება შეიძლება მათი ცოდნით, პრობლემების დასმისა და გადაჭრის უნარით, სიმპათიის გამოწვევისა და პერსონალური ხიბლის მიხედვით. საინტერესოა, რომ მოსალოდნელის საპირისპიროდ, ორ ვარაუდზე შედეგების გადანაწილება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ იცვლება პრობლემის ბუნებასთან ერთად. პრობლემა მაინც არ ახდენს გავლენას ლიდერების არჩევის პროცესზე, მიუხედავად იმისა ის ტექნიკური იქნება და გადასაჭრელად გარკვეულ ცოდნას მოითხოვს, თუ იქ დისკუსიებსა და სუბიექტურ აზრებს მნიშვნელოვანი ადგილი ექნება დაკავებული. პრობლემის „ბუნება" არ ქმნის ლიდერს. აქ გადამწყვეტი ელემენტი ის ფაქტია, თუ როგორ აღიქვამს ამ უკანასკნელს ჯგუფი. მის პიროვნებასთან დაკავშირებული ეს სურათი ასევე ჯგუფის თითოეულ წევრთანაც არის დაკავშირებული, ისევე როგორც მათ შორის დამყარებულ ურთიერთობებთან; შედეგი ალბათ გაურკვეველი არ არის, მაგრამ ფაქტორების მრავალფეროვნება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მას თითქმის გაუთვალისწინებელს ხდის.

ეს ანალიზი შეიძლება ტექნოკრატიული მცდელობის მარცხს დავუკავშიროთ. ისინი გვიჩვენებს, რომ „ტექნიკა" არ არის უმაღლესი კატეგორია და პიროვნებების მიერ სპონტანურად მიღებული. „პოლიტიკა", სადაც ყველა ფაქტორი ერთიანდება, თვით თავისი გლობალური და არადიფერენცირებული ხასიათის ფაქტზე წინ დგას.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორები თავიანთ ვარაუდებს აუცილებლად აშუქებენ თავის მეთოდებსა და შედეგებში. მორენოს ხედვა სპონტანურობისაკენ იხრება. მას სურს დაამტკიცოს, რომ უპირატესობების მინიჭება, რომელიც კონკრეტულ პიროვნებას არ უკავშირდება, საკმარისია ჯგუფის შესაქმნელად და მისთვის კონკრეტული ვალდებულებების შესრულების დასაკისრებლად, და იგი ამას ამტკიცებს. მისი ნაშრომებიდან კი იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ყველაფერი, რაც ემატება სოციალურ სპონტანურობას არაკანონიერია. ლევინი დარწმუნებულია, რომ „დემოკრატიული" ხელისუფლება უფრო ეფექტურია პრობლემების გადაჭრისას, ვიდრე „ავტორიტარული" სტილი; კონკრეტული შემთხვევების ანალიზში იგი თავისი თეზისის გასამყარებლად „მეცნიერულ" დასაბუთებას პოულობს. ეს ზედმეტად პროგნოზირებადი დებულებები შეშფოთებას იწვევს.

ამ პირობებში, რა წვლილი მიუძღვის ამგვარ ნაშრომებს ხელისუფლების გაგებაში? ჯერ საჭიროა იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც წამოიჭრა საექსპერიმენტო ჯგუფების ხასიათიდან. თავიდან უნდა შევნიშნოთ, რომ შედავება ხელოვნურობასთან დაკავშირებით ნებისმიერი ექსპერიმენტის მეთოდს ეხება: არც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არის შესწავლილი საგნები, აღებული თავის ბუნებრივ მდგომარეობაში. შემდეგ, „ბუნებრივი" საზოგადოებები ნაკლებად ხელოვნური როდია, ვიდრე სოციოლოგების მიერ შექმნილი სადისკუსიო ჯგუფები, იმ მიმართებით, რომ შემთხვევითობა გავლენას ახდენს პიროვნებებზე, მათი თავმოყრისას სახელოსნოში. სკოლაში, ერში. ილუზიაა იმის დაჯერება, რომ ამგვარ ჯგუფებს გარკვეული ონტოლოგიური პრივილეგია აქვთ, რაც მათ აქცევს ისეთი მექანიზმების ადგილსამყოფელად, რომელიც ვერ ჩანაცვლდება ბალისა და ლევინის მიერ შესწავლილი ჯგუფებით.

მეორე, მართებულია შევნიშნოთ, რომ „ბუნებრივი" ჯგუფები უფრო ფართო და უკვე არსებულ მთლიანობაში არიან მოქცეული, რაც სამ რამეს გულისხმობს. ჯერ ერთი, ადამიანების

კუთვნილება ამ ჯგუფებისადმი არასდროს არის ნებაყოფლობითი. ბრიჯის კლუბში ჩაწერას ირჩევენ (ისევე როგორც სოციოლოგების შეზღუდულ ჯგუფებში ჩაწერას ექსპერიმენტისათვის), მაგრამ არ ირჩევენ უფრო დიდ ჯგუფში მონაწილეობას, ცოცხალ საზოგადოებას, რადგანაც მათზე არაა დამოკიდებული, სად დაიბადებიან. არსებობს ბევრი შუალედური შემთხვევა: მაგალითად, პრინციპში ირჩევენ პროფესიას, მაგრამ დღეს, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, არ ირჩევენ პროფესიის პრაქტიკაში გამოყენებას. ასევე, შეუძლიათ დატოვონ ბრიჯის კლუბი ან შეზღუდული ჯგუფი, მაგრამ ადამიანთა საზოგადოებას ტოვებენ თვითმკვლელობით, პროფესიის შეცვლაც ასევე რთული საკითხია. ეს თვისებები აძლიერებს „ბუნებრივ" ხელისუფლებას, მაგრამ ასუსტებს კიდეც მას, რადგან როდესაც არ შეუძლიათ წასვლა, უხდებათ ბრძოლა. მეორე მხრივ, ამ ხელისუფლებას უკვე ჩამოყალიბებული თვისებები აქვს: აქვს გარკვეული სტილი, გამოიხატება სხვადასხვა ფორმით და საზღვრებით, ის უკვე გააჩნდა ამ თუ იმ ადამიანს, რომლის დანიშვნის ფორმა უკვე განსაზღვრულია. თუმცა ეს ყველაფერი იცვლება და მუდმივ განვითარებაშია, მაგრამ ყოველთვის არსებობს წარსული, რომელიც განაპირობებს აწმყოს და არ აძლევს მას საშუალებას გამოავლინოს სპონტანურობა. ბოლო ელემენტი, რეალური ჯგუფები, შეიძლება ითქვას, ერთმანეთში ჩაწყობილი ყუთებია: სახელოსნო არსებობს საწარმოში, რომელიც მოქცეულია ინსტიტუციურ ჩარჩოში — სოციალურ და პოლიტიკურში, ის თავის მხრივ არსებობს თავისი კულტურის, ისტორიის მქონე ერში და ა.შ. აქედან გამომდინარეობს, რომ ხელისუფლების გამოვლინება საბაზო ჯგუფში ძლიერდება, სუსტდება, იცვლება, ფერს იცვლის, მჭიღრო კავშირშია იმ შორეულ თუ ახლო წრეების ანსამბლთან, რომელშიც მოქმედებს. სოციოლოგების მიერ შესწავლილი ხელისუფლების დამოკიდებულებები, პირიქით, კონსენსუსის ხასიათს ატარებს (არ არის თავსმოხვეული), სუფთაა (არ არის განპირობებული წარსულით) და ელემენტარულია — არ არის გართულებული იმ ურთიერთქმედებათა უსაზღვრო კომპლექსურობით, რომელიც ყველა მიმართულებით მყარდება რეალურ საზოგადოებაში. ეს არის მოდელები, რომელიც ინფორმაციასაც მოიცავს და შეზღუდვასაც: მიკროსამყაროს მაკროსამყაროში გადმოტანა არასდროს არის a priori არალეგიტიმური, რადგან შექმნილი ჯგუფები თავისი ბუნებით არ განსხვავდება პირველადი ჯგუფებისაგან, მაგრამ ეს გადმოტანა არასდროს ხდება ავტომატურად. კარგად ვიცით, რომ ცნობილი სოციალური ქცევების შეკრებას შეუძლია გაუთვალისწინებელი ეფექტის მოხდენა. საჭიროა თითოეულის ცალკე შესწავლა. ამ საკითხში ნებისმიერი განზოგადება შეიძლება სულ ცოტა, არასაიმედო იყოს.

ასეთ პირობებში, ექსპერიმენტული მიკროსოციოლოგიის ძირითადი წვლილი ორი პუნქტით შეიძლება ჩამოყალიბდეს. პირველი უარყოფითია: ხელისუფლება არ არის მარტივად განპირობებული იმ პრობლემების ბუნებით, რომელიც ელემენტარულ ჯგუფებში ბიძგს აძლევს მის გაჩენას. მეორე დადებითია და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია: ისე ჩანს, თითქოს, ადამიანთა ჯგუფები სპონტანურად ქმნიან დიფერენციაციას. მას ენდოგენური ხასიათი აქვს და არ არის გარე წაქეზებისა და იძულების პროდუქტი. აქედან გამომდინარეობს, რომ ის თეორიები, რომლებიც ხელისუფლებას მიიჩნევენ ხელოვნურ მოვლენად, რომელიც სოციალურ ჯგუფებზე თავსმოხვეულია გაყალბებით, მოტყუებით თუ ძალით, უნდა უკუვაგდოთ. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ვერც ერთი კონკრეტული ფორმა დემოკრატიული თუ ტირანული, ვერ ისარგებლებს ბუნებრივი თვისებით იმ კრიტიკის a priori ასაცილებლად, რომლის საგანიც არის. ყველა რეალური ხელისუფლება სადავოა, როგორც თავისი ბუნებით, ისე თავისი ფორმებით. მაგრამ ხელისუფლების არსებობის ფაქტი თავისთავად ვერ იქნება მხილებული, როგორც საზოგადოების დამახინჯება. ხელისუფლება არ არის შეთქმულების შედეგი. ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ ხელისუფლება დამახასიათებელია ადამიანთა ჯგუფებისათვის.

ამ დაკვირვებას აქვს თავისი შედეგი: ნებისმიერი იდეოლოგიური სისტემა, რომელიც ისეთ საზოგადოებას გვპირდება, სადაც არ იქნება ხელისუფლება, a priori უნდა ჩაითვალოს უტოპიურად ან აბსურდულად. როგორც კი ჩნდება ცნობიერებათა სიმრავლე, დაპირისპირებული მოქმედების აუცილებლობასთან, ხელისუფლება ფაქტობრივად უნდა ფუნქციონირებდეს. ამ აშკარა ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით, თუ მხოლოდ კარგად ცნობილ შენიღბვის მეთოდებს არ გამოვიყენებთ. მაგალითად, შეიძლება ტოლობის ნიშანი დავსვათ ხელისუფლება = ცუდ ხელისუფლებას, საიდანაც გამომდინარეობს, რომ უკლასო საზოგადოებაში, სადაც სავარაუდოდ ყველაფერი კარგად არის, ვერ იარსებებს ხელისუფლება. ან კიდევ, შეიძლება გამოვიყენოთ ამ ფენომე-

ნის ორაზროვნება და ვთქვათ, რომ ამიერიდან როგორიც არ უნდა იყოს გარეგნული გამოხატულება, თითოეული თავის ნებას მიყვება, რომელიც სპონტანურად ემთხვევა ყველას ნებას. მართლაც, უხელისუფლებო საზოგადოების იდეა მხოლოდ არაბუნებრივ პერსპექტივაშია ლოგიკური. რუსოს მიერ ნახსენები ღმერთის ხალხი, რჩეულთა საზოგადოება, მისაღებია ხელისუფლების გარეშე — მაგრამ პოლიტიკური მეცნიერება, ჩვენი აზრით, თავშეკავებული უნდა იყოს ასეთ თემებთან დაკავშირებით.

64. იძულება და თანხმობა. — არსებობს კიდევ ერთი, მთავარი და სადავო საკითხი, რაზეც პასუხსაც ვერ იძლევა მიკროსოციოლოგიური ანალიზი. ეს არის ხელისუფლების ფუნქციონირებაში არსებული კავშირების საკითხი იძულებიდან გამომდინარესა და თანხმობაზე დამოკიდებულს შორის. მართლაც, ექსპერიმენტულ ჯგუფებში, როგორც ვნახეთ, არ იყო იძულება. რეალური ხელისუფლება, ცხადია, სხვაგვარად მოქმედებს. მისგან მოდის ძალა, რომელსაც შეუძლია პიროვნების იძულება. ხელისუფლების მიერ ძალდატანება მისი ის პირველი ასპექტია, რომლის შემჩნევაც ძალიან სწრაფად ხდება. საერთო აზრის მიხედვით, ეანდარმი იურიდიული წესრიგის კონკრეტული გამოვლინებაა. სწორედ ეს ფენომენი ხსნის ხელისუფლების ამბივალენტურობას (ძალა იცავს ან ჩაგრავს) და მის პრიმიტიულ დამპყრობლურ ხასიათს, გამოხატულს არსებითის ფორმით. საპირისპიროდ, არსებობს მრავალი ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ ხელისუფლება შეიძლება გახდეს თანხმობის საგანი იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც მას ექვემდებარებიან.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს ორმაგი სქემა, რომელიც ხელისუფლებაზე ნებისმიერი მსჯელობის ლეიტმოტივია. ჩვენ დავადგინეთ, რომ არსებობს ხელისუფლების გამოვლინების ორი ასსნა — იძულება და თანხმობა. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მეორით იცვლება, მაგრამ ამ ორს შორის საზღვარი მკვეთრად გამოხატული არ არის. აქაც ჩნდება ორმაგი გაურკვევლობა. ნორმატიული გაურკვევლობა: ხელისუფლება კარგია თუ ცუდი? გაცემული პასუხის მიხედვით უფრო გადავიხრებით იქით, რომ თუ ჭარბობს იძულება — ცუდია, ხოლო თუ თანხმობა — კარგი. და დესკრიფციული გაურკვევლობა: კონკრეტული ქცევა გამომდინარეობს ძალდატანებიდან თუ არათანასწორთა შეთანხმებული ნებიდან? ამ ორმაგი ორაზროვნების გამოყენებით შესაძლებელია ყველა ფაქტი აღიწეროს, როგორც იძულებიდან გამომდინარე. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა თანხმობა მოჩვენებითია ან ყალბი რწმენაა: ადამიანებს ურჩევნიათ ირწმუნონ, რომ ხელისუფლებას ეთანხმებიან, ვიდრე დაუშვან, რომ იძულებით მოქმედებენ; ხელისუფლების ხრიკებიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ნაცადი საშუალებებით (მანიპულაციები, დემოკრატიული იდეოლოგიები) დამოუკიდებლობაში დააჯეროს. მაგრამ ასევე შესაძლებელია რეალობის აღწერა მხოლოდ თანხმობის ფარგლებში. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ტირანული მთავრობაც კი აუცილებლად ეყრდნობა უმრავლესობის თანხმობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეძლებდა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას და მის დამხობას. ყალბი რწმენა ამ შემთხვევაში გამოიხატება ზედაპირული უკმაყოფილებით, რომელიც თავის სიღრმეში თანხმობას მალავს.

თითოეულ ამ თეზისს თავისი დამცველები ჰყავს. შესაძლებელია გავცდეთ უბრალო აღწერას და ამის ნაკლებად სისტემატურ ანალიზს შევეცადოთ? სრული იძულების იდეა ძნელად მხარდასაჭერია, რადგან არ არსებობს ტირანი, რომელიც მარტო ახერხებდეს ტერორის გამეფებას. მას სჭირდება მხარდაჭერა სოციალური ჯგუფებისაგან, დაინტერესებული ჯგუფებისაგან ან სულ მცირე პოლიტიკური ზედამხედველებისაგან. თუ ეს ჯგუფები აღარ დაუჭერენ მას მხარს, მაშინ შეძლებენ კიდეც მის დამხობას და ამიტომაც მმართველობის გასახანგრძლივებლად ტირანს მათი თანხმობა სჭირდება. აქედან შემდეგი გამომდინარეობს: თუ არ შეიქმნება მაგიური ძალის მქონე ხელისუფლების ილუზია, სადაც მთელი ძალაუფლება მმართველების ხელშია, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაძლებს მინიმალური თანხმობის გარეშე. საპირისპიროდ, ძნელია იმის მტკიცება, რომ ყველა ხელისუფლება გამყარებულია აქტიური თანხმობით. ჯერ ერთი ძნელია იმიტომ, რომ კარგად ვიცნობთ ისეთ მაგალითებს, როდესაც საზოგადოებაზე გარეშე ძალაუფლებაა თავსმოხვეული: მაგალითად ჩეხოსლოვაკია 1968 წლის შეჭრის შემდეგ. მართალია ყველა ჩეხს თავი არ მოუკლავს: მხარდაჭერის ცნებას მხოლოდ ეს ერთადერთი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ. მაგრამ საჭიროა იმის დაშვება, რომ ამ სიტყვას მნიშვნელობას მაშინ უცვლიან, როდესაც ის აღარ აღნიშნავს პოზიტიურ მიმხრობას, არამედ წმინდა ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს. მეორეც, ძნელია იმიტომ, რომ საუკეთესო ვარაუდში თანხმობა მხოლოდ მაჟორი-

ტარულია, ყველა რეჟიმს კი ყავს თავისი დევნილები და ურჩები. ეს ფაქტი მუდმივად აშფოთებს გონებას ჰარმონიის ძიებაში. მაგრამ სირთულის გადალახვის მცდელობა ან უტოპიაში გადადის ან ლოგიკურ გამოსავალს ეძებს ფსიქოლოგიური დატვირთვის გარეშე: როგორც რუსოს ცნობილ თეორიაში, რომლის მიხედვითაც სოციალური კონტრაქტის მიღებით, ადამიანებს a priori სურთ ის, რაც აღმოჩნდება, მართალია, მათი ნების საწინააღმდეგო, მაგრამ საერთო ნების შესაბამისი.

საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში ყოველთვის შერეულია იძულება და თანხმობა. ორაზროვნება გაძლიერებულია იმ ფაქტით, რომ ზედმეტი სიტყვების თამაშის გარეშე, თანხმობას მივყავართ იძულებამდე და იძულებას თანხმობამდე.

თანხმობიდან იძულებამდე მისვლის მაგალითია შემთხვევა, როდესაც ადამიანთა ჯგუფი გადაწყვეტს დელიკატური მისიის შესასრულებლად ან სერიოზული საფრთხის დროს, თავისი რამდენიმე წევრი აღჭურვოს იძულების ძალაუფლებით. ძალაუფლების მისია იქნება მოვალეობების განაწილება, შესრულებაზე თვალყურის დევნება, დისციპლინის დაცვა, მოსალოდნელი დარღვევების თავიდან აცილება. ასეთი ტიპის ორგანიზაციას თავისი უპირატესობა აქვს. ის მეტი ეფექტურობის გარანტიაა. ასევე ის უშუალო კონფრონტაციის და მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოადგენს ობიექტურ რაციონალურობას და საკმარის ფსიქოლოგიურ რენტაბელურობას იმისთვის, რომ მისი მიღება იყოს გულწრფელი თანხმობიდან გამომდინარე.

იძულებიდან თანხმობამდე მისვლის იდეა გულისხმობს, იმისათვის, რომ კარგად იქნეს გაგებული, იმ ძირეული განსხვავების გაკეთებას, რომელსაც ლეგიტიმურობის ტიპების შესწავლისას წავაწყდებით. ეს არის განსხვავება არჩევასა და თავზე მოხვევას შორის. გრძნობა თავზე მოხვეულია, როდესაც ის განპირობებულია ადრე არსებული სტრუქტურით: მაგალითად ჩვეულებრივ, შვილებს უყვართ მშობლები, თუმცა მათ ისინი არ აურჩევიათ. არჩევანის გრძნობა პირიქით, სტრუქტურის მიზეზია: ადამიანს იმიტომ ირჩევენ მეუღლედ, რადგანაც უყვართ. როდესაც არჩევანის გრძნობაზეა ლაპარაკი განსხვავება ნათელია: ცოლის შერთვა იმიტომ რომ გიყვარს და მისი ცოლად მოყვანა იმიტომ, რომ თავიდან აიცილო მომავალ სიმამრთან გართულებები ადვილად განსასხვავებელია ერთმანეთისაგან. სამაგიეროდ, როდესაც გადავდივართ თავსმოხვეულ გრძნობებზე განსხვავება ბუნდოვანი ხდება. ბავშვებს ნებაყოფლობით უყვართ მშობლები თუ ეს იძულებაა? კითხვაზე პასუხი არ არსებობს. მართლაც, მათ არ მიუღიათ მათი შეყვარების გადაწყვეტილება, მაგრამ ამასთანავე ამ გრძნობაში არ შეინიშნება იძულების არავითარი ნიშანი; ის პირიქით აღქმულია როგორც თავისუფალი ნება, თუმცა ის ასეთი არ არის. იძულებისა და თანხმობის დაპირისპირება ისეთი მნიშვნელოვანი არ არის თავსმოხვეული გრძნობების შემთხვევაში, როგორც თვალთმაქცობა და გულწრფელობა. ეს დასკვნები შეიძლება გადატანილი იქნეს პოლიტიკური მეცნიერების დონეზე. როდესაც სტალინი გარდაიცვალა, მოსახლეობის პირველი რეაქცია მღელვარება და ძრწოლა იყო, ეს მისი პიროვნების კულტის შედეგია (ძალიან სწრაფად, ამას მოჰყვა მეორე, არანაკლებ ინტენსიური რეაქცია — შვება). სტალინის მსხვერპლთა გლოვა გულწრფელი იყო? პასუხს აზრი არა აქვს, რადგან აქ ცხადია თავზე მოხვეულ გრძნობებთან გვაქვს საქმე. იძულებას და თანხმობას შორის კავშირი იმაზე მჭიდროა, ვიდრე შეგვეძლო წარმოგვედგინა, იმდენად, რომ მათ შორის ზუსტი დემარკაცია თვითნებობად ჩაითვლება, მას შემდეგ რაც არჩევანის გრძნობების სფეროს გავცდებით. ამ ფაქტის სხვა გამოყენებას შევხვდებით, როდესაც პროპაგანდას შევისწავლით და რომლის შედეგიც არის საზღვრის არევა ადამიანის ფსიქიკასა და იმას შორის, რაც მასზე გარედან მოქმედებს. ახლა კი, საჭიროა თანხმობის ფორმების გამორკვევა. ამ საკითხის განხილვის საუკეთესო გზაა მაქს ვებერის ცნობილი თეორიის მოშველიება, რომელიც ლეგიტიმურობის სამ ტიპს მოიცავს.

65. მაქს ვებერის მიერ განსაზღვრული ლეგიტიმურობის სამი ტიპი. — რა არის ლეგიტიმურობა? ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.[17] ვებერის პერსპექტივაში ის აღნიშნავს იმ ღირებულებების და წესების ერთდროულობას, რომლებიც შესაძლებელს ხდის ხელისუფლებასთან თანხმობას. სხვა სიტყვებით, მართული ხალხისთვის დასმულ კითხვაზე „რისი გულისთვის ვემორჩილებით?“ მაქს ვებერს მხოლოდ სამი პასუხი აქვს. ხალხის მორჩილება შეიძლება

[17] აქ ის უპირისპირდება იძულებას. კონსტიტუციური სამართლის თეორიაში ის უპირისპირდება ლეგალურობას. ეს დაპირისპირებები ერთმანეთს არ უშლის ხელს.

განპირობებული იყოს წარსულის დიდებით; ხელმძღვანელის პირადი დამსახურებით; ექსპლიციტურ და რაციონალურ წესებზე მორჩილებით. ამგვარად არსებობს ტრადიციული ლეგიტიმურობა, ქარიზმატული ლეგიტიმურობა და რაციონალურ-ლეგალური ლეგიტიმურობა.

მაქს ვებერის მოსაზრებას შეიძლება ორ პუნქტში შევედავოთ. პრაქტიკაში ადამიანები სვამენ ასეთ ტიპის შეკითხვებს? ვებერის თეორიას აქვს ფსიქოლოგიური შინაარსი? და თუ ის არ არის ჭეშმარიტი მართული ხალხის თვალში, მაშინ რა შემთხვევაშია ის სწორი? ყოველ შემთხვევაში ის ვერ ჩაითვლება რეალურად არსებული ხელისუფლებების მიზეზად. მეორეც, თვითნებობა ხომ არ არის ლეგიტიმურობის ტიპების სამამდე დაყვანა? შეიძლება ისიც ვიკითხოთ, რომ ამ ორი პუნქტის კომბინირებით, ხომ არ უნდა ვაღიაროთ, რადგანაც ფორმულა a priori მოიცავს წინააღმდეგობას, ფაქტობრივი ლეგიტიმურობის შესაძლებლობას. ხომ არ არსებობს ადამიანთა გონების ძლიერი მიდრეკილება ბუნებრივი ჩათვალოს ნორმალურად და რეალობა აიყვანოს ღირებულების დონეზე? ხელისუფლებას აღიარებისთვის მხოლოდ არსებობა ხომ არ სჭირდება მაშინ, როდესაც ძლიერ არ უპირისპირდება ჩვეულებებს და არ აზარალებს ინტერესებს? ეს საკითხები სიღრმისეულად რომ განვიხილოთ, ძალზედ ფართოდ გაშლას მითხოვს, რისი ადგილიც ამ ნაშრომში არ არის. ჩვენ შემოვიფარგლებით ვებერის მიერ განსაზღვრული და დღეს კლასიკურად მიჩნეული ცნებების განხილვით. ჩვენ მათზე მსჯელობისას არ შემოვიფარგლებით მათი ავტორის ინტერპრეტაციით, რადგან ჩვენი მიზანი არ არის აზრების აღწერა, არამედ გვინდა სამყარო გავიგოთ ამ აზრების ფონზე.

ტრადიციული ლეგიტიმურობა ეყრდნობა „მარადიულ გუშინს" ე.ი. წინაპართა წეს-ჩვეულებებს. ამ ტიპის ხელისუფლება გაბატონებული იყო ადამიანთა საზოგადოებებში ათასწლეულების მანძილზე. უპირველეს ყოვლისა ის შემდეგ ფაქტს ეყრდნობა: ადამიანთა საზოგადოება ძლებს თაობების მიერ დაგროვილი ცოდნის გადაცემით, ხოლო მემკვიდრეობისადმი მორჩილება უფრო ხშირია, ვიდრე მისი ეჭვქვეშ დაყენება. მაგრამ ეს აზრი შეიძლება იყოს რაციონალიზებული: ძველი კარგია, რადგან აქამდე მოაღწია. ფაქტისა და იდეის გაერთიანება ქმნის სტერეოტიპს, ანუ ასეთ მსჯელობას, რომელიც მოქმედებს ნებისმიერი ექსპერიმენტული შემოწმების გარეშე და საწინააღმდეგოდაც კი. შედარებითი გამოკვლევის მიხედვით ძველს არ ამჯობინებენ ახალს, ვინაიდან ძველი თავისი არსით ჯობია ახალს.

ამგვარი პრინციპები ამუხრუჭებს სიახლეებს. ინოვაცია შეიძლება მხოლოდ ორი ფორმით დაინერგოს. ძალით: „განათლებული" მონარქის გადაწყვეტილება მოდერნიზაცია-კატასტროფის შესახებ, რომელიც ფართომასშტაბიანი პედაგოგიური გაროზგვებით მყარდება, პერიოდულად განმეორებადია ძველ ჩინეთსა და თანამედროვე რუსეთში. მეორე ბერკეტი, გაუცნობიერებელი და მშვიდობიანი, განეკუთვნება რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ადრე არსებული მდგომარეობის აღდგენას. ტრადიციული საზოგადოებები, სინამდვილეში ისეთი საზოგადოებებია, რომელთაც სჯერათ დღევანდელი დღის დეკადანსის. გუშინდელის წინააღმდეგ იშველიებენ გუშინწინდელ დღეს და ამგვარად შეიქმნება ხვალინდელი დღე.

ასეთ ავტორიტეტს შეუძლია გამოაცოცხლოს ხელისუფლების ნებისმიერი სისტემა, სახელდობრ პოლიტიკური და არა მარტო ე.წ. „პრიმიტიულ" საზოგადოებებში. საფრანგეთის მონარქიული რეჟიმი ამგვარ პრინციპებს ეყრდნობოდა. რევოლუციის მთავარი მნიშვნელობა იყო არა ისტორიის ნამდვილი ტენდენციების დამხობა (როგორც მაგალითად ცენტრალიზაცია), არამედ მმართველების მიერ ჩადენილი საქციელის გამართლება: იწყებოდა ახლის შენება გააზრებულად, ნებაყოფლობით და არა განახლება ძველის გარდაქმნით.[18] ეკლესია სხვა დამახასიათებელი მაგალითია იმ სისტემებისა, სადაც ამ ტიპის ლეგიტიმურობაა. არაგანახლებად ფუნდამენტურ ფაქტებზე ორიენტირებული, ის თავის დინამიურობას იღებს წარსულიდან. თვითონ რეფორმაც გაკეთდა თავდაპირველ ეკლესიასთან მიბრუნების სახელით.

ამ თანამედროვე მაგალითების მიუხედავად, ტრადიციული ლეგიტიმურობა დღევანდელ მსოფლიოში აშკარად უკან იხევს, რადგან ამ უკანასკნელს პირიქით, ფეტიშისტურად სჯერა სიახლის აბსოლუტური სიკეთისა: ცუდი ახალი დღეს სჯობია კარგ ძველს. ასეთ კონტექსტში ძნელი

---

[18] ფილოსოფიური რეფლექსიის მიხედვით გამყოფი ხაზი გადის რუსოს, რომელთანაც სიახლე უკვე თავისთავად ცუდია და ფიხტეს შორის, რომლის აზრითაც ოქროს ხანა წინ გვაქვს. იხ. ა.ფილიპენკო „ჟან ჟაკ რუსო და ფიქრი უბედურებაზე", 1984, ტ.2, გვ.233 და „კაცობრიობის თავისუფლება ფიხტეს ფილოსოფიაში" ნე-2 გამოცემა, 1980, გვ. 69-71.

გასაგები ხდება ტრადიციული ლეგიტიმურობის პრინციპი: როგორ მოვიყვანოთ წარსულის პოზიტიური არგუმენტი? თუმცა მას თავისი უპირატესობები აქვს. ჯერ ერთი, ეს ამცირებს სასოწარკვეთილებას: წარსული პრეცედენტების მთელი კრებულია, საკმარისია იქ ჩახედვა და ავირიდებთ არჩევანის ფსიქოლოგიურ რისკს. შესაძლებელია უკვე შესრულებულ როლში შესვლა და აღარ არის აუცილებელი ახლის გამოგონება. შემდეგ, ტრადიციული ლეგიტიმურობა ამცირებს კონფლიქტებს, იმ გაგებით, რომ არც ერთი მონაწილე არ არის იმ თამაშის წესებზე პასუხისმგებელი, რომელიც მასზე ადრე მოიფიქრეს. მას ამ წესების გამოყენება შეუძლია ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე და ვერც მისგან დაზარალებულები იტყვიან, რომ ეს წესები სპეციალურად მათთვის მოიგონეს. სიძველე ამ წესებს გარკვეულ ობიექტურობას ანიჭებს, რაც უფრო აადვილებს მათ გამოყენებას და დაცვას. დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების არჩევნების ფორმების პარადოქსული შედეგები, რომლებიც შესაძლებელს ხდის იმ პარტიის ან პარტიების კანდიდატის არჩევას, რომელსაც ნაკლები ხმები აქვს მიღებული, არ არის მიუღებელი საზოგადოებრივი აზრისთვის, რადგანაც ეს იმ წესების შედეგია, რომლებიც მთავარ მოქმედ პირებს არ გამოუგონიათ. საკმე სხვაგვარად იქნებოდა, თუ ამ წესებს მიიღებდა ის უმრავლესობა, რომელიც საკუთარი ძალაუფლების გასახანგრძლივებლად შესაბამის საარჩევნო კანონს აამუშავებდა[19]. უფრო ზოგადად, ამ ორი ცნობილი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, განსაკუთრებით თუ შევადარებთ საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას 1789 წლიდან, ნათლად წარმოაჩენს ტრადიციულ ლეგიტიმურობასა და კონსენსუსს შორის კავშირს. ისტორიული კონიუნქტურის გამოვლინებების აბსტრაქციით, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრანგეთის კონსტიტუციურ ცვლილებებში, ტრადიციული ლეგიტიმურობის ლოგიკა შემდეგი პარადოქსული ფორმულირების გაკეთების საშუალებას იძლევა: რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე არსებობს რეჟიმი, მით უფრო მეტი შანსი აქვს არსებობის გასახანგრძლივებლად.

მაქს ვებერის მიერ განსაზღვრული ლეგიტიმურობის მეორე ფორმა ქარიზმატული კანონიერებაა. ამ აზრს არნახული წარმატება ხვდა წილად და ეს სიტყვა ყოველდღიურ მეტყველებაში გადავიდა, რაც მხოლოდ ზრდის ამ ცნების ორაზროვნებას. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზუსტებებისა და განსხვავებების გაკეთება.

სიტყვა ქარიზმა მოიცავს ბერძნული სიტყვის **χάρις** ორმაგ მნიშვნელობას, რომელიც ერთდროულად აღნიშნავს ფიზიკურ წყალობასაც და წყალობას ქრისტიანული მნიშვნელობით. ის გამოხატავს იმ განსაკუთრებულ გავლენას, რომელიც ადამიანებს აქვთ თავის მომხრეებზე და ეს ყოველგვარი ადრე არსებული დასაბუთებისგან დამოუკიდებლად ხდება: ქარიზმატული ლიდერი არც მეფის შვილია და არც ეინმეს მიერ არის არჩეული. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია რელიგიის დამფუძნებლები (ოფიციალურად აღიარებული რელიგიები კი პირიქით, უნდობლად ეკიდებიან ქარიზმას, რადგან მასში ხედავენ არეულობების სათავეს). ქარიზმატულ ავტორიტეტს ორი თვისება აქვს. ჯერ ერთი, მას შეუძლია ადამიანებს ისეთი რამ გააკეთებინოს, რასაც ადრე ვერ წარმოიდგენდნენ. შემდეგ, მისი უნარი არ არის არსებული სისტემის შედეგი: ის არის ემოციური, გლობალური, არალეგლამენტირებული. ის გულისხმობს გულით მიღებას და არა გარეგნულ მორჩილებას. თეოლოგიური განმარტებით ეს ძალა ღმერთისგან მოდის. საერთო მნიშვნელობით მას განაპირობებს პიროვნებათშორისი ხიბლის განსაკუთრებული ძალა. ამ თვისებებიდან გამომდინარე, აღარ უნდა მოხდეს მისი წარამარა გამოყენება, როდესაც „ქარიზმატულს" უწოდებენ უბრალოდ მომხიბვლელ ადამიანს, რომელიც ჩვენგან არაფერს ითხოვს, ან რომლის ავტორიტეტი განპირობებული არ არის კონკრეტული პირის მიერ. სამაგიეროდ, სიტყვა ქარიზმას გამოყენება შეიძლება რომელიმე ლიტერატურული სკოლის ან ფსიქოანალიტიკური სექტის ხელმძღვანელის დასახასიათებლად: მათი მიმდევრები შეიძლება ნაკლებად ძლიერ გავლენას განიცდიან, მაგრამ რეალურს და ხელმძღვანელის ხელისუფლება მხოლოდ მისი პიროვნული, უფრო მეტად კი მისი უნარის დამსახურებაა და არა მისი შემოქმედების.

რელიგიურ და ფსიქოანალიტიკურ სექტებს ორი რამ აქვთ საერთო: ისინი ვიწრო კოლექტივებია და იქ გაერთიანების გადაწყვეტილება პრინციპში თავისუფალია. შეიძლება დაუფიქრებლად ქარიზმის ცნების გადმოტანა პოლიტიკურ გაერთიანებებში, რომელთა წევრებიც ძალიან

---

[19] ივლისის რევოლუციის შემდეგ, პერთა პალატაში წარმოთქმული სიტყვის დროს შატობრიანმა იკითხა: „დღეს თქვენ იმ მეფეს ირჩევთ, რომელიც ხვალ ხელს შეგიშლით სხვა მეფის არჩევაში? კანონი, თქვეს იტყვით კანონი? მას ხომ თქვენ იღებთ!" — ასეთი შენიშვნა ვერ გაკეთდებოდა „ლეგიტიმური" მონარქიის დროს მემკვიდრეობის ფორმასთან დაკავშირებით.

ბევრნი არიან და სადაც გაწევრიანება იძულებითია? პასუხი იქნება ის, რომ საჭიროა განსხვავების გაკეთება. სიტყვა „ქარიზმით" გამოწვეული მთავარი საფრთხეა ერთ, არადიფერენცირებულ კატეგორიაში გაერთიანება ყველა იმ შემთხვევისა, როდესაც მართული ადამიანები მმართველების მიმართ დადებით და ძლიერ გრძნობებს განიცდიან. საჭიროა ორი სიტუაციის გამოყოფა: აქ ვაწყდებით წინა პარაგრაფში გაკეთებულ განსხვავებას არჩევის გრძნობას და თავსმოხვეულ გრძნობას შორის, მონარქიები ეყრდნობა თავსმოხვეულ გრძნობას — მეფე უყვართ იმიტომ, რომ მეფეა და თვითონ არ აურჩევიათ. გრძნობა გულწრფელია, შესაბამისად ძლიერი: მეფისთვის[20] თავს გაწირავენ, ან ყოველ შემთხვევაში, თვლიან, რომ ასე მოიქცევიან; პოლითეისტურ კონტექსტში შეიძლება იქამდეც მივიდნენ, რომ მონარქი ღმერთად გამოაცხადონ. მაგრამ ურთიერთობას არაფერი აქვს საერთო პიროვნებათშორის ურთიერთობასთან: მეფე ისე უყვართ, რომ არც უნახავთ. ასევე ეყვარებათ მისი მემკვიდრე. აქ არის ის კრიტერიუმი, რომელიც განზე სწევს ქარიზმის ცნებას, რადგან ავტომატური ქარიზმა იწვევს წინააღმდეგობრიობას ტერმინებში.

თანამედროვე დიქტატორების შემთხვევა, რომლებიც საკუთარი კულტის შემქმნელები არიან, ძალიან ახლოს დგას პრეცედენტთან. მართლაც პარადოქსულია ქარიზმის ცნების მოშველიება ჰიტლერისა და სტალინის ძალაუფლების ასახსნელად: როგორც ამტკიცებენ, მათ არ ჰქონიათ პერსონალური ხიბლი ან რომელიმე სფეროში რაიმე ნიჭი. მოვლენების შემთხვევითობამ მისცა ამ ადამიანებს ძალაუფლება[21] და მხოლოდ მათი დიქტატურის დამყარების შემდეგ გამომჟღავნდა აქამდე შეუმჩნეველი მათი კოლოსალური და ენციკლოპედიური ნიჭი. მონარქიულ სისტემასთან ის განსხვავებაა, რომ კულტი პერსონალურია. არ არსებობს გარანტია, რომ ის შემცვლელს გადაეცემა. აქ კიდევ უფრო ვუახლოვდებით ქარიზმას, თუმცა კვლავ თავსმოხვეულ გრძნობებთან გვაქვს საქმე: ემოციური დამოკიდებულება თან სდევს ხელისუფლებას, იმის ნაცვლად, რომ წინ უსწრებდეს.

და მაინც, ტერმინი ქარიზმა მაშინ უნდა ვიხმაროთ, როდესაც ხელისუფლება არის არჩევის გრძნობის შედეგი, ე.ი. როდესაც დადებითი თვისებები, პერსონალური კომპეტენციები პიროვნებისა, რომელსაც სხვა ლეგიტიმურობა არ გააჩნია, მას საშუალებას აძლევს გაძლიერდეს. ამგვარი ჰიპოთეზა გაცილებით იშვიათია და მხოლოდ არეულობის, დრამის და საგანგებო კონტექსტში ხდება რეალური.

ოქტავიან-ავგუსტუსის მაგალითი, რომელმაც ძლიერ საეჭვო და სადავო საშუალებებით დაამყარა მშვიდობა და საფუძველი ჩაუყარა ახალ პოლიტიკურ რეჟიმს, ამის მკაფიო მაგალითია. თანამედროვე ეპოქაში, გენერალ და გოლის ხელისუფლებაში მოსვლა შეიძლება ასევე აიხსნას. ასეთი ტიპის ხელისუფლება აუცილებლად გამონაკლისი ხასიათისაა. მუდმივობისთვის მას ბუნების შეცვლა სჭირდება. როდესაც მონარქიული მოდელი დომინანტური იყო — გამარჯვებული გენერლის ვაჟი ან სამშობლოს გადამრჩენი მემკვიდრეობას იბარებდა. ასე ეყრებოდა საფუძველი დინასტიებს, რომლებიც შემდგომში საკუთარი ლოგიკით ვითარდებოდნენ. ეს დინასტიები რიტუალებით პატივს მიაგებდნენ თავისი დამაარსებლების ხსოვნას და ამას მაქს ვებერი ქარიზმის რუტინიზაციას უწოდებდა. თანამედროვე ეპოქაში ქარიზმა მხოლოდ არჩევის პროცესის განხორციელებით გამოიხატება. თუ 1945 წელს გენერალ დე გოლის ხელისუფლება ქარიზმატულია, 1958 წელს მისი დაბრუნება ემყარება რაციონალურ-ლეგალურ ლეგიტიმურობას, მიუხედავად იმისა, რომ მისმა პიროვნებამ მის ავტორიტეტს შეუდარებელი და მკვეთრად გამოხატული სტილი მიანიჭა.

მაქს ვებერის მიერ განსაზღვრული ლეგიტიმურობის მესამე ტიპი არის რაციონალურ-ლეგიტიმური. მას ნაკლები გაშლა სჭირდება, რადგან ჩვენთვის დიდად არ განსხვავდება ტრადიციული ლეგიტიმურობისგან და არ შეიცავს ქარიზმატული ლეგიტიმურობის ორაზროვნებას. მისი პრინციპია კანონი, გაგებული არა როგორც გარეშე ძალის მიერ საზოგადოებისთვის თავსმოხვეული ობიექტური და ტრანსცენდენტული წესი (რომელიც პრაქტიკაში გამოიხატება, თავისი ბუნების მიუხედავად, წარსულის ავტორიტეტით ან გენიალური ხელმძღვანელის აზრებით),

---

[20] გლინკას ოპერის სახელწოდება. საბჭოთა რეჟიმის დროს ეს ნაწარმოები აღადგინეს მისი გმირის, ივან სუსანინის სახელწოდებით.

[21] მართალია ჰიტლერმა და მისმა პარტიამ თავიდან ბევრი მოხიბლა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყველა იმ პარტიის ლიდერი, ვინც არჩევნებში იმარჯვებს, ქარიზმატულად უნდა გამოცხადდეს. ეს კი კვლავ ყოველგვარი აზრისგან ცლის ამ ცნებას.

არამედ როგორც საღი აზრით შემუშავებული ნორმა, გააზრებული მიზნისა და განსაზღვრული საშუალებების შესაბამისად. ის რაც ლეგიტიმურობის ამ ტიპს აპირისპირებს ტრადიციულ ლეგიტიმურობასთან, არის არა კანონი, როგორც იურიდიული ტექნიკა (წარსულმა ჩვენ დაგვიტოვა კანონები და ადათები, როგორც, მაგალითად, მონარქიული საფრანგეთის სამეფოს ძირითადი კანონები), არამედ საზოგადო აზრი, რომელიც ნორმატიულ წესს განიხილავს სოციალური წყობის შეგნებულ ნაწილად. ხელისუფლება არის გათვალისწინებული და ორგანიზებული დელეგირების შედეგი. მაშინ როცა წინა შემთხვევებში აქცენტი კეთდებოდა ტრანსცენდენტულ, უცილობელ, შეუცვლელ ნორმებისადმი დაქვემდებარებაზე, ახლა ითხოვენ ისეთი წესების მიღებას, რომლის მიზნებიც არის აშკარად გამოხატული, თვისებები სადავო და შინაარსი გადასასინჯი. ტრადიციულ ლეგიტიმურობას და ქარიზმატულ ლეგიტიმურობას აღიარებისთვის მხოლოდ არსებობა სჭირდება: ესენი კატეგორიული იმპერატივებია. რაციონალურ-ლეგალურმა ლეგიტიმურობამ ყველაფერთან ერთად უნდა გაამართლოს თავისი შინაარსი. ასევე, ის უზომოდ აფართოებს პრობლემატიკასა და შესაბამისად პოლიტიკის სფეროს.

შეცდომა იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ მაქს ვებერის მიერ აღწერილი ლეგიტიმურობის ტიპები ქრონოლოგიურად მისდევს ერთმანეთს. ბუნებრივია, პირველი უფრო ძველია და მესამე უფრო თანამედროვე, მაგრამ ნათელია, რომ შესაძლებელია სამივეს თანაარსებობა. დასავლეთის საზოგადოებებში შესაძლებელი მხოლოდ რაციონალურ-ლეგალური კანონიერებაა. მაგრამ ტრადიციული ლეგიტიმურობა ხშირია მესამე სამყაროს საზოგადოებებში, ხოლო ქარიზმატული ლეგიტიმურობა განსაკუთრებული კონიუნქტურის დროს ჩნდება.

66. ხელისუფლება მიშელ ფუკოს მიხედვით. — ხელისუფლების ცნებასთან დაკავშირებული ანალიზები, რომლებიც აქამდე განვიხილეთ, სხვადასხვა მხრიდან აშუქებს ამ ფენომენს. მათ ორი საერთო ნიშანი აქვს. ერთი მხრივ, ისინი პოსტულატად მიიჩნევენ იმას, რომ ხელისუფლება არ იცვლება. იცვლებიან მხოლოდ ის პიროვნებები, რომელთაც ხელისუფლება აქვთ და ის სოციოლოგიური როლები, რომლებშიც ის ხორციელდება: მეფე არც ქარიზმატული ლიდერია და არც რესპუბლიკის პრეზიდენტი, მონათმფლობელი არ არის კაპიტალისტური საწარმოს ხელმძღვანელი და ა.შ. ... მაგრამ თავის არსში ხელისუფლება უცვლელია. მეორე მხრივ, ხელისუფლება არსებობს, ასე რომ ვთქვათ, პიროვნებების შემდეგ, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც ძირითადი რეალობები და ხელისუფლება მათ შორს ტრიალებს. ის მათი არათანასწორი ურთიერთობების მეორადი შედეგია.

გაანალიზების შედეგად ეს ორი პოსტულატი სადავო ჩანს. პირველი ხომ არ აბრუნებს მალულად იმ აზრებს, რომ ხელისუფლება არის არსი (თუმცა მას უარყოფს), მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულია სხვადასხვა პიროვნების მიერ? ადამიანები უსწრებენ ხელისუფლების იმ ნებისმიერ დამოკიდებულებას, რომელსაც აღასრულებენ, ან რომელიც მათზე ხორციელდება? ხომ არ არიან ისინი გარკვეულწილად, როგორც ფსიქო-სოციოლოგიური ერთეულები ხელისუფლების ნაყოფები?

სწორედ ეს კითხვები დგას მიშელ ფუკოს (1926-1984) მიერ ხელისუფლებაზე ჩატარებული კვლევის ცენტრში. მისი ნააზრევი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, განსაკუთრებით მისი ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, ამიტომაც აუცილებელია მისი მხედველობაში მიღება.

ხელისუფლების ანალიზი მიშელ ფუკომ გაშალა თავის ნაშრომებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუძღვნა ფსიქიატრიული საავადმყოფოს დაარსებას („სიგიჟის ისტორია კლასიკურ პერიოდში" პლონი, 1961; ახალი გამოცემა, გალიმარი, 1972) და საპატიმროს შექმნას („ზედამხედველობა და დასჯა", გალიმარი, 1975). ასეთ დაწყებას ორი შედეგი ჰქონდა. ერთი მხრივ, იყო საშიშროება, რომ უპირატესობა მიენიჭებოდა ხელისუფლების, როგორც რეპრესიის ანალიზს. ეს მისი ნაშრომის უფრო მემარცხენული წაკითხვაა და უფრო გავრცელებულიც და სწორედ ამ კუთხით იყო განსაკუთრებით პოპულარული. მაგრამ თვითონ ავტორმა დაინახა ჩიხი, სადაც ეს ძლიერი, ბუნდოვანი ცნება ხელისუფლებას მთლიანად უარყოფით ფენომენად წარმოაჩენდა. მან ის არაორაზროვნად დაგმო თვით იმ სფეროშიც, სადაც საერთო აზრის მიხედვით, კარგად გამოვლენილი ჩანს, ე.ი. სქესობრივ განსხვავებაში. მან მიუთითა, რომ „ხელისუფლების ჩამოყალიბება სულ სხვა რამ იყო, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტი ვიდრე რეპრესია". მეორე მხრივ, ფუკომ თავისი მიმართულებით შეატრიალა ჩვეულებრივი სვლა, რომელიც ხელისუფლებას აღწერდა ზევიდან ქვევით და პრივილეგიას ანიჭებდა პოლიტიკურ ხელისუფლებას, სუვე-

რენინტეტს, სახელმწიფოს; ის სწავლობდა როგორ ეშვება ხელისუფლება ქვევით, სოციალური კიბის ბოლო საფეხურამდე იურიდიულ-დისკურსიული პროცესით, სხვა სიტყვებით, კანონის ფორმით. ფუკო პირიქით, დაინტერესებულია იმ ფორმით, რომლითაც ხელისუფლება ხორციელდება იქ, სადაც ის კონკრეტულად ფუნქციონირებს, ე.ი. რეალურ პრაქტიკაში. იგი ცდილობს გაიგოს ხელისუფლების მატერიალური მექანიზმები, დაქვემდებარების ის ფორმები, რომლითაც ცხოვრებაში ახორციელებს რეალურ პიროვნებებზე. მისთვის (და ეს სრულიად ახალი აზრია) ხელისუფლება რეალურად იგება ქვევიდან ზევით: სოციალური კონტროლის მექანიზმები (როგორც, მაგალითად, შეშლილების და დამნაშავეების ჩაკეტვა, ან ინფანტილური სექსუალობის კონტროლი) ჩნდება ნაცნობ სოციალურ გარემოში (ოჯახი, უშუალო გარემოცვა). ისინი გამოგონილი კი არა, ხელახლა გამოყენებულია უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი პოლიტიკური ან ეკონომიკური ხელისუფლების მიერ, რომლებიც შემდგომში მათ საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ.

აქედან რამდენიმე შედეგი გამომდინარეობს. ჯერ ერთი, ფუკო გადაჭრით უარყოფს ხელისუფლების ონტოლოგიურ თუ ესენციალისტურ კონცეფციას. ხელისუფლება არა მხოლოდ არ არის რაღაც, რომლის ფლობა და გადაცემაც შეიძლება (ეს აზრი უკვე იყო იმ კონცეფციაში, რომელიც ხელისუფლებას განიხილავს როგორც დამოკიდებულებას), მაგრამ ის საერთოდაც არაფერია: უფრო კონკრეტულად ის არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ხელისუფლების დამოკიდებულებები, ე.ი. ქცევები, რომლებიც იწვევს სხვა ქცევებს. ეს ქცევები თავისთავად არ ჩნდება (როგორც ტრადიციულ სურათში პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ, რომელიც თავის გავლენას აფართოებს ძალით ან ეშმაკობით), ისინი განსხვავებული ბუნების პროცესის შედეგია: ციხე, მაგალითად, ახალ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებს ქმნის. ასეთი გაგებით ხელისუფლება რადიკალურად გამხდარია ისტორიის ნაწილად, მისი რეალობა შემოიფარგლება „მუდმივად ცვალებადი მრავალი ბრძოლის მომენტალური ასახვით". ტრანსისტორიული ინვარიანტის იდეა, ისეთივე ზოგადი და აბსტრაქტული, როგორც მისი განსაზღვრება, რადიკალურად უკუგდებულია. ხელისუფლების შესწავლას აზრი აღარ აქვს. შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ურთიერთობების შესწავლა კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში.

მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ხელისუფლება (გაგებული როგორც ხელისუფლების ურთიერთობების მომენტალური ასახვა) ილუზიაა. პირიქით, ის რეალობის შემქმნელია. ის ქმნის პიროვნებებს, იმ გაგებით, რომ მათი ფსიქოლოგია, ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილისთვის, არის იმ ძალების შედეგი, რომლებიც მათზე მოქმედებს. შემდეგ, „ხელისუფლება გადაიცემა იმ ადამიანების საშუალებით, რომლებიც მან შექმნა" და ფორმას აძლევს რეალობას პრაქტიკის, ინსტიტუტების, იდეოლოგიების შექმნით. ფუკო არ მიიჩნევს ხელისუფლებას ყოვლისშემძლედ და ყოვლისმცოდნედ. ასეთი ხედვა მან მკვეთრად უარყო (ეს სხვათაშორის ძნელად თავსებადია მისი ხელისუფლების კონცეფციასთან: ცუდად ჩანს ყოვლისშემძლე „ზუსტი ასლი"!). მისთვის კონტროლის სისტემების და ზედამხედველობის ფორმების გამრავლება პირიქით, წარმოაჩენს ხელისუფლების უძლურებას.

ასეთი ინტერპრეტაციის ბოლო შედეგია ის, რომ ფუკო უარყოფს ხელისუფლების საგნის იდეას. ეს კონკრეტულად მარქსისტული იდეის უარყოფაა ხელისუფლებაზე, რომელიც ეკონომიკური ინტერესებით აიხსნება. ის გვიჩვენებს, მაგალითად, როგორ ჩნდება 1825-1830 წლებში სტრატეგია დაამკვიდრონ მძიმე მრეწველობის მუშები იქ, სადაც მუშაობენ: ბინებით დაკმაყოფილება, ქორწინებების იძულება, სურსათისა და სასმელის სესხით აღების სისტემები, შემნახველი სალაროების შემოღება. ყველაფერი ეს ფართოვდებოდა, იყო განზოგადებული, ისე, რომ შესაძლებელი იყო მისი აღწერა რეტროსპექტული თვალსაზრისით, როგორც „გლობალური, ლოგიკური, რაციონალური" სტრატეგიისა. თუმცა აქ შესაძლებელია ჩარეულიყო რაიმე ბოროტი ძალა, მაგალითად მსოფლიო კაპიტალიზმი ან ექსპლუატატორი ბურჟუაზია, რომელიც დააგებდა ეშმაკისეულ მახეს თავისი ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ სწორედ ამგვარ გამარტივებას არ უშვებს ფუკო. ის მშვენივრად ხედავს, რომ ასეთ გეგმას არავინ ჩაიფიქრებდა და განახორციელებდა. როგორ შეიძლება ასეთი გენიალური ტვინის წარმოდგენა, რომელიც ამას ჩაიფიქრებს, ხელში იჭერს ყველა ძაფის ბოლოს, ითვალისწინებს ყველა შედეგს, სქემაში რთავს ყველა მონაწილეს ამის განსახორციელებლად? ასეთ პირობებში უნდა დავუშვათ, რომ ხელისუფლების ურთიერთობას არ ყავს სუბიექტი და ხელისუფლების ეფექტს არა აქვს მიზეზი. ის არის მხოლოდ ერთი შედეგი, უსასრულოდ განსხვავებული მოქმედებების პროდუქტი, რომელთა ნაწი-

ლი შეიძლება ანგარებიანი და რაციონალური იყოს, მაგრამ მათი საბოლოო შედეგი არავის უნდოდეს.

ამ ანალიზის მნიშვნელობა ნამდვილად ძალიან დიდია. როგორც ვხედავთ, მას უკანა რიგში გადააქვს ხელისუფლების შესახებ ადრე არსებული თეორიები. იდეას, რომ ხელისუფლება არის არსი და ურთიერთობა (ეს ორ წევრს გულისხმობს და ჩვენ კი ვნახეთ, რომ ფუკოს მიხედვით ხელისუფლებას აქვს საყრდენი წერტილი, მაგრამ არ ყავს ავტორი) აღარ აქვს აზრი. თეორიები შეთქმულებაზე ან „ეშმაკისეულ მიზეზობრიობაზე"[22], ძვირფასი იდეოლოგიებისთვის, რადიკალურად უკუგდებულია. დაპირისპირება პოლიტიკურ ხელისუფლებასა და არაპოლიტიკურ ხელისუფლებას შორის ეშვქვეშ დგას, რადგან პოლიტიკური ხელისუფლება აღარ არის ცენტრი, რომელიც თავის ძალას ამკვიდრებს პერიფერიებში, არამედ უბრალო მოქმედი გმირია სხვებს შორის, ჩართული რთულ ურთიერთობებში, რომელიც კრებს და აწესრიგებს სოციალური სპონტანურობიდან გამომდინარე მექანიზმებს. თუ ასეთ მოსაზრებას დავუშვებთ, აღმოჩნდება, რომ პოლიტიკური ხელისუფლების ანალიზი მანამ დამთავრდება, სანამ დაიწყება.

თუმცა ასეთი შთაბეჭდილება მატყუარაა, ფუკომ მართლაც თვითონ მოახდინა ანალიზი, რომელიც ხელისუფლებას მიიჩნევს პოლიტიკურად თავის თავში. მაგალითად „მთავრობის მხარდამჭერი პოლიტიკის" ცნება, რომელზე დაყრდნობითაც ის ცდილობს გააანალიზოს პოლიტიკური ხელისუფლების გარდაქმნა XVIII საუკუნეში. გარდა ამისა, შესაძლებელია პოლიტიკური ძალაუფლების ცნების შესწავლა ისე, რომ არ მივმართოთ a priori ფუკოს მოსაზრებას.

ნაწილი II. პოლიტიკური ხელისუფლება

67. პრობლემის დაყენება. — პირველი ნაწილის მეორე თავში ჩვენ ვნახეთ, თუ პოლიტიკის ცნების განსაზღვრება როგორ ხდიდა აუცილებელს პოლიტიკური ხელისუფლების ცნების მოშველიებას. მაშინ ჩვენ ის არ განგვისაზღვრავს. ახლა, როდესაც მოკლედ გავაშუქეთ ზოგადი პოლიტიკა, ჩვენ შეგვიძლია მივუბრუნდეთ პრობლემას.

რადგანაც საკითხი დაისვა, ბუნებრივია ეს ნიშნავს, რომ ყველა ხელისუფლება არ არის პოლიტიკური. ხელისუფლება ყოველდღიური მოვლენაა: ის გვხვდება ოჯახებში, საწარმოებში, ეკლესიებში, „დანაშაულებრივ საზოგადოებებში", როგორიცაა მაფია, ლიტერატურულ, მეცნიერულ, ხელოვნების სკოლებში. არსებობს ეკონომიკური, ფინანსური, ინტელექტუალური ხელისუფლებები და ა.შ. ჩვენს მიერ აქამდე გაკეთებული დასკვნები გამოიყენება mutatis mutandis, ამ ფენომენების ერთობლიობაზე. თუ დავეთანხმებით პოლიტიკური ხელისუფლების სპეციფიკურობის იდეას, მაშინ უნდა ვიკითხოთ, რას ემყარება ის?

ხშირად ამ საკითხს მარტივად პასუხობენ, ქუდიდან კურდღლის ამოყვანის მსგავსად იშველიებენ სიტყვა პოლიტიკის ეტიმოლოგიას: პოლიტიკა მომდინარეობს πόλις–დან (polis), რომელიც ნიშნავს ქალაქს, ქალაქ-სახელმწიფოს მნიშვნელობით. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ხელისუფლება არის ის, რომელიც სახელმწიფოში ხორციელდება. თუმცა აქედანვე ცხადია, რომ ამგვარი მეთოდი ვერავითარ ახსნას ვერ იძლევა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთივე ფორმით შეიძლება დადგინდეს, რომ ატომი არ იყოფა და რომ რუბრიკები წითელია: სიტყვები არ იძლევა ცნობებს საგნებზე. შემდეგ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ გადაწყვეტილება გამარტივებული და მცდარია. ხელისუფლება, რომელიც მართავს სახელმწიფოს შეიძლება არ იყოს პოლიტიკური.[23] სინამდვილეში, მნიშვნელოვანია ხელისუფლების დამოკიდებულების ბუნება და არა ადგილი, სადაც ის ხორციელდება.

68. ხელისუფლება პოლიტიკურია თუ ის გაგებულია როგორც ჩანაცვლებადი. — თუ მეფეს თავისი ქვეშევრდომების მიმართ მამობრივი გრძნობები აქვს, ისევე როგორც მათ მის მიმართ, რას ნიშნავს მტკიცება, რომ ეს ხელისუფლება პოლიტიკურია? შეიძლება ითქვას,

---

[22] იხ. n°105.

[23] საპირისპიროდ, პოლიტიკური ხელისუფლება შეიძლება არ განხორციელდეს სახელმწიფოში, თუ ამ ცნების შეზღუდულ განსაზღვრებს ავიღებთ.

რომ ყველა მამობრივი ურთიერთობა პოლიტიკურია? ან სუბიექტურად ეს მამობრივი ურთიერთობა ობიექტურად პოლიტიკურია? პირველი პასუხი აბსურდულია. მეორე მხოლოდ იმის ტოლფასია, რომ ჩვენი საკუთარი ინტელექტუალური კატეგორიები მოვარგოთ იმ ფენომენებს, რომელთა სპეციფიურობა უარყოფილია. ამ ორმაგი შედეგით, როცა ჩვენს თავს ვუკრძალავთ გავიგოთ ის და მის ცნებებს ცუდად გამოვკვეთთ, ჩვენ ვცდილობთ, როგორც პროკრუსტეს სარეცელს იყე მოვარგოთ ის ჩვენს არაარსებით, წინასწარშექმნილ აზრებს. ამ დასკვნების მნიშვნელობის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება მაგალითი.

ავიღოთ რომის იმპერატორის მაგალითი, რომელსაც პოლ ვეინი აანალიზებს. იმპერატორს თავისი თანამდებობა არ მიუღია ქვეშევრდომებისგან. მას აქვს მართვის სუბიექტური უფლება. მეფის ფუნქცია კერძო საკუთრებაა, თუმცა ის ხალხს ემსახურება. აქედან შემდეგი გამომდინარეობს, იმპერატორს არ შეუძლია უარყოს საკუთრება, ისევე როგორც ნებისმიერ მფლობელს. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ იმპერატორი არ იკეტება თავის ფუნქციაში. მისი პირადი ცხოვრების დეტალები ქვეშევრდომებისთვის სიხარულის და მწუხარების საბაბია. გრძნობები, რომელსაც ისინი განიცდიან მის მიმართ შვილის გრძნობებს ჰგავს. მათ ის უყვართ, როგორც მამა, თავსმოხვეული სიყვარულით. ეს არ ნიშნავს, რომ ქვეშევრდომები ყოველთვის კმაყოფილნი არიან ან მოსწონთ გადასახადები. მაგრამ ამ უკმაყოფილებაზე პასუხისმგებლობას სუვერენს როდი აკისრებენ. იმპერატორი არ არის პოლიტიკა და რომში ნაპოვნ არც ერთ გრაფიტში არ არის მასზე საუბარი პოლიტიკური ტერმინებით. იმის ეკვივალენტი, რასაც ჩვენ პოლიტიკურს ვუწოდებთ მხოლოდ სამ დონეზეა. პირველად, ადგილობრივ საკითხებში, როდესაც იცნობენ მაგისტრებს, როდესაც მათ ნიშნავენ, აკრიტიკებენ, საპიროების შემთხვევაში ათავისუფლებენ. მეორედ, იმპერიის დონეზე შეიძლება გამოჩნდეს რეალური ოპოზიცია, თუმცა ის იქნება მიმართული ბოროტი მინისტრების წინააღმდეგ, იმპერატორის სახელით. მესამედ, იმპერატორს პოლიტიკურ ფიგურად მხოლოდ ძალიან ვიწრო მმართველი წრეები და არმია ჩათვლიან. იმპერატორმა მხოლოდ ამ ჯგუფების აზრი უნდა გაითვალისწინოს. ვინაიდან მხოლოდ ისინი ხედავენ მასში არა ბუნებრივ მონაცემს, არამედ ფუნქციის შემსრულებელ ჩანაცვლებად პირს, რომლის ადგილის დაკავება სხვასაც შეუძლია და მხოლოდ მათ შეუძლიათ მოიფიქრონ მისი ჩანაცვლების გზები (სასახლის გადატრიალება, სამხედრო გადატრიალება). იმპერატორი პოლიტიკურია მხოლოდ მათთვის, ვინც უშვებს სუვერენის ალტერნატივის იდეას, რადგან თეორიულად მათ აქვთ ამის განხორციელების საშუალება.

ამგვარად იკვეთება პარადოქსული, მაგრამ უცილობელი აზრი. ხელისუფლების პოლიტიკური ბუნება არ არის განსაზღვრული ობიექტური სიტუაციით. „ადამიანთა მმართველობა" არ ანიჭებს თავისთავად პოლიტიკურ „ბუნებას" იმათ, ვისზეც ის ვრცელდება. ხელისუფლებაში არსებული ურთიერთობა განსაზღვრავს მის ხასიათს. თანაც ეს ურთიერთობა შეიძლება არ შეიცავდეს არჩევანის იდეას: მეფის შეცვლის იდეა ისევე მიუღებელია, როგორც მამის გამოცვლის. აქედან გამომდინარე, პირველი ფენომენი არ არის მეორეზე უფრო პოლიტიკური. ხელისუფლების შეფასებისას, ისევე როგორც მის არსებობაში, რეალურია მხოლოდ დამოკიდებულება, რომელიც ამავე დროს სუბიექტურია: ამგვარი ფენომენის გაგებაში გადამწყვეტია მიშელ ფუკოს ანალიზი.

69. პოლიტიკა და ხელისუფლების პოლიტიკური ხასიათი. — როგორც ირკვევა, პოლიტიკის ცნება ერთნაირი წარმატებით ხსნის ხელისუფლების და იმ დანარჩენი რეალობების პოლიტიკურ ხასიათს, რომლებთან დაკავშირებითაც გამოიყენება. ისევე როგორც პოლიტიკური საკითხი არის პრობლემატური საკითხი, რომელიც ვერ გადაიჭრება ერთი ხელის მოსმით ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით, პოლიტიკური ხელისუფლება არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე კი არ მკვიდრდება, არამედ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, გააკრიტიკონ ან საკარაუდოდ დაამხონ. პოლიტიკური ხელისუფლება გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის არსებობას, რომელიც თვალყურს ადევნებს და აფასებს მათ, ვისაც ის უპყრია.

რომის იმპერიის კონტექსტში (ისევე როგორც ჩინეთის იმპერიის) იძულების და თანხმობის საკითხს აზრი არა აქვს. იმპერატორი აღარ აიძულებს თავის ქვეშევრდომებს, რომ უყვარდეთ, ისე როგორც არ აიძულებს თავის შვილებს. ქვეშევრდომები არ თანხმდებიან იმპერატორის ხელისუფლებას, რადგან თანხმობა იგულისხმებდა შეწინააღმდეგების შესაძლებლობას. ხელი-

სუფლებას არ აქვს პოლიტიკური ხასიათი, რადგანაც არ აღინიშნება არავითარი პრობლემატურობა.

ამასთანავე, ჩვენ ვნახეთ, რომ ზოგიერთი პრობლემა პოლიტიკურ ხასიათს მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც მათში პოლიტიკური ხელისუფლება ერევა. წრე ხომ არ იკვრება, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება განისაზღვრება პოლიტიკით, შემდეგ კი პოლიტიკა პოლიტიკური ხელისუფლებით?

სულაც არა. პოლიტიკური ხელისუფლება ასე განსაზღვრულია თავისი პრობლემატური ხასიათიდან გამომდინარე. როგორც კი იქნება საზოგადოებრივი აზრი, როგორც კი ხელისუფლების მპყრობელები და მათი ქმედებები ითვლება არაარსებითად, ნაადრევად, საჭიროებს შეცვლას, ხელისუფლება ხდება პოლიტიკური. აღარ არის შესაძლებელი უკან მიბრუნება, დაკარგული გულწრფელობის დაბრუნება. ამიტომაც, ვერც ერთი თანამედროვე პოლიტიკური ხელისუფლება ვერ უარყოფს თავის პოლიტიკურ ხასიათს.[24] ვერც ერთი დიქტატორი, ყველაზე ძლიერი და ყველაზე „სათაყვანებელი" ვერ აცდება მისი ხელისუფლების პოტენციურ ეჭვქვეშ დაყენებას და მას ვერ გაატარებს, როგორც არაპოლიტიკურს. ამის აცილებას ის ტერორით ცდილობს, რასაც რომაელი და ჩინელი იმპერატორები არ მიმართავდნენ, არა დიდსულოვნების გამო, არამედ იმიტომ, რომ არ იყო ამის აუცილებლობა. ამიტომაც, ქარიზმატული ხელისუფლების ცნება პოლიტიკური ხელისუფლების ტრიუმფს კი არა, კრახს გამოხატავს. მმართველებისგან ქარიზმის მოთხოვნა ნიშნავს ამ უკანასკნელთ მოვთხოვოთ მართვა არა მათი უფლებიდან გამომდინარე, არამედ მათი განსაკუთრებული უნარიდან გამომდინარე. მმართველებს ხელისუფლება შეიძლება არ მიეღოთ ან შეიძლება დაკარგონ. რომის იმპერატორებისთვის დამახასიათებელია ის, რომ მეფობისთვის არ სჭირდებათ ქარიზმა, რადგან მართულ ხალხზე მმართველების სიყვარული ავტომატურად იყო თავსმოხვეული იმპერატორად გახდომისთანავე.

მეორე მხრივ, ადამიანთა საზოგადოებები აწყდება პრობლემატიკას, ე.ი. გასაკეთებელ არჩევანს (წინააღმდეგობის გაწევა თუ გაქცევა, წვიმის ლოდინი თუ ემიგრირება, ბიზონების ძებნა მარცხნივ თუ მარჯვნივ და ა.შ.). მცირერიცხოვან საზოგადოებებში ეს არჩევნები შეიძლება ყველამ ერთად გააკეთოს (საერთო აზრის შემუშავება საერთო კრებაზე ხდება), თუ მხოლოდ თითოეული პიროვნება არ წამოწევს რიგრიგობით ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას. ამასთანავე გამოჩნდება სპეციალიზაცია: ასე ჩნდება ხელისუფლება მაქს ვებერის გაგებით. ეს ხელისუფლება ორ ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ჩვენ პოლიტიკურად მივიჩნევთ: ის აკეთებს არჩევანს და გამოხატავს კოლექტიურ ნებას, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს ინდივიდთა ნებას. ამავე დროს, როგორც ვნახეთ, ეს არ არის პოლიტიკური ხელისუფლება, რადგან არ არის პრობლემატური. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **არაპრობლემატურმა ხელისუფლებამ შეიძლება გააკეთოს პრობლემატური არჩევანი და არ გახდეს პრობლემატური:** რომის იმპერატორმა შეიძლება მიიღოს სპარსელებთან ომის გადაწყვეტილება და კვლავ იყოს ხალხის მამა. შემდეგ, თავდაპირველი გულწრფელობა ქრება და ხელისუფლება ხდება პრობლემატური. აქედან მოყოლებული, პოლიტიზირებული ხელისუფლება გახდება პოლიტიკური ასპექტის მიმნიჭებელი: აღწერილი მექანიზმები შეიძლება პირველ ნაწილში ვნახოთ. რადგან, **პრობლემატურ ხელისუფლებას არ შეუძლია არაპრობლემატური თემების განხილვა ისე, რომ ისინი არ გახადოს პრობლემატური:** თუ მთავრობა იღებს ზომებს ინფექციური დაავადების წინააღმდეგ, მისი მოწინააღმდეგები შეეცდებიან აჩვენონ თუ რაში ცდება ის. საკითხები, რომელთა მოგვარებასაც იწყებს პოლიტიზირებული ხელისუფლება, გადაუწყვეტელი ხდება. თუ ადრე ისინი ექვემდებარებოდა ობიექტურ თუ სუბიექტურ გადაწყვეტას, ახლა ასე აღარ არის. ბერტრან დე ჟუვენელის ღრმა სიტყვების მიხედვით, აღარ იქნება შესაძლებელი მათი გადაწყვეტა, არამედ მხოლოდ მათი მოგვარება მოხერხდება: პოლიტიკური ხელისუფლება შეეცდება სასწორზე თავისი ავტორიტეტის შეგდებით გადაჭრას მის დაქვემდებარებაში არსებული საკითხები. ის შესაძლებელს გახდის მოქმედებას, რომელსაც მლიქვნელები აქებენ: ისინი ამბობენ, რომ ცუდი გადაწყვეტილება ჯობია საუკეთესო გადაუწყვეტელობას. ხანდახან ეს მართალია.

მიუხედავად ამისა, რეგლამენტის შეცვლა გადაწყვეტილების მიხედვით არ ხდება ზარალის გარეშე. რეგლამენტი აუცილებლად თვითნებური იქნება, მისი ეფექტურობა კი მხოლოდ

---

[24] A contrario, პაპის ძალაუფლება რჩება აპოლიტიკური, თუმცა მისი არჩევის ფორმა პოლიტიკურია, რადგან არჩეულია სამისდღეშიოდ.

დროებითი. პრობლემა შეიძლება გარკვეული დროით მიყუჩდეს, მაგრამ პოტენციურად აქტიური იყოს. ერთ მშვენიერ დღეს ის კვლავ გამწვავდება, ლოგიკიდან გამომდინარე.

ჩვენ მიერ აღწერილი მიმართებები პოლიტიკასა და ხელისუფლებას შორის არც წრიულია და არც წინააღმდეგობრივი. სქემატურად, პროცესი შეიძლება სამ ფაზაში შევაჯამოთ. პირველ ფაზაში არსებობს პრობლემატიკა და არა ხელისუფლება. მეორე ფაზაში არსებობს პრობლემატიკა და არაპრობლემატური ხელისუფლება. მესამეში — პრობლემატიკა და პრობლემატური ხელისუფლება. პოლიტიკა, ტერმინის სრული მნიშვნელობით (საწარმოს ხელმძღვანელის აპოლიტიკური პოლიტიკის საპირისპიროდ, იხ. №28), მხოლოდ მესამე ფაზაში ჩნდება. მისი გამარჯვება გამოიხატება იმაში, რომ არაპოლიტიკური ხელისუფლება გახდა პოლიტიკური: სწორედ ამგვარად საწარმოს ხელმძღვანელის ან მშობლების ხელისუფლება შეიძლება გაგებული იქნეს პოლიტიკური მნიშვნელობით და პოლიტიკურ ხელისუფლებას მოეთხოვოს მათი შეზღუდვა ან საერთოდაც მოსპობა. ასე მიიღწევა ტერმინების რადიკალური შეცვლა: „პოლიტიკური" აპოლიტიკური ხელისუფლებიდან მოხდა „აპოლიტიკურ" პოლიტიკურ ხელისუფლებაზე გადასვლა.

აქ, ამასთანავე, საქმე ეხება უკიდურეს პოზიციას, რომელიც წარმოიშვა ჰიპერპოლიტიზაციიდან. უმეტეს შემთხვევაში, თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური ხელისუფლება ემთხვევა ფაქტობრივად იმ სურათს, რომელიც სპონტანურად შექმნეს მასზე, ე.ი. ხელისუფლება, რომელიც მართავს პოლიტიკის ფართო, მაგრამ ამასთანავე შეზღუდულ სფეროს.

ნაწილი III. პოლიტიკური ხელისუფლების რამდენიმე ტიპი

70. ტიპოლოგიის ესკიზი. — მართლაც, საკმარისი არ არის პოლიტიკური ხელისუფლების დასახასიათებლად მარტო იმის განსაზღვრა, თუ რა ანიჭებს მას ამ ხასიათს. პრობლემატურ და არაბუნებრივ ხელისუფლებას შეიძლება რამდენიმე ფორმა ჰქონდეს! ძალიან ამომწურავი ტიპოლოგიის გაკეთებით რომ არ შევწუხდეთ, რომელსაც ამასთანავე ძალზედ ხელოვნური სახე ექნება, რადგანაც ამ პრობლემების კონკრეტული გადაწყვეტები ძალიან ბევრი და მრავალფეროვანია, აჯობებს რამდენიმე დიდი ტიპის კონტურების მოხაზვა. ბევრიდან შეიძლება გამოვარჩიოთ ინდივიდუალიზებული, ინსტიტუციონალიზებული და პერსონალიზებული ხელისუფლებები. შეიძლება სხვა ტიპოლოგიების შემოთავაზება, მაგალითად განსხვავება კომპეტენციაზე დაფუძნებულ ხელისუფლებას, სუბიექტური უფლების ხელისუფლებას და დელეგირებულ ხელისუფლებას, ან ოპოზიციას შორის, გაკეთებული მიშელ ფუკოს მიერ სამართლებრივ სახელმწიფოს, ადმინისტრაციულ სახელმწიფოს, მთავრობის მხარდამჭერ სახელმწიფოს შორის. ის, რომ შეუძლებელია სრული ტიპოლოგიის გაკეთება არ ქმნის უხერხულობას, რადგან მიზანი ისტორიული რეალობების აღწერა კი არ არის, არამედ ლოგიკის აღწერაა, რომელიც იდეალურ სისტემებს ახასიათებს.

71. ინდივიდუალიზებული ხელისუფლება. — ინდივიდუალიზებული ხელისუფლება განისაზღვრება ანონიმურ ხელისუფლებასთან და ინსტიტუციონალიზებულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებით. ანონიმური ხელისუფლება არსებობს პრიმიტიულ საზოგადოებებში, სადაც, როგორც ვნახეთ, კოლექტიური გადაწყვეტილებები მიიღება ერთად, ისე რომ არც ერთი სპეციალური ორგანი არ ერევა არჩევანის გაკეთებაში. ეს არ არის პოლიტიკური ხელისუფლება. ინსტიტუციონალიზებული ხელისუფლება, როგორც ვნახავთ, ევოლუციის შემდგომ სტადიაზე ჩნდება. ინდივიდუალიზებულ ხელისუფლებაში ძალაუფლება მარტო ერთი ადამიანის ხელშია. მისი ფორმები ძალიან განსხვავებულია. მისი კლასიკური მაგალითია ბერძნული ტირანია. ტირანები (ამ კონტექსტში აუცილებელი არ არის ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობით გაგება და ისტორიამ შემოინახა კეთილი ტირანების ხსოვნა) ხასიათდებიან იმით, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლა არ არის განპირობებული ადრე არსებული რაიმე ნორმით, არც რაიმე სოციალური ჯგუფის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით. ტირანი ხელისუფლებაში მოდიოდა მარტო თავისი ნებით და ეს მომენტი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ანტიკურ ავტორებზე. თანამედროვე ტერმინოლოგიით, ტირანი ქარიზმატული ლიდერი იყო. ბუნებრივია, საჭიროა განსხვავების გაკეთება ხელისუფლებაში პირადი თვისებების ხარჯზე მოსვლასა და

ძალით მოსვლას შორის, როდესაც თანამოქალაქეებში თავსმოხვეული გრძნობების გამოწვევა ხდება. ხშირად ტირანი ჩნდებოდა კონფლიქტებითა და სამოქალაქო ომებით დაუძლურებულ ქალაქში. მის ხელისუფლებას დიქტატურის სახე ჰქონდა საზოგადოების საკეთილდღეოდ, რაც მას რაციონალურობას ანიჭებდა. მაგრამ ყოველთვის ასეთი ძალაუფლება ბევრად იყო განპირობებული ლიდერის პირადი თვისებებით, მისი სიმამაცით, იღბალით და მოხერხებულობით. გარემოებებიც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეთაურის ღირსება გადამწყვეტი ფაქტორია. რენესანსის იტალიაში მაკიაველს კიდევ დასჭირდებოდა სერიოზული დაფიქრება იმისთვის, რომ თავისი მოხერხებულობით ეპოვა მეფედ გახდომის გზები და საშუალებები.

თუ ტირანი თავისი პირადი თვისებების წყალობით ამყარებს ინდივიდუალიზებული ძალაუფლების სრულყოფილ მოდელს, ის შეიძლება გამოიხატოს უკვე არსებული ფორმებით. სხვა სიტყვებით, ინდივიდუალიზებული ხელისუფლება შეიძლება შევადაროთ მემკვიდრეობით გადაცემას. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს სისტემა ინარჩუნებს პერსონალურ და შესაბამისად, არამყარ ასპექტს. ეს არის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეობა შეიძლება ეპვევეშ დადგეს გარემოებებიდან გამომდინარე, მაგალითად, როდესაც მემკვიდრე მცირეწლოვანია და ვერ გადაიბარებს ხელისუფლებას. იგივე შეიძლება მოხდეს, როდესაც დინასტია არ არის საკმარისად გამყარებული, იმისათვის, რომ a priori გამოირიცხოს უზურპაციის მცდელობები. ამგვარ სიტუაციებში გადამწყვეტი რჩება ხელისუფლების მპყრობელის პერსონალური ასპექტი. თუ ადათით დადგენილ მემკვიდრეს გააჩნია საჭირო თვისებები, იგი მიიღებს მემკვიდრეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მეტოქე ჩამოიშორებს. ასე ხდება რომსა და ჩინეთში, მმართველთა ვიწრო წრის ჩარევით, ვისთვისაც იმპერატორის ხელისუფლება პოლიტიკური იყო. საფრანგეთში კაპეტინგების მონარქიამ ეს საფრთხე მხოლოდ თანდათან აიცილა. ამას მოწმობს სიფრთხილის ის ზომები, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე იღებდნენ მეფეები და თავის მემკვიდრეებს სიცოცხლეშივე აკურთხებდნენ. როდესაც ეს პრაქტიკა დამთავრდა ფილიპე ოგიუსტის ეპოქაში, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მონარქიამ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით.

ინდივიდუალიზებულ ხელისუფლებას ორი მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე აქვს: მისი წყვეტილობა და სამართლებრივი საზღვრების არსებობა. მართლაც, როდესაც ხელმძღვანელი მართავს თავისი პირადი უნარებიდან გამომდინარე, ხელისუფლება არის ღირსება, რომელიც გამოცდას გადის, სხვა სიტყვებით, გამომდინარეობს ძალების ურთიერთობიდან. მემკვიდრეობის ნებისმიერი წესი არასაიმედოა, რადგანაც ახალ მმართველს შეეძლება წინამორბედის წესებს საკუთარი წესები დაუპირისპიროს. როგორც ყველა მოკვდავი, მმართველიც აუცილებლად მოკვდება ერთ დღეს და ახალი ხელისუფლების დამყარება შეუძლებელი იქნება კრიზისული პერიოდის გავლის გარეშე, რომელიც შეიძლება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი და სერიოზული იყოს. ინდივიდუალიზებული ხელისუფლების ლოგიკა მემკვიდრეობისთვის ბრძოლას გულისხმობს. მეორე მხრივ, ძალიან ძნელია სამართლებრივად ინდივიდუალიზებული ხელისუფლების შეზღუდვა, რადგან ისევე ეკუთვნის მმართველს, როგორც ნებისმიერი სხვა ქონება, მისი პირადი გამორჩეულობიდან გამომდინარე. ფაქტობრივად, აუცილებლად არსებობს საზღვრები, რადგან მმართველი ზოგიერთ ზღვარს ვერ გადავა აჯანყების გამოწვევის გარეშე. მაგრამ ეს საზღვრები ბუნდოვანი, არამყარია და ტოვებს პირადი ინიციატივის სურვილისამებრ გამოჩენის ფართო შესაძლებლობებს. ეს იურიდიული გარანტიების არც საზოგადო წესია და არც მარგი ქმედების მაჩვენებელი.

ინდივიდუალიზებულ ხელისუფლებას სერიოზული უარყოფითი მხარეები აქვს. მათ გამოსასწორებლად ადამიანებმა ნელა და ემპირიულად შეიმუშავეს იდეები და წესები, რომლებმაც ხელისუფლების ინსტიტუციონალიზაცია გამოიწვია.

72. ინსტიტუციონალიზებული ხელისუფლება. — როგორ შეიძლება გაუქმდეს ხელისუფლების წყვეტილობა? როგორ შეიძლება თვითნებობის თავიდან აცილება? ამ ორი მიზნის მიღწევა, როგორც ჩანს, შეუძლებელია, რადგან ხელისუფლება განსახიერებულია ადამიანში, ისინი კი სიკვდილს არჩევენ და არ თანხმდებიან მათი მოქმედების თავისუფლების შეზღუდვას. სამაგიეროდ, აბსტრაქციებს შეუძლია საპირისპირო თვისებების წარმოჩენა. ისინი მართლაც, ადამიანის გონებით იგება და შეუძლიათ მოიცვან ბუნებრივი მოელენებისთვის მიუღებელი თვისებები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არის თვალშისაცემი, შეიძლება იყოს უწყვეტი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქტუალურს ხდის მათში არსებულ შესაძლებლობებს (ადამიანები, ამ-

ბობდა თუკიდიდე, ყოველთვის მთლიანად იყენებენ იმ ხელისუფლებას, რომელიც აქვთ) აბსტრაქციები შეიძლება იმგვარად შედგეს, რომ მოახდინონ არა რომელიმე სხვა, არამედ გარკვეული სასურველი ეფექტი, რომელიც მათი ბუნებრივი, მაგრამ არასასურველი გაგრძელება იქნება. ადამიანთა გონებაში არსებულ აბსტრაქციებს, რომელთაც გააჩნიათ თავისებურება ეფექტი მოახდინონ გონების ფარლებს გარეთ, ინსტიტუტებს უწოდებენ.

ინდივიდუალიზებული ხელისუფლების აპორიის გადაჭრა, სწორედ ამაშია. ის მდგომარეობს ხელისუფლების — აბსტრაქტული ცნების — და მმართველების, კონკრეტული ადამიანების განცალკევებაში. როგორც ინსტიტუტი — ხელისუფლება შეიძლება უკვდავი იყოს. ის უცვლელად გრძელდება პიროვნებების საშუალებით, რომლებიც მისი დროებითი გამომჟღავნება არიან. ის ასევე შეიძლება შეზღუდული იყოს. ინდივიდუალიზებული ხელისუფლება ერთგვარი ბუნებრივი მდგომარეობა იყო. იქ ადამიანები ხელმძღვანელს ემორჩილებიან იმ მექანიზმით, რომელიც მინიმალურ წარმომადგენლობას გულისხმობს. ასეთ კონტექსტში, შესაძლებელი იყო ისეთი სამართლის შემუშავება, რომელიც ადამიანთა შორის ურთიერთობებს მართავდა, ე.ი. კერძო სამართლის შემუშავება. მაგრამ სამართალი, რომელსაც მმართველები უნდა დამორჩილებოდნენ სავსებით მიუღებული იყო. თუ ხელისუფლების წყარო აღარ არის იმ ადამიანებში, რომლებიც მათ ამ ხელისუფლებას ანიჭებს, პირიქით, შესაძლებელი ხდება ვარაუდი მათთვის მოქმედების თავისუფლების შეკვეცაზე. ის, რაც საკუთარი თავიდან გამომდინარეობს, მხოლოდ საკუთარი თავით იზღუდება, ე.ი. ფაქტობრივი ზღვარით. ის, რაც დელეგირებიდან გამომდინარეობს შეიძლება შეიზღუდოს კანონით და ამის პირობაც კი იყოს.[25] შეიძლება ითქვას, ზოგიერთი კომპეტენცია უსხლტება ხელისუფლებას, რომ ისეთი სფეროები, სადაც მისი ჩარევა შესაძლებელი იქნებოდა ფაქტობრივად, აკრძალულია კანონით: ის განთავისუფლებულია ისეთი სფეროებიდან, რომელიც ტრანსცენდენტული პრინციპების შესაბამისად ეწოდება „ბუნებრივი უფლება" ან „ადამიანის უფლებები". ასეთი წარმოდგენა არასწორია ლოგიკურ პლანში, რადგან ის გულისხმობს წინააღმდეგობრივ იდეას უფლებაზე, რომელიც უსწრებს სამართალს. მაგრამ ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აბსტრაქციის გამოყენება ხელისუფლების განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა იურიდიული ნორმის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც გამოსაყენებილია ხელისუფლებასთან მიმართებაში. ასევე შესაძლებელია ხელისუფლების გადაცემის მექანიზმებზე წესების დადგენა. ადრე ეს თავისით დგინდებოდა. ის მტკიცდებოდა ან არ მტკიცდებოდა თავისი განხორციელების ფორმით. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება აღარ არის ადამიანში, არამედ გადაცემულია მისთვის, შესაძლებელია მისი a priori განსაზღვრა და a priori გადაწყვეტა როგორ განისაზღვროს ის. ამისათვის ხდება წესებისა თუ პროცედურების შემუშავება: მემკვიდრეობითი მონარქიების მემკვიდრეობის წესები ან რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევი პროცედურები. პირველი მეთოდი უფრო მარტივია და ახასიათებს ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებად გამოხატულ მდგომარეობას. მაგრამ ორივეს საერთო აქვს ის, რომ იცილებენ რადიკალური უწყვეტობის გადაწყვეტილებას, რომელიც გულისხმობს ხელმძღვანელის გაქრობას ინდივიდუალიზებულ ხელისუფლებაში და მემკვიდრეობის მისაღებად გაჩაღებულ კონფლიქტებს, რომლებიც გარდაუვლად გამომდინარეობს აქედან.

ჩვენს მიერ განხილული ორივე ასპექტი — ხელისუფლების აღსრულების შეზღუდვა და მის გადაცემასთან დაკავშირებული კანონები აღწერილია კონსტიტუციაში. სიტყვა აღებულია მატერიალური და ფორმალური მნიშვნელობით: ასე გაგებული კონსტიტუცია შეიძლება იყოს ჩვეულებითი და დაწერილი ტრადიციის მიხედვით, ამ საკითხთან მისვლისას, პოლიტიკური მეცნიერება ამ ახლად გამოჩენილ ცნებას გადაულოცავს კონსტიტუციურ სამართალს. სწორედ ეს დისციპლინა შეისწავლის კონსტიტუციის ტიპებს, მათი შემუშავების ფორმებს, ამ ჩარჩოში ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან ერთად პოლიტიკურ მეცნიერებასა და კონსტიტუციურ სამართალს შორის განსხვავების გაკეთება გარკვეულწილად თავისუფალია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართალი, მოვლენებს მხოლოდ სამართლის კუთხით იხილავს. ეს აქსიომური დემარშია, რომელიც პოსტულატად აცხადებს სამართლის არსებობას ზოგადად და რომელიმე სამართალს კონკრეტულად მოცემული კონსტიტუციის შემთხვევაში. ყოველგვარი მსჯელობა, რომელიც არ აყენებს ამ პოსტულატებს, ეკუთვნის

[25] აქედან იკვეთება 1688 წლის ინგლისის რევოლუციის მთავარი როლი და მისი თეორეტიკოსის ჯონ ლოკის გავლენა. ძალაუფლების საზღვრების ღია აღიარება პირველად გამოჩნდა, როგორც მისი პირობა „ბილი უფლებათა შესახებ" ფორმით, რომელიც მარია და უილიამ ორანელებს წაუყენეს.

პოლიტიკურ მეცნიერებას. განსხვავება აქ უფრო გარეგნულია, ვიდრე არსებითი. გარდა ამისა, კონსტიტუციური სისტემები, როგორც ყველა ნორმატიული სისტემა, მუშაობს მხოლოდ თავისი შიდა ლოგიკით: ის რაც უნდა იყოს, ყოველთვის იმას არ ქმნის რაც არის, პოლიტიკური მეცნიერება განიხილავს კონსტიტუციური სამართლის შესაძლებლობის პირობებს, იურიდიულ წყობათან წინააღმდეგობას, მის საზღვრებს და მის წარუმატებლობას.

ინსტიტუციონალიზებულ ხელისუფლებას, რომელიც ახლახან განვსაზღვრეთ, სიამოვნებით განსაზღვრავენ ტერმინით სახელმწიფო. თვითონ სიტყვა არაფერს ხსნის, პირიქით, მისი ახსნაა საჭირო. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით იმ უსასრულო კამათს, რომელსაც ამ სიტყვის გამოყენება იწვევს. ავტორები, რომლებიც სახელმწიფოს „ბუნების" ძიებაზე საუბრობენ, მხოლოდ თავიანთ a priori არსებულ რწმენებს აღმოაჩენენ ხოლმე სახელმწიფოს „დეფინიციები" არასდროს სცილდება ინტრალინგვისტური პრედიკაციის დონეს. ისინი მიუთითებს იმაზე, რასაც პირობითად რომელიმე ავტორი გულისხმობს. ყველაზე ნაკლებად თვითნებური ხმარება ალბათ შემდეგია: სახელმწიფოში იგულისხმება ხელისუფლების აბსტრაქტული საყრდენი, რომელიც მთლიანად მმართველების პიროვნებაში არ არის მოქცეული და რომელიც შესაძლებელს ხდის კონსტიტუციური კანონების კრებულის შემუშავებას. სახელმწიფოს ცნების მთლიანობა უარყოფითია: ის უპირისპირდება ინდივიდუალიზებულ ხელისუფლებას. სხვა მხრივ, სიტყვა აღნიშნავს ძალიან განსხვავებულ რეალობებს იმისთვის, რომ მისმა გამოყენებამ შეცვალოს ისტორიული კვლევა: სახელმწიფო რომის რესპუბლიკაში, III რესპუბლიკა საფრანგეთის სახელმწიფოში, საბჭოთა სახელმწიფოები აბსოლუტურად განსხვავებული რეალობებია, რაშიც მხოლოდ ემპირიული კვლევა გაგვარკვევს.

სანამ ამ საკითხს დავასრულებთ, აუცილებელია ვუპასუხოთ ინსტიტუციონალიზებულ ხელისუფლებასთან დაკავშირებით ხშირად გამოთქმულ შენიშვნას. წარმოდგენილი ანალიზი იდეალისტური იქნებოდა სიტყვის ფილოსოფიური მნიშვნელობით, და შესაბამისად გულუბრყვილოც და მისტიფიკაციის ელფერის მქონეც. როგორ დავუმატოთ სისწორე თეორიას, რომელიც სვამს ხელისუფლებას ინსტიტუტების კუთხით, ე.ი. კარგად გააზრებულ რეალობებში? ხომ არ ნიშნავს ეს იმ ილუზიაში ჩავარდნას, რომელიც გულისხმობს აზრის უნარს დასაბამი მისცეს არსებობას? ამ არგუმენტის პასუხი გამომდინარე a priori ლოგიკიდან, ორმაგია. ჯერ ერთი, ის არ სცნობს დაკვირვებისთვის მისაწვდომ რეალობას. ინსტიტუტები რა თქმა უნდა ფიქციებია, მაგრამ ისეთი ფიქციები, რომლებსაც შედეგები მოსდევს. ის, რომ ადამიანები იყენებენ შემოვლით გზას ცნებებით, ე.ი. აბსტრაქციით კონკრეტული რეალობების შესაცვლელად არის ანთროპოლოგიური კონსტატა. მხოლოდ მისი კონსტატირება შეიძლება. სახელმწიფოს მიჩნევა მმართველებისგან განსხვავებულად, ძნელი იყო, მაგრამ ეს ამავე დროს იყო ეფექტური ბერკეტი პოლიტიკური რეალობების გარდასაქმნელად. ყველა მცდელობა ეს ფაქტი დაყვანილიყო წინასწარშედგენილ სქემებამდე, მიუხედავად მათი „მატერიალურობისა" (კარგად არის ცნობილი ის ჩიხი და აბერაცია, რაც შეიძლება გამოიწვიოს ან წინასწარშექმნილმა აზრმა) არის თვითნებობა. შემდეგ, მოტანილი ფაქტების ინტერპრეტაციას პრეტენზია არ აქვს ახსნას პროცესი, რომელიც შეიძლება წარუმატებელი იყოს, არამედ მხოლოდ ცდილობს აჩვენოს, როგორ შეიძლება ეს პროცესი გაიაზრონ მისმა მონაწილეებმა. (როგორც ვაჩვენეთ, მოვლენის გააზრების მანერა გავლენას ახდენს მის რეალიზაციაზე). სხვა სიტყვებით, ეს ანალიზი არ გამოირჩევა სხვებისგან და არც რაიმე ონტოლოგიური პრივილეგიით სარგებლობს.

ერთი ფაქტი ეჭვგარეშეა: ინსტიტუციონალიზაციის პროცესი სათუთია. ყველას არ შეუძლია ხელისუფლების აბსტრაქტულად გააზრება. ხოლო აბსტრაქციის პროცესი, თავისი ბუნებით, ყოველთვის დაუსრულებელია: ხელისუფლება პრაქტიკაში მხოლოდ იმათი საშუალებით მოქმედებს, ვისაც ის უპყრია[25] და შეიძლება ეს მისი არსებობის გაგრძელება იყოს.

73. პერსონალიზებული ხელისუფლება. — ინსტიტუტების აბსტრაქტული ხელისუფლება ვერ იმუშავებდა ადამიანებში რომ არ იყოს განსახიერებული, რა უპირატესობაც არ უნდა ჰქონდეს იმას, რომ მორალური პიროვნება, მონათლული სახელმწიფოდ, გახადონ ხელისუფლების ერთადერთ მფლობელად, მაინც მოგვიწევს მიწაზე დაშვება და იმის აღიარება, რომ ეს ხელი-

[25] ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციონალიზებული ხელისუფლება ახდენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი აბსტრაქტული ბუნების გამყარებას სიმბოლოების გამოყენებით. იხ. n° 115.

სუფლება მინდობილი აქვთ პიროვნებებს. ასეთი მოქმედება statu quo ante-ს უბრალო აღდგენა არ არის. მაგრამ მის მიერ გამოწვეულმა შედეგებმა არ უნდა დაფაროს ის ფაქტი, რომ ხელისუფლების პრობლემატიკის ცენტრში ის კვლავ აქცევს რეალურ ადამიანებს თავისი ინტერესებით, გატაცებით, პიროვნული საქციელით. არც ერთი საზოგადოების მართვა არ მომხდარა მარტო კანონის ძალით: კანონი არ არსებობს თუ ის არ არის შემუშავებული, მიღებული, მხარდაჭერილი (სიტყვის როგორც ფრანგული, ისე ინგლისური მნიშვნელობით) ადამიანების მიერ. ამ პირველი მნიშვნელობით ხელისუფლება პერსონალიზებულია; როგორც ვიცით ის არასდროს ყოფილა ღმერთების, ცხოველების, კომპიუტერების ხელში, მას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები აღასრულებენ. მაგრამ ხელისუფლების პერსონალიზაციის იდეა შეიძლება იმ მეორე მნიშვნელობითაც გავიგოთ, რომელიც სამოციან წლებში ჰქონდა. ჟორჟ ბურდოს სიტყვებით ეს იყო „კრემიანი ნამცხვარი აჩქარებული პოლიტოლოგებისთვის". ამ მნიშვნელობით, ხელისუფლების პერსონალიზაცია ითვლება ახალ, გასაოცარ და შემაშფოთებელ მოვლენად. მისი რეალობის დასადგენად იშველიებდნენ ფაქტების ერთობლიობას, რომელთაგან არც ერთი არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ საერთო მიზეზებიდან გამომდინარეობდა და აზრი ჰქონდა მასთან პარალელის გავლებას. არც ისე დიდი ხნის დეკოლონიზებული მესამე სამყაროს ქვეყნებში სწავლობდნენ „ქარიზმატული" მმართველების გავლენას. დაადგინდა, რომ კომუნისტურ ქვეყნებში „პიროვნების კულტი" არ დასრულებულა სტალინის დაგმობით და ხელმძღვანელების ძალაუფლებასთან ერთად იცვლებოდა მხოლოდ პორტრეტები, გენიალური თეორიული ნაშრომები და დეკორაციები, რომ არ ჩავთვალოთ დიდი ლიდერების ცოლების, ვაჟიშვილების, სიძეების თუ პირადი მდივნების საოცარი წინსვლა კარიერაში. თვით დასავლეთის დემოკრატიებშიც, სამართლებრივი სახელმწიფოს პროტოტიპებსა და არქეტიპებში, აღინიშნა ხელისუფლების პერსონალური ფაქტორების გაძლიერება, რაც აქტუალური თემა და თანამედროვე ანალიზის მიზეზია. მმართველების პირადი თვისებები, მათი სახე, სილუეტი, სტილი უფრო მნიშვნელოვანია მართული ხალხის ცნობიერებაში, ვიდრე მათი იდეები და მოქმედებები. სამაუწყებლო საშუალებების, კერძოდ ტელევიზიის განვითარება, ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ადრე, მმართველებს მხოლოდ შორიდან და იშვიათად ხვდებოდნენ. მათ წარმოთქმულ სიტყვას გაზეთების საშუალებით ეცნობოდნენ და ვერ ცნობდნენ მათ ხმას. მათთან მხოლოდ პერიოდული, შორეული კავშირი ჰქონდათ. ტელევიზია ყველაფერ ამას ცვლის. მისი დახმარებით პრეზიდენტი ყველა ოჯახში შედის. იგი პერსონალურად, შუამავლის გარეშე ურთიერთობს თითოეულ ჩვენგანთან თავისი ხმით, მიმიკებით, ღიმილით, რომელიც ხან მამობრივი, ხან მომხიბვლელია. ბუნებრივია, ასეთი უშუალო ურთიერთობა ილუზორულია. სახელმწიფოს მმართველს გრიმი აქვს და არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით. მისმა მრჩევლებმა კომუნიკაციის საკითხებში დაწერეს მისი სიტყვა, დაამუშავეს მისი ლექსიკა, შეარჩიეს კოსტიუმი, რომ შექმნან მისი „მფლობელის" იმიჯი. მათ იგი ავარჯიშეს სპორტული იერის მისაღებად, გამოუგონეს სიმპათიები მოდური მომღერლის მიმართ, რათა გახადონ პოპულარული, აღფრთოვანდება ნატურალისტური რომანით ან პრიმიტიული ხელოვნებით, რადგან საჭიროა, რომ იგი ასევე კულტურულიც იყოს. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვანია ამ მანიპულაციების მასშტაბი. საინტერესოა ის, რომ მოქალაქეებს უჩნდებათ გრძნობა თითქოს უშუალოდ იცნობენ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ისევე როგორც იცნობენ თავიანთ მეგობრებსა კოლეგებს. ეს მთავრდება იმით, რომ მათზე მსჯელობენ მთლიანობაში და დაპირისპირებისა და შედეგების შეფასებისას რეაქციებს ამჯობინებენ პიროვნებას. მიმხრობა უფრო ადამიანისკენ მიდის, ვიდრე პოლიტიკისკენ. სახელმწიფო მოღვაწეები, კინოვარსკვლავების მსგავსად, საკუთარ პიროვნებაში ახდენენ ღირებულების კონცენტრირებას მათი საჯარო გამოსვლების ხარისხისგან დამოუკიდებლად. ეს არის „სახელმწიფო—სპექტაკლი", აღწერილი როჟე-ჟერარ შვარცენბერგის მიერ.

რა უნდა ვიფიქროთ პერსონალიზებული ხელისუფლების ცნების ღირებულებაზე, როცა ის აღებულია ამ მეორე მნიშვნელობით? ჯერ საჭიროა არ მოვიშველიოთ არადასავლური საზოგადოებები, სადაც პრობლემები სხვაგვარად ისმება, არც საბჭოთა სისტემა, რომელიც წარსულს ჩაბარდა და აბსოლუტურად სხვა ლოგიკა ჰქონდა. რაც შეეხება თანამედროვე ვანვითარებულ საზოგადოებებს, თავდაპირველად გასარკვევია იმ ავტორებმა, რომლებმაც ამ თემის პოპულარიზაცია მოახდინეს, ხომ არ გადააჭარბეს, როდესაც მის სიახლეზე ლაპარაკობდნენ. მართალია მაუწყებლობის განვითარებამ შეცვალა პოლიტიკური დებატის საერთო კლიმატი, ახალი პარამეტრები შემოიტანა იმ ფაქტორებში, რომლებიც ინდივიდუალურ დონეზე განსაზღვრავს პოლი-

ტიკური კარიერის წარმატებასა თუ წარუმატებლობას, მაგალითად ტელეგენურობა. მაგრამ, მეორე მხრივ, აქ საქმე ეხება ცვლილებას და არა რადიკალურ სიახლეს. ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ ადრე იყო დაფასებული საჯარო მოღვაწეების მარტო სერიოზულობა, კომპეტენტურობა და გულწრფელობა: პარლამენტარი ორატორების ძლიერი ხმა და სასიამოვნო ტემბრი საკმარისი იყო წარმატებისათვის და ვისაც ხმის სიმები არ უკარგოდა, არ ითვლებოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ღირსად. ხალხის მისამხრობად საჭირო თვისებები იცვლება, მაგრამ ისინი არ არის გუშინდელზე უფრო თავისუფალი. მეორე მხრივ, შეინიშნება ადამიანების შეგუება პოლიტიკურ სპექტაკლთან, ისევე როგორც მომხმარებლები შეეჩვევნენ რეკლამას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამომრჩევლებზე პოლიტიკური დებატების გავლენა თითქოს შემცირდა. საფრანგეთში ეს გავლენა ნაკლები იყო 1981, 1988 და 1995 წლების საპრეზიდენტო არჩევნების დროს. 1974 წლის არჩევნებთან შედარებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბუში-დუკაკისის, კლინტონ-ბუშის დაპირისპირებას თითქმის არ შეუცვლია საზოგადოებრივი აზრი. ამას ყველაფერი უწყობს ხელს: კანდიდატები ერიდებიან „მონეტის აგდებით" წარმატების მოპოვებას და დაპირისპირებაზე თანხმდებიან მხოლოდ სიფრთხილის უკიდურესი ზომების მიღების შემდეგ, რაც უინტერესოს ხდის დებატებს. გარდა ამისა, გამოკითხვების შედეგად პირველ ადგილზე გასული კანდიდატი თავის პირობებს ახვევს მეორე კანდიდატს, რომელიც დებატებში თავის ბოლო შანსს ხედავს და იძულებულია დათანხმდეს. ყოველივე ამას, ბუნებრივია, ნულოვანი შედეგი მოაქვს. მეორე მხრივ, მოქალაქეები მიჩვეულნი არიან ამგვარ გამოსვლებს და მათ უკვე მომზადებული, სკეპტიკურად განწყობილნი ადევნებენ თვალს და ჩამოყალიბებული დამოკიდებულება უფრო უმტკიცდებათ, ვიდრე ეცვლებათ. როგორც ამბობენ, 1960 წლის არჩევნები ნიქსონმა კენედისთან იმიტომ წააგო, რომ უგემოვნო კოსტიუმი ეცვა და ცუდი გრიმი ჰქონდა გაკეთებული. თუ ჩავთვლით, რომ ეს დასკვნა სწორია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავს შეცდომას აღარ გაიმეორებენ.

ხელისუფლების პერსონალიზაციით გამოწვეული მეორე კითხვა შემდეგია: ნებისმიერი შედარებითი ანალიზი ცხადია გულისხმობს კონკრეტული პერიოდის განსაზღვრას. რომელი პერიოდიდან იწყება პერსონალიზაციის ზრდის ათვლა? რომელ ეპოქაში არ იყო ხელისუფლება პერსონალიზებული? ზემოთ განხილული გვიჩვენებს, რომ თუ ლაპარაკია აბსოლუტურ დეპერსონალიზაციაზე — არასდროს. არსებობდა შედარებითი დეპერსონალიზაციის პერიოდები? საფრანგეთის მაგალითზე პრობლემა განსაკუთრებულ შეფერილობას იღებს გენერალ დე გოლის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. აშკარად თუ ფარულად, ავტორები თეზისის შემუშავებას ახდენენ V რესპუბლიკისა და წინა ორ რესპუბლიკას შორის განსხვავებაზე დაყრდნობით. მაგრამ საჭიროა შეთანხმება. ერთი მხრივ, გენერლის შემცვლელებს არ უსარგებლიათ noiens volens იგივე „პერსონალური თვისებებით". მეორე მხრივ, IV და განსაკუთრებით III რესპუბლიკაში არ შეინიშნებოდა თვალსაჩინო პიროვნებების ნაკლებობა: გამბეტა, კლემანსო, ვალდეს-რუსო, მენდეს ფრანსი მნიშვნელოვანი პიროვნებები იყვნენ. თუმცა მათი პოლიტიკური ბედი, სხვადასხვა ეტაპზე დაუსრულებელი დარჩა. ეს იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ ისეთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომლის მიზანიც მკვეთრად გამოკვეთილ ხასიათებზე ზრუნვა იყო. პარლამენტარების დაუსრულებელი შური (დაკანონებული თეორიულ პლანში ნაპოლეონის დიქტატურის და ბულანჟისტური მოძრაობის მოგონებით), ქმნიდა მახეებითა და ხაფანგებით სავსე სამყაროს, სადაც გამორჩეული ადამიანები საბოლოოდ ებმებოდნენ. საჭირო გახდა ომი იმისათვის, რომ კლემანსოს თავისი პიროვნება წარმოეჩინა — რაზეც შური იმით იძიეს, რომ პრეზიდენტობაზე უარი უთხრეს. ეს და რამდენიმე სხვა მაგალითი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია შედარებით დეპერსონალიზებული სისტემის დამყარება. მაგრამ მთავარია ამაში დავინახოთ არა წესი, არამედ გამონაკლისი. პერსონალიზაცია არ არის პათოლოგიის გამომჟღავნება, რომელიც გადაკვეთს ბუნებრივ დეპერსონალიზაციას. ეს ზუსტად, რომ საპირისპიროა — პერსონალიზაცია თავისი სხვადასხვა ფორმით ნორმალური მოვლენაა, რადგან შეესაბამება ყველაზე მარტივ ფსიქოლოგიურ სურვილებს, როგორც მმართველებში, ისე მართულ ხალხში. მის შესაზღუდად საჭიროა რთული სისტემის დამყარება, რომელშიც შევა როგორც იდეოლოგია და საზოგადოებრივი ცნობიერება, ისე ინსტიტუციური ჩარჩო, სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. საბოლოო ჯამში, ეს მყიფე სისტემა გამიზნული უპრობლემო ცხოვრებისთვის, საფრთხის გამოჩენისთანავე უუნარო აღმოჩნდება და ხსნას მხოლოდ მშველელისგან ელის.

უნდა დავასკვნათ, რომ ხელისუფლების ინსტიტუციონალიზება არის მარცხი, ან მუდმივად საფრთხის ქვეშ მყოფი გამარჯვება? არა. მართალია ინსტიტუციონალიზაცია რჩება მესამე სამყაროს ბევრ ქვეყანაში შორეულ იდეალად; მართალია ისიც, რომ შესაძლებელია მოხდეს რეგრესი: ჰიტლერის გერმანია, სადაც გერინგის სიტყვები: „ფიურერის უფლება და ნება არის ერთადერთი და ერთი და იგივე", ამის საუკეთესო მაგალითია. სამაგიეროდ, აბსურდია იმის მტკიცება, რომ დასავლეთის დემოკრატიებში შემჩნეული პერსონალიზაციის ნიშნები ეპექვეშ აყენებს ინსტიტუციონალიზაციის ფენომენს. პოლიტიკის ვარსკვლავები თავს არ თვლიან და არც ითვლებიან ხელისუფლების მფლობელად. ისინი კანონს ემორჩილებიან. „სახელმწიფო — სპექტაკლი" რჩება სახელმწიფოდ.

პერსონალიზაციის ფენომენი ჩარჩოში ჯდება: ის ზედაპირულად ცვლის ხელისუფლების აღსრულების ფორმას, მაგრამ ღრმა კვალს არ ტოვებს მასში.

ნაწილი IV. ხელისუფლება როგორც მაკლასიფიცირებელი ცნება

74. ტრადიციული დებატი. — ხელისუფლების შესწავლის დასრულებამდე, საჭიროა მიმოვიხილოთ მოკლედ ტრადიციული დებატი, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების ორ კონცეფციას აპირისპირებს: პოლიტიკურ მეცნიერებას, როგორც მეცნიერებას სახელმწიფოზე და პოლიტიკურ მეცნიერებას, როგორც მეცნიერებას ხელისუფლებაზე. საკითხი ძირითადად დამუშავებულია პოლიტიკური მეცენიერების განსაზღვრამდე. მაგრამ ასეთი ფორმა, გარდა იმისა, რომ თავისთავად ნაკლებად შუქის მომფენია, ასევე გარკვეულ უხერხულობას მოიცავს, როცა თვლის, რომ ცნობილია ცნებები, რომელთა გაშუქებაც სწორედ პოლიტიკური მეცნიერების საქმეა. უფრო გონივრულია მათი ახლა განხილვა. რადგანაც განხილვისას a priori ხდება ხოლმე ყალბი პრობლემების გაბუქება, საფუძვლიანი მსჯელობა ცნებების წინასწარ ანალიზზე თავიდან აგვაცილებს ამას.

75. პოლიტიკური მეცნიერება მეცნიერება სახელმწიფოზე? — დიდი ხანია მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური მეცნიერება არის მეცნირება სახელმწიფოზე. ეს ასეა მისი დამოუკიდებელ დისციპლინად აღიარების ღლიდან. მისი შინაარსი მარტივია: პოლიტიკა მხოლოდ სახელმწიფოში არსებობს, რომელიც სოციალური მოწყობის უმაღლესი ფორმაა და ხასიათდება იდეით, თითქოს ხელისუფლება აბსტრაქტული მპყრობელის ხელშია, რომელიც განსხვავდება მმართველებისგან და არის ინსტიტუციონალიზაციის პროცესის შედეგი, რაც ჩვენ წინა ნაწილში აღვწერეთ. შესაბამისად, პოლიტიკურ მეცნიერებას არ სჭირდება სოციალური მოწყობის პრიმიტიული ფორმების გათვალისწინება.

ამ დოქტრინის წარმატების მიზეზები ნათელია. ჯერ ერთი, ავტორები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს პოლიტიკური მეცნიერების განვითარებას, კერძოდ საფრანგეთში, ხშირად იურისტები იყვნენ. მათთვის სიტყვა სახელმწიფო განსაკუთრებულად მდიდარია მნიშვნელობით, ისინი, თავიანთი განათლებიდან გამომდინარე, პრივილეგიას ანიჭებენ იურიდიული წესების ანალიზს სოციალურ რეალობებთან მიმართებაში. მეორე, ეს ტენდენცია გაძლიერებულია აშკარა, ყოველთვის აქტუალური მონაცემით. თუ მაგალითად, სურთ საფრანგეთის პოლიტიკური სისტემის აღწერა, ამ კვლევას დაიწყებენ კონსტიტუციის ანალიზით. იურიდიული წესები პოლიტიკური სამყაროს ყველაზე თვალსაჩინო ელემენტია, სახელდობრ იმიტომ, რომ ისინი უკვე არსებობს ლინგვისტური ფორმით. ბუნებრივია, შესწავლა მათგან დაიწყოს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პრაქტიკა ყოველმხრივ ავსებს, ეწინააღმდეგება, ამდიდრებს კონსტიტუციას. მესამე, ეს დამოკიდებულება ხსნის იმას, რასაც მაქს ვებერი უწოდებდა „ღირებულებებთან კავშირს" და რაშიც ის გულისხმობდა იმის ახსნას და გამართალებას, თუ რატომ აინტერესებდათ ბერძნულ ქალაქებს შორის კონფლიქტი და არა აფრიკის ტომებს შორის ომი. სხვა სიტყვებით, თანამედროვე სახელმწიფო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენთვის უფრო რთულია, უფრო მდიდარი, უფრო ცვალებადი, ვიდრე ის პრიმიტიული ფორმები სოციალური მოწყობისა, რომლებთან დაკავშირებითაც ჩვენ, უკეთეს შემთხვევაში, ეთნოლოგიური ცოდნა გვაქვს.

მაგრამ საკითხების ამგვარი ხედვის უარყოფითი მხარეები ნაკლებად თვალშისაცემი როდია. კონკრეტული განათლებიდან გამომდინარე ინტელექტუალური მიდრეკილება გასათვალის-

წინებელია, მაგრამ ის მანამდე უნდა შეიცვალოს, სანამ წინააღმდეგობაში მოვა შესასწავლ საკითხთან. პოლიტიკური რეალობების ანალიზის დაწყება სამართლებრივი კანონებით შეიძლება მოსახერხებელი იყოს, მაგრამ მხოლოდ ამით შემოფარგვლა გამოიწვევდა რეალურის გამოგონილით ჩანაცვლებას. ბოლოს, „ღირებულებებთან კავშირი", შეფერილი აღმატებულობის კომპლექსის ელფერით, ყველაფერ იმასთან მიმართებით, რაც ჩვენ არ ვართ, უპერსპექტივო არგუმენტია, რადგან ღირებულებები შეფარდებითია: ბერძნულ ქალაქებს შორის ომი მნიშვნელოვანია, თუ შესწავლის საგანს წარმოადგენს საბერძნეთის ისტორია, ხოლო ტომებს შორის კონფლიქტი საინტერესოა აფრიკის ისტორიის შესწავლის დროს. პიგმეების ხელისუფლების სისტემა ისევე საინტერესოა ხელისუფლების ზოგადი თეორიისთვის, როგორც შეერთებული შტატების კონსტიტუცია. პოლიტიკური მეცნიერების თეორია, როგორც მეცნიერება სახელმწიფოზე ძალიან შემზღუდავია. ამის გათვალისწინებით, ამ მიდგომის ზოგიერთი მომხრე შეეცადა მის გადარჩენას სახელმწიფოს ცნების გაფართოებით. ეს ცვალებადი გეომეტრიის მქონე განსაზღვრებების ტიპური შემთხვევაა, რის უფლებასაც ინტრალინგვისტური პრაქტიკაც იძლევა. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ხერხები ყოველთვის უმნიშვნელო შედეგით მთავრდება. მოცემულ შემთხვევაში, ის შემდეგ დილემაში გადადის: ან ვინარჩუნებთ სიტყვა სახელმწიფოს ზუსტ მნიშვნელობას და ეს ძალიან ვიწრო აღმოჩნდება საკითხების ერთობლიობის გასაშუქებლად, ან ვაფასებთ პოლიტიკური მეცნიერებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითხს ყველაზე პრიმიტიული საზოგადოებების ჩათვლით, როგორც სახელმწიფოებრივს, pre an para etanque. აქედან გამომდინარე, სიტყვა არ გამოჰყოფს არაფერს და შესაბამისად, არ აღნიშნავს არაფერს.

76. პოლიტიკური მეცნიერება, მეცნიერება ხელისუფლებაზე? — თეორია პოლიტიკურ მეცნიერებაზე, როგორც მეცნიერებაზე სახელმწიფოს შესახებ დამარცხდა. მხოლოდ რამდენიმე ავტორი, რომელიც ამას ამტკიცებდა, შეეცადა ხელახლა წამოეწყო ამ მოძველებულ თემაზე კამათი. მაგრამ გაიმარჯვა კი საპირისპირო თეორიამ პოლიტიკურ მეცნიერებაზე, როგორც მეცნიერებაზე ხელისუფლების შესახებ? გაიმარჯვა, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით. კარგად არც არის გარკვეული მას უფრო მეტი უარყოფითი მხარე აქვს თუ დადებითი.

მართლაც, „პოლიტიკური მეცნიერება — მეცნიერება ხელისუფლებაზე" გარეგნული ფორმის მიუხედავად, მხოლოდ უარყოფითი განსაზღვრებაა: მას არა აქვს პრეცედენტი, ის არ იმსახურებს შენიშვნებს. მაგრამ რა დადებითი წვლილი მიუძღვის? აქ ჩვენ ვნახავთ, რომ გადმოტანილია იგივე დილემა, რის წინაშეც მისი მოწინააღმდეგე თეორია იდგა, თუ a priori განსაზღვრავენ პოლიტიკურ მეცნიერებას ორიდან ერთი თეორიით. ან გვაქვს ნათლად ჩამოყალიბებული და განსხვავებული იდეა, რომელსაც მუდმივად დაემუქრება გაზვიადებული, რთული, ორაზროვანი რეალობა: ყოველ ნაბიჯზე გვექნება რისკი წავაწყდეთ პოლიტიკური მეცნიერებიდან გამომდინარე მოვლენებს, რომელთა ჩამოშორებაც მოგვიწევს. რადგან სცილდებიან ხელისუფლების ცნებას. ანდა, ფაქტობრივად, უარს ვიტყვით განსაზღვრების უცილობლობაზე და გავაფართოვებთ ხელისუფლების ცნებას ყველა იმ ფენომენით, რომელიც შეგვხვდება და ჩავთვლით, რომ გარკვეული მოსაზრებით მისაღებია პოლიტიკური მეცნიერების ორბიტაზე. განსაზღვრება ან პოტენციურად ყალბი იქნება ან პოტენციურად ცარიელი.

მომავალი თავის შინაარსი ძალიან სწრაფად გააშუქებს ამ დასკვნებს. პოლიტიკური სისტემის შესწავლა უდავოდ პოლიტიკური მეცნიერების საგანია. ამასთანავე, ამ ანალიზის მთელი ინტერესი მდგომარეობს სწორედ იმ ფაქტში, რომ ის იგება იმგვარად, რომ არ ეყრდნობა პოლიტიკური ხელისუფლების ცნებას.

თავი II. პოლიტიკური სისტემა

77. პოლიტიკური ხელისუფლება და პოლიტიკური სისტემა. — პოლიტიკური ხელისუფლების შესწავლამ ჩვენ პარადოქსულ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომელსაც საჭიროა ახლა მივუბრუნდეთ. საღი აზრიდან გამომდინარე, პოლიტიკური ხელისუფლება ეკუთვნის მათ, ვინც მას აღასრულებს, ე.ი. მმართველებს. გამოდის, რომ ხელისუფლების შესწავლა უნდა შემოიფარ-

გლოს მმართველების შესწავლით, მათი პიროვნული თვისებების, მიზნების, საშუალებებისა და ა.შ. თუმცა ჩვენ დავასკვენით, რომ პოლიტიკური ხელისუფლების ცნება გაცილებით რთულია. ის ვერ იქნება გასაგები, თუ მას, ასე ვთქვათ, თავის თავში ჩაკეტავენ. ხელისუფლება არ არის ზებუნებრივი ენერგია, დაგროვილი ვინმეში ან რამეში. მაშინაც კი, როდესაც ტრადიციული პრობლემატიკის ერთგულნი ვრჩებით, უნდა დავუშვათ, რომ ხელისუფლება არ შეიძლება გაგებული იქნეს იმ ურთიერთქმედებებისაგან დამოუკიდებელად, რომელიც მყარდება ხელისუფლების აღმსრულებლებსა და მათ შორის, ვისზეც ეს ხელისუფლება ვრცელდება. ამაში გასაკვირი არაფერია თუ ამას შეხედავენ იმ კუთხით, რა კუთხითაც ჩვენ განვსაზღვრეთ პოლიტიკა და პოლიტიკური სამყარო. მართლაც, მიღებული მოქმედების სახიდან დაფარულად გამომდინარეობს, რომ ხელისუფლება ლოგიკურად თუ ქრონოლოგიურად წინ არ უსწრებს პოლიტიკურ სამყაროს. ის შიგნით არის და არა წინ, მაშინაც კი, როდესაც უკუქმედებს, როგორც აღვნიშნეთ იმ პოლიტიკურ პრობლემატიკაზე, რომელიც მას იწვევს. შესაბამისად, ვერ გავიგებთ პოლიტიკას და თავად ხელისუფლებას, თუ არ მოვიშველიებთ იმას, რაც ის არ არის. უფრო ზუსტად, (ვინაიდან ეს ფორმულა გასაგებია მხოლოდ ტერმინ „ხელისუფლებაზე" გაურკვეველი სიტყვების თამაშით) ხელისუფლების კავშირის გაგება შეიძლება მხოლოდ იმ მიმართებების შესწავლით, რომლებიც არსებობს მათ შორის, ვისაც ხელისუფლება უპყრია და იმ სოციალური გარემოს მთლიანობას შორის, სადაც ის ხორციელდება, ასეთია ზუსტად პოლიტიკური სისტემის შესწავლის საგანი.

პოლიტიკური სისტემის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე პოლიტიკური ხელისუფლების ცნება. შეიძლებოდა იმ აზრის დაშვებაც, რომ მოცემულ პირობებში უფრო რაციონალური იქნებოდა ჯერ პოლიტიკური სისტემის განხილვა. მაგრამ გაკეთებული არჩევანი უმჯობესია. საღი აზრის გაყოლით უკეთ ჩნდება მის ფარგლებს გაცილების აუცილებლობა. გარდა ამისა, აუცილებელია პრობლემის მონაცემების უკეთ გასაგებად სიტყვა ხელისუფლების არეული და განსხვავებული მნიშვნელობების გორგლის გამოხსნა; მისი ორაზროვნება თავისთავად მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მსჯელობის გასაშლელად.

პოლიტიკური სისტემის ცნების შესასწავლად, ჩვენ მას წარმოვადგენთ დევიდ ისთონის ნაშრომზე დაყრდნობით, რომელიც ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობაა. შემდეგ შევეცდებით გავაკეთოთ მიღებული შედეგების კრიტიკული ანალიზი იმისთვის, რომ გავარკვიოთ ამ ტიპის კვლევა იძლევა თუ არა პოლიტიკურ მეცნიერებაში ჩაღრმავების საშუალებას.

ნაწილი I. სისტემური ანალიზი

78. სისტემის ცნება. — სისტემის ცნება ძალიან ზოგადია. ის ერთნაირი წარმატებით გამოიყენება ფიზიკაში, ბიოლოგიაში, სოციალურ მეცნიერებებში. ამ ძალიან ფართო გაგებით, ის შეიძლება განისაზღვროს როგორც „ურთიერთდამოკიდებული ელემენტების მთლიანობა, ანუ იმ ელემენტების, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ისეთი ურთიერთობებით, რომ თუ ერთი შეიცვლება, შეიცვლება დანარჩენებიც და შესაბამისად, მთელიც" — ლუდვიგ ფონ ბერტალანფის მიხედვით. ასე დაზუსტებულ ცნებას ძალიან ფართო მოქმედების რადიუსი აქვს. სოციოლოგიაში ასხვავებენ ორ შემთხვევას, რომლებიც პასუხობს ამ განსაზღვრებას. ერთია **ინტერაქციის** მოვლენები, მეორე **ურთიერთდამოკიდებულების**. პირველი შეესაბამება სიტუაციას, სადაც მოქმედი პირები პირდაპირ კავშირში არიან ერთმანეთთან, სოციოლოგიური მნიშვნელობით კარგად განსაზღვრული როლებით. ერთ-ერთი ელემენტის შეცვლა, გარდაქმნის მთელ სისტემას. მაგალითად, თუ მმართველ გუნდში დირექტორი მიიღებს წარმოების ტექნიკის უშუალო გამოცდილებას, შეიცვლება დამოკიდებულება ინჟინრებთან, რომლებსაც სუსტი თეორიული ცოდნა აქვთ, მაგრამ აღემატებიან პრაქტიკული თვალსაზრისით. ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში, ურთიერთობები არ არის უშუალო და თითოეული პიროვნების მოქმედება დანარჩენების მიმართ არის ერთდროულად უნებლიე და თავისთავად უმნიშვნელო, მაგრამ, გადაჯაჭვის შედეგად, მრავალი პიროვნების მოქმედება ცვლის სისტემას მთლიანად. მაგალითად, თუ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ამჯობინებს პროფესიული მოვლენების სფეროდ აირჩიოს მედიცინა და არა ფიზიკა, შედეგად კონკურენცია უფრო დიდი იქნება ექიმებში, მათი საშუალო შემოსავალი შემცირდება, ხოლო ფიზიკოსები უფრო იოლად იშოვნიან სამსახურს და ა.შ.

მეორე განსხვავება არის ღია სისტემებსა და ჩაკეტილ სისტემებს შორის. მართლაც, სისტემები სიცარიელეში კი არა, კონკრეტულ გარემოში არსებობენ. თუ გარემო გავლენას არ ახდენს მათ ფუნქციონირებაზე, ლაპარაკია ჩაკეტილ სისტემაზე, საპირისპირო შემთხვევაში კი ღია სისტემაზე. ჩაკეტილი სისტემები იშვიათია, რადგან ისინი სრულ იზოლაციას გულისხმობს გარე სამყაროსგან: აღდგომის კუნძულის დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური სისტემები აბსოლუტურად იზოლირებული იყო ევროპელების გამოჩენამდე. გარემოსთან ურთიერთობები შეიძლება იმგვარად მოქმედებდეს, რომ სისიტემამ შეინარჩუნოს თავისი შიდა წონასწორობა ან ავტომატურად აღიდგინოს ძვრების შემდეგ. ეს დამახასიათებელია კიბერნეტიკული სისტემებისთვის, ე.ი. თვითრეგულირებად სისტემებში. ამის კლასიკური მაგალითია თერმოსტატი: როდესაც ტემპერატურა დაბლა იწევს, ირთვება გამათბობელი და აღადგენს წონასწორობას. მაგრამ ეს შემთხვევა, რომელიც ძალიან პოპულარულია, როგორც მოდელი, წინასწარი გაიზრახვიდან გამომდინარეობს: სისტემა თავიდანვე ისე შეიქმნა, რომ ეს ეფექტი ყოფილიყო მიღებული. სოციალურ პრაქტიკაში, უფრო ხშირად გარემოსთან ურთიერთობები იწვევს უკუქმედებას სისტემაზე, რაც მთავრდება მისი ფუნქციონირებისა და სტრუქტურის შეცვლით.

79. პოლიტიკური სისტემა ისთონის მიხედვით. — ამ განსაზღვრებების შემდეგ ვნახოთ როგორ აგებს დევიდ ისთონი თავის პოლიტიკური სისტემის მოდელს. მისი ანალიზის ამოსავალი წერტილია ის, რომ პოლიტიკურ სისტემას მიიჩნევს ღია სისტემად. პოლიტიკური სისტემა არსებობს გარემოში და თანაარსებობს მასთან. ისთონის ანალიზის ორგინალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეგნებულად იგნორირებას უკეთებს სისტემას და განსაკუთრებით აინტერესებს მისი ურთიერთობები გარემოსთან. ისთონისთვის პოლიტიკური სისტემა „შავი ყუთია", რომელში ჩახედვაც მას არ სურს მეთოდოლოგიური მოსაზრებით. მისი აზრით, პოლიტიკური სისტემა საკმარისად შეისწავლა ტრადიციულმა პოლიტიკურმა მეცნიერებამ, რომელსაც ის განსაკუთრებულად აინტერესებდა. ვინ ცხოვრობს შავ ყუთში, როგორ ხვდებიან იქ, რას აკეთებენ იქ, როგორ ხდება იქ გადაწყვეტილებების მიღება, აი კითხვები, რომლებსაც ჩვეულებრივ პასუხობს პოლიტიკური მეცნიერება. ისთონის მიზანი განსახვავებულია: მას აინტერესებს ახსნას კავშირები ამ ყუთსა და მთელ საზოგადოებას შორის. იგი პოლიტიკურ სისტემას ძირითადად უარყოფითად იხილავს და ითვალისწინებს მის ურთიერთობებს იმასთან, რაც სისტემა არ არის და ცდილობს ეს ურთიერთობები ახსნას ურთიერთქმედების სქემის დახმარებით.

ამ სქემის განხილვამდე აუცილებელია გაკეთდეს წინასწარი შენიშვნა. ზოგიერთი ავტორის ანალიზში, ვინც შეისწავლა ან გააკრიტიკა ისთონის მოსაზრება, ჩნდება გაურკვევლობა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გლობალური სოციალური რეალობა, რომლის მოდელიც თითქოს აშუქებს საკითხს, თვითონვე შეიძლება შეფასდეს სისტემად, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ამგვარი ანალიზების კითხვისას გაუგებარია სიტყვა სისტემა გვაბრუნებს პოლიტიკურ სისტემასთან ვიწრო მნიშვნელობით, ე.ი. შავ ყუთთან, თუ პოლიტიკურ სისტემასთან ფართო მნიშვნელობით, ე.ი. შავი ყუთისა და მისი გარემოს მთლიანობასთან. გაუგებრობა მხოლოდ გამოთქმიდან არ გამომდინარეობს. ის თვითონ რეალობიდან იღებს სათავეს. რადგან შავ ყუთსა და გარემოს შორის ურთიერთობები აუცილებლად ქმნის სისტემას და უფრო ზუსტად, ჩაკეტილ კიბერნეტიკულ სისტემას. მეორე მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ ეს სისტემა შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურად. ისთონი მართალია პოლიტიკურს შემზღუდავ განსაზღვრებას აძლევს. ის მისთვის არის ღირებულებების ავტორიტარული დანამატი და „ღირებულებები" აღებულია ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე სიმბოლურ ქონებას. ამ პირობებში აზრი არა აქვს ეწოდოს პოლიტიკური იმას, რაც შავი ყუთის მიღმაა, მაგალითად მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებზე პასუხები, რომლებიც ღირებულებების დანამატია და ავტორიტარული გადაწყვეტილების შედეგია, შეიძლება იწოდოს პოლიტიკურად ისთონის განსაზღვრების მიხედვით. მაგრამ ამ საკითხში შეიძლება არ დავეთანხმოთ მას და სიტყვა „პოლიტიკურს" მივანიჭოთ ჩვენ მიერ დადგენილი ფართო მნიშვნელობა. ამის მერე, გამოთქმა „პოლიტიკური სისტემა" შეიძლება თავისუფლად გამოყენებული იქნეს შავი ყუთისა და მისი გარემოს მთლიანობის აღსანიშნავად და არა მხოლოდ პირველის აღსანიშნავად. ორაზროვნება ეხება საფუძველს და მნიშვნელოვანია მისი გაგება იმის შესამჩნევად, რომ საკითხი არ დადის ტერმინოლოგიის უბრალო პრობლემადე. ამასთანავე, პრაქტიკაში რომ გავაშუქოთ სიტყვების გამოყენება, შესაძლებელია „პოლიტიკური სისტემის" გამოყენება იმისთვის, რომ აღვნიშნოთ სისტემა ვიწრო მნიშვნელობით და „კიბერ-

ნეტიკული ჩაკეტილი სისტემა" იმისთვის, რომ მივუთითოთ იმ ანალიზზე, რომელსაც ისთონი გვთავაზობს სისტემაზე ფართო მნიშვნელობით.

რა არის მნიშვნელოვანი ამ ანალიზში? ჯერ ერთი, ის ყურადღებას ამახვილებს განსხვავებაზე შავ ყუთსა და გარემოს შორის. ორივე ერთმანეთთან დაკავშირებულია გაცვლითი სისტემებით. შავი ყუთი ღებულობს იმპულსებს გარემოსგან. ეს არის შესვლა (inputs). მეორე მხრივ, ისინი წარმოადგენს პასუხებს, ესაა გამოსვლა (outputs). შესვლა იყოფა ორ კატეგორიად. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს მოთხოვნებს, მიმართულს სისტემისკენ. სხვები, პირიქით საყრდენებია ამ სისტემისთვის. პირველი სისტემის რყევას იწვევს, მეორეები ამყარებს მას. გამოსვლა ერთი ტიპისაა — სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მოთხოვნების და საყრდენების შესაბამისია. შედეგები თავის მხრივ ქმნის ახალ შენატანებს რეტროაქციის მექანიზმით (feedback). ბოლოს, გარემო მოიცავს ორ ასპექტს: ინტრასოციალური გარემო შედგება სხვა სისტემებისგან, რომლებიც მთელ საზოგადოებას შეადგენს ეროვნულ დონეზე (ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური სისტემები და ა.შ.). ექსტრასოციალური გარემო, პირიქით, აჯგუფებს სხვადასხვა სისტემას, საერთაშორისოს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს და ა.შ. ამგვარად აღწერილი სისტემა შეიძლება კიბერნეტიკული იყოს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩაკეტილია განსაზღვრების მიხედვით: გარემო, რომელიც ყველაფერს მოიცავს, ვერ შეძლებოდა ეარსება ისეთი რაიმეს შიგნით, რომელიც მისი ექსტერიერი იქნებოდა. შემდეგ კი იმიტომ, რომ მუდმივ მოძრაობაშია: შედეგები უკუქმედების რეაქციით ქმნის შენატანებს, რომლებიც ქმნის სხვა შედეგებს და ასე უსასრულობამდე. ბოლოს კი იმიტომ, რომ ის თვითრეგულირებადია: ისთონის მიხედვით მართლაც, მოდელი არ არის მხოლოდ დესკრიფციული. ის ხსნის როგორ შეუძლია სისტემას წონასწორობის შენარჩუნება მასზე განხორციელებული ზეწოლების მიუხედავად, რომლებსაც პრინციპში უნდა დაენგრია ის. ისევე როგორც ცოცხალი სისტემები ინარჩუნებს სტრუქტურას გარემოსთან მუდმივი გაცვლების ნაკადის ფონზე, ისევე როგორც პოლიტიკური სისტემა გამოირჩევა თავისი მდგომარეობით. ისთონის ანალიზი ამტკიცებს, რომ აცნობიერებს ამ ფაქტს.

ასეთია ისთონის კონცეფციის ზოგადი არქიტექტურა. მაგრამ მისი ზუსტი მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა იმ ძირითად ცნებებთან მიბრუნება, რომლებსაც მოცავს.

80. მოთხოვნები. — მოთხოვნები პოლიტიკური სისტემისთვის წარდგენილი თხოვნების მთლიანობაა. ისინი იმით ხასიათდება, რომ არსებობისთვის მათ ჩამოყალიბება სჭირდება. საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილება მოთხოვნა არ არის. სამაგიეროდ, მოთხოვნას არ სჭირდება გამოიხატოს ზუსტი სიტყვებით, არც a fortiori იყოს განხორციელებული. „სამართლიანობა" შეიძლება იყოს პოლიტიკური სისტემისკენ მიმართული მოთხოვნა, თუმცა ეს ცნება თავისთავად შეიძლება იყოს უკიდურესად ორაზროვანი. სხვა მოთხოვნები, პირიქით, ძალიან კონკრეტული ფორმით არის ჩამოყალიბებული: მაგალითად, როდესაც მოსამსახურეები ითხოვენ ხელფასის მომატებას ან ღებულობენ სოციალური დაცვის რეფორმის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობას.

რადგანაც მოთხოვნები გულისხმობს ჩამოყალიბებას, ისმის კითხვა, თუ როგორ ხორციელდება ფორმულირება. ეს იწვევს მოთხოვნების რეგულირების იდეას ჩამოყალიბებას. ისტონის მიხედვით რეგულირება გამოიხატება ორი ფორმით: სტრუქტურული რეგულირება და კულტურული რეგულირება. პირველზე დაკვირვებისას ჩნდება თუ ვინ აყალიბებს მოთხოვნებს. მეორე, პირიქით, ადგენს რომელი მოთხოვნებია ჩამოსაყალიბებლი.

სტრუქტურული რეგულირება ხორციელდება პიროვნებების ან ჯგუფების მიერ, ვისზედაც მინდობილია ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად ეს ფუნქცია, სხვა სიტყვებით, ესენია პიროვნებები ან ჯგუფები, რომელთა სოციოლოგიური როლი მოთხოვნების შეგროვებაა. ამ როლის შემსრულებლებს ხანდახან პორტიეებს უწოდებენ. შედარება არც ისე წარმატებულია, რადგან პორტიე ადამიანებს ან ატარებს ან არა, მაგრამ გასასვლელში მათ არ ცვლის. ხოლო ჩვენს მიერ აღნიშნულ პიროვნებებს ან ჯგუფებს უფრო აქტიური როლი აქვთ, ვინაიდან მათ დაეკისრათ არა მარტო მოთხოვნების გადატანის პასუხისმგებლობა, არამედ მათთვის ფორმის მიცემა. სწორედ მათ უნდა შეცვალონ მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი სურვილები პოლიტიკური სისტემისთვის მისაღებ მოთხოვნებად. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მათ უნდა ამოარჩიონ სოციალური კორპუსის მოლოდინები, მისცენ შესაბამისი ფორმულირება, ჩამოაშორონ უტოპიური და შოკისმომგვრელი

ელემენტები. ვინ ასრულებს ამ როლებს? არსებობენ ინდივიდუალური „პორტიეები“: ესენი არიან საპატიო მოქალაქეები, რომლებსაც ურთიერთობები აქვთ სხვადასხვა სოციალური საფეხურის დონეზე, ხალხის წარმომადგენლები (დეპუტატები). სხვა პორტიეები კოლექტივებია: ლაპარაკია პოლიტიკურ პარტიებზე და ზეწოლის ჯგუფებზე, რომლებიც აგროვებენ და ფილტრავენ გამოხატულ ან გადაცემულ მოთხოვნებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი შავ ყუთში შეტანაზე ან არ შეტანაზე. ბოლოს ისთონი უშვებს აზრს პოლიტიკური სისტემის თვითმმართველობაზე: ხანდახან პოლიტიკური ხელისუფალნი იჩენენ ინიციატივას ჩამოაყალიბონ და დააკმაყოფილონ მოთხოვნები, რითაც ცდილობენ საკუთარი პოპულარობის გაზრდას. აქ ჩნდება კითხვა, ისთონმა ამ შემთხვევაში ხომ არ უღალატა საკუთარ მეთოდოლოგიურ პირობას? საიდან იცის მან ეს, თუ ცალი თვალით არ ჩაუხედავს შავ ყუთში?

რაც შეეხება კულტურულ რეგულაციას, ის ავლებს ზღვარს შესაძლებელ მოთხოვნებსა და ისეთ მოთხოვნებს შორის, რომლებიც არ არის შესაძლებელი მოცემული საზოგადოების ჩარჩოში. აქ ხელახლა ვაწყდებით ანალიზს, რომელიც ამ წიგნის პირველ ნაწილში გავაკეთეთ: გარკვეულ კონტექსტში ზოგიერთი საკითხი არ აღიქმება პოლიტიკურად. ისთონის სიტყვებით, ის ნიშნავს, რომ კულტურული რეგულაცია მათ გამორიცხავს საზოგადებისთვის მისაღები მოთხოვნების სფეროდან.

ბუნებრივია, ამ პროცესების ერთობლიობა ყოველთვის დაბრკოლებების გარეშე ვერ იმუშავებს. ჩნდება კრიზისები. ისთონის აზრით, ისინი შეიძლება გამოწვეული იქნეს ორი სხვადასხვა მიზეზით. ჯერ ერთი, არსებობს სტრესული კრიზისები, რომლებშიც ისთონი ანსხვავებს რაოდენობრივ და თვისობრივ გადატვირთვას. რაოდენობრივი გადატვირთვის ცნება პრობლემატური ჩანს. ის შეიძლება გამოვიყენოთ ისეთ სიტუაციებში, როდესაც მოთხოვნები იმდენად ბევრია, რომ პოლიტიკურმა სისტემამ აღარ იცის, ასე რომ ვთქვათ, სად წაიღოს თავი. ეს აზრი უფრო ადმინისტრაციულ მეცნიერებიდან ხომ არ მომდინარეობს, ვიდრე პოლიტიკური მეცნიერებიდან? შეიძლება ვისაუბროთ სასამართლოების რაოდენობრივ გადატვირთვაზე, თუ ისინი მატერიალურად გადატვირთულია. მაგრამ პოლიტიკურ დონეზე, როდესაც მოთხოვნები არ იღებს ინდივიდუალიზებული და დანომრილი დოსიეების ფორმას, შეუძლებელია თვისობრივი გადატვირთვის მაგალითების პოვნა. რაც შეეხება რაოდენობრივი გადატვირთვის ცნებას, ის შემდეგ კონსტატაციაზე დადის: ზოგიერთი მოთხოვნა სხვებთან შედარებით ძნელი დასაკმაყოფილებელია. გაცილებით რთულია უმუშევრობის შემცირება, ვიდრე კანონისთვის კენჭისყრა. გადაუჭრელი პრობლემები გაცილებთ მეტ საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სისტემებს, ვიდრე ისეთები, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას.

შესაძლებელია აგრეთვე წარმოიშვას პოლიტიკური კრიზისი მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარე არეულობების დროს. ხანდახან პორტიეების მოქმედება არაადეკვატურია, ასე ხდება მაშინ, როდესაც ისინი უარს ამბობენ ან ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი მოთხოვნის გადაგზავნას იმ მოტივით, რომ ფორმულირების მონოპოლია მათ ეკუთვნის. ეს სიტუაცია ასევე იმის შედეგი შეიძლება იყოს, რომ პორტიეებმა უბრალოდ ვერ აღიქვან საზოგადოებაში არსებული სულისკვეთება. თუმცა ეს შეიძლება გამომდინარეობდეს კორპორაციული რეფლექსიდან: თუ მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ მოხდება ისე, რომ არ დაზარალდეს იმ კატეგორიის პრივილეგიები, რომლებზეც საუბარია, ძალიან ცოტა შანსი რჩება იმისთვის, რომ ამ კატეგორიამ მოისურვოს მოთხოვნების ჩამოყალიბება. ამ სიტუაციის მაჩვენებელი ნათელი მაგალითია პოლიტიკური წრეების ძალიან ზოგადი თავშეკავება ნახევრად უშუალო დემოკრატიის პროცედურების მიმართ. თუ გამოვრიცხავთ შვეიცარიას, სახალხო ინიციატივა, რომლის დემოკრატიულ ხასიათსაც ვერავინ უარყოფს სერიოზულად, კატეგორიულად უარყოფილია, ხოლო ხშირად რეფერენდუმი გამოყენებულია მხოლოდ იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა ტაქტიკური უპირატესობა მოიპოვონ. ასევე, ზეწოლის ჯგუფები ცდილობენ მაქსიმალურად შეზღუდონ პიროვნებათა სპონტანური ინიციატივები, რომელთა წარდგენაც მათ ეკალება. ამგვარი ბლოკირების შედეგები შეიძლება სერიოზული იყოს. ამან შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნების ჩამოყალიბების სხვა პროცესის განვითარება: სპონტანური დემონსტრაციები, ძალადობა, უპასუხისმგებლო და ანარქისტული ქცევები. პოლიტიკური სიტუაცია, თავისი ბუნებით, ცუდად ეგუება მსგავს სიტუაციებს. მოთხოვნები, რომლებიც მსგავს მოვლენებს იწვევს განუსაზღვრელი, გლობალური, შეუმჩნეველი ხასიათისაა. იშვიათად თუ მოიძებნება ასეთი საშიში კონიუნქტურა სისტემის წონასწორობისთვის.

81. მხარდაჭერები. — ახლა განვიხილოთ შენატანების მეორე ტიპი პოლიტიკურ სისტემაში, ე.ი. მხარდაჭერები. მხარდაჭერები არის ძალები, რომლებიც სისტემის საყრდენია, აძლებინებს მას, მოთხოვნების ზეწოლის მიუხედავად. მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმისაა, ის გამოიხატება: ლოიალობის გამოჩენით, პიროვნებების ან ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებებით, რომელთაც სურთ ეჭვქვეშ დააყენონ პოლიტიკური სისტემა, მმართველების ლეგიტიმურობა. ასევე არსებული რეჟიმის კანონიერება, საერთო კეთილდღეობისთვის აუცილებელი არაპოპულარული ზომების მიღების უნარი. მხარდაჭერა ასევე პასიურიცაა: ღირებულებების შენიღბვა, კონფორმიზმი, ინერტულობა ცვლილებების მოთხოვნის მიმართ, საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერებია. ნებისმიერ შემთხვევაში, სისტემის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ელემენტი არის ურთიერთობა მოთხოვნების დონესა და მხარდაჭერის დონეს შორის: მაშინაც კი, როდესაც მხარდაჭერა სუსტია, სისტემას საფრთხე არ ემუქრება, თუ მოთხოვნებიც სუსტია.

ისთონი სამი ტიპის მხარდაჭერას ანსხვავებს მათი გამოყენების ფორმის მიხედვით: პოლიტიკური საზოგადოებისთვის მხარდაჭერა, პოლიტიკური რეჟიმისთვის და პოლიტიკური ხელისუფლებისთვის გამოცხადებული მხარდაჭერა. პოლიტიკური საზოგადოების მხარდაჭერა ყველაზე ფართოა, რადგან ის წარმოადგენს გლობალურ ჩარჩოს, რომელშიც ზის პოლიტიკური სისტემა და შესაბამისად, აუცილებელი მინიმალური კონსენსუსი პოლიტიკური მთლიანობის შესანარჩუნებლად. ის არ არის არეული სოციალური საზოგადოების ცნებასთან, მრავალეროვანი სახელმწიფოების არსებობის გამო, სადაც საზოგადოებები არ არის გაერთიანებული და რომელშიც ფორმირდება პოლიტიკური საზოგადოება, კოლექტიური ცხოვრების სურვილით: ამის მაგალითია შვეიცარია. პოლიტიკური საზოგადოებისთვის მხარდაჭერა არის იმ ედეების, ღირებულებების, მითების, ინტერესების მთლიანობა, რომელიც კვებავს ამ ერთად ცხოვრების სურვილს და რომლისთვისაც მიუღებელია ცალკეულ ელემენტებად დაშლა. ასეთ სიტუაციაში წამყვანი როლი კულტურულ ფაქტორებს ენიჭება, თუმცა არა გადამწყვეტი; საზოგადოების მთლიანობას აძლიერებს ეკონომიკური კავშირებიც. ბუნებრივია, ამ საზოგადოების შიგნით არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: სოციალურ, რელიგიურ, კულტურულ, რეგიონალურ, ენობრივ (შვეიცარიის მაგალითი) ან ეთნიკურ საკითხებში. თუმცა არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს განხეთქილებები საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის. ამაზე მოწმობს მარქსიზმის წაგებული ნიძლავი: განხეთქილებები ეროვნულ ნიადაგზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კლასობრივი განხეთქილებები. პოლიტიკურ საზოგადოებას რეალური საფრთხე მხოლოდ მაშინ ემუქრება, როდესაც გროვდება განხეთქილებები სხვადასხვა საკითხში: მაგალითად, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა სოციალური და ეთნიკური განხეთქილებები, საზოგადოების დაშლის რისკი ძალიან დიდია. მაგრამ ამგვარი კრიზისების არ არსებობის შემთხვევაში, პოლიტიკური საზოგადოების მხარდაჭერა მყარია, თუნდაც გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგებოდეს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

ისთონის მიხედვით, პოლიტიკური რეჟიმის მხარდაჭერა განისაზღვრება როგორც პოლიტიკური „თამაშის წესების" დაცვა. აქ ლაპარაკი არ არის იმ ჩარჩოზე, რომელშიც მოქმედებს პოლიტიკური სისტემა, არამედ მისი ფუნქციონირების ნორმებზე. „ნორმებში" არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ იურიდიული ნორმები, განსაკუთრებით კი კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს რეჟიმის ბუნებას, მის ორგანოებს, ადგენს მათ კომპეტენციებს და აწესრიგებს მათ ურთიერთობებს. რა თქმა უნდა, ეს კანონები იმის ნაწილია, რასაც ისთონი პოლიტიკურ რეჟიმს უწოდებს, თუმცა მის მიერ ნაგულისხმები ცნება გაცილებით ფართოა. ის აერთიანებს ღირებულებების ან დაუწერელი ნორმების მთლიანობას, რომლებიც ქმნის პოლიტიკურ ცხოვრებას და ადგენს მისი ტრანსფორმაციის საზღვრებს. მაგალითად შეერთებული შტატების დემოკრატიული მართვის პრინციპი და აზრის გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციური საფუძვლებია, მაგრამ ბევრად აღემატება მათ: სხვაგვარად რომ ყოფილიყო, საკმარისი იქნებოდა კონსტიტუციის შეცვლა ამ პრინციპების გასაუქმებლად. თუმცა ეჭვს ვერავინ შეიტანს იმ ფაქტში, რომ ასეთი მოქმედებაც შესაძლებელი გახდებოდა, თუ რეჟიმს მოქალაქეთა აბსოლუტური მხარდაჭერა ექნებოდა.

ისთონის მიერ განსაზღვრული მხარდაჭერის ბოლო ტიპია პოლიტიკური ხელისუფლების მხარდაჭერა. ამჯერად ლაპარაკი არ არის აბსტრაქტულ პრინციპებზე, არამედ საქმე ეხება მათ, ვინც ამ პრინციპებს ახორციელებს. დაკვირვებისას დავინახავთ, რომ ეს მხარდაჭერა ერთდროულად ყველაზე სუსტია (გაცილებით ადვილად იცვლიან აზრს მმართველების პოლიტიკაზე,

ვიდრე პოლიტიკურ რეჟიმზე), მაგრამ ფსიქოლოგიურად ყველაზე დატვირთული. ისთონისთვის ლეგიტიმურობა არის სუბსტრატი, რომელსაც ეფუძნება ცვალებადი განწყობები. სწორედ ის ხდის შესაძლებელს ზოგიერთი ინდივიდის ხელმძღვანელობას და დანარჩენების მორჩილებას. ისთონის მიხედვით, ლეგიტიმურობის აღწერა ორგვარად შეიძლება: როგორც ღირებულებათა სისტემის, რომელიც არსებულ რეჟიმს სხვადასხვა ფორმით ამართლებს: დემოკრატიული იდეოლოგიით, სამშობლოს უზენაესობით, სოციალური მოწყობის ობიექტურობის აუცილებლობით; როგორც სტრუქტურათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს იერარქიულად ორგანიზებულ სოციოლოგიურ როლებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღიარებენ ხელმძღვანელის ავტორიტეტს ერთი მხრივ იმიტომ, რომ ნასწავლი აქვთ ხელმძღვანელის პატივისცემა, მეორე მხრივ იმიტომ, რომ ის უბრალოდ ხელმძღვანელია. სურვილის შემთხვევაში, შეიძლება კომბინაციის მოხდენა მაქს ვებერის ლეგიტიმურობის ტიპებთან, მაგრამ დიდ ინტელექტუალურ სარგებელს ვერ მიიღებთ, იმდენად განსხვავებულია ორივე შემთხვევაში ფარული კონცეფტუალური სამყარო.

82. შედეგები და უკუქმედება. — აქამდე ჩვენ ექსკლუზიურად განვიხილავდით შენატანებს პოლიტიკურ სისტემაში. მაგრამ მისი მიზანია შედეგების მიღება, რომლებიც მოთხოვნების დაკმაყოფილებითა და მხარდაჭერების გამოწვევით აძლებინებს მას. მაგალითად, სისტემა აპირებს შეცვალოს კანონმდებლობა, რომელიც არაადეკვატური აღმოჩნდა. ის სიმბოლურად (რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა) ან მატერიალურად (ხელფასების გაზრდა) დააკმაყოფილებს რომელიმე სოციალურ კატეგორიას. ისთონი ასხვავებს იურიდიულ გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს, რომლებიც არ იღებს ამ ფორმას და ეხება საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკურ პოლიტიკას. ასეთი განსხვავება საკმაოდ უხეშია და სულაც არ აშუქებს საფუძვლიანად საკითხებს. ზოგადი თვალსაზრისით, ყველა კომენტატორი შენიშნავს, რომ ისთონი გაცილებით თავშეკავებულია შედეგების მიმართ, ვიდრე შენატანებთან დაკავშირებით. ეს არ არის გასაკვირი. აუკრძალა რა თავის თავს შავ ყუთში ჩახედვა, სადაც ხდება გადაწყვეტილებების მიღება, იგი თავს აიძულებს ისინი მხოლოდ ზოგადად განიხილოს და პრაქტიკულადაც ამაზე მეტის თქმა შეუძლებელია. სამაგიეროდ, ისთონი ყურადღებას ამახვილებს უკუქმედების მექანიზმებზე, რაც ჩაკეტილ სისტემას თავის უწყვეტ ხასიათს ანიჭებს. გადაწყვეტილებები იწვევს ახალ მოთხოვნებს და ახალ მხარდაჭერებს. ახალი მხარდაჭერები: ჯგუფები, რომელთა ინტერესები დაკმაყოფილებულია სისტემის მხარდამჭერები ხდებიან და იკავებენ საზოგადოებას, რეჟიმსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ახალი მოთხოვნები: ჯგუფები, რომელთა ინტერესებიც არ კმაყოფილდება, იმეორებენ მეტი დაჟინებით თავიანთ მოთხოვნებს. ან აიძულებენ რა სისტემას წავიდეს დათმობაზე, აყალიბებენ ახალ მოთხოვნებს, ანდა სხვა ჯგუფები, რომლებიც დაახლოებით იმავე მდგომარეობაში არიან, იგივე დათმობებს ითხოვენ: საფრანგეთში, 1976 წლის გვალვის შედეგად დაზარალებულ ფერმერებს ზარალი აუნაზღაურდათ გაცემული სესხებით; ქოლგის მწარმოებლები, რომლებიც იგივე მიზეზით დაზარალდნენ, იგივე დახმარებას ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ. უკუქმედების ეს მექანიზმი მთავარია, რადგან ისთონის ანალიზის საშუალებით გასაგებს ხდის პოლიტიკური სამყაროს დინამიკას, რომელიც ჩაკეტილი წრეა, სადაც პასუხები მუდმივად ბადებს ახალ კითხვებს.

ასეთია ისთონის ანალიზის მთავარი შტრიხები პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მის განხილვისას, ბევრი პრობლემა წამოიჭრა. ახლა სწორედ ისთონის მოსაზრების კრიტიკას განვიხილავთ.

ნაწილი II. სისტემური ანალიზის კრიტიკული შეფასება

83. არაარსებითი კრიტიკა. — ისთონის ანალიზის მასშტაბმა საწინააღმდეგო რეაქციები გამოიწვია. მას მკაცრი კრიტიკა მოჰყვა და ბევრიც მიემხრო. ჯერ სწრაფად მიმოვიხილოთ ზოგიერთი არაარსებითი კრიტიკაც, შემდეგ შევხედოთ იმ კითხვებს, რომლებსაც ბადებს ისთონის ნააზრევი და პრობლემების საფუძველს ეხება. ბოლოს, შევეცდებით მისი დემარშის პოზიტიური სიახლის შეფასებას.

ისთონის ნაშრომის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ყველაზე ხშირად ეხება აბსტრაქციას და კონსერვატიზმს.

ჯერ ერთი, არ არის მიზანშეწონილი აბსტრაქტულ თეორიას უსაყვედურო აბსტრაქტულობა. მეცნიერული მსჯელობა გულისხმობს აბსტრაქციის გარკვეულ ხარისხს. საკითხი ისმება იმ კუთხით, თუ რამდენად იძლევა აბსტრაქცია რეალურის შესახებ ცოდნის გაღრმავების საშუალებას. ეს კითხვა ისთონთან დაკავშირებითაც გაისმის. მაგრამ ეს გულისხმობს მოკვლევას, რომელსაც ვერ შევცვლით აბსტრაქციის ბრალდებით. მით უფრო, რომ ისთონი თავის მოდელს წარმოადგენს როგორც ანალიზს, რომელშიც შეიძლება თავი მოიყაროს უდავოდ კონკრეტული ფაქტების დიდმა რაოდენობამ. მოტოციკლეტებსა და დისკებზე გადასახადების მომატების წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები ან პრესის კამპანია ისთონის მოდელში უფრო ადვილად განსახილველი კონკრეტული ფაქტებია, ვიდრე მარქსისტულ თეორიაში. სწორედ მარქსისტი ავტორები აკრიტიკებდნენ ისთონს აბსტრაქციის გამო: რადგან მათთვის ანალიზი მხოლოდ მაშინ არის კონკრეტული, თუ შეიცავს სიტყვებს „სოციალური კლასები", „დიალექტიკა", „უარყოფის უარყოფა" და ა.შ. ფორმულირებები, რომლებიც აშკარად შეიცავს აბსტრაქციის გარკვეულ ხარისხს, მაშინაც კი, როცა დაყვანილია უბრალო ლაყბობამდე. გარდა ამისა, ისეთი აბსტრაქტული ცნებების მთლიანობა, როგორიცაა „კლასთა ბრძოლა" ან „სამუშაო", მარქსთან გვხვდება მხოლოდ იმპლიციტური მნიშვნელობით. ისთონთან მსგავსი ყალბი ხერხების კვალიც არ არის.

ასევე, ისთონის ნაშრომის გაკრიტიკება კონსერვატიზმის გამო, გულუბრყვილო შეცდომაა. მართალია, მისი მსჯელობა მიმართულია სისტემის შენარჩუნებისკენ, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი არ ქმნის თეორიას რევოლუციებზე: მისი არჩევანი არ გულისხმობს გარკვეული ნორმატიული პოზიციის დაკავებას. რაც შეეხება დანარჩენს, სისტემა შეიძლება უცვლელი დარჩეს როგორც ჩარჩო, მაგრამ განახორციელოს არსებული რეჟიმის სრული ტრანსფორმაცია, ანდა იმოქმედოს კონსერვატიული ფორმით, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. რადიკალური ცვლილება ასევე შეიძლება იყოს სისტემის შენარჩუნების პირობა. ყველაფერი დამოკიდებულია მოთხოვნების, მხარდაჭერების და მათზე გაცემული პასუხების ბუნებაზე. რადიკალური რეფორმიზმი ისევე შეესაბამება ისთონის ანალიზს, როგორც სრული უძრაობა.

84. საშუძვლიანი კრიტიკა. — ისთონის ნაშრომისკენ მიმართული სხვა კრიტიკა უფრო საფუძვლიანი ჩანს. პირველი ეხება ისთონის მიერ არჩეულ მეთოდს: პოლიტიკური სისტემის შესწავლის გამორიცხვა ვიწრო მნიშვნელობით. მეორე ეხება იმ როლს, რომელიც მის ნაფიქრალში უკავია სისტემის მდგრადობის ცნებას.

საკუთრივ პოლიტიკური სისტემის განხილვაზე უარის თქმა პოლიტიკური ცხოვრების აღწერისას კომენტატორთა თვალში ყოველთვის პარადოქსად აღიქმებოდა. თუმცა, ისთონის მოსაზრების დაცვა შეიძლება a priori. მართალია, რომ პრობლემის ეს ასპექტი ახდენს პოლიტიკური მეცნიერების აქამდე არსებული კვლევების პოლარიზებას. მაცდუნებელი იყო მისი დაფარვა, იმის უკეთ დასანახად, თუ რა ხდება გარშემო, ისევე როგორც ფარავენ მზის ცენტრს, მზის გარსის შესასწავლად. მაგრამ პრაქტიკაში, შედეგი მთლიანად სარწმუნო არ არის. ჯერ ერთი, ვერ გავექცევით იმ აზრს, რომ ისთონის მიერ წარმოჩენილ პოლიტიკურ სისტემას (ვიწრო მნიშვნელობით) ცვალებადი გეომეტრია აქვს. პოლიტიკური პარტიები, ზეწოლის ჯგუფები, პარლამენტარები სისტემაში არიან თუ მის მიღმა? თუ პარლამენტარებს ავიღებთ, ისინი სისტემის გარეთ არიან, რადგანაც თავიანთ ამომრჩევლებთან ისინი არჩევენ და აგროვებენ მათ მოთხოვნებს; ისინი ზუსტად იცავენ სადემარკაციო ხაზს, როდესაც პარტიების როლში იღებენ გადაწყვეტილებას გადასცენ თუ არა ეს მოთხოვნები პოლიტიკურ სისტემას; და პოლიტიკურ სისტემაში არიან, როდესაც კანონმდებლების როლში გადაწყვეტილებას იღებენ ამ მოთხოვნების თაობაზე. ისთონი თვლის, რომ მისმა ახსნამ უნდა გაითვალისწინოს არა ინდივიდები, არამედ მათ მიერ შესრულებული განსხვავებული სოციოლოგიური როლები. ამ აზრს შეიძლება მხარი დავუჭიროთ. მაგრამ ხომ არ იწვევს ის გადაჭარბებულ თავისუფლებას? ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში განსხვავებულ როლებს ერთი და იგივე პიროვნებები ასრულებენ, თავის შედეგებს იწვევს. არჩევნების კანდიდატი ესაუბრება პორტიეს, რომელიც ესაუბრება კანონმდებელს და საქმე ეხება ერთ ადამიანს. ისთონის ანალიზში არაფერი ხსნის ამ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია. მოქცეული შესვლებსა (inputs) და გამოსვლებს (outputs) შორის, სავსე როლებით და არა ადამიანებით, პოლიტიკური სისტემა ფანტასმაგორიული ხდება.

თანაც პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ შავი ყუთი ნეიტრალურია. არ არის სულ ერთი იმის ცოდნა, თუ ვინ ცხოვრობს შავ ყუთში, რა ხდება შიგნით, როგორ ხდება იქ მოთხოვ-

ნების განხილვა. ეს ყველაფერი მოქმედებს მოთხოვნებზე გაცემულ პასუხებზე: სოციალისტური მთავრობა არ იღებს იგივე გადაწყვეტილებებს და არ ეძებს იგივე მხარდაჭერებს, რასაც კონსერვატიული მთავრობა. ეს აშკარაა და ის გამოიხატება იმ სირთულით, რომელიც ისთონს აქვს სისტემის შედეგების გაგებაში. თუმცა ნაკლებად აშკარა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ შავ ყუთში მყოფთა ბუნება უკუქმედებს შესვლებზე. პროფკავშირები არ თხოვენ იგივეს სოციალისტურ მთავრობას, რასაც კონსერვატიულ მთავრობას. ბოლოს, მხარდაჭერები არ მომდინარეობს მხოლოდ მოთხოვნების დაკმაყოფილებით მიღებული სიამოვნებიდან. მოკალაქეებმა, ისთონისგან განსხვავებით, იციან ვის უკავია შავი ყუთი და მთავრობის პოლიტიკური ფერი იწვევს ინსტიქტურ რეაქციებს, რომლებიც ხშირად არ იცვლება რეალურად განხორციელებული პოლიტიკის შედეგად. ევროპაში, კონკრეტულად საფრანგეთში, ბევრი ამომრჩევლის არჩევანი წინასწარ არის განსაზღვრული a priori რწმენებით. აქ არსებობენ ზეწოლის ჯგუფები, რომლებიც აყალიბებენ მოთხოვნებს, ვერ იღებენ სასურველ პასუხებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, აგრძელებენ მთავრობის მხარდაჭერას, იდეოლოგიური სოლიდარობის გამო. შეიძლება ერთ პარტიას მხოლოდ იმიტომ დაუჭირონ მხარი, რომ მეორე პარტია ვერ მოვიდეს ხელისუფლებაში. ასეთი მოვლენები ვერ მოხდება შეერთებულ შტატებში, სადაც არჩევნები არ არის იდეოლოგიური და არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა არ არის მთლიანად უკუგდებული. მხარდაჭერები იქ უფრო ბუნდოვანია, ხოლო ამომრჩევლები გადაწყვეტილებას იღებენ მათ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების შესაბამისად. ეს შენიშვნები არ მოგვიტანია ისთონის დასაცავად: ისინი სინამდვილეში გვიჩვენებს, რომ კულტურა, რომელიც ისთონის ამოსავალია, ფარულად ახდენს გავლენას მის მიერ აგებულ მოდელზე, თუმცა ის ჩაფიქრებული იყო, როგორც უნივერსალურად გამოსაყენებელი. ისთონის თეორიასა და შესასწავლ რეალობას შორის განსხვავება კიდევ უფრო იზრდება, თუ განვიხილავთ უფრო ეგზოტიკურ სიტუაციებს ამერიკულ მოდელთან მიმართებაში. ავიღოთ რომის იმპერია, რომელიც გამოვიყენეთ პოლიტიკური ხელისუფლების განსაზღვრისას. რომს დაქვემდებარებული მოსახლეობა იმპერატორში ღმერთს ხედავდა. შეიძლება უფრო დიდ მხარდაჭერაზე ოცნება? მაგრამ ამავე დროს, უმნიშვნელო მოთხოვნას, როგორც მაგალითად პრეტორიანელი მცველის ამაოდ მოთხოვნილ მცირე საჩუქარს, შეეძლო გამოეწვია იმპერატორის დამხობა. ეს იმიტომ, რომ აქ პოლიტიკური ცხოვრება ძალიან შეზღუდული იყო პოლიტიკურად ნეიტრალურ გარემოში. ისთონის სქემა ვერ ხსნის ამგვარ სიტუაციებს.

თვითნებური და შემზღუდავია იმის პრეტენზია, რომ პოლიტიკური ცხოვრების შესწავლისას პოლიტიკური სისტემა ჩაითვალოს უმნიშვნელო ელემენტად. უფრო ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ისთონის კიბერნეტიკული სისტემა მუშაობს როგორც ინტერაქციული სისტემა, ამ თავის დასაწყისში განსაზღვრული მნიშვნელობით. იგი ყოველთვის იხილავს სოციოლოგიურ როლებს შორის პირდაპირ კავშირს. თანაც, პოლიტიკური სამყარო არის ურთიერთდამოკიდებულების სისტემა. იქ ელემენტები ერთმანეთზე მოქმედებს, მაგრამ ხშირად არაპირდაპირი პროცესით, რომლებიც ხანგრძლივი და არასაიმედოა. ისთონის თეორია, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ძალიან ზოგადია იმისთვის, რომ იყოს ინსტრუქციული, ასევე ძალიან შემზღუდავია იმისთვის, რომ გაითვალისწინოს რეალობის სირთულე.

მეორე მხრივ, ისთონმა თვითონვე განაცხადა, რომ სისტემის არსებობის გახანგრძლივება მისი ანალიზის ამოსავალი წერტილი იყო. მთავარი კითხვა, რითაც მან დაიწყო შემდეგი იყო: როგორ აგრძელებს სისტემა არსებობას მაშინ, როდესაც მასზე ბევრი დესტრუქციული ძალა მოქმედებს? ჩაკეტილი სისტემა, რომელიც ინარჩუნებს ორგანიზებული სისტემის ჰარმონიულობას, გარემოს მუდმივი ცვლილებების ფონზე, თითქოს ამ გარემოს ამხსნელი მოდელია. მაგრამ, როგორც კითხვა, ისე პასუხი საჭიროებს დამტკიცებას. ამოუხსნელ საიდუმლოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყველაფერი რჩება ისე, როგორც არის? აქვს კი ისთონის სისტემას, როგორც იგი აცხადებს, განმარტებითი ღირებულება? ეს რომ ასე იყოს, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა სისტემის მომავლის განჭვრეტა მოთხოვნებისა და მხარდაჭერების ანალიზზე დაყრდნობით. თუ დადგინდება, რომ მოთხოვნები ძლიერია, მხარდაჭერები კი სუსტი, მაშინვე დაასკვნიან სისტემის დამხობას, საპირისპირო შემთხვევაში კი მის მდგრადობას. სინამდვილეში ეს ასე არ არის. მოთხოვნებისა და მხარდაჭერების შეფარდებითი ძალა მხოლოდ a posteriori ხდება ცნობილი, ის დგინდება ზუსტად იმ ფაქტით დაინგრა თუ არა სისტემა. ისთონის სქემა წრიული არ არის მხოლოდ კიბერნეტიკული მნიშვნელობით, არამედ ლოგიკური მნიშვნელობითაც: სისტემის მდგრადობა

დგინდება მოთხოვნებისა და მხარდაჭერების კომბინირებით, რომლებიც თვითონ გამომდინარეობს სისტემის მდგომარეობიდან. აქ ვხედავთ თერმოდინამიკური შედარების საზღვრებს: გამათბობლის წინააღმდეგობა ამგვარად რომ ყოფილიყო განსაზღვრული, სავარაუდოდ მათ ცოტას დაამზადებდნენ...

85. ისთონის ანალიზის ღირებულება. — განხილული კრიტიკები ძალიან მკაცრი ჩანს. თუმცა შეცდომა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ისთონის მსჯელობა ღირებულებას მოკლებულია. ჯერ ერთი, იგი ამ საკითხში პიონერია. სინთეზი, რომლის გაკეთებასაც იგი შეეცადა, ნაადრევი იყო, მაგრამ ამის გასაგებად საჭირო იყო თეორიული რისკის გაწევა. ერთდროულად ზოგადი და საინტერესო სისტემა წინააღმდეგობაში მოდის ტერმინებთან, რადგან მოდელი ყოველთვის ძალიან ზოგადი იქნება იმისთვის, რომ იყოს საინტერესო, ან ძალიან საინტერესო, რომ იყოს ზოგადი. ქვესისტემების ანალიზი და მათი ურთიერთკავშირი უფრო იმედის მომცემი ჩანს. მაგრამ აქაც ექსპერიმენტია საჭირო სიძნელეების დასადგენად. შემდეგ, ისთთონის ანალიზს აღმოაჩნდა ევრისტიკული ღირებულება. ამ ანალიზმმა განაპირობა სასარგებლო მსჯელობები, სახელდობრ პოლიტიკური ფუნქციების ანალიზში. მან გააადვილა პოლიტიკური ორგანიზაციების ინსტიტუციური მიდგომის შეცვლა იმის ჩვენებით, რომ სწორი გზა იმის განსასაზღვრად თუ რას წარმოადგენენ ისინი, არის იმის შეწავლა თუ რას აკეთებენ ისინი და არა იმ აბსტრაქტული თუ ლირიული დეფინიციების აღება, რომელსაც ეს ორგანიზაციები იძლევიან თავის თავზე. ამ მიღწევებს ჩვენ ნაშრომის მესამე ნაწილში განვიხილავთ. ბოლოს, ისთონმა პოლიტიკურ მეცნიერებას შესთავაზა ტექნიკური ტერმინები, რომლებიც ორაზროვნების გარეშე იძლევა აბსტრაქტული და მნიშვნელოვანი ცნებების აღნიშვნის საშუალებას: ეს ცნებები ცნობილი იყო, მაგრამ სახელის არქონის გამო ვერ მოიპოვეს ცნების ღირსება: მაგალითად მხარდაჭერის ცნებამ. საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ ისთონის მცდელობა ნაყოფიერია, მიუხედავად იმისა, რომ მისი თეორიის სარგებელი, შედეგებიდან გამომდინარე, შეზღუდული რჩება.

თავი III. კულტურა, სოციალიზაცია და პოლიტიკური ცვლილებები

86. ზოგადიდან ცალკეულისკენ. — პოლიტიკური სისტემის ანალიზი ეყრდნობა აბსტრაქციას. ეს არ არის კრიტიკა, რადგან თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული თუმცა საბოლოოდ, ის წირავს სინამდვილის დიდ ნაწილს: იმისთვის, რომ გამოსაყენებელი იყოს ყველა პოლიტიკურ საზოგადოებაში. ისთონის სქემა ფარავს თითოეულის განსაკუთრებულობას. თუ უცხოპლანეტელი დამკვირვებელი მოინდომებდა დედამიწის პოლიტიკაში გარკვევას და მხოლოდ ისთონის ნაშრომით იხელმძღვანელებდა, ჩათვლიდა, რომ პოლიტიკური სისტემა ერთნაირია ყველგან, ნიუ-იორკში, ლონდონში, პარიზსა თუ ბონში, თუხდაც მისთვის ცნობილი იყოს განსხვავება დასავლეთის დემოკრატიებსა და სხვადასხვაგვარ დიქტატურებს შორის.

რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. პოლიტიკა არა მარტო განსხვავებულად აღიქმება ისეთ ქვეყნებში, რომელთა ერთმანეთთან შედარება შეიძლება, არამედ განსხვავებულია თვითონ პოლიტიკის განსაზღვრება. პირველ ნაწილში ჩვენ ვნახეთ, რომ პოლიტიკის ცნება ცვალებადია დროში. ის აგრეთვე ცვალებადია სივრცეში: ამაში დასარწმუნებლად საკმარისია დავაკვირდეთ იმ ქრონიკულ გაუგებრობას, რომელსაც ამერიკელი დამკვირვებლები იჩენენ ფრანგული პოლიტიკის მიმართ (ისიც მართალია, რომ ეს გაუგებრობა ორმხრივია). ამიტომაც აუცილებელია განმაზოგადებელი მოქმედების გვერდით, რომელიც ხაზს უსვამს გლობალურ ტენდენციებს და გამოკვეთს უცვლელობას, განხორციელდეს განმაცალკევებელი მოქმედებები. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ რეალური მოვლენები არსებობს სპეციფიური ინდივიდუალური ფორმით, რომლებიც კონკრეტული დეტერმინანტებით არის გამოკვეთილი.

ასეთი სვლა სამ ელემენტს გულისხმობს. ჯერ დესკრიფციულ გამოკვლევას: იმ განსხვავებების აღწერას, რომლებიც გამოჰყოფს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ სამყაროს. ამ მიზანს პასუხობს პოლიტიკური კულტურის ცნება. შემდეგ, იმ მექანიზმების განხილვას, რომლებიც ამ განსხვავებებს ქმნის. აქ უკვე შემოდის პოლიტიკური სოციალიზაციის ცნება. ბოლოს, მსჯელობას პოლიტიკური ცვლილებებზე: როგორ იცვლება საზოგადოება? აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო

ორი საკითხი ხშირად განიხილება განმაზოგადებელ ჭრილში და არა განცალკევებული კუთხით. პოლიტიკურ სოციალიზაციას სწავლობენ თავის თავში, პოლიტიკურ ცვლილებას ან პოლიტიკურ განვითარებასაც თავის თავში. ეს აშკარად მცდარი შეხედულებაა და მძიმე შედეგებიც აქვს. პოლიტიკური სოციალიზაცია მოქმედებს მოცემულ ჩარჩოში და ქმნის კონკრეტულ პოლიტიკურ სამყაროს და არა წმინდა ან ნებისმიერ სამყაროს; პოლიტიკური ცვლილება არ არის ზოგადი პროცესი: ეს არის ყოველთვის ცალკე აღებული საზოგადოება, რომელიც იწყება სპეციფიკური მდგომარეობიდან და მიზნად ისახავს სპეციფიკური პროცესების გავლით ახალი, ასევე სპეციფიკური მდგომარეობის მიღწევას. ჩვენ ვნახავთ, რომ ამ სფეროებში დახარჯული დიდი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან არ იყო გათვალისწინებული აქ აშკარა ფაქტები. სერიოზული და სწორად წარმართული კვლევების შედეგად აიგო ექსტრაპოლაციები, რომელთა წარუმატებლობა გარდაუვალია. ამასთანავე განსაკუთრებით საჭიროა ამ სფეროში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ის, რაც დამტკიცდა და რაც არ დამტკიცებულა, კარგად იქნეს გააზრებული დასაცავი აუცილებელი წესები იმისთვის, რომ წარიმართოს საფუძვლიანი ანალიზი.

ნაწილი I. პოლიტიკური კულტურა

87. პოლიტიკური კულტურის ანალიზის სირთულეები. — ის, რომ განსხვავებული პოლიტიკური საზოგადოებები ერთი და იგივე პოლიტიკას არ ატარებენ აშკარა ფაქტია, მაგრამ ამ ფაქტის მნიშვნელობა არასდროს არის სათანადოდ შეფასებული. ეს რამდენიმე ფაქტორის გამო ხდება. ჯერ ერთი, წმინდა მეცნიერული ანალიზის წარმოების სურვილიდან გამომდინარე: იმ აზრზე ჩაჭიდებით, რომ მეცნიერება მხოლოდ ზოგადს ეხება, უარს ამბობენ ცალკეულის შესწავლაზე. ყოველთვის უფრო მეცნიერული ჩანს „ზოგადი თეორიის" შემუშავება რაიმე მოვლენაზე, ვიდრე მისი განსხვავებული ნიშნების აღწერა. ეს დამოკიდებულება გაძლიერებულია შედარების რეფლექსით: პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები თვლიან, რომ წვრილმანს გვაწვდის ისტორიული ცოდნა, ხოლო მათი სფერო ითვალისწინებს ზოგადი ხასიათის მოდელებისა და ტიპოლოგიის შემუშავებას. მათ დისციპლინაში ინდივიდუალურით დაინტერესება ამ ლოგიკის მიხედვით გამოიწვევდა მისთვის სპეციფიკურობის ჩამოშორებას და მისი ლეგიტიმურობის კომპრომეტირება. ბოლოს, დეტალების ძებნა გულისხმობს შედარების გაკეთებას. პოლიტიკური კულტურა არის მხოლოდ ის, რაც არის სხვასთან მიმართებაში. თუმცა, ყველანაირი შედარებითი მოქმედება ფაქტობრივ სირთულეებს აწყდება: მკვლევარები ჩვეულებრივ, კარგად იცნობენ ერთ პოლიტიკურ საზოგადოებას — თავისას — და ცოტა ნაკლებად ორ ან სამ სხვა საზოგადოებას. არსებობს სამართლებრივი სიძნელეებიც: ჩვეულებრივ ითვლება, რომ ერთმანეთს უნდა შეედაროს მხოლოდ ისინი, რისი შედარებაც შეიძლება. მაგრამ რა არის შესადარებელი? ეს დელიკატური პრობლემაა, რომელიც მეთოდის საკითხს სვამს და ვერ შეფასდება გლობალურად, ფაქტობრივ დეტალებში ჩაღრმავების გარეშე.

ამ შენიშვნებსა და წინააღმდეგობებს არათანაბარი მნიშვნელობა აქვს. პირველი პუნქტი განსაზღვრების საკითხია: ის სიმძაფრეს იძენს მხოლოდ იმ კომპლექსების განო, რომელსაც სოციალური მეცნიერებები განიცდიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ. ჩვენს მიერ პირველ ნაწილში განსაზღვრული მეცნიერება გვიჩვენებს, რომ საესებით შესაძლებელია ამ სახელის მინიჭება ისეთი კვლევისთვის, რომლის შესწავლის საგანია განცალკევებული საკითხი. მეორე პუნქტი უმნიშვნელოა: სიმართლის ძებნა აღემატება ინტელექტუალურ კერძო ინტერესებს, დისციპლინარულ იმპერიალიზმს. ისტორიას და პოლიტიკურ მეცნიერებას შეუძლიათ ერთმანეთი შეავსონ და შეინარჩუნონ თავიანთი განსხვავებული ხედვა. სხვაგვარად რომ იყოს, პოლიტიკური მეცნიერების საგანი მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებები იქნებოდა. თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ წარსულში არსებული საზოგადოებების შესწავლა პირიქით, ამდიდრებს პოლიტიკური მეცნიერების პრობლემატიკას. რაც შეეხება შედარებითი მეთოდის სირთულეებს, ისინი რეალურია და მისაღები ზომების არსი ამ სიძნელეების გადალახვაში მდგომარეობს.

88. პოლიტიკური კულტურის ცნება. — ერთი ქვეყნის (ან ეპოქის) პოლიტიკური კულტურა შედგება განმასხვავებელი ნიშნების ერთობლიობისგან: რის შედეგადაც, მაგალითად, საფრანგეთის პოლიტიკა განსხვავდება ამერიკის პოლიტიკისგან. ასე გაგებული ცნება არ დადის, ბუ-

ნებრივია, ინსტიტუციურ განსხვავებებამდე. ინსტიტუტები, მართალია, ურთიერთქმედებენ კულტურასთან, რომლის შედეგი და მიზეზიც არიან ერთდროულად, მაგრამ სინამდვილეში მისი შეზღუდული და ფორმალური ასპექტები არიან: ამას ის ადასტურებს, რომ იდენტური კონსტიტუციები ძალიან განსხვავებულად მუშაობს იმ კულტურული კონტექსტის მიხედვით, სადაც გამოიყენება. პოლიტიკური კულტურა უფრო ღრმა დონეზე იგება: ის ერთდროულად არის **ღირებულების დამტკიცება** და **ქცევების მატრიცა**.

ღირებულების დამტკიცება — საზოგადოებების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი ღირებულად არ მიიჩნევენ ერთი და იგივე ფაქტორებს და ერთნაირად არ ახდენენ მათ იერარქიზაციას. უბრალო მაგალითით რომ შემოვიფარგლოთ, ავიღოთ შეერთებული შტატები, სადაც სამართალი უმაღლესი ღირებულებაა, რაც იურიდიული სისტემის პრესტიჟს, ეფექტურობას და დამოუკიდებლობას განაპირობებს. ცნობილია, რომ საფრანგეთში ასე არ არის. ფრანგული პოლიტიკური კულტურა დღემდე (ყოველ შემთხვევაში, უახლეს წარსულამდე) უმაღლეს ღირებულებად მიიჩნევს სახელმწიფოს, ხოლო შეერთებულ შტატებში მისი პრესტიჟი ყოველთვის შეზღუდული იყო.

ქცევების მატრიცა — განსხვავებული კულტურები განსხვავებულ ქცევის ნორმებს ამყარებს. ისინი განსხვავებულად განსაზღვრავს სამართლებრივად ნორმალურ და სასურველ პოლიტიკურ ქცევებს, რაც მთავრდება იმით, რომ ისინი ფაქტობრივად მეტ-ნაკლებად შესაძლებელი ხდება. მართლაც, მას მერე რაც ქცევა ნორმალურად ითვლება, სხვადასხვა მოქმედი პირი ითავისებს მას და ამით ზრდის თავის შანსებს კარგი კუთხით წარმოჩნდეს. ამ მექანიზმს უფრო ზოგადი მოქმედება აქვს, ვიდრე იურიდიულ წესებს ვიწრო მნიშვნელობით და ხსნის მათ ეფექტურობას. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საფრანგეთი, სადაც 1962 წლის შემდეგ სტაბილური უმრავლესობის გამოჩენამ გამოიწვია ისეთი პრაქტიკის დანერგვა, რომელმაც გადაატრიალა რეჟიმის ფუნქციონირება, ისე რომ ტექსტებში არაფერი შეცვლილა.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური კულტურის ცნება ფართო კვლევების საშუალებას იძლევა. ის კვლევები ჯერ არ დასრულებულა. ჯერ კარგად გაშუქებული არ არის ამ დემარშის თეორიული იმპლიკაციები. ამ პერსპექტივაში დიდ ყურადღებას იმსახურებს ამერიკელი პოლიტოლოგის გაბრიელ ალმონდის შრომები, რომლებშიც მისი სხვადასხვა კოლეგაც მონაწილეობდა, თუმცა მათ მიმართ, როგორც ენახავთ, ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა.

ალმონდი უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურად აცხადებს იმას, რომ სხვადასხვა პოლიტიკური კულტურა განისაზღვრება ზოგიერთი პოლიტიკური პოზიციის უპირატესობით. ცნება **პოზიცია** სოციალურ მეცნიერებებში ტრადიციულად განისაზღვრება **ქცევასთან** დაპირისპირებით. ქცევა არის პიროვნების მიერ მიღებული გარეგნული მოქმედების წესი. პოზიცია, პირიქით, შინაგანი ლტოლვაა მოხდეს რეაგირება სპეციფიკური ფორმით მოცემულ სიტუაციაში. პირველზე დაკვირვება უშუალოდ შეიძლება, რადგანაც ის გააქტიურებულია. მეორე პირიქით, არ არის აქტიური. მიუხედავად იმისა, რომ რეალურია, მას მხოლოდ პოტენციური შედეგები აქვს, რომლებიც კონიუნქტურის მიხედვით შეიძლება რეალიზებული იქნეს ან არა.

რატომ უნდა განისაზღვროს კულტურა პოზიციის და არა ქცევის მიხედვით? ეს არჩევანი განაპირობა ჩვენ მიერ შესასწავლი ფენომენის ბუნებამ. პოლიტიკურ კულტურას ერთნაირად განსაზღვრავს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ნიშნები: ზოგიერთ სიტუაციაში პიროვნებების პასიურობა მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია. შეიძლებოდა **ნეგატიური ცნებების** აღნიშვნა, მაგრამ ეს ცნება ორაზროვნებას გამოიწვევდა. დავუშვათ, რომ მე ვიღაც მელაპარაკება და მე არ ვპასუხობ. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ მე გადავწყვიტე არ ვუპასუხო (უარყოფითი ქცევა) თუ უბრალოდ მე ვერ გავიგე? სხვა ამას ვერ დაადგენს ვარაუდის გამოთქმის გარეშე **ჩემს** გონებასთან, შესაბამისად, **ჩემს** პოზიციასთან დაკავშირებით.

ეს დაკვირვება მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის, თუ არ ჩავთვლით პროფესიონალთა მცირე ნაწილს, პოლიტიკური მოქმედება არის გაურკვეველი, წყვეტილი, უცნაური. ხშირად არარსებულიც. კულტურის კვლევამ ესეც უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ კულტურის განსაზღვრა პოზიციის მიხედვით აწყდება იმ ძირეულ სირთულეს, რომელიც ამ ცნებას ეხება. მართლაც, როგორ გავეცნოთ პოლიტიკურ პოზიციებს, თუკი ისინი უშუალოდ არ ჩანს? მათი გამოთვლა შეიძლება რეგრესიული ლოგიკით, ქცევებით. მაგალითად, როდესაც არ რეაგირებენ მთავრობის არაპოპულარულ გადაწყვეტილებაზე ეს აიხსნება ხელისუფლებისადმი

დამორჩილების პოზიციით. მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება, რადგან მიზანი სწორედ პოზიციის ცოდნაა ქცევიდან გამომდინარე. პროცესი შეიძლება ფუქსიტყვაობაში გადაიზარდოს და ვერ გავიგოთ შესაძლებელი შეუსაბამობების არსებობა ქცევასა და პოზიციას შორის. პოლიტიკური პოზიციების გაცნობის მეორე ფორმა მდგომარეობს მოქმედი პირების სხვადასხვა მეთოდით გამოკითხვაში: გამოკითხვები, ანკეტირება, არაფორმალური შეხვედრები, პროცესი, ცხადია, უფრო ეფექტურია, მაგრამ მასაც აქვს თავისი საზღვრები: ჩვენ ისინი შევისწავლეთ გამოკითხვებზე დაკვირვებით.[27] და ისინი გამოიყენება mutatis mutandis მოკვლევის სხვა პროცესებში. ამ სირთულეებიდან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური პოზიციები არასდროს არის ცნობილი აშკარად და სარწმუნოდ. ისინი არის მოთხოვნილი და დამუშავებული და შესაბამისად, ინარჩუნებს გარკვეულ თვითნებობას. ყველაფრის მიუხედავად, ქცევისა და მონაწილეთა ცნობიერების შეპირისპირებით შეიძლება პოზიციების რეალურად გაგება. ისტორია აქ პარადიგმაა: ის საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლებად მდიდარი დოკუმენტაციით (რადგანაც შეუძლებელია მონაწილეთა გამოკითხვა) გავეცნოთ წარსულში ადამიანთა მენტალურ პოზიციებს.

ალმონდმა და პაუელმა პოლიტიკური პოზიციები სამ კატეგორიად დააჯგუფეს: **კოგნიტურ, ემოციურ** და **შეფასებით** კატეგორიებად. კოგნიტური ელემენტი არის პიროვნების მიერ პოლიტიკაზე, პოლიტიკოსებზე, ინსტიტუტებზე დაგროვილი ცოდნა. ჩვენ უკვე მოგვეცა საშუალება გაგვეგო, რომ ეს ცოდნა შეიძლება იყოს მცდარი. მაგრამ მთავარია, რომ ის არის სუბიექტურად აღქმული ცოდნა, ე.ი. ობიექტური რეალობების მთლიანობა, რომლებიც სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებობს და შესაბამისად ლეგიტიმურს ხდის იმ პოზიციებს, რომლებსაც ეს სუბიექტი იღებს. ემოციური ელემენტი პირიქით, გამომდინარეობს გრძნობებიდან: სიმპათია ან ანტიპათია რომელიმე პოლიტიკოსის მიმართ, რომელიმე პოლიტიკური სისტემის, იდეოლოგიის მიღება ან უარყოფა და ა.შ. შეფასებითი ელემენტი შედგება ღირებულებების განსაზღვრით, სხვა სიტყვებით პოლიტიკური რეალობების დადებითი ან უარყოფითი ნიშნებით აღნიშვნაა. რა შეიძლება ვიფიქროთ ამგვარ დაჯგუფებაზე? ეს დიდად არ აშუქებს ამ საკითხს და შეიცავს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთი ტიპის კონსტრუქციებში, კონცეფტუალურ დეფიციტს. რაც შეეხება მესამე ელემენტს: შეფასება არ არის სპეციფიკური ფუნქცია, არამედ ნამდვილი ან ნავარაუდევი ცოდნის მიმართ გამოხატული გრძნობაა. განსაკუთრებით განსხვავდება, გაგებული ჰიპერრაციონალური კუთხით, არ ცნობს ცოდნისა და გრძნობების ღრმად ურთიერთდამოკიდებულ ხასიათს. კოგნიტური ქმნის ემოციურს და ის იგივეთი უხდის მას. ჩვენ ენახეთ პოლიტიკურ წარმოდგენებში თუ როგორ განაპირობებს გრძნობები სინამდვილის აღქმას; ლოგიკური თვალსაზრისით ფაქტებს არ გააჩნია არავითარი ონტოლოგიური უპირატესობა თეორიაზე: შესაძლებელია როგორც ერთის, ისე მეორის შეცვლა. პოლიტიკური პოზიციები ეს არის მთლიანობა, აღჭურვილი საკომპენსაციო მექანიზმებით, რომელთა გაგება შეიძლება მხოლოდ გლობალური კონცეფტუალური მექანიზმით. ნებისმიერი მკაცრად ანალიტიკური მიდგომა ყოველთვის ზედაპირულობისთვისაა განწირული.

რაც არ უნდა იყოს, ალმონდი და პაუელი თვლიან, რომ პოლიტიკური პოზიციების ანალიზი საშუალებას იძლევა დახასიათდეს პოლიტიკური კულტურის სამი დიდი ტიპი, რომლებსაც ისინი უწოდებენ **მრევლის კულტურას, მორჩილების კულტურას** და **მონაწილეობის კულტურას.** მრევლის კულტურა განისაზღვრება თითქმის სრული უინტერესობით ეროვნული პოლიტიკური სისტემის მიმართ. ეროვნული პოლიტიკური სისტემა არის გვერდითი მოვლენა დადებული ლოგიკურ ქვეკულტურებზე, რომელთა შორისაც არ არსებობს კონტაქტი. პიროვნებებს არ აქვთ სპეციფიკური დამოკიდებულება ეროვნული სისტემის მიმართ. მათ არ ეხება მისი ინიციატივები და არავითარი გრძნობები არ ამოძრავებთ მის მიმართ. მათ ბუნდოვნად თუ იციან, რომ არსებობს დედაქალაქი, სადაც ცხოვრობს პრეზიდენტი, თუმცა ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცოდნა არ არის მათი ინტერესის საგანი. სამაგიეროდ, ისინი მიყვებიან ადგილობრივ პოლიტიკას, რომლის ფსონებსაც იცნობენ და მოქმედ პირებსაც. მორჩილების კულტურაში ეროვნული ხელისუფლება ძალიან გამოკვეთილია. ადამიანები კარგად იცნობენ მის შედეგებს. მათ აქვთ გარკვეული პოზიცია მის მიმართ, თუმცა ის ძირითადად პასიურია: მას ადიდებენ თუ სასიკეთოდ მოქმედებს და თავს იკავებენ, როდესაც მისი ნაბიჯები არაპოპულარულია. ასეთი კულტურისთვის უცნობია ისეთი პიროვნული და კოლექტიური ქმედებები, რომელთაც შეუძლია ხელისუფლების რეაქციის

[27] იხ. n°57.

გამოწვევა. მონაწილეობის კულტურა პირიქით, განისაზღვრება იმით, რომ მოქალაქეები აქტიურები არიან. ისინი თვლიან, რომ შეუძლიათ გავლენა იქონიონ ხელისუფლებაზე და ამას ნორმალურად თვლიან. პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების ამგვარი ჩარევა გამოიხატება ინსტიტუტებით (არჩევნები, პარტიები, ზეწოლის ჯგუფები), მაგრამ არ შემოიფარგლება იურიდიული ჩარჩოს გამოცოცხლებით: ამის მიღმა, ის მოიცავს გონებრივ მდგომარეობას, ფიქრის მანერას, პოლიტიკის გაგებას. სიტყვა „კულტურა" ერთადერთი ფართო გაგებაა ფენომენის ასახსნელად.

89. ალმონდისა და ვერბას გამოკვლევა. — წინა პარაგრაფში განსაზღვრული ცნებები და პრინციპები გამოყენებულია ცნობილ ნაშრომებში, რომელიც პოლიტიკური კულტურის გაშუქების კლასიკური მაგალითია. ეს არის ალმონდისა და ვერბას გამოკვლევა, რომლის შედეგებიც 1963 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „ხუთი ერის სამოქალაქო კულტურა, პოლიტიკური დამოკიდებულებები და დემოკრატია". არჩეული იყო შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მექსიკა. გამოყენებული მეთოდი იყო გამოკითხვა: თითოეული ქვეყნის ათას მოქალაქეს დაუსვეს ერთი და იგივე კითხვები. მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა. ავტორები იმედოვნებდნენ გაეზომათ სხვადასხვა ცვლადი, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა დაეზუსტებინათ პოლიტიკური კულტურის ტიპები. გამოკითხულ ადამიანებს უნდა შეეფასებინათ მთავრობის მოქმედების გავლენა მათ ცხოვრებაზე; განესაზღვრათ ის პოლიტიკური ინფორმაცია, რომელიც გააჩნდათ; გამოეხატათ ინტერესი, რომელსაც მათში აღძრავდა პოლიტიკა; განესაზღვრათ მათი პოლიტიკური პოზიციის მნიშვნელობა; ბოლოს, შეეფასებინათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეცვლის მათი უნარი. ამ ფაქტორების კომბინირებით შესაძლებელი ხდება სხვადასხვა პოლიტიკური კულტურის პორტრეტის შედგენა. თითოეულში არის ადრე დადგენილი იდეალური ტიპების განსხვავებული დოზები. მაგალითად, შეერთებულ შტატებში დომინირებს მონაწილეობის კულტურა. მოქალაქეები უნდობლობით ეკიდებიან ხელისუფლების ორგანოებს, მაგრამ ასევე შეინიშნება მრევლის კულტურა: მოქალაქეებს შტატის პოლიტიკა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ფედერალური პოლიტიკა. დიდ ბრიტანეთში ჰარმონიული წონასწორობაა სხვადასხვა ტიპებს შორის: დემოკრატიული მონაწილეობა, ხელისუფლების პატივისცემა, ადგილობრივი პოლიტიკური აქტივობის ნორმალური დონე. იტალიაში უფრო მორჩილების კულტურა აღინიშნება და დაუინტერესებლობა ეროვნული პოლიტიკით. მონაწილეობა იქ შეზღუდულია. გერმანიაშიც ასევე დომინირებს მორჩილება. მექსიკა რჩება მრევლის კულტურის საზოგადოებად, თუმცა შეინიშნება მონაწილეობის გარკვეული ელემენტები. ეროვნული ხელისუფლებისადმი მორჩილება იქ შეზღუდულია. ამ მოკლე შენიშვნებს მხოლოდ ინდიკატორის მნიშვნელობა აქვს. გამოკვლევისათვის საჭიროა დაზუსტებებისა და ნიუანსების დამატება. მაგრამ ამ ნაშრომში ეს ვერ მოხერხდება, ვერც ისტორიული ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც, ავტორების აზრით, ეროვნული განსხვავებების ახსნის საშუალებას იძლევა.

90. გამოკვლევის კრიტიკული განხილვა. — პოლიტიკური კულტურის ცნება ისეთი სახით, როგორც შეიმუშავა ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების სკოლამ, რისი ილუსტრაციაც არის ალმონდისა და ვერბას გამოკვლევა, მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ეს კრიტიკა განსხვავებული მნიშვნელობისაა.

თავიდან უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების ხედვა ნორმატიულია. ისინი არაორაზროვნად მსჯელობენ საუკეთესო პოლიტიკურ კულტურაზე ე.ი. ისეთზე, რომელიც დემოკრატიის ჰარმონიული განვითარების საშუალებას იძლევა. ამ პერსპექტივაში ისინი არ უარყოფენ არც ერთ კულტურულ კომპონენტს, რომელიც მათ გამოჰყვეს: მოქალაქეებმა, რა თქმა უნდა, მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეებში, მაგრამ ამასთანავე პატივი უნდა სცენ ხელისუფლებას და დაინტერესდნენ ადგილობრივი ცხოვრებით. ბრიტანული პოლიტიკური კულტურა, სადაც საუკეთესოდ განხორციელდა კომპრომისი მრევლის, მორჩილების და მონაწილეობის კულტურებს შორის, ყველზე დამაკმაყოფილებელი ჩანს. ეს დასკვნა, რომელიც ამბობს, რომ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, შეიძლება მაცდურად ჩაითვალოს. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, დემოკრატია საუკეთესო შესაძლებელი რეჟიმია და მიზანი ნებისმიერ საზოგადოებაში მისი დამკვიდრებისა არის პოსტულატი. ის შეიძლება მი-

იღო ან უარყო. ეს შენიშვნა ბევრს არაფერს აკარგვინებს ანალიზის მეცნიერულ ხასიათს: ეს მას თავისებურ ორიენტაციას ანიჭებს, მაგრამ თუ აღწერილი ფაქტების ჩამონათვალი ობიექტურია, დემარშის ღირებულება ამით არ მცირდება. ანალიზის a priori გასაკრიტიკებლად მხოლოდ ეს ერთი შენიშვნა არ არის საკმარისი. გარდა ამისა, კრიტიკა არსებითი იქნებოდა მხოლოდ პოლიტიკური კულტურის ზოგიერთი კონცეფციის მიმართ. მართლაც, თავისუფლად შეიძლება ამ კონცეფციის იმ ვერსიის მიღება, რომელიც ერთმანეთს ადარებს პოლიტიკურ კულტურებს და მათ ალაგებს ღირსებების მიხედვით.

მეორე ზოგადი კრიტიკა ეხება იმას, რომ ამერიკელი ავტორები ეროვნულ კულტურებს განიხილავენ როგორც მთლიანობას და არ ითვალისწინებენ სოციალურ, რეგიონალურ, ეთნიკურ, ენობრივ შეუთანხმებლობებს, რომელიც ერებში არსებობს. მარქსისტებმა განსაკუთრებით განავითარეს ეს აზრი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ალმონდმა უყურადღებოდ დატოვა ის ერთადერთი დაპირისპირება, რომელიც დაშვებულია მათ თეორიაში ე.ი. კლასობრივი დაპირისპირება. ეს საკითხი ბევრმა სხვა სპეციალისტმაც დასვა, რადგან ბუნებრივად იბადება გონებაში. საჭიროა მას რამდენიმე პასუხი გაეცეს. აღვნიშნოთ, რომ ის საფუძვლიანია თავის პრინციპში. მართალია, რომ ეროვნული კულტურები მოიცავენ ქვეკულტურებს, რომლებთანაც მათ რთული ან მტრული დამოკიდებულებები აქვთ. საფრანგეთის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, იქ არის კორსიკის პოლიტიკური კულტურა, ალზასის, ასევე სამხრეთ-დასავლეთის პოლიტიკური კულტურა, თითოეულს თავისი განმასხვავებელი ნიშნები აქვს, თავისი ისტორია, ნაციონალურ სტერეოტიპებთან მეტ-ნაკლებად გამოხატული განსხვავება. ისიც მართალია, რომ არსებობს მეშებისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურა, ფერმერებისთვის, უმაღლესი კადრებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურა, თითოეული განსაზღვრულია ამ ჯგუფების ტრადიციებით და მათი სპეციფიკური პოლიტიკური ინტერესებით. ამ დასკვნებიდან აშკარად ჩანს რამდენად არასრულია განხორციელებული გამოკვლევა, რომელიც არ ითვალისწინებს ქვეკულტურებს. ფრანგ მუშებს, ბუნებრივია, საკუთარი პოლიტიკური კულტურა აქვთ, რომელიც მათ საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან განასხვავებს, მაგრამ ორივე გაერთიანებულია საფრანგეთის საერთო პოლიტიკურ კულტურაში, რომელიც მათ განასხვავებს ამერიკელებისგან ან გერმანელებისგან. ეს ყოველ შემთხვევაში სარწმუნო ვარაუდია და ერთი ხელის მოსმით მისი უარყოფა არ შეიძლება მარქსისტული აპრიორიზმის სახელით, რომელიც აცხადებს კლასობრივ კულტურას უფრო „ნამდვილად" ვიდრე ეროვნულ კულტურას. ასეთი შეხედულების დამტკიცება საჭიროა. სამწუხარო ის არის, რომ რეალურიდან გამომდინარე მისი დამტკიცება შეუძლებელია. ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ მარქსისტული თეორიის აქსიომების მიმართ დედუქციური ლოგიკის გამოყენებით. საბოლოო ჯამში, ქვეკულტურებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნა მნიშვნელოვანია, მაგრამ შეზღუდული. ის გვიბიძგებს ამ ქვეკულტურების შესწავლისკენ და იმ საკითხის დასმისკენ, თუ როგორ უნდა შეეხამოს ისინი ეროვნულ კულტურას. მაგრამ ის არ ეხება იმ პრობლემატიკის ლეგიტიმურობას, რომელიც ამის განსაზღვრას ცდილობს.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ პოლიტიკური კულტურის ცნებას მიეყავართ ტრადიციული ეროვნული სტერეოტიპების აგებამდე. ლაპარაკი იყო „მეცნიერულ საღ აზრზე" ალმონდისა და ვერბას გამოკვლევასთან დაკავშირებით. აქაც საჭიროა შეთანხმება. თუ ეროვნული სტერეოტიპები ჩამოყალიბდა ეს გარკვეულწილად გულუბრყვილო მითოლოგიის შედეგია. მაგრამ ისინი რეალურ ნიშნებსაც შეესაბამება, რომელმაც შექმნა ნედლეული რესურსი. გასაკვირი იქნებოდა, რომ მეცნიერულ გამოკვლევას მთლიანად საპირისპირო თვისებები გამოეკვეთა. უცნაურია მისგან არა მარტო სწორი, არამედ საინტერესო შედეგის მოთხოვნა. გარდა ამისა, საბოლოოდ გასარკვევად საჭიროა პერიოდულად ამ ტიპის გამოკვლევის განახლება: ამით გამოჩნდებოდა ვითარდება თუ არა ეროვნული პოლიტიკური კულტურები და შორდებიან თუ არა ისინი ტრადიციულ სტერეოტიპებს.

მეოთხე შენიშვნა გაცილებით უფრო სერიოზულია. ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამერიკელი ავტორები თვითნებურად გამოჰყოფენ პოლიტიკურ კულტურას მთლიანობაში განხილული სოციალური კულტურისგან. ისინი ეყრდნობიან აშკარა პოსტულატს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ერთის შესწავლა მეორის გაუთვალისწინებლად. ეს ჩანს ალმონდისა და ვერბას ცოტა არ იყოს გულუბრყვილო ფორმაში, როდესაც ისინი იდენტურ კითხვებს უსვამენ ინგლისელებსა და მექსიკელებს, თითქოს კითხვების არსი და შესაბამისად, პასუხებიც არ იქნებოდა a priori განსხვავებული, ძლიერ განსხვავებული კულტურების გამო. განა სულ ერთია, რომ ერთნი

პროტესტანტები არიან, მეორენი კი კათოლიკენი? ამასთანავე, ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ უარყოფილი იქნება ყველა უნივერსალური ცნების ღირებულება თითოეული კულტურის განმასხვავებელი ნიშნის აღსაწერად, თვით შედარების ცნება დაცლილი იქნება აზრისაგან. ასევე, არის საშიშროება კვლევის საგნის წმინდა პოლიტიკური ხასიათი დაიკარგოს მისი არაპოლიტიკური განსაზღვრებების განხილვით. თანაც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკა არ არის არსი, არამედ პირიქით, ის იცვლება ეპოქებისა და კულტურების მიხედვით, როგორც ეს პირველ ნაწილში ვნახეთ. პოლიტიკური კულტურების შედარებითი ანალიზი მოითხოვს იმის გათვალისწინებას, რა არ არის პოლიტიკური, იმ მიზნით, რომ განსაზღვროს a contrario ის, რაც პოლიტიკურია. არ შეიძლება პოლიტიკოსის იზოლირება, საჭიროა პოლიტიკური კულტურის ცნებისათვის დამაჯერებლობის მისაცემად ის უკან დავაბრუნოთ თავის დეტერმინაციებში.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ შეუძლებელია პოლიტიკური კულტურების გაგება მხოლოდ ქცევებსა და პოზიციებზე დაკვირვებით, მით უფრო, რომ ისინი გამოთვლილია მათგან. ამერიკელი ავტორების დემარში, კულტურული მიზეზებიდან გამომდინარე, განზრახ ემპირიულია. აქედან გამომდინარე, ხშირად იკარგება ძირითადი, რომელიც ცნობიერების სფეროა. რაიმე ნიშნის არსებობას ან არარსებობას შეიძლება ძლიერ განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს იმ გლობალური კულტურული სისტემის მიხედვით, რომელშიც ჩართულია. ამ ფენომენების ახსნა ერთბაშად არ შეიძლება იმით, რომ ისინი ბუნებრივ მიზეზს განეკუთვნება. აქ საჭიროა ადეკვატური კონცეპტუალური აღჭურვილობა. აქაც მაგალითად შეიძლება გამოდგეს ისტორია: რომაული ოლიგარქიის „პოლიტიკური კულტურა" შეიძლება აღწერილი იქნეს, თუმცა შეუძლებელია სენატორებსა და კონსულებს დაურიგდეს კითხვარი. მაგრამ ამ შემთხვევაში თეორიული რეფლექსიის უფრო მეტი ძალისხმევაა აუცილებელი.

საბოლოო შთაბეჭდილება ის არის, რომ კვლევა საინტერესოა და მნიშვნელოვანი, თუმცა ბევრი კითხვა არასწორად იყო დასმული, რამაც მხოლოდ სქემატური და უშინაარსო პასუხები გამოიწვია. დასმული საკითხი განისაზღვრა, მაგრამ ბოლომდე გამოკვლეული არ არის. ადეკვატური პრობლემატიკა შეიძლება შემუშავდეს იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც ადრე ჩატარებულმა კვლევებმა გამოკვეთა. მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

ნაწილი II. პოლიტიკური სოციალიზაცია

91. პოლიტიკური სოციალიზაციის ცნება. — პოლიტიკური სოციალიზაციის იდეას, პოლიტიკური კულტურის მსგავსად, განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა: მასში ხედავდნენ ერთ-ერთ სტრატეგიულ ცნებას, რომლის დახმარებითაც უნდა გადაეხედათ შესწავლილი საკითხის მთლიანობისთვის. უკან სვლა გარდაუვალი იყო. დღეს ამ ცნების მიმართ ინტერესი დაბალია, არსებობს გაუგებრობა და მრავალი მიახლოებითი განმარტება.

თავისთავად სიტყვა „სოციალიზაცია" ორაზროვანია. მასში სხვადასხვა შინაარსის ჩადება შეიძლება. თუმცა ამ სიტყვით ძირითადად აღნიშნავენ „პიროვნებების სოციალურ ჯგუფებში ასიმილაციის პროცესს". ასეთი გაგებითაც ცნება ძალიან ფართოა. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს ბავშვებისა და ზრდასრულების ნებისმიერი სწავლებისა თუ ინტეგრაციასთან მიმართებაში. ამ პროცესიდან ზოგიერთს უნივერსალური ხასიათი აქვს, რაც მათ დამოუკიდებელს ხდის კერძო საზოგადოებებისგან: მაგალითად, ბავშვებში მორალური მსჯელობის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პიაჟემ აღწერა. მაგრამ ამგვარ მოვლენებს იმდენად ზოგადი ხასიათი აქვს, რომ მიუხედავად მათი ურთიერთქმედებისა პიროვნების მიერ პოლიტიკის აღქმის მანერასთან, ისინი შეიძლება ჩაითვალოს აპოლიტიკურად და გამოირიცხოს პოლიტიკური სოციალიზაციის სფეროდან. საპირისპიროდ, მოვლენები რომელსაც ეკუთვნის პოლიტიკური სოციალიზაცია მჭიდროდ არის დამოკიდებული იმ ცალკეულ კულტურებზე, რომელშიც მეღავნდება. არსებობს ღრმა ურთიერთკავშირი პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური სოციალიზაციის ცნებებს შორის. თუ პირველის შინაარსი ცხადყოფს მის სპეციფიკურობას და დროში უწყვეტობას, ეს იმიტომ, რომ არსებობს პროცესები, რომელსაც შეუძლია მისი განსაკუთრებულობის გამყარება და რეპროდუქციის უზრუნველყოფა. ეს წმინდა იმანენტური პროცესებია, რადგან სოციალიზაცია არაფრით არის დამოკიდებული განათლებაზე ხელოვნურ გარემოში (სკოლა) და თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სოციალურ სპონტანობაზე. გარდა ამისა, ისინი სპეციფიკურია, იმდენად, რომ აზრი არ აქვს ზოგადად

„პოლიტიკურ სოციალიზაციაზე" საუბარს. არსებობს მხოლოდ პოლიტიკური სოციალიზაციის ფორმები, რომელიც ადაპტირებულია ცალკეული კულტურების ტრადიციებთან.

92. ბავშვების სოციალიზაცია შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში. — ბავშვების სოციალიზაციისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომები გამოქვეყნდა შეერთებულ შტატებში, რომელთა ავტორებიც იყვნენ ისთონი და დენისი. ამოდიოდნენ რა იმ პოსტულატიდან (რომელიც სადავოა), რომ ადამიანთა პოლიტიკური ხედვა ბავშვობიდანვე ყალიბდება, მათ შემოგვთავაზეს მოდელი, რომელიც გააშუქებდა ბავშვის პოლიტიკურ სამყაროსთან კონტაქტში შესვლის ფორმას. ავტორების მიხედვით, პროცესი შეიძლება ოთხ ფაზად დაიყოს. პირველ ფაზაში ბავშვი იღებს პოლიტიკური რეალობების ბუნდოვან ცოდნაა. მეორეში, ბავშვის თვალში პოლიტიკა განსახიერებულია რამდენიმე ადამიანის სახით, რომლებიც ამ ცხებას პერსონალურ შინაარს ანიჭებენ. ამ მიმართებით, ძირითადია პრეზიდენტის ფიგურის როლი იმ წარმოდგენაში, რომელიც ამერიკელ ბავშვებს აქვთ პოლიტიკაზე. მესამე ფაზამ უნდა განავითაროს შეფასებითი მსჯელობები: პიროვნებები, რომლებშიც პერსონალიზებულია პოლიტიკა იღებენ დადებით ან უარყოფით შეფასებას. ბოლოს, ბავშვი იძენს უნარს გაიაზროს პოლიტიკა აბსტრაქტულად, აღიქვას ინსტიტუტები და ღირებულებები იმ ადამიანების მიღმა, რომლებიც მათი დროებითი გამოხატულებაა.

ასეთი დასკვნები ცოტა დამაფიქრებელია, რადგანაც a priori გამოხატავს ინტელექტუალურ სქემას. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ისთონის, დენისის და პიაჟეს ანალიზები: სულ ცოტა, რაც შეიძლება ითქვას, ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. აუცილებელია ამ საკითხების მეთოდურ ბაზაზე და მეცნიერულ პრობლემატიკაში განხილვა. აქ მათ განხილვას ვერ შევძლებთ, მაგრამ ის კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ისთონის მოდელის საყოველთაო ხასიათზე მსჯელობა დაუსაბუთებელია.

მართლაც, ფრანგმა მკვლევარებმა სცადეს ისთონის მოდელი გამოეყენათ თავისი კულტურის კონტექსტში. მათ გამოკვლევას სრულიად განსხვავებული შედეგები მოჰყვა. მათ დაასკვნეს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის სახე არ არის ისეთივე ფსიქოლოგიური მიჯაჭვის საგანი: იგი არც იმდენად აღბეჭდილია ცნობიერებაში და არც იმდენად დატვირთული ემოციურად. ისთონის მოდელის მეორე და მესამე ფაზები არ არის საეალდებულო გარდამავალი ეტაპები ფრანგი ბავშვების სოციალიზაციისათვის. ამ შეუთავსებლობის ასახსნელად მოიშველიეს მიშელ კროზიეს მიერ აღწერილი საფრანგეთის ბიუროკრატიული სისტემის გავლენა. მაგრამ ვერ შეძლეს აეხსნათ როგორ შეეძლო განესაზღვრა სამუშაო ურთიერთობების გარკვეულ ტიპში ჩამჯდარ მოვლენას ისეთი ზოგადი და რთული პროცესი, როგორიცაა ბავშვების სოციალიზაცია, ან რომელი იყო ის ინდივიდუალური, ინსტიტუციური თუ იდეოლოგიური მოკავშირეები, როლებითაც ერთი გავლენას ახდენდა მეორეზე. უფრო მართებულია ალბათ აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი აღქმულია როგორც ერთიანობის სიმბოლო ძლიერ დაყოფილ კულტურაში (დაყოფა შტატებად, საზოგადოებებად და ა.შ.). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პირიქით, რომელიმე ბანაკის ჩემპიონია. გარდა ამისა, საფრანგეთში ბევრი აღიარებული ეროვნული ლიდერია, მაშინ როდესაც შეერთებულ შტატებში დამარცხებული კანდიდატი დიდი ხნის მივიწყებულია....

93. სოციალიზაცია, ზემოქმედება და ინტერაქცია. — იკვეთება კიდევ ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა. მკვლევარები, რომლებმაც პოლიტიკური სოციალიზაცია შეისწავლეს, მას განიხილავენ როგორც ზემოქმედებას. სოციალიზაცია არის პროცესი, რომელიც ძალიან ადრე აიძულებს ადამიანებს მიიღონ აზროვნებისა და ქცევის ის ფორმა, რომელიც გაბატონებული სტერეოტიპის შესაბამისია.[28] ეს მოსაზრება მისი ავტორებისათვის მარტივი, სავარაუდოდ რეალისტურია და შესაძლებელს ხდის აიხსნას განსხვავებები შესასწავლ რეალობასა და a priori ლოგიკის პროგნოზებს შორის. ის, რომ მუშები ვერ ხედავენ თავიანთ „ობიექტურ" ინტერესებს,

[28] ისტორიის სწავლება მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკურ სოციალიზაციაში, ალბათ იმიტომ, რომ ის იმ ცვლადს წარმოადგენს, რომელზეც შესაძლებელია ხანმოკლე ნებაყოფლობითი ზემოქმედება: სოციალიზაცია აქ უერთდება პროპაგანდას (თავი მე-5), კერძოდ კი ტოტალიტარულ ქვეყნებში, რომელიც ჩვენ აქ არ განგეიხილავს.

ის, რომ გლეხები არ აყალიბებენ სპონტანურად კოლმეურნეობებს, აშკარად განპირობებულია დომინანტური იდეოლოგიის გავლენით. თუმცა უფრო რთულია, მაგრამ გაცილებით ნაყოფიერი სოციალიზაციის განხილვა **ინტერაქციის** კუთხით. ის საშუალებას იძლევა შემოვიტანოთ ცნება **ადაპტაცია**: ადამიანი მთლიანად პასიური არ არის სოციალიზაციის, კერძოდ კი პოლიტიკური სოციალიზაციის მიმართ. მას შეუძლია, როგორც ჩვენ ეს ვნახეთ პოლიტიკური წარმოდგენების განხილვისას, შეცვალოს ის ახალი ფაქტორების გათვალისწინებით, რომელსაც სავარაუდოდ, ზემოქმედების პროცესი ვერ შეუცვლიდა ხასიათს. ასევე, ინტერაქციის მოდელი თავსებადია **ოპტიმიზაციის** იდეასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანები იძენენ იმ დამოკიდებულებებსა და ქცევებს, რომელიც მათი აზრით ყველაზე მეტად შეესაბამება მათ ინტერესს. ეს პოსტულატია, მაგრამ ალბათ საპირისპირო პოსტულატი. ხშირად ასკვნიან, რომ ზედაპირული დამკვირვებლის მიერ ირაციონალურად ჩათვლილი ქცევები, რომელიც ამის გამო ჩამოშორებულია სოციალურ განპირობებულობას, სინამდვილეში მოიცავს ფარულ რაციონალურობას. ბოლოს, ინტერაქციის მოდელი საშუალებას იძლევა განვასხვაოთ **პირველადი სოციალიზაცია**, მიღებული ბავშვობაში და **მეორადი სოციალიზაცია**, მიღებული სიყმაწვილეში და ზრდასრულ ასაკში. ცხადია, ამგვარი დაყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური სოციალიზაციის შემთხვევაში. თვითონ პოლიტიკური მოვლენების ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ მათ ადამიანები თავისი ინტელექტუალური განვითარების მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე აწყდებიან. მათ უფრო მეორადი სოციალიზაცია აინტერესებთ და თვითონ უფრო თავისუფლად იცვლებიან, ვიდრე იცვლიან სხვადასხვა პიროვნულ თვისებებს. შეიძლება შევედავოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც პირველადი სოციალიზაცია განაპირობებს პოლიტიკურ დამოკიდებულებებს. რეალობა უფრო მრავალფეროვანი და რთულია. ზოგიერთ ადამიანთან ეს ასე ხდება, მაგრამ ზოგიერთებთან პოლიტიკური სოციალიზაცია ხდება მხოლოდ პირადი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური გამოცდილების საფუძველზე. კავშირი პირველად სოციალიზაციასა და პოლიტიკურ დამოკიდებულებას შორის ხშირად სუსტია და ვერ აღდგება გარკვეული თვითნებობის გარეშე.

უნდა ითქვას, რომ საბოლოო ჯამში პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური სოციალიზაციის ურთიერთკავშირი ძლიერია. ძლიერი მოვლენების დონეზე: ძალისხმევა, ტრანსცენდენტური სოციალიზაცია განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი იმ კულტურებისაგან, სადაც მოქმედებს. მარცხით მთავრდება. ძლიერია იმ ინტელექტუალური საშუალებების დონეზე, რომლის დახმარებითაც თვლიდნენ, რომ ის გაიგეს: დასმული კითხვები იყო არსებითი, მაგრამ პასუხებს ხშირად ზედაპირული ხასიათი აქვს, რადგან არ ხდება წინასწარი გამოკითხვა ამგვარი კვლევის მიზნებსა და მეთოდებზე. პოლიტიკური სოციალიზაციის დამაკმაყოფილებელი ანალიზი რჩება მიზნად, რომლისკენაც ჯერ მხოლოდ მოკრძალებული ნაბიჯებია გადადგმული.

ნაწილი III. პოლიტიკური ცვლილება

94. პოლიტიკური ცვლილებების პრობლემატიკა. — იმისათვის, რომ დავასრულოთ ამ რამდენიმე ცნობილი ცნების წარმატებებისა და წარუმატებლობების მიმოხილვა, საჭიროა განვიხილოთ პოლიტიკური ცვლილებების ცნება. ეს იმ საკითხის მეორე მხარეა, რასაც, როგორც ვნახეთ, დევიდ ისთონი სვამდა. მას აინტერესებდა გაეგო როგორ აგრძელებს არსებობას სისტემა მაშინ, როდესაც მასზე მოქმედი ყველა ძალა ცდილობს მის დანგრევას. ცვლილებების პრობლემატიკა პირიქით, მიზნად ისახავს გაიგოს როგორ და რატომ იცვლება სისტემები, მაშინ როდესაც იგულისხმება, რომ უცვლელი უნდა დარჩეს. ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე შემთხვევაში ერთ-ერთი ცნება ცვლილება თუ უცვლელობა განიხილება როგორც ბუნებრივი და არაპრობლემატური, მაშინ როცა მეორე მოითხოვს განმარტებით სქემას. ეს ორი ვარაუდი ერთნაირად სადაოა და სასურველი იქნებოდა პოლიტიკური სამყაროს ისეთი ინტერპრეტაციის შემუშავება, რომელიც არ მიანიჭებდა უპირატესობას a priori არც აწმყოს და არც მომავალს. ამგვარი მიდგომა, რომელიც, ბუნებრივია, გამორიცხავდა თვითნებურ პოსტულატებს, შესამუშავებელია. სამაგიეროდ, შემოთავაზებული იყო ბევრი თეორია სოციალურ ცვლილებაზე და პოლიტიკურ ცვლილებაზე. შეუძლებელია მათი ჩამოთვლა ამ ფორმატში, თუნდაც მითითების მიზნით. მით უმეტეს, რომ ეს თეორიები წარუმატებელი გამოდგა. მათ ვერ შეძლეს აეხსნათ ცალკეული შემთხვევების ზოგადი ხასიათი და მათი წინასწარმეტყველური ღირებულება თითქმის ნულის ტოლია. მართლაც, ამ

თეორიების მთავარი დამსახურება ის არის, რომ მათი მარცხის მიზეზების გარკვევა ამციდრებს ჩვენს ცოდნას მოვლენებზე. ამასთანავე, ამ აზრის ილუსტრირება მოითხოვდა კონკრეტული შემთხვევების დეტალურ ანალიზს, რისი ადგილიც ამ ნაშრომში არ არის. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე თეორიის განხილვით პოლიტიკურ ცვლილებაზე, არა იმიტომ, რომ ისინი წარმატებული თეორიებია, უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი ძალიან ცნობილია.

95. პოლიტიკური ცვლილება მარქსისტული დოქტრინის მიხედვით. — მარქსიზმი ეყრდნობა პოსტულატს, რომ ისტორია და სოციალური სამყარო არის გასაგები, რადგან არის განსაზღვრული. ის, უპირველეს ყოვლისა, არის დოქტრინა სოციალურ ცვლილებაზე. მარქსი (1818-1883 წწ.) და ენგელსი (1820-1895 წწ.), დოქტრინის ფუძემდებლები, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სოციალური მოვლენების მთლიანობა განპირობებულია ერთადერთი ფაქტორით — ეკონომიკური წყობით. (აქვე აღვნიშნოთ, რომ თუ განზრახულია სოციალური მოვლენების მთლიანობის ახსნა ერთადერთი მიზეზობრივი მექანიზმით, ეკონომიკის არჩევა მიზანშეწონილია a priori: არსებობა, ბუნებრივია ადამიანისათვის უმთავრესი საზრუნავია. მაგრამ არის მიზანშეწონილი ვირწმუნოთ ერთადერთი მიზეზობრივი მექანიზმი?). ისინი მართლაც თვლიან, რომ საზოგადოებები განსაზღვრულია მათი **წარმოების ფორმით**, რომელიც თავის მხრივ **საწარმოო ძალებისა** და **საწარმოო ურთიერთობების** ერთობლიობის შედეგია. წარმოების ძალები ბუნებრივი სიმდიდრეა, დაგროვილი კაპიტალი და წარმოებაში დანერგილი ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა. საწარმოო ურთიერთობები სოციალური ურთიერთობებია, რომელიც მყარდება წარმოების პროცესის მონაწილეთა შორის. ეს ურთიერთობები, რომელიც განსაზღვრულია საწარმოო ძალების მდგომარეობით, თავის მხრივ განსაზღვრავს საზოგადოების დაყოფას კლასებად, რომელიც არის იმ ადამიანთა გაერთიანება, რომლებსაც ერთნაირი მდგომარეობა უკავიათ საწარმოო ურთიერთობებში. ამ კლასებს ერთმანეთთან ანტაგონისტური ურთიერთობა აქვთ, რადგან მათ განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ. ზოგი ექსპლუატირებულია, ზოგიც ექსპლუატატორი. XIX საუკუნეში ეს მოვლენა გამომჟღავნდა პროლეტარიატსა და კაპიტალისტურ ბურჟუაზიას შორის; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის დასკვნა, გამომდინარე ამ სიტუაციიდან, რომელიც ისტორიის მთლიანობის გასაღებს იძლევა: ეს შეიძლება გაგებული იქნეს როგორც კლასთა ბრძოლის ისტორია. ამის მერე, პოლიტიკური ცვლილება დაყვანილია სოციალურ ცვლილებამდე, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია საწარმოო ძალების ტრანსფორმაციით. როდესაც საწარმოო ურთიერთობები შეუთავსებელია საწარმოო ძალების განვითარებისაგან წარმოქმნილ ახალ შესაძლებლობებთან, ხდება რევოლუცია. ამგვარად, საფრანგეთის რევოლუცია მოხდა მაშინ, როდესაც სამრეწველო რევოლუციას უნდა დაემსხვრია სოციალური, იურიდიული და იდეოლოგიური დაბრკოლებები, რომელსაც მას ბევრი რეჟიმი უქმნიდა: არისტოკრატიული კლასის ჰეგემონია, რომლის დომინაცია ეყრდნობოდა მიწის შემოსავლებს, საზოგადოების დაყოფას იურიდიული კრიტერიუმებით განსაზღვრული წესებით და რომელიც ამუხრუჭებდა ბურჟუაზიის დინამიზმს, ეკონომიკური მოღვაწეობის არქაული რეგლამენტირება, კორპორაციული პრივილეგიები და ტრადიციები, რელიგიური სულისკვეთებით გაჟღენთილი ანტიკაპიტალისტური მორალი. რევოლუციამ გაათავისუფლა საწარმოო ძალები, თუმცა მხოლოდ ბურჟუაზიის სასარგებლოდ. მომავალი რევოლუცია კი იქნება **სოციალური** რევოლუცია იმ ადრე მომხდარი რევოლუციებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ **პოლიტიკური** იყო: აბსოლუტურად ექსპლუატირებული კლასის, პროლეტარიატის ნაყოფი, ის მთლიანად მოსპობს ექსპლუატაციას და შექმნის უკლასო საზოგადოებას. პოლიტიკურ ცვლილებას ექნება დასასრული და ისტორიაც დამთავრდება კლასთა ბრძოლის დასრულებით.

შემდეგ თავში ვნახავთ ამ გრანდიოზული თეორიის იდეოლოგიურ განზომილებას. აქ განვიხილოთ მხოლოდ ის, თუ რა მრავალრიცხოვანი სირთულე აქვს მას. ჯერ ერთი, მარქსის ნაადრევი ძალიან რთულია. ის განვითარდა, მაგრამ მისი ავტორის ნაადრევი გარდაცვალების გამო, დასრულებული სახე არ მიუღია. არათანაბრად არის გამოკვეთილი დეტერმინიზმი, რომელიც მისი ყველაზე თვალშისაცემი ნიშანია: „კაპიტალის" მესამე ტომში მარქსი ცდილობს აღწეროს კაპიტალისტური სისტემის ევოლუციის კანონები, თუმცა იგი აღიარებს, რომ ეს კანონები მხოლოდ ტენდენციებია, რაც იმის დაშვების ტოლფასია, რომ ისტორიული ცვლილება არ არის მკაცრად განსაზღვრული. მეორე მხრივ, დოქტრინა სოციალურ ცვლილებას მიაწერს ორ განსხვავებულ მიზეზს, ტექნიკურ განახლებას და კლასობრივ ბრძოლას. მათი შეთავსება დაუსრუ-

ლებელი სირთულეების წყაროა. თავისთავად გამოთქმა კლასობრივი ბრძოლა რამდენიმე მნიშვნელობას მოიცავს, როგორც ეს გვიჩვენა რ. ბუდონმა. ის ხან პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იყოს აღებული, ხან ეგზოგენური ფაქტორების შესალამაზებლად: ისტორიის გასაგებად საჭიროა ადგილი დაეთმოს ისეთ მოვლენებს, რომელიც არ დაიყვანება კლასობრივ ბრძოლაზე. ისეთი ფაქტების გამრავლებამ, რომლებსაც ძნელად მიუდგება მარქსისტული ანალიზი, ყოველ შემთხვევაში ეულგატას (ბიბლიის ლათინური თარგმანი) ფორმით, აიძულა ავტორები უკან დაეხიათ. ეკონომიკური დეტერმინიზმის მთავარი პოსტულატის გადასარჩენად, ისინი იძულებული გახდნენ დაეშვათ, რომ ის მხოლოდ ბოლო ინსტანციაზე მუშაობს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიტყვიერი გამოსავალია, რადგან რეალურ სამყაროში არ არსებობს ბოლო ინსტანცია და ძნელი წარმოსადგენია რა შეიძლება იყოს. პრაქტიკაში ეკონომიკა ხან არის გადამწყვეტი ხან არა. გარდა ამისა, ის არსებობას აგრძელებს მხოლოდ როგორც ძალით მოტანილი არგუმენტი: ეკონომიკა განსაზღვრავს იმას, რასაც ის განსაზღვრავს, იმიტომ რომ ამას თეორია ამტკიცებს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეორიას არავითარი წინასწარმეტყველური ღირებულება აღარ აქვს: ის მხოლოდ ინტელექტუალური კომფორტის ელემენტია.[29]

96. პოლიტიკური ცვლილება პარეტოს მიხედვით. — ვილფრედო პარეტომ (1848-1923 წწ.) შემოგვთავაზა პოლიტიკური ცვლილების განსხვავებული თეორია. ეს დიდი იტალიელი სოციოლოგის მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა, თუმცა ეს მას დამაჯერებლობას არ მატებს. პარეტოს მსჯელობა ტრიალებს ელიტის გარშემო. მისთვის ყველა საზოგადოება ხასიათდება მთავარი წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს ელიტასა და მასებს შორის. ელიტა შედგება უნარიანი ადამიანებისგან, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, ხოლო მასები ნაკლებად უნარიანი ადამიანებისგან, რომლებიც თანხმდებიან პირველების დომინირებას. ეს დომინირება შეიძლება ეყრდნობოდეს ძალას ან ეშმაკობას. განსაზღვრების მიხედვით მასა ინერტულია და პარეტოს აზრით, ის კონფლიქტების გამო კი არ უპირისპირდება ელიტას, როგორც ეს მარქსის შემთხვევაშია, არამედ ეს კონფლიქტები ანგრევს ელიტას. მართლაც, ძველი ელიტა ებღაუქვება ხელისუფლებას, ხოლო ახალგაზრდა და უფრო დინამიური ელიტა ცდილობს ხელისუფლების მოპოვებას, სანამ თავის მხრივ ისიც არ განიდევნება ამ წრიდან. ამ პროცესს პარეტო აძლევს სახელწოდებას, რომელიც კლასიკური გახდა — ელიტის ცირკულაცია. დრომოჭმული ელიტის ახლით შეცვლის პროცესი ხშირად უმტკივნეულოდ ხდება. მაგრამ ხანდახან მექანიზმი ჩერდება: ბევრი ნაკლებად უნარიანი ადამიანი ახერხებს ელიტაში შეღწევას და იქ რჩება; ან ძველი ელიტა ახდენს ძალაუფლების მონოპოლიზებას და ახალ ელიტას აღარ მიუწვდება მასზე ხელი. ამგვარი სიტუაციები იწვევს ძლიერ აფეთქებას: შესაბამისად ადგილი აქვს რევოლუციებს. ისინი კოლექტიური და ძალისმიერი ჩანაცვლების პროცესებია, რომელთა წყალობითაც ის ახალგაზრდა ელიტა, რომელიც სხვაგვარად ვერ იღებდა ხელისუფლებას ეუფლება მას.

რა შეიძლება ვიფიქროთ პარეტოს თეორიაზე? მასში უდავოდ არის სიმართლის ნაწილი იმდენად, რამდენადაც რევოლუცია მთავრდება ადამიანების შეცვლით — ეს მისი ყველაზე თვალშისაცემი მნიშვნელობაა. მაგრამ თუ ის ძალიან ზოგადია იმისთვის, რომ იყოს მცდარი, ასევე ძალიან ზოგადია იმისთვის, რომ იყოს საინტერესო. არც კი ვიცით, როგორ შეიძლება საწინააღმდეგოს დამტკიცება. თუ არ ხდება რევოლუცია, ეს ნიშნავს, რომ ელიტის ცირკულაცია კარგად მიმდინარეობს. თუკი შეიცვლება რეჟიმი, ამას ახსნიან იმით, რომ ძველი ელიტა შეცვალა ახალმა. აქ იგივე ხდება, რაც ისთონის მიერ შემოთავაზებული სისტემის წონასწორობის ანალიზში და სიმეტრიულობის მიზეზით მსჯელობა არის წრიული და არა წინასწარმეტყველური: თუნდაც აღინიშნებოდეს ელიტის ცირკულაციის ბლოკირება, არასდროს არის ცნობილი ამას მოჰყვება თუ არა რევოლუცია, თუ უწონასწორობა აღმოიფხვრება სხვა გზით. პარეტოს თეორია იწყება დეტერმინისტული ვარაუდებით და მთავრდება ინდეტერმინისტული შედეგით. ის ადასტურებს შემთხვევითობის გავლენას ისტორიაზე, თუმცა არ იძლევა დასაბუთებულ მიზეზებს.

97. პოლიტიკური განვითარება. — ბოლოს უნდა შევეხოთ რამდენიმე სიტყვით თემას, რომელსაც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დიდი წარმატება ჰქონდა. ლაპარაკია პოლი-

---

[29] იხ.n°39

ტიკური განვითარების ცნებაზე. ის სათავეს იღებს ეკონომიკური განვითარების მოდელების იმიტაციისგან. ასეთი გადატანა ორ პოსტულატს ეყრდნობა. პირველი არის ის, რომ შესაძლებელია შინაარსი მიეცეს განვითარების იდეას პოლიტიკურ სფეროში. მეორეა ის, რომ განვითარება გადის თანმიმდევრულ, აუცილებელ ფაზებს.

პირველი პოსტულატი მეტად სადავოა იმ განსხვავებების გამო, რომელიც ყოფა, როგორც ვნახეთ, პოლიტიკურ სამყაროს და ეკონომიკურ სამყაროს. ეკონომიკის შემთხვევაში ეს აზრი თავიდანვე გასაგებია, რადგან არსებობს კრიტერიუმები, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური მიღწევების გაზომვის საშუალებას იძლევა: მაგალითად, ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდა. რა ეკვივალენტის შეთავაზება შეიძლება პოლიტიკური თვალსაზრისით? ამერიკელი ავტორების აზრით, რომლებმაც მოახდინეს თემის პოპულარიზაცია, პოლიტიკური განვითარების კრიტერიუმი არის დემოკრატიის დამყარება დასავლური და თანამედროვე მნიშვნელობით. მაგრამ გარდა ამისა, რომ ეს ცნება არ არის ძალიან ნათელი, ის დადის ობიექტურად თვითნებურ შეფასებით მსჯელობამდე. მეორე პოსტულატი ამ თვითნებობას მეორესაც უმატებს: ის გულისხმობს სწორხაზოვან განვითარებას, რომელიც უგულებელყოფს შემთხვევითობას და რეალური ისტორიის უკან მიბრუნებას. პოლიტიკური განვითარების ცნება ზარალდება ისტორიის დეტერმინისტული და ფინალისტური თეორიების ყველა უარყოფითი მხარით. ამით ის ჰგავს, მიუხედავად ძალიან განსხვავებული ვარაუდებისა, მარქსისტულ დოქტრინას.

არც ისე მყარ ინტელექტუალურ საფუძველზე დაფუძნებული აღნიშნული თეორია ნაკლებად დამაჯერებელ შედეგებს იძლევა. ავტორები შეეცადენ გამოეკვეთათ პოლიტიკური განვითარების პარამეტრები, რომლებიც ამავე დროს ფარული წინასწარმეტყველები იყვნენ: მაგალითად ითვლებოდა, რომ საზოგადოებები ყოველთვის ვითარდება სტრუქტურული დიფერენციაციის უფრო მაღალი მაჩვენებლისკენ. სხვა სიტყვებით, მრავალფუნქციურმა ორგანოებმა, რომლებიც ერთდროულად ასრულებენ სამთავრობო, ადმინისტრაციულ, საინფორმაციო და სოციალურ მოვალეობებს, ადგილი უნდა დაუთმონ ფუნქციების განაწილებას და დასავლური საზოგადოებების ანალოგიურ კომპეტენციებს. მეორე წინასწარმეტყველება ეხებოდა სოციალური თანასწორობის პროგრესს, რომელიც უკავშირდება ხალხის მონაწილეობის ზრდას სახელმწიფო საქმეებში. ამტკიცებდნენ ასევე, რომ განვითარების მომენტში სისტემას უნდა გაეძლიერებინა თავისი უნარი განახლების, მოქალაქეთა მობილიზების და მათი მისწრაფებების გათვალისწინებისა. ან კიდევ, ითვალისწინებდნენ კულტურულ სეკულარიზაციას, ე.ი. რაციონალური და პრაგმატული აზროვნების განმტკიცების სასარგებლოდ, რელიგიების და იდეოლოგიების თანდათანობით მეორე პლანზე გადაწევას. არც ერთი ეს მტკიცება არ იყო აბსურდული თავისი არსით: მრავალი დასაბუთებული ფაქტის მოყვანა შეიძლება მათ გასამყარებლად, მაგრამ სხვადასხვა მოვლენების წყებამ ბევრი საპირისპირო მაგალითი წარმოაჩინა: მრავალფუნქციური დიქტატურების არსებობის გაგრძელება, მასების უკურნებელი აპათია, ტრადიციულ რელიგიებთან ძნელად დაბრუნება და ძალიან ზოგადად, მესამე სამყაროს საზოგადოებების მიერ დასავლურ მოდელებზე უარის თქმა. რეალური ფაქტებით განზოგადებული ანალიზები მარცხით დამთავრდა. იმ მექანიზმის ანალოგიურით, რომელსაც კულტურისა და პოლიტიკური სოციალიზაციის განხილვისას დავაკვირდით, მივიღეთ გამოურკვეველი სპეციფიკურის რევანში ზოგადზე, რომელიც ითვლებოდა გარკვეულად.

98. ისტორიასთან მიბრუნება? — თეორიული დამუშავების მარცხმა, ყოველ შემთხვევაში შედარებითმა, გამოიწვია სოციალური მეცნიერებების კრიზისი ზოგადად და პოლიტიკური მეცნიერების კონკრეტულად. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაისვა კითხვა, ამ თავში განხილული საკითხები ხომ არ განეკუთვნება ისტორიის სფეროს, რომელიც არისტოტელედან მოყოლებული ითვლება ისეთი მოვლენების ცოდნად, რომელიც არ მეორდება და რომლისგანაც ვერ შეძლებენ მეცნიერების შექმნას. მართალია ზოგიერთ სფეროში გადაუჭრელი საკითხები დიაქრონული ტერმინოლოგიით, ადვილად გასაგები ხდება, ოღონდაც ისინი მოექცეს ისტორიის სფეროში. მაგრამ საჭიროა დავასკვნათ პოლიტიკური მეცნიერების უუნარობა? ჩვენ ზემოთ ვნახეთ თუ როგორ უფრთხიან სოციალური მეცნიერებების სპეციალისტები ისტორიის ბატონობას: გამოთქმული სკეპტიციზმი შესწავლილი იქნეს საზოგადოებები ისტორიული კვლევისგან განსხვავებით, იქნება უპირობო უკან დაბრუნება, თუკი იგივე მეტაფორას გამოვიყენებთ.

ამ მცდელობასთან დაკავშირებით ორი შენიშვნა არსებობს. ჯერ ერთი, თუ პოლიტიკური მეცნიერების ზოგიერთი თეორია წარუმატებელი აღმოჩნდა, ეს იმ მიზეზით მოხდა, რომ მათი ამბიცია თავიდანვე უგუნურობა იყო. იმის მტკიცება, რომ მცირერიცხოვან ცვლადებზე დაყრდნობით მთლიანობაში გაანალიზდება ისტორიული განვითარება კულტურული და სოციალური კონტექსტების ფონზე, წინასწარ წაგებული ნიძლავი იყო. პოლიტიკური მეცნიერების ანალიზებში სპეციფიკურის ჩართვა აუცილებელი ნაბიჯია, მაგრამ ეს საღი აზრის საფუძველზე ხდება. გადაჭარბებულია აქედან დავასკვნათ პოლიტიკური მეცნიერების თეორიული არამართლზომიერება.

მეორე, თვითონ ისტორია განახლებული იქნა სოციალური მეცნიერებების წვლილით. მათ დასვეს ახალი კითხვები და ისტორიკოსებს მიაწოდეს ცნებები, რომელიც აღებული არ იყო მათი პრობლემატიკიდან. დისციპლინებს შორის ამგვარი გაცვლები ორი მიმართულებით მიმდინარეობს. მთელის შეცნობა მიიღწევა მხოლოდ დეტალების ცოდნით, მაგრამ დეტალების ცოდნა თავისთავად განპირობებულია კონცეპტუალიზაციით, რომელიც გულისხმობს ზოგად და აბსტრაქტულ მიდგომას, რის გარეშეც ის მხოლოდ მონაცემების უბრალო გამეორებაა. კვლევის ერთი და იგივე ობიექტთან მიმართებაში გამოყენებული ისტორია და პოლიტიკური მეცნიერება ერთმანეთს ამდიდრებს. ისინი ერთდროულად კონკურენტებიც არიან და ერთმანეთსაც ავსებენ. მათ მიერ შესწავლილი მოვლენების წვდომისათვის აუცილებელია მათი პარალელური სვლა.

თავი IV. პოლიტიკური იდეოლოგიები

99. ტერმინი "იდეოლოგიის" გამოყენებით გამოწვეული პრობლემები. — პოლიტიკურ მეცნიერებაში ცოტა სიტყვას თუ აქვს ისე ფართო და ამავე დროს ბუნდოვანი შენაარსი, როგორც სიტყვა „იდეოლოგიას". ავტორებისა და სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით ის არა მარტო განსხვავებულ რეალობებს აღნიშნავს, არამედ წინააღმდეგობრივ ცნებებსაც. მისი გამოყენება ხან ნეიტრალურია, ხან საქებარი, ხანაც კნინობითი. „იდეოლოგიას" აპირისპირებენ „ჭეშმარიტებასთან", მაგრამ მას იმის საჩვენებლადაც იყენებენ, რომ ჭეშმარიტების ცნება დაცლილია აზრისაგან. მასში იგულისხმება რთული, სტრუქტურული, ინტელექტუალური კონსტრუქციები, რომელიც ერთი ან რამდენიმე ავტორის შემოქმედების ნაყოფია (მაგალითად მარქსიზმი) ან ადამიანთა მიერ სამყაროზე ცუდად დამუშავებული კონცეფციები.

ასეთ პირობებში დიდია ცთუნება უბრალოდ აიკრძალოს ეს ტერმინი: სიტყვის უარყოფა ხდება იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნეს გაუგებრობები, მნიშვნელობის დამახინჯება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მკითხველის შეცდომაში შეყვანა. ჩვენ ამ გზას არ ავირჩევთ და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

პირველი, ამგვარი ტიპის ტერმინოლოგიური სიახლე უარყოფითიც კი, ეფექტს ვერ ახდენს თუ ის რჩება პიროვნული ინიციატივის დონეზე: ალბათ უმჯობესი იქნება „იდეოლოგიის" ახსნა იმისათვის, რომ შევძლოთ გადმოვცეთ მეტყველებაში ჩამოყალიბებული ის მნიშვნელობები, რომელსაც მეტყველება ხან იყენებს ხან არა. აქვე საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ამით პრობლემის სირთულე შემცირების ნაცვლად იზრდება.

მეორე და a contrario, მიღწეულიც რომ იქნეს კონსენსუსი სიტყვა იდეოლოგიის ხმარებიდან ამოღების თაობაზე, ამ სიტყვას შეჩვეული მკითხველისათვის ნაკლებად გასაგები გახდება მის გარშემო დამუშავებული ლიტერატურა: რაოდენობრივადაც და თვისობრივადაც ეს დიდი დანაკარგი იქნება და პედაგოგიურ ნაშრომში ამას ვერ დავუშვებთ, რადგანაც არსებული ცოდნის განახლებამდე საჭიროა მისი გაგება და ათვისება.

მესამე, არ არის გამოკვეთილი, რომ სიტყვა „იდეოლოგიას" მხოლოდ უარყოფითი მხარეები აქვს. მართლაც, შესაძლოა უფრო სპეციფიკური ტერმინები ნაკლებად გამაერთიანებელი იყოს: ისინი განასხვავებდა ერთმანეთისაგან თავისთავად განსხვავებულ მოვლენებს, რომელთაც ექნებოდა საერთო ნიშნები: რელიგია, პოლიტიკური თეორია, შედარებითი ღირებულებების სისტემა გონების ისეთი კონსტრუქციებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება წარმოშობით, შინაარსით, საბოლოო ექსპლიციტური მიზნებით; თუმცა გარკვეულ დონემდე ისინი ერთნაირად ფუნქციონირებს და იდენტურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სიტყვა „იდეოლოგიას" გააჩნია ამ მთლიანობის გამოხატვის უპირატესობა. პრაქტიკაში სიტყვის უარყოფა არ მოხდება, მაგრამ სანამ უფრო შორს წავალთ, მნიშვნელოვანია სიტყვა შხამისაგან დავცალოთ. სხვაგვარად

რომ ვთქვათ, საჭიროა ნათლად წარმოვაჩინოთ მისი სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება და გავფანტოთ შესაძლებელი ორაზროვნება.

ნაწილი I. სიტყვა „იდეოლოგიის" სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება

100. წარმოშობა და თავდაპირველი მნიშვნელობა. — ტერმინი „იდეოლოგია" XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა; მის ავტორობას ანტუან დესტუტ დე ტრასის მიაწერენ და მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „მეცნიერება იდეებზე". სიტყვა ირეკლავს და აკონტროლებს კარგად გამოკვეთილი ეპოქისა და წრის სულისკვეთებებს.

„იდეოლოგები" (ეს სიტყვა თავიდან მათი მტრების მიერ იყო გამოყენებული და უარყოფითი დატვირთვა ჰქონდა), განმანათლებელთა ეპოქის ფილოსოფიის მემკვიდრეები, რეოლუციას ეძხრობოდნენ, თუმცა ეწინააღმდეგებოდნენ ტერორს. ინტელექტუალებს (რის გამოც მათ ვერ იტანდა ნაპოლეონი) ჰქონდათ საკუთარი ამბიციური და ექსპლიციტური პროგრამა. მათ სურდათ ადამიანის ფიზიკურ ბუნებაზე ჩატარებული კვლევები გაეშალათ ინტელექტუალურ ფაქტებზე იგივე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით. ისინი განმსჭვალულნი იყვნენ კონდილიაკის ნაშრომით, რომელიც შესაძლებლად თვლიდა მენტალური ფენომენების მთლიანობის ახსნას შეგრძნებებით. ხშირად ისინი მატერიალისტურ პროგრამას ეყრდნობოდნენ: მათ სურდათ აეხსნათ აზრები ადამიანის ცხოვრების ობიექტური, ფიზიკური და სოციალური პირობებით. ამასთანავე საკითხის სირთულე, რომელიც a priori შესაძლებელს ხდიდა განსხვავებულ მიდგომებს, მათ პროექტს პირველ ორაზროვნებას ანიჭებდა და ჩამოყალიბდა სპირიტუალისტური მიმართულების მეცნიერება იდეებზე, რისი ილუსტრაციაც მენ დე ბირანის ნაშრომი იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მაინც იდეოლოგების პროგრამის მეორე ორაზროვნებას მოჰყვა. მართლაც, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით იდეოლოგია სრულიად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც დღეს ამ ტერმინში იგულისხმება. სიტყვა აღარ აღნიშნავდა მოვლენებს, ის აღნიშნავდა მეცნიერებას მოვლენებზე. მნიშვნელობის თანდათანობით შეცვლით ის მეორიდან პირველში გადავიდა, ისევე როგორც სიტყვა „მედიცინა" ჩამოყალიბდა საბოლოოდ, როგორც ავადმყოფობების მთლიანობის აღმნიშვნელი ტერმინი. ასეთი a priori უცნაური ევოლუცია იმ ფაქტით აიხსნება, რომ „იდეოლოგების" ძალისხმევა მხოლოდ ობიექტური ცოდნის მიღებისკენ არ იყო მიმართული (თუმცა ამას ამტკიცებდნენ, მაგრამ ალბათ საპირისპირო სწამდათ). „მეცნიერება იდეებზე" მათთვის მხოლოდ მიზანი კი არა, არამედ ადამიანთა აზრებისა და ქცევების გაგების საშუალებაც იყო, მათი შეცვლის განზრახვით. მას უნდა გაეადვილებინა რაციონალური სოციალური წყობის გამარჯვება, ვინაიდან ითვლებოდა ანალიზის გაკეთებისა და იმ წინააღმდეგობის შემცირების საშუალად, რომელიც არსებობდა სოციალური ცვლილებების მიმართ და გამოიხატა კიდეც ვანდეელი გლეხების რევოლუციისადმი მტრულ დამოკიდებულებაში. „იდეოლოგების" იმპლიციტური პოსტულატი, ტიპური განმანათლებელთა ეპოქის ფილოსოფიისათვის, მდგომარეობდა იმაში, რომ ილუზიების გასაფანტად მათი სათავის პოვნა იყო საკმარისი: გონების გამოღვიძება მოსპობდა გაუგებრობებს.

ჩვენ ვხედავთ თუ როგორ გადავიდა „იდეოლოგია" ფორმიდან შინაარსზე. თუ იმ პოსტულატს გამოვრიცხავთ, რომელიც იდეოლოგების იდეების, შეხედულებების და ღირებულებების მთლიანობას უკავშირებს გონების კულტს, მათი მსჯელობა აღარ იქნება მეცნიერული და გადაიქცევა იდეოლოგიურად მეორე მნიშვნელობით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის აღარ არის აღიარებული ჭეშმარიტება, არამედ ეპოქით, სოციალური წრით, ინტერესებითა და წინასწარშექმნილი აზრებით განპირობებული სიტყვაა.

იდეოლოგების იდეოლოგიის არასასიამოვნო თავგადასავალს მხოლოდ ისტორიული ღირებულება ექნებოდა, მასში რომ არ იკვეთებოდეს იდეოლოგიაზე მსჯელობის მთელი ფუნდამენტური პრობლემატიკა: შესაძლებელია იდეოლოგიის შექმნა როგორც მეცნიერებისა იდეებზე, ისე რომ ის არ იყოს ამავე დროს იდეოლოგია ტერმინის თანამედროვე გაგებით? ამ ცნების გარდაქმნებმა მარქსისტული გაგებით ძალიან კარგად წარმოაჩინა ეს სირთულე.

101. იდეოლოგია და მარქსიზმი. -- მარქსისთვის იდეოლოგიის ცნებას ძალიან მკაფიო მნიშვნელობა აქვს. იდეოლოგია აღარ არის მეცნიერება იდეებზე, არამედ სოციალური სუბიექტის მიერ შექმნილი თეორიებისა და ღირებულებების ერთობლიობაა, რომელიც მათ მატერიალურ მდგომარეობას ირეკლავს. ამას ორი შედეგი აქვს. ჯერ ერთი, იდეოლოგია არ არის ადამიანის თავისუფალი და უანგარო მსჯელობა სოციალურ სამყაროზე. ის განპირობებულია ადამიანის ყოფის ობიექტური პირობებით, ე.ი. სოციალური ურთიერთობებით, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია ეკონომიკური პირობებით. თავისუფლების გრძნობა, რომელსაც ადამიანები განიცდიან სოციალურ სამყაროზე ფიქრისას, ილუზიაა. მაგრამ იდეოლოგია მარტო განსაზღვრული როდია: ის ამავე დროს მცდარია. კლასობრივი მდგომარეობის გაუცნობიერებელი პროდუქტი, ის აუცილებლად რეალობის დამახინჯებული ხედვაა. მაგალითად, ბურჟუაზიული იდეოლოგია ქმნის დემოკრატიის ცნებას (მარქსი მას აფასებს, როგორც ფორმალურს), რომელიც ადამიანებს მოუტანს თავისუფლებასა და თანასწორობას, მაშინ როცა სოციალური ურთიერთობების რეალობა მათ უმეტეს ნაწილს — პროლეტარიატს აგდებს უკიდურესი სიღარიბისა და სრული დამოკიდებულების მდგომარეობაში კაპიტალის მფლობელთან. აქედან გამომდინარეობს, რომ იდეოლოგიას აქვს გარეგნული ფორმა, რეალობა და ფუნქცია. გარეგნული ფორმა არის რთული, ორგანიზებული, ფართოდ გაშლილი ინტელექტუალური სისტემა, რომელსაც თითქოს აქვს ობიექტურობისა და რაციონალურობის ყველა გარანტია. რეალობა არის ის, რომ ეს სისტემა არის მცდარი ანალიზი, რომლის მცდარობაც ვლინდება ჭეშმარიტად მეცნიერული თეორიის ნაყოფთან შედარებისას. ბოლოს, იდეოლოგიას აქვს ფუნქცია, რაც შენიღბვაში მდგომარეობს: ის ქმნის ეკრანს რეალობასა და სუბიექტების ცნობიერებას შორის. სოციალური წყობის მსხვერპლნი ტყუვდებიან მისი ნამდვილი ბუნების თაობაზე და მას ღებულობენ როგორც ბუნებრივ რეალობას. ასეთი მისტიფიკაციით რომ არ იყვნენ გაბრიყვებული, შეძლებდნენ მის შეცვლას თავის სასარგებლოდ. სოციალური წყობით მოგების მიმღებნი თვითონაც მოტყუებულნი არიან თავიანთი თვითგამართლების სისტემით: მათ საკუთარი არაკების სჯერათ და ავიწყდებათ, რომ ექსპლუატატორები არიან. ექსპლუატირებულთა მდგომარეობაზე პასუხისმგებლად მათ გამოყავთ ღმერთი, ბუნება ან შემთხვევა, ეს მდგომარეობა კი მხოლოდ მათი პრივილეგიების მეორე მხარეა. ამავე დროს, მეორე შემთხვევაში, იდეებისა და ინტერესების თანხვედრა საეჭვო ჩანს და მარქსისტული დოქტრინა მერყეობს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ობიექტივისტურ და სუბიექტივისტურ ხედვას შორის. ის ხანდახან წარმოდგენილია, როგორც შეგნებული მისტიფიკაცია: ინტერპრეტაცია, რომელიც მორალური განსჯის უპირატესობაა. ბურჟუები არა მარტო მავნებლები, არამედ ბოროტებიც არიან. ასეთი ხედვა არ არის მთლად მარქსის მოსაზრების ამსახველი, თუმცა აშკარაა მისი პოლემიკური უპირატესობა. რაც არ უნდა იყოს, მთავარი ის არის, რომ ასეთ ანალიზში იდეოლოგია იღებს აბსოლუტურად უარყოფით მნიშვნელობას. ის არის უნიჭო ინდივიდების „მცდარი ცნობიერება", გამომდინარე მათი კლასობრივი მდგომარეობიდან, დაინახონ სამყარო ისეთი, როგორიც არის.

რა შეიძლება ვიფიქროთ ასეთ თეორიაზე? როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მარქსთან, ეს თეორია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არის სისტემატიზაცია, რომელიც მის მიერ გამოყენებულ ექსტრაპოლაციის პროცესში, ერთდროულად პოულობს თავის დინამიზმს, ხიბლს და მისი უარყოფის პირობებს. აშკარაა ის ფაქტი, რომ სოციალური ჯგუფები და პიროვნებები შეიმუშავებენ თეორიებს, რომელთა მიზანიცაა მათი მდგომარეობისა და ქცევების გამართლება. ეს თეორიები იმსახურებს განხილვას, მაგრამ როგორც კონსტატაცია ვერ ცდება ერების სიბრძნის დონეს. ის, რომ მატერიალური ფაქტორები განაპირობებს ცნობიერებას მეტაფიზიკური პოსტულატია, დაუმტკიცებელი და საეჭვოდ აზრისაგან დაცლილი და მისი ევრისტიკული ეფექტურობა დღეს ძალიან შეზღუდული ჩანს. მაგრამ, რაც მთავარია, მარქსის მიერ შემუშავებული იდეოლოგიის თეორია აწყდება გადაულახავ საწინააღმდეგო აზრს. თუ ცნობიერება განსაზღვრულია ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ შეუძლებელია ისეთი ანალიზის გაკეთება, რომელიც სცილდება არასრულ და მიკერძოებულ შეხედულებას, რაც თითოეულ მოქალაქეს აქვს თავისი კლასობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება მარქსიზმი დაეფუძნოს სიმართლეს? იდეოლოგია, უარყოფითი მნიშვნელობით შექმნილია მხოლოდ მართალ ცოდნასთან შედარებით, მაგრამ მარქსიზმი ამის შექმნას ხდის ისევე შეუძლებელს, როგორც აუცილებელს. კრიტიკა საკუთარი თავის წინააღმდეგ ტრიალდება

და მარქსისტული სოციალიზმის „მეცნიერული" ხასიათი წარმოჩნდება მხოლოდ როგორც სამხედრო სახელმწიფოს მიერ გარანტირებული რწმენის საგანი ან დაუსაბუთებელი მტკიცება.

მარქსის ინტელექტუალური განსჯის სიმყიფე გასაგებს ხდის ლენინის მიერ განხორციელებულ გადახვევებს. მარქსისგან განსხვავებით, რომელიც დიდი მოაზროვნე იყო, ლენინი დოგმატური აზროვნებით გამოირჩეოდა, მას არ შეეძლო დოქტრინის ეჭვქვეშ დაყენება და მხოლოდ მოქმედება აინტერესებდა. მისთვის იდეები მხოლოდ საშუალებები იყო და მათ ღირებულებას ზომავდა არა მათი სისწორით, არამედ მათი ეფექტურობით. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მან მოსხიპა მარქსის თეორიის მიერ დაყენებული საკითხები და იდეოლოგიებს მიიჩნევდა სოციალური ბრძოლის ინტელექტუალურ იარაღად, რომელიც ავსებდა და ახანგრძლივებდა უბრალოდ იარაღის გამოყენებას. ასეთ დამოკიდებულებას ორი შედეგი აქვს. ჯერ ერთი, სიმართლის საკითხს აღარ აქვს აზრი: ერთი იარაღი არ არის უფრო გამართლებული ვიდრე მეორე, უბრალოდ უფრო მომაკვდინებელია. პროლეტარიატის იდეოლოგია არ არის მართალი, რადგან ის არის პროლეტარიატის იდეოლოგია (მტკიცება, რომლის სისწორე ძნელი დასამტკიცებელია), მაგრამ ის არის გამარჯვებული კლასის იდეოლოგია, იმ პირობით, რომ ეს კლასი იმარჯვებს სწორედ ამ იდეოლოგიის ხელშეწყობით. აქედან გამომდინარეობს ის, რომ იმდენად რამდენადაც სოციალური ბრძოლების მოგება ძირითადად იდეებით არ ხდება და ლენინმა ეს სხვაზე უკეთ იცოდა, იდეოლოგიის ღირებულება საბოლოო ჯამში განისაზღვრება იმ მატერიალური ძალით, რომელიც მას მხარს უჭერს. მეორე, იდეოლოგიის ცნება კარგავს ყოველგვარ უარყოფით მნიშვნელობას, როდესაც ის პროლეტარიატის იდეოლოგიად ითვლება. სიტყვა მთლიანად ქება-დიდების გამომხატველია: ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მის გამოყენებას დავაკვირდებით აწ გარდაცვლილ საბჭოთა კავშირში.

102. ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ? — ბოლოს, უნდა აღინიშნოს სიტყვა „იდეოლოგიის" ახალი მნიშვნელობა ან უფრო სწორედ ახალი განმარტება. ის არ გამომდინარეობს ერთი ან რამდენიმე ავტორის ნაშრომიდან წინა მნიშვნელობების მსგავსად, არამედ უფრო ინტელექტუალური ატმოსფეროს, იმანენტური „ფილოსოფიის" ნაყოფია, რომელიც დღეს შეიძლება მოძველებულია, მაგრამ რომელიც მეფობდა ომისშემდგომ პერიოდში ევროპის (ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის) ინტელექტუალების მენტალურ სამყაროში. გონების ეს უცნაური განწყობა, რომელიც იმსახურებს ეწოდოს იდეოლოგია, არათანაბარი ნაწილებისგან შედგებოდა, რომელიც ასევე უთანასწოროდ იცვლებოდა დროის მიხედვით. ეს იყო მარქსიზმი, ფსიქოანალიზი, სტრუქტურალიზმი, ენათმეცნიერება, ყველა დოქტრინა თავისი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე, როცა რაციონალური აზროვნების ელემენტარული წესებიც უგულებელყოფილია და უბრალო სიტყვების რახარუხია. ამგვარი აზროვნების ერთ-ერთი ნიშანი, ბევრ სხვა ნიშანს შორის, ე.წ. „იმპლიციტური იდეოლოგიის" გამოგონება იყო, რომელსაც ავტორები მხოლოდ იდეოლოგიას უწოდებდნენ და არ მიუთითებდნენ იმაზე, რომ ტერმინს სრულიად ახალ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და აგრძელებდნენ მისი ტრადიციული მნიშვნელობით გამოყენებას. მართლაც, ეჭვი არავის ეპარებოდა მანამდე, რომ იდეოლოგია იდეებისგან, გონების წარმოსახვისგან შედგება და მისი გამავრცელებლები აცნობიერებენ თავის მოქმედებას. რა თქმა უნდა, ამგვარი აქტივობის ნაყოფი მათთვის აუცილებლად იდეოლოგია არ არის. მათ შეუძლიათ ის მიიჩნიონ მეცნიერებად, საღ აზრად ან საგნების ბუნებად. მაგრამ, თუ ითვლებოდა, რომ მათ შეეძლოთ იდეოლოგიის შექმნა ამ სახელწოდების მინიჭების გარეშე, არ ეგონათ, რომ მათ ამის გაკეთება შეეძლოთ იმის გაუცნობიერებლად, რომ რაღაცას ქმნიდნენ. დოქტრინა, რწმენა, სამყაროს გაუცნობიერებული ხედვა თითქოს წინააღმდეგობაში იყო ტერმინებთან. იმ ავტორების მოქმედება, რომლებსაც ჩვენ შევეხებით, დაამსხვრევს ამ სიცხადეს. ისინი შეეცდებიან არა იდეების, არამედ სხვა სფეროებში გაშიფრონ იმპლიციტური, გაუცნობიერებელი ან ნახევრად გაუცნობიერებელი იდეოლოგია და ამგვარად, ჩაცმის მანერაში, პლასტიკურ ხელოვნებაში, მუსიკაში აღმოაჩინონ იდეოლოგია და ის სხვა მოვლენები, რომელთაც ერთი საერთო უარყოფითი ნიშანი აქვთ: ისინი საერთო ენის გამოყენების გარეშე ფუნქციონირებს. არავინ ეწინააღმდეგება ბუნებრივია იმ აზრს, რომ ამ სფეროებში შეიძლება ექსპლიციტურად იყოს ჩადებული იდეოლოგია: დირექტორიის პერიოდის მოდის მიმდევრები, თავიანთ ჩაცმულობას ზუსტ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ. დავიდის „ბონაპარტი ალპებზე გადასვლისას" საიმპერატორო პროპაგანდის აშკარა მატარებელია. იგივე შეიძლება ითქვას „ოდა ოქტომბრის რევოლუციას" ან „ხუთწლიანი გეგმის სადიდებელი კანტატის"

თაობაზე. საჭიროა იმის გარკვევა რამდენად ლეგიტიმურია ამ სფეროების ქმნილებებში აშკარად გამოხატული იდეოლოგიის ძებნა, რომელიც უნებლიედ ახსნიდა მათი ავტორების ობიექტურ მდგომარეობას.

ამგვარი მოქმედება გაშუქებულია როლან ბარტის „მითოლოგიაში", რომელიც ყველაზე საინტერესოდ და კარიკატურულად ასახავს ამ ლიტერატურას. აქ აღწერილია, მაგალითად, თუ როგორ ასახავს ამერიკული ჭიდაობის მატჩები ან ჰოლივუდის მსახიობების ოფლის წვეთები ბურჟუაზიულ იდეოლოგიას თავისი საშინელებებით და ფეტიშებით. გამოყენებული მეთოდის არსი მდგომარეობს მნიშვნელოვნად მიჩნეული ფაქტების გამოცალკევებასა და აღწერაში. შემდეგ ეს ფაქტები განხილულია ინტერპრეტაციის საერთო და უხილავი პრინციპით, რომელიც გამოკვეთილია ავტორის განსაკუთრებული გამჭრიახობის წყალობით. ინტერპრეტაციის ეს პრინციპი მიჩნეულია როგორც მისი შემქმნელების იდეოლოგია (იმპლიციტური).

პროცესი, როგორც ვხედავთ, თავისთავად არ არის აბსურდული. თუმცა მისი გამოყენება ძალიან საფრთხილოა, რადგანაც დიდია თვითნებობის საშიშროება: მოვლენების შეფასება და შეგროვება, მათი მისადაგება ნავარაუდევი იდეოლოგიისათვის, არჩევანი, შიდა სტრუქტურა, მისი საზღვრები — ყველა ამ საკითხში თეორიული არჩევანი მრავალრიცხოვანი და სუსტად განსაზღვრულია. გადაწყვეტილებებში ვერ ჩაერევა ვერავითარი გარე პრინციპი, რადგან აქ საქმე ეხება იმპლიციტურს, ქვეცნობიერს და შენიღბულს. აქ მხოლოდ ყოვლისმცოდნე გამშიფრავის თეორიული ინტუიცია აგრძელებს არსებობას.

მეორე სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი მოქმედებების თეორიულმა საფუძვლებმა მარცხი განიცადა. ავტორები, რომლებიც აპირებდნენ მათ აყვანას მეცნიერულ რანგში ორ, ერთმანეთთან ხელოვნურად დაკავშირებულ მტკიცებულებას ეყრდნობოდნენ, ენათმეცნიერებას და ფსიქოანალიზს. ისინი მართლაც თვლიდნენ, რომ ის სისტემები, რომელთა გაანალიზებაც სურდათ, მაგალითად მოდა, აგებული იყო ენის მსგავსად და ამიტომაც შესაძლებელი იყო მათ მიმართ ანალიზის იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც ენათმეცნიერებაში განსაკუთრებულად სარწმუნო იყო. სამწუხაროდ, ნამდვილმა ენათმეცნიერებმა უარი განაცხადეს ამის მხარდაჭერაზე. მათ დაამტკიცეს, რაც სულაც არ იყო ძნელი, რომ მეტყველებასთან ნიშნების სისტემად თვითნებურად ჩამოყალიბებული ფაქტების ასიმილაცია, რომელიც არ არის მისი არც ერთი ნიშნის მატარებელი, აბსოლუტურად უსაფუძვლოა. მოდა, პლასტიკური ხელოვნება გამომდინარეობს ეშპრესიიდან, რაც საკუთარი თავის გამოხატულებაა. ისინი არ ქმნის კომუნიკაციის ვექტორებს: მათში არ არის სურვილი გამგზავნის შეტყობინება გადაეცეს ადრესატს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა იმ მოსაზრების მხარდაჭერა, რომ ენები, რომლებზეც საუბარია, არიან უხილავი და ქვეცნობიერი იდეოლოგიის მატარებლები. თუ მოდა და ხელოვნება არ არის ენა, ჰიპოთეზა კარგავს ყოველგვარ დამაჯერებლობას. რაც შეეხება ფსიქოანალიზს, ის გვაწოდებდა აზრს პიროვნებების მატერიალურად გამოხატულ, შესაბამისად, ახსნას დაქვემდებარებულ, თუმცა ქვეცნობიერ ჩანაფიქრზე. ერთადერთი უარყოფითი მომენტი აქ იყო ის, რომ ეს ნებისმიერი რამის თქმის საშუალებას იძლეოდა. შესწავლილი რეალობის გადაუმოწმებელი ინტერპრეტაციებით ჩანაცვლებით ხდება ცოდნის ყველა კრიტერიუმის უკუგდება და ინტერპრეტატორების ინტუიციაზე მინდობა. ეს არის რაციონალურობის ობიექტური და მნიშვნელოვანი რეგრესი.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი შედეგი, თუმცა უარყოფითი: საკმარისი არ არის მატერიალურ ფაქტებს ან პრაქტიკას მიენიჭოს იდეოლოგიის ცნება. რა თქმა უნდა, იდეოლოგიას შეუძლია შედეგების გამოწვევა ქცევებსა თუ მოვლენებში. მაგრამ აქ უნდა გაირკვეს ასეთ შემთხვევაში არის თუ არა ის მოქმედი მიზეზი თუ მხოლოდ საფარის და რაციონალიზაციის საშუალებაა. სამაგიეროდ, არ შეიძლება დავუშვათ იდეოლოგიის არსებობა თვითნებურად შეკრებილ ფაქტებზე დაყრდნობით. იდეოლოგია არ იგულისხმება. ის ცნობილი უნდა გახდეს უშუალოდ როგორც მენტალური ფაქტი. აზრი არა აქვს ამ სიტყვის გამოყენებას სხვა რამესთან დაკავშირებით, რადგან ამის გაკეთებით არ იზრდება მისი ანალიზის უნარი. ამით, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ უხერულობა იქმნება.

103. პოლიტიკური იდეოლოგიები და რელიგიური იდეოლოგიები. — როგორც ვხედავთ, არ არის საჭირო იდეოლოგიის ცნების განვრცობა და მისი გამოყენება ყველაფერთან დაკავშირებით. ამით ის ყოველგვარ აზრს დაკარგავს. იმისათვის, რომ ცნებამ შეინარჩუნოს მნიშვნელობა და ღირებულება საჭიროა შეიზღუდოს მისი გამოყენება მკაფიოდ გამოხატული იდეების სისტემასთან.

სამაგიეროდ, საჭიროა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სამყარო არ არის ერთადერთი სფერო, სადაც აყვავებულია იდეოლოგია. იდეოლოგიისათვის ხელსაყრელი მეორე სფერო რელიგიაა, თუმცა ის მარტო იდეოლოგიით არ შემოიფარგლება. მართალია მას დოქტრინის ასპექტი აქვს, მაგრამ იყენებს გრძნობებსა და რელიგიურ რიტუალებს, რომლებიც იდეოლოგიის ხელახალი ინტერპრეტაციის მერეც განსხვავებულია.

თუ განვიხილავთ მხოლოდ რელიგიური ფენომენის თეორიულ ასპექტს, არსებობს განსხვავება პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და რელიგიურ იდეოლოგიებს შორის? იმ ნიშნების უმრავლესობა, რომელთა აღწერასაც ვაპირებთ დაახასიათებდა როგორც ერთს ისე მეორეს. აქ შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური იდეოლოგიები საერო რელიგიების სახეობაა. ამ მტკიცებულების ახსნა არ არის დამაჯერებელი, რადგან თავისთავად რელიგიის ცნება არ არის ძალიან ნათელი, თუმცა აზრს მოკლებული ნამდვილად არ არის. ამასთანავე, რელიგიური იდეოლოგიების (ყოველ შემთხვევაში სულის ხსნის დიდი დოქტრინების, რომელიც რელიგიის ხსენებისთანავე მოგვდის თავში) საგანია იმქვეყნიური ცხოვრება. მათი ქადაგების ნაწილი სრულიად უცხოა პოლიტიკური პრობლემატიკისათვის. თუმცა მეორე მხრივ, მათი მოღვაწეობის ერთადერთი საგრძნობი შედეგი ამქვეყნად მეღავნდება, საიდანაც გამომდინარეობს მრავალრიცხოვანი და რთული ურთიერთქმედებები ადამიანური ცხოვრების ასპექტებში, განსაკუთრებით პოლიტიკურ განზომილებაში. ეს სულ მცირე ერთი საკითხია, რომელიც პოლიტიკურ იდეოლოგიებს განასხვავებს რელიგიურისაგან, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ გამოცხადების რელიგიებს. მათ მართლაც შეუძლიათ გამოიყენონ მსჯელობის ისეთი თემები და ფორმები, რომ წინააღმდეგობაში არ მოექცნენ თავის პოსტულატებთან, რომლებსაც პრინციპში ვერ გამოიყენებდნენ იდეოლოგები. გამოცხადება არის სხვა სამყაროს ცოდნა, განსხვავებული ადამიანის ცოდნისაგან. ის შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ, საბოლოო ცოდნად, რომელიც ეჭვქვეშ ვერ დადგება. პოლიტიკური იდეოლოგიები ცდილობენ (და ჩვენ ამას ვნახავთ) შექმნან ჭეშმარიტებების მთლიანობა, რომელიც პრაქტიკაში ასეთივე პრინციპით მუშაობს. მაგრამ აქ განსაკვირეველია წინააღმდეგობა გამოცხადებულ ინტელექტუალურ საფუძვლებს (რომლებიც ძირითადად თავს მეცნიერებას უწოდებენ) და მიღებულ შედეგს შორის. აქვე აშკარაა, რომ იდეოლოგია მთლიანად განცალკევებულია იმ მეცნიერებისგან, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ პირველი ნაწილის პირველ თავში. ამიტომაც, მიღებული აზრისაგან განსხვავებით, იდეოლოგიები ინტელექტუალურად ნაკლებად ლოგიკური და რაციონალურია ვიდრე რელიგიები, რომელიც აქსიომურია: ისინი ლოგიკურად გამომდინარეობს თავისი პოსტულატებიდან — რომელიც შეიძლება მივიღოთ ან არა. რაც შეეხება მათ საგანს, ამქვეყნად მისი უარყოფა შეუძლებელია და მათი მიღება ან უკუგდება რწმენის საკითხია ან თუნდაც ნიძლავის, ამ სიტყვის პასკალისეული გაგებით. პოლიტიკური იდეოლოგიები პირიქით, არალოგიკურია, რადგან ისინი თვით იმ პრინციპებს უარყოფენ, რომლებსაც ითვლება, რომ ეყრდნობიან: ისინი თვლიან, რომ რაციონალურები არიან და ამავე დროს უარს ამბობენ კრიტიკაზე და ეჭვქვეშ დადგომაზე.

რელიგიური იდეოლოგიები პოლიტიკური იდეოლოგიებისაგან განსხვავდება შინაარსით და სტრუქტურით, ყოველ შემთხვევაში, ზეშთაგონებული რელიგიები. ნიშნები, რომლებსაც ახლა განვიხილავთ, პირიქით mutatis mutandis გამოიყენება ორი ტიპის აზროვნებაში, მაგრამ ჩვენი შესწავლის საგანი გვკარნახობს მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგიებით შემოვიფარგლოთ.

104. კომუნიკაციის პრივილეგირებული ადგილი ინდივიდუალურსა და კოლექტიურს შორის. — იდეოლოგიებს მართლაც გააჩნია ინდივიდუალური პოლუსი და კოლექტიური პოლუსი. ინდივიდუალური პოლუსი გამოიხატება ორი ფორმით. პირველია ის, რომ თითოეულ ინდივიდს გააჩნია უნარი შეიმუშაოს ე.წ. პერსონალური იდეოლოგია. ეს გამომდინარეობს,

როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ ნარცისიზმიდან: ადამიანს საკუთარი თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნია. ის თავის თავს ანიჭებს ერთადერთ და პერსონალურ ღირებულებას, ტკბება საკუთარი თავით, იგონებს ყველანაირ მიზეზს, რომ სხვას ემჯობინოს. თავიდან, ამგვარი ქცევა ბუნებრივია და ერთგვარად აუცილებელიც კი პიროვნების გადასარჩენად. მაგრამ ნარცისიზმს ყოველი მხრიდან ებრძვიან: თითოეული ადამიანი განიცდის უძლურებასა და მარცხს. მან როგორღაც უნდა მოიშუშოს ის ჭრილობები, რასაც რეალობა აყენებს. ხანდახან იგი ამას აღწევს მხოლოდ ყოვლისშემძლეობის ილუზორულ გრძნობაში გადავარდნით. მაგრამ ზოგადად, იგი ინარჩუნებს რეალობის შეგრძნებას და შვებას პოულობს იმ სფეროებში საქმიანობით, რაც საკუთარ ბრწყინვალებაში არწმუნებს. პერსონალურ იდეოლოგიას ხშირად არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან. მაგრამ თვითდარწმუნების ეს მექანიზმები ხშირად იგივეა, რასაც პოლიტიკური იდეოლოგიები იყენებენ. ისინი ერთი და იგივე ფორმით წარმოიქმნება, ე.ი. მსჯელობით და ერთი ან რამდენიმე პიროვნების ათვისების უნარით. რადგან არ არსებობს კოლექტიური გონი, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება ის წარმოქმნილიყო სხვაგან. ტრადიციულად ცდილობენ ხოლმე პოლიტიკური იდეოლოგია დაიყვანონ მისი ფუძემდებლის პერსონალურ იდეოლოგიამდე. მეთოდი პოლემიკურია: ის მიზნად ისახავს უარყოს ის ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, უბრალო მოტივებით, და ა.შ. ასეთი მეთოდით უფრო დიდ აბსურდამდე მისვლაც შეიძლება. მიუხედავად ამისა შენიშვნა საფუძვლიანია: რუსო გენიალური მოაზროვნეც იყო და ის თვითნასწავლი მუსიკოსიც, რომელიც ჰარმონიას გმობდა ..., რადგან მისი სწავლის შესაძლებლობა არ მისცემია.

მეორე ფორმაა, როცა ადამიანები ემხრობიან უკვე არსებულ იდეოლოგიას პირადი თვისებებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური თვითმყოფობა: თავისი ხასიათის მიხედვით ადამიანს იზიდავს ესა თუ ის დოქტრინა, რომელიც ან პასიური ან აქტიურია, ზომიერი ან ექსტრემისტულია. შეიძლება იყოს სოციალური თვითმყოფობა: მარქსიზმი უფრო ადვილად იზიდავდა მუშებს, ვიდრე მესაკუთრე გლეხებს. ინდივიდის მთლიანი პიროვნება არის ერთი რომელიმე დოქტრინის არჩევის გასაღები.

მაგრამ იდეოლოგიებს აგრეთვე გააჩნიათ *კოლექტიური პოლუსი*. თუ ლაპარაკია მიმხრობაზე, ეს იმიტომ, რომ იდეოლოგიებს აღენიშნება გარეგნული ნიშნები (არა მისი ფუძემდებლისათვის). ისინი უკვე ჩამოყალიბებულია თავისი პრინციპებით, ღირებულებებით და მიზნებით. მათ დასრულებული სახე აქვს და ჰარმონიულობისა და მთლიანობის გრძნობა, რომელსაც ისინი იწვევს იზოლირებულ ადამიანში მათ მის თვალში ანიჭებს სიძლიერეს და დიდებულებას.

იდეოლოგიები მთავარ როლს ასრულებენ პოლიტიკურ სამყაროში, რადგან სწორედ მათში ხდება ინდივიდუალურისა და კოლექტიურის შერწყმა. ისინი ადამიანში იბადებიან, შემდეგ იწვევენ ადამიანთა შეკავშირებას ან მოქცევის გზით ან გადადებით. თუ მოძრაობა მარტივდება ის გადადის მეტ-ნაკლებად გავრცობილი ადამიანთა ჯგუფების, სექტების, პარტიების კოლექტიურ აზროვნებაში. ინდივიდუალურიდან კოლექტიურში გადასვლისას ისინი ძირითადად კარგავენ ნიუანსებს, საზღვრებს, მათი შემქმნელის მიერ იქ ჩადებულ ეჭვებს. ეს კოლექტიური გაღარიბება ალბათ მათი განტვირთვის მიზეზია. ამის შემდეგ ისინი აღწევენ იმ ადამიანებამდე, რომლებსაც ჯერ არა აქვთ არჩეული იდეოლოგია და რომელთათვისაც ეს იდეოლოგიები სრულიად უცხოა. ამ თანმიმდევრული მომენტების დანაწევრება საშუალებას იძლევა გავიგოთ თუ რატომ არის იდეოლოგია გლობალური მოვლენა, მაშინ როცა სინამდვილეში ის არსებობს მხოლოდ ადამიანთა ცნობიერებაში. ამგვარად ხდება ორი სიმეტრიული საფრთხის თავიდან აცილება: კოლექტიური მოვლენების გავლენის შემცირება ინდივიდუალურ ცნობიერებაზე და იდეოლოგიების ერთდროულად პირველი და ბოლო ხასიათის უარყოფა.

105. იდეოლოგიები სამყაროს ახსნაა. — ადამიანები იბადებიან უკვე ჩამოყალიბებულ ბუნებრივ თუ სოციალურ სამყაროში. ეს სამყარო მათ არ ექვემდებარება. ის პირიქით, მათ ნებასა და სურვილებს ეწინააღმდეგება. ის პოტენციურად საშიშია. მაგრამ ასევე ის ინდეფერენტულია ადამიანის მიმართ. მუქარა ბადებს შიშს. ინდეფერენტულობა იწვევს ნარცისულ ტკივილს: თითოეულ პიროვნებას თავი მიაჩნია სამყაროს ცენტრად და იტანჯება, რომ ამ სამყაროს იგი არ აინტერესებს. ეს ორმაგი მოვლენა ორი ტიპის დამოკიდებულებას იწვევს. პირველი, ობიექტური ცოდნის დახმარებით ეფექტური მოქმედების საშუალებას იძლევა: მაგალითად ბოტანიკა გვასწავლის საკვებად ვარგისი მცენარეების ამოცნობას, ასევე მათ სამკურნალო თვისებების გამოყენებას. მეორე მიზნად ისახავს სამყაროს არსის აღმოჩენას: მისი წყალობით ადამიანი თავს

აღწევს თავის მეტაფიზიკურ მარტოობას და დიალოგს აწარმოებს უხილავ ძალებთან, რომლებიც მის ბედს მართავენ.

თანამედროვე აზროვნებისათვის ეს ორი დამოკიდებულება სიღრმისეულად განსხვავებულია. პირველი რაციონალური ჩანს და დასაბამს აძლევს მეცნიერებას. მეორე ირაციონალურია, რადგან პრეტენზია აქვს მიაღწიოს ისეთ მიზნებს, რომელიც თავისი ბუნებით მიუღწეველია ადამიანის ჩარევისათვის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თავის პრინციპში მათ საერთო მიზანი აქვთ. საკითხების არსში ჩაწვდომა და მათთვის აზრის მიცემა ორივე შემთხვევაში ნიშნავს მათზე ზემოქმედების საშუალებების მინიჭებას. რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ მეორე მოქმედება ილუზორულია. მაგრამ ეს მისი ფსიქოლოგიური ეფექტურობის არცოდნის ტოლფასია. მაგალითად, ტაბუს მექანიზმი, რომელიც კრძალავს ზოგიერთ ადგილს, საკვებს თუ ქცევას, ირაციონალურია იმდენად, რამდენადაც აკრძალული რეალობები ობიექტურად არ არიან აუკრძალავ რეალობებზე საშიში. რომ ყოფილიყვნენ, მაშინ ასე არ იქნებოდნენ აღქმული. არც ერთი საზოგადოება არ აღიარებს ტაბუს. მაგრამ ნებაყოფლობით ზოგიერთი სფეროს აკრძალვით ადამიანები თავის თავს უსაფრთხოების გრძნობას ანიჭებენ: მათ უშიშრად შეუძლიათ იარონ იქ, რაც ტაბუდადებული არ არის, ვინაიდან საფრთხე წინასწარ იქნა დანახული და აცილებული. თავს ვერ დავდებთ იმაზე, რომ „ბიოლოგიური" პროდუქტებით გატაცება არ იწვევს რაციონალური ფორმით იგივე ფსიქოლოგიურ მექანიზმებს. მათ თავისი სარგებლობა და მკაფიოდ გამოხატული რაციონალურობაც კი აქვთ. მითი იბადება ამ აკრძალვებიდან და იყენებს ამ რაციონალურობას. საკითხების არსის ახსნით, სახელდობრ ბოროტების, ის გარკვეულწილად მისი დამორჩილების საშუალებას იძლევა. იმის ცოდნა თუ რატომ იტანჯებიან და იხოცებიან ადამიანები ერთგვარად დამამშვიდებელიცაა. ეს აგრეთვე იმის საშუალებაა გამოასწორო ის, რაც ჩვენს სამყაროში ცუდად მიდის: თავდაპირველი შეცდომის აღმოჩენა იძლევა მისი გამოსწორების იმედს. მითი გადადის მხსნელ რელიგიებში, რომლებიც გვასწავლიან მომაკვდინებელი ცოდვების აცილების გზებსა და საშუალებებს.

პოლიტიკური იდეოლოგიები თავის მხრივ იგივე სქემით მუშაობს. მათ აქვთ სამყაროს ახსნა. უბრალოდ მათი საგანი უფრო შეზღუდულია: ისინი შემოფარგლულია სოციალური და ისტორიული სამყაროთი. მაგრამ ამ სფეროებთან მათი მიდგომა ძალიან ჰგავს მითებს. როგორც ისინი, იდეოლოგიებიც პოულობენ მიზეზებს. მათ მსგავსად ისინიც შერჩევით ინტერესს იჩენენ. მეცნიერება ნებისმიერ რეალობას მიიჩნევს კვლევის ღირსად: საკმარისია ფაქტი ჩაითვალოს რეალურად, რომ ახსნა დაიმსახუროს. იდეოლოგიას მხოლოდ ცივილიზაციის კრიზისები აინტერესებს. ეს არის მითი სოციალური უკმაყოფილებების სათავეზე. ასე მაგალითად, 1789 წლის რევოლუციის იდეოლოგია უბედურების სათავეს პრივილეგიებში ხედავდა: იურიდიულ თანასწორობას საზოგადოების ჰარმონია უნდა აღედგინა. შემდეგ, როდესაც რეფორმების განხორციელებას არ მოჰყვა მდგომარეობის გაუმჯობესება, მოძრაობა გამკაცრდა და სხვა მიზეზები აღმოაჩინა: მონარქია, არისტოკრატია, ზომიერების დოქტრინა, თაღლითები, მიმტაცებლები. მარქსიზმიც ასევე კონსტანტადან იწყება: ბოროტების სხვადასხვა ფორმა თავს იყრის გაუცხოების ცნებაში. მარქსი ეძებდა ამის მიზეზს და ის ეკონომიკაში აღმოაჩინა: ეს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაა, რაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის გამო ხდება. ნაციზმი ძალიან ადვილად ასახელებს ყველა ბოროტების სათავეს: ესენია ებრაელები და მათი მსოფლიოში ბატონობის გეგმა, რომელიც სიონის ბრძენთა ოქმებში არის გადმოცემული. ეს დოკუმენტი არ არის ნამდვილი, ის მორის ჟოლის (1864 წ.) თხზულების „დიალოგი ჯოჯოხეთში მაკიაველსა და მონტესკიეს შორის" საფუძველზეა შექმნილი. ის მნიშვნელოვანი ნაშრომია და მასში არაფერია ანტისემიტური. თუმცა წინასწარი დარწმუნება მისი ნამდვილობის გარანტირებისათვის საკმარისი აღმოჩნდა. მასში განხილულია „ეშმაკისეული მიზეზობრიობა" ლეონ პოლიაკოვის მშვენიერი და ღრმა გამოთქმის შესაბამისად. ყველაფერი ახსნილია უზარმაზარი, მრავალფორმიანი და უხილავი შეთქმულებით, რომლის მიზანია იმ არსებული წესის დანგრევა, რომელზეც იდეოლოგიის მომხრეები არიან მიჯაჭვულნი და რომელიც ყველა უბედურების სათავეა.

ნაციონალიზმის[30] მიდგომა განსხვავებული არ არის: ისტორია ხასიათდება ერების ერთდროულად ინდივიდუალური და ტრანსისტორიული კონფლიქტების არსებობით.

ერები ხასიათდებიან გარკვეული ნიშნებით (ენა, ტერიტორია, სპეციფიკური ფსიქოლოგია) და ისტორიული მიზნებით (დამოუკიდებლობა, დაკარგული მიწების დაბრუნება, ბუნებრივი საზღვრების პოლიტიკა, ზღვაზე გასასვლელი), რომლებიც მუდმივია დროში. ბუნებრივია, ყველა ნაციონალიზმი თავისთვის იტოვებს ყველა დადებით ნიშანს და უარყოფით თვისებებს მიაწერს სხვებს. მემკვიდრეობითი მტერი სიძულვილის პოლარიზებას ახდენს და ხსნის იმას, რაც უკეთმართად ვითარდება.

საჭიროა არ არის იმის აღნიშვნა, რომ ეს ახსნები ან მთლიანად ან ძირითადად აბსურდულია. რევოლუციურ იდეოლოგიას იმ სოციალური ცვლილებების გარდა, რომელსაც მენტალიტეტის განვითარება ხდიდა გარდაუვალს, არაფერი აქვს რეალისტური: მას აქვს მხოლოდ ტექნიკური ეფექტურობა, რომელიც განტევების ვაცების მოძებნაში მდგომარეობს. ამაში ის არის ყველა მმართველის პოლიტიკური გამოსვლის არქეტიპი, რომლებიც ერთი თემის გარშემო ტრიალებს: ეს სხვების შეცდომაა. მარქსიზმი ამოდიოდა ჰიპოთეზიდან, რომელიც შეიძლება რაციონალური გამოჩენილიყო. ამასთანავე ადამიანების ყველა უბედურების დაყვანა ერთ ეკონომიკურ მიზეზამდე თავიდანვე მიუღებელი თეზისი იყო. კომუნისტური რეჟიმები, სადაც წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაში ფლობა გაუქმდა, არაორაზროვნად უარყოფენ მარქსიზმს. საჭირო არ არის ნაცისტური იდეოლოგიის აბსურდულობაზე საუბარი: მისი კონცეფცია სამყაროზე, წმინდა წყლის ბოდვაა. რაც შეეხება ნაციონალიზმის სახეობებს, ისინი წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. თუ ფრანგული ნაციონალიზმის თეზისები სწორია, გერმანული ნაციონალიზმის თეზისები მცდარია. ისინი უფრო კოლექტიური ნარცისიზმის გამოხატულებაა, ვიდრე რეალობის ანალიზი. უფრო ზოგადად, ერის ცნებას აქვს შინაარსი. ის იმანენტურია: სხვადასხვა ეპოქაში, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ერები, ან უფრო ეროვნული გრძნობა არსებობდა. მაგრამ არ არის სერიოზული ამ ფაქტის განზოგადება წარსულის გასაგებად და მომავლის წარმოსადგენად. პირველი კაპეტინგების პოლიტიკის ახსნა ფრანგი ერის მარადიული მიზნების შესაბამისად გულუბრყვილო ტელეოლოგიაა: ეს დადის იმაზე, რომ რაც იყო, იმას ხსნის იმით, რაც იქნება. გარდა ამისა, თუ გარკვეული ჯგუფების კუთვნილება სპონტანური მონაცემია, ნაციონალიზმი როგორც დოქტრინა ხელოვნური კონსტრუქციაა, რომელიც ხალხებს აძლევს სწავლების მეთოდიკას, უფრო მეტიც, იძულებით მექანიზმს. ამ მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის სამყაროს შეცვლის, მაგრამ არა გაგების ინსტრუმენტი.

შესაძლებელია შენიშვნის გამოთქმა იმ აზრთან დაკავშირებით, რომ იდეოლოგიები მცდარი ახსნებია: ეს ნიშნავს თითქოს ცნობილია სწორი ახსნა. ჩვენ პირველი ნაწილის პირველ თავში ვნახეთ, რომ მეცნიერებას, ამის ერთადერთ კანდიდატს, ეს არ შეუძლია. ამასთანავე ამ სიძნელის გადალახვა შეიძლება იმის დაზუსტებით, რომ დაპირისპირება იდეოლოგიასა და მეცნიერებას შორის არ გამოიხატება მხოლოდ შინაარსში განსხვავებით. ეს რომ ასე იყოს, ორივე დაპირისპირებული დოქტრინა დაამტკიცებდა, რომ იცის სიმართლე და პრობლემა გადაუჭრელი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში მეცნიერება და იდეოლოგია ერთმანეთისაგან განსხვავდება ბევრი სხვა ნიშნით, რომელთა შესწავლა საშუალებას იძლევა გავერკვეთ სად არის სიმართლე თუ არა, რაციონალურობა მაინც.

106. იდეოლოგია და მეცნიერება. — ზემოთ ჩვენ გავეცანით მეცნიერებასა და იდეოლოგიას შორის არსებულ პირველ განსხვავებას: მეორეს უფრო შერჩევითი ხასიათი აქვს, ის მხოლოდ გარკვეული ტიპის საკითხებს ეხება. თუმცა სხვა განსხვავებებიც არსებობს და მათი შესწავლა იდეოლოგიის ცნებაში უკეთ გარკვევის საშუალებას იძლევა.

---

[30] სიტყვა „ნაციონალიზმი" ორაზროვანია და კონტექსტის მიხედვით სულ მცირე, სამ მნიშვნელობას მოიცავს. ის აღნიშნავს: 1) ეროვნულ გრძნობას, ე.ი. ისეთ გრძნობას, რომელსაც ადამიანთა ჯგუფი განიცდის მისი კულტურული განსხვავებულობის გამო (სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით) ადამიანთა სხვა ჯგუფების მიმართ; 2) იდეოლოგიას, რომელიც ამ გრძნობის სისტემატიზაციას ახდენს და მას სტრუქტურულ დოქტრინად აქცევს, რომელიც ყველაზე განსხვავებულ და მოულოდნელ სფეროებს ეხება; 3) მცდელობების, მოძრაობების, ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელთა მიზანია აღიარებინონ რომელიმე ჯგუფის სპეციფიკურობა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჯგუფი ვერ ახერხებს სახელმწიფოებრივ სტრუქტურად ჩამოყალიბებას, ან თუ ახერხებს, მაშინ მისი ინტერესების დაცვა. აქ ლაპარაკია მეორე მნიშვნელობაზე.

ჯერ ერთი, იდეოლოგია ნორმატიულია, მეცნიერება კი განსაზღვრების მიხედვით- არა. იდეოლოგია აყენებს კარგისა და ცუდის საკითხს. მისი გარეგნულად ობიექტური ანალიზებიც კი ფარულად ორიენტირებულია შეფასებისკენ. მარქსის შემოქმედების დიდი ნაწილი წარმოგვიდგება როგორც მეცნიერული მსჯელობა. შეიძლება ის მართალია ან მცდარი, ამაზე რაციონალურად მსჯელობა შეიძლება. ამავე დროს ის განპირობებულია სოციალური ბოროტების საკითხით და მისი აცილების საშუალებებით. კვლევა არ არის მიუკერძოებელი, ის მორალური დასკვნით მთავრდება: არაადამიანურ პირობებში ჩაყენებული პროლეტარიატი. ასეთი დასკვნა ალბათ ძალიან კეთილშობილურია, მაგრამ გააჩნია სად ეყრდნობა ის ამგვარ შეფასებით მსჯელობაა, ხოლო მოქმედების ობიექტურობა მყღავნდება როგორც კი იწყება დამოუკიდებელი მიდგომა. ასევეა ნაციონალიზმი, ის არჩევს კეთილს ბოროტისაგან მეტად სარწმუნო კრიტერიუმით თუმცა ხშირად თვითნებური ფორმით: ის რაც არის და არ არის ეროვნული. ასეთი განსხვავება ყველაფერს შეიძლება მივუსადაგოთ: ენას, ადათ-წესებს, ჩაცმის სტილს, ხელოვნებას, მეცნიერებას და ა.შ. იდეოლოგიებისათვის არაფერია ნეიტრალური. ნებისმიერ მოვლენას, რომელსაც ეხება ის აფასებს. იდეოლოგიების უმთავრესი კითხვაა „ეს კარგია თუ ცუდი?"

ამ დასკვნას მივყავართ მეორე პუნქტთან: იდეოლოგიას აქვს გლობალური ხასიათი. ორივე შენიშვნა ერთმანეთს ძალიან ჰგავს და შეიძლება დაიბადოს კითხვა აქ სხვადასხვა ჭრილში განხილულ ერთი და იგივე მოვლენას ხომ არ ეხება საქმე. მეცნიერების მკაფიოდ გამოხატული წესია თითოეულ საკითხზე შემუშავდეს სპეციფიკური დასაბუთება: ჩინური ენათმეცნიერება და კარტოფილის კულტურა განსხვავებული დისციპლინებია. იდეოლოგია პირიქით, ყველა საკითხს იხილავს ძალიან შეზღუდული პრინციპების სპექტრით, რომლებმაც უნდა ახსნან საკითხთა არსი. ბუნებრივია ასეთი აბსურდული პრეტენზია მარცხით მთავრდება. ისღა რჩება, რომ შეეგებრუნოთ ფაქტორების თანმიმდევრობა და იდეოლოგიისაგან შეექმნათ ჰეშმარიტების კრიტერიუმი. ასეთი დემარშის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა კავშირში მენდელის გენეტიკური კანონების უარყოფა, რადგან ისინი არ შეესაბამებოდა მარქსისტულ დოქტრინას და მათი ჩანაცვლება ლისენკოს მცდარი თეორიებით. იდეოლოგიას ძირითადად ძალიან ეშინია სიცარიელის. ის თავის თავს მიაწერს ყველგან ჩარევის უნარს. მაგალითად გასაოცარია ის ფაქტი, რომ ენგელსმა აუცილებლად ჩათვალა თეზისის წამოყენება იმის თაობაზე, რომ ადამიანთა საზოგადოებები მათი განვითარების პირველ ეტაპზე ხასიათდებოდნენ პრიმიტიული მატრიარქატით. ორმაგად ფუჭი მტკიცებაა: ის არც არაფერს ეყრდნობა და არც არაფერს ემსახურება. რა კავშირია ამ აზრსა და XIX საუკუნეში ინგლისში პროლეტარიატის მდგომარეობას შორის? არავითარი, თუ რაციონალურ კავშირს ვიგულისხმებთ. მაგრამ ლოგიკა, რომელიც მართავს იდეოლოგიას განსხვავებული ბუნებისაა. ის მაგიურია: ყველაფრის გადაჭრით იდეოლოგია თავის მომხრეებს უჩენს გრძნობას, რომ თავისი აზროვნებით ისინი ბატონობენ სამყაროზე, რაც კეთილი ნიშანია სხვა ტიპის დომინაციისათვის. რაციონალური მსჯელობისათვის იდეოლოგიური განსჯის ენციკლოპედიზმი მისი გადაულახავი სისუსტეა. ნაკლებად ჩახედული ადამიანებისათვის მისი ძალა მდგომარეობს იდეების მართვაში.

იდეოლოგიური აზროვნების სტილის გლობალურობა მყღავნდება მაშინ, როდესაც ის ეფუძნება ტექსტებს და გაუმართლებელი და გადაჭარბებული პრივილეგიით მიჩნეულია როგორც წარსულის ასევე მომავლის განსაზღვრის შემძლედ. მარქსსა და ენგელსს მეცნიერების დაფუძნების პრეტენზია ჰქონდათ: ამის შედეგი ის უნდა ყოფილიყო, რომ ყველა მეცნიერული ნაშრომის მსგავსად, ერთ მშვენიერ დღეს მათი ნაშრომი უნდა დაეჩრდილა აზროვნების განვითარებასა და ახალ აღმოჩენებს. მარქსიზმის იდეოლოგიაში გადასვლას შედეგად მოჰყვა ის, რომ მარქსისა და ენგელსის ნაშრომები ჩაითვალა აღიარებულ ჭეშმარიტებად, რასაც ვერც ვერაფერი დაემატებოდა და ვერაფერი მოაკლდებოდა: ისინი კი არ ფასდებოდა სიახლეებით, არამედ თავად აფასებდნენ სიახლეებს. ასე წარმოიქმნა **რეფიზიონიზმი**: ამ ცნების არსებობა გულისხმობს დოქტრინაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის **ex catherda** დაგმობის შესაძლებლობას, ამ ცვლილების რაციონალურობის მიუხედავად. ჩვენ უკვე განვიხილეთ რა ლოგიკური პროცესები განხორციელდა ამ შედეგის მისაღებად.[31] იდეოლოგია უკიდურესობაში ვარდება და მართალიცაა: მხოლოდ მასზე უარის თქმაა შესაძლებელი.

---

[31] იხ.№10 და 55

იდეოლოგიის ნორმატიული აკვიატებული აზრი და იდეოლოგიის გლობალურობა ერთდროულად ერთმანეთის მიზეზი და შედეგია. ვინაიდან მსჯელობს ყველაფერზე იდეოლოგია აფასებს ყველაფერს.[32] მაგრამ ასევე მართალია საპირისპირო: არაფერია შეფასებით მსჯელობაზე ადვილი. მოვლენების კარგ და ცუდ კატეგორიებად დაყოფით უჩნდებათ მათ არსში ჩაწვდომის გრძნობა. ეს ყალბი ცოდნაა, თუმცა სიამოვნების აღმძვრელი ცოდნა.

აქ უკვე ვეხებით იდეოლოგიის სხვა ძირეულ მნიშვნელობას. მეცნიერული ცოდნის ერთადერთი მიზანი მეცნიერული ცოდნაა. ის არ განსაზღვრავს სიმართლეს მისგან მიღებული სიამოვნებით. იდეოლოგიასთან დაკავშირებით კი სხვაგვარადაა საქმე. ის ტკბება ცოდნით, მაგრამ ისეთი ცოდნით, რომლის მისაღებადაც არ არის საჭირო ხანგრძლივი და რთული სწავლის პროცესი და სპონტანური გონებრივი სტრუქტურების ეკვივალენტად დაყენება. იდეოლოგია ადვილი ცოდნაა. მეორე, ის ფარისევლური სიამოვნების მომნიჭებელია: ჩაგრავს სხვას თავისი მორალური უპირატესობიდან გამომდინარე. ის ამართლებს იმას ვინც მას აღიარებს, მაშინ როცა მეცნიერება არ აღმერთებს მეცნიერს. მესამე, იდეოლოგია ამცირებს შიშს უცნობის მიმართ. ის იმორჩილებს იმას, რაც სხვა შემთხვევაში საფრთხის შემქმნელია: ის ვინც აძლიერებს იდეოლოგიას, ამცირებს ტკივილს. ამოცნობის, გამოკვეთის, სახელის დარქმევის შემდეგ ბოროტება თითქოსდა შეკავებულია. ეს როგორც ზევით ვნახეთ, მისთვის დამახასიათებელი ეფექტია და ძალიან შორს არის იმ შედეგებისგან, რომელიც მეცნიერული ცოდნისგან გამომდინარეობს: ბუნებრივი პროცესების წვდომა თავისთავად დამამშვიდებელი არ არის. ბოლოს, დიაგნოზის დასმა ბადებს იმედს მკურნალობის შედეგიანობაზე და ეს არის ბოლო ძირითადი განსხვავება იდეოლოგიასა და მეცნიერებას შორის.

მეცნიერება იძლევა მოქმედების საშუალებას, თუმცა არაპირდაპირი გზით. ხშირად საუკუნეები აშორებს ხოლმე მეცნიერულ აღმოჩენასა და პრაქტიკაში მის გამოყენებას. და პირიქით, იდეოლოგია მხოლოდ უშუალო და დაუყოვნებელი მოქმედებისათვის არსებობს. ჩვეულებრივ, ის განსაზღვრავს მისაღწევ იდეალს, რომელიც ყოველთვის არის ერთდროულად დიდი, ყველა პრობლემის ვადაჭრის შემძლე და შესაბამისად მისაღები: უკლასო საზოგადოების შემქმნელი რევოლუცია, რასის სიწმინდის მიღწევა და ა.შ. ის აკონკრეტებს ძლიერ, მაგრამ ვირტუალურად უკვე დამარცხებულ მოწინააღმდეგეებს. ის გვიჩვენებს მიზნების მისაღწევ გზებს, საშუალებებს, აწესებს დისციპლინას, გასაღებ მსხვერპლს, ეროვნულ მენტალიტეტს, პარტიულ აზროვნებას. ყველაფერი ეს იდეოლოგიისაგან ქმნის უფრო მეტს, ვიდრე დოქტრინაა. ის შორს დგას იმისგან, რომ არის ნამდვილი ცოდნა, ის იდეებსა და ღირებულებებს აყალიბებს მხოლოდ მისი სამოქმედო გეგმის მიხედვით. იდეოლოგია სრული მობილიზაციის შესახებ ბრძანებაა.

ინდივიდუალურისა და კოლექტიურის ბოლო გამოხატულება: იდეოლოგია ამართლებს პიროვნების თვალში კოლექტიური მიზნის მისაღწევ ბრძოლაში ჩაბმას. ის მას უქარწყლებს თავისუფლების შიშს და უნერგავს მას გამარტივებული მორალით საკეთილდღეო საქმეებში მონაწილეობის გრძნობას და ანიჭებს კოლექტივთან ერთად გმირული თავგანწირვის სიამოვნებას.

ყველაფერი აშორებს იდეოლოგიასა და მეცნიერებას ერთმანეთისაგან. სტრუქტურული კრიტერიუმები იძლევა არა იმის განსაზღვრის საშუალებას, რომელია კარგი და რომელი ცუდი, არამედ იმისი დადგენის საშუალებას, რომ ისინი განსხვავებულია. ერთის ან მეორის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება პიროვნების გადასაწყვეტია და ეკვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ეს ნამდვილად არჩევანია.

---

[32] ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იდეოლოგიას ყველაფერი არ აინტერესებს (№104). ახლა ვამბობთ, რომ მას ავტორიტარული აზრი აქვს ყველაფერზე. წინააღმდეგობაში ხომ არ ვვარდებით? არა, რადგან საჭიროა ფაქტისა და კანონის განსხვავება. ფაქტობრივად იდეოლოგია ყურადღებას არ აქცევს ჭეშმარიტების დიდ ნაწილს, ვინაიდან არ იცის რა უყოს მას. მაგრამ ვერ ხედავს ვერანაირ კანონიერ საზღვრებს მისი ჩარევისა: საკმარისია რაიმე საკითხი შემთხვევით მოექცეს მისი ყურადღების ცენტრში, რომ იდეოლოგია უკომპლექსოდ იპყრობს მას: როგორც ეს მოხდა ბიოლოგიასთან დაკავშირებით საბჭოთა მარქსიზმის შემთხვევაში.

თავი V. პოლიტიკური პროპაგანდა

107. პროპაგანდა და პოლიტიკური წარმოდგენები. — თუკი იდეოლოგია პოლიტიკური წარმოდგენების არსებობის ერთ-ერთი ფორმაა, პოლიტიკური პროპაგანდა მისი გავრცელების ძირითადი საშუალებაა. რა თქმა უნდა პროპაგანდა არ არის პოლიტიკური წარმოდგენების განმსაზღვრელი ერთადერთი ელემენტი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას სხვა უფრო მნიშვნელოვანი წყაროები გააჩნია. ამავე დროს, პროპაგანდა ნებაყოფლობითი მოქმედების ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც მნიშვნელოვნად და მოკლე ვადაში ინდივიდთა პოლიტიკური აზრის გარდაქმნა შეუძლია. აღნიშნული პოლიტიკურ პროპაგანდას განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც პოლიტიკური თამაშის მოქმედ პირებს არაპროპორციულად მიაჩნიათ: ყოველთვის არსებობს იმ ფაქტორების გადამეტებულად შეფასების ტენდენცია, რომელზეც ზემოქმედებაა შესაძლებელი.

ზემოაღნიშნული კითხვას ბადებს პოლიტიკური პროპაგანდის რეალური გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია პროპაგანდის წინასწარი დეფინიციის გარეშე. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილი იქნება ფენომენის გამოცალკევება და მისი პირველადი ლოგიკის გარკვევა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პოლიტიკური პროპაგანდის სპეციფიკური საშუალებების აღწერა.

ნაწილი I. როგორ უნდა განისაზღვროს პროპაგანდა?

108. პროპაგანდა და ჭეშმარიტება. — პროპაგანდის ცნების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, იბადება კითხვა პროპაგანდისა და ჭეშმარიტების ცნებებს შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ. ჩვეულებისამებრ თავისთავად ცხადად ითვლება, რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. „ეს პროპაგანდაა" grosso modo „ტყუილის" ეკვივალენტურია. თუკი ამგვარ ინტერპრეტაციას დავეთანხმებით პროპაგანდა განსხვავების მეშვეობით იქნებოდა განსაზღვრული: ერთხელ დადგენილი ჭეშმარიტების გვერდით პროპაგანდა წარმოჩნდებოდა როგორც პრობლემის დამატება. ამგვარად, პოლიტიკურ გამოსვლებში იარსებებდა განმასხვავებელი კრიტერიუმი, რომელიც მიგვანიშნებდა იმაზე, რაც პროპაგანდას განეკუთვნება. მისაღებია თუ არა ამგვარი თვალსაზრისი? რა თქმა უნდა არა, რადგან ასეთი მსჯელობა პრობლემის გადაჭრას გულისხმობს. უმრავლეს შემთხვევაში, ამ პრობლემის წამოჭრისას სირთულე სწორედ ჭეშმარიტების დადგენაშია, არა მხოლოდ ინფორმაციის ნაკლებობის ან პოლიტიკურ მოთამაშეთა კეთილი ნების არარსებობის გამო, არამედ შეურიგებელი სუბიექტური ფაქტორების შეუთავსებლობის მიზეზით. პოლიტიკაში უკიდურესად რთულია რეალური ფაქტების დადგენა. რისი თქმა შეიძლება ამ ფაქტების მნიშვნელობის შესახებ, რა ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს ამ ფაქტებს და რა დასკვნები უნდა გაკეთდეს მათ საფუძველზე? თუკი საკითხს სიღრმისეულად მიეუდგებით, დადგენილი ჭეშმარიტების შემთხვევაშიც შეუძლებელია მისგან პროპაგანდის განცალკევება, რადგან ეს უკანასკნელი შავ და თეთრ ნაწილად დაყოფილ პოლუსამდე არ დაიყვანება. პირიქით, პროპაგანდა საშუალებათა კომპლექსია. ჩვეულებისამებრ ჭეშმარიტება ბუნდოვანი, რთული და ნიუანსებით აღსავსეა. შეიძლება კი იმის მტკიცება, რომ პროპაგანდის კნინობითი კატეგორიიდან უნდა გამოირიცხოს ის ერთადერთი გამომხატველი, რომელიც ამ თვისებებს ითვალისწინებს? ან დასაშვებია კი, რომ ზუსტი ფაქტების სქემატურმა, გამარტივებულმა და კატეგორიულმა გამოხატულებამ გვერდი აუაროს ამ ანათემას? პასუხი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. პროპაგანდა არსებობს არა მხოლოდ ტყუილ-მართლის მნიშვნელობით, არამედ ასევე მეტნაკლებად დამაჯერებელი ფორმით იმ საზოგადოებისათვის მის წარდგენაში, რომლისკენაც ის არის მიმართული. ამის საპირისპიროდ, და პოლიტიკაში სრულიად არაეფექტური ინტელექტუალური იანსენიზმის[33] დემონსტრირების გარეშე, არ შეიძლება რეალური ფაქტების წარდგენის ფორმის დაგმობა, რომელიც იმისათვის, რომ შესმენილი იქნეს, თმობს სამეცნიერო

[33] რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც გავრცელებული იყო პოლანდიასა და საფრანგეთში მე-17, მე-18 საუკუნეებში. მისი ძირითადი იდეური დებულებები ჩამოაყალიბა ღვთისმეტყველმა იანსენიუს კორნელიუსმა (1585-1638 წწ.), რომელიც ავგუსტინეს მოძღვრებას აეითარებდა. (რედ.)

ენისათვის დამახასიათებელ სიფრთხილესა და ნიუანსებს. საჭიროა უფრო შორს წასვლაც, რადგან ილუზია იქნებოდა იმის დაჯერება, რომ ჭეშმარიტება როგორი უდავოც არ უნდა იყოს ის, სიცხადის ერთადერთი ძალით ვრცელდება. ჭეშმარიტება შედეგს მოკლებულია, თუკი ის იმ ინდივიდთა შეგნებამდე არ დადის, ვის ქცევაზე გავლენის მოხდენა მას შეუძლია. დარწმუნებამდე ინფორმაციის მიღებაა საჭირო. რეალობის კარგად თუ ცუდად გავრცელების გაგებამდე გასარკვევია, არის თუ არა ის ფართოდ გავრცელებული თუ მხოლოდ ვიწრო წრისთვის არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად გზავნილის შინაარსისა, ფართო გავრცელება პროპაგანდის საშუალებებსა და მეთოდებს გულისხმობს. აბსურდული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პროპაგანდით გავრცელებული ჭეშმარიტება აღარ არის ჭეშმარიტება. აშკარაა, რომ პროპაგანდის ცნება ნეიტრალურია სიმართლისა და ტყუილის და ამგვარად, სიკეთესა და ბოროტებასთან მიმართებაში. პროპაგანდა კარგია ან ცუდი როგორც მორალური ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ის სიმართლეს ან ტყუილს ავრცელებს. აღნიშნული შემთხვევაზე, კონიუნქტურასა და ადამიანებზეა დამოკიდებული. მიზანშეწონილი არ იქნებოდა მნიშვნელოვანი მსჯელობების საფუძველზე a priori ფენომენის დეფინიციის დაფუძნება, რომლის დადგენა, მნიშვნელობის ჩათვლითაც, მხოლოდ მისი შედეგებით შეიძლება შეფასდეს.

109. ეფექტურობა და პროპაგანდა. — თუკი შეუძლებელია პროპაგანდის ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებით განსაზღვრა, ის შეიძლება მისი ეფექტურობით განისაზღვროს. ამგვარია იმ ავტორთა პოზიცია, რომლებისთვისაც პროპაგანდა საშუალებათა ერთობლიობაა, რომელიც ინდივიდთა სპონტანურად მიღებული პოზიციისგან განსხვავებულისათვის უპირატესობის მისანიჭებლად გამოიყენება. ეს მიდგომა პირველზე ეფექტურია, რადგან ის გაურკვეველს უფრო გაურკვევლით არ განცვარტავს და საკითხის გადაჭრას გარდაუვალად სუბიექტურ მსჯელობებზე დაყრდნობით არ ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, ის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას არ იწვევს.

მართლაც, უკიდურესად რთულია (და მეტიც) იმის დადგენა თუ რით ან რა დონემდე განაპირობებს ინდივიდთა ქცევას პროპაგანდა. თუკი საკითხის სიღრმისეულად შესწავლას შეეცდებით დასაშვებია, რომ აღნიშნული შეფასება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ შედარებიდან თუ რას აკეთებენ, ამბობენ ან ფიქრობენ ინდივიდები რეალურ სიტუაციაში — თავშეკავებული თუ უხეში, დახვეწილი, მოქნილი თუ ხისტი პროპაგანდის მოქმედებით — იმასთან რასაც ისინი იფიქრებდნენ, იტყოდნენ და გააკეთებდნენ სავარაუდო საპირისპირო სიტუაციაში. აშკარაა, რომ ამ ტიპის შეფასება არ შეიძლება ობიექტურად განხორციელდეს. მეტიც, ის ყოველგვარ ილუზიებს უთმობს ადგილს: ვოლუნტარიზმის ილუზია, რომლის მიხედვით ადამიანის ქცევა აბსოლუტურად შეცვლადია ადეკვატური პროპაგანდის განვითარების პირობებში — ილუზია, რომელსაც ტოტალიტარულმა რეჟიმებმა ვერ გაუძლეს და მარცხის შემდეგ ნაკლებად დახვეწილი იძულების საშუალებებზე გადავიდნენ, რისი დადასტურებაცაა სტალინის ეპოქის სოფლების კოლექტივიზაცია, ისევე როგორც წითელი ქხმერების სისხლიანი უტოპია; კონსერვატორული ილუზია, რომელიც იდეების ეფექტურობას უარყოფს და აბტკიცებს, რომ ადამიანები არ იცვლებიან. მის მიხედვით პროპაგანდა ზედაპირული რყევაა, რომელსაც ადამიანის ქცევის შეცვლის უნარი არ შესწევს; ისტორიკოსთა რეტროსპექტული ილუზიები, რომლებიც კონკრეტული სიტუაციების ანალიზის დროს, სხვადასხვა ვარაუდისა და სარჩულის მიხედვით, აჭარბებენ ან აკნინებენ პროპაგანდის გავლენას. პრაქტიკული თვალსაზრისით, განსაზღვრულ კონიუნქტურაში პროპაგანდის განსაკუთრებული გავლენის შესწავლისას არ უნდა დაგვავიწყდეს ეს საფრთხეები. თეორიული თვალსაზრისით, პროპაგანდის განსაზღვრა მისი ეფექტურობით პრობლემის გადანაცვლების ეკვივალენტურია, რადგან ეს უაღრესად რთული საკითხის გადაწყვეტილად წარმოჩენას გულისხმობს: როგორ უნდა განისაზღვროს პროპაგანდის ეფექტურობა?

110. პროპაგანდა და ინტენსიონალობა.[34] — ამ პირობებში მიზანშეწონილი იქნებოდა პროპაგანდის განსაზღვრისას არა იმდენად მისი შედეგებით (ძირითადი საკითხი, რომლის

[34] ტერმინი გამოყენებულია უკეთესის არარსებობის გამო, თუმცა ის შეზღუდული მნიშვნელობით არის ნახმარი და არა ფილოსოფიაში არსებული ფართო გაგებით. კერძოდ, ინგლისურ ენაში ის ნებისმიერ მენტალურ მდგომარეობას აღნიშნავს და რაღაც გარეშეზე მიგვითითებს: მაგალითად რწმენა, რაიმეს რწმენას

შესახებაც აზრის გამოთქმა, საუკეთესო ვარაუდით მხოლოდ შემთხვევების შესწავლით არის შესაძლებელი), არამედ მისი განზრახვით შემოფარგვლა. პროპაგანდას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინდივიდები ან ადამიანთა ჯგუფები ნებაყოფლობით და დაინტერესებით საინფორმაციო საქმიანობას ეწევიან სხვების იდეებსა და ქცევაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

ნებაყოფლობითი: თითოეული ინდივიდი, თავად მისი არსებობის ფაქტით უნებლიედ გარკვეულ ინფორმაციას ავრცელებს თავის შესახებ, რომელიც სხვებისთვის ხდება ხელმისაწვდომი. როდესაც უნებლიე აქტიურობა სპონტანურია და არ არის შედეგზე გამიზნული, ის რა თქმა უნდა პროპაგანდას არ მიეკუთვნება. პროპაგანდასთან გვაქვს საქმე როგორც კი ინდივიდი, მაგალითად პოლიტიკოსი, კოსტიუმსა და თმის ვარცხნილობას იცვლის, კბილებს ისწორებს სატელევიზიო ეკრანზე ნაკლებად აგრესიულად გამოსაჩენად ან რჩევებს იღებს რეკლამის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისგან „იმიჯის" შესაქმნელად იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა ინტერესებს. თუმცა ზღვარი სპონტანურ მიმზიდველობასა და განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილ ხელოვნურ იერს შორის პირობითია, რადგან სპონტანურობის ცნება შინაარსს მოკლებულია: ყველაზე სპონტანური ქმედება მთლიანად მოიცავს ინდივიდის მიერ მიღებულ კულტურულ ცოდნას და მის ქცევაზე სხვების მოსალოდნელ რეაქციას. ამავე დროს, აღნიშნული განსხვავება თეორიულ მნიშვნელობას შეიცავს, რომელიც გასათვალისწინებელია. უკვე აღინიშნა ის რეზერვები, რომელსაც იმპლიციტური იდეოლოგიის ცნება მიმართავს: მას თვითნებობამდე მივყავართ, მაგრამ რაღაცის წარმოსახვა შეუძლია. ამის საპირისპიროდ, აშკარაა, რომ ფარული პროპაგანდის ცნება აზრს მოკლებული იქნებოდა, რადგან მიზანშეწონილია არა ქცევის ობიექტური შედეგის, არამედ ამ შედეგის მიღწევის განზრახვის განხილვა.

დაინტერესება: აღნიშნული საჭირო დაზუსტებაა, რადგან ის პროპაგანდის მიზნით გავრცელებული ინფორმაციის სამეცნიერო ხასიათის ინფორმაციისგან განსხვავების შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაშიც განსხვავება პირობითია. სამეცნიერო ინფორმაციას დამატებით პროპაგანდის სახის შეძენა შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო აღმოჩენების გამოქვეყნება ზრდის მეცნიერის და ასევე მისი ქვეყნის პრესტიჟს. სამეცნიერო ინფორმაცია შესაძლებელია მთავრობებმა ან ჯგუფებმა გამოიყენონ, რომელთაც იმ თემების გავრცელების ინტერესი აქვთ, რომელიც a priori მათ იდეოლოგიას გააძლიერებს (ან სავარაუდოდ გააძლიერებს). მაგალითად, ჰიტლერის რეჟიმის მიერ რასისტული თეორიების ან ლისენკოს ბიოლოგიური „აღმოჩენების" გამოყენება. ორივე შემთხვევაში, საქმე ცრუ მეცნიერებებს ეხებოდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა, რადგან ის დაშინებისთვის იყო მობილიზებული, რომელიც თავად მეცნიერული ვეშმარიტების ვარაუდზე იყო დაფუძნებული. თავისი მიუკერძოებლობის ასპექტით სამეცნიერო ინფორმაცია მაინც უპირისპირდება პროპაგანდის მახასიათებლებს და ამ უკანასკნელის საპირისპიროსაც წარმოადგენს.

წარმოდგენილი თვალსაზრისის საფუძველზე შესაძლებელია შეკამათება იმასთან დაკავშირებით, რომ აქტიურ მონაწილეთა სუბიექტურ ანალიზზე დაყრდნობა უხერხულობას ქმნის. ამავე დროს, საზოგადოებრივი მეცნიერებები, მათი ზოგიერთი გავლენიანი მიმდინარეობა მაინც, სისტემატური უნდობლობით უყურებს ყოველგვარ სუბიექტურ დეტერმინაციას, რომელიც იდეალიზმშია ეჭვმიტანილი და მეცნიერული მიდგომის საპირისპიროს წარმოდგენაში ედება ბრალი. ნათლად უნდა ითქვას, რომ არ უნდა მოვექცეთ ასეთი ტიპის „უკაზების" (მითითებები — რუსულ ენაზე) გავლენის ქვეშ. არაფერია არამეცნიერული იმაში, რომ ის რაც ინტენციონალურია, ასეთად ვაღიაროთ. მხოლოდ საპირისპირო პოზიცია ქმნის პრობლემას და მათ, ვინც მას მხარს უჭერენ, მტკიცებულებაც უნდა წარმოადგინონ. რა არის პროპაგანდაზე მეტად ვოლუნტარისტული? რა არის მასზე ზესტრუქტურული? მატერიალიზმის (დიალექტიკურისაც კი) პრინციპების ლენინური პროპაგანდის სტრატეგიულ პრაქტიკასთან შეთავსება ყოველთვის პრობლემატური იყო, მიუხედავად მისი დიდი გამოყენებისა უმაღლესი ინსტანციების მიერ.

მართებულად არ გამოიყურება პროპაგანდის სუბიექტურობის ცნებასთან შეკამათება დოგმატური პერსპექტივის გარეშე. სამაგიეროდ, შეშფოთების გამოთქმა შესაძლებელია ჩვენს მიერ გაკეთებული პროპაგანდის დეფინიციის უკიდურესად ფართო ხასიათთან დაკავშირებით.

წარმოადგენს. CF. John Searle, L'intentionnalite'. Essai de philosophie des ćtats mentaux. trad. franc. Ed. de Minuit. 1983. ამ მნიშვნელობით პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული ნებისმიერი მენტალური მდგომარეობა ინტენციონალურად განიხილება.

აშკარაა, რომ აღნიშნული დეფინიცია პოლიტიკურ პროპაგანდას არ განაცალკევებს. თუმცა ეს უხერხულობას არ ქმნის. ერთი მხრივ, საჭიროა იმის ჩვენება, რომ პოლიტიკური პროპაგანდა უფრო ფართო ერთობლიობის მხოლოდ ნაწილია, რომლისგანაც ის განსხვავდება არა იმდენად ფორმებით, რამდენადაც ობიექტით. ამგვარად, ზოგადად პროპაგანდის თეორიის ჩამოსაყალიბებლად რელიგიური პროპაგანდაც იმავე ხარისხით უნდა იქნეს განხილული: მაგალითად, პროპაგანდა კათოლიკური კონტრრეფორმის მიერ არჩეული იარაღი იყო და მისი შესწავლა ააშკარავებს იმ მექანიზმებს, რომელიც სავსებით შეიძლება შევადაროთ პოლიტიკური პროპაგანდის მიერ გამოყენებულ მექანიზმებს.[35] მეორე მხრივ, კარგად ვიცით პოლიტიკურის არაპოლიტიკურისაგან განსხვავება. ამ პირობებში ფენომენის ერთიანობის აღქმა იმგვარად შეგვიძლია, რომ ჩვენი შესწავლის ობიექტი მის მსგავსთან არ აგვერიოს.

111. თანამედროვე და არქაული პროპაგანდა. — პოლიტიკური პროპაგანდის შიგნით ჩნდება სხვა განსხვავება, რომელსაც ჩვენი დეფინიცია არაპირდაპირ გვერდს უვლის. საქმე ეხება განსხვავებას თანამედროვე პროპაგანდას, რომელიც ეფექტური, ხმაურიანი და უნივერსალურია და ადრე არსებულ ყველა ფორმას შორის, რომელიც პოლიტიკური ქმედების მხოლოდ დაუსრულებელი მონახაზია, რომლის ჭეშმარიტი ბუნება ჩვენმა ეპოქამ უნდა წარმოაჩინოს. არის კი გამართლებული ამგვარი დაპირისპირება? ერთი შეხედვით პასუხი დადებითია, თუკი XX საუკუნეში პროპაგანდის აკვიატებულობას გავითვალისწინებთ. ამ საუკუნეში ჩამოყალიბდნენ კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმები, განვითარებადი ქვეყნების დიქტატურები, რომლებიც მასების მანიპულაციით არსებობდნენ და პროპაგანდა პრივილეგირებული ვექტორის როლს ასრულებდა. ქმედების აღნიშნული ფორმის სისტემატური გამოყენება, რომელიც დიდ ადამიანურ, ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზეა დამყარებული, ამ სფეროში არსებული წინა რეჟიმების ყველა ძალისხმევას თითქოსდა ხელოსნობასთან და ფოლკლორთან აბრუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ხედვა სიზუსტეს არ არის მოკლებული, ის მაინც გამარტივებულია.

ზემოაღნიშნული კონცეფცია მნიშვნელოვანწილად რეტროსპექტული ილუზიიდან მომდინარეობს. წარსული უფრო მარტივად, გულუბრყვილოდ და ნაცრისფერ ფერებში წარმოჩნდება, ვიდრე ჩამოყალიბებული და გამრავალფეროვნებული აწმყო. თუმცა ახლო მიდგომით ვითარება ხშირად სხვაგვარად გამოიყურება. რონალდ სეიმის წიგნი „რომაული რევოლუცია" ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ შეძლო ბნელი წარსულის მქონე ავანტიურისტმა იმპერატორ ავგუსტინიანედ გახდომა, რომელმაც თავისი ძალაუფლების კონსოლიდაცია მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, კერძოდ კი პროპაგანდის მეშვეობით მოახერხა. უფრო ახლო წარსულში საფრანგეთის რევოლუციამ თავის გამარჯვებას მნიშვნელოვანწილად სისტემატური და მრავალფეროვანი პროპაგანდის გამოყენების საშუალებით მიაღწია: სიმბოლოები (სამფეროვანი დროშა, „მარსელიოზა", საჯარო და საზეიმო ვითარებაში დასჯა); ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება საზოგადოებრივი აზრის მუდმივი მობილიზებისთვის, მასობრივი გამოსვლები (სპონტანური, მართული ან რიტუალური, მაგ. რევოლუციური ზეიმები), გმირებისა და მოწამეთა კულტი (ლე პელეტიე დე სენ-ფარჟო, მარატი, ახალგაზრდა ბარა), რომელიც ადამიანისთვის დამახასიათებელ ორაზროვნებას ჩამოშორებულია აბსოლუტური მითის, აბსტრაქტული ცნებების (სამშობლო, რესპუბლიკა, თანასწორობა) მისაღწევად, რომელსაც უნივერსალური ჭეშმარიტების პრეტენზია აქვს. ხდება ომის ახლებური ინტერპრეტაცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ალტრუისტულ აგრესიად იქცევა. საკუთარ ტერიტორიაზე გატარებულ ქმედებებზე მეტად ეფექტურია ევროპაში მოპოვებული გამოხმაურება და გახმაურებული თემების გადამდები ძალა, რომელიც ფენომენს ჭეშმარიტ მნიშვნელობას ანიჭებს: ამ შემთხვევაში, იდეების მიმზიდველობა მარტო მოქმედებს, ნებისმიერი იძულებისგან დამოუკიდებლად. ამ პირობებში გასაკვირი არ არის პირ-

[35] მაგალითად იხ. ემილ მალის წიგნი "XVII საუკუნის რელიგიური ხელოვნება," რომელშიც კონტრრეფორმის ეპოქის კათოლიკური პროპაგანდის თემების ჩამონათვალია მოცემული: ქრისტეს ცხოვრების სურათები (ხარება, დაბადება, ეგვიპტეში გაქცევა, ჯვარცმა, აღდგომა); მოციქულთა და წმინდანთა ისტორიები და წამებანი; საიდუმლოებათა და გულმოწყალების ილუსტრაცია; ღვთისმშობლის სურათები (მფარველი ანგელოზი, უმაწვილი ქრისტე, წმინდა ოჯახი, ღვთისმშობლის ცხოვრება); სიკვდილის წარმოდგენა: ხატების კულტის დამცველი სურათები (ხატის მოწინააღმდეგე იმპერატორთა სიკვდილი, ღვთისმშობლის დამხატავი წმინდა ლუკა); ისტორია და მნიშვნელოვანი რელიგიური მოვლენები, კერძოდ იეზუიტების, ფრანცისკანელებისა და დომინიკანელების შესახებ. ბევრი აღნიშნული თემა მნიშვნელოვნად წარმოჩნდება ეკლესიასა და პროტესტანტებს შორის არსებულ დაპირისპირებაში.

ველ თანამედროვე პროპაგანდად რევოლუციური პროპაგანდის მიჩნევა. თუმცა თუ ათვლას 1789 წლიდან დავიწყებთ გამოდის, რომ XX საუკუნეს არაფერი რადიკალურად ახალი არ მოუტანია. გასაკვირია კი ეს ფაქტი? არ არსებობს აბსოლუტური საწყისი, ისტორიული ჭრილი ყოველთვის პირობითია და ილუზია იქნებოდა მის საფუძველზე სათანადო ტიპოლოგიის დაფუძნება.

ნუთუ არ არსებობს რაიმე ახალი თანამედროვე პროპაგანდაში? რა თქმა უნდა, მაგრამ სიახლე უფრო რაოდენობრივია, ვიდრე თვისობრივი. უპირველეს ყოვლისა, ეს საინფორმაციო საშუალებათა ფანტასტიკურ ზრდასთან არის დაკავშირებული. ძველი საშუალებების განვითარებამ, მაგალითად წიგნებისა და გაზეთების ტირაჟის მნიშვნელოვანმა გაზრდამ და მათი თვითღირებულების კლებამ, ისინი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი საშუალებების განვითარება, რომელიც სიტყვისა (რადიო, ფირფიტები, მაგნიტოფონის ბაბინები) და გამოსახულების (ფოტოგრაფია, კინო, ტელევიზია) განუსაზღვრელი რეპროდუქციის საშუალებას იძლევა. აღნიშნულს ემატება ინფორმაციის გავრცელების უჩვეულო ზრდა, რომელიც წინათ სატრანსპორტო საშუალებათა მეშვეობით ვრცელდებოდა. დღეს ინფორმაცია ტელეკომუნიკაციების მეშვეობით მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში თითქმის წამში გადაიცემა. ტექნიკური პროგრესის ყველა საშუალება თავისთავად ნეიტრალურია: ის არც კრძალავს და არც ხელს უწყობს ინფორმაციის დადებით ან უარყოფით გამოყენებას. ამავე დროს, საინფორმაციო საშუალებები ობიექტურად ზრდის პოლიტიკური ხელისუფლების ჩარევის საშუალებებს, რადგან წარმოუდგენელია რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი ნებით უარი თქვას შემოთავაზებულ საშუალებებზე. სოციალური ძალებისთვის ძალიან რთულია პოლიტიკურ ხელისუფლებას ამაზე უარი ათქმევინოს. აქედან გამომდინარე, ახალი ტექნოლოგიები ისევე აათმაგებენ პროპაგანდის შესაძლებლობებს, როგორც რაიმეს გავრცელების ნებისმიერ სხვა ფორმას.

შეიძლება თუა არა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დავასკვნათ, რომ პროპაგანდა რადიკალურად შეიცვალა? ალბათ არა. ამის შესანიშნავი მაგალითია საფრანგეთის რევოლუცია. თუმცა ინფორმაციის გადაცემის ნელ ტემპს შედეგად მოპყვა მოვლენათა განვითარებაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული და არათანაბარი მონაწილეობა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს ახსნილი პარიზელთა ბრბოს როლი რევოლუციური პროცესების შემდგომ დაჩქარებაში. თუკი კონტრასტს პროპაგანდის შედეგებთან კავშირი აქვს, ის მის პრინციპებს სრულიად არ ეხება. რამდენადაც აუცილებელია და ლეგიტიმური განსხვავებების აღნიშვნა, იმდენად მოჩვენებითია არქაულ და თანამედროვე პროპაგანდას შორის განსხვავების ბუნების ტექნიკურ სიახლეებზე დაფუძნება.

112. პროპაგანდა და რეკლამა. — თანამედროვე პროპაგანდის იდეის სპეციფიკურობა ზოგჯერ სხვა რიგის დაკვირვებას ემყარება: თანამედროვე პროპაგანდა სულ უფრო დამოკიდებული ხდება სარეკლამო საშუალებებზე, კერძოდ კი დემოკრატიულ ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით მაგალითისათვის ხშირად იყენებენ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიას, რომელიც ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს მიმდინარეობს და ბაზრობას წააგავს, სადაც კანდიდატები, რეკლამის პროფესიონალთა მიერ გამოყენებული კლიშეთი „პატარა საპნებივით" იყიდებიან. თუმცა ამ მავნე ჩვევებმა საფრანგეთშიც მოიკიდა ფეხი. განა მსგავსმა სარეკლამო კამპანიამ არ მოაგებინა ფრანსუა მიტერანს 1981 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და 1988 წელს მის ხელახალ არჩევას შეუწყო ხელი? განა არ იყო ის გამარჯვებულის კამპანია? განა არ ჰქონდა მას დაუვიწყარი ლოზუნგი? ისევე როგორც შესაძლებელია საზოგადოებაში ახალი და არასაჭირო პროდუქტის ყიდვის სურვილის გაჩენა, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, რომელიმე პოლიტიკოსისადმი სიმპათიის აღძვრა. რეკლამა, შეიძლება ითქვას საზოგადოებისათვის პროპაგანდის მიღებული ფორმაა, რომელშიც ხელისუფლება საარჩევნო გზით მოიპოვება.

ზემოაღნიშნული თემები დღეისათვის ფართოდ არის გავრცელებული და დაინტერესებულ პირთა თვითკმაყოფილება გარკვეული საზოგადოების მოწონებას ხვდება იმის მიმართ, რაც მიახლოებითი და გაურკვეველია. უკვე დადგენილი ფაქტია სარეკლამო ტექნიკის შეჭრა პოლიტიკურ სფეროში. თუმცა ფენომენის მნიშვნელობა და საზღვრები დაუდგენელია. ამ საკითხებზე ფართო მეცნიერული მსჯელობა არ დაწყებულა. წყვეტს კი პოლიტიკური რეკლამა პოლიტიკური ბრძოლის ბედს? ხომ არ არის ის მხოლოდ ლამაზი თანმხლები, ეპიფენომენი ან ძველი სოციალური ფსიქოლოგიის მექანიზმების ახსნა თანამედროვე ენაზე? პასუხი ამ კითხვებზე სიცხადის სიზუსტით ვერ გაიცემა. თუმცა რამდენიმე მარტივი დაკვირვება სიფრთხილისკენ გვი-

ბიძგებს. თავიდან უნდა მოვიშოროთ გარკვეული სოფიზმები. ანატოლ ფრანსი აღნიშნავდა, რომ თუ ორი მხედართმთავრიდან ერთი ისეთივე უნიჭოა როგორც მეორე, ბრძოლას გამარჯვებული მაინც ეყოლება. იმ შემთხვევაში თუ არჩევნების ბედი წინანდელისაგან განსხვავებული იყო, რეკლამის სხვა რომელიმე ხელმძღვანელი მიისაკუთრებდა წარმატებას და სწორედ მისი ლოზუნგი გახდებოდა დაუვიწყარი ან პირიქით, დავიწყებას მიეცემოდა. საარჩევნო რეკლამა, როგორ გენიალურადაც არ უნდა იყოს ის მოფიქრებული და შესრულებული, კანდიდატს ვერ მოაგებინებდა, თუკი ამ უკანასკნელს დასაწყისშივე არ ექნებოდა არავითარი შანსი. ამგვარად, სარეკლამო კამპანია წარმატების ერთ-ერთი ფაქტორია. როგორ შეიძლება მისი გავლენის განსაზღვრა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო რთულია ვიდრე რეკლამის ყოვლისშემძლეობით აღფრთოვანება.

ერთი და იგივე ცრუ ჭეშმარიტების გაუთავებლად გამეორების ნაცვლად უკეთესი იქნებოდა მომხმარებლისა და ამომრჩევლის ხელთ არსებული მექანიზმების შედარება. აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში არსებობს არჩევანი ორ განსხვავებულ რეალობას შორის და რომ „გამყიდველები" მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობენ „მყიდველებმა" არჩევანი მათი პროდუქციის სასარგებლოდ გააკეთონ. თუმცა ანალოგია აქ მთავრდება. ქცევები განსხვავებულია: ისინი არ წარმოადგენენ არც იმავე მოტივაციას, არც ღირებულება/მოგების ურთიერთობასა და არც იგივე მიზნებს. დაინტერესებულ პირებს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული აღნიშნული განსხვავებები. რესპუბლიკის პრეზიდენტისა ან სარეცხის საშუალების არჩევა არ არის ერთი და იგივე ორი უმთავრესი მიზეზის გამო: ერთი მხრივ, თუ გამოვრიცხავთ სიცოცხლისათვის აუცილებელ პროდუქტებს, მოხმარება ნებაყოფლობითია: შეგვიძლია არჩევანი გავაკეთოთ და რაიმე არ მოვიხმაროთ. პოლიტიკაში არჩევანისგან თავის შეკავება მოხმარების იდენტური არაა, რადგან მმართველებს ნიშნავენ და ისინი, ვინც მათ არჩევაზე უარს ამბობენ, მაინც ამ უკანასკნელთა დაქვემდებარებაში იმყოფებიან. მოხმარების სფეროს დატოვება შესაძლებელია, მაგრამ არა პოლიტიკის სფეროსი. მეორე მხრივ, თეორიულად მაინც არსებობს მოხმარების გაკონტროლების შესაძლებლობა, კერძოდ, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომელსაც ნეიტრალური პიროვნებები ჩაატარებენ და გამოააშკარავებენ პროდუქტის სარგებლიანობას ან გამოუსადეგარობას. რეკლამა ობიექტურობით ან ობიექტურობისკენ სწრაფვით შეიძლება შეფასდეს. როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკის სამყაროში სტრუქტურულად აკრძალულია მსგავსი მიდგომა. რას უნდა ნიშნავდეს მსოფლიო კონფლიქტის შემთხვევაში პრეზიდენტობის კანდიდატების რეაქციის შედარებითი ანალიზი? ერთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ურთიერთგაცვლად პროდუქციასთან, რომელიც შემოწმებას ექვემდებარება და იგულისხმება როგორც მუდმივი რამ. მეორე შემთხვევაში, დასკვნის გაკეთება ხდება ინდივიდთა გადაჭარბებულ მაჩვენებლებზე, რომელიც ცვალებადია და შესაძლებელია შეცდომაში შეგვიყვანოს მომავალი მოვლენების კონიუნქტურიდან გამომდინარე. შეიძლება კი გონივრულად მიდგომისას მხარი დავუჭიროთ იმ მოსაზრებას, რომ ორივე შემთხვევაში თანაბარ სიზუსტესთან გვაქვს საქმე? ამ დაკვირვებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკა რეკლამაზე მეტად ცრუობს და ამ უკანასკნელს პირველის დამახინჯების ძალა არ შესწევს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკა და რეკლამა ორი სხვადასხვა რამაა, და ის თანაბარი ლოგიკით არ მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს სესხებას (ანუ პოლიტიკისა რეკლამიდან და პირიქით), ის მაინც შეზღუდულია და ზედაპირული: როდესაც პოლიტიკური პროპაგანდა სარეკლამო საშუალებებს მიმართავს, ის მხოლოდ ახალ სამოსს იცვამს, რომელსაც თავისი მიზნების, ტრადიციებისა და საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად იყენებს. მიამიტური იქნებოდა პოლიტიკური პროპაგანდის და ამგვარად, პოლიტიკის სამყაროს სიღრმისეული განახლების დაჯერება ტერმინოლოგიაში რამდენიმე დამთხვევისა და გარეგანი წარმოდგენის მიზეზით.

განვითარებულ საზოგადოებებში, მიუხედავად რეკლამის დაჟინებითი ხასიათისა, ის მხოლოდ დამატებითი საშუალებაა, უფრო მეტად კი პროპაგანდის სამსახურში არსებულ საშუალებათა ახალი სისტემატიზაციაა. ჩვენს მიერ უკვე განხილული იქნა ამ საშუალებათა გარკვეული რაოდენობა. ჩამოსაყალიბებელია მათი სინთეტიკური ხედვა.

113. სიტყვა. — პროპაგანდის ფართო დეფინიციიდან გამომდინარე, ყველა ვექტორი a priori შეიძლება პროპაგანდის საშუალებად გამოდგეს. ამ სფეროში ადამიანის გამომგონებლობა უსაზღვროა და ამიტომაც, ყოველგვარი შეზღუდვა მიუღებელია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი აღწერა არასრულია და ნებისმიერი კლასიფიკაცია თვითნებურია. შემდგომ მოსაზრებებს მხოლოდ მინიშნებითი მნიშვნელობა ექნება.

რა თქმა უნდა, პროპაგანდის პირველი საშუალება, მისი სხვადასხვა ფორმით, სიტყვაა. სწორედ ინსტიტუციონალიზებულმა და რიტუალიზებულმა სიტყვამ, რომლითაც ორატორი სახალხო კრების წინაშე გამოდიოდა, უდიდესი როლი ითამაშა ათენის დემოკრატიაში. აღნიშნული ფენომენი არ გამქრალა: დღესაც ბევრს ლაპარაკობენ პარლამენტებში და კონგრესებში. ამავე დროს, ტექნიკურმა პროგრესმა ის ერთდროულად გააძლიერა და ადგილი შეუცვალა. რადიომ, შემდეგ კი ტელევიზიამ, ხმის გავრცელება შესაძლებელი გახადა იმგვარად, რომ მისი მოსმენა სხვადასხვა ადგილზე მყოფ ადამიანებს შეეძლოთ. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა მასობრივი და უშუალო ეფექტი, რომელსაც დიდი შედეგები მოჰყვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ საშუალებებს სიახლის ზემოქმედება ახლდა: ბანალური იქნებოდა გველაპარაკა რადიოს როლის შესახებ ჰიტლერის აღზევებისა და მისი ძალაუფლების გამყარების საქმეში. უდავოა, რომ ამ ფენომენს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი საზღვრების განსაზღვრა: დაიმორჩილებდა კი ჰიტლერი გერმანიას რადიოს გარეშე? ეს კითხვა ყოველთვის მართებულია იმ ერთადერთი ფაქტის გამო, რომ ის გადაუჭრელია. ამასთან დაკავშირებით დაჟინება უნდა გამოვიჩინოთ იმ ტენდენციებთან საბრძოლველად, რომლებიც განუწყვეტლივ, მაგრამ დასაბუთების გარეშე, ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტექნიკურ სიახლეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ ხმამაღლმეტყველით გადაცემულ რიტუალიზებულ გამოსვლასაც კი არ დაუკნინებია სპონტანური ან მომზადებული პირადი საუბარი. საიდუმლოდ, ყურიდან-ყურში გადაცემული ინფორმაცია დღესაც უდიდეს როლს ასრულებს მიუხედავად იმისა, რომ ის სისტემატურად შეუფასებელია კორპორაციულ მიზეზთა გამო (რადგან მასმედიას ინფორმაციაზე მონოპოლიის პრეტენზია აქვს) და აგრეთვე იმიტომ, რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, რთულია ამ ფორმებზე დაკვირვება. პროპაგანდის ამ სახეს პირისპირ ლაპარაკის უპირატესობა აქვს: სავარაუდოდ მიუკერძოებელი ნაცნობი მოსაუბრე, რომელმაც ნახა ან იცნობს მას ვინც ნახა, ტყუილში ეჭვმიტანილ ოფიციალურ გამომსვლელზე ნაკლებ უნდობლობას იწვევს. ნაცისტები ვირტუოზულად იყენებდნენ ამ გულუბრყვილო სკეპტიციზმს, როდესაც სპეციალური აგენტების საშუალებით თავიანთი მიზნებისთვის ხელსაყრელ ხმებს ავრცელებდნენ. ამავე დროს, თანამედროვე საფრანგეთში ვხედავთ იმ იდეოლოგიების განვითარებას ან გაჩენას, რომელიც ინსტიტუციონალური სიტყვით იგნორირებული ან გაკრიტიკებულია: ამგვარად, მედიის მიერ სისტემატურად და ზოგჯერ უხეიროდ დაგმობილი რასისტული გამოსვლები, გამოცოცხლებას იწყებს შეზღუდული სოციალური წრის არხებით.

სიტყვა ასევე წერილობითია, რაც გარკვეულწილად მისი ბუნებრივი გაგრძელებაა. დაწერილი სიტყვა უფრო შეზღუდული წრისათვის არის განკუთვნილი, რადგან კითხვის უბრალო ცოდნის გარდა, ის ყურადღებისა და უფრო ფართო აღქმის უნარს გულისხმობს, დაწერილი სიტყვა ასევე შემუშავებული დოქტრინის გამოხატვას ემსახურება. მას ასევე ხანგრძლივობის უპირატესობა აქვს. მიუხედავად ემოციურობის ნაკლებობისა, მას უფრო ღრმა და არაწამიერი გავლენის მოხდენა შეუძლია. ამავე დროს, დაწერილი სიტყვა საზოგადოებასა და გარემოებებთან ადაპტირებულ მრავალფეროვან ფორმებს იძენს. რაც არ უნდა ითქვას, დღესაც წიგნი პირველ პლანზე დგას, რადგან ის უფრო რთული და გაშუალებული აზრის გამოხატვის საშუალებას იძლევა. მის მაღალი აბსტრაგირების ხარისხს საზღვარი აქვს, მაგრამ ის ასევე უნივერსალობის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს: მაგალითისათვის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" ან „მაინ კამფი", მათი სპეციფიკური მოხმარების გამო, არ შეიძლება აუდიო-ვიზუალური სპექტაკლით შევანაცვლოთ, რადგან ისინი ზოგადი ცნებების დეფინიციისთვის არის გამიზნული, რომელსაც ვერც ერთი განსაკუთრებული დეტერმინაცია ვერ წარმოაჩენს. კლასთა ბრძოლის ან არიული რასის უპირატესობის ცნება რომელიმე მაგალითით და მაშასადამე, ვერც სურათით

ამოიწურება. აღნიშნული ცნებები გაუპიროვნებულ ფორმულირებას მოითხოვს, რომელთანაც კონკრეტული შემდგომში იქნება მისადაგებული. ამგვარად, წიგნი იდეოლოგიათა დამფუძნებელ ადგილად რჩება. გაზეთს წიგნთან შედარებით მოვლენების განვითარების ახლოდან მიდევნების უპირატესობა აქვს. გაზეთი პროპაგანდას სთავაზობს სხვაგან, სახელდობრ კი წიგნში ჩამოყალიბებული თემების მუდმივი ილუსტრაციისა და აქტუალიზაციის შესაძლებლობას. გარდა ამისა, გაზეთს ფოტოსურათების რეპროდუქციისა და მათი სიტყვასთან დაკავშირების უნარი აქვს. და ბოლოს, სააგიტაციო ფურცელი კიდევ უფრო სწრაფად და სპეციფიკურად პასუხობს პროპაგანდის მოთხოვნებს.

114. სურათი. — პროპაგანდის სხვა დიდ ვექტორს სურათი ან გამოსახულება წარმოადგენს. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა, რაზეც ჩვეულებისამებრ არ ლაპარაკობენ. ფაქტები, რომელიც შეუძლებელს ხდის იდეოლოგიის სურათით გადმოცემას, პარალიზებას არ უკეთებს პროპაგანდის მიერ ამ უკანასკნელის გამოყენებას, რადგან სურათი მიგვითითებს სიტყვით დამოუკიდებლად განსაზღვრულ დოქტრინაზე. ამავე დროს, სურათის სპეციფიკური ნიშნები გავლენას ახდენენ მის გამოყენებაზე როგორც პროპაგანდის საშუალებაზე. ერთი მხრივ, ის სიტყვაზე უფრო ორაზროვანია. დროშის ჩრდილში მოკლული ხალხით მოფენილი ბრძოლის ველი სამშობლოს გმირული დაცვის, თუ ომის საშინელებათა დაგმობის სურათია? პასუხი მაყურებელზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, ხელოვნება არ არის მხოლოდ რაიმეს გადმოცემა, არამედ ის ასევე გამოხატულებაა ე. ი. ნათელი გამოვლინება რაიმე გზავნილის გადმოცემის გარეშე. ის ასევე ინდივიდუალური გამოხატვაა, რადგან ხელოვნების ნიმუში არა ყველას, არამედ ერთის მიერ იქმნება. ხელოვნებას განსაკუთრებული ინდივიდები ქმნიან, რადგან შემოქმედების უნარი იშვიათი თვისებაა. გამოსახულების ამბივალენტობა ზღუდავს პროპაგანდის ეფექტურობას მისი ეპვქვეშ დაყენების გარეშე, რადგან პროპაგანდა ეფექტურობით არ უნდა განისაზღვრებოდეს. ამასთანავე, შესაძლო გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ: სურათი არ უნდა მივიჩნიოთ პროპაგანდის საშუალებად, თუ არ არსებობს დასაბუთებული მიზეზი იმისა, რომ ის სწორედ ამ განზრახვით არის შექმნილი.

ეჭვგარეშეა, რომ ზემოაღნიშნულს მაინც ხშირად ჰქონდა ადგილი. რელიგიური პროპაგანდა ხშირად იყენებდა მხატვრობას. ასევე კარგად არის ცნობილი მისი პოლიტიკური შედეგები. ამგვარად, მხატვრობა სუვერენებს მათი დიდების მწვერვალზე წარმოაჩენდა: იასინტ რიგოს „ლუი XIV", ინგრის „ნაპოლეონი". მხატვრობამ წამებულთა ხატები ცნობილ პოლიტიკოსთა გარდაცვალების სურათებით შეცვალა ამ უკანასკნელთათვის ხოტბის შესასხმელად: დავიდის „ლე პელეტიე დე სენ-ფარეო",[36] „მოკლული მარატი" ან რესტავრაციის მთავრობის მიერ სხვადასხვა მხატვრებისთვის შეკვეთილი გარდაცვლილი შუანი მეთაურების პორტრეტები. მხატვრობა გმირულ ან გულისამაჩუყებელ ისტორიებს წარმოგვიდგენდა, რომელსაც მაყურებელში აღფრთოვანებისა და მიმბრობის გრძნობა უნდა აღეძრა: მაგალითად, ლუი ერსანის სურათი „ღარიბებისთვის წყალობის დამრიგებელი ლუი XVI 1788 წლის მკაცრ ზამთარში" (1817 წლის სალონი).

აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება. ჩამოთვლილი მაგალითებიდან მხოლოდ იმის დადგენა შეიძლება, რომ მხატვრობას პოლიტიკური შინაარსის გადმოცემა შეუძლია. თუმცა ჩვენს მიერ ადრე განხილულიდან გამომდინარე, არ შეიძლება დავასკვნათ მხატვრობაში პროპაგანდის არსებობა, რადგან ამ უკანასკნელის დადგენის საშუალებას მხოლოდ განზრახვა იძლევა. გარდა ამისა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შემოქმედისა და მისი დამკვეთის მიზნები: ზოგიერთ შემთხვევაში შემოქმედს თავისი შეხედულებები აქვს და იგი მათ გადმოცემას ცდილობს; ზოგჯერ კი იგი დამკვეთის მითითებებით შემოიფარგლება.

ამ მხრივ განსხვავება ორ სიტუაციას შორის უნდა გაკეთდეს: როდესაც შემოქმედნი საჯარო დაკვეთებით ცხოვრობენ და როდესაც ისინი კერძო კლიენტების დაკვეთების წყალობით არსებობენ. აღნიშნული ეპოქაზეა დამოკიდებული. XIX საუკუნის მიწურულს სამხატვრო გალერეებისა და თანამედროვე მხატვრობის გამყიდველთა გამოჩენა (უწინ მხოლოდ სურათების გამყიდველები არსებობდნენ, რომლებიც ძველი მხატვრობის ნიმუშებს ჰყიდნენ) მხატვრების განთა-

[36] ფრანგი პოლიტიკოსი (1760-1793 წწ.). იგი იყო დამფუძნებელი კრების თავჯდომარე 1790 წელს, შემდეგ კი კონვენტში იქნა არჩეული. ლე პელეტიე დე სენ-ფარეო მოკლა ერთ-ერთმა როიალისტმა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯისათვის ხმის მიცემის გამო. (რედ.)

ვისუფლების ძირითადი ფაქტორი გახდა. (სწორედ ამ ეპოქაში მხატვრების წრეში დიდი ხნის მანძილზე უკიდურესი მემარცხენეობის ტრადიცია დომინირებდა). აღნიშნული ასევე ჟანრზეა დამოკიდებული: პორტრეტისტები ყოველთვის ახერხებდნენ თავის რჩენას, მაგრამ „დიდი მხატვრობის" შემქმნელნი (ერთადერთი, რომელიც შეიძლებოდა იდეოლოგიური შინაარსის მატარებელი ყოფილიყო) მხოლოდ საჯარო დაკვეთებით არსებობდნენ და ამიტომაც ხელისუფლებისადმი ლოიალურები უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ ამით აიხსნება XVII საუკუნის საფრანგეთში ბევრი მხატვრის როიალისტური სულისკვეთება, ზოგიერთის ამბოხი (დავიდი) და თითქმის ყველა, თავისი ფუნჯით მათი დროის პოლიტიკურ ძვრებს ასახავდა. ისინი ნაპოლეონისა და ლუი XVIII ერთ ლირიკულ არაბესკში აყენებდნენ, შარლ X-სა და ლუი-ფილიპეს კი თანაბრად უშიშრად გამოსახავდნენ.

XX საუკუნეში მხატვრობის მიერ გადმოცემული პოლიტიკური მისწრაფებები, მათი არსებობის შემთხვევაში, თავად შემოქმედის მისწრაფებებს გამოხატავდნენ, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური შეხედულების მიმდევრები იყვნენ. თუმცა არსებობდა გამონაკლისი: ტოტალიტარული რეჟიმები თავად ისაკუთრებდნენ ხელოვნების ნიმუშის დაკვეთის მონოპოლიას. არაკომფორმისტ შემოქმედებს თავისი ხელოვნებით ცხოვრება ვერ გაჰქონდათ. არ არსებობდა არავითარი შუალედური მდგომარეობა ოფიციალურ და დევნილ დისიდენტ შემოქმედს შორის.

ამ შემთხვევაში საკითხავია არის კი შესაფერისი ისეთი გამოთქმის გამოყენება როგორიცაა „ოფიციალური ხელოვნება?" მართლაც, ხელოვნების ცნება თვისობრივი განსხვავების იდეაზეა დამყარებული: ხელოვნების ნიმუში განისაზღვრება არა შინაარსით, არამედ ესთეტიკური განმასხვავებლით. კანტის აზრით, „ხელოვნება არის არა ლამაზი საგნის რეპროდუქცია, არამედ საგნის ლამაზი რეპროდუქცია". ოფიციალური „ხელოვნება" ამ განსხვავებას იგნორირებას უკეთებს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ შინაარსი. გზავნილზე დიდი ყურადღების გადატანას (და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელთა უკულტურობას ხელოვნების სფეროში) ესთეტიკური ღირებულებების არმქონე სურათებამდე მივყავართ, რომელიც მხოლოდ პროპაგანდას მიეკუთვნება. ესთეტიკური ღირებულების უქონლობა შემოთავაზებული თემებიდან არ მომდინარეობს: მაგალითად, დასავლეთის ხელოვნებამ შექმნა ცხენოსანთა პორტრეტები, რომელიც შედევრებია. თუ მარშალ ჟუკოვის პორტრეტი ცუდია, ეს შემოქმედის უნიჭობის შედეგია, რომელსაც სრულიადაც არ ესაჭიროება ამ უკანასკნელის ქონა. ამ კონტექსტში მხატვრული ღირებულება არაფერს ნიშნავს. მნიშვნელოვანია მხოლოდ გამოსახულება და ის გზავნილი, რომელიც მან უნდა გადმოსცეს. ხელოვნება და პროპაგანდა სრულიად დამოუკიდებელი ცვლადებია.

გასაკვირი არაა, რომ სურათით გადმოცემული პროპაგანდა ნაკლებად დახვეწილი გამოხატვის ფორმებს იყენებს, რომელშიც სურათი ხელოვნების ნიმუშზე იმარჯვებს. დიდი ხნის განმავლობაში გრავიურა სურათების გამრავლების და მათი ხელმისაწვდომ ფასად გაყიდვის ერთადერთი საშუალება იყო (ილუსტრირებული წიგნები, პრესის კარიკატურები). მაგალითისათვის კარგადაა ცნობილი თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ნაპოლეონის შესახებ ლეგენდის გავრცელებაში რაფეს გრავიურებს და ამ ფენომენმა მთელი საუკუნე გასტანა. თანამედროვე ეპოქაში სხვა ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული, განსაკუთრებით კი ფოტოგრაფია, რომელიც არა რეპროდუქციის არამედ გამოსახვის ორიგინალურ საშუალებად არის მიჩნეული. ფოტოგრაფიას პროპაგანდისთვის ხელის შეწყობა შეუძლია თავისი ემოციური შინაარსითა და იმ უტყუარობის ცრურწმენით, რომელსაც ის კარგად იყენებს მაყურებელთან მიმართებაში. ამ ცრურწმენის გადმოცემა გრიმის გაკეთების ტექნიკით გახდა შესაძლებელი, რომელიც საუკუნის ერთ-ერთ სიახლედ იქნა მიჩნეული. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა განვასხვაოთ მეთოდები, როდესაც გამოსახულება აშკარად დამუშავებულია. მაგალითად ფოტომონტაჟი, რომელიც ფოტოგრაფიის რეალიზმის წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობის სამსახურში დაყენების საშუალებას იძლევა. ამგვარი ფორმა ძალიან ხშირად ვაიმარის გერმანიაში გამოიყენებოდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მაგალითად, ჯონ ჰირფილდის აფიშა სათაურით „ჰიტლერის მისალმების მნიშვნელობა" მოვიყვანოთ. მასზე გამოსახულია პატარა ტანის კაცი, რომელიც დაჟინებით ითხოვს წყალობას იქ სადაც მოსჩანს ნაცისტების მეთაურზე ორჯერ მაღალი ღიპიანი კაცი, რომელიც ამ კაცს ბანკნოტების პაკეტს უდებს გამოწვდილ ხელში.

თუ პროპაგანდის გამომხატველ სურათს ან გამოსახულებას მისი შინაარსის მიხედვით განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ ის სამი დიდი მიმართულებით ყალიბდება. ზოგიერთი სურათი მიმხრობის გამოწვევისთვის არის გამიზნული. ამ ტიპის სურათებზე წარმოდგენილია იდეალურად ლამაზი მეთაური ან ანონიმური გმირი იმგვარ სიტუაციაში, რომელშიც მისი სიმამაცე, ერთგულება ან ჰუმანურობა არის ხაზგასმული: პოლიტკომისრის გმირული სიკვდილი ან გენიალური მეთაური, რომელიც ბავშვს ეფერება. მეორე ტენდენცია პირიქით, მოწინააღმდეგის ოდიოზურ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას: მისი ფიზიკური სიმახინჯე მისი მორალური სიმახინჯის, სიმხდალის და უნდობლობის სარკეა და სხვა. იდეალს წარმოადგენს ამგვარი მოწინააღმდეგის იმავდროულად საძულველად, უძლურად, საშიშად, მაგრამ უკვე დამარცხებულად წარმოჩენა. (რა თქმა უნდა ზემოაღნიშნული ძნელად შესათავსებელია, მაგრამ პროპაგანდა საწინააღმდეგო არგუმენტების შეჯამებას გულისხმობს). და ბოლოს, ოფიციალური ხელოვნება რეჟიმის „მიღწევებს" უსვამს ხაზს: ბრძმედები, კაშხლები, საავტომობილო გზები, ენთუზიასტი მუშები, სპორტული ახალგაზრდობა და ერთსულოვანი ბრბო.

გარკვეული მნიშვნელობით კინო სიტყვასა და გამოსახულებას შორის სინთეზს წარმოადგენს, პირველის არათანმიმდევრულ და მეორის ემოციურ ეფექტურობას. ამავე დროს, უხერხულობას ქმნის იმის ვარაუდი, რომ თავიდანვე არსებობს მინიმალური თანხმობა მაყურებლის მხრიდან. ამ შემთხვევაში გლობალური ძალდატანების სისტემა უნდა არსებობდეს, რომლის ამოქმედება მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმებს შეუძლიათ. მართლაც, საჭიროა ფილმის სანახავად წასვლა მაშინ, როდესაც აფიშა ან ბროშურა თავად მოდის თქვენთან.[37]

ტოტალიტარული რეჟიმები კინემატოგრაფიული პროპაგანდის დიდი ვირტუოზები არიან: საკმარისია ეიზენშტაინისა და ლენი რაიფენშტალის ფილმების გახსენება. ამავე დროს, ამგვარ პროპაგანდას ლიბერალური რეჟიმებიც მიმართავენ, განსაკუთრებით ომის პერიოდში. მებრძოლთა ან ფრონტის ზურგში მყოფთა გამბედაობისა და მორალის ხოტბის შემსხმელი ფილმები. შესაძლებელია ასევე მებრძოლი კინემატოგრაფის არსებობა, რომელიც სკანდალებს ხდის ფარდას ან შესაძლო მომავალს აღწერს: ამ მხრივ იტალიურმა კინომ განსაკუთრებით გაითქვა სახელი, თუმცა ამ სფეროში ამერიკულმა კინომაც ღირშესანიშნავი ფილმები შექმნა. რაც შეეხება ფრანგულ კინოს, ის ტოტალურად უნაყოფო აღმოჩნდა ამ სფეროში.

115. სიმბოლოები და სიმბოლური აქტები. — პროპაგანდის საშუალებებზე დაკვირვება კითხვას ბადებს სიმბოლოების გამოყენებასთან დაკავშირებით იმ მნიშვნელობით, როდესაც საგნები და პრაქტიკა არსებულის ნაცვლად სხვა რაღაცას წარმოგვიდგენს. სიმბოლოების ძალა კარგადაა ცნობილი: სკულის ფიცარი ქვამდე არ დაიყვანება, დროშა ნაჭრამდე და სხვ. ხელისუფლება სწორედ სიმბოლოების ძალის მობილიზების უნარით განისაზღვრება, მათი ხელისუფლების სიმბოლოებად გადასაქცევად. ეჭვგარეშეა, რომ კავშირი ხელისუფლებასა და სიმბოლოებს შორის სამ მიზანს ემსახურება. პირველი, შეუძლებელია განყენებული ცნების პირდაპირ ჩვენება. ადამიანის პზერას შესახედად ვერ შესთავაზებ ხელისუფლებას, სამშობლოს ან რესპუბლიკას. აქედან გამომდინარე, გაჩნდა სიმბოლური საგნების (სკიპტრა, სამეფო ტახტი, მართლმსაჯულების ხელი) ან ალეგორიების გამოყენების მოთხოვნილება. მეორე, ყველაზე დიდებული მონარქი ვერ იქნება დიდებული ოცდაოთხი საათი და ერთდროულად ვერ იქნება ყველგან. სამაგიეროდ, მისი გამოსახულება დიდებულია ნებისმიერ დროს, იგი ყველგანაა და ადამიანურ უმწეობაზე იმარჯვებს: დიქტატორები ბერდებიან, მაგრამ არა მათი პორტრეტები. ორი აღნიშნული ფაქტორი ხელისუფლების ინსტიტუციონალიზაციის ძლიერი დამატებითი მექანიზმია, რადგან ის მის აბსტრაქტობის განსახიერებას უწყობს ხელს. მესამე, სიმბოლოები მართულთა და მმართველთა შორის კერძო პირების მსგავსად, გრძნობების დაკონკრეტების საშუალებას იძლევიან ე.ი. მათ შეუძლიათ ისინი საჯარო გახადონ და ისინი გულისცემის "წყვეტისგან" გაანთავისუფლონ: წელიწადში ერთხელ ღატაკებისთვის წყალობის გაღებით მეფე ჭეშმარიტ სიკეთეს განასახიერებს; მონარქის პატივსაცემად აღმართული ქანდაკება მისდამი სიყვარულზე მიუთითებს; სამშობლოსთვის დაღუპულთა ძეგლი მარადიული მადლიერების გამოსახატავად არის შექმნილი.

---

[37] ამ მხრივ ტელევიზია უფრო მოქნილად მოქმედებს. ლიბერალურ რეჟიმში თითოეულს შეუძლია თავისი პარტიის გაზეთის კითხვით შემოიფარგლოს. ამის საპირისპიროდ, ტელევიზიას სახლებში სხვადასხვა შეხედულებათა კრებული შემოაქვს. ამგვარად ის მრწამსის ეჭვქვეშ დაყენების ფაქტორია. სიმართლე რომ ითქვას, ამ მნიშვნელობით ის როგორც თავისუფლების, ასევე პროპაგანდის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

აღნიშნულ მექანიზმებს მათი ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, კითხვამდე მივყავართ: დაკავშირებული არიან თუ არა ისინი პროპაგანდასთან? ხომ არ წარმოადგენენ ისინი ხელისუფლების მარტივ გამოხატულებას, რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელის მიზანსცენაა? ამგვარი მოსაზრება დაუშვებელი იქნებოდა, რადგან ის ხელისუფლების როგორც არსის ბუნებამდე დაგვაბრუნებდა, რომლის არასაკმარისობა უკვე აღინიშნა. თუკი სიმბოლოები ეფექტურია, ეს მომდინარეობს არა მათი არსებობის ფაქტიდან (დროშა ქსოვილის ნაგლეჯია) არამედ იქიდან, რომ ისინი ცნობიერებებს შორის კავშირის ობიექტივაციას წარმოადგენენ. არაფერია წინააღმდეგობრივი იმ ფაქტში, რომ ეს ფენომენები პროპაგანდიდან მომდინარედ განვიხილოთ ზემოაღნიშნული მნიშვნელობით. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს თვისობობრივი განსხვავება ამ მექანიზმების ძველ და XX საუკუნეში მათ სისტემატურ გამოყენებას შორის. ამგვარი ევოლუციის აპოთეოზი მიიღწევა მაშინ, როდესაც ხელისუფლებას მთელი საზოგადოება ფსიქოდრამაში, სიმბოლურ ქმედებაში შეჰყავს, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდი თაკისდა უნებურად გარკვეულ როლს ასრულებს.

ზემოაღნიშნულის პირველ მაგალითს ტოტალიტარული რეჟიმების პოლიტიკური პროცესები წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება საგულდაგულოდ მომზადებულ სპექტაკლებს რეჟისორებით, ინტრიგითა და კვანძის გახსნით, რომელიც პედაგოგიური ეფექტის მოსახდენადაა გამიზნული. თუმცა ამ სპექტაკლების ეფექტურობა თავად მათი არსებობის უარყოფაზეა დაფუძნებული: რეჟისორები შენიღბულები რჩებიან, სცენა ადამიანთა მოდგმაა, ხოლო თავისი როლის რეალობის გათვითცნობიერებულმა თუ გაუთვითცნობიერებელმა მსახიობებმა, საკუთარი თავი უნდა წარმოადგინონ. ანი კრიგელმა შესანიშნავად გვიჩვენა სტალინური ეპოქის პროცესის პრაქტიკული უმიზნობა, რადგან ბრალდებულები უკვე დამარცხებულნი იყვნენ და მათი მოშორება ხმაურის გარეშე შეიძლებოდა. აღნიშნული პროცესი პედაგოგიურ ხასიათს ატარებს და ერთდროულად ტერორისა და მიმხრობის გამოწვევას ისახავს მიზნად. ამავე დროს, ამგვარი ხერხი მთელი საზოგადოების დამმორჩილებელ ტოტალიტარიზმს გულისხმობს.

სხვა შემთხვევებში (ამჯერად საქმე ლიბერალურ რეჟიმებსაც შეიძლება ეხებოდეს) პედაგოგიკა მიმართავს მეთოდს, რომელსაც ძალიან ზოგადი ტერმინით შეიძლება დემონსტრაციები ვუწოდოთ, რაც განსაზღვრული მიზნისთვის შეკრებილ ადამიანთა დიდ კონცენტრაციას მოითხოვს. დემონსტრაციას ძირითადად რიტუალური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს: გარდაცვლილთა მოხსენიება, ეროვნულ დღესასწაულებთან დაკავშირებული აღლუმები, ცნობილ ადამიანთა დაკრძალვის ცერემონიები. ამავე დროს, რიტუალის ფორმის შენარჩუნებით დემონსტრაციამ შეიძლება უფრო პირდაპირი პოლიტიკური ზეწოლის ხასიათი შეიძინოს: ასეთი იყო ნიურნბერგში ნაცისტების მიერ მოწყობილი დღესასწაულები. თუმცა ნებისმიერი ვარაუდით, მიუხედავად არათანაბარი ხარისხისა, დემონსტრაციები გამიზნულია იმისათვის, რომ მონაწილეები ერთდროულად პროპაგანდის სუბიექტად და მიზნად აქციოს. სპექტაკლში ყველა მონაწილეობს, თითოეული ყველასთან ერთობით დამატებით საბაბს პოულობს მიზნის სამართლიანობისა და ამ უკანასკნელის სისწორეში სხვის დასარწმუნებლად. როდესაც ადამიანები თავისუფლების შეგრძნებით სათანამშრომლოდ მოდიან, ეს უკვე პროპაგანდის მიზნის მიღწევის ზღვარად შეიძლება ჩაითვალოს.

ნაწილი მესამე. მოქმედი პირები

116. ვინ არიან პოლიტიკური სამყაროს მოქმედი პირები? — ვინ მოქმედებს პოლიტიკურ სამყაროში? ამ ერთი შეხედვით მარტივ კითხვაზე ბევრი პასუხის გაცემაა შესაძლებელი.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ინდივიდები მოქმედებენ. დავუშვათ, რომ პოლიტიკური სამყაროს მოქმედი პირები დიდი ჯგუფებია, ისეთი როგორიც კლასები და ერებია. შესაძლებელია აგრეთვე შუალედური თვალსაზრისის მიღება ანუ სუბიექტებად იმ ჯგუფების აღიარება, რომლებიც ინსტიტუციონალიზაციის პროცესის საფუძველზე ყალიბდებიან: იდიომორფული ჯგუფები, იმ ინდივიდებისგან დამოუკიდებლად არსებული, რომლებიც მათ კონკრეტულ დასაყრდენს წარმოადგენენ.

როგორც ვნახეთ, ძირითადად მხოლოდ პირველი პასუხია მართებული. თუმცა ეს პასუხი შეზღუდულია, თუკი ის იგნორირებას გაუკეთებს ინსტიტუტების რეალურ გავლენას (რომელსაც ადამიანის გონება გარდამავლად აღიქვამს). მეორე პასუხი უნდა უკუვაგდოთ. სულიერი არსებები, რომლებზეც ის მიგვითითებს, ძალიან დიდი აბსტრაქციებია იმისათვის, რომ ისინი მოქმედ პირებად ვაღიაროთ. ისინი ობიექტები არიან, რომლებიც სპონტანურად არ აღწევენ კოლექტიურ და უწყვეტ ცნობიერებას საკუთარი თავის შესახებ. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მათ მხოლოდ მცირე ჯგუფების მიერ გაშუამავლებული ისტორიული როლი აქვთ, რომლებიც მათი სახელით ლაპარაკობენ და მოქმედებენ. აღნიშნული ჯგუფები მესამე დეფინიციიდან მომდინარეობს. ამ ჯგუფებში კოლექტიური გადაწყვეტილების მექანიზმის არსებობა მათ პოლიტიკურ სამყაროში მოქმედ პირებად გამოჩენის საშუალებას აძლევს. ჩვენ მოქმედ პირთა ორ ტიპს განვიხილავთ, უფრო სწორედ ამ ორი ტიპიდან რამდენიმე მაგალითს: აშკარაა, რომ მათი ჩამონათვალი (შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ აღნიშნულის გაკეთების შეუძლებლობის მიზეზებს) ამ წიგნის მოცულობას გადაამეტებდა. ცალკე მოქმედ პირებთან ერთად რამდენიმე პოლიტიკურ პერსონაჟსაც განვიხილავთ. სიტყვა პერსონაჟი შეგნებულად ბუნდოვანია: ის ერთდროულად ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და სოციოლოგიურ როლს მოიცავს და ამ შემთხვევაში, კითხვა არ დაისმება თუ რომელი განაპირობებს რომელს. კოლექტიურ მოქმედ პირთა მხრივ ჩვენ ორ ფენომენს განვიხილავთ, რომელსაც პოლიტიკური მეცნიერება სრული უფლებით კლასიკურად უპირატეს ყურადღებას უთმობს: პოლიტიკური პარტიები და ზეწოლის ჯგუფები.

თავი I. პოლიტიკური პერსონაჟები

117. პოლიტიკური პერსონაჟების მრავალფეროვნება. — არსებობს მრავალი პოლიტიკური პერსონაჟი, რადგან თითოეული პოლიტიკური სტრუქტურა მოითხოვს თავის პერსონაჟებს და სპეციფიკურ პასუხებს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ კონიუნქტურასთან მიმართებაში.

ამგვარად, ძველ მონარქიებში მეფის მეგობარი ფავორიტი არსებობდა, რომელსაც პრემიერ-მინისტრის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ან პირობითად პრემიერ-მინისტრისა, რადგან მეფის მეგობრისთვის სტატუსი არ არსებობდა; ფრონდერი, სახელგანთქმული და გაშინაურებული კურტიზანი; პირად ლეგიტიმურობას მოკლებული მრჩეველი, რომელიც სამაგიეროდ ინფორმაციის არხებს აკონტროლებდა და მეფეს მართავდა; მასხარა, ჭკვიანად მიჩნეული პასუხისმგებლობის არმქონე საძულველი, მაგრამ სამეფო ტახტთან დაახლოებული პირი; უმოქმედო, ხშირ შემთხვევაში დამცირებული დოფინი, რომელიც ამავე დროს საშიშიც იყო, რადგან პრინციპში მომავალი მას ეკუთვნოდა. აღნიშნული ტიპები მაშინვე ჩნდებიან, როგორც კი ძალაუფლება თავის საკუთარ სახეს ავლენს. უკანასკნელი განსაკუთრებით ხშირია, რადგან ყოველთვის არსებობს მემკვიდრეობითობის საკითხი. ადგილი მხოლოდ უფრო არაკომფორტული ხდება ლეგიტიმური მემკვიდრეობითობის დაკნინების გამო, რასაც თანამედროვე ავტოკრატების მიერ მემკვიდრეების დანიშვნის მასობრივი გამოყენება მოწმობს.

მაგალითები ყველა მხრიდან იჩენს თავს: გლეხთა აჯანყების მეთაური, ჯარისკაცთა რიგებიდან გამოსული სალდაფონი ან მისტიკური ნათელმჭვრეტი, რომელიც პერიოდულად ცეცხლში ახშობდა რუსეთის ან ჩინეთის იმპერიას და ზოგიერთ შემთხვევაში, დინასტიასაც აფუძნებდა; პროფესიონალი რევოლუციონერი, რადიკალი დიდგვაროვანი; პარტიის გენერალური მდივანი სხვადასხვა გარდასახვებით; ეროვნული გმირი; დემაგოგი; სამისდღეშიო პრეზიდენტები ლათინურ-ამერიკული დიქტატურის პირობებში, რომელთა ავბედით (პატონი პრეზიდენტი მიგელ ანხელ ასტურიასი), საზარელ და მითიურ (გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის სიკვდილი“) ან ნიუანსებით აღსავსე (ალეხო კარპანტიერის „მეთოდის გამოყენება“) სახეებსაც შესანიშნავი ლიტერატურული პორტრეტებით ვიცნობთ.

ნათელია, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არ შეიძლება ამომწურავი იყოს და ამის მიზეზები ავტორის შესაძლებლობებს სცილდება: შეუძლებელია ტიპების გამოყოფა და აღწერა ბუნებრივ სახეობათა მსგავსად. არსებობს დამთხვევებიც და შუალედური შემთხვევებიც: მაგალითად, ამომრჩევლებსა და აქტივისტებს შორის, რომელთაც ჩვენ მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ, შესაძლებელია შუალედური ტიპის თანამოაზრეთა გამოყოფა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტრალინგვისტური სწავლებიდან მომდინარე ენის დახმარებით, რომლის მეშვეობით დანაწევ-

რებას ანხორციელებენ ამოსავალი წერტილის არმქონე ნაწილის თვითნებური მიერთებით. გარდა ამისა, ჩვენი ინფორმაცია ძალიან არათანმიმდევრულია, რისთვისაც საჭიროა კვლევის ჩატარება. ამ პირობებში არსებობს სამართლებრივი მოტივები (და არა მხოლოდ ფაქტობრივი: ადგილის უკმარისობა), რაც უარს გვათქმევინებს პოლიტიკური პერსონაჟების სისტემურ აღწერაზე.

შემოვიფარგლებით მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის პირობებში თანამედროვე პოლიტიკიდან ამოღებული რამდენიმე მაგალითით. ამ შეზღუდულ ჩარჩოშიც კი გვერდზე მოვიტოვებთ იმ ტიპებს, რომელიც თვალის გადავლებას იმსახურებს: მაგალითად ტექნოკრატი, ცნობილი პიროვნება ან განთავისუფლებული მუშაკი, რომელთაც ასევე ნათელს მოვფენთ ჩვენი განხილვა პროცესში.

ნაწილი I. ამომრჩევლები

118. არჩევნები და პოლიტიკა. — როგორც არჩევანის პროცედურა, არჩევნები აშკარად ახლოს დგას პოლიტიკის ცნებასთან. უფრო ზუსტად, ნებისმიერი არჩევნები პოლიტიკას მისი ფართო მნიშვნელობით გულისხმობს, რადგან არჩევნებში მონაწილეები სხვადასხვა არჩევანს შორის გადაწყვეტილებას პირადი მოსაზრების შესაბამისად იღებენ. სამაგიეროდ, არჩევნები ვიწრო და ჩვეულებრივი გაგებით, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ხელისუფლების გადაცემას ეხება.[38]

პრინციპში განსხვავება აშკარაა: მის მსოფლიოს, აკადემიკოსის არჩევნები არ არის პოლიტიკური ვიწრო გაგებით. თუმცა პრაქტიკაში რეალობა ბევრად რთულია, რადგან აპოლიტიკურმა არჩევნებმა შეიძლება პოლიტიზირებული ხასიათი შეიძინოს. პოლიტიკურმა ხელისუფლებამ შეიძლება რომელიმე კანდიდატის არჩევა მოისურვოს, რათა ჰყავდეს შუამავალი ან დამკვირვებელი რომელიმე ინსტიტუტის შიგნით, მეგობრის საამებლად ან უბრალოდ, თავისი გავლენის განსამტკიცებლად და ამ მიმართულებით ზეწოლა განახორციელოს. შესაძლებელია აგრეთვე ამომრჩევლებმა აღნიშნული საშუალება თავისი პოლიტიკური უკმაყოფილების გამოსახატავად გამოიყენონ, მაგალითად, პროფკავშირების არჩევნებში ხელისუფლების მიმართ ყველაზე მტრულად განწყობილი პროფკავშირისათვის ხმის მიცემით. კოლექტივში არსებულ კლანებს, მიუხედავად მათი განსხვავებული წარმომავლობისა, შეუძლიათ ნაწილობრივ პოლიტიკური განსხვავებების შეცვლა (მაგალითად, მემარჯვენე აკადემიკოსები მემარცხენე აკადემიკოსების წინააღმდეგ). რა თქმა უნდა, შესაძლებელია პოლიტიზაციის სხვა მექანიზმების აღწერაც.

წარმოადგენს კი პოლიტიკურ ან პოლიტიზირებულ არჩევნებში ხმის მიცემის ფაქტი ლეგიტიმურად პოლიტიკურ აქტს? შედეგი აშკარაა, თუმცა პასუხი არ არის მარტივი, რადგან მხედველობაში სხვადასხვა თვალსაზრისია მისაღები.

ხმის მიცემა პოლიტიკური აქტია, თუკი მას ხმის მიცემისგან თავშეკავებას დავუპირისპირებთ. ალენ ლანსელოს ნაშრომებიდან ცნობილია, რომ ხმის მიცემისგან თავის შეკავება კავშირშია მცირე სოციალურ ინტეგრაციასთან. აღნიშნული ჯგუფების დონეზე სიმართლეს შეეფერება: უცხოური წარმოშობის მოქალაქეები მკვიდრ მოსახლეობაზე ნაკლებად იღებენ მონაწილეობას ხმის მიცემაში, ისევე როგორც რელიგიური უმცირესობები დომინანტურ რელიგიასთან მიმართებაში და შორეულ რეგიონებში მცხოვრებნი ცენტრალურ რეგიონებში მცხოვრებლებთან შედარებით და სხვ. (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საქმე ტენდენციებს ეხება: ბევრი გამონაკლისი არსებობს, მაგრამ ის საერთო სურათს არ ცვლის). ეს მართებულია აგრეთვე ინდივიდთა დონეზე: ხმის მიცემისგან თავის შეკავება იზრდება ავადმყოფობასთან, სიბერესთან (თუმცა ყველაზე ახალგაზრდა ამომრჩევლები მათზე ასაკოვან მოქალაქეებზე ნაკლებად აძლევენ ხმას), უმუშევრობასთან ერთად, მოკლედ, სახეზეა ინტეგრაციის ნაკლებობის ყველა ფორმა. ექსტრემისტული პარტიების სასარგებლოდ ხმის მიცემაც კი სოციალიზაციის შედეგია (რა არის არაბუნებრივი იმაში, რომ დროის მცირე ნაწილი საარჩევნო ყუთთან იქნეს გატარებული?) და სუბიექტურად არსებული წესრიგისადმი გარკვეული თანხმობაა. ნამდვილი გულაცრუება, აჯანყება სხვა ქცევასთანაა დაკავშირებული და გამოსავალს არა საარჩევნო კაბინასთან, არამედ სხვაგან პოულობს.

---

[38] როგორც ავღნიშნეთ ამგვარად არ იყო საქმე არჩევნების დროს რესპუბლიკურ რომში, მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები აშკარად საკამათო იყო. საქმე სხვაგვარადაა, როდესაც საარჩევნო პროცესი მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებს ანუ როდესაც არ არსებობს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი არჩევანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხმის მიცემისგან თავის შეკავება შეიძლება პოზიტიური არჩევანი გახდეს. ასეთ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რომელიმე პოლიტიკური გაერთიანება ამგვარ ქმედებას ანუ არჩევნებისგან თავშეკავებას ურჩევს, რადგან ის a priori კონსულტაციაზე უარს ამბობს (შემთხვევის მიხედვით, აღნიშნული სწორია ან მცდარი), რომელსაც ის თავისი პრინციპებითა და ფორმებით მანიპულაციად მიიჩნევს. ასევე ინდივიდებს ხმის მიცემისგან თავის შეკავებით, უარყოფითი პოზიცია სურთ გამოხატონ არსებული მდგომარეობის მიმართ. თუკი ამგვარ პოზიციას ამავე დროს თან სხვა ქმედება არ ახლავს (მაგალითად, რევოლუციური აქტივობა) საბოლოო ჯამში ის მონაწილესთვის კმაყოფილების მომგვრელ, მაგრამ ილუზორულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მისი უძლურების შესანიღბად არის გამოყენებული.

ორივე შემთხვევაში ხმის მიცემა ნეგატიურად პოლიტიკურია, მაშინაც როდესაც ის ხმის მიცემისგან თავშეკავება-ინდიფერენტულობას უპირისპირდება და ამგვარად მონაწილეობის მნიშვნელობა აქვს, მაშინაც როდესაც ის ბრძოლისგან თავშეკავებას უპირისპირდება, ერთი შეხედულების მეორესთან დაპირისპირების მსგავსად. მეორე მხრივ აშკარაა, რომ ხმის მიცემა ობიექტურად პოლიტიკურია, რადგან ის განსაზღვრავს თუ ვინ აღასრულებს პოლიტიკურ ხელისუფლებას. არის კი საქმე ამგვარად სუბიექტური თვალსაზრისით? განსხვავება ამომრჩეველთა მიხედვით უნდა გაკეთდეს.

მართლაც, ბევრი ამომრჩეველი მიიჩნევს, რომ მისი ქმედება პოლიტიკურია, ზოგიერთის აზრით კი ხმის მიცემა არ გულისხმობს **პოლიტიკაში მონაწილეობის** მიღებას. ამგვარი გულდაჯერებულობა აშკარად იმ კნინობითი მნიშვნელობით აიხსნება, რომელსაც გარკვეული კონიუნქტურით პოლიტიკის იდეა იძენს. ამგვარად, „პოლიტიკის კეთება" არჩევნებში მონაწილეებისთვის ბინძურ სამყაროში მონაწილეობას ნიშნავს და აგრეთვე **აქტივისტებისთვის** ჩვეულ იძულებაზე თანხმობას. გარკვეულწილად ამგვარი უარი ევფემისტური და ფორმალურია: რაც არ უნდა თქვას ამომრჩეველმა, რეალობა თავისი გზით მიდის. ამასთანავე, ეს უარი ძალიან საგულისხმოა, რადგან გვიჩვენებს იმ საზღვრებს, რომლის გადალახვასაც ბევრი ამომრჩეველი ვერ ბედავს სხვისი ან საკუთარი თავის წინაშე. ამგვარი უარი მათთვის მთელი სამყაროა. ხმის მიცემა მოვალეობაა, რაც **სიამოვნების, ფატალურობის** ან კარგად **შეგნებული ინტერესის** საპირისპიროა.

119. საარჩევნო არჩევანის მოტივაციები. — მიუხედავად ყველაფრისა, ამომრჩეველი ხმას აძლევს. შედეგების თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს ხმის მიცემა ამომრჩეველისთვის პოლიტიკური არჩევანის თუ მოვალეობის შესრულების ეესტია. დიდი ხანია რაც პოლიტიკური მეცნიერებისთვის არჩევნების შედეგების შესწავლა ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სფეროს წარმოადგენს. მართლაც, საარჩევნო შედეგები მოცემული (აუცილებელი არ არის მათი აღდგენა კვლევისა და ზედმიწევნითი ანალიზის საშუალებით) და რაოდენობრივად განსაზღვრულია (შესაძლებელია მათ დასადგენად მათემატიკური ხერხების გამოყენება, რომელიც გარეგნულად მაინც მეცნიერულად გამოიყურება). გარდა ამისა, შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საარჩევნო ქცევის დადგენა კოლექტიურ დონეზე. საიდუმლოებით არის მოცული პირადი არჩევანის მოტივაციები: შეუძლებელია ყველა ინდივიდის გამოკითხვა, მათ შეუძლიათ პასუხზე უარი განაცხადონ, არაფერი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ უკანასკნელთ შეგნებული აქვთ თავისი დემარშის ჭეშმარიტი მოტივები. თუმცა სტატისტიკური მეთოდები ამ სირთულის გადალახვის საშუალებას იძლევა, მაგალითად, ფიზიკის სფეროს მსგავსად, როდესაც შესაძლებელია პროცესში მონაწილე ყველა ელემენტის ტრაექტორიის ხანგრძლივობის არცოდნის გარეშე მთლიანი შედეგის განჭვრეტა. ამასთანავე, ვნახავთ, რომ მიღწეული შედეგები ყოველთვის არ ყოფილა მოსალოდნელი იმედების სიმაღლეზე: ინდივიდთა ქმედება ფიზიკური საგნების მოქმედებაზე უფრო რთულია.

კოლექტიურ დონეზე ხმის მიცემის ასახსნელად სხვადასხვა თეორია შემუშავდა, რომლის თავმოყრა ორი ჰიპოთეზის გარშემო არის შესაძლებელი: დეტერმინისტული და სტრატეგიული ჰიპოთეზები.

დეტერმინისტული ჰიპოთეზის თანახმად, ამომრჩევლებს წინასწარ აქვთ განსაზღვრული თავიანთი პოზიცია და ხმის მიცემა, რომელიც გარე ფაქტორების გავლენის გამოხატულებაა. ამ პერსპექტივით, ხმის მიცემის ახსნა იმ ცვლადის აღმოჩენას უნდა ნიშნავდეს, რომელიც განსხვავების გათვალისწინების შესაძლებლობას მოგვცემს.

ამ მიმართულებით პირველი მცდელობა გახლდათ ანდრე ზიგფრიდის (1913 წ.) წიგნი „დასავლეთ საფრანგეთის პოლიტიკური სურათი", რომელიც პარადოქსულად ცნობილი დარჩა მიუხედავად იმისა, რომ მის თეზისებს დღეს არავინ ენდობა. დასავლეთ საფრანგეთის პოლიტიკური ტენდენციების შესწავლისას, ზიგფრიდი შეეცადა გაეთვალისწინებინა ის გასაოცარი განსხვავება, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებდა მემარჯვენეებისთვის ხმის მიმცემ კონსერვატიულ რეგიონებსა და მემარცხენეებისთვის ხმის მიმცემ რესპუბლიკურ რეგიონებს. ფიზიკური და საარჩევნო რუკის შედარებამ მას გეოგრაფიული დეტერმინიზმის ჰიპოთეზის წამოჭრისკენ უბიძგა. გრანიტის ზონებში საცხოვრებელი სახლები გაფანტულია, რის საშუალებასაც წყლის სიჭარბე იძლევა. ამგვარი მდგომარეობა დიდი მამულების არსებობის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც პატარა მეურნეობებად არის დაყოფილი და ფერმერებისა და ფერმის დამქირავებელთა ხელშია. სოციალური ჩარჩო რელიგიური გავლენის შენარჩუნებისთვისაა კეთილგანწყობილი. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსახლეობა მემარჯვენეებს აძლევს ხმას. ამის საპირისპიროდ, კირქვიან ზონებს მოსახლეობის მჭიდრო დასახლება ახასიათებს. მიწა გლეხებსა და მცირე და საშუალო მიწათმფლობელებს შორის არის განაწილებული. ამგვარი საადგილმამულო რეჟიმიდან თანასწორობის სულისკვეთება, რელიგიისადმი გულგრილობა და მემარცხენეობისკენ გადახრა მომდინარეობს. ამ შემთხვევაში, სოციოლოგიური და რელიგიური ფაქტორები წმინდა გეოგრაფიული ფაქტორის შედეგად არის განხილული: არსებობს ე.წ. „გრანიტის ნიადაგის ელექტორატი" და „კირქვიანი ნიადაგის ელექტორატი".

ზემოაღნიშნული ინტელექტუალური კონსტრუქციის სიმყიფე მაშინვე თვალში საცემია. ერთი მხრივ, უამრავი კონტრარგუმენტი არსებობს: ლიმუზენი და ლე ბურბონე ცდელობების მხარეა, რომლის მოსახლეობა არარელიგიურია და ძირითადად მემარცხენეებს აძლევს ხმას. მეორე მხრივ, განმარტების სისტემა თავისუფლად შემოტრიალდებოდა საპირისპირო რეალობის განხილვის შემთხვევაში: მოსახლეობის შედარებითი იზოლაცია სიმშვიდისა და კონსერვატიზმის ფაქტორი შეიძლება იყოს, მაშინ როდესაც მისმა კონცენტრაციამ კონფლიქტებსა და საგაფიცვო მოძრაობებს შეიძლება შეუწყოს ხელი. უპირველეს ყოვლისა, ზიგფრიდის წიგნის წარუმატებლობა მეთოდოლოგიური ხასიათისაა: საკმარისი არ არის რეალობის ორ ტიპს შორის დამთხვევის კონსტატაცია, შემდეგ კი ნებისმიერი მოსაზრების ჩამოყალიბება, რომელიც მეცნიერული განმარტებისთვის ერთ რეალობას მეორეს დაუკავშირებს.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, პოლ ბუას ნაშრომებმა ლა სარტზე ისტორიული დეტერმინიზმის მნიშვნელობა გვიჩვენა. რატომ იყო დეპარტამენტის აღმოსავლეთი ნაწილი თანასწორობის მომხრე, ხოლო დასავლეთი ნაწილი შუანების მომხრე? აღნიშნული ხდებოდა იმ მიზეზით, რომ დასავლეთი მდიდარი რეგიონი იყო, რომელიც თავისი მოსავლით ცხოვრობდა და მხოლოდ მიწათმოქმედთა მიერ იყო დასახლებული. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთი ღარიბი რეგიონი იყო, რის გამოც აუცილებელი გახდა ხელოსნობის განვითარება (საფეიქრო სახელოსნოები), რასაც ქალაქთან კავშირი მოჰყვა. საქალაქო ცენტრების ეკონომიკურმა და იდეოლოგიურმა გავლენამ რევოლიციური იდეების წარმატება განაპირობა. აღნიშნულის განსხვავება გაგრძელდა და თანამედროვე ეპოქაშიც იჩინა თავი (თუმცა ნაკლებად). პოლიტიკური ტრადიციები რჩებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების მეშვეობით, მაშინაც კი როდესაც საწყისი მიზნები დავიწყებული იყო. საფრანგეთის სხვა რეგიონებზე ჩატარებულმა მსგავსმა კვლევებმა აგრეთვე გვიჩვენა, რომ თანამედროვე ფენომენთა საფუძველი ძველი რეჟიმის სოციალურ სტრუქტურაში უნდა მოიძებნოს. მაგალითად, განსხვავება კონსერვატორულ პუი-ლე-დომსა და პროგრესისტულ ალიეს შორის, აშკარად აიხსნება (ან აიხსნებოდა) ოვერნისა (მცირე მიწის მესაკუთრე გლეხობის მხარე) და ბურბონეს (სადაც მიწა დიდი მიწათმფლობელების ხელშია, რომლებიც დაქირავებულ მუშახელს იყენებენ) პროვინციებს შორის კონტრასტით.

შემოთავაზებული იქნა ასევე სოციოლოგიური ცვლადები, რომელიც ძალიან ზოგად იდეაზეა დაფუძნებული. მის თანახმად, პრივილეგირებული კლასები მემარჯვენეებს, ხოლო არაპრივილეგირებული კლასები მემარცხენეებს აძლევენ ხმას. მთლიანობაში იდეა თავისთავად სწორია, მაგრამ მისი განმარტებითი მნიშვნელობა სუსტია, რაც წააგავს კეთილგონიერებაზე მსჯელობას ესენციალიზმის ტერმინებით. (რა თქმა უნდა აზროვნების ამ ფორმას დიდი პოლემიკური უპირატესობა აქვს ღირებულებათა შესახებ მსჯელობისას, თუმცა ის რაც პოლიტიკური უპირატესობაა აშკარად უხერხულობას ქმნის მეცნიერული მიდგომისას). ნებისმიერი ვარაუდით, ეს იდეა მარტივ წინააღმდეგობას აწყდება. ყველა საზოგადოებაში არაპრივილეგირებული კლასები ყველაზე

მრავალრიცხოვანია. ამ შემთხვევაში, როგორ შეიძლება არსებობდნენ მემარჯვენე მთავრობები? ამ მიმართულებით იყო ზედმიწევნითი ანალიზის გაკეთების მცდელობები. შემოთავაზებული იქნა ხმის მიცემის უაღრესად წინასწარმეტყველური ცვლადი, განსხვავება ხელოსნებსა და მოსამსახურეებს ან ქონების მფლობელებს შორის.

უკანასკნელ წლებამდე საფრანგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა რელიგიურობის გამომჭატველი ცვლადი. მიწათმფლობელობის რეჟიმზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე, კათოლიკური რელიგიისადმი მიკუთვნება საკმარისად ითვლებოდა „კონსერვატორული" ხმის მიცემის განსამარტავად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდნენ „მემარცხენე კათოლიკეები".

ასაკი და სქესი ასევე სათანადო ცვლადად არის მიჩნეული. როგორც ვნახეთ, ხმის მიცემისგან თავშეკავების პროცენტი ასაკის მიხედვით იცვლება. დიდი ხნის განმავლობაში ახალგაზრდები უფრო ხშირად მემარცხენეებს აძლევდნენ ხმას, ხოლო ქალები მემარჯვენეებს. ამ შემთხვევაშიც, თუკი სიღრმისეულად მივუდგებით, საქმე უფრო მეტად ფაქტების კონსტატაციას და არა მათ ახსნას ეხება. შეიძლება დავაკვირდეთ, რომ არჩევნებისადმი დამოკიდებულების ზოგიერთი ანალიზი, გონივრულად აწყობილი პარამეტრებით (ასაკი, სქესი, სოციალურ-პროფესიული სტატუსი, რელიგიური მრწამსი) შევსებას მოითხოვს ჩამოყალიბებულ ფენომენთა გასათვალისწინებლად მემარჯვენე და მემარცხენე შეხედულებათა შესწავლისას. ამ შემთხვევაში, ხომ არ არის მოცემული განმარტებად ის, რაც თავად ასახსნელია? არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მემარჯვენე ამომრჩევლები ხმას მემარჯვენეებს აძლევენ. სამაგიეროდ, თუ ზოგიერთი მათგანი ხმას მემარცხენეებს აძლევს (და პირიქით) საკითხი არჩევანის მოტივაციაზე მეტად ინდივიდთა პოლიტიკურ თვითგამორკვევას ეხება. ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ განსხვავებული პრობლემაა.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, სტრატეგიული ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ ამომრჩეველი შორსაა წინა ფაქტორებიდან გამომდინარე წინასწარი განსაზღვრისაგან და იგი თავის არჩევანს ფიქრისა და კონიუნქტურის ანალიზის შემდეგ აკეთებს. მისი არჩევანი გათვითცნობიერებული და დასაბუთებულია, რაციონალურიც კი.[39] იგი აანალიზებს კანდიდატთა გამოსვლებსა და პროგრამებს, აკვირდება იმას თუ რა შეესატყვისება მის ინტერესებსა და მოლოდინს, ცდილობს შეაფასოს რამდენად დამარწმუნებელია დაპირებები და საბოლოოდ არჩევანს ამ სხვადასხვა პარამეტრების შესაბამისად აკეთებს. იგულისხმება, რომ ამომრჩეველი თავისუფალია: მისი არჩევანი წინასწარ არ არის განსაზღვრული გარე ფაქტორთა ერთობლიობით, დასაწყისში. იგი შედარებით ინდიფერენტულია მომხმარებლის მსგავსად, რომელიც a priori სარეცხი საშუალების ერთ მარკას მეორეს არ ამჯობინებს. როგორც სტრატეგი, იგი მის ხელთ არსებულ საშუალებებს თავისი ინტერესებისთვის საუკეთესოდ იყენებს. იმედის გაცრუების შემთხვევაში, მას არჩევანის შეცვლა შეუძლია: თუკი მემარცხენეები მას არ დააკმაყოფილებენ, იგი მემარჯვენეებს მისცემს ხმას და პირიქით. ამ შემთხვევაში განმარტების მიცემა ნიშნავს იმ დამაჯერებელი მოტივების დადგენას, რომლის თანახმად ამომრჩეველი ხმას აძლევს იმგვარად, როგორადაც აძლევს.

როგორ უნდა განვიხილოთ აღნიშნული ჰიპოთეზები? მოვლენათა სირთულის გამო მარტივი პასუხის მონახვა შეუძლებელია. რჩება ბევრი გაურკვევლობა. თუმცა შესაძლებელია რამდენიმე დაკვირვების გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა აშკარაა, რომ დეტერმინისტული ჰიპოთეზა ითვალისწინებს უწყვეტობას, მაგრამ არა განხეთქილებას. თუმცა ეს უკანასკნელი ზოგჯერ სახეზეა. საფრანგეთში საარჩევნო გეოგრაფია კონიუნქტურული დინებების მიღმა, გასაკვირად სტაბილური იყო XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისამდე იმდენად, რომ მასში ძველი რეჟიმიდან მომდინარე

---

[39] რაციონალურისა და დასაბუთებულის განსხვავება ერთმანეთს აშკარად უპირისპირებს განსხვავებას ობიექტურსა და სუბიექტურს შორის. დავუშვათ, რომ ამომრჩევლის არჩევანი გააზრებულია, რადგან შესაძლებელია, რომ მან თავისი ქმედება კარგად მიუსადაგოს საკუთარ სუბიექტურ ინტერესებს. სამაგიეროდ, მისთვის უკიდურესად რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა არის მისთვის ობიექტურად უკეთესი. ამ შემთხვევაში, ამას პოლიტიკური სამყაროს ინდეტერმინაცია უპირისპირდება: უპირატესობის მინიჭების უთანაზომობა, მომავლისკენ მიმართული არჩევანი, დაურწმუნებლობა საარჩევნო დაპირებების მიმართ. პრივილეგირებულმა კლასებმა უნდა დაუჭირონ თუ არა მხარი კონსერვატიულ პარტიებს სოციალური აფეთქების რისკით ან ხელი შეუწყონ გარდაუვალ ევოლუციას დამარცხების საშიშროებით? უმუშევრებმა ხმა უნდა მისცენ თუ არა ხელისუფლებაში მყოფ პარტიას ეკონომიკის ზრდისთვის არასასურველი პირობების შექმნის თავიდან ასაცილებლად იმ მოტივით, რომ ეს უარესი არ იქნება ან ხმის მიცემისგან თავი შეიკავონ, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში მათი ხმა არაფერს შეცვლის? ამ კითხვებს a priori არა აქვს პასუხი. ამ სფეროში ერთადერთი გასაგები რაციონალურობა ამ უკანასკნელის რეტროსპექტული ილუზიაა: ოღონ მომხდარი მოვლენების შემდეგ იცოდე თუ რა უნდა გაკეთებულიყო და რა არა.

განსხვავებები ამოიკითხებოდა. იმ დროიდან პეიზაჟი საგრძნობლად შეიცვალა. თანამედროვე ცვლილებებმა ასევე გვიჩვენა რელიგიური ფაქტორით განმარტების ზღვარი: რელიგიური პრაქტიკის მოშლას არ მოჰყოლია მემარჯვენეობისთვის ხმის მიცემის მოშლა. განსხვავება ქალთა და მამაკაცთა არჩევანს შორის შემცირდა და გარკვეულწილად ქრება კიდეც.

აშკარაა, რომ უარი უნდა ვთქვათ ერთადერთ ცვლადზე დაფუძნებულ მკაცრ დეტერმინიზმზე. სოციალური განსხვავებები პირდაპირ არასოდეს გამოხატულა პოლიტიკურ დონეზე. (სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მარქსისტი ავტორები იძულებულნი არ იქნებოდნენ აეხსნათ, თუ რატომ არ აძლევდა მუშათა დიდი რაოდენობა ხმას კომუნისტებს). პოლიტიკური არჩევანი ცნობიერებიდან მომდინარეობს. იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ინდივიდის ფსიქო-სოციალური იდენტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები მას გარკვეული ქმედებისკენ განაწყობენ (ამავე დროს, არჩევანისა და რაციონალურობის შესაბამისად მის მიერ შეცვლილი), იგი მაინც თავისუფალია. ამ თავისუფლებას ამომრჩეველი აზრის შესაცვლელად, იდეოლოგიურად ახლოს მდგომ ორ კანდიდატს შორის შედარებისთვის იყენებს, რადგან სხვადასხვა დეტერმინიზმი ვერ განსაზღვრავს არჩევანს ნებისმიერ ინდივიდს შორის მათ მიერ გამოყენებული კრიტერიუმებით და ასევე კონსულტაციის ტიპებთან ადაპტაციით, რადგან დადგენილია, რომ მაგალითად, საპრეზიდენტო, საკანონმდებლო და მუნიციპალური არჩევნების დროს ერთნაირი ფორმით არ ხდება არც ხმის მიცემა და არც ხმის მიცემისგან თავის შეკავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ საჭირო ხდება სტრატეგიული ჰიპოთეზის წამოჭრა? ამგვარი დასკვნა ასევე სადავო იქნებოდა, რადგან ის ამომრჩეველის მხრიდან ფსიქოლოგიურ სვლას გულისხმობს, რომელსაც ეს უკანასკნელი უცილობლად არ აკეთებს. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ამომრჩეველი არ ფიქრობს თავის არჩევანზე. მან წინასწარ იცის, თუ ვის მისცემს და ვის არ მისცემს ხმას. ამ დონეზე ყველა ის გააზრებული თუ გაუაზრებელი კრიტერიუმი ერთმანეთს ემთხვევა, რომელსაც მიმზრობის თუ უარყოფის განსაზღვრა შეუძლია პირადი სიმპათიიდან დაწყებული (ფიზიკური სილამაზეც კი!) ობიექტურ ინტერესამდე, რაც იდეოლოგიურ სოლიდარობაში ან სამოქალაქო მოვალეობის გრძნობაში გადადის და პირიქით. როგორც ვხედავთ, აღნიშნული კრიტერიუმები კოლექტიურ დეტერმინიზმსა და ინდივიდუალურ ტროპიზმს აერთიანებს.

მთლიანობაში, ორივე ამოსავალი ჰიპოთეზა თავსებადია, თუკი თავიდან მოვიშორებთ აბსოლუტური დეტერმინიზმის მიუღებელ იდეას. მოვლენათა რეალისტური აღწერა ამ ორი მიდგომის შეთავსებას მოითხოვს, რაც დელიკატური და რთულია, და ზოგჯერ ამ სფეროში ჩატარებულ კვლევებზე უფრო დაწვრილებით, დახვეწილ და ნიუანსირებულ ანალიზს მოითხოვს. თუკი ორივე ჰიპოთეზა დადასტურებულია, მათი შეთავსება შემთხვევის მიხედვით ძალიან ცვალებადია. მაგალითად, დეტერმინიზმი აშკარად უფრო დიდ როლს თამაშობს ევროპაში, სადაც წარსულის ტვირთი და სოციალური სტრუქტურების არსებობა საგრძნობია აშშ-თან შედარებით. ამ უკანასკნელში ამომრჩეველი უფრო თავისუფალია იდეოლოგიურად ნაკლებად განსხვავებული პარტიების პირისპირ. როგორც ვნახეთ, აღნიშნული კონტრასტი ერთ-ერთ მიზეზია, რომლის გამოც კითხვის ქვეშ დგება დევიდ ისთონის მიერ შემუშავებული უნივერსალობის მოდელი.

ნაწილი II. აქტივისტები

120. აქტიეობის მძიმე ეოვალეობები. — ამომრჩეველი განისაზღვრება იმ ანონიმური აქტით, რომელსაც იგი პოლიტიკის საზღვრებში აკეთებს. აქტივისტი ამ უკანასკნელს ორ ასპექტში უპირისპირდება: იგი *პოლიტიკაში ღიად მონაწილეობს*. აქტივისტი არ არის კონსპირატორი, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ კონიუნქტურული მიზეზიდან მომდინარე შემთხვევას. იგი ასევე მოხალისეა. (მაშინაც კი თუ პარტიაში გაწევრიანება საეალდებულოა, ზოგიერთი ტოტალიტარული რეჟიმის მსგავსად, პარტიაში არსებობს განსხვავება ჭეშმარიტ მომხრეებსა — რომლებიც ნებისმიერი ვარაუდით იბრძოლებენ — და სხვებს შორის: სწორედ პირველების მიერ მეორეებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად პარტია ამგვარად არის ორგანიზებული). ეს თვისება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბრძოლის გადაწვეტილებას (ხმის მიცემის გადაწყვეტილებისგან განსხვავებით) მძიმე შედეგები აქვს.

მართლაც, აქტივობას ინდივიდისთვის რეალური უხერხულობა მოაქვს, რომელიც ცვალებადია პარტიების ხასიათიდან (**კადრების ან მასობრივი** პარტიები) და დასაცავი იდეებიდან (კონფორმისტული ან რევოლუციური პარტიები) გამომდინარე, მაგრამ ის არასოდეს არის უმნიშვნელო. აქტივისტი რისკზე მიდის, როდესაც საარჩევნოზე გამოაქვს თავისი მრწამსი, რადგან ამით იგი ipso facto თავის თანამოქალაქეთა ნაწილს ემიჯნება. ბევრი სხვა შეხედულებისგან განსხვავებით, პოლიტიკა ავტომატურ და მძაფრ სიძულვილს იწვევს, თუ მხედველობაში სხვადასხვა პროვოკაციებსაც არ მივიღებთ: თუ თქვენ პოლიტიკით ხართ დაკავებული თქვენ a priori უკუგდებული ხართ ინდივიდთა გარკვეული ნაწილის მიერ, რომელთათვისაც არასოდეს არაფერი გაგიკეთებიათ. მოვალეობა ადამიანთა გარკვეულ ნაწილს აქტივობას აშორებს, რადგან არამოტივირებული და სახიფათო მტრული დამოკიდებულების მოსაგერიებლად განსაკუთრებული ფსიქოლოგიური თვისებების ქონაა საჭირო.

აქტივობა ასევე მსხვერპლის გაღებას მოითხოვს. ფულის გაღებას: საჭიროა საწევროების გადახდა, რომელიც ხშირად მძიმეა და შემოსავლების პროპორციულია. დროის შეწირვას: აქტივობა გამუდმებით დროს მოითხოვს, მით უფრო, რომ როგორც ნებისმიერი ნებაყოფლობითი საქმიანობა პროფესიულ ვალდებულებებს ემატება, რომელიც დასვენების, დროს ტარებისა და ოჯახური ცხოვრების ხარჯზე ხორციელდება. ამას მოჰყვება დრამები და ყოველთვის სირთულეებს იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეუღლე და ბავშვები თავად არ არიან აქტივისტები... ხშირ შემთხვევაში შესასრულებელი მოვალეობები მოსაბეზრებელია, ერთფეროვანი, ნაკლებად დაფასებული და იმედის გამაცრუებელი, რადგან რთულია საკუთარ იდეებზე სხვისი მოქცევა. და ბოლოს, თუკი აქტივობა სრულ ანგაჟირებას მოითხოვს, ის სხვა რამეზე უარის თქმასაც გულისხმობს: სრულყოფა ხელობაში, პროფესიული კარიერა. ამ თვალსაზრისით დაქირავებული მუშაკები პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან: სამუშაო სტაჟი, ცხოვრების ზომიერი რითმი და სამუშაოთი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სულიერი სიმშვიდე მათ აქტივობას აიოლებს.

აქტივობასთან დაკავშირებული უხერხულობების გარდა სარგებელიც არსებობს: წინააღმდეგ შემთხვევაში აქტივისტები არ იარსებებდნენ. აქ სხვა განსხვავებებიც უნდა გაკეთდეს, რადგან აქტივობის მოტივაციები სხვადასხვაგვარია.

121. მიამიტები და ცინიკოსები. — როგორც ნებისმიერი ინდივიდუალური არჩევანი, აქტივისტად გახდომის გადაწყვეტილება ინდივიდის პიროვნებიდან მომდინარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმდენივე მოტივაცია არსებობს რამდენი აქტივისტიცაა. ამასთანავე, არჩევანი ორი დომინანტური პოლუსის გარშემოა განლაგებული, რომელიც ორ კატეგორიად, **„ცინიკოსებად“** და **„მიამიტებად“** შეიძლება დავყოთ. ამ ტერმინების უხერხულობა მდგომარეობს იმაში, რომ სალაპარაკო ენაში ისინი ხშირად კნინობითი მნიშვნელობით იხმარება. იმის გამო, რომ უფრო ადეკვატური ტერმინები აზრად არ მოგვდის, უმჯობესია მათი დატოვება, მაგრამ იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილებით, რომ ისინი ყოველგვარი ნიუანსისა და შეფასების მნიშვნელობის გარეშეა გამოყენებული. განსხვავების პირობითობის გათვალისწინების გარეშეც (რომელსაც მივუბრუნდებით) აშკარაა, რომ ინდივიდუალური ტრაექტორიის სირთულე და მოტივების სხვადასხვაობა სხვა ინტერპრეტაციას აბსურდულს გახდიდა.

მიამიტი აქტივისტებისთვის აქტივისტად გახდომის გადაწყვეტილება თავდაპირველად რწმენის, ღირებულებებისადმი მიკუთვნების ან რომელიმე ადამიანთან დამოკიდებულებასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებულად ღრმა შინაგანი რწმენა, მრწამსი, ღირებულებათა მიღება, გრძნობა, რომელიც რომელიმე გამორჩეული პიროვნების (ან რომელიც ასეთად არის მიჩნეული) მხარდასაჭერად ინდივიდის მთლიან მობილიზებას ახდენს, პოლიტიკაში ანგაჟირების მოტივია. იგივე არჩევანი შესაძლებელია დეფიციტიდან მომდინარეობდეს (რომელიც ამასთანავე ძალიან უთანაბროდ იჩენს თავს): ამ საკითხთან დაკავშირებულ სირთულეს დამახასიათებელი თვისების გადამეტების გარეშე აღწერა წარმოადგენს.

ინდივიდუალური ფსიქოლოგიური დეფიციტი: იზოლაციაში მყოფი, მიზნის არმქონე პიროვნებები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საკუთარი თავითა და ადამიანებით, პოლიტიკურ ანგაჟირებაში საზოგადოებასთან ინტეგრირების საშუალებას ხედავენ, რაც მათ ცხოვრებას გარკვეულ აზრს აძლევს. აქტივობა როგორც დალაგებულობის და მნიშვნელობის გარანტია უღიმღამო და აბნეულ ცხოვრებას უპირისპირდება. სწორედ აქ არის ის ფაქტორები, რომლითაც იდე-

ოლოგიის წარმატება აიხსნება: აქტივობა პრაქტიკაა და ამით ის ყოველდღიურ ცხოვრებაში იჭრება და მას აცისკროვნებს.

კოლექტიური სოციალური დეფიციტი: დიდი გაჭირვება, დამცირება, ჩაგვრა აქტივობის განვითარებას უწყობს ხელს, სოციალიზაციის მინიმუმის შენარჩუნების პირობით. არაპრივილეგირებული კლასებიდან გამოსული ინდივიდები უფრო მეტად ახდენენ საკუთარი თავის მობილიზაციას და უფრო სწრაფად შეუძლიათ დაბრკოლებების გადალახვა, რადგან ისინი მოძრაობაში მოჰყავს განსაკუთრებით ეფექტური გრძნობების შეხამებას: ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სურვილი საკუთარი ღირსების გრძნობის განმტკიცებასთან ერთად.

უსაფრთხოების დეფიციტი: კრიზისული სიტუაციები, მომავალში დაურწმუნებლობის გრძნობა, საპირისპირო ბანაკის აქტივისტთა მობილიზაციით გამოწვეული შიში მოქმედების მოტივს წარმოადგენს.

პოლიტიკური ანგაჟირების სხვადასხვა ტიპისთვის საერთოა ის ფაქტი, რომ ისინი ტექნიკური და შეზღუდული მნიშვნელობით უანგაროა: ამ შემთხვევაში აქტივისტები ადგილებსა და ფულს არ ეძებენ. ამგვარი უანგარობა აქტივისტებისთვის თვითმაყოფილების დამატებითი საბაბია. ამასთანავე, არ შეიძლება რაიმე მორალური დასკვნის გამოტანა, რადგან აქტივისტები პირად ინტერესს ეძებენ მაშინაც კი, როდესაც ის არამატერიალურია.

აქტივისტების აღნიშნული კატეგორია ცინიკოსებს უპირისპირდება, რომლებიც პარტიაში კარიერაზე ზრუნვამ მიიყვანა, რადგან პრინციპში აქტივობა ფართოდ აღებს მერიების, ასამბლეების, სამინისტროების კარს; მოკლედ ის იძლევა პრესტიჟს, ხელისუფლებას და ფულსაც კი. ის ამ სასწაულების მიღების იმედს იძლევა ისე, რომ დასაწყისში არ მოითხოვს არავითარ კვალიფიკაციას, ცოდნასა და წესიერებას. სამაგიეროდ, ამბიციას, გამჭრიახობას, დარწმუნების უნარს, აქტივობას პრინციპში ყველაფრის შენაცვლება შეუძლია. ერთადერთი უხერხულობა მდგომარეობს იმაში, რომ შეჯიბრი დაუნდობელია, რადგან ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

ამ ორი კატეგორიის თანაარსებობა ყოველთვის არ არის ჰარმონიული, მით უფრო თუ ის სხვა განსხვავებებს, კერძოდ კი სოციალურს ეხება: გულადი, მიუკერძოებელი, თავაზიანი ადამიანები ალმაცერად უყურებენ ახალგაზრდა ბატონებს „ბასრი კბილებით", ისინი ამ უკანასკნელთ ტრამპლინად (უფრო მაღალი თანამდებობისკენ) მიიჩნევენ, მათ მოწყალებით უყურებენ და იციან, რომ მათი მომავალი სხვაგანაა. ისინი მათ კარიერიზმში დებენ ბრალს. თავის მხრივ, მეორეები პირველებს ვერ იტანენ, რადგან ფიქრობენ, რომ მათ უმნიშვნელო ღირებულებები აქვთ და დროს უსარგებლოდ ფლანგავენ.

ამასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნული ურთიერთგამორიცხვა, რომელსაც პარტიების შიდა ცხოვრებაში ზოგჯერ სერიოზული შედეგები აქვს ხშირად ულამართლოა, ნაწილობრივ მაინც, რადგან იშვიათია წმინდა წყლის ცინიკოსები, რომელთაც ამბიციის გამო შეუძლიათ თავი მოაჩვენონ იმ იდეოლოგიური მრწამსის ერთგულებად, რომელიც მათ გრძნობებს ეწინააღმდეგება. ეს დამქანცველი ფსიქოლოგიური ვარჯიში იქნებოდა და უმჯობესია იმის დაჯერება რასაც ამბობენ. ასევე იშვიათია აქტივისტები, რომელთა უანგარობა იქამდე მიდის, რომ ისინი უარს ამბობენ იმ სარგებელზე, რომელიც მათ შეიძლება უანგარო აქტივობამ მოუტანოს. ამისათვის საჭიროა ძალიან გამძაფრებული მორალური შეგნება. ადამიანთა უმრავლესობისთვის ნორმალურია იმის დაშვება, რომ კარგი რამ მიდის იმათთან, ვინც სწორად აზროვნებს, საკუთარი თავის ჩათვლით. ინდივიდთა დიდი უმრავლესობა ამ ორ კატეგორიას შორის იმყოფება, რომელიც მეტ-ნაკლებად ახლოს არის ერთ-ერთ პოლუსთან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საკითხებზე უაპელაციო მსჯელობები ad hominem უფრო მეტად პოლემიკის აუცილებლობითაა გამოწვეული, რომელიც ღირსებასთან დაკავშირებულ ამაღლებულ და უნაყოფო თემების მოთხოვნით არის დამკვიდრებული.

ამავე დროს არის პუნქტი, რაშიც მიამიტი და ცინიკოსი აქტივისტები ერთიანი არიან: თავიანთ გრძნობებსა და ქცევებში გარე სამყაროს მიმართ. ნებისმიერი სოციალური ჯგუფის მსგავსად, აქტივისტები სხვადასხვა დამახასიათებელ ნიშნებს ავლენენ, რომლის მნიშვნელობაც ცვალებადია: ზოგჯერ საქმე ორგანიზაციის უბრალო პატრიოტიზმს ეხება. ეს მაგალითისათვის, საწარმოსადმი პატრიოტიზმს შეიძლება შევადაროთ. თუმცა აღნიშნული ფენომენი ნამდვილ გლობალურ პარტიკულარისტულ კულტურამდე შეიძლება მივიდეს, რომელიც საზოგადოებაში დაწესებულ ნორმებს სცილდება. ყველა შემთხვევაში, გარკვეული ერთობისადმი მიკუთვნების გრძნობა აქტივისტისთვის იმავდროულად მორალური კომფორტის ელემენტს, ძალისხმევის გაგ-

რძელების სურვილსა და განსაკუთრებული ქცევის გამართლებას წარმოადგენს. გარედან მაყურებელმა მოწინააღმდეგეებმა და ინდიფერენტულად განწყობილმა ადამიანებმა ამგვარი ქცევა შეიძლება სექტანტობად მონათლონ. თუმცა აქტივისტისთვის ის მხოლოდ განსხვავებული ანგაჟირების ბუნებრივი შედეგია. სწორედ აქ ვხედავთ პარტიულ ცხოვრებაში არსებული სიხისტის დასაბამს, რომელსაც ამ ორგანიზაციების განხილვისას დავუბრუნდებით.

უნდა დავძინოთ, რომ აქტივობა სხვადასხვა ფორმებს იძენს სხვადასხვა საზოგადოებებში და ევოლუციასაც განიცდის. თანამედროვე საფრანგეთში აქტივობისთვის განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობებია. დასუსტებულია ტრადიციული განსხვავებები, მუშათა კლასი დაღმასვლას განიცდის, ინდივიდები, რომლებიც არასტაბილურ პირობებში ცხოვრობენ მოკლებულნი არიან კოლექტიური ქმედების ყოველგვარ შესაძლებლობას. მედია ერთდროულად ხელს უწყობს სტანდარტიზაციასა და პასიურობას. საერთო ხასიათს იძენს სკეპტიციზმი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმართ. ყოველივეს შედეგად აქტივობის დაღმასვლა მოჰყვება ან როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდუალიზმის პროგრესი (უნდა ითქვას, რომ ტერმინი „ინდივიდუალიზმის პროგრესი" მხოლოდ ამ ფენომენის დასახელებისთვის გამოიყენება: მას არავითარი განმარტებითი მნიშვნელობა არ გააჩნია). ამავე დროს, აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება დასკვნის გაკეთება კოლექტიური მოქმედების დაღმასვლის შესახებ. პარალელურად სხვა აქტივობაც ვითარდება, კერძოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სექტორში (გარემოს დაცვა, ჰუმანიტარული და საქველმოქმედო საქმიანობა). თუმცა ეს ფენომენები არ ეხება დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების საკითხს.

ნაწილი III. პოლიტიკური ლიდერები

122. პოლიტიკური ლიდერები როგორც სპეციფიკური სოციალური კატეგორია. — დემოკრატიულ საზოგადოებებში (დავძენთ, რომ ამ წიგნში მხოლოდ ამ საზოგადოებებს განვიხილავთ) პოლიტიკურ ლიდერთა არსებობა განსხვავებულ კატეგორიას წარმოშობს, რომელიც თავად წარმოადგენს პრობლემას თავის შიგნით. მართლაც, დემოკრატიული თეორიის თანახმად, ხალხმა უნდა მართოს. ხალხი თანასწორუფლებიანი მოქალაქეებისაგან შედგება. საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული აუცილებლობა მოითხოვს, რომ ზოგიერთი მათგანი ხელმძღვანელობდეს: მათი ძალაუფლება მხოლოდ მათ თანასწორთა მიერ არჩევნებით დელეგირებულ უფლებამოსილებაზეა დაფუძნებული. ამავე დროს, ეს უფლებამოსილებანი დროშია შეზღუდული (თითოეული რჩეული კვლავ უნდა წარსდგეს არჩევნებზე საკმაოდ ხანმოკლე ვადის ბოლოს), რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმებით არის განსაზღვრული. ამ პირობებში შედარებით განცალკევებული და ჩაკეტილი ჯგუფის შექმნა პრინციპების სახელით დაგმობას იმსახურებს. პრაქტიკაში ამგვარი ჯგუფის შექმნა შეუძლებელი ჩანს: როგორ შეუძლიათ შეზღუდული და დროებითი ვადით არჩეულ რჩეულებს თავიანთი ფუნქციების გამოყენება განცალკევებულ კატეგორიად ჩამოყალიბებისათვის?

სამწუხაროდ, არსებული რეალობა სრულიად არ შეესაბამება თეორიის მტკიცებულებებს. პირიქით, უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური ლიდერები განსაკუთრებულ კატეგორიას ქმნიან, რომელიც ამავე დროს ღიად რჩება, მმართველი კლასისაგან განსხვავებით. თუმცა ამ კატეგორიას თავისი განმასხვავებელი ნიშნები აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატიული თეორიის მტკიცებულებისგან განსხვავებით, არჩევანისაგან განსხვავებული და ამ უკანასკნელზე ადრე არსებული სელექცია არსებობს. იმისათვის რომ პიროვნება არჩეულ იქნეს, იგი უნდა იყოს მისდამი კეთილგანწყობილი ოლქის კანდიდატი, გააჩნდეს მნიშვნელოვანი საშუალებები (ფინანსური რესურსები, ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილგანწყობა, მასმედიასთან კავშირები და სხვ.), იცნობდეს იმ სამყაროს განსაკუთრებულ მექანიზმებს, რომელსაც პოლიტიკა ეწოდება. აშკარაა, რომ ამ პირობებში, თანაბარი უფლებების მქონე ყველა მოქალაქე თანასწორი არ არის. რომელიმე პოლიტიკური წრისადმი მიკუთვნება ხშირად გადამწყვეტ უპირატესობას წარმოადგენს. ამომრჩევლები მიიჩნევენ, რომ ისინი არჩევანს აკეთებენ. მაგრამ არის კი ეს არჩევანი მათზე დამოკიდებული? ხომ არ არის ეს მხოლოდ არჩევანი ერთადერთი და განსაკუთრებული კატეგორიის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის?

აღნიშნული თემა — დემოკრატიის ილუზია, მმართველთა კატეგორიის მონოპოლისტური, მაგრამ დაფარული რეალობა — განსაკუთრებით განვითარდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში იტალიელ ავტორთა მიერ, რომელთაც ხშირად ნეომაკიაველელებს უწოდებენ: პარეტო, რომლის თეორია ელიტის შესახებ ჩვენ უკვე განვიხილეთ, „პოლიტიკური კლასის" ცნების შემქმნელი მოსკა, მიხელსი, რომელმაც გეიჩევნა შეზღუდული და უცვლელი პარტიული ოლიგარქიის ჩამოყალიბების პროცესი მასობრივი პარტიების შიგნით, რომელთათვისაც პრინციპში, დემოკრატია მიზანსა და საშუალებას წარმოადგენს. ამ ავტორების აზრით, აღნიშნულ დაკვირვებებს განსაზღვრული პოლიტიკური მიზანშეწონილობა ჰქონდა: დემოკრატიის დისკვალიფიკაცია და ავტორიტარული რეჟიმების გამართლება. აშკარად არაფერი იძლევა ამ პოსტულატებისადმი მიმხრობის საფუძველს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ამ ავტორთა ანალიზის ნახევარი მაინც მხოლოდ უდავო რეალური ფაქტების კონსტატაციაა და ამიტომაც, ასევე, მიუღებელი იქნებოდა იდეოლოგიის შესაბამისად a priori არსებული ფაქტების უარყოფა. თითოეულმა თავად უნდა გამოიტანოს დასკვნები, რომელიც მას მართებულად მიაჩნია.

აშკარაა ნეგატიური ფაქტის არსებობა: მიუხედავად დემოკრატიული თეორიის მტკიცებულებებისა, ხალხი თავის თავს არ მართავს. მთავრობას ყოველთვის სპეციალიზებული უმცირესობა მართავს, რომელიც არ შედგება ნეიტრალური აღმასრულებელი და ასე ვთქვათ, გაფვირვალედ მოქმედი აგენტებისგან: ამ უკანასკნელთა მიმართ ხალხი არ სარგებლობს არჩევანის თავისუფლებითა და მათი გაწვევის აბსოლუტური შესაძლებლობით.

ამავე დროს, ფენომენის პოზიტიური აღწერა გარკვეულ სირთულეებს აწყდება. უპირველეს ყოვლისა, საქმე დეფინიციის სირთულეს ეხება: აქამდე ჩვენ ვიყენებდით ისეთ ნაკლებად კომპრომენტირებულ სიტყვას როგორიც „კატეგორიაა". საჭიროა კი კლასზე (მმართველი კლასი, პოლიტიკური კლასი) ლაპარაკი? შესაძლებელია, მაგრამ იმ პირობით თუ რას ვიგულისხმებთ ამ ძალიან ბუნდოვანი სიტყვის ქვეშ. ამ შემთხვევაში მას არ გააჩნია არავითარი მარქსისტული შინაარსი. თავად მარქსისტები მგზნებარედ უარყოფენ მის ამგვარ გამოყენებას, რადგან ფენომენი აშკარად არ დაიყვანება ობიექტური პირობის მსგავსებამდე საწარმოო ურთიერთობებთან მიმართებაში. საჭიროა კი ისეთი ევფემიზმის გამოყენება როგორიცაა სოციალური ფენა? ამგვარი გამოსავალიც პრობლემატურია იმ მეორე სირთულის გამო, რასაც იდენტიფიკაცია წარმოადგენს: ზუსტად არ არის ცნობილი თუ რა უნდა მოვაქციოთ ამ კატეგორიაში, რადგან კლასიფიკაცია ავტორების მიხედვით იცვლება. თუმცა რთული არ არის თანხმობის მიღწევა ფენომენის ბირთვთან დაკავშირებით: მინისტრები, პარლამენტარები. მაგრამ თუკი საქმე ეხება არჩევნებში დამარცხებულ ყოფილ დეპუტატს, რომელსაც ხუთ წელიწადში რევანშის აღება შეუძლია? ან სოფლის თემის მერს? ან ტროცკისტ კანდიდატს ნეილიში? ძალიან მნიშვნელოვანი და არანაკლებ რთულია იმის დადგენა, საჭიროა თუ არა ამ კატეგორიის შეზღუდვა საარჩევნო მანდატის კანდიდატებსა და მის მფლობელებამდე, თუ ის უნდა გავრცელდეს საწარმოთა ხელმძღვანელებზე, პროფკავშირების პასუხისმგებელ პირებზე, მაღალი თანამდებობის ფუნქციონერებზე, პოლიტიკურ ჟურნალისტებზე, რომლებიც ხელისუფლების გარშემო ტრიალებენ და ხშირად ამ უკანასკნელის მოპოვებასა და აღსრულებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენენ ვიდრე მოქმედი პარლამენტარები. თუკი არჩევანს მეორე პასუხზე შევაჩერებთ (რომელიც უფრო რეალისტურად გამოიყურება), დავინახავთ თუ რამდენად სუბიექტურია ნებისმიერი კლასიფიკაცია. და ბოლოს, არსებობს ასევე კონცეპტუალიზაციის სირთულე. პოლიტიკური კლასის ცნების ძირითადი პარადოქსი შემდეგში მდგომარეობს: როგორ მოვიაზროთ ერთდროულად ფენომენის ერთიანობა, რომელიც მისი არსებობის აშკარა პირობაა და, ამასთანავე, მისი აშკარა კონფლიქტური ხასიათი? როგორც ვნახეთ, თანამდებობების რაოდენობა ყოველთვის ნაკლებია კანდიდატთა რაოდენობაზე და აქედან გამომდინარე, კონფლიქტი გარდაუვალი და პერმანენტულია.

სხვათა შორის, ზემოაღნიშნული ემთხვევა ხალხის მიერ პოლიტიკის აღქმას: იდეა, რომლის თანახმად შეიძლება არსებობდეს საერთო შეხედულებები მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკოსებს შორის რიგითი მოქალაქისთვის ძნელად აღსაქმელია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მას ეტიკეტების სჯერა. ეს ხდება ასევე იმის გამო, რომ მოქალაქე პოლიტიკას აღიქვამს როგორც ველურ, გამალებულ წინსვლას მიზნისკენ, რომლის დროსაც კეთილგონიერება და საერთო ინტერესი პიროვნებათა და ინტერესთა მეტოქეობას ეწირება. სიმართლეა ის ფაქტიც, რომ საჭიროების შემთხვევაში რიგით მოქალაქეს გააჩნია ასევე ავტომატური, მაგრამ საპირისპი-

რო მოსაზრება: ყველა ერთნაირია, ყველა გახრწნილია, ყველა გაერთიანებულია ხალხის ზურგს უკან მოსალაპარაკებლად და სხვ. პოლიტიკის ხალხური ხედვა მხოლოდ ერების სიბრძნის ვარიანტია. როგორც ვიცით, ამ სიბრძნეს ყოველთვის გააჩნია ორი საპირისპირო ანდაზა; გარემოებიდან გამომდინარე ის წარმოაჩენს პირველს ან მეორეს, და არასოდეს არ აღიქვამს წინააღმდეგობას, რადგან ის მოცემულ მომენტში და არა ხანგრძლივი დროით მოქმედებს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერულ ანალიზს არ შეუძლია თავს ამგვარი ფუფუნების ნება მისცეს.

მართლაც რთულია ერთდროულად ერთიანობისა და კონფლიქტის მოაზრება. თუმცა ამ პრობლემაზე პასუხის მონახვა სხვა საკითხის განხილვისას არის შესაძლებელი.

123. პოლიტიკურ ლიდერთა კორპორაციული ნიშნები. — პოლიტიკურ ლიდერებში, მათ უმრავლესობაში მაინც (რადგან სოციალურ სფეროში აბსოლუტური განზოგადება შეუძლებელია) უნდა აღინიშნოს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნების არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუხედავად განსხვავებებისა, პოლიტიკურ ლიდერებს სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები აქვთ. მთლიანობაში მათ კორპორაციული ნიშნები ახასიათებთ ისევე როგორც მეწაღეებსა და დრამატურგებს. ამაში არაფერია გასაკვირი გარდა იმისა, რომ ეს ფაქტი გაკვირვებას იწვევს. ნებისმიერ პროფესიაში საერთო ნიშნები ხელს არ უშლის ინდივიდუალური კონფლიქტების არსებობას. თუკი პოლიტიკურ საქმიანობაში კონფლიქტის ცნება გარკვეულწილად აფერხებს საერთო ნიშნების დანახვას, ეს ხდება იმ მიზეზით, რომ კონფლიქტების შეძლებისდაგვარად დაფარვის მაგიერ ისინი საჯაროდ არის გამოტანილი, რაც ასევე გამოწვეულია იმით, რომ კორპორაციული ინტერესი საერთო ნიშნების დამალვას მოითხოვს, რადგან თემა პოლიტიკურად ფეთქებადია: ამან შეიძლება „პოლიტიკური კლასის" საყოველთაო დაგმობა ან უარყოფა გამოიწვიოს.

თუმცა პოლიტიკურ მეცნიერებას ამგვარი დელიკატურობა არ ახასიათებს. ის უნდა დაინტერესდეს პოლიტიკურ ლიდერთა კორპორაციული ნიშნებით. ამ ფენომენის ერთ-ერთი განმარტება საერთო სოციალურ საფუძველში უნდა მოიძებნოს. მართლაც, პოლიტიკურ ლიდერთა უმრავლესობა პრივილეგირებული წრეებიდან არის გამოსული, რაც ასევე მემარცხენე მასობრივ პარტიებსაც ეხება. ვითარების სხვაგვარად წარმართვისათვის საჭიროა პარტიების შიგნით დიფერენციული კონკურენციის შექმნა ანუ a priori ხელმძღვანელი თანამდებობების უმრავლესობის არაპრივილეგირებული წრიდან გამოსული აქტივისტებისთვის შემონახვა. ამგვარ სისტემას თავისი დადებითი მხარეები აქვს, მაგრამ ამავე დროს, ის დემოკრატიისთვის ზურგის შექცევაა, რადგან კანდიდატთა კვოტების დაფიქსირება და მათი სოციალური იერსახის განსაზღვრა ხდება არა პარტიის ქვედა ეშელონზე, არამედ მოქმედ ლიდერთა დონეზე. გარდა ამისა, თუ ამ შემთხვევას გამოვრიცხავთ, ზოგადად პოლიტიკურ ლიდერებს იდენტური განათლება აქვთ, ისინი გადიან გარკვეულ ეტაპებს, რაც გარკვეულწილად აუცილებელია მაღალი პოლიტიკური თანამდებობების მისაღწევად. ამ ფენომენს პოლიტიკის პროფესიონალიზაციამდე მივყავართ, რომლის გამხრწნელი შედეგები უმალვე სახეზეა. როგორც ცნობილია, თანამედროვე საფრანგეთში შეიძლება დაიბადო პოლიტიკურ წრეში, დაამთავრო „ENA"(ადმინისტრირების უმაღლესი სახელმწიფო სკოლა), შემდეგ დაიკავო თანამდებობა მინისტრთა კაბინეტში, გახდე დეპუტატი, უფრო მაღალი თანამდებობის იმედი იქონიო ისე, რომ მხოლოდ პოლიტიკით იყო დაკავებული.

ამავე დროს, მხოლოდ სოციალური წარმომავლობა არ წარმოადგენს ერთიანობის ფაქტორს. ამის დასაბუთებაა ის ფაქტი, რომ არაპრივილეგირებული წრიდან გამოსული პოლიტიკური ლიდერები, ან ისინი ვინც მნიშვნელოვან პოსტებზე კანონიკური ეტაპების გავლის გარეშე მოხვდნენ, ძირითადში მაინც ჰგვანან სხვა პოლიტიკურ ლიდერებს. მაშასადამე კორპორაციული ასპექტი წარმომავლობის კრიტერიუმზე პირველობს.

მართლაც, სხვა პროფესიების მსგავსად, პოლიტიკური საქმიანობა ფარულ სელექციას მოითხოვს. ბევრი ინდივიდი a priori უარს ამბობს მსგავს კარიერაზე, რადგან მისთვის შეუთავსებლად მიიჩნია. ამასთან დაკავშირებით არსებობს აქტივისტებთან მიმართებაში გაკეთებული დაკვირვებები: აუცილებელია განსაკუთრებული ფსიქოლოგიური პროფილი, მაგარი ნერვები, მოთმინება, შეუპოვრობა წარუმატებლობის შემთხვევაში, გულგრილობა შეურაცყოფის, ტყუილის, ცილისწამების მიმართ, გადაწყვეტილების მიღების, სხვისი დარწმუნებისა და დაბრკოლებების გადალახვის უნარი. სამაგიეროდ გადაჭარბებული მგრძნობელობა პოლიტიკური ლიდერი-

სათვის გადაულახავი დაბრკოლებაა. გარდა ამისა, საჭიროა კარგი ჯანმრთელობა, რადგან პოლიტიკა დამღლელი საქმიანობაა.

მეორე მხრივ, საჯარო ცხოვრება (თავად ეს ფორმულირება მრავლისმეტყველია) განსაკუთრებული ცხოვრებაა. პოლიტიკურ ლიდერთა ერთადერთი ლეგიტიმურობა არჩევნებიდან მომდინარეობს. ტალანტი, გენიალობა, სახელმწიფო მოღვაწის თვისებები, „ქარიზმაც" კი, ტერმინის მასმედიასთან დაკავშირებული მნიშვნელობით, არც საკმარისია და არც აუცილებელი. თუმცა უპირველეს ყოვლისა, პიროვნება უნდა არჩეული იქნეს. პოლიტიკურ პროფესიაში მხოლოდ განსაზღვრული ვადის კონტრაქტები არსებობს, რაც განსაკუთრებულ ფსიქოლოგიას აყალიბებს და რთული სოციოლოგიური შედეგები აქვს: დაქირავებული მუშები და ლიბერალური პროფესიის ადამიანები ამ შემთხვევაში არახელსაყრელ პირობებში არიან, რადგან მათთვის სახიფათოა საქმის ან კლიენტურის მიტოვება პარლამენტის შემოსარბენად. ამის საპირისპიროდ, ფუნქციონერებისთვის პოლიტიკაში მოღვაწეობა ხელსაყრელია. პოლიტიკურ ხელობას თავისი შეზღუდვები აქვს, რომელზეც მაშინვე არ ფიქრობენ, მაგრამ მათ რეალური შედეგები აქვთ. მაგალითად, პროვინციაში მცხოვრები ყველა დეპუტატი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს: კვირის ნახევარს ის თავის ოლქში ატარებს, მეორე ნახევარს კი დედაქალაქში, სადაც პარლამენტის სხდომები იმართება. ამგვარი ხელობა პრესტიჟულია, დეპუტატები სწრაფად ეჩვევიან ამ საქმიანობის თანმხლებ პატივისცემასა და კარგ პირობებს; თუმცა ის დროებითი ხელობაა.

ყველა ზემოაღნიშნული განმასხვავებელი ნიშნები (ზოგჯერ იშვიათი), რომელსაც ადამიანთა გარკვეული ერთობა ინაწილებს, მთლიანობაში კარგად ხსნის იმ თანამეგობრობის გრძნობას, რომელიც, მიუხედავად პოლიტიკური განსხვავებებისა, შეიძლება ინდივიდებს შორის არსებობდეს, და ხშირად იმგვარად ვლინდება, რომ უბრალო ხალხს შოკს გვრის: მაგალითად, როდესაც პოლიტიკოსები თავიანთი კოლეგების მიმართ შემწყნარებლობას აცხადებენ, რომელიც შესაძლებელია შესასრულებელი ამოცანების სირთულესთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ზოგჯერ არა ალტრუისტული გრძნობითაც იყოს გამოწვეული. ასევე არ უნდა უგულებელყოთ ერთი უბრალო ფაქტი: ოპოზიციური პარტიების დეპუტატები ერთმანეთს უნდა ხვდებოდნენ და ერთმანეთს შორის ურთიერთობის ფორმების მინიმუმი დაიცვან, რადგან საპირისპირო შემთხვევაში ისინი ერთმანეთს გაანადგურებდნენ.... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ტიპის ეიწრო და კონფლიქტურ წრეში აგრესიულობის მარეგულირებელი მექანიზმები უნდა მუშაობდეს. სწორედ ამას ემსახურება საპარლამენტო წესები (შენობით მიმართვა), რომელიც ალბათ ეთნოლოგიურ შესწავლას მოითხოვს. და პირიქით, აღნიშნული ნიშნები ასევე კარგად გვიჩვენებს უცილობელ დაყოფას, რომელიც მმართველთა და მართულთა შორის არსებობს და რაც სენ-სიმონმა უკვე აღნიშნა. დემოკრატიას ეს ყველაფერი არ შეუცვლია.

ნაწილი IV. ინტელექტუალები

124. სიტყვა "ინტელექტუალების" სხვადასხვა მნიშვნელობა. — ტერმინი „ინტელექტუალები" ბევრ მნიშვნელობას მოიცავს. საჭიროა მათი განსხვავება.

ამ სიტყვას შეიძლება სოციოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს. მისი ყველაზე ფართო გაგებით ის ყველა დაქირავებულ მუშაკს აღნიშნავს, რომელიც ფიზიკურ შრომას არ ეწევა. სირთულე იმაშია, რომ ეს ცნება ზედმეტად ფართოა იმისათვის, რომ ეფექტური იყოს. რა საერთო თვისებები (თუ არა ნეგატიური) არსებობს მასწავლებელსა და ბანკის მოსამსახურეს შორის, ინფორმატიკოსსა და „კოლეჟ დე ფრანსის" პროფესორს შორის?

აღნიშნული სიტყვა ფსიქოლოგიურ თავისებურებებსაც აღნიშნავს: ზოგიერთ ინდივიდს იდეების, ერუდიციისა და თეორიული სპეკულაციების მიმართ ინტერესი გააჩნია, სხვებს კი მხოლოდ პრაქტიკა აინტერესებთ, აზროვნების სფეროს ჩათვლით. სწორედ აქ დევს ძირითადი აზრი, რომელიც ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს: არსებობენ „ადმინისტრირების უმაღლესი სახელმწიფო სკოლის" (ENA) კურსდამთავრებულები, რომლებიც ინტელექტუალები არ არიან და დაქირავებული მუშები, რომლებიც ინტელექტუალები არიან.

უნდა ასევე განვასხვაოთ ტერმინის მე-3 და მე-4 მნიშვნელობა, დადებითი და კნინობითი მნიშვნელობა. ერთი და იგივე ფრაზა: „ის ინტელექტუალია" მისი წარმოთქმის მიხედვით ორ განსხვავებულ მნიშვნელობას შეიცავს. გულში ჩამწვდომი და ღვთისმოსავი ტონით ის აღნიშნავს:

„აი ჰუმანურობის კარგი ნიმუში", მკაცრი ტონით ნათქვამი იგივე ტერმინი კი აღნიშნავს: „ის ფანტაზიორი, ფუჭი მეოცნებეა, თავი ვინ ჰგონია?" და სხვ.

პრაქტიკაში ყველა აღნიშნული მნიშვნელობა გვერდიგვერდაა, ერთმანეთს მოიცავს და ამდიდრებს. ზოგიერთი ხელობა (პირველი მნიშვნელობა) წინასწარ განწყობილია ინტელექტუალური თვისებების გამოყენებისთვის მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა მისი მიღება (მე-3 და მე-4 მნიშვნელობა) და ამართლებს თუ არა ის მე-2 მნიშვნელობას. გადამწყვეტია იმის ცოდნა თუ ვის აკისრია დამტკიცების ტვირთი: პროფესორს, რომელსაც არ სურს ინტელექტუალად მიიჩნეოდეს, ეს უნდა დაამტკიცოს, ამის საპირისპიროდ. ტაქსის მძღოლმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ინტელექტუალია.

ზემოაღნიშნულს არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან. ძირითადია ის, რომ ფორმულა: „ინტელექტუალები და პოლიტიკა" სტრუქტურულად არ არის „ფერმერებისა და პოლიტიკის" ეკვივალენტური. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ფორმულას კონფრონტაცია არ შემოაქვს ადამიანის საქმიანობის სფეროსა და რომელიმე ერთობას შორის, რომელიც წინასწარ და დამოუკიდებლად არის განსაზღვრული და რომლის პოლიტიკური ქმედება საკმარისად განსხვავებულ ნიშნებს შეიცავს იმისათვის, რომ სპეციფიკურ შესწავლას იმსახურებდეს. ამ ბოლო მნიშვნელობით „ინტელექტუალები" პოლიტიკას არ „ეჯახებიან": ისინი ასეთებად თავისი პოლიტიკური საქმიანობით ყალიბდებიან.

125. ინტელექტუალები და პოლიტიკა. — ცნობილია, რომ სიტყვა „ინტელექტუალები" დრეიფუსის საქმის დროს გაჩნდა, როგორც დრეიფუსის მომხრე პროფესორთა თუ მწერალთა მხრიდან მოთხოვნილი წოდება. ამავე დროს, ამ ცნების საუკეთესო ილუსტრაცია a contrario დრეიფუსის მოწინააღმდეგის მიერ იქნა ფორმულირებული.

ფერდინანდ ბრიუნეტიერი ფრანგული ლიტერატურის პროფესორი და იმ ეპოქის ძალიან ცნობილი კრიტიკოსი იყო, მაშასადამე „ინტელექტუალი" ტერმინის ობიექტური და სამომავლო მნიშვნელობით. მას კაპიტან დრეიფუსის ბრალეულობის სწამდა და იგი თავის პოზიციას გარეგნულად რაციონალური ფორმით ამართლებდა, რამაც პრობლემას გასაღები მოუნახა: „რომანისტის, ცნობილისაც კი, სამხედრო ტრიბუნალის საქმეებში ჩარევა, მე მიზანშეუწონლად მიმაჩნია, რადგან ეს იგივე იქნებოდა რაც რომანტიზმის სათავეების საკითხში ჟანდარმერიის პოლკოვნიკის ჩარევა".

ამგვარად, შედარების გზით გასაგები ხდება თუ რა იგულისხმევა ტერმინ „ინტელექტუალის" ქვეშ. ინტელექტუალი პოლიტიკაში ანგაჟირებული ადამიანია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს ის ადამიანია, რომელიც აპოლიტიკურ კომპეტენციას (ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების; დღეს ამას ემატება არა სტადიონებზე, არამედ სპექტაკლებში მიღწეული სახელგანთქმულობა) დიდ პოლიტიკურ დებატებში სასწორზე აგდებს. ინტელექტუალი არის განზოგადებით დაინტერესებული ადამიანი, რომელიც თავის ინტუიციას, ათვისების უნარს დაინტერესებული სპეციალისტების (პოლიტიკოსები, მოსამართლეები) სავარაუდოდ ვიწრო, მოქნილობა დაკარგულ კორპორაციულ და დაინტერესებულ ხედვას უპირისპირებს.

ამ მნიშვნელობით „ინტელექტუალების" ცნება სიტყვაზე ძველია: კალასის დამცველი ვოლტერი ინტელექტუალის როლში გამოდიოდა. სამაგიეროდ აღნიშნული ცნება კულტურასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ საფრანგეთს პირველობა ეკუთვნის: რევოლუციიდან მოყოლებული, ლიტერატორები იქ სულიერი მამების როლში გამოდიოდნენ. იგივე ფენომენი ლათინურ ამერიკაში არსებობს. XIX საუკუნიდან რუსეთში ინტელიგენციის ტრადიცია გაჩნდა, რომელიც „პროგრესის ათეისტურ რაინდობად" შეიძლება განისაზღვროს. ამის საპირისპიროდ, აშშ-ში მწერლებს სპეციალისტებად მიიჩნევდნენ და მათი მხრიდან საჯარო და ხმამაღალი პოზიციის დაკავება უადგილოდ მიაჩნიათ.

როგორც ვხედავთ, თავს იჩენს სირთულე: ინტელექტუალებისადმი ნდობა პარადოქსზეა დაფუძნებული, და აქედან გამომდინარე, მხოლოდ წარმატების შედეგად შეიძლება შენარჩუნდეს. ზოლა სწორად ხედავდა იქ სადაც სამხედრო მოსამართლეები უხეშად ცდებოდნენ. ინტელექტუალთა მიერ გავლენის დაკარგვის საფუძველი მხოლოდ ზედმეტად ბევრი დაშვებული შეცდომის არსებობაა. ჟან-პოლ სარტრის საზოგადოების სტრუქტურასთან დაკავშირებული გულუბრყვილობა ამ მხრივ პარადიგმული იყო.

თავი II. პოლიტიკური პარტიები

126. ზოგადი მიმოხილვა. — პოლიტიკური პარტიების შესწავლა პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ სექტორს წარმოადგენს. სოციალური ინსტიტუტების სამართლებრივი ანალიზისაგან განთავისუფლების შემდეგ, პოლიტიკური მეცნიერება მაშინვე პარტიებით დაინტერესდა. აქედან გამომდინარე, ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ აღნიშნული სფერო ამიერიდან ძალიან კარგად არის შესწავლილი და ერთსულოვანი თანხმობა არსებობს საპატიო პირველმკვლევარების ნაშრომების მიმართ? ეს გადაჭარბებული ოპტიმიზმი იქნებოდა. ფაქტია, რომ ზოგიერთი ნაშრომი კლასიკის რანგშია აყვანილი. თუმცა ამგვარი ვითარების ინტელექტუალური შედეგები ორაზროვანია. გაფეტიშებულ ნაშრომება მთრგუნავი ძალა აქვს, რომელსაც ინტელექტუალური სკლეროზის გამოწვევა შეუძლია. ამ ნაშრომებს კომენტარებს უკეთებენ, მათ იმეორებენ ეშვეშეშ დაყენების, მათში არსებული შეცდომებისთვის ყურადღების მიქცევის გარეშე, და იმ ცვლილებების გაუთვალისწინებლად, რომელიც მათ თანდათან გამოუსადეგარს ხდის. თუკი პირიქით, ორიგინალობისთვის ამ ნაშრომებს სისტემატური კრიტიკისთვის იყენებენ, ისინი პარადოქსულ ეფექტს იწვევენ და აუფასურებენ მათში არსებულ სწორ იდეებს. ეშვეშეშ აყენებენ უდავო ფაქტებს, კონიუნქტურული ცვლილებების მიხედვით ძალიან საეჭვო დებულებებს განაზოგადებენ, რომელიც წარმავალია, მაგრამ ახლებურად მიჩნევის უპირატესობით სარგებლობს. ამ სიმეტრიული საფრთხის პირისპირ საჭიროა ფრთხილი და პრაგმატული პოზიციის დაკავება. უნდა განვასხვავოთ საეჭვო ცოდნა, ძირითადი მეორეხარისხოვანისგან და ამავე დროს გვესმოდეს, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია გარკვეული თვითნებურობისა და სუბიექტურობის გარეშე.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თავად პარტიის ცნების დაზუსტება. რა თქმა უნდა არა იმ კუთხით, რომ არსებობს პარტიების „ბუნების" ცნება. ამ წიგნის დასაწყისში ჩვენს მიერ გაკეთებული დაკვირვებები საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებენ ამგვარი კვლევის აბსურდულობას. საქმე ეხება არა ინტრალინგვისტურ მოძღვრებაში ჩაღრმავებას, არამედ ფენომენებს, თვითნებურობასა და ფარულ აზრს შორის ობიექტური განსხვავებების დადგენას, რომელსაც სახელწოდებები თავის თავზე იღებენ. ამ მხრივ, ცნებებზე ფიქრი მოსალოდნელზე შორს წაგვიყვანს.

შემდეგ აუცილებელია ორი დიდი ხერხის მოშველიება, რომელიც პარტიების განხილვის ანალიზმა მოგვცა: ანალიზი პარტიების ტიპებისა და პარტიების ფუნქციების მიხედვით. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ამ ორ მიდგომას შორის არ არსებობს საკმარისად მკაფიო ურთიერთმიმართება. ზოგიერთი ავტორის აზრით, ტიპოლოგიური ანალიზი ფუნქციონალურ ანალიზს შთანთქავს. grosso modo აღნიშნული მორის დიუვერჟეს პოზიციას წარმოადგენს, რომელიც სტრუქტურულ განხილვას უპირატესობას ანიჭებს თავის წიგნში „პოლიტიკური პარტიები" და პარტიების ფუნქციებს არც ერთ ნაწილს არ უთმობს: ის რასაც იგი ფუნქციების შესახებ აღნიშნავს ქვეთავებშია განაწილებული, რომელიც იმგვარი ლოგიკით არის განსაზღვრული, რომ ფუნქციონალურ პრობლემატიკას გლობალურ არსებითობას არ ანიჭებს. სხვა ავტორები, მაგალითად ჟორჟ ლავო, მთლიანობაში სადავოს ხდის ტიპოლოგიურ მიდგომას. ამ ავტორთა აზრით, თითოეული ფენომენი თავისი ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური დეტერმინაციების მთლიანობაში უნდა იქნეს შესწავლილი, ინვარიანტების ძიება კი უკეთეს შემთხვევაში მარცხისთვის არის განწირული, რაც შეცდომებისა და ილუზიების გენერატორია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ არაეფექტური აბსტრაქციების გამოყოფა, რომელიც მოკლებულია იმას, რაც ფენომენს მის სპეციფიკურ მნიშვნელობას ანიჭებს და იმდენად ზოგადია, რომ მცდარიც კი არ შეიძლება იყოს. ეს თვალსაზრისი ძირეულად სწორია, მაგრამ ის ტიპოლოგიური მეთოდის ევრისტიკულ წვლილს უგულებელყოფს. სხვა ავტორები, და მათ შორის ზიგმუნდ ნოიმანი, ტიპოლოგიას ფუნქციების ანალიზზე აფუძნებენ.

ამ ტიპის კამათში მსჯელობები a priori ნაკლებად დამაჯერებელია. თავისთავად არც ერთი მიდგომა არ არის აბსურდული და არც ერთი უზრუნველყოფს სხვაზე უკეთეს შედეგს. მართებული იქნება ყველა მოსაზრების გამოყენება იმ იმედით, რომ ისინი დამატებითი და არაწინააღმდეგობრივი იქნება. ამავე დროს, განხილულიდან გამომდინარე, ამ მეთოდს შესაძლებელია წინააღმდეგობები მოჰყვეს და მათი გადმოცემის რიგითობა თვითნებური გახადოს: ტიპოლოგიური ანალიზი ფუნქციების გაგებას გულისხმობს, ხოლო ამ უკანასკნელის განმარტება შეიძლება ტი-

პოლოგიური ანალიზის წყალობით გახდეს შესაძლებელი. ამასთანავე, ამგვარი უხერხულობები დასაშვებია თუკი ისინი არა აზროვნების პირობითობას, არამედ საგანთა ამბივალენტობას ასახავენ. ისინი შეიძლება უპირატესობადაც იქცეს თუ პრობლემის სირთულის აღქმას დაეხმარებიან. თავდაპირველად ჩვენ პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგიას განვიხილავთ, შემდეგ კი პარტიების ფუნქციებს, რომელიც მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, ცნების ერთიანობის დადასტურებას წარმოადგენს.

ნაწილი I. პარტიის ცნება

1 / პარტიების დეფინიცია

127. რა არის პოლიტიკური პარტია? — კითხვა შესაძლებელია ფუჭად გამოიყურებოდეს, რადგან იმდენად შეჩვეულები ვართ „პოლიტიკურ პარტიებზე" ლაპარაკს, რომ ამ გამოთქმის მნიშვნელობა თითქოსდა მაშინვე ნავარაუდევია. აღარ სვამენ კითხვებს იმ სიტყვების თაობაზე, რომელსაც განუწყვეტლივ იმეორებენ მაშინაც კი, როდესაც მათ მნიშვნელობას ვერ ვანმარტავენ. შთაბეჭდილება იქმნება, რომ საკმარისად გამოვლენილ რეალობას ვეყრდნობით იმისათვის, რომ ამ ცნებასთან დაკავშირებული უფრო ზუსტი ცოდნა ზედმეტად იქნეს მიჩნეული. აღნიშნული მხოლოდ ჩვეულებრივ მოქალაქეებს არ ეხება. პოლიტიკური თამაშის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ კარგად იციან თუ რა ტიპის ორგანიზაციასთან აქვთ საქმე. თუკი ამას გავაანალიზებთ დავინახავთ, რომ ამ დაკვირვებამ ანალიზი არ უნდა დაასრულოს, რადგან ძირითადად სწორედ აქ იჩენს თავს უცნაური ფაქტი, რომელიც თავად განსამარტია. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, მეცნიერული კვლევა არ უნდა დაკმაყოფილდეს საკუთარ საქმიანობაზე მოქმედ პირთა გრძნობათა კონსტატირებით. ამავე დროს, ისინი მხედველობაშია მიღები და სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ. აღარ დავეყრდნობით ინტელექტუალურ ცრურწმენებს, რომელიც ყოვლისმცოდნე განმმარტებელთა უსაფუძვლო შეხედულებებიდან მომდინარეობს და პრეტენზია აქვთ, რომ სხვაზე მეტი იციან, ვიდრე თავად სხვამ საკუთარ თავზე. თუმცა ნებისმიერი პრაქტიკა არასაიმედოა, წყვეტილია და არა უანგარო. ადამიანებს ყოველთვის არა აქვთ განზრახვა და არა აქვთ შეგნებული ის, რასაც აკეთებენ. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ცოდნა „ფაქტებისა" და თეორიების შეჯახებით მიიღწევა. ამიტომაც, საჭიროა განმარტება არა მუდმივი და ფარული წესრიგის ხელახლა მოსანახად, არამედ რეალობის გამოსავლენად. ყველაზე ღირებული დოქტრინები იმ მოქმედების ფორმაშია, რომლითაც რეალობა თავს იცავს. საჭიროა კი კიდევ ერთხელ ის თავდაცვის პოზიციაში დავაყენოთ?

128. ობიექტური და სუბიექტური დეფინიციები. — ამგვარად დასმული კითხვა დეფინიციის ორ ტიპს შორის მერყეობას იწვევს. დეფინიცია სუბიექტურია, როდესაც იმ მოსაზრებებს ითვალისწინებს, რომელიც მოქმედ პირებს თავის შესახებ გააჩნიათ. ამ შემთხვევაში მოქმედ პირებს უნდა დავეკითხოთ წარმოადგენს თუ არა მათი ჯგუფი პარტიას. ამის საპირისპიროდ, დეფინიცია ობიექტურია თუ მას რეალობაში იმ ობიექტური კრიტერიუმების პოვნის პრეტენზია აქვს, რომელიც ობიექტს ნამდვილად პარტიის კატეგორიას მიაკუთვნებს. ამგვარად, აღნიშნული დეფინიცია შესაძლებელია დაინტერესებულ პირებს დაუპირისპირდეს. ამ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთ არავითარი პრივილეგია არა აქვთ თავისი ბუნების, ან საქმიანობასა და გრძნობასთან დაკავშირებულ დეფინიციასთან და მათი აზრის უარყოფა ობიექტური კრიტერიუმების დახმარებით არის შესაძლებელი.

ვიდრე ანალიზს გავაგრძელებდეთ ყურადღებას სამი დაკვირვება იქცევს. პირველი: აშკარაა, რომ საქმე მხოლოდ ინდივიდებსა და ადამიანთა ჯგუფებს ეხება, რომელთაც თვითგამორკვევის უნარი გააჩნიათ: არ არსებობს ტახების სუბიექტური დეფინიცია. სამაგიეროდ კითხვა პარტიებთან დაკავშირებით დაისმის. თუკი ამ შემთხვევაში ობიექტურ დეფინიციას მივიღებთ, პარტიის მნიშვნელობა შეიძლება არ მივაკუთვნოთ იმ ჯგუფებს, რომლებიც თავს ასეთებად აცხადებენ ან პირიქით, რომელიმე ჯგუფი პარტიას მივაკუთვნოთ, მაშინ როდესაც მისი წევრები ამტკიცებენ, რომ პარტიას არ წარმოადგენენ. მეორე: საკითხი კონკრეტულად მხოლოდ მაშინ დაისმის, როდესაც ის მიზანს შეიცავს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი დეფინიცია სხვაობათა

სისტემაში შედის, სადაც მას სათანადო ადგილი უკავია. თუკი არ არსებობს არც დაბრკოლება და არც უპირატესობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ითქვას, არავინ დასვამს შეკითხვას არის თუ არა ლეგიტიმური ან უკანონო დაინტერესებული პირის მიერ საკუთარი თავის შესახებ მოცემული დეფინიცია. საქმე სხვაგვარადაა, როდესაც საკითხი პარტიის დეფინიციას ეხება: ისტორიული თუ იდეოლოგიური კონტექსტებისა და ცვალებად მიზეზთა გამო, პარტიის სახელწოდება ხან საქებარი ხან კი კნინობითი შეიძლება იყოს. შემთხვევების მიხედვით, პოლიტიკური თამაშის მონაწილეები დაინტერესებულნი იქნებიან თავი პარტიას მიაკუთვნონ და სხვას ამაზე უარი უთხრან და პირიქით. საქმე სხვაგვარადაა, თუკი პარტიისადმი მიკუთვნება საჯარო დაფინანსების შესაძლებლობას იძლევა. ზოგიერთ სიტუაციაში საკითხმა შეიძლება უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინოს. ამგვარად, ერთპარტიულ სისტემაში გამთიშველი საქმიანობა მეტ-ნაკლებად მძიმე შეიძლება აღმოჩნდეს იმისდა მიხედვით იქნებიან თუ არა მასში ჩართული ინდივიდები განხილულნი (ან არა) როგორც პარტია, რომელიც ხელისუფლებაზე მონოპოლიის მქონე პარტიის მეტოქეა. მესამე: სწორედ აქ დევს ის მექანიზმი, რომელსაც ჩვენ პოლიტიკურ ფენომენად მივიჩნევთ ამ ცნების პირველ ნაწილში განსაზღვრული მნიშვნელობით. ის ორმაგად საინტერესოა: როგორც პოლიტიკური ბრძოლის მიზანს, მას განხილული ფენომენის მეცნიერული ანალიზის აღრევა შეუძლია, რასაც უნდა მოვერიდოთ; როგორც პოლიტიზაციის მექანიზმის მაგალითი, ის ჩვენ მიერ შესწავლილი ფენომენის ახალ ილუსტრაციას გვთავაზობს ანუ პოლიტიკური სამყაროს ახალ მაგალითს.

როგორც ვხედავთ, კამათი არ ატარებს წმინდა აკადემიურ ხასიათს. პირიქით, ის გამოკვეთილ პოლიტიკურ ინტერესებთან ურთიერთქმედებაშია (თუ მაგალითად, ინდივიდთა ჯგუფს უარს ეუბნებიან პარტიის სახელის ტარების უფლებაზე მისი დისკრედიტაციის ან ამ უფლებასთან დაკავშირებული იურიდიული უპირატესობით სარგებლობის ხელის შესაშლელად), მან შეიძლება სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხიც კი წამოჭრას იმ ვარაუდით, რომ მონოპოლისტური ხელისუფლება მას პარტიად ჩამოყალიბებაში დებს ბრალს. მეცნიერული ხასიათის აშკარა მოტივების გამო სასურველია ობიექტური დეფინიციის შენარჩუნება. საპირისპირო შემთხვევაში, აღნიშნული ნებისმიერი მეცნიერული მოსაზრების უარყოფის ტოლფასი იქნებოდა, რომელიც მდგომარეობს არა ინდივიდუალური ცნობიერების მიკერძოებისადმი მინდობაში, არამედ ფენომენთა შორის წესრიგის დამყარებაში. ამავე დროს, როგორიც არ უნდა იყოს მიღებული დეფინიცია, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ის მხოლოდ საჭირო ორიენტირია, რომელმაც არ უნდა მიგვიყვანოს რეალობის გაყინვამდე და დამახინჯებამდე. სახელდობრ, ყურადღება უნდა მიექცეს მოქმედ პირთა გამოვლენილ ნებას პარტიად ჩამოყალიბების (ან პირიქით) შესახებ, რაც მართლაც მნიშვნელოვან მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს პოლიტიკურ საზოგადოებათა მდგომარეობასა და იმ ხედვასთან დაკავშირებით, რომელსაც ორგანიზაციები თავის შესახებ აყალიბებენ.

129. პოლიტიკური პარტიების დეფინიცია. — თუკი უარს ვიტყვით პოლიტიკური პარტიების თვითდეფინიციაზე ობიექტური კრიტერიუმების სასარგებლოდ, მაინც არსებობს ბევრი დეფინიციის გაკეთების შესაძლებლობა. ამოსავალ წერტილად გამოვიყენებთ ლა პალამბარასა და ვაინერის ნაშრომში „*პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური განყოფილება*" შემოთავაზებულ დეფინიციას. ამ ავტორების აზრით, პოლიტიკური პარტიების არსებობა ოთხ პირობას გულისხმობს:

„1) ხანგრძლივი ორგანიზაცია, ე.ი. ორგანიზაცია, რომლის პოლიტიკური ცხოვრების სიცოცხლისუნარიანობა მისი მოქმედი ხელმძღვანელებით არ შემოიფარგლება;

2) კარგად ჩამოყალიბებული და აშკარად ხანგრძლივი დროისათვის გამიზნული ორგანიზაცია, რომელსაც რეგულარული და მრავალმხრივი კავშირები აქვს ნაციონალურ დონეზე;

3) ორგანიზაციის ნაციონალური და ადგილობრივი დონის ხელმძღვანელთა მტკიცე ნება ხელისუფლების მოპოვებისა და მისი აღსრულებისა, ან თავად ან სხვებთან ერთად, და არა უბრალოდ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის სურვილი;

4) არჩევნების გზით ან სხვა ფორმით სახალხო მხარდაჭერის მოპოვებაზე ზრუნვა".

პირველი სამი პუნქტი მაშინვე უნდა იქნეს განხილული.

პირველი პუნქტი: აღნიშნული დეფინიცია არავითარ იურიდიულ კრიტერიუმებს არ შეიცავს. მის თანახმად, არც ერთი განსაზღვრული ფორმა არ არის საჭირო იმისათვის, რომ ჯგუფმა პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბოს. თუმცა ამ დეფინიციის პირველი ელემენტი ისეთი მე-

ქანიზმის არსებობას გულისხმობს, რომელიც სახელმწიფოს ცნების მმართველთა პიროვნებისგან გამოყოფის ანალოგიურია. პრაქტიკაში ამგვარი შედეგი ბუნებრივად მიიღწევა იურიდიული მექანიზმის ამოქმედებით, რომელსაც ზოგადად პარტიის სტატუსს უწოდებენ. თუმცა იგივეს გაკეთება სხვა მეთოდებითაც არის შესაძლებელი. ამგვარად შეიძლება არსებობდნენ პარტიები, რომელთა ინსტიტუციონალიზაცია დინასტიური ფორმით ხდება: ტიტულოვანი მეთაური ძალაუფლებას თავის ვაჟს გადასცემს ან მის არყოლისას თავის მოადგილეს ნიშნავს. ამ შემთხვევაში იურიდიული ფორმები, მათი არსებობის პირობებშიც კი მხოლოდ საბურველია ტრადიციული სისტემის თანამედროვე სამოსში გამოსაწყობად. ამგვარი ვითარება არქაულად გამოიყურება თანამედროვე დასავლეთის ქვეყნებისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის კარგად ფუნქციონირებს. აღნიშნული მოწმობს, რომ იურიდიული ორგანიზაცია პარტიის არსებობისთვის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს. პარტია პრაქტიკული საქმიანობით განისაზღვრება და არა a priori არსებული პირობებით.

მე-2 პუნქტი: ლა პალამბარასა და ვაინერის დეფინიცია გულისხმობს პარტიის სახელწოდების შემონახვას იმ თანამედროვე პოლიტიკური ჯგუფებისთვის, რომელიც ჩვენთვის დღეს არიან ცნობილი და უარს ამბობს ამ სახელის მინიჭებაზე XIX საუკუნემდე არსებული პოლიტიკური ჯგუფებისთვის. მართლაც, ფუნდამენტური განსხვავება არსებობს თანამედროვე პარტიებსა და მათ წინამორბედებს შორის. ამასთანავე საჭიროა გულდასმით განსხვავებათა განსაზღვრა, რომელიც არ უნდა იქნეს როგორც გადამეტებული, ისე შემცირებული. მეორე მხრივ, პარტიების დეფინიციისთვის არჩევნების უდავო პირობად წაყენების გარეშე ლა პალამბარა და ვაინერი არჩევენ ამ კატეგორიიდან ერთადერთი პარტიაც არ გამორიცხონ. აშკარაა, რომ „სახალხო მხარდაჭერის ძიება" ყოველთვის შესასრულებელი პირობაა, რადგან ვერც ერთი დიქტატორი აშკარად ვერ გაბედავს გამოაცხადოს, რომ იგი აბსოლუტურად ინდიფერენტულია ხალხის აზრის მიმართ. ამგვარი არჩევანი აიხსნება პარტიებისთვის უფრო ფართო დეფინიციის მინიჭების სურვილით, ან ასევე შესაძლოა შეფასებით მსჯელობებზე დაყრდნობის მოჩვენების შიშით. გაკეთებული არჩევანი არანაკლებად საკამათოა. დემოკრატიის ჩარჩოში ხელისუფლებისთვის მებრძოლ პარტიასა და საბჭოთა კავშირის გარდაცვლილ კომუნისტურ პარტიას შორის არსებობს შეფასების განსხვავებაზე მეტი. ერთადერთი კატეგორიის შიგნით მათი აღრევა უეჭველია უხერხულობას იწვევს.

მე-3 პუნქტი: ამ დეფინიციის ორი უკანასკნელი ელემენტი დემარკაციის ხაზს ავლებს პოლიტიკურ პარტიებსა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ რა პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ ცდილობენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. აღნიშნული პარტიების კატეგორიიდან გამორიცხავს ორგანიზაციებს, რომელთაც ტრადიციულად ზეწოლის ჯგუფებს უწოდებენ და რომელთაც ჩვენ მომდევნო თავში განვიხილავთ.

2 / თანამედროვე პარტიების სპეციფიკურობა

130. პოლიტიკური ორგანიზაციის ძველი ფორმები. -- თუ პარტიების სახელწოდებას მივაკუთვნებთ იმ ჯგუფებს, რომელიც დღეისათვის არის ცნობილი, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები ადრეც არსებობდა. ისტორიული კვლევა ამ ჭეშმარიტებას ამტკიცებს, რომლისკენაც a priori ინტუიციაც გვიბიძგებს. მართლაც, იმ დროიდან რაც პოლიტიკური სამყარო არსებობს როგორც ძალთა ბრძოლის ველი და არსებობს ხელში ჩასაგდები ხელისუფლება, აშკარაა, რომ ორგანიზებული მოქმედება დაქსაქსულ ინიციატივებზე ეფექტურია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ჯგუფების შექმნა სპონტანურად ეფექტურობის პირობად იქნა მიჩნეული. ის ძალისხმევის კოორდინაციასა და უწყვეტობას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განსაზღვრასა და გამოყენებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ბრძოლა ერთმანეთს უპირისპირებს არა ინდივიდებს, არამედ ჯგუფებს, რომელთაც ერთმანეთთან შეჯიბრისა და ალიანსის რთული და არამყარი ურთიერთობები აქვთ. შემთხვევითი არაა, რომ ამ ფენომენის აღსაწერად ბუნებრივად სამხედრო ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, რადგან ომი პარადიგმაა, რომლის მეშვეობით კაცობრიობა სწავლობს საშუალებათა კოორდინაციას განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

აუცილებლობა ძალთა გადაჯგუფებას და სხვას არაფერს მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარად ჩამოყალიბებულ ჯგუფებს სხვადასხვა ფორმების მიღება შეუძლიათ. ამ ჯგუფე-

ბის წარმოშობის კონტექსტები, ისევე როგორც მათი გადაჯგუფების წინმსწრები ფაქტორები ძალზედ მრავალფეროვანია. ფაქტორების ამგვარი მრავალფეროვნების გამო, მათი მთლიანობაში წარმოჩენა განზოგადების ისეთ დონეს მოითხოვს, რომ აღწერა უფერული და სიმძაფრეს მოკლებული ხდება. მომდევნო დაკვირვებები ძირითადად ინდიკატორის ხასიათის მატარებელი იქნება, რომელიც ფენომენთა მრავალფეროვნების ილუსტრირებას ისახავს მიზნად. მხოლოდ ისტორიულ კვლევას, რომელიც აღნიშნული ჯგუფების ფუნქციონირების განსაკუთრებულ ისტორიულ კონტექსტს აღადგენს, შეუძლია ნათელი მოჰფინოს თითოეული მათგანის რეალურ სპეციფიკურობას.

ამგვარი ჯგუფების ჩამოყალიბების წარმმართველი ფაქტორები შეიძლება გარკვეული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალური ფორმის პოლიტიკურ დონეზე გადაადგილებით გაჩნდეს. კლანური ან არისტოკრატული საფუძვლის მქონე საზოგადოებებში დიდი ოჯახები მანევრირების შესაძლებლობებს იყენებენ, რომელსაც მათი ქონება, ნათესავები, მევალეები და მსახურები სთავაზობენ. აღნიშნული ოჯახები სოლიდარობის კავშირებითა და პირადი ერთგულებით სარგებლობენ, რომელიც სოციალური ურთიერთობების ქარგასა და სარგებელის, ადგილების, პატივისა და ფულის განაწილებას წარმოადგენს და ერთდროულად პოლიტიკური გავლენის მიზანსა და საშუალებას აყალიბებს. იმ ტიპის საზოგადოებებში როგორიც იყო რომის იმპერია და იტალიის რენესანსის ქალაქ-სახელმწიფოები, პოლიტიკა პარადოქსულ კერძო საქმიანობის ხასიათს ინარჩუნებს: კონფლიქტების მამოძრავებელი ძალაა არა საზოგადოების კეთილდღეობისთვის ზრუნვა, არამედ მდიდარი ოჯახების ქონება და ღირსება. საზოგადოებაზე ზრუნვა კონკრეტულ ფორმას მხოლოდ გარე საშიშროების შემთხვევაში იჩენს თავს.

მონარქიული ინსტიტუტის სტრუქტურის მქონე სახელმწიფოში, როგორიც იყო ჩინეთი ან ძველი რეჟიმის საფრანგეთი, პოლიტიკურ ქმედებას პირიქით, ზუსტი სამიზნე აქვს: პოლიტიკურმა ჯგუფებმა მონარქის წყალობა უნდა მოიპოვონ, რათა მისი მეშვეობით იფუნქციონირონ და თავის სასარგებლოდ აამოქმედონ წყალობებისა და წოდებების განმანაწილებელი ადმინისტრაციული მანქანა და სიმბოლური აპარატი. ისინი ჯგუფის ან პატარა დაჯგუფებების ფორმას იღებენ, რომელშიც ინდივიდთა მცირე რაოდენობაა გაერთიანებული, მაგრამ თავიანთი სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობენ. მათი ქმედება პერმანენტული ომის მსგავსია, რომლის ბრძოლის ველიც პირობითად „მეფის კარის" სახელს ატარებს, სადაც გამოყენებული იარაღი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც გამორჩეული ინდივიდისთვის თავის მოწონების საშუალებები: მეფის საყვარლით მომარაგება, ბილიარდის პარტიის დროულად წაგება და სხვ. სწორედ ამგვარი ხერხებით წყდება ოჯახის სიმდიდრის, მინისტრების დანიშვნის და ირიბად, „დიდი" პოლიტიკის საკითხი. სპარსელი მემატიანეები ან სენსიმონის მემუარები ამ თემის უშრეტ ვარიაციებს გვთავაზობენ: „პატარა საქმე, დიდი შედეგი".

რელიგიური ფაქტორებიც ინდივიდებს ასევე უბიძგებენ პოლიტიკურ ასპარეზზე სამოქმედოდ. ამ შემთხვევაშიც სიტუაციების ამოუწურავ მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული შეიძლება სექტებს ან ეკლესიის ტენდენციებს ეხებოდეს, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან დევნის არიდებას ცდილობენ ან სურთ ეს უკანასკნელი თავიანთ ღირებულებებზე დამყარებულ მორალური წესრიგის გავლენის ქვეშ მოაქციონ. ამის მაგალითია XVII საუკუნეში არსებული ჯგუფები, რომლებიც იანსენისტებს ან კვიეტისტებს უპერდნენ მხარს და ცნობილი ზიარების კამპანია, რომელიც საზოგადოების სახელით მოლიერს დანაშაულისთვის სდევნიდა. შესაძლებელია ასევე საქმე რევოლუციურ ჯგუფებს ეხებოდეს, რომელშიც მილენიზმის გავლენა (მილენიზმი, ქრისტეს ათასწლიანი მეფობის რწმენა) სოციალური წესრიგის კითხვის ქვეშ დაყენებასთან არის შერწყმული; ასევე მოგვი მაზდაკის მიმდევრები, რომლებიც VI საუკუნის სპარსეთში ერთგვარი მისტიკური კომუნიზმის დანერგვას ცდილობდნენ ან მიულმანის მიერ შესწავლილი ფენომენები (Messionisme révolutionnaire du Tiers Monde, trad. Franc., Gallimard, 1968).

პოლიტიკური ჯგუფები ასევე ეკონომიკურ ინტერესთა საფუძველზე იქმნება. აქ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რადგან არც ერთი სფერო არ არის ასე კეთილგანწყობილი რეტროსპექტული ილუზიების მიმართ. მარქსიზმის გავლენის ქვეშ მყოფმა ავტორებმა თავიანთი პოსტულატების გამოყენებით ისტორიული სამყაროს წარმოებითი ურთიერთობებით განსაზღვრული სოციალური კლასებით აავსეს, რომლის გამომხატველიც პოლიტიკური ჯგუფები უნდა ყოფილიყვნენ. A priori იმ რწმენიდან გამომდინარე, რომ სოციალური კლასებისთვის არავითარ უხერხულობას არ წარმოადგენს ისტორიაში იმის ხელახალი პოვნა, რაც მათ მიერ წინასწარ იქნა

შეტანილი. ამგვარი კვლევები ფაქტებისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ნიშნებს უგულებელყოფენ და უცნაურ შეცდომებს წარმოშობენ. ამგვარად, რომის ისტორიის გაგება სენატის მოწყობისა (რომელიც მიწათმფლობელთა არისტოკრატიას წარმოადგენდა) და რომაელ ცხენოსანთა ორდენის (მდიდარი ბურჟუაზიის გამოხატულება) დაპირისპირებით ხდება. აღნიშნული სენატის არსზე ცრუ წარმოდგენას ქმნის, რადგან ის არა წარჩინებულთა ჯგუფს, არამედ თავისი ფუნქციით განსაზღვრულ ორგანოს წარმოადგენდა; წარჩინებულთა წრისადმი მიკუთვნება აუცილებელი იყო, მაგრამ არა საკმარისი მასში მოსახვედრად, რადგან საჯარო თანამდებობაზე პიროვნება არჩეული უნდა ყოფილიყო. ერთ ოჯახში ინდივიდი სენატის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაშინ როდესაც მისი ძმა რომაელ ცხენოსანთა ორდენში იყო, რაც ნათლად გვიჩვენებს კლასების ტერმინებით გაკეთებული ანალიზის აბსურდულობას. სენატის ფსიქოლოგია უფრო მეტად ჰგავდა აკადემიისას, ვიდრე დიდ მიწათმფლობელთა გაერთიანებისას.

მართლაც. მარქსისტული ტიპის ანალიზი მისაღებია მხოლოდ მარქსის დროს არსებული ვითარებისთვის, რომელიც მარქსმა სათანადოთ შეისწავლა, მაგრამ მის საფუძველზე არასათანადო განზოგადება მოახდინა, ანუ XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ევროპის პოლიტიკური სცენისა. ამ შემთხვევაში მარტივი არ არის ლეგიტიმისტურ მოძრაობებში მიწათმფლობელი არისტოკრატიის ინტერესების, ხოლო ლიბერალიზმში სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესათა შემჩნევა (რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება მრავალი ნიუანსი და მრავალი ისტორიული თუ იდეოლოგიური მოვლენა, რომელმაც ამ განსხვავებათა სიცხადე არია). თუმცა სწორედ ამ დროს იწყება თანამედროვე პარტიების ჩამოყალიბება.

ძალიან ახლოს ვართ პარტიებთან ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობით, როდესაც საქმე იდეოლოგიურ საფუძველზე გაერთიანებულ ჯგუფებს ეხება, რომელთაც ზოგადად „კლუბებს" ან „მოაზროვნე ადამიანთა საზოგადოებებს" უწოდებენ. (ყოველგვარი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დავაზუსტოთ, რომ აღნიშნული კლუბები თანამედროვე პოლიტიკური ორგანიზაციებისგან განსხვავდებიან, რომელთაც ეს ტერმინი თავისთვის გამოიყენეს: თუ ამ ორ გაერთიანებას შორის გარკვეული მსგავსება არსებობს, მეორის განსაკუთრებულ ნიშანს პოლიტიკურ სამყაროში მოქმედება წარმოადგენს, რომელშიც პარტიები არსებობენ და სწორედ მათთან მიმართებაში განისაზღვრებიან, რასაც XVIII საუკუნეში ადგილი არ ჰქონია). საფრანგეთში ამგვარი ორგანიზაციები უკვე ძველი რეჟიმის დროს გაჩნდნენ: „ანტრესოლის კლუბი", რომლის გამბედაობამ (წმინდა ინტელექტუალურმა) მთავრობა საკმარისად შეაშფოთა იმისათვის, რომ 1731 წელს ამ კლუბის დახურვა ებრძანებინა. თუმცა ამ ფენომენმა ყველაზე დიდი მასშტაბი რევოლუციის დროს შეიძინა, კორდელიერებისა თუ იაკობინელთა ცნობილი კლუბებით. თავად ის ფაქტი, რომ ოფიციალური სახელწოდებების ნაცვლად („ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დამცველი საზოგადოებები", „კონსტიტუციის მეგობართა საზოგადოება") მეტსახელების გამოყენების აუცილებლობა გაჩნდა შეკრების ადგილის (მაგალითად, „კორდელიერთა (ბერები) კლუბი" მხოლოდ შემოკლებული სახელწოდებაა იმ ძველი მონასტრისა, რომელშიც კორდელიერები იკრიბებოდნენ) და არა პოლიტიკური ტენდენციების აღსანიშნავად, გვიჩვენებს თუ რა ინდივიდუალური მსგავსება და სხვადასხვა რაობის მეორეხარისხოვანი პირობები ედო საფუძვლად ამ კლუბების ჩამოყალიბებას. იმ პერიოდის გარდაუვალ ძიებათა მიღმა, რომელშიც პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც პოლიტიკური ცხოვრება ისე სოციალური ინსტიტუტები უნდა ჩამოყალიბებულიყო, ამ ჯგუფების წიაღში ძალისმიერი მიმართულება გამოიკვეთა: გაჩნდნენ ლიდერები და გაიზარდა თავად პოლიტიკური ტენდენციების გააზრება. ანალოგიური დაკვირვებების გაკეთება შესაძლებელია საპარლამენტო ჯგუფების წინამორბედებზე, როგორებსაც კონვენტში ჟირონდისტები და მონტანიარები წარმოადგენდნენ. ამ ტენდენციების ჩამოყალიბება ეპოქის ფსიქოლოგიის მიხედვით უნდობლობით აღიქმებოდა: რუსოს საყოველთაო ნების თეორიის გავლენის ქვეშ მყოფთათვის საფრთხედ მიიჩნეოდა ის, რაც დაყოფასა და განცალკევებული ჯგუფების შექმნას იწვევდა, და მათ ხშირად კნინობითი მნიშვნელობით „ფრაქციებს" უწოდებდნენ. საპარლამენტო აზრის ამგვარი პოლარიზაცია არ იყო გააზრებული აუცილებელი პლურალიზმის შესაბამისად (ხალხის ლეგიტიმურად განსხვავებული მოსაზრებების ასახვა) როგორც ეს შემდგომში მოხდა. მართლაც, რევოლუციურ ჯგუფებს, კლუბებსა თუ ფრაქციებს პარტიებად ჩამოყალიბებისთვის ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობით აკლდათ არა მხოლოდ ორგანიზაციული სტრუქტურები, არამედ ხელსაყრელი ინსტიტუციონალური და იდეოლოგიური გარემო. ფრანსუა ფიურემ შესანიშნავად გვიჩვენა რევოლუციის პარადოქსი, რომელიც წარმოადგენდა რა

საზოგადოებრივი აზრის გამომხატველ რეჟიმს, არ ფლობდა იმგვარი ინსტიტუციონალური არსის მქონე მექანიზმს, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა ჩვეულებრივი, გასაგები და მშვიდობიანი ფორმით შეეძლო. სწორედ აქედან მომდინარეობდა იმ ჯგუფების მუდმივი ესკალაცია, რომელიც იმის დასამტკიცებლად იბრძოდნენ, რომ ხალხის ნების ერთადერთი გამომხატველები იყვნენ. შემდგომში ვნახავთ, რომ მხოლოდ ინსტიტუციონალური მექანიზმების ამუშავებამ შესაძლებელი გახადა პარტიის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ჩამოყალიბება.

ვიდრე ზემოაღნიშნულ საკითხს დავუბრუნდებოდეთ, მოკლედ უნდა იქნეს განხილული ჩატარებული მიმოხილვის შედეგები, რომელმაც პოლიტიკური გამოხატულების არქაული ფორმებიდან პოლიტიკური პარტიების განმსაზღვრელი ელემენტების გაერთიანების სტადიამდე მიგვიყვანა ისე რომ ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული მათი გამყარების პროცესი, რომელმაც ისინი წარმოშვა. ამ შემთხვევაში აუცილებელია ორი დაკვირვების ჩატარება. ერთი მხრივ, ფენომენის ერთიანობა მხოლოდ ნეგატიურია. ამ წინამორბედ ჯგუფებს ერთმანეთთან აერთიანებთ მხოლოდ ის, რაც მათ პარტიებისგან განასხვავებს: განუსაზღვრელი სტრუქტურის მქონე ხანგრძლივი და იერარქიული არაფორმალური შეკრებები. ისინი განსაზღვრულ კონტექსთან და ერთი ან ბევრი ინდივიდის ქმედებასთან არიან დაკავშირებული: კონტექსტის შეცვლას ინდივიდთა გაუჩინარება მოჰყვება და ჯგუფები თითქმის ყოველთვის იფანტება. ისეთი მასობრივი მოძრაობები, როგორიც მილენარისტულია, თავის გადარჩენას საომარი ავანტიურების შემთხვევითობას უნდა უმადლოდნენ. მმართველთა ვიწრო წრის შიგნით მოქმედ პატარა ჯგუფებს დაკარგული ჰქონდათ იმ საზოგადოებასთან რეალური კონტაქტი, რომელსაც განაგებდნენ. მათი ქმედება ხშირად დაფარული იყო და ისინი ნაკლებად იწუხებდნენ თავს მართულთა მისწრაფებების გარკვეული გამოხატვისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ პატარა ჯგუფებისთვის მიცემულ სახელწოდებებს ყოველთვის კნინობითი მნიშვნელობა ჰქონდა. სპონტანურად ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმების თაობაზე ჩვენი ეპოქის ღირებულებათა დონეზე მსჯელობენ მათი თანამედროვე დასავლეთის ქვეყნების ინსტიტუტებთან შედარების მეშვეობით. მათ პერსონალიზებულ, არასტაბილურ, ბუნდოვან ასპექტს თანამედროვე პარტიების ლეგალურ, სტაბილურ და დემოკრატიულ ხასიათს (ყოველ შემთხვევაში პარტიების ამგვარად წარმოჩენას ამჯობინებენ) უპირისპირებენ. მაგრამ მეორე მხრივ (რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს პირველი დაკვირვების მნიშვნელობას), უნდა კარგად დავინახოთ, რომ პოლიტიკური ქმედებისა და გადაჯგუფების ყველა ფაქტორი, რომელიც ჩვენს მიერ იქნა აღნიშნული, არ არის ამომწურავი და ის დღესაც ფუნქციონირებს არა მხოლოდ ბევრ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს იმ ქვეყნებშიც, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები არ არსებობს. დასავლეთის პარტიებშიც ასევე თავს იჩენს ერთგულება, პირფერობა, რელიგიური მრწამსი, მატერიალურ ინტერესთა დაცვა, იდეოლოგიური მრწამსი და სხვ. პოლიტიკური საქმიანობის გამომხატველი ფორმები პოლიტიკური მოქმედების შესაძლებლობაზე მეტად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრანსფორმაციას დიდი შედეგი აქვს, სათანადოთ უნდა შევაფასოთ უწყვეტობის ფაქტორები. ძველ საზოგადოებებს სიტყვა ეთქმით ჩვენი საკუთარი პოლიტიკის შესახებ.

131. პარტიების წარმოშობა. — საჭიროა პარტიის როგორც ორგანიზაციული ფორმის შესწავლა. ამ პროცესის შესწავლა საინტერესოა იმდენად რამდენადაც საქმე ენდოგენურ მექანიზმს ეხება. არავის, ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკური პარტია არ გამოუგონებია. ფორმა თანდათან იქმნებოდა როგორც სპონტანური და სპეციფიკური პასუხი პოლიტიკური ცხოვრების ობიექტური მოთხოვნებისადმი: მისი ქმედითობა სწორედ აქედან მომდინარეობს. ამ ევოლუციის განხილვით წინ წავიწევთ ფენომენის სიღრმისეული ლოგიკის შესწავლაში.

პარტიების გამოჩენა პირდაპირ იყო განპირობებული იმ ინსტიტუციონალური და პოლიტიკური ცვლილებებით, რომელიც XIX საუკუნის განმავლობაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღინიშნებოდა. საპარლამენტო და დემოკრატიული რეჟიმების გამოჩენამ, შემდეგ კი მათმა კონსოლიდაციამ, რომელიც სულ უფრო მკაფიოდ გამოხატავდა მოსახლეობის ნებას, აუცილებელი გახადა ისეთი ორგანოების შექმნა, რომელსაც გარკვეული ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა შეეძლო. პროცესის პირველ სტადიას საპარლამენტო ჯგუფების შექმნა წარმოადგენდა, რომლებიც ჯერ კიდევ არ განსხვავდებოდნენ ჩვენს მიერ უკვე განხილული პოლიტიკური გაერთიანებებისგან. ისინი სხვადასხვა საერთო ნიშნების საფუძველზე იქმნებოდნენ, მაგრამ თანდათან იდეოლოგიური ფაქტორები დომინანტური გახდა. გარდა ამისა, მათ არ ჰქონდათ განსაზღვრული და შემზღუდველი სტრუქტურები: მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება საპარლამენტო ჯგუ-

ფები, რომლებიც თავისი წევრებისგან დისციპლინას მოითხოვენ, კერძოდ კი კენჭისყრის საკითხში. ძირითადში, საპარლამენტო ჯგუფები მათი წინამორბედებისგან არაფრით გამოირჩეოდნენ. როგორც ვნახეთ, რევოლუციურ ასამბლეებშიც ანალოგიურ ფენომენს ჰქონდა ადგილი. XIX საუკუნის შუა წლებში ერთადერთი განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ გაქრა უნდობლობა, რომელიც ჯგუფებზე ზეწოლას ახდენდა. ისინი ფრაქციებს აღარ წარმოადგენდნენ და მათი ლეგიტიმურობა აღიარებული იყო. თუმცა საპარლამენტო ჯგუფების გამოჩენას შეუქცევადი პროცესი ჯერ კიდევ არ მოჰყოლია.

პროცესის მეორე სტადიაზე პოლიტიკური პარტიების შექმნას საარჩევნო კომიტეტების გამოჩენამ შეუწყო ხელი. მათი გამოჩენა საჭიროებიდან მომდინარეობდა, რომელიც მაშინვე არ იყო გათვითცნობიერებული, მაგრამ თანდათან აუცილებლობად იქცა. ამ შემთხვევაში საჭირო გახდა აბსტრაქტულად განსაზღვრული პრინციპების კონკრეტული გამოცდა. ამ მხრივ, ძალზედ თვალსაჩინოა დამფუძნებელი კრების მიერ გაკეთებული დემარში, როდესაც მან პაპის დაქვემდებარებაში მყოფ ავინიონისა და კომტა-ვენესენის (დღევანდელი ვოკლუზის დეპარტამენტის ნაწილი) მოსახლეობას მოუწოდა თავისი ნება გამოეხატა საფრანგეთის რესპუბლიკასთან მიერთებასთან დაკავშირებით. დამფუძნებელმა კრებამ აღნიშნულ მოსახლეობას თავისი პოზიციის გამოხატვისკენ მოუწოდა და სწორედ აქ იყო პრობლემის არსი. A priori არ არსებობდა წესი, რომელიც ამ პოზიციის გამოხატვის ფორმას განსაზღვრავდა. ამგვარი მოქმედება გასაკვირად გვეჩვენება, რადგან როგორც ცნობილია, ამ ტიპის კონსულტაციებს გულწრფელობისთვის მრავალი გარანტია უნდა ახლდეს. როგორც ვიცით, ამგვარი არჩევნები მოსახლეობის აღწერას უნდა ეფუძნებოდეს; წინასწარ უნდა იქნეს დადგენილი ის პიროვნებები, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების რისკი. რევოლუციის დასაწყისში, გამოცდილების არქონის გამო, ყველა აღნიშნული პრობლემა არ იყო განხილული. მოსახლეობის აზრი თითქოსდა თავისთავად ცხადი იყო, როგორც მისთვის, ასევე სხვებისთვის. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, XIX საუკუნეში გაჩნდა იმის შეგნება, რომ არჩევნებს თავისი ლოგიკა, მოთხოვნები და სირთულეები ჰქონდა. ხალხი სასწაულებრივი ინსტიქტით არ ირჩევს იმ კანდიდატს, რომელიც მას ყველაზე უკეთ წარმოადგენს. განსაკუთრებული პროცედურის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ხალხი სპონტანურად შემობრუნდება მათკენ, ვისაც იცნობს, მაგალითად, „წარჩინებულებისკენ", „ჰეშმარიტი მეთაურებისკენ", ხოლო დემოკრატიული პროცესი მხოლოდ მის მიღმა შექმნილ სიტუაციას დაამტკიცებს. იმისათვის რომ არჩეული იყვნენ სხვა პიროვნებები და სხვა ტენდენციებს დაუჭირონ მხარი, გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა ხერხი და უპირველეს ყოვლისა, მისაღწევია გარკვეული ცნობადობა. კანდიდატებმა ამომრჩევლებს თავი უნდა გააცნონ და თავისი პროგრამები გაავრცელონ. აღნიშნული ადამიანურ და ფინანსურ საშუალებებს მოითხოვს და აგრეთვე ორგანიზაციის მინიმუმს, ჯერ მოხალისეთა გასაერთიანებლად, შემდეგ კი მათი მოქმედების გაძღოლისა და კოორდინაციისთვის.

საარჩევნო კომიტეტებს სპეციფიკური ფუნქცია ჰქონდათ, რომელიც უშუალოდ საარჩევნო მექანიზმთან იყო დაკავშირებული და რომლის მნიშვნელობა ხმის მიცემის უფლებასთან ერთად იზრდებოდა: რაც უფრო დიდია ამომრჩეველთა რაოდენობა, მით უფრო ნაკლებად შეუძლიათ კანდიდატებს დაეყრდნონ სოციალურ სპონტანურობას, ნათესავთა და მეგობართა წრის გავლენას. საარჩევნო კომიტეტებს საპარლამენტო ჯგუფებთან მიმართებაში დიდი თავისებურება ახასიათებთ, რაც საფუძველთან ყოფნით აიხსნება. ისინი მთლიანად მოიცავენ ნაციონალურ ტერიტორიას, რადგან საარჩევნო ოლქები მათ ბუნებრივ ერთიანობას წარმოადგენს. რიგითი მოქალაქეების თვალში ისინი პოლიტიკურ ცხოვრებას კონკრეტულ ხასიათს აძლევენ. პოლიტიკა აღარ წარმოადგენს მხოლოდ შეზღუდული ელიტის საქმეს, რომელიც დედაქალაქშია თავმოყრილი. ის საკარაუდოდ თითოეულ ადამიანს ეხება და თითოეულს აქვს იმის შეგრძნება, რომ მოვლენათა მსვლელობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. თუმცა საარჩევნო კომიტეტებს სუსტი მხარეც აქვთ: მათი არსებობა წყვეტილია, რადგან ისინი საარჩევნო კამპანიებისთვის იქმნება და მათი საქმიანობა არჩევნების მიღმა აზრს მოკლებულია.

ამავე დროს, საარჩევნო კომიტეტები თანდათან პერმანენტულ ხასიათს იღებენ. ტექნიკურმა მოტივებმა (საარჩევნო კამპანიების წინასწარი მომზადება, მუდმივი მზადყოფნა) თავისი როლი ითამაშა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებისთვის თვალყურის მიდევნებისა და საარჩევნო კონსულტაციის მიღმა საკუთარი თვალსაზრისის გამო-

ხატვის ინდივიდთა ნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადამწყვეტი ფაქტი ხდება იმ ფორმის ევოლუცია, რომლითაც პოლიტიკური კლასის მიღმა მდგარი მოქალაქეები პოლიტიკით ცხოვრობენ და ამიერიდან ამ უკანასკნელზე გავლენის მოხდენა სურთ. მართლაც XIX საუკუნეში პოლიტიკურ სამყაროში რეალური ცვლილება ხდება. საჭიროა აღნიშნულზე შეჩერება, რადგან თუ ამ ტრანსფორმაციას არ გავითვალისწინებთ, პარტიების გამოჩენას ინსტიტუციონალურ და ვოლუნტარისტულ ფენომენებამდე დავიყვანთ, რაც ხელს შეუშლიდა მისი ლოგიკისა და მნიშვნელობის გაგებას.

132. პოლიტიკური სამყაროს ცვლილება. — XIX საუკუნეში ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სამყარო სიღრმისეულად ორმა ფენომენმა შეცვალა. პირველი, რომელიც ყველაზე აშკარაა, არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

ერთი მხრივ, საარჩევნო უფლება საყოველთაო გახდა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს ამ გზაზე ერთნაირად არ უვლიათ: საფრანგეთში პარლამენტარიზმი ინგლისთან შედარებით გვიან განვითარდა, თუმცა ამ უკანასკნელს საყოველთაო არჩევნების საკითხში გაუსწრო, რადგან ამგვარი არჩევნების პრინციპი საბოლოოდ 1848 წელს იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანა ერთი მიმართულებით მიდიოდა და საყოველთაო საარჩევნო უფლება საბოლოოდ ყველგან შემოიღეს. (გარდა ამისა, არჩევნებში მონაწილეობა აღარ წარმოადგენდა მხოლოდ მამაკაცთა უფლებას. როგორც ცნობილია საფრანგეთში ქალების საარჩევნო უფლება 1944 წლის 21 აპრილის ბრძანებით იქნა დამტკიცებული).

მეორე მხრივ, და პარალელურად ხდება არჩევნების მნიშვნელობის სიღრმისეული ცვლილება. ჩვენ იმდენად შეჩვეულები ვართ არჩევნებს, რომ არც ვსვამთ კითხვებს მმართველთა დანიშვნის ფორმის თაობაზე. საქმე ამგვარად არ იყო XIX საუკუნეშიც კი, როდესაც აღნიშნული ფენომენი ჯერ კიდევ სიახლის გაურკვეველობას ინარჩუნებდა. ამ პრობლემის გასააზრებლად გარკვეულწილად უკან დახევაა აუცილებელი.

რა არის არჩევნები? მექანიზმი, რომლის მეშვეობით ინდივიდთა გარკვეული რაოდენობა (ამომრჩეველები) ერთ ან ბევრ ინდივიდს (რჩეულები) ხმათა უმრავლესობით ნიშნავს. საარჩევნო ურნა, კაბინა, ბიულეტენი შემთხვევით ხასიათს ატარებს და მხოლოდ თანდათან იკიდებს ფეხს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ აღნიშნული მექანიზმი თავად არ განსაზღვრავს იმ ურთიერთობის არსს, რომელიც ამომრჩეველს რჩეულთან აკავშირებს პროცედურა ასახელებს ინდივიდს, მაგრამ არაფერს ამბობს მის უფლებამოსილებასა და ინიციატივის ზღვარზე. XVIII საუკუნის მიწურულს რევოლუციის აქტიურ მონაწილეებს კითხვა უჩნდებოდათ კერძო სამართლის მანდატთან ამომრჩეველისა და რჩეულის კავშირის გათანაბრების თაობაზე. თუმცა მათ ამ შეკითხვას უარყოფითად უპასუხეს, რადგან მართებულად შენიშნეს, რომ ეს ორი ფენომენი ერთმანეთისგან სიღრმისეულად განსხვავებული იყო. (აღნიშნულმა კითხვამ შემდგომში ასახვა ჰპოვა ისეთ გამოთქმაში როგორიცაა „საპარლამენტო მანდატი"). სამართლებრივად ცნობილი, მაგრამ არაადეკვატური სიტუაციის უარყოფის შემდეგ a priori შესაძლებელი გახდა ორი ტიპის ურთიერთობის გამოყოფა. პირველის თანახმად, ამომრჩეველის უფლებები ასე ვთქვათ არჩევნებთან ერთად იწურება. რჩეული არანაირად არ არის დამოკიდებული ამომრჩეველებზე. რჩეულს ყველაფრის გადაწყვეტა თავისი ამომრჩეველის ნების გაუთვალისწინებლად შეუძლია მაშინაც კი თუ ეს ნება ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასამბლეაში კენჭი აქვს ნაყარი, სადაც იგი მხოლოდ ამომრჩეველთა წყალობით არის დანიშნული. ერთ დღეს კონდორსეს ამომრჩევლებმა რამდენიმე თხოვნით მიმართეს. კონდორსემ მათ ასამბლეის ტრიბუნიდან უპასუხა: „თქვენ მე აქ ჩემი და არა თქვენი ნების გამოსახატავად გამომგზავნეთ". შეგნებულად პროვოკაციის გამომწვევი აღნიშნული გამონათქვამი შესანიშნავად გვიჩვენებს წარმომადგენლობითი მანდატის პრინციპს. რჩეული აბსოლუტურად თავისუფალია. იგი წარმომადგენელია.

ზემოაღნიშნული კონცეფციის საპირისპიროს იმპერატიული მანდატი წარმოადგენს, რომლის შემთხვევაში რჩეული დეპუტატია ე.ი. წარგზავნილი, რომელიც არავითარი ინიციატივით არ სარგებლობს: იგი სხვისი ნების გამომხატველია. (ის ფაქტი, რომ „დეპუტატი" და „წარმომადგენელი" ჩვენთვის დაახლოებით სინონიმებია, ცხადად გვიჩვენებს თუ რამდენად უცხო გახდა ჩვენთვის ამგვარი პრობლემატიკა). ასამბლეაში განხილულ ყველა საკითხზე იმპერატიული მანდატის მქონე დეპუტატმა მიღებული ინსტრუქციების თანახმად უნდა უყაროს კენჭი. დღის წესრიგში გაუთვალისწინებელი საკითხების წამოჭრის შემთხვევაში, მან თავის ამომრჩეველს უნდა

მიმართოს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. ამ დეპუტატის მხრიდან უდისციპლინობის გამოვლენის შემთხვევაში, ამომრჩეველს იურიდიული საშუალებები გააჩნია მისი თანამდებობიდან გადასაყენებლად. როგორც ვხედავთ, იმპერატიული მანდატი წარმომადგენლობითი მანდატის დიამეტრულად საპირისპიროა.

საფრანგეთში რევოლუციის დასაწყისში დამფუძნებელმა კრებამ მწვავე დებატების შემდეგ წარმომადგენლობითი მანდატის პრინციპი მიიღო. ამ პრინციპის მოწინააღმდეგე რუსოს მიმდევრების აზრით, ამგვარი სისტემა დემოკრატიის უარყოფას გამოიწვევდა: ხალხი უბრალოდ თავის სუვერენიტეტს წარმომადგენლებს გადასცემს. მაგრამ წარმომადგენლობითი მანდატის მომხრეებმა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი ფარული აზრი, შესანიშნავი რეპლიკით უპასუხეს: იმპერატიული მანდატი პრაქტიკაში გამოუყენებელია. ამომრჩევლებს არ შეუძლიათ თავიანთ რჩეულებს ამომწურავი ინსტრუქციები მისცენ და მისვლა-მოსვლა, რომელიც თან ახლავს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნას, ნებისმიერი დებატების პარალიზებას ახდენს. მოტანილი არგუმენტი აზრს მოკლებული არ არის. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სადაც რეალური უფლებამოსილებების მქონე პარლამენტი არსებობს, იმპერატიული მანდატის სისტემა გაუქმებულია. საფრანგეთში ის დღესაც აკრძალულია 1958 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციის 27-ე მუხლით.

ამგვარად, იმპერატიული მანდატი თეორეტიკოსთა ოცნებად იქცა, რასაც სწრაფად გაეწია ანგარიში. იგივე მოხდა წარმომადგენლობითი მანდატის პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ. შესაძლოა წარმომადგენლობით მანდატს ემუშავა თუკი წარმომადგენლებს მომდევნო მანდატების მოპოვება აეკრძალებოდათ. თუ ამ უკანასკნელთ თავიანთი კანდიდატურის ხელახალი წამოყენების უფლება აქვთ, ამომრჩევლებს შეუძლიათ მათ ამგვარად მიმართონ: „თქვენი მანდატის დროს თქვენ მხოლოდ თქვენი საქმეებით იყავით დაკავებულნი და ამის გაკეთების იურიდიული უფლება გქონდათ. ეს ჩვენ არ მოგვეწონა და გაცნობებთ, რომ ჩვენც გვაქვს იურიდიული უფლება სხვას მივცეთ ხმა". თუკი რჩეულს ნამდვილი პოლიტიკური კარიერის გაკეთება სურს, მან გარკვეულ დონემდე მაინც ანგარიში უნდა გაუწიოს მანდატის მიმცემთა აზრებსა და სურვილებს. ამგვარად ხდება რჩეულის ამომრჩევლისადმი არა აბსოლუტური დაქვემდებარება როგორც ეს იმპერატიული მანდატის შემთხვევაშია, არამედ შედარებითი პოლიტიკური დაქვემდებარება. საჭირო გახდა გარკვეული დრო იმისათვის, რომ პოლიტიკური თამაშის სხვადასხვა პარტნიორებს აღნიშნული ფაქტი გაეაზრებინათ, მაგრამ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებამ მათ ეს თანდათან ასწავლა. 1894 წელს ესმაინმა **„პოლიტიკური სამართლის ჟურნალში"** აღნიშნული ევოლუცია აღწერა როგორც ახალი და ღირშესანიშნავი ფაქტი და შესთავაზა ამ მშვიდი გადატრიალებიდან გამოსული რეჟიმისთვის **„ნახევრად წარმომადგენლობითი"** რეჟიმი ეწოდებინათ. პარტიების გამოჩენა სწორედ ამ სიღრმისეული ტრანსფორმაციის დროინდელი იყო, რომელიც პოლიტიკური არჩევნების მნიშვნელობასაც შეეხო. რთული არ არის იმის დანახვა, რომ ამგვარი დამთხვევა შემთხვევითობა არ იყო. უფრო რთული იქნებოდა მიზნისა და შედეგის განსაზღვრა. მართლაც, ორივე ფენომენმა ორმხრივად და თანმიმდევრობით ორი აღნიშნული პოზიცია დაიკავა.

პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მოქალაქეთა ნებამ, კერძოდ კი რჩეულებზე შეზღუდული, მაგრამ რეალური კონტროლის განხორციელებით, აუცილებელი გახადა ისეთი სტრუქტურების შექმნა, რომელშიც ამომრჩეველი აზრის გამოხატვას შესძლებდა და მისდამი ანგარიშის გაწევას აიძულებდა. ფუნქციამ ორგანო წარმოშვა ე.ი. პარტია. თავის მხრივ, ორგანოს არსებობამ ფუნქციას შემთხვევითი ხასიათი ჩამოაშორა, რომელიც აღარ დაიყვანებოდა განსაკუთრებული კონიუნქტურით რამდენიმე ამომრჩევლისადმი გაკეთებულ შეზღუდულ და არასაიმედო დათმობებამდე რამდენიმე ზეგავლენის ქვეშ მყოფი კანდიდატის მხრიდან. ის საჯარო საქმეთა ნორმალური და რეგულარული მართვის ფორმად იქცა. ორივესგან შეიქმნა წყვილი, რომელიც ერთმანეთს აძლიერებდა.

133. საპარლამენტო ჯგუფებისა და საარჩევნო კომიტეტების გაერთიანება. — პრაქტიკაში პარტიის როგორც ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმის ჩამოყალიბების პროცესი საპარლამენტო ჯგუფებისა და საარჩევნო კომიტეტების შერწყმით განხორციელდა. ამ ფენომენმა ორი ასპექტი მოიცვა. ერთი მხრივ, არსებობდა ვერტიკალური გაერთიანება. თითოეულმა საპარლამენტო ჯგუფმა ურთიერთობა გაიბა ყველა საარჩევნო კომიტეტთან, რომელიც ადგილობრივ დონეზე ჯგუფის წევრი პარლამენტარებისთვის მუშაობდა. ამ ურთიერთობებს

პარტიების მიხედვით განსხვავებული ხასიათი ჰქონდა (და დღესაც აქვს). აღნიშნული ურთიერთობები შესაძლებელია კონტაქტების, ინფორმაციის გაცვლისა და რეგულარული კონსულტაციების დონეზე დარჩენილიყო, ფორმალური, აშკარა და იმპერატიული წესების გარეშე, ან პირიქით შესაძლოა ჰქონოდათ იურიდიული ასპექტი სხვადასხვა პარტნიორის მოვალეობებისა და უფლებების სტატუსის განსაზღვრითა და მათი ურთიერთობების ფორმების დეტალური განსაზღვრით. (შემდგომში ვნახავთ, რომ შიდა კავშირების ორი აღნიშნული ტიპი ერთმანეთს კადრების და მასობრივ პარტიებს უპირისპირებს). გაერთიანება ასევე ჰორიზონტალურ ხასიათს ატარებდა. ურთიერთობები სხვადასხვა საარჩევნო კომიტეტებს შორისაც ყალიბდებოდა. საწყის სტადიაზე თითოეული საარჩევნო კომიტეტი ერთი ადამიანისთვის მუშაობდა. თითოეული ადამიანი ერთადერთ ინდივიდს წარმოადგენდა და ამიტომაც არავითარი მოტივი არ არსებობდა რომელიმე კომიტეტს ურთიერთობა სხვასთანაც რომ დაემყარებინა. მათი საქმიანობა ყოველად განსხვავებული იყო. ერთ რომელიმე საპარლამენტო ჯგუფთან გაერთიანებით საარჩევნო კომიტეტებმა საერთო მნიშვნელი გამონახეს, რომელიც მათ ურთიერთობებს ამართლებდა. მათ ერთი მიზანი გაუჩნდათ, რაც გარკვეული პოლიტიკური ტენდენციის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა.

სწორედ ამგვარი იყო პროცესი, რომლის მეშვეობით გაჩნდა ისეთი ახალი პოლიტიკური ჯგუფების ფორმა როგორსაც პარტიები წარმოადგენდნენ. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ამ პროცესის ჩვენს მიერ გაკეთებული აღწერა მოდელის ხასიათს არ ატარებს. სპეციფიკური მოდელის მიზანს წარმოადგენს არა რეალობის მრავალფეროვნების აღწერა, არამედ განმსაზღვრელი ელემენტებისა და პარტიების გაჩენის შინაგანი ლოგიკის გაანალიზება. კონტრმაგალითები არ უარყოფენ ჩვენს მიერ აღწერილ მოდელს: პირიქით, გვეხმარებიან მის სიღრმისეულ გაგებასა და გამდიდრებაში. გარდა ამისა, აღწერილი პროცესი აშკარად არ არის ერთადერთი, რომელიც პარტიების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. მან მხოლოდ გზა გაკვალა და გვიჩვენა, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის ახალ ტიპს არსებობა და ფუნქციონირება შეუძლია. ზოგიერთი იგივე მიზნების მიღწევას სხვა საშუალებებით შეეცადა.

სხვა საშუალებების განხილვამდე წინასწარ უნდა დავსვათ კითხვა: რისთვისაა საჭირო ამგვარი ძალისხმევა? რატომ მოისურვეს პარტიის არმქონე პოლიტიკურმა ძალებმა მისით აღჭურვა? პასუხი მარტივია. პარტიის ფორმამ მაშინვე აჩვენა თავისი ეფექტურობა პოლიტიკურ სამყაროში. პოლიტიკური პარტია მრისხანე იარაღია, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად შესანიშნავად ორგანიზებულია, მუდმივია და მობილიზებისა და ენერგიის თავმოყრის უნარი აქვს. თუმცა, პარტიას მაშინვე არ ჩამოუშორებია მასზე ადრე არსებული პოლიტიკური ფორმები. გარკვეული თვალსაზრისით, პარტიას ისინი სრულიადაც არ ჩამოუშორებია: ეს ფორმები მარგინალური სახით არსებობენ და ყოველთვის მზად არიან ასამოქმედებლად, თუკი პარტიები არაეფექტური და მოქნილობა დაკარგულია. უფრო მეტიც, პარტიები მათ თავად აღადგენენ კიდეც: მათ შიგნით არსებობენ პატარა ჯგუფები, ფრაქციები, რომელიმე გამოჩენილი ადამიანის თაყვანისმცემლები და სხვ. პარტიები ისეთ უპირატესობას ფლობენ არაფორმალურ პოლიტიკურ გაერთიანებებზე, რომ ამ უკანასკნელებს ბრძოლის საწარმოებლად ორგანიზაციული სისტემის ანალოგიური ფორმის მიღება მოუხდათ. სწორედ ამ ფასად მოხდა მათი გადარჩენა.

134. პარტიების გაჩენის სხვა მექანიზმები. — ადამიანებს, რომლებმაც პირველი პოლიტიკური პარტიები შექმნეს, ამის განზრახვა არ ჰქონიათ. იგივე ითქმის მათ მიმდევრებზეც. პარტიამ თავისი ფორმის ჩამოყალიბების შემდეგ თავისი ეფექტურობა აჩვენა. აღნიშნულის შესამოწმებლად საკმარისი გახდა ამ ეფექტურობის გონივრულად მიბაძვა, რისი მიღწევაც სამი ხერხით არის შესაძლებელი.

პირველი ხერხი მდგომარეობს ჩვენს მიერ აღწერილი პროცესის უბრალო რეპროდუცირებაში. ვარაუდების საპირისპიროდ, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიის ფუძემდებლური საწყისი დღესაც შეიძლება საპარლამენტო დონეზე მოიძებნოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელი არ არის პარტიის შექმნის მოძრაობა ქვემოდან მოდიოდეს. აღნიშნული ნათლად ჩანს საფრანგეთში დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ნაციონალური ფედერაციის გენეზისის მაგალითზე, რომელიც 1977 წელს რესპუბლიკური პარტია გახდა. თავდაპირველად დამოუკიდებელი რესპუბლიკელები საპარლამენტო ჯგუფის ფორმით არსებობდნენ, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ნაციონალური ცენტრის დამოუკიდებელ და გლეხთა დეპუტატების მიერ. მათ მხარი დაუჭირეს გენერალ დე გოლს 1962 წლის შემოდგომის პოლიტიკური კრიზის დროს. მხოლოდ

1966 წელს ამ ჯგუფის წევრებმა ორგანიზებული პარტიის შექმნა გადაწყვიტეს ადგილობრივ დონეზე. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ის მექანიზმები, რომელიც XIX საუკუნეში ფუნქციონირებდა, ისტორიული ევოლუციის შედეგად გამოუსადეგარი არ გამხდარა: კონიუნქტურულმა შემთხვევითობამ შეიძლება საპარლამენტო ჯგუფის გაჩენა გამოიწვიოს, რომელიც შემდგომში პარტიის შექმნის ინიციატივით გამოდის.

პარტიის ჩამოყალიბების მეორე ხერხს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არაორგანიზებული მოქალაქეები ან არათანმიმდევრული ჯგუფები პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმის გადაწყვეტილებას იღებენ. ამგვარად, ინიციატივა ქვემოდან მოდის. ინდივიდები ერთიანდებიან, ორგანიზაციას ქმნიან ხელმძღვანელობითა და ადგილობრივი კომიტეტებით, იღებენ წესდებას და არჩევნებისთვის კანდიდატებს ირჩევენ. ამ პროცედურის წარმატების შემთხვევაში მათ რჩეულები ეყოლებათ და საპარლამენტო ჯგუფი პარტიის შექმნის გზით წავა. ამის მაგალითია ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის შექმნა. პროფკავშირების, ტრედუნიონისტების საქმიანობამ პარტიის შექმნას შეუწყო ხელი, რომელსაც 1903 წელს ლეიბორისტული პარტია ეწოდა. აქ გადამწყვეტ ელემენტს პარტიებამდე არსებული ჯგუფების მოქმედება წარმოადგენდა, რომელთაც თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლა პირდაპირ პოლიტიკურ სიბრტყეში სურდათ გადაეტანათ. თუმცა აღნიშნული ყოყმანის გარეშე არ მომხდარა, რადგან ბევრი ინგლისელი პროფკავშირის მუშაკი თავშეკავებული იყო ამ ახალი ორიენტაციის მიმართ. სხვა მაგალითია გოლისტური მოძრაობა საფრანგეთში: ფრანგი ხალხის გაერთიანება IV რესპუბლიკის და გაერთიანება ახალი რესპუბლიკისათვის V რესპუბლიკის პერიოდებში. სწორედ ერთი ადამიანის პიროვნული მოქმედებებისა და გავლენის წყალობით გაჩნდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებმაც არჩევნებით (საზოგადოებრივი აზრის ხელშეწყობით) დაიმკვიდრეს ადგილი, მიუხედავად უკვე ცნობილ პოლიტიკოსთა გაერთიანებისა. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმატება პირდაპირ იყო განპირობებული ფრანგულ საზოგადოებაში მომხდარი ისტორიული ძვრებით, მეორე მსოფლიო ომისა და დეკოლონიზაციის დრამატული მოვლენებით, რადგან საერთო აზრის თანახმად, ახალი პოლიტიკური პარტიის უეცარი გამოჩენა ძალიან იშვიათია. თუკი პარტიის შექმნა იურიდიული მნიშვნელობით სირთულეს არ წარმოადგენს, უკიდურესად რთულია მის გარშემო მნიშვნელოვანი აუდიტორიის შეკრება. საკმარისი არ არის რამდენიმე ადამიანის ნება და ენერგია. პარტიის განვითარებას ხელს უშლის არსებული ჯგუფები და სოციალური ინერციის მრავალრიცხოვანი ფორმები. ასევე აუცილებელია ხელსაყრელი გარე პირობების (ძალიან იშვიათი, რადგან უწყვეტობა ცვლილებაზე უფრო ხშირია) არსებობა.

პარტიების გაჩენის მესამე ხერხი ნაკლებ სირთულესთანაა დაკავშირებული, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა პარტიის შექმნის გამომწვევ სოციალურ სპონტანურობას, არამედ მისი შექმნის ინიციატივა სახელმწიფოს ხელისუფლების მფლობელთა ხელშია. სახელდობრ, ამგვარ სიტუაციას ადგილი აქვს განვითარებადი სამყაროს ქვეყნებში. ნაკლებად ორგანიზებული საზოგადოებები, სადაც ელიტის ნაკლებობა, ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა არსებობს, ხშირად ტრამვირებულია კოლონიზაციისა და ნაჩქარევი დეკოლონიზაციით. ამ საზოგადოებებში არ მოიპოვება რესურსები და დრო, რომელმაც დასავლეთის საზოგადოებებს ხანგრძლივი და რთული მომწიფების პერიოდის შემდეგ ადაპტირებული და ეფექტური პოლიტიკური ფორმების გამოგონების საშუალება მისცა. ამ შემთხვევაში, ურთიერთობა, რომელიც ჩვენ ნორმალურად მიგვაჩნია (პარტიები მმართველებს წარადგენენ) საპირისპირო მიმართულებას იღებს: ჩვეულებისამებრ ძალის გამოყენებით ან ხშირად შემთხვევითობის წყალობით ხელისუფლებაში მოსული მმართველები თავიანთი წარმატების გასამყარებლად იმ საზოგადოების ორგანიზების საჭიროებას გრძნობენ, რომელსაც ხალხის მხრიდან ნდობის მანდატის მინიჭების გარეშე მართავენ. ამგვარად, ისინი პარტიას იმ ადაპტირებულ ფორმად მიიჩნევენ, რომელსაც ამ მიზნის განხორციელება შეუძლია. ამ თვალთახედვით პარტია მასების მობილიზების საშუალებას წარმოადგენს როგორც ეკონომიკურ (წარმოების განვითარება, აპათიისა და უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლა) ისე პოლიტიკურ (შიდა მტრებისთვის თვალყურის დევნება და დამარცხება) ასპექტში. ის ასევე ინფორმაციის გავრცელების საშუალებას წარმოადგენს, რომელიც ყველა იმ სფეროებზეა ორიენტირებული, სადაც ხალხის განსწავლა მნიშვნელოვანია: აღნიშნული ოფიციალური იდეოლოგიის დაცვის პროცესებიდან მომდინარეობს, რომელიც ხშირად ყოვლისშემძლე ლიდერის კულტამდე დაიყვანება. პარტია აგრეთვე მართულთა კონტროლის საშუალებაცაა: პარტიული კადრები, რომელთა ლოიალობაში რეჟიმი დარწმუნებულია ამ უკანასკნელთათვის

ბოძებული პრივილეგიების წყალობით, თვალყურს ადევნებენ ინდივიდების საქმიანობას პირადი ცხოვრების ჩათვლით.

იმ პროცესის გაანალიზებისას, რომლის მეშვეობით დასავლეთის ლიბერალურმა საზოგადოებებმა პოლიტიკური პარტიის ფორმა ვამოიგონეს და მისი დამკვიდრების შემდეგ ის გონივრულად გადმოიღეს, ჩვენ განვიხილეთ ამ ორგანიზაციების სპეციფიკურობა მათ წინამორბედებთან მიმართებაში. ჩვენ ასევე უკვე ჩავწვდით ლა პალამბარასა და ვაინერის დეფინიციის ორი პირველი ელემენტის მნიშვნელობას, როდესაც აღვნიშნეთ, რაში უპირისპირდება ერთმანეთს ამ ავტორების მიერ დადგენილი ნიშნები. ამავე დროს, ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური სამყაროს ერთადერთ მოქმედ პირს არ წარმოადგენენ. მართებული იქნება იმის გაანალიზება, თუ რა განასხვავებს პარტიებს სხვა ორგანიზაციებისგან. ამით ჩვენ ნათელს მოვფენთ დეფინიციის ორ უკანასკნელ ელემენტს, რომელიც ამოსავალ წერტილად გამოვიყენეთ.

3 / პარტიები და ზეწოლის ჯგუფები

135. განსხვავების პრინციპი. — თუკი სწრაფად გადავავლებთ თვალს რომელიმე გაზეთის „პოლიტიკურ" გვერდს დავინახავთ, რომ ის არ კმაყოფილდება პარტიების აქტებისა და დეკლარაციების გადმოცემით. გაზეთები ასევე აშუქებენ სხვა ორგანიზაციების ფაქტებსა და მოქმედებას, რომელთაც არა აქვთ პარტიის სახელის ტარების პრეტენზია, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობენ. აღნიშნული ორგანიზაციები იმდენად მრავალფეროვანია, რომ როგორც შემდგომში დავინახავთ, რთულია მათი კლასიფიცირება მარტივი და რაციონალური ფორმით. აქ შემოვიფარგლებით ამ ორგანიზაციების ნეგატიური ერთიანობის (ეს უფრო იოლი ამოცანაა) მხარის განხილვით: რითი განსხვავდებიან ისინი პოლიტიკური პარტიებისგან.

პრინციპში განსხვავება არ არის რთული. ის ეყრდნობა მარტივ და გასაგებ იდეას, სადავო შემთხვევების გამოკლებით, რომელსაც შემდგომში მივუბრუნდებით, რასაც პოლიტიკური პარტიების ერთადერთი და გაცხადებული საბოლოო მიზანი წარმოადგენს: ხელისუფლების დაუფლება, აღსრულება და შენარჩუნება. პოლიტიკური პარტია შეიძლება იატაკქვეშეთში მოქმედებდეს: საზოგადოების ბუნება, რომელშიც პარტია ყალიბდება და ხელისუფლება, რომელსაც ის უპირისპირდება, მას თავისი საქმიანობის შენიღბვას აიძულებს. თუმცა მისი მიზანი გაცხადებულია. ის მის ხელთ არსებული საშუალებების გამოყენებით ხელისუფლების მოპოვებას ცდილობს. იდეა პოლიტიკური პარტიის შესახებ, რომელიც თავის საბოლოო მიზანს მალავს, პარტიის არსებობის მნიშვნელობას ეწინააღმდეგება. თუკი გონებაში ისეთი საზოგადოების სურათს მოვიაზრებთ, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების გარეშე ფუნქციონირებს, თავად პარტიის იდეა ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავს, რაც პირდაპირ ადასტურებს კავშირს ფუნქციასა და ორგანოს შორის. პირველის გაქრობა მეორის გაქრობას გამოიწვევდა.

იგივე არ ხდება ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომელთაც ჩვეულებისამებრ „ზეწოლის ჯგუფებს" ვუწოდებთ და რომლებიც პარტიებისგან უნდა განვასხვაოთ. თავდაპირველად „ზეწოლის ჯგუფები" არაპოლიტიკური ინტერესების ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამის მაგალითად პროფკავშირები გამოდგება: შესაძლებელია მათი საკუთარი ამოცანების გამოყოფა მათი პოლიტიკური საქმიანობისგან. (შემდგომში დავინახავთ, რომ საქმე უფრო რთულად არის, მაგრამ ამ შეთხვევაში მხოლოდ ძირითად ნიშნებს განვიხილავთ). რას წარმოადგენს პროფკავშირების საქმიანობა? ის მდგომარეობს მოსამსახურეთა ინტერესების დაცვაში მეპატრონის პირისპირ, რომელიც პროფკავშირების მსგავსად არ უნდა გავაიგივოთ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. ბრძოლა, რომელიც პროფკავშირებსა და მეპატრონეებს ერთმანეთს უპირისპირებს, არის კონფლიქტი კერძო პირებს შორის, რომელიც a priori პოლიტიკურ ძალაუფლებას არ ეხება. ამავე დროს, პრაქტიკაში ხელისუფლება „ერევა მათ საქმეებში", მიუხედავად იმისა, რომ მას იქ არ რევენ და ხშირად მისი ჩარევა გადამწყვეტ როლს ასრულებს. შესაძლებელია უტოპიური ჰიპოთეზის მოყვანა, რომელიც შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანდა: პოლიტიკური ხელისუფლების გაქრობის შემთხვევაში, პროფკავშირები მაინც ინარჩუნებენ არსებობის მიზანს, რადგან მათ მშრომელები უნდა დაიცვან და მეწარმეები დაამარცხონ. ის რაც სიმართლეს შეეფერება პროფკავშირებთან მიმართებაში ასევე, mutatis mutandis სიმართლეს შეეფერება ზეწოლის ჯგუფებთან

დაკავშირებით. თუმცა ამ უკანასკნელთ არაპოლიტიკურ მიზანთან ერთად, პოლიტიკური მიზანიც აქვთ. აღნიშნული მიზანი მხოლოდ პოტენციური შეიძლება იყოს, მაგრამ ის თავს იჩენს, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება უარს ამბობს გადაწყვეტილების მიღებაზე ზეწოლის ჯგუფებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, ისინი ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა ან ზეწოლის სტრატეგიას იყენებენ. სწორედ აქედან მომდინარეობს მათთვის მიკუთვნებული სახელწოდება. ამ ჯგუფების პოლიტიკური მიზანი პარტიებისგან განსხვავებით მეორადია და დაქვემდებარებული. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ არაპოლიტიკურ ინტერესებს ზეწოლის ჯგუფები პოლიტიკამდე მიჰყავთ. მათ საკუთარი მიზნების დაცვა სურთ მაშინ, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება მათ ინტერესების სფეროს ეხება. ამგვარად, ისინი ძირითად როლს ასრულებენ პოლიტიზაციის მექანიზმში. აწორედ აქ ვპოულობთ იმ მექანიზმებს, რომელიც პირველ ნაწილში განვიხილეთ პოლიტიკის ცნების გარკვევის მცდელობისას.

პრინციპში განსხვავება პოლიტიკურ პარტიებსა და ზეწოლის ჯგუფებს შორის აშკარაა. თუმცა, სხვა სფეროების მსგავსად, აქაც არ არსებობს წინასწარ დადგენილი ჰარმონია ცნებებსა და რეალობას შორის. უნდა განხილული იქნეს ის, რაც კითხვის ქვეშ აყენებს პოლიტიკური პარტიებისა და ზეწოლის ჯგუფებს შორის არსებული განსხვავების სიცხადეს.

136. განსხვავების შეფარდებითობა. — არსებობს ჰიპოთეზები, რომლის თანახმად პარტიებად განსაზღვრულ პოლიტიკურ ფორმაციებს (სუბიექტური დეფინიცია) გარკვეულწილად ზეწოლის ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვთ. ამასთან დაკავშირებით განსახილველია სამი შემთხვევა.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კორპორაციულ პარტიებთან, რომელიც, თავად დეფინიციიდან გამომდინარე, გარკვეული სოციალური ჯგუფის დამცველებად გვევლინებიან. ამის მაგალითია აგრარიკოსთა პარტიები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნაში არსებობდნენ „სახალხო დემოკრატიებად" მათ ტრანსფორმაციამდე. შემდგომში ზოგიერთი მათგანი კომუნისტური პარტიის „მოკავშირე" გახდა (ფაქტობრივად დაყვანილ იქნენ ინიციატივის არმქონე მარიონეტებამდე). კომუნისტური რეჟიმების ნგრევის შემდეგ ბევრი ასეთი პარტია დამოუკიდებელ ძალად მოგვევლინა: მაგალითად, პოლონეთის გლეხთა პარტიისა და ბულგარეთის აგრარიკოსთა პარტიის შემთხვევა. აღნიშნულთან ახლოს იდგა უნგრეთის მცირე მესაკუთრეთა პარტიაც. ამ ჭრილში შეიძლება კონფესიური პარტიების დასახელებაც, თუმცა უფრო ნაკლებად, რადგან ისინი უმცირესობაში იყვნენ. ეს გაერთიანებები შესაძლებელია ზეწოლის ჯგუფებს მოგვაგონებდეს, მაშინ როდესაც მათი საბოლოო მიზანი a priori შეზღუდულია: პოლიტიკურ ასპარეზზე რომელიმე სოციალური კატეგორიის ინტერესებისთვის ყურადღების მოპყრობა. (აღნიშნული კომუნისტურ პარტიებს არ ეხება, რომელიც „ყოველთვის მუშათა კლასის" და არა მუშათა პარტიებად განისაზღვრება. ამ პარტიებს მუშათა კლასის სამსახურში ყოფნა სურთ, მაგრამ ნეიტრალურად. მათი მიზნები და მეთოდები გააზრებული და უნივერსალურია და არა სპეციფიკური და სპონტანური). ამასთანავე, ეს ორგანიზაციები პარტიებს წარმოადგენენ, რადგან ამომრჩეველთა ხმების მოპოვებას ახერხებენ და მთავრობებში მონაწილეობას იღებენ. იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათი სოციალური საფუძველი ძალიან შეზღუდულია ხელისუფლებაზე მონოპოლიის დასამყარებლად, ამ ორგანიზაციებს აქვთ ისეთი ნიშნები, რომელიც მათ ზეწოლის ჯგუფებისაგან აშკარად განასხვავებს. მათი არსებობა განსხვავების ბუნების სიცხადეს არ ჩრდილავს მაშინაც კი როდესაც გვიჩვენებს, რომ განსხვავება არ არის არსის დაპირისპირების მატარებელი. ის უბრალოდ მიგვანიშნებს მსგავსი მიზნების მიღწვის შესაძლებლობის სხვადასხვა ფორმებზე.

მეორე შემთხვევა ეხება იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ზეწოლის ჯგუფის პოლიტიკურ ინტერესს გამოხატავენ. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის მაგალითი, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე პროფკავშირების ბრძოლის გაგრძელების მიზნით შეიქმნა. წინა შემთხვევის მსგავსად, აღნიშნული მხარე განსხვავების სიცხადეს კითხვის ქვეშ არ აყენებს. მართლაც, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს, ასე ვთქვათ, მომწიფების ხანგრძლივ პერიოდთან, რომლის დასრულებისას ორი განსხვავებული ორგანიზაცია ჩნდება, თითოეული თავისი სტრუქტურებითა და მოქმედების საკუთარი ასპარეზით. მეორე მხრივ, როგორიც არ უნდა იყოს საწყისი სიტუაცია, ფუნქციების შიდა ლოგიკას კავშირების უცილობელ შესუსტებამდე მივყავართ. ამ

მხრივ საყურადღებოა ლეიბორისტული პარტიის ევოლუცია, რომელიც თავისი მმართველობის პერიოდში ზოგჯერ პროფკავშირების წინააღმდეგ გაბოდის.

მესამე შემთხვევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ზეწოლის ჯგუფი პოლიტიკური პარტიის როლს ასრულებს. თუმცა წინა სიტუაციისგან განსხვავებით, ზეწოლის ჯგუფი ქრება. ამგვარ ვითარებაში ხდება არა ჩასახვა არამედ მეტამორფოზა. ამის ცნობილი მაგალითია ვაჭართა და ხელოსანთა დაცვის კავშირი, რომელსაც უფრო ხშირად „პუჟადის მოძრაობას" უწოდებენ. ამ ორგანიზაციამ, რომელიც სპეციალიზებული იყო წვრილი ვაჭრობის დაცვასა და არსებული რეჟიმის ნამდვილ თუ სავარაუდო უწესრიგობის გამოააშკარავებაში, როგორც ზეწოლის ჯგუფმა, რეალურ წარმატებას მიაღწია. 1956 წლის საკანონმდებლო არჩევნებთან დაკავშირებით ამ ორანიზაციის დამფუძნებელმა მისი პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნა გადაწყვიტა „კავშირისა და საფრანგეთის ძმობის" სახელით. ახალი ფორმით მოძრაობამ მნიშვნელოვან და მოულოდნელ წარმატებას მიაღწია, თუმცა მას მომავალი არ ჰქონია. პუჟადისტმა დეპუტატებმა, რომელნიც არ იყვნენ გამოცდილი პოლიტიკოსები, პარლამენტში გამორჩეული მოკრძალება გამოიჩინეს. შემდგომში IV რესპუბლიკის მარცხმა და V რესპუბლიკის დაფუძნებამ არეულობა შემოიტანა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გოლისტურმა მიმდინარეობამ ხმათა ნახევარი მიიღო, რომელიც პუჟადისტი კანდიდატებისთვის იყო განკუთვნილი, რეჟიმისადმი საერთო უკმაყოფილების ნიშნად. პუჟადიზმის მოძრაობის გაბრწყინება ხანმოკლე აღმოჩნდა და ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა მისი ორაზროვანი ბუნების თაობაზე, რომელმაც შექმნილ გარემოებათა გარდა, ალბათ მისი მარცხი გამოიწვია. გარდაიქმნა რა პარტიად, ამ ზეწოლის ჯგუფმა ვერ მოახერხა პარტიის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი (ორგანიზებული სტრუქტურები, მმართველი კადრები) საფუძვლის შექმნა. და ბოლოს, ამ ტრანსფორმაციამ ვერ წაშალა არსებითი განსხვავება ზეწოლის ჯგუფსა და პარტიას შორის. ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა აშკარაა და ის განსაზღვრულ მოვლენასთან დაკავშირებით ხორციელდება: კანდიდატთა საკანონმდებლო არჩევნებზე წარდგენა, რაც დემოკრატიულ სისტემაში ნორმალურ გზას წარმოადგენს.

ამავე დროს, განხილული უნდა იქნეს სხვა შემთხვევაც, რომლის დროსაც კანდიდატთა წარდგენა აღარ არის დამაჯერებელი კრიტერიუმი. ამ შემთხვევაში, განსხვავების სიცხადე ზეწოლის ჯგუფებსა და პარტიებს შორის წინა სამ შემთხვევაზე მეტად დგება კითხვის ქვეშ. ეკოლოგიურმა მოძრაობებმა გაუგებრობა შემოიტანეს ამ თეორიაში. საქმე არ ეხება ამ მიმდინარეობის მიმოხილვას, რომელიც აშშ-ში XX საუკუნის სამოციან წლებში გაჩნდა და საეჭვო წარმატება ჰქონდა ევროპაში ბოლო ოცი წლის მანძილზე. ამასთან დაკავშირებით ვასათვალისწინებელია მხოლოდ ის ფაქტი, თუ რამდენად დადგა გამოცდის წინაშე პოლიტიკური მეცნიერების ტრადიციული კატეგორიები ამ მოძრაობების გამოჩენით.

პრობლემა გაჩნდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ეკოლოგები სისტემატურად წარადგენენ თავიანთ კანდიდატებს არჩევნებზე ისე, რომ დიდი ხნის განმავლობაში აღნიშნულს არ გამოუწვევია ორაზროვანი დამოკიდებულება მათი განზრახვებისა და ორგანიზაციის ხასიათზე. თუკი საფრანგეთის შემთხვევით შემოვიფარგლებით, ამის პირველი მაგალითი იყო 1974 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე რენე დიუმონის კანდიდატურის წამოყენება. შემდგომში, 1977 წლის მუნიციპალურ არჩევნებში ეკოლოგებმა ზოგიერთ ქალაქში მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს. ამ დროიდან მოყოლებული, ისინი ამ მიმართულებით სვლას აგრძელებდნენ ცვალებადი წარმატებით. ამ შემთხვევაში არჩევნებზე მათი გავლენის მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია. ნათელია, რომ პარტია განისაზღვრება არა მხოლოდ ხელისუფლების მოპოვების შესაძლებლობით, არამედ მისი აღსრულების ნებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტიათა კატეგორიაში შესასვლელად არ არის გადასალახავი რაოდენობრივი ზღვარი. ჰქონდათ კი ეკოლოგიურ მოძრაობებს ხელისუფლებაში მოსვლის ნება? დიდხანს არსებობდა სამი მიზეზი ამაში ეჭვის შესატანად.

პირველი მიზეზი დაკავშირებული იყო იმ ფორმასთან, რომლითაც დაინტერესებული პირები თავის თავს განსაზღვრავდნენ. ეკოლოგებში ერთსულოვნება არასოდეს არსებობდა (და დღესაც არ არის). ზოგიერთი მათგანი მთლიანად უარყოფდა მათ საქმიანობას პოლიტიკურ ჩარჩოში. სხვებისთვის ეს ჩარჩო მისაღები იყო, მაგრამ მათთვის მიუღებელი იყო პარტიის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც მათი აზრით სიხისტისა და პოლიტიკური ინტრიგების ფაქტორს წარმოადგენდა. როგორც ვნახეთ, პარტიის სუბიექტური დეფინიცია ე.ი. აქტიურ მონაწილეთა

შეეედულება საკუთარ თავზე ჭეშმარიტ კრიტერიუმს არ წარმოადგენს, მაგრამ ის შეიძლება სიმპტომი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ელემენტებს უკავშირდება.

მეორე მიზეზი ეკოლოგების მხრიდან არჩევნებისადმი განსაკუთრებული მიდგომიდან მომდინარეობს. ისინი ღიად აცხადებენ, რომ მათ ხმის მიცემა საარჩევნო კამპანიაზე ნაკლებად აინტერესებთ. მართლაც, არჩევნები ძლიერი და ნაკლებად ძვირადღირებული საშუალებაა მათი იდეების გასავრცელებლად. ამგვარად, არჩევნები ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე მეტად პროპაგანდის, ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენის საშუალებას წარმოადგენს. ამგვარი სტრატეგია უფრო ზეწოლის ჯგუფის მოქმედებას ჰგავს, ვიდრე პარტიისას.

მესამე მიზეზი მდგომარეობს იმის გარკვევის მცდელობაში, წარმოადგენს თუ არა ეკოლოგია რეალურად ისეთ დოქტრინას, რომელსაც საზოგადოების წინაშე ობიექტურად წამოჭრილი პოლიტიკური პრობლემების ერთობლიობის საკუთარ თავზე აღება შეუძლია. არსებობს კი ეკოლოგიური საგარეო პოლიტიკა, ეროვნული თავდაცვის ეკოლოგიური პოლიტიკა, სამოქალაქო კოდექსის ეკოლოგიური რეფორმა? პასუხი არ არის ნათელი. (სხვადასხვა ეკოლოგიური მოძრაობები, რომელთა სტრატეგია და პოლიტიკური სარჩული ხშირად განსხვავებულია, ვერ თანხმდებიან ამ პუნქტში). აშკარაა, რომ მოძრაობა, რომელსაც ზოგადი მოსაზრებაც კი არა აქვს ამ ტიპის კითხვებზე, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს იმავე დონეზე, როგორიც პოლიტიკურ პარტიას გააჩნია ამ ტერმინის ფართო გაგებით. ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზიის ქონა, თუკი ამგვარი შემთხვევა არსებობს, მისი აღსრულებისთვის წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებზე გეგმის არქონით, საეჭვო დემარშია.

ბოლო წლებში საკითხის ევოლუცია მოხდა, თუმცა მას ყველა გაურკვევლობა არ გადაუჭრია. ერთი მხრივ, ზოგიერთმა ეკოლოგმა შექმნა ორგანიზაციები, რომელიც პასუხობს პოლიტიკური პარტიის მოთხოვნებს. მეორე მხრივ, ბერლინის კედლის დანგრევამდე ეკოლოგებისა და პაციფისტების დაახლოებამ პირველები მრავალრიცხოვანი თემებით აღჭურვა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი თეორიული ჩარევის შესაძლებლობა. საბჭოთა იმპერიის დანგრევამ პაციფისტებს არსებობის მიზეზი გამოაცალა. თუმცა სიფრთხილით მიჩქმალულმა ამ ეპიზოდმა თავისი კვალი დატოვა. მან აჩვენა, თუ რა ტიპის ალიანსის წყალობით შეუძლიათ ეკოლოგებს თავისი თემების გამდიდრება და ამასთანავე მათი პოლიტიკური სივრცის გაფართოება. ამ ფაქტების ერთობლიობიდან გამომდინარეობს ეკოლოგიური მოძრაობის ხასიათის განსაზღვრა, თუმცა დიფერენციაციის ფასად: მოძრაობის ნაწილი მთლიანად პოლიტიკით არის დაკავებული, რომელიც დოქტრინას შეიცავს და არსებული ინსტიტუტების როლს ასრულებს. ერთ შემთხვევაში ვხედავთ წინასწარ შექმნილი აზრის უარყოფას, ისეთის, როგორიცაა მანდატების გამოყენება (გენერალურ ასამბლეებზე მხოლოდ დამსწრე აქტივისტები უყრიან კენჭს) და მთლიანი ტრანსფორმაციის ნების დამტკიცება. მეორე შემთხვევაში არსებობს საწყისი მოტივის შენარჩუნების სურვილი, მისი სიწმინდისა და თავისებურების გაბათილების თავიდან ასაცილებლად.

მთლიანობაში, ერთ მომენტში ასპარეზზე ეკოლოგთა გამოჩენის შედეგად, პარტიებისა და ზეწოლის ჯგუფების კატეგორიების აღრევა კვლავ აშკარად განსხვავებულია. ამაზე მეტყველებს ის, რომ აღნიშნული კატეგორიები რეალურ ფენომენებს შეესაბამებიან, რომელიც საკუთარი ლოგიკით არის განსაზღვრული და არ წარმოადგენს თვითნებურ ეტიკეტს. ამგვარად, ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ პარტიის ცნება მის წინმსწრებ პოლიტიკურ ჯგუფებთან და ზეწოლის ჯგუფებთან შედარების გზით. მართებული იქნებოდა თავად პარტიების შესწავლა, რომელთა კლასიფიკაცია პირველ რიგში სხვადასხვა ტიპოლოგიის განხილვით არის შესაძლებელი.

ნაწილი II. პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგიები

1/ სტრუქტურული ტიპოლოგია: კადრებისა და მასობრივი პარტიები

137. ზოგადი იდეა. — პირველ ნაწილში განხილული იქნა ტიპოლოგიური მეთოდის უპირატესობები. რა თქმა უნდა აღნიშნული მეთოდი პოლიტიკური პარტიის ანალიზის დროსაც გამოიყენება. ჩვენი დაკვირვებებიდან გამომდინარე, არც ერთ ტიპოლოგიას არ შეუძლია ფენომენთა მრავალფეროვნების ამოწურვა, რაც არც წარმოადგენს მის ამოცანას. ტიპოლოგიის მიზანია იყოს არა იმდენად ჭეშმარიტი, რამდენადაც საინტერესო. A priori საინტერესოა პოლიტი-

კური პარტიების კლასიფიცირება მათი სტრუქტურების მიხედვით. მართალია ამ უკანასკნელთ არავითარი ონტოლოგიური პრივილეგია არ გააჩნიათ ფუნქციებთან ან იდეოლოგიასთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც ბევრ სხვა ფაქტორს ფარავენ. მართლაც, ისინი ფუნქციებით შექმნილ ორგანოებს წარმოადგენენ. დარვინის აზრით, პოლიტიკურ სამყაროს ბევრი საერთო აქვს ბუნების სამყაროსთან სადაც სიცოცხლისთვის ბრძოლა დომინირებს და ადაპტაცია გადარჩენის პირობაა. სტრუქტურების შესწავლა, რომელიც ადაპტაციის პროცესის შედეგია, თავად ამ პროცესის განმარტების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, ჩვეულებისამებრ, არსებობს გარკვეული ჰარმონია პარტიის მიზნებსა და იდეოლოგიას შორის ერთი მხრივ, და პარტიის სტრუქტურებთან მეორე მხრივ. დისჰარმონიის არსებობის შემთხვევა სტრუქტურების ანალიზის მიღმა მდგომ მნიშვნელობას წარმოშობს, რაც თავისთავად აღსანიშნი ფაქტია და ამიტომაც, მიზანშეწონილია მისი შესწავლა.

ზემოაღნიშნული ნათლად ვვიჩვენებს იმ ანალიზის ხანგრძლივ წარმატებას, რომელიც მორის დიუვერჟემ 1951 წელს ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებულ ნაშრომში წარმოადგინა კადრებისა და მასობრივი პარტიების განასხვავებასთან დაკავშირებით. მიუხედავად გარკვეული ეჭვებისა, რომელსაც შემდგომში განვიხილავთ, აღნიშნული ანალიზი აშკარა ღირებულებას ინარჩუნებს და მისით დაწყება გამართლებულია.

138. კადრების პარტიები. — კადრების პარტიები ყველაზე ძველია. წინა ნაწილში შესწავლილი პროცესების მიხედვით, ორგანიზაციები, რომელთაც თავად პარტიის ფორმა გამოიგონეს, კადრების პარტიები იყვნენ ან რეტროსპექტულად ასეთებად გამოიყურებიან, რადგან მხოლოდ მასობრივი პარტიის გამოჩენამ დაპირისპირებას მნიშვნელობა შესძინა. აღნიშნული ორგანიზაციები შესანიშნავად იყვნენ ადაპტირებული XIX საუკუნის ლიბერალურ დემოკრატიასთან. დაუნდობელმა კონკურენციამ, რომელიც მოგვიანებით მასობრივი პარტიების მხრიდან გაჩნდა, სამოქმედო ასპარეზიდან ვერ გამოთიშა კადრების პარტიები. კადრების პარტიების დამახასიათებელი ნიშნების შესწავლისას უნდა გავარკვიოთ მათი გადარჩენის მიზეზები.

კადრების პარტიებს სამი ნიშანი ახასიათებს: კადრების დაკომპლექტების სისუსტე, მოქნილი სტრუქტურები და ზემო ეშელონის ქვედაზე დომინირება.

უპირველეს ყოვლისა, კადრების პარტიები არ ცდილობენ თავიანთ მომხრეთა რაოდენობის სისტემატურ გაზრდას. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ისინი ხელს შეუშლიდნენ მასობრივ გაწევრიანებას. თუმცა, ისინი წევრებს არ ეძებენ და თავს იმშვიდებენ იმით, რომ ამის გაკეთება არ არის მართებული. ამგვარმა პოზიციამ შეიძლება ეაკვირვება გამოიწვიოს. მართლაც, a priori ჩანს, რომ მასობრივ პარტიებს (თავად სახელწოდება მიგვითითებს), წევრთა ბევრად მეტი რაოდენობა ჰყავთ და აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ბრძოლაში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეუძლიათ. ხომ არ წარმოადგენს რაოდენობრივი უკმარისობა გადაულახავ დაბრკოლებას, რომელმაც კადრების პარტიების ჩამოშორებამდე შეიძლება მიგვიყვანოს? პროგნოზი ნათლად იყო ჩამოყალიბებული, თუმცა ის მარტივი მიზეზის გამო არ გამართლდა, რომელიც მთლიანობაში მოსალოდნელი იყო.

დემოკრატიულ სისტემაში ხელისუფლება არჩევნების გზით მოიპოვება. ამიტომაც მნიშვნელოვანია ბევრი ამომრჩევლის და არა ბევრი პარტიის წევრის ყოლა. ამ ორ რაოდენობას შორის მექანიკური კავშირი არ არსებობს. კადრების პარტიები არ ცდილობენ პარტიის წევრთა დიდი რაოდენობით დაკომპლექტებას, მაგრამ ისინი თავის სასარგებლოდ იყენებენ იმ ფაქტს, რომ ყველა საზოგადოებაში პიროვნებები თანაბარი პრესტიჟითა და გავლენით არ სარგებლობენ. ამგვარად, პარტიები ამომრჩევლებზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ისეთი ინდივიდების გაერთიანებით, რომელთაც არჩევანზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. შედეგი ასევე ეფექტურია, როდესაც პარტიები პირდაპირ მოქალაქეებს მიმართავენ და ამგვარი მანიპულაცია ნაკლები დანახარჯით ხორციელდება.

ამგვარია კადრების პარტიების მიერ გამოყენებული სტრატეგია. ისინი ძირითადად ცნობილი პიროვნებების მხარდაჭერას ეყრდნობიან. ცნობილი პიროვნება განისაზღვრება როგორც ინდივიდი, რომელსაც გარკვეული სახელი აქვს მოხვეჭილი ან სახელმწიფო ან ადგილობრივ დონეზე. მას მრავალრიცხოვანი კავშირები აქვს სხვადასხვა სოციალურ წრეებთან და სხვის მოქმედებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. წინაინდუსტრიულ საზოგადოებაში ზოგიერთი პროფესია

ხელს უწყობდა გავლენიანი ადგილის დაკავებას, რადგან ის ერთდროულად მოსახლეობასთან კონტაქტს მოითხოვდა და პრესტიჟული იყო. აღნიშნული ეხებოდა ექიმებს, ადვოკატებსა და ნოტარიუსებს. რელიგიის გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონებში მღვდლები, ხოლო რელიგიისაგან შორს მდგომ რეგიონებში მასწავლებლები ასევე ანალოგიურ როლს ასრულებდნენ. დღესაც ეს კატეგორიები თავის გავლენას ინარჩუნებენ, განსაკუთრებით სოფლებში, მაგრამ მათ კონკურენციას ახალი ტიპია ცნობილი ადამიანები უწევენ: საწარმოების ხელმძღვანელები, უნივერსიტეტების თანამშრომლები, უმაღლესი ეშელონის კადრები. სიმდიდრეც ასევე იძლევა ცნობილ ადამიანად გახდომის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში განსხვავება კულტურების მიხედვით უნდა გაკეთდეს. მაგალითად აშშ-ში სიმდიდრე უპირატესობის ნიშნად მიიჩნევა. საფრანგეთში ის აღტაცებას ან შურს იწვევს. პოლიტიკური პარტიები ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ სხვადასხვა სფეროში ინდივიდების მიერ მოპოვებული პრესტიჟი: ლიტერატურა, ხელოვნება, სპორტი. ამ სხვადასხვა კატეგორიებისთვის საერთოა ის, რომ მათი ლეგიტიმურობა ღვაწლით ან მემკვიდრეობით არის მიღწეული და აქედან გამომდინარე, ის არაპოლიტიკურია. ამ ლეგიტიმურობას ისინი პოლიტიკის სამსახურში კარიერის გაკეთების ან იმ ღირებულებათა გასამარჯვებლად იყენებენ, რომელიც სწამთ. ამ შემთხვევაში ისინი მთლიანად უპირისპირდებიან პოლიტიკაში მოღვაწე პროფესიონალებს, რომლებმაც მაღალ თანამდებობებს მიაღწიეს ისე, რომ პოლიტიკის გარდა არაფრით იყვნენ დაკავებულნი. პარტიები ყველა გამოჩენილი ადამიანის მიერ საზოგადოებაში მოპოვებული სიმპათიის კაპიტალის გამოყენებას ცდილობენ, რაც ამ უკანასკნელთათვის ხმის მიცემაში გამოიხატება. გარდა ამისა, პარტიები სხვადასხვა კატეგორიებს განსხვავებულად იყენებენ: პირველებში ისინი შესაძლო კანდიდატებს, ხოლო მეორეებში დამფინანსებლებს ხედავენ. რაც შეეხება მესამე კატეგორიას, ისინი ხშირად დეკორაციულ როლს ასრულებენ: პოლიტიკოსებს მათ გამოცდილებაში ეჭვი შეაქვთ და მათ მიმართ კორპორაციულ რეფლექსს ავლენენ, რასაც ისინი თავისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციების შენარჩუნებამდე მიჰყავს?

თუმცა, არაპირდაპირი გავლენის ფორმის არჩევანი არაა კადრების პარტიების ერთადერთი ნაშანი. მეორე ნიშანი შესაძლებელია მათი ორგანიზაციის სუსტ დონეში ვლინდებოდეს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული მათი სოციალური წარმომავლობით აიხსნება. ჩვეულებისამებრ ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ცნობილი პიროვნებები, რომელთაც სახელი პოლიტიკის მიღმა მოიხვეჭეს, ნაკლებად არიან განწყობილნი შემზღუდველი დისციპლინის ასატანად. ისინი პოლიტიკას საინტერესო საქმიანობად მიიჩნევენ, რომელსაც შეუძლია მათი გავლენის გაზრდა, უფრო ხელსაყრელი მდგომარეობის შემოთავაზება, რაც სამღვდელო წოდებაზე მეტად დააკმაყოფილებს მათ პატივმოყვარეობას. თუკი პარტიისადმი მიკუთვნება მათთვის დამამძიმებელი ხდება ისინი მას უბრალოდ ტოვებენ. მეორე მხრივ, წევრთა რაოდენობის სიმცირე პარტიას ბურჟუაზიული ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი ჩვეული ფორმით მართვის შესაძლებლობას აძლევს. არ იგრძნობა მრავალრიცხოვან წევრთა ადმინისტრაციის არსებობის აუცილებლობა. კადრების პარტიები, ასევე, ძალიან დეცენტრალიზებული ჯგუფებია. ხშირად ცენტრალურ ორგანოებს მცირე გავლენა აქვთ ადგილობრივ დონეზე. ამ ფაქტით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთი პარტიის შიგნით საკმაოდ განსხვავებული რეგიონალური ტენდენციები არსებობს.

კადრების პარტიის მესამე განმასხვავებელი ნიშანია პარტიის ზედა ეშელონის პირველად ორგანიზაციაზე დომინირება. შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა, ხომ არ ეწინააღმდეგება მესამე განსხვავება მეორეს? სინამდვილეში წინააღმდეგობა არ არსებობს და ეს ორი მიზეზის გამო ხდება. ერთი მხრივ, პარტიის დატოვების თავისუფლება შესაძლებელს ხდის ხელმძღვანელობისთვის ყველაზე საშიში ელემენტების თვითგამორიცხვას. ამ ფენომენს მასობრივ პარტიებშიც ვხვდებით: არ უნდა დავივიწყოთ, რომ წევრები მოხალისეები არიან. მაგრამ კადრების პარტიები, მათი მენტალობიდან გამომდინარე, უფრო იოლად მიმართავენ ამგვარ გამოსავალს. მეორე მხრივ, და ეს კადრების პარტიისთვის არის დამახასიათებელი, ხისტი სტრუქტურების არარსებობა არ არის შეუთავსებელი ხელისუფლების გავლენასთან. ის გამორიცხავს იურიდიული ხასიათის ხელისუფლებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ხელმძღვანელობას განსაზღვრული პოლიტიკური მიმართულება შემოაქვს. კადრების პარტიაში ძალაუფლება პერსონალური და დეცენტრალიზებული ხასიათისაა. ის რჩეულის ხელშია და იგი მას თავის ოლქში აღასრულებს. რჩეულის, განსაკუთრებით კი პარლამენტარის უპირატესობა უდავოა. ის გამოხატულია იმ ავტონომიით, რომლითაც იგი სხვა პარლამენტარებთან მიმართებაში სარგებლობს და იმ გავლენით, რომელიც მას ადგილობრივ დონეზე პარტიის პირველად ორგანიზაციაზე გააჩნია.

პარლამენტარის დამოუკიდებლობა თავის თანასწორთა პირისპირ ხმის მიცემის თავისუფლებაში გამოიხატება. რჩეულებისთვის არ არის აუცილებელი საპარლამენტო ჯგუფის მიერ უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებებისთვის ხმის მიცემა. ისინი თავისუფალნი არიან დებატებისა და კენჭისყრის დროს საკუთარი აზრის გამოხატვაში და ამის გამო არ რჩებიან პარტიის მიღმა.

პარტიის პირველად ორგანიზაციაზე გავლენა გამოიხატება იმ ფაქტში, რომ პარლამენტარი თავის ოლქში პარტიის ქვედა ეშელონების ნამდვილი პატრონივით მოქმედებს. იგი მოქმედებს არა როგორც აქტივისტთა მიერ უფლებამოსილი პიროვნება, რომელმაც ძალაუფლება არჩევნების გზით მოიპოვა, არამედ როგორც ნამდვილი მეთაური, რომელსაც უნდა დაეშორჩილონ. რა თქმა უნდა პრაქტიკაში ეს ძალაუფლება პიროვნებების თვისებების მიხედვით იცვლება, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პატივსაცემი, მოქნილი და პოპულარულია პიროვნება. ის ასევე პოლიტიკურ კონიუნქტურასთან ერთად იცვლება, როგორც სახელმწიფო ისე ადგილობრივ დონეზე: სერიოზულმა წარუმატებლობამ, განსაკუთრებით არჩევნებთან დაკავშირებით, შესაძლებელია წინააღმდეგობა გამოიწვიოს. თუმცა, როგორც წესი, მეთაურის ავტორიტეტი უდავოა, რაც მის მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარში ვლინდება. სწორედ მასზეა დამოკიდებული პარტიის შიდა ფუნქციებისთვის იმ ადამიანების შერჩევა, რომელთაც არჩევნებში კოლორიტი უნდა შეიტანონ. იგი წყვეტს სტრატეგიას ადგილობრივ დონეზე და მიზნის მისაღწევად სამოქმედო ფორმებსა და საშუალებებს ირჩევს.

ამავე დროს, რჩეულის გავლენას საზღვარი აქვს. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ დღეისათვის ყველა პარტია (ან თითქმის ყველა) თავს დემოკრატიის პრინციპების მატარებლად მიიჩნევს: ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა დემოკრატიის გარკვეული გარეგნული სახის შენარჩუნება. თუ უფრო სიღრმისეულად შევუდგებით, როგორც უკვე აღინიშნა, პარტიები მხოლოდ მოხალისეებისგან შედგებიან, რომელთაც ნებისმიერ მომენტში პარტიის რიგების დატოვება შეუძლიათ. ხელმძღვანელებმა აქტივისტების დაკარგვის შიშით პარტიის შემადგენლობის მორალური მდგომარეობა უნდა გაითვალისწინონ. სწორედ აქედან მომდინარეობს შენიღბვის პროცედურები: ძირითად საკითხებზე „აზრთა გაზიარების" შემდეგ კენჭისყრა ტარდება. ამგვარად, შენარჩუნებულია ძირითადი პრინციპები და ამავე დროს, უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა მხრიდან აღტკინების მინიმუმი.

ხომ არ შეიცავს ამგვარი ქმედება რისკს ხელმძღვანელთა აზრით? მოჩვენებითი სახის რეალობად ქცევის რისკს, რომლის დეზავუირებამდე შეიძლება დემოკრატიულმა პროცედურებმა მიგვიყვანოს. მართლაც, აღნიშნული სახის ევოლუცია პოტენციურად ყოველთვის არის შესაძლებელი, მაგრამ პრაქტიკაში ის თითქმის არასდროს ხორციელდება. ყოველივე ხდება იმის გამო, რომ ხელმძღვანელებს ფსიქოლოგიური გავლენა აქვთ თავის „ჯარებზე", რომელიც მათ იერარქიულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ სცილდება ხელისუფლებაზე დამყარებულ მარტივ ურთიერთობას და ამგვარად შეუძლია გამოვლინდეს იმ შემთხვევაში, სადაც ის არ არის გამოყენებული, ანუ „დემოკრატიულ" კენჭისყრაში. აცნობენ რა ღიად თუ ფარულად თავის აზრს პასუხისმგებელი პირის ან სამოქმედო გზის არჩევის საკითხში, ხელმძღვანელები აქტივისტთა არჩევანზე გავლენას ახდენენ. ამ მექანიზმით პირველთა ნება მეორეთა მიერ არის დამტკიცებული, ოპერაციის კარგად შესრულების შემთხვევაში, ამ უკანასკნელთ მიაჩნიათ, რომ მათ თავად სურდათ ამის გაკეთება. შემდგომში ვნახავთ, რომ ამგვარი ტიპის მექანიზმები მასობრივ პარტიებშიც მოქმედებენ.

ამასთანავე ზოგჯერ მანიპულაცია არასრულყოფილია და ზოგიერთი აქტივისტი არ ტყუვდება. ამ შემთხვევაში რატომ ემორჩილებიან ისინი ამ მექანიზმს? სწორედ აქ ჩნდება განსხვავება ცინიკოსებსა და მიამიტებს შორის, რომელთაც ჩვენ აქტივისტთა ანალიზის დროს გაეცანით. (სხვათა შორის აღნიშნული ტერმინები ტექნიკური და არა კინობითი მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ). მიამიტებისთვის პოლიტიკური ანგაჟირება მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თვითკმაყოფილებაა. მათ სწამთ პარტიის იდეების, მისი საქმიანობის, მისი ხელმძღვანელების. ცინიკოსები აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში სხვადასხვა მატერიალური სარგებლის მიღწევის საშუალებას ხედავენ. მათ პარტიაში კარიერის გაკეთების (ან მისი წყალობით) იმედი აქვთ და კარგად იციან, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია ხელმძღვანელთა მხარდაჭერის გარეშე. მიამიტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რჩეულის პრესტიჟს: ისინი რჩეულში დიდ პოლიტიკურ საიდუმლოებებში გათვითცნობიერებულ ადამიანს ხედავენ, რომელიც გადაწყვეტილებას

მოვლენათა მიზეზის ცოდნით იღებს. ისინი მის გადაწყვეტილებებს რწმენის გამოც ეთანხმებიან. ცინიკოსებმა კარგად იციან, რომ პარტიაში კარიერის გასაკეთებლად აუცილებელია ხელმძღვანელთა კეთილგანწყობის მოპოვება. სწორედ დაინტერესებულობის გამო ისინი ხელმძღვანელთა მითითებებს ასრულებენ.

ასეთ პირობებში უკმაყოფილების გამოხატვას იშვიათად აქვს ადგილი. ამგვარი რამ შესაძლებელია მოხდეს მიამიტების მიერ რწმენის დაკარგვის, ან ცინიკოსთა მხრიდან გულაცრუების შემთხვევაში, რაც თითქმის ყოველთვის პიროვნულ უთანხმოებათა საფუძველზე ხდება. უთანხმოებები საგანგაშო ვითარებას ქმნის მცირე გეოგრაფიულ ერთეულებში, რომლის იზოლაციასაც ახდენენ და ხელს უშლიან ზიანის მიყენებაში: არ არსებობს იმის მაგალითი, რომ ქვედა ეშელონიდან წამოსულმა მოძრაობამ კადრების პარტიის ორიენტაციის შეცვლა შეძლოს. ამგვარად გასაგები ხდება, თუ როგორ ახერხებენ კადრების პარტიები, რომლებიც ნაკლებად ორგანიზებული ჯგუფების შთაბეჭდილებას ტოვებენ, შეინარჩუნონ ძალიან მტკიცე ძალაუფლება, რომელსაც მათი მოწინააღმდეგეები ხშირად ანტიდემოკრატიულად მიიჩნევენ. ძალაუფლება ეკუთვნის ადამიანებს, რომლებიც მას ქვედა ეშელონებზე იყენებენ, მაგრამ ამ უკანასკნელს ზედა ეშელონები არ ემორჩილებიან. ის არ ატარებს ინსტანციათა პირამიდის ხასიათს, რომელიც ხელისუფლებას კოლექტიურად აღასრულებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კადრების პარტია ნამდვილად მხოლოდ საარჩევნო ოლქებში არსებობს, სადაც მას თავისი რჩეულები ჰყავს. იქ სადაც ეს არ არსებობს, შესაძლებელია სტრუქტურის ემბრიონის შექმნა რამდენიმე პასუხისმგებელი პირითა და აქტივისტებით სათავეში. თუმცა, ამგვარი ორგანიზაცია ჩვეულებისამებრ სქემატურია. მასობრივი პარტიების მსგავსად, მას არ შეუძლია ამომრჩეველთა მეთოდური მიზიდვა ორგანიზებული პოლიტიკური პროზელიტიზმის წყალობით. თუკი სამხედრო ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, კადრების პარტიები ტერიტორიას უბნებად არ ყოფენ და გაბედულად მოქმედებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი თავის კანდიდატთა ასარჩევად ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებას ცდილობენ. მხოლოდ ოპერაციის წარმატების შემთხვევაში, ორგანიზაცია დიდ გავლენას აღწევს.

137. კადრების პარტიის რამდენიმე მაგალითი. — ჩვენს მიერ ნაჩვენები კადრების პარტიის სურათი იდეალურ ტიპს წარმოადგენს მოცემული განსაზღვრების მნიშვნელობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ნათელს ჰფენს ფენომენის ლოგიკას. თუმცა რეალური პარტიები ყოველთვის სრულყოფილად არ შეესაბამება ამ მონახაზს. მათ სპეციფიკური ნიშნები აქვთ, რომელიც პარტიებს ინდივიდუალობას ანიჭებს. საჭიროა რამდენიმე კონკრეტული შემთხვევის შესწავლა, რომელიც კადრების პარტიის ცნების ყველა ნიუანსს წარმოაჩენს.

საფრანგეთში კადრების პარტიის საუკეთესო მაგალითია რადიკალური პარტია. ის 1901 წელს დაფუძნდა წინათ არსებულ „მოაზროვნე ადამიანთა კომიტეტებისა და საზოგადოებების" საერთო სტრუქტურაში გაერთიანების შედეგად. ის მემარცხენე იდეოლოგიის მატარებელი იყო. დასაბამიდანვე რადიკალური პარტია ელიტარულ ხასიათს ატარებდა. ის ასევე ძალიან დაყოფილი იყო, რადგან მასში ერთმანეთს ეჯახებოდა საპირისპირო ტენდენციები. მის შიგნით ერთმანეთს უპირისპირდებოდა ავტორიტარული იაკობინური ტრადიცია და ლიბერალური და დეცენტრალიზაციის მომხრე ჟირონდისტული ტრადიცია: შეიძლება ითქვას, კლემანსოსა და ედუარდ ერიოს ტრადიციები. ამ პარტიაში დიდ როლს თამაშობდა პირადი შუღლი ლიდერთა შორის, რომელთაც მათი რეგიონალური მომხრეები უჭერდნენ მხარს. ამავე დროს, პარტიას ერთიანობის ფაქტორები გააჩნდა: იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც ანტიკლერიკალიზმში გამოიხატებოდა და ინსტიტუციონალური ფაქტორი. III რესპუბლიკის დროს რადიკალური პარტია თითქმის ყოველთვის იყო სამთავრობო კოალიციების წევრი. სამთავრობო პარტიის აღნიშნული როლი შიდა უთანხმოებებს არბილებდა, რადგან მათი გამწვავება პარტიის ერთიანობას კითხვის ქვეშ დააყენებდა, ეს კი მის პრივილეგირებულ ხასიათს საფრთხეს შეუქმნიდა.

ზემოაღნიშნული შეესაბამება ჩვენს მიერ განსაზღვრული კადრების პარტიის სახეს. თუმცა III რესპუბლიკის დროს რადიკალური პარტია მისგან ერთ პუნქტში განსხვავდებოდა. ზოგჯერ აქტივისტთა გავლენა იქ რეალურად იგრძნობოდა. ამგვარად, 1928 წელს ანჟერის კონგრესზე აქტივისტებმა პუანკარეს მთავრობის რადიკალი მინისტრების გადაყენება მოითხოვეს. ამავე დროს, არ უნდა იქნეს გადამეტებული გაღებული მსხვერპლის მასშტაბი. III რესპუბლიკის დროს არ არსებობდა შეუთავსებლობა პარლამენტარისა და მინისტრის ფუნქციებს შორის: მთავრობის

დატოვებით რადიკალი მინისტრები დეპუტატებად რჩებოდნენ და შეეძლოთ მინისტრის პორტ-ფელის ხელახლა ხელში ჩაგდების იმედი ჰქონოდათ მომავალი სამთავრობო კრიზისის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, იშვიათია, რომ მთავრობის წევრს დიდი სიხარულით ეთქვას უარი მთავრობის წევრობაზე. ეს ეპიზოდი ნიშანდობლივია იმ კლიმატის აღსანიშნავად, რომელშიც საზოგადოებრივი აზრი რეალურ გავლენას ინარჩუნებდა მმართველთა ქცევაზე. მოვლენა განსაკუთრებით კარგად კონტრასტით წარმოჩნდება. სხვა პარტიებში და თავად რადიკალურ პარტიაში მისი შემდგომი ევოლუციის სტადიაში, აღნიშნული ეპიზოდი გაუგებარი იქნებოდა. IV და V რესპუბლიკების დროს პარტიის აპარატის სიძლიერემ ჩაშალა პიერ მენდეს ფრანსისა და ჟან-ჟაკ სერვან-შრეიბერის მცდელობები პარტიის შიდა ცვლილებებთან დაკავშირებით. პირველი მარცხი განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან მენდეს ფრანსი IV რესპუბლიკის დროს იყო ერთ-ერთი იშვიათი პოლიტიკოსი, რომელიც თავისი საქმიანობით საზოგადოებაში რეალური მხარდაჭერით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, 1954 წლის ივნისიდან 1955 წლამდე საბჭოს თავჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ მან ხელისუფლებაში დაბრუნება ვერ მოახერხა. ბევრ წინააღმდეგობას შორის, რომელსაც მენდესი წააწყდა, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საკუთარი პარტიიდან მომდინარე წინააღმდეგობა იყო, მიუხედავად იმისა, რომ მის მხარდასაჭერად პარტიაში ბევრი აქტივისტი გაწევრიანდა. კადრების პარტიებისთვის დამახასიათებელმა სიმყიფემ მათ გამარჯვების საშუალება არ მისცა.

1973 წელს რადიკალური პარტია გაიყო, რაც მემარცხენე ძალთა პოლიტიკური გაერთიანებისა და წინა წელს სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს შორის საერთო სამთავრობო პროგრამაზე ხელმოწერის შედეგი იყო. რადიკალური პარტიის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს ამგვარ ევოლუციაზე მაშინ, როდესაც მის პარლამენტართა უმრავლესობა აღნიშნულისადმი კეთილგანწყობილი იყო. ამ უკანასკნელებმა პარტიის რიგები დატოვეს და „მემარცხენე რადიკალთა მოძრაობა" შექმნეს, რომელიც 1944 წელს „რადიკალურ პარტიად" გადაკეთდა, ხოლო 1996 წელს რადიკალურ-სოციალისტურ პარტიად, რადგან სიტყვების შეცვლა საქმის მსვლელობის შეცვლაზე უფრო იოლია. პარტიის აპარატის ხელმძღვანელებმა „რადიკალური პარტიის" სახელწოდება შეინარჩუნეს. თუმცა, ჩვეულებისამებრ, ამ პარტიას „ვალუაზიურ რადიკალურ პარტიას" უწოდებენ (ვალუას მოედანი პარიზში სადაც ისტორიულად პარტიის რეზიდენციაა განლაგებული), ყოველგვარი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად. ამ დროიდან ორივე ჯგუფს ფრანგული პოლიტიკის პერიპეტიების გადატანა მოუხდა ისე, რომ მის შეცვლაში თავისი წვლილი არ შეუტანია. ისინი კლასიკური ტიპის კადრების პარტიებია, რომლის გავლენაც რამდენიმე ცნობილ ადამიანზეა დამოკიდებული, რომელნიც მათი იდეებისა და მობილიზაციის უნარზე მეტად საარჩევნო კეთილგანწყობით სარგებლობენ.

საფრანგეთში კადრების პარტიის მეორე მაგალითია „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ნაციონალური ფედერაცია", რომლის ისტორიული წარმომავლობა პირველ ნაწილში უკვე აღინიშნა. პარტიის გავლენა მისი რჩეულებისა და ამ უკანასკნელთათვის ადგილობრივ დონეზე გაწეული დახმარებიდან მომდინარეობდა. გარდა ამისა, ის უფრო მცირერიცხოვანი იყო. ამავე დროს, პარტიას გააჩნდა რეგიონალური ფედერაციები, ფედერალური საბჭო და მმართველი კომიტეტი, მაგრამ პარტიაში არ არსებობდა გაწევრიანება, პარტიული ბილეთი და ორგანიზებული მიღება. ის განსაკუთრებით არჩევნების დროს გააქტიურებულ ცნობილ ადამიანთა კომიტეტებისა და ნაციონალური ხელმძღვანელობისგან (მუდმივად მხოლოდ ის ფუნქციონირებდა) შემდგარი ამორფული წარმონაქმნი იყო. ფრანგული პოლიტიკური სისტემის პარადოქსია ის ფაქტი, რომ ამ ორგანიზაციის ლიდერმა, ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა 1974 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. ამ შემთხვევაში კანდიდატის პიროვნულმა თვისებებმა და სახელმწიფო აპარატის მხარდაჭერამ პარტიის მომხრეთა მექანიზმზე მეტი როლი ითამაშა. თუმცა, მიუხედავად პარტიის წარმატებისა, ეროვნულ ასამბლეაში გოლისტური მოძრაობა დომინირებდა. ამიტომაც რესპუბლიკის პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის ფარული კონფლიქტი არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ 1977 წელს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ნაციონალური ფედერაცია რესპუბლიკურ პარტიად გარდაიქმნა და უფრო ორგანიზებული და იერარქიული ორგანიზაციით აღიჭურვა, ჟისკარ დ'ესტენის მოძრაობამ ვერ შეძლო გოლისტების ჩამოშორება, რომლებიც მყარად დამკვიდრნენ საარჩევნო თვალსაზრისით და უფრო ორგანიზებული პარტია ჰქონდათ. ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს კადრების პარტიის როგორც წარმატებას, ასევე მის საზღვრებს თანამედროვე სამყაროში. სწორედ ამიტომ, 1978 წელს რესპუბლიკური პარტია იძულებული

გახდა ვალუაზიელ დემოკრატებთან და სოციალ-დემოკრატების ცენტრთან გაერთიანებულიყო, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიული ტრადიციებიდან მომდინარეობდა და მის საფუძველზე პარტიათა კონფედერაცია — „გაერთიანება ფრანგული დემოკრატიისთვის" შეექმნა. ამ გაერთიანებით სამ აღნიშნულ ჯგუფს პრინციპში გოლისტური მოძრაობის გავლენის გაწონასწორება შეეძლო. მიუხედავად ცენტრიდანული ძალებისა, რომელიც ისტორიასა და ამ პარტიების განსხვავებულ პოლიტიკურ ტრადიციებთან, პიროვნულ უთანხმოებებთან და ნაციონალური პოლიტიკის მოულოდნელ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, გაერთიანება ფრანგული დემოკრატიისათვის (UDF) გადარჩა. ის მაშინაც გადარჩა, როდესაც მისი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი 2002 წელს შექმნილ ახალ პარტიას „საპრეზიდენტო უმრავლესობის კავშირს" (UMP) შეუერთდა. აღნიშნული გარკვეულ წინააღმდეგობათა შეუქცევად ხასიათზე მიუთითებს, მაგრამ პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა ამგვარი ფორმაციის სიცოცხლისუნარიანობაზე ჰეგემონიური მოწოდების ორგანიზაციის პირისპირ. UDF-ის მომავალი დამოკიდებულია არა იმდენად საკუთარ რესურსებზე, არამედ ჰეგემონიური მოწოდების ორგანიზაციის მარცხსა თუ გამარჯვებაზე.

საფრანგეთის გარეთ, ბრიტანული კონსერვატიული პარტია კადრების პარტიის ცნობილ მაგალითია. თუმცა ის მეტად შორდება ჩვენს მიერ აღწერილ მოდელს. კადრების პარტიებისთვის დამახასიათებელი სამი ნიშნიდან მხოლოდ ერთის არსებობაა უდავო: კონსერვატიული პარტია სისტემატურად არ ცდილობს თავის წევრთა რაოდენობის გაზრდას. სამაგიეროდ XIX საუკუნიდან მას აქვს მყარი, განშტოებული სტრუქტურა ადგილობრივ დონემდე, რომელიც ძალიან ცენტრალიზებულია. ძირითადი განსხვავება საპარლამენტო ჯგუფის დონეზე ვლინდება. ეს უკანასკნელი მკაცრი კენჭისყრის დისციპლინას იცავენ, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი კენჭისყრის დროს. სწორედ აქ არის ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის ბუნების ძირითადი არსი, რადგან ის სამთავრობო უმრავლესობის შიგნით დეცენტრალიზაციას გამორიცხავს. გარდა ამისა, პარტია პერიოდულად პარტიის ლიდერს ირჩევს, რომელიც ipso facto პრემიერ-მინისტრია იმ შემთხვევაში, თუ პარტიას საპარლამენტო უმრავლესობა ჰყავს, საპირისპირო შემთხვევაში, იგი პრემიერ-მინისტრის პოსტის კანდიდატად არის წამოყენებული. ამგვარი სისტემა მარტივი, ეფექტური და დემოკრატიულია, რომელიც კონტრასტს ქმნის საფრანგეთში არსებული კადრების პარტიების გაურკვევლობასთან ლიდერის არჩევასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნათლად გამოჩნდა 1990 წელს მარგარეტ ტეტჩერის თანამდებობიდან გადაყენებისა და კონსერვატიული პარტიის სათავეში მისი ჯონ მეიჯერით შეცვლის დროს.

ამასთანავე, კიდევ უფრო დიდი განსხვავება არსებობს ევროპულ და ამერიკულ კადრების პარტიების მოდელს შორის. დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები უდავოდ კადრების პარტიებია: ისინი არ ცდილობენ წევრთა სისტემატურ დაკომპლექტებას და მათში გადამწყვეტ როლს თამაშობს ცნობილ ადამიანთა გავლენა. გარდა ამისა, ამერიკული პარტიები კონგრესის შიგნით არავითარ დისციპლინას არ იცავენ: ტრადიციულად პრეზიდენტი მოწინააღმდეგე პარტიის ფრაქციაზე დაყრდნობით მართავს, მაშინ როდესაც მისი საკუთარი პარტიის ზოგიერთი პარლამენტარი მას ეკამათება. ევროპული კადრების პარტიების საპირისპიროდ, რომლებიც მხოლოდ წევრთა მიზიდვით არიან დაკავებული, ამერიკულმა პარტიებმა ამომრჩეველთა მიზიდვის სტრუქტურა შეიმუშავეს. სისტემის არსი ქვეყნის პატარა პირველად კომიტეტებად (precincts) დაყოფაში მდგომარეობს, რომელსაც სათავეში უფლებამოსილი პირი (committeeman ან captain) უდგას. ეს უკანასკნელი მოსახლეობასთან კონტაქტშია: იგი პარტიისადმი კეთილგანწყობილ ადამიანებს უმნიშვნელო სამსახურს უწევს (ზოგჯერ კორუფციის ზღვარამდე მისულს), ხოლო არჩევნების დროს მას ხალხი არჩევნებზე გამოყავს. საარჩევნო ფუნქცია, მისი შეზღუდული მნიშვნელობით — იდეოლოგიური ტენდენციების განმტკიცებაზე მეტად ადგილების მოპოვების შესაძლებლობის ძიება — მთლიანად დომინირებს პარტიების საქმიანობაში. პირველადი ორგანიზაციის ზემოთ ოლქების პირამიდა არსებობს, რომელიც თანდათან ფართოვდება სახელმწიფოს დონემდე. თუმცა, მიუხედავად ამ სტრუქტურის გავლენის ზრდისა უკანასკნელ წლებში, მისი გავლენა შეუდარებელია იმ მასშტაბებთან, რომელსაც ევროპაში ცენტრალური ორგანოები ადგილობრივ სექციებზე ახორციელებენ.

ამ პირობებში ევროპული პარტიებისთვის უმნიშვნელოვანესი შიდა დემოკრატიის საკითხი მნიშვნელობას მოკლებულია: რისთვისაა საჭირო უფლებამოსილ პირთა დაქვემდებარება

პარტიის წევრთა ნებისადმი თუ პარტიაში ამის პრობლემა არ დგას? პარტიების მიზანს არ წარმოადგენს არც „საზოგადოების გეგმის“ გამარჯვება — თუკი სისტემის თაობაზე უთანხმოებები არსებობს მათ პოლიტიკური გამოხატულება არა აქვთ — და არც მმართველთა გაკონტროლება. უმნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც ევროპის კადრების პარტიების საზრუნავს წარმოადგენს, უსაგნოა ამ ტიპის ამერიკული პარტიებისთვის. უნდა მოვერიდოთ ამ განსხვავებულ სამყაროს ჩვენი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული მიდგომა მივუსადაგოთ.

მთლიანობაში კადრებისა და მასობრივი პარტიების დაპირისპირება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპულ კონტექსტში, არ არის უცილობლად გადმოსატანი: ამერიკული სამყაროს შემთხვევაში სადაც განსხვავებული ისტორია და ინსტიტუტები არსებობს, აღნიშნული ცნებები თვითნებურ დანამატად წარმოჩნდება, რომელიც ცუდად ითვალისწინებს ფენომენის სპეციფიკურობას.

140. მასობრივი პარტიები. — ახლა მართებული იქნება ალტერნატივის სხვა შტოს ანუ მასობრივი პარტიების განხილვა. ისინი XIX საუკუნის მიწურულს გაჩნდნენ. ახალი მოდელი სოციალისტურმა პარტიებმა შექმნეს. ამ მხრივ, სანიმუშო როლი გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ითამაშა. 1875 წელს დაარსებული პარტია თავს მარქსიზმის ბიმდევრად აცხადებდა (რომელიც ამ ეპოქაში სოციალ-დემოკრატიასთან შეუთავსებლად არ გამოიყურებოდა) და თავისი მოქნილი ხელმძღვანელების წყალობით, როგორებიც ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი იყვნენ, სწრაფი პროგრესი განიცადა: XX საუკუნის დასაწყისში მის წევრთა რაოდენობამ ერთ მილიონს გადააჭარბა. ამ დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიები რევოლუციურ პარტიებს წარმოადგენდნენ. თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ისინი ძალადობას მიმართავდნენ. უბრალოდ მათ მიაჩნდათ, რომ საზოგადოების რადიკალური ტრანსფორმაცია აუცილებელი და გარდაუვალი იყო. ჩვეულებისამებრ ისინი მონაწილეობას იღებდნენ დემოკრატიულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შემდგომში სოციალისტების მიერ შექმნილი მასობრივი პარტიების მოდელი სხვა იდეოლოგიურმა მიმდინარეობებმა აიტაცეს. ეს მოდელი ზოგიერთმა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ, ფაშისტურმა პარტიებმა და უახლოეს წარსულში განვითარებადი ქვეყნების პარტიებმა გადმოიღეს. თუმცა მასობრივ პარტიებში მომხდარმა სხვადასხვა ხასიათის გადახრებმა, რომელშიც დიდი წვლილი სოციალისტური პარტიის საეჭვო მემკვიდრეებმა კომუნისტურმა პარტიებმაც შეიტანეს, მათი ღრმა ორაზროვნება გამოააშკარავა.

უპირველეს ყოვლისა, მასობრივი პარტიებისთვის დამახასიათებელია ორი ნიშანი, რომელიც მათ კადრების პარტიებისგან დიამეტრულად განასხვავებს: პარტიის რიგების მასობრივი დაკომპლექტება და ძალიან ორგანიზებული მოწყობა, რომელიც მათი ეფექტურობის გასაღებია. თუკი ეს პარტიები საწყისი პრინციპების ერთგულები დარჩებოდნენ, ისინი დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი იქნებოდნენ ე.ი. პარტიის ხელმძღვანელობა პირველად ორგანიზაციაზე იქნებოდა დაქვემდებარებული. ამ შემთხვევაში ერთი მხრივ, განსხვავება უნდა გაკეთდეს თეორიასა და პრაქტიკას შორის და მეორე მხრივ, პარტიათა ორ ტიპს, სოციალისტურსა და კომუნისტურ პარტიებს შორის.

დაკომპლექტების მასშტაბურობა უპირველეს ყოვლისა თავად სოციალისტური პარტიების ლოგიკით იყო განპირობებული. მათ მიზანს რიგითი ადამიანების, დაჩაგრულებისა და პროლეტარების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა წარმოადგენდა. რაოდენობის გაზრდით მათ ამ კატეგორიების წარმომადგენელთა ინდივიდუალური ქმედების უნარის არარსებობის გაწონასწორება სურდათ. მით უფრო, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების დროს, ამ მიზანმა პარადოქსულად კონსერვატორული როლი შეასრულა. არაორგანიზებული, განსაკუთრებით სოფელში მცხოვრები მასები, ტრადიციულად ცნობილი ადამიანების გავლენის ქვეშ რჩებოდნენ. იმისათვის რომ საყოველთაო არჩევნებს ნამდვილად გამოეხატა მრავალრიცხოვანი და გაჭირვებულთა კლასების ინტერესები, საჭირო იყო ამ უკანასკნელთა ორგანიზება და მათ მიერ მოქმედების ფორმების გააზრება. მასობრივი პარტიების შექმნა ამ მიზანს პასუხობს. უპირველეს ყოვლისა, ამ პარტიას პედაგოგიური როლი აკისრია. მის შიგნით აქტივისტები ნათლდებიან, პოლიტიკურ შეგნებას იმაღლებენ, აანალიზებენ სოციალურ მექანიზმებს და მათი შეცვლის ფორმებს. ამგვარად ჩამოყალიბებული აქტივისტი პარტიის პროპაგანდისტი ხდება, რომელიც პროპა-

განდას ჯერ კიდევ გაუთვიცნობიერებელ მასებში ეწევა. ცნობილ პიროვნებათა გავლენა გარღვეულ იქნა პოლიტიკური საქმიანობის ამ ახალი ტიპით. მეორე მხრივ, რაოდენობის გაზრდისკენ მოწოდება პრაქტიკულ აუცილებლობას პასუხობს. კადრების პარტიებს თავისი საქმიანობის დაფინანსება მათი წევრების პირადი ქონებით ან კეთილ დამფინანსებელთა წყალობით შეუძლიათ. რევოლუციურ პარტიებს არა აქვთ მსგავსი დახმარების იმედი. სწორედ აქედან ჩნდება დაბალი, მაგრამ რეგულარული საწევროების გადახდის აუცილებლობა.

ამასთანავე, მასობრივი პარტიები ძალიან ორგანიზებულია. ამ შემთხვევაში აუცილებლობა პირდაპირ წინა პუნქტიდან მომდინარეობს. მართლაც, საჭიროა ბევრი ადამიანის გაწევრიანება, პარტიაში შესვლისა და გასვლის გაკონტროლება, შიდა დისციპლინისთვის თვალყურის დევნება, საწევროების აკრეფა. მეორე მხრივ, პარტიის პედაგოგიური მიზანი აქტივისტების პოლიტიკურ აღზრდას მოითხოვს, რომელიც კომპეტენტურ და ამასთანავე კონტროლირებად პასუხისმგებელ პირებს აქვთ დაკისრებული. საჭიროა ასევე პარტიის წევრთა შორის ისეთი ადამიანების შერჩევა, რომელთაც პასუხისმგებელი პოსტების დაკავებისა და საარჩევნო შეჯიბრში პარტიის წარმოჩენის ყველაზე მეტი უნარი გააჩნიათ.

მასობრივმა პარტიებმა სხვადასხვა ამოცანები უნდა გადაწყვიტონ, რომელიც სახელმწიფოს ამოცანების მსგავსია: განათლება, პოლიცია, სამართალი (რომელიც დისციპლინარულ კომისიებს აქვს დაკისრებული. ისინი დარღვევებზე სანქციებს იღებენ და მძიმე შემთხვევაში, დამნაშავის გარიცხვა შეუძლიათ), სამოქალაქო მდგომარეობა (რომელიც აღრიცხავს არა შობადობას და გარდაცვალებას, არამედ პარტიაში გაწევრიანებასა და მის დატოვებას). სახელმწიფოს მსგავსად, მასობრივი პარტია ამ ამოცანების შესასრულებლად ფუნქციონერებს მოუხმობს, რომელთაც პარტიის მუდმივ მუშაკებს უწოდებენ. პოლიტიკური პერსონალის ეს ახალი კატეგორია აღმასრულებელი აგენტებისგან განსხვავდება, რომელთაც მატერიალური უფლებამოსილებები აქვთ დაკისრებული. მათ წმინდა პოლიტიკური უფლებამოსილებები აქვთ: წევრთა მიზიდვა, პარტიის შიდა ცხოვრების მოწყობა. რადგან ისინი ამ საქმიანობას მთელ დროს უთმობენ, მათ ანაზღაურებაც უნდა მიიღონ. აღნიშნული საქმიანობა მათთვის პროფესიისა და კარიერის ხასიათს იძენს. ამგვარად ყალიბდება ნამდვილი პარტიული ბიუროკრატია, რომელსაც ხშირად პარტიის აპარატს უწოდებენ.

მუდმივ მუშაკთა გამოჩენა გასაკვირი ინოვაციაა (წინათ პიროვნება პარტიაში მუდმივად არ იმყოფებოდა), რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი აქვს. ამ დროიდან აქტივისტთა ორი კატეგორია არსებობს. პირველებს სამუშაო აქვთ და პარტიას თავისუფალ დროს უთმობენ. მეორეთათვის პარტია პოლიტიკური ანგაჟირებისა და პროფესიონალური საქმიანობის ადგილია. ამგვარი დიფერენციაცია ინსტიტუტის დემოკრატიული ხასიათის გამჭვირვალობის კომპრომეტირებას წარმოადგენს. ჩნდება დამატებითი ეშელონი პარტიის ხელმძღვანელებსა და უბრალო წევრებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივ მუშაკებსა და პარტიის დანარჩენ წევრებს თეორიულად თანაბარი უფლებები აქვთ, პრაქტიკაში პირველები მეორეებთან მიმართებაში უპირატესობით სარგებლობენ, რომელიც დოკუმენტაციის ცოდნიდან და გარე შეზღუდვების გარეშე პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად მთელი სამუშაო დღის დათმობის შესაძლებლობიდან მომდინარეობს. ამავე დროს, ეს უკანასკნელნი პარტიის ხელმძღვანელებს ექვემდებარებიან, რომლებზეც მათი კარიერაა დამოკიდებული. ამგვარად, ისინი ერთდროულად აქტივისტების მანიპულირების საშუალებებსა და მოტივებს წარმოადგენენ. პარტიის რიგითი წევრების ხმა ნაკლებად მისაწვდომია. ისინი ისევე არიან განიარაღებული პარტიის აპარატის წინაშე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე სახელმწიფოს აპარატის წინაშე.

თეორიულად პარტია დემოკრატიული სახელმწიფოს სამთავრობო სტრუქტურის რეპროდუქციას ახორციელებს. მას აქვს საკუთარი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება. პარლამენტის როლი დაკისრებული აქვს ყრილობას ან კონგრესს, რომელიც პერიოდულად იკრიბება, და პარტიის წევრებიდან არჩეულ დელეგატებს აერთიანებს. დემოკრატიულ სახელმწიფოსთან შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს, რომელიც ყრილობის იშვიათ შეკრებაში გამოიხატება, მაგალითად ორ წელიწადში ერთხელ და ხანმოკლე პერიოდით. ყრილობებზე იღებენ წესდებებს, ირჩევენ ხელმძღვანელ პირებს და ასევე პარტიის გეზს განსაზღვრავენ. როგორ არის შესაძლებელი შეკრების ხანმოკლე ვადის განმავლობაში წარსულზე ეფექტური კონტროლის განხორციელება და მომავლის რეალურად განსაზღვრა?

აღმასრულებელი ხელისუფლება ყრილობის მიერ არჩეულ ხელმძღვანელ ინსტანციათა პირამიდას აქვს დაკისრებული. პირამიდის მწვერვალისკენ მსვლელობის პროცესში ინსტანციების რაოდენობა მცირდება, მაგრამ სამაგიეროდ ისინი უფრო ხშირად იკრიბებიან: ამ შემთხვევაში ორი ფენომენი იკვეთება, რომელიც ერთი-მეორის მიზეზია, რადგან რაც უფრო მრავალრიცხოვანია ჯგუფი, მით უფრო რთულია მისი შეკრება და სერიოზული მუშაობის ნაკლები შესაძლებლობა არსებობს. საფრანგეთში ამ ინსტანციების სახელწოდებები პარტიების მიხედვით იცვლება. ყველაზე მრავალრიცხოვან ინსტანციას ხელმძღვანელ ან ცენტრალურ კომიტეტს უწოდებენ: ის დაახლოებით 100 წევრისგან შედგება. მასზე ზემდგომ ინსტანციას ადმინისტრაციული კომისია ან პოლიტიკური ბიურო წარმოადგენს, რომელიც ჩვეულებისამებრ 20 წევრისგან შედგება. და ბოლოს, ყველაზე შეზღუდული და ყველაზე ეფექტური ინსტანცია სამდივნოა, რომელსაც პირველი მდივანი ან გენერალური მდივანი უდგას სათავეში. ორი პარალელური აღწერილობა, რომელიც ჩვენს მიერ იქნა მოცემული სხვადასხვა წარმომავლობისაა. პირველი ტერმინოლოგია ფრანგული წარმომავლობისაა და მას საფრანგეთის სოციალისტური პარტია იყენებს, ხოლო მეორე, დიდი ხნის მანძილზე კომუნისტურ პარტიას განეკუთვნებოდა, რომელიც გერმანული ან რუსული წარმომავლობისაა. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში პარტიებმა, რომელთაც კომუნისტურ პარტიასთან არავითარი იდეოლოგიური მსგავსება არ ჰქონდათ, მისი ტერმინოლოგია გადმოიღეს. 1944 წლის XVIII ყრილობის დროს კომუნისტურმა პარტიამ ტერმინოლოგია შეცვალა და ამჟამად ისეთ ტერმინებს იყენებს, როგორიცაა ნაციონალური კომიტეტი, ნაციონალური ბიურო და ნაციონალური მდივნი.

მრავალრიცხოვანი, ორგანიზებული და დისციპლინირებული მასობრივი პარტია პოლიტიკურ ბრძოლაში ძალიან ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მაგრამ ვისთვისაა ის ინსტრუმენტი? ოფიციალური პასუხი ეკვს არ იწვევს: პარტია თავისი წევრების სამსახურში დგას და მათი მეშვეობით იმ სოციალური კლასის სამსახურშია, რომლის ინტერესებსაც იცავს. მასობრივ პარტიას, რომელიც პოლიტიკური დემოკრატიისთვის კონკრეტული შინაარსის მიცემის ნებიდან გაჩნდა, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატია თავის შიგნით უნდა დაენერგა. ჩვენს მიერ აღწერილი მოდელი ამ დემოკრატიის იმპერატიულ მოთხოვნას პასუხობს, რადგან თითოეული ინსტანცია გარკვეული საარჩევნო ლეგიტიმურობით სარგებლობს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად პარტიის წევრთა მთლიანი შემადგენლობიდან ანუ „ხალხიდან" მომდინარეობს.

დემოკრატიული ნება ასევე პარტიისადმი რჩეულთა სუბორდინაციაში აისახება. მასობრივ პარტიებს ეშინიათ, რომ მათი რჩეულები, პერსონალური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, შეიძლება მოისყიდოს ხელისუფლებასთან უფრო ახლოს მდგომმა რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ. ასეთი ტიპის მაგალითები საკმაოდ ბევრია. ამ ტიპის პრაქტიკა აშკარად ლახავს პარტიის ღირებულებებსა და მიზნებს. სწორედ აქედან მომდინარეობს რჩეულთა მკაცრი დისციპლინისადმი დაქვემდებარება. ამ შემთხვევაში ჩვენ კადრების პარტიების ანტიპოდის მოწმენი ვხდებით.

ამგვარად, პრინციპი გასაგებია. თუმცა რეალობაში საქმე ბევრად რთულადაა. კომუნისტური პარტიების განსაკუთრებული შემთხვევის განხილვამდე საჭიროა იმ ფენომენთა აღწერა, რომელსაც ხელმძღვანელთა ნამდვილ ოლიგარქიამდე მივყავართ.

თეორიულად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ლოგიკას სწორედ მიზიდულობის ძალები უპირისპირდება. მართლაც, პარტიის ზედა ეშელონები, რომელიც მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოებია, პრაქტიკაში სარგებლობენ იმით, რომ მუდმივმოქმედნი არიან. როგორც ვნახეთ, სტრუქტურული მიზეზების გამო ყრილობას არ შეუძლია უშუალოდ პარტიის მართვა. პარტიის ზედა ეშელონის პირველადი ორგანიზაციისადმი ლეგიტიმურ სუბორდინაციაზე დამყარებულ აღმავალ გავლენას ამ უკანასკნელის დაღმავალი გავლენა უპირისპირდება, რომელსაც ხელმძღვანელები იმ საბაბით იყენებენ, რომ მუდმივი მუშაკები არიან და მოხერხებულად სარგებლობენ თავიანთი პრესტიჟული მდგომარეობით. გარდა ამისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ისინი მუდმივ მუშაკთა სრული ერთგულებით სარგებლობენ და ამის წყალობით უდავო ძალაუფლება აქვთ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ძალაუფლების ეკვივალენტი დაყენება უფრო რთულია, ვიდრე დემოკრატიული სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა. როგორ შეიძლება ამის ახსნა? გასათვალისწინებულია ბევრი ფაქტორი: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნია, რომ დემოკრატიული მექანიზმების კონტროლი ბევრად უკეთ არის შემუშავებული სახელმწიფოს დონეზე, ვიდრე პარტიების

დონეზე. ყრილობებზე წარმომადგენელთა დელეგირების მექანიზმზე იოლია პოლიტიკური არჩევნების გაკონტროლება: ჩვეულებისამებრ, ყრილობების მომზადების პროცესში მასობრივ პარტიებში ადგილი აქვს ზეწოლასა და მანიპულაციებს. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, პარტიის წევრები მოხალისეები არიან. მათ პარტიის რიგების დატოვება შეუძლიათ. მაშინ როდესაც პოლიტიკური სისტემით უკმაყოფილო მოქალაქეები იშვიათად ტოვებენ ქვეყანას, და ისინი თავისი უკმაყოფილების გამოვლენას აგრძელებენ: ისინი ძლიერ ჯგუფს წარმოადგენენ, რომლის გარშემოც უკმაყოფილოები ერთიანდებიან. და ბოლოს, ამ შემთხვევაში პოლიტიკური სისტემა გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენს, რომელსაც არა აქვს გარეგანი მხარე. რა თქმა უნდა, ნატურალიზაციის პროცედურების წყალობით შესაძლებელია უცხოელების მოქალაქეებად გარდაქმნა, თუმცა სტატისტიკის მიხედვით ამ ტიპის უცხოელთა რაოდენობა მცირეა. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური პარტია უფრო ფართო გაერთიანებაა, რომელშიც ნებაყოფლობით შედიან და ასევე ნებაყოფლობით ტოვებენ. ამგვარი ვითარება სხვადასხვა მანიპულაციებს უწყობს ხელს.

ამავე დროს, მართებული არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სისტემის მიზიდულობის ძალებთან დაკავშირებული მექანიზმები მას დემოკრატიულ ხასიათს აკარგვინებენ. სახელმწიფოს მსგავსად, პარტიაშიც არ ხდება დემოკრატიის სრული განხორციელება, თუმცა ის მაინც რეალობას წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში აღნიშნული რეალობა ინდივიდების, მმართველთა და მართულთა სურვილებთან და ინსტიტუციონალურ მექანიზმებთან არის დაკავშირებული. სოციალ-დემოკრატიული ტიპის პარტიებში ოლიგარქიული მიზიდულობის ძალთა საწინააღმდეგო დამცავი საშუალება ორგანიზებულ მიმდინარეობათა აღიარებით არის განპირობებული. იმ აქტივისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობით უკმაყოფილონი არიან, შეუძლიათ არა მარტო ამის შესახებ განცხადება, არამედ ოპოზიციის შექმნაც. მათ შეუძლიათ შეკრება, თავიანთი ქმედებების შეთანხმება, წინადადებების შემუშავება და ალტერნატივის სახით პარტიის ყრილობებზე წარდგენა. აქედან გამომდინარე, არსებობს შიდა პარტიული დემოკრატია, და ხელმძღვანელებმა მიუხედავად მათ მდგომარეობასთან დაკავშირებული უპირატესობისა, მას ანგარიში უნდა გაუწიონ. ყოველივე შეუძლებელს ხდის კომუნისტური პარტიებისთვის დამახასიათებელ ავტორიტარულ დეგენერაციას. ამავე დროს, მედალს მეორე მხარეც აქვს: ტენდენციათა ბრძოლამ შეიძლება პარტიის დასუსტება გამოიწვიოს, რადგან აქტივისტთა ყურადღება შიდა კონფლიქტებზე და არა საერთო მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ბრძოლაზეა გადატანილი. გარდა ამისა, შიდა უთანხმოებები პარტიას ასუსტებს, რასაც საბოლოო ჯამში, ერთიანობის ნგრევა შეიძლება მოჰყვეს.

141. მასობრივი პარტიის ერთი მაგალითი: სოციალისტური პარტია საფრანგეთში. — საფრანგეთში სოციალისტური პარტიის ისტორია ნათლად გვიჩვენებს სოციალ-დემოკრატიული ტიპის ორგანიზაციებში არსებულ სირთულეებსა და შეზღუდვებს, იმავდროულად დემოკრატიის სიმტკიცეს. სოციალისტური პარტია 1905 წელს აქტიურ, მაგრამ მანამდე მეტოქე სხვადასხვა მოძრაობების შერწყმით შეიქმნა. მან „მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის" სახელწოდება მიიღო. ამგვარად, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პარტია განისაზღვრება არა მხოლოდ ნაციონალური ჩარჩოთი, არამედ როგორც უფრო დიდი მოძრაობის, მუშათა ინტერნაციონალის შემადგენელი, რომელიც ნაციონალურ საზღვრებს გარეთ, მუშათა მოძრაობის ერთიანობის დემონსტრირებისთვის არის გამიზნული: ეს იყო „კომუნისტური მანიფესტის" ცნობილი ლოზუნგის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" გამოყენება.

თავდაპირველად მუშათა ინტერნაციონალის ფრანგულ სექციას (SFIO) რევოლუციურ პარტიად ყოფნა სურდა. პარტიაში ბევრი მიმდინარეობა არსებობდა: მასში მარქსისტული გავლენა ძლიერდებოდა, რომელიც ძველი ფრანგული სოციალიზმის ლიბერალურ და ანარქისტულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. პარტიას არავითარი ორგანიზაციული კავშირი არ ჰქონდა პროფკავშირულ მოძრაობასთან, რაც ძირითად განსხვავებას წარმოადგენდა ბრიტანულ ლეიბორისტულ პარტიასთან მიმართებაში, რომელიც სხვადასხვა კონიუნქტურის მიხედვით თანამედროვე ეპოქაშიც გრძელდება. ამავე დროს, პარტიის გავლენა პირველ მსოფლიო ომამდე იზრდებოდა. თუმცა ომმა სიტუაცია სიღრმისეულად შეცვალა. ინტერნაციონალმა, რომელმაც კონფლიქტის აცილების უუნარობა გამოამჟღავნა, გადარჩენა ვერ მოახერხა. მეორე მხრივ, რუსეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა. ომის შემდეგ ბოლშევიკებმა ინტერნაციონალის აღდგენა

გადაწყვიტეს, მაგრამ მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციის ფორმით. ახალ ორგანიზაციაში სოციალისტური პარტიების მონაწილეობის მიღების შემოთავაზების ნაცვლად, ბოლშევიკებმა მათ ძალიან შემზღუდველი 21 პირობა წაუყენეს. ფრანგი სოციალისტები გაიყვნენ. საკითხი განხილული იქნა 1920 წლის ტურის კონგრესზე. კონგრესის უმრავლესობამ III ინტერნაციონალში გაწევრიანებას მისცა ხმა. ამ უკანასკნელმა მიიღო „კომუნისტური ინტერნაციონალის ფრანგული სექციის" სახელწოდება, რომელიც მოგვიანებით საფრანგეთის კომუნისტურ პარტიად გადაკეთდა. პარტიის უმცირესობა ფუნქციონირებას ლეონ ბლუმის ხელმძღვანელობით აგრძელებდა.

ამავე დროს, ძალთა თანაფარდობა სწრაფად შეიცვალა. 1921 და 1930 წლება შორის კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც მოსკოვმა რესტრუქტურაცია და წმენდა დაავალა, თავის წევრთა ორი მესამედი დაკარგა. შესაბამისად, მუშათა ინტერნაციონალის ფრანგულმა სექციამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი რიგები. 1936 წელს ორივე პარტიამ რადიკალურ პარტიასთან ერთად საარჩევნო შეთანხმებას მოაწერა ხელი „სახალხო ფრონტის" სახელით. კოალიციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტებმა და რადიკალებმა მთავრობა ჩამოაყალიბეს ლეონ ბლუმით სათავეში. კომუნისტებმა მათ მხარი დაუჭირეს, მაგრამ უარი თქვეს მთავრობაში მონაწილეობაზე.

1940 წელს სოციალისტ პარლამენტართა უმრავლესობა ხმას აძლევს პეტენისთვის სრული უფლებამოსილების გადაცემას. ამასთანავე, პარტია ერთვება წინააღმდეგობისა და განთავისუფლების მოძრაობაში და საფრანგეთის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ძალა ხდება. ის მონაწილეობას იღებს გენერალ დე გოლის მთავრობაში. როდესაც ეს უკანასკნელი 1946 წლის იანვარში ხელისუფლებას ტოვებს, იწყება ე.წ. სამპარტიულობის ეპოქა: კომუნისტურ პარტიასთან და ქრისტიან-დემოკრატიული მიმართულების სახალხო რესპუბლიკურ მოძრაობასთან ერთად სოციალისტური პარტია ხელისუფლებას უდგება სათავეში. 1947 წელს კოალიცია დაიშალა: კომუნისტმა მინისტრებმა იმ მთავრობის წინააღმდეგ მისცეს ხმა, რომლის წევრები თავად იყვნენ. საბჭოს თავჯდომარემ, სოციალისტმა პოლ რამადიემ კომუნისტების გადაყენება გადაწყვიტა. ამ დროიდან მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექცია უფრო და უფრო ანტიკომუნისტურ პოზიციას იკავებს. ის ცენტრისტულ და მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიებთან კოალიციაში შედის ე.წ. მესამე ძალის შესაქმნელად. ის ერთდროულად კომუნისტურ პარტიასა და გოლისტურ პარტიას („ფრანგი ხალხის გაერთიანება") უპირისპირდება. ორივე აღნიშნულ პარტიას, განსხვავებული მიზეზების გამო, IV რესპუბლიკის გაქრობა სურდა.

მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექცია რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ხდება. ძველი რევოლუციური პარტიის ამგვარი ტრანსფორმაცია კომპრომისებისა და კომპრომენტირების გარეშე არ მომხდარა. ამ ევოლუციამ განსაკუთრებით მწვავე უკმაყოფილება პარტიის ახალგაზრდა წევრებში გამოიწვია. ამ უკანასკნელთ პარტიის მემარცხენე პოლიტიკური ორიენტაციის შენარჩუნება ან მისი აღდგენა სურდათ. ისინი პარტიის ხელმძღვანელობას ფრანგული საზოგადოების სიღრმისეულად შეცვლის უარის თქმასა და მწვავე ანტიკომუნისტური გამოსვლებით შემოფარგვლას საყვედურობდნენ: ისინი ასევე გმობდნენ პარტიის აპარატის უძრაობასა და ალჟირის საკითხთან დაკავშირებულ პოლიტიკას, რომელიც ულმობელი ომის წარმოებაში გამოიხატებოდა. პარტიის პირველი მდივანი გი მოლე ამ პრეტენზიების ერთობლიობას განასახიერებდა.

ამასთანავე, აღნიშნულ დროს ახალგაზრდა მემარცხენე აქტივისტთა გარკვეული რაოდენობა მემარცხენე პატარა ორგანიზაციებში გაწევრიანებას (რომელიც თუკი არქაულ ტერმინს გამოვიყენებთ, იმ დროს ყვაოდნენ) მუშათა ინტერნაციონალის ფრანგულ სექციაში ყოფნას ამჯობინებდა. მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის გარდაქმნა მისი მასობრივი პარტიის ხასიათზე დაყრდნობით.

საფრანგეთის პოლიტიკურმა პეიზაჟმა სიღრმისეული ევოლუცია განიცადა. გენერალი დე გოლი ხელისუფლებაში ბრუნდება და V რესპუბლიკას აფუძნებს. ამ დროს „SFIO -ს" მას მხარი დაუჭირა, კერძოდ კი გი მოლემ. თუმცა, 1962 წელს სწრაფი განხეთქილება მოხდა. 1958 წელს შექმნილი ახალი გოლისტური პარტია სახელწოდებით „გაერთიანება ახალი რესპუბლიკისთვის" მემარცხენეებისაკენ, კერძოდ, არაკომუნისტი მემარცხენეებისკენ იხრება. როგორ შეეძლო სოციალისტურ პარტიას ძალების ხელახალი მობილიზება და ხელისუფლებაში დაბრუნება? მარტო ის ამას ვერ გააკეთებდა. დაისვა ალიანსების საკითხი. ორი გამოსავალი განიხილებოდა. პირველი

გამოსავალი „ცენტრისტებთან", მემარჯვენეებთან გაერთიანებაში, ხოლო მეორე კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანებაში მდგომარეობდა. პირველ გამოსავალს გარკვეული უპირატესობა გააჩნდა: მესამე ძალის აღორძინება. თუმცა ამ გამოსავალს გამოუსწორებელი დაბრკოლებაც ჰქონდა: პოტენციურად ის უმრავლესობის შემქმნელი არ იყო. მეორე გამოსავალი თავდაყირა აყენებდა მიღებულ გამოცდილებას, ეჯახებოდა აკრძალვებს და უხერხულობას უქმნიდა მიღწეულ მდგომარეობას: ეს იყო რევოლუცია. ამავე დროს, მემარცხენე პარტიათა კოალიციას საარჩევნო უმრავლესობის მოპოვების იმედი შეეძლო ჰქონოდა, რადგან ამ დროს კომუნისტური პარტიისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა 20%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, აღნიშნული „მემარცხენეთა" ალიანსი იყო, ამ ტერმინთან დაკავშირებული ჯადოსნური ძალით, რომელიც მას ფრანგული საზოგადოების ერთ ნაწილში ჰქონდა.

წინამდებარე ნაშრომში არ შეუდგებით იმ რთული პერიპეტიების განხილვას, რომელიც 1972 წელს ორი დიდი მემარცხენე პარტიის საერთო სამთავრობო პროგრამის მიღებით დასრულდა, ახალი წინააღმდეგობების შემდეგ 1981 წელს კი მათ გამარჯვება მოუტანა, ხოლო შემდეგ 1984 წელს ორი პარტიის განხეთქილება მოჰყვა. 1986 წლის მარცხს ხელი არ შეუშლია „თანაარსებობის" შემდეგ, 1988 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანსუა მიტერანის ხელახალი არჩევისთვის. 1993 წელს პარტიამ მარცხი განიცადა, რასაც 1997 წლის მოულოდნელი რევანში, ხოლო 2002 წელს კვლავ მარცხი მოჰყვა. შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის კონსტატაციით, რომ ამ დიდმა მოძრაობამ მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის ტრანსფორმაცია გამოიწვია. 1969 წელს ისი-ლე-მ-ულინოს ყრილობაზე ეს სექცია სოციალისტურ პარტიად გარდაიქმნა. ორი წლის მოგვიანებით, ეპინეი-სიურ-სენის ყრილობაზე პოლიტიკური კლუბების გარკვეული რაოდენობა, რომელიც მემარცხენეობის განახლებაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოციალისტურ პარტიაში გაერთიანდა. ამ პარტიის რიგებიდან გამოსული ფრანსუა მიტერანი პარტიის პირველი მდივანი გახდა. ყრილობაზე საბოლოოდ გადაწყდა მემარცხენე ძალთა ერთიანობის საკითხი ანუ კომუნისტურ პარტიასთან მთავრობის ალიანსი.

ველი და უძრაობაში მყოფი პოლიტიკური ჯგუფის სიღრმისეული განახლება სამ მოსაზრებას იწვევს. 1) აშკარად გამოიხატა პარტიის აქტივისტების გავლენა, რომელსაც თაობათა ცვლამ შეუწყო ხელი. ამ უკანასკნელებმა მხარი დაუჭირეს დიდი იმედების მომცემ, მაგრამ ძვირად ღირებულ და სარისკო სტრატეგიას. 2) მოვლენებმა არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობის როლი შეასრულეს. იმ შემთხვევაში, თუ არაკომუნისტ მემარცხენეებს არ ექნებოდათ სირთულეები და დამარცხებები, რომელიც სოციალისტებს V რესპუბლიკის დასაწყისში ჰქონდათ, ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა, რომ იმ აქტივისტებს, რომელთაც მისი გარდაქმნა სურდათ, თავისი მიზნებისთვის მიეღწიათ. 3) აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ამ საქმეში წამყვან როლს ასრულებდნენ და ახალი პარტიის შიგნით წამყვანი ადგილები უნდა დაეკავებინათ, ბევრი არა მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციიდან, არამედ სხვა ჯგუფებიდან იყო გამოსული. აღნიშნული იმაზე მიუთითებდა, რომ განახლება უფრო მეტად პერიფერიიდან და არა ცენტრიდან მომდინარეობდა. ეს ყოველივე გვიჩვენებს დიდი პოლიტიკური ორგანიზაციების ინერციასა და ინ წინააღმდეგობებს, რომელსაც ისინი უპირისპირებდნენ მათ, ვისაც მათი გარდაქმნა სურდათ.

142. კომუნისტური პარტიები. — მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ პარტიებს იგივე საფუძველი აქვთ, რაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, ისინი ძალიან განსხვავებული ხასიათის ორგანიზაციებს წარმოადგენენ. მართლაც, კომუნისტურ პარტიებს აქვთ სპეციფიკური ნიშნები, რომელიც მათ სხვა პოლიტიკური პარტიებისგან განასხვავებს. ეს ნიშნები პარტიების საფუძველთან, მიზნებთან და ორგანიზაციულ სისტემასთან არის დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა, კომუნისტურ პარტიებზე დიდი გავლენა მოახდინა მათი შექმნის გარემოებებმა. თავიდანვე ისინი მტრულ სამყაროს უნდა შეჯახებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას სოციალისტურ პარტიებზე, რომლებიც თავიანთ რევოლუციურ მიზნებს არ მალავდნენ. მაგრამ კომუნისტური პარტიების შემთხვევაში, ორმა დამამძიმებელმა გარემოებამ თავისი როლი შეასრულა. ერთი მხრივ, ისინი ლაპარაკობდნენ არა პოტენციური რევოლუციის, არამედ რეალური, ძალადობრივი გზით განსახორციელებელი რევოლუციის შესახებ, როგორსაც მაგალითად, ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენდა. ამიტომაც ისინი მძაფრ და აშკარა შიშს იწვევდნენ. მეორე მხრივ, კომუნისტური პარტიები თავიდანვე გამოჩნდნენ როგორც მოსკოვის დირექტივებისადმი

პირდაპირ დაქვემდებარებული პარტიები. სწორედ აქედან მომდინარეობდა მათი, როგორც უცხოეთის პარტიის რეპუტაცია, რომელიც უცხო სახელმწიფოს ინტერესებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებდა. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობამ არაფერი გააკეთა ამ შეხედულების შესარბილებლად. III ინტერნაციონალში გასაწევრიანებლად მიღებული 21 დრაკონული პირობა კარგად ასახავდა გააზრებულ არჩევანს: უპირატესობის მინიჭება მცირერიცხოვანი, მაგრამ აბსოლუტურად ერთგული პარტიებისთვის, ნაკლებად ფანატიკური და დისციპლინირებული დიდი პარტიების შექმნის ნაცვლად. ამ მხრივ სიმბოლურია მესამე პირობა: ის პარტიებს ლეგალური აპარატის გვერდით ავალებს არალეგალური აპარატის შექმნას. პრინციპში, მიზანი უტილიტარული ხასიათისაა: მიზნად ისახავს რეპრესიის შემთხვევაში აუცილებელი სიფრთხილის ზომების მიღებას. თუმცა განაწესის მნიშვნელობა ბევრად ფართოა: ის მიგვითითებს, რომ პარტია სექტაა, უცხო სხეული იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც არსებობს.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულს შედეგები მოჰყვა კომუნისტ-აქტივისტთა მენტალიტეტის დონეზე. ამ პარტიისადმი მიკუთვნება არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც უბრალო პოლიტიკური ანგაჟირება. ის ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ კი ძალიან სერიოზული რისკის შემცველია. ის მკაცრ დაქვემდებარებას მოითხოვს: პარტია თავისი წევრებისგან აქტიურ მუშაობას მოელის, ხოლო პარტიის პასუხისმგებელი პირებისგან სრულ თავგანწირვას. სამაგიეროდ, მას უდიდეს ბრძოლაში მონაწილეობის კმაყოფილება მოაქვს, რომელიც ისტორიასა და მთელ მსოფლიოს მოიცავს და მის საბოლოო მიზანს კაცობრიობის ბედნიერება წარმოადგენს. პარტია თავის აქტივისტებს მისდამი მორალურადაც განაწყობს. ის მეგობრობის ადგილსამყოფელია მტრული სამყაროს პირისპირ. მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ ნუგეშისმიმცემი პარტია ახლობლების შემცველელის როლს ასრულებს. თუმცა უპირატესობები ყოველთვის კომპენსაციას ვერ უკეთებს უხერხულობებს და პარტია ხშირად „საცერი-პარტიის" როლში გამოდის, რომელშიც მრავალი ადამიანი შედის, მაგრამ იქ ცოტა ხანს რჩება. უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნული ნიშნები დროისა და ადგილის მიხედვით იცვლება. XX საუკუნის 50-იან წლებში საფრანგეთში კომუნისტური პარტიის საქმიანობაში მონაწილეობა არავითარ რისკს აღარ შეიცავდა და ამასთანავე, არც წინათ არსებული ეგზალტაციის მოტივებს. A fortiori ხომ არ არის დღეისათვის კომუნისტური პარტია ძალიან შორს თავისი ტრადიციული სახისაგან?

კომუნისტური პარტიების მეორე სპეციფიკური ნიშანი მათ იდეოლოგიურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. მართლაც, ბოლშევიკთა გამარჯვებამ რუსეთში მარქსიზმის ლენინური ვერსიის ტრიუმფი განამტკიცა. ამ ინტერპრეტაციას მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა პარტიების ორგანიზაციასა და მათ საბოლოო მიზანზე. 1902 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში „რა ვაკეთოთ?" ლენინმა განმარტა ის მიზეზები, რომლის გამოც მარქსის მიერ ნავარაუდევმა სწრაფმა რევოლუციამ არ იფეთქა. საკუთარ თავს მინდობილმა მუშათა კლასმა ვერ გადალახა ტრედუნიონისტური ცნობიერების დონე (მხედველობაშია ბრიტანეთის პროფკავშირების სისტემა): მუშები თავიანთი ინტერესების დასაცავად, პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენის მოსახდენად ერთიანდებიან და არა მის დასანგრევად. ლენინი დასძენს, რომ თავისი მდგომარეობის შედარებითი გაუმჯობესების დაკმაყოფილებით, მუშები თავიანთ ისტორიულ მისიას ღალატობენ: სწორედ მათ რევოლუციის გზით საბოლოოდ უნდა მოსპონ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და სრულყოფილი საზოგადოება შექმნან. ასეთ პირობებში აშკარაა, რომ პარტია არ შეიძლება იყოს მუშათა კლასის ინტერესთა პირდაპირი და ნეიტრალური გამომხატველი, რადგან ის მხოლოდ მუშათა ტრედუნიონისტური მისწრაფებების რეპროდუქციას მოახდენდა. პარტია პროლეტარიატის შეგნებული აჯანყარდი უნდა იყოს. მისი მიზანია არა პროლეტარიატის სუბიექტური ნების გამოხატვა, არამედ ობიექტური ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება, რომელიც კაცობრიობის ინტერესებს ემთხვევა.

ამ დროიდან პარტია უცილობლად ელიტარული ხდება. მასში გასაწევრიანებლად პროლეტარული თვისებები არც აუცილებელი და არც საკმარისია. პარტიაში ყოფნის პატივი აქვთ მხოლოდ იმ პროლეტარებს, რომელთაც პროლეტარიატის მისია აქვთ შეგნებული. რა თქმა უნდა, პარტიაში ყოფნას უფრო მეტად რევოლუციონერი ინტელექტუალები იმსახურებენ, რომლებმაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მექანიზმი და მისი მოსპობის საშუალება აღმოაჩინეს, ე.ი. რევოლუციისა. ისინი პროლეტართა რეალური ინტერესების ერთადერთი კვალიფიცირებული გამომხატველები არიან, რომელიც თავად პროლეტარებს არა აქვთ გააზრებული. მაგრამ მცოდნეებისა და უმეცართა ამგვარი დაპირისპირება დემოკრატიის ცნებას ყოველგვარ

ლეგიტიმურობას ართმევს. პარტიის წევრებად და არა წევრებად დაყოფა უცილობლად ფუნქციონირებს თავად პარტიის შიგნით: აქტივისტები საშუალო კადრებზე ნაკლებად „შეგნებულები" არიან, ეს უკანასკნელნი თავის მხრივ, ხელმძღვანელებზე ნაკლებად „შეგნებულები", ყველაზე „შეგნებული" კი გენერალური მდივანია.

და ბოლოს, კომუნისტური პარტიების სპეციფიკური ხასიათი მესამე ნიშნიდან მომდინარეობს. თეორიულად ის წმინდა ორგანიზაციული ხასიათისაა, მაგრამ პრაქტიკაში მთლიანად განაპირობებს პარტიის შიდა ცხოვრებას. ამ ფენომენის გამოხატულებას დემოკრატიული ცენტრალიზმი წარმოადგენს, რომლის პრინციპი 1920 წელს პირველად მე-12 პირობამ ჩამოაყალიბა. რას ნიშნავს აღნიშნული ცნება? ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ თეორია და პრაქტიკა.

თეორია დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ ფორმალური დემოკრატია, რომლითაც სოციალ-დემოკრატიული პარტიები ხელმძღვანელობენ, კომუნისტური პარტიებისთვის გამოუყენებელია. ამბობენ, რომ ისინი არსებობენ იმ საზოგადოების შიგნით, რომელსაც მათი დანგრევა სურს. ისინი კლასთა ბრძოლაში პროლეტარიატის არმიას წარმოადგენენ. ამიტომაც გადარჩენისთვის იძულებული არიან დაიცვან სამხედრო დისციპლინა. წარმოუდგენელია, რომ პარტიის რომელიმე წევრმა სადავო გახადოს მიღებული გადაწყვეტილებები. მათ ისინი უცილობლად უნდა შეასრულონ. აქედან გამომდინარე, კომუნისტურ პარტიებში აკრძალულია ორგანიზებული მიმდინარეობები. ცალკეულ აქტივისტსაც კი არა აქვს საკუთარი აზრის ქონის უფლება. თუკი ამ უკანასკნელის შეხედულება გაკეთებულ არჩევანს უპირისპირდება, მან საკუთარ შეხედულებაზე უნდა უარი თქვას.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ცენტრიზმთან გვაქვს საქმე. მაგრამ რაში გამოიხატება მისი „დემოკრატიზმი?" ამბობენ, რომ სისტემა დემოკრატიულია, რადგან გადაწყვეტილებები უმრავლესობით და აზრთა გაცვლის შედეგად მიიღება და ყველა მოსაზრების თავისუფლად გამოხატვაა შესაძლებელი. ამგვარად, ერთმანეთთან შეთანხმებულია ცენტრალიზმი და დემოკრატია, ეფექტურობა და აზრის გამოხატვის თავისუფლება. დემოკრატია გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობს, ხოლო ცენტრალიზმი და დისციპლინა შემდეგ.

თეორია თანმიმდევრულად გამოიყურება, თუმცა ურთიერთ საწინააღმდეგოს შეთავსება, რომლის პრეტენზიაც მას აქვს, ზედმეტად გასაკვირია. მართლაც, პრაქტიკა მეტად განსხვავებულია. ფორმები დაცულია: ადგილი აქვს დისკუსიებსა და კენჭისყრას. ფაქტობრივად კი ისინი მხოლოდ თანხმობას წარმოადგენენ. არჩევანი უფრო ადრე, უმაღლესი ინსტანციების მიერ იქნა მიღებული. ამგვარადაა საქმე პოლიტიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებით: თუკი საფრანგეთის უახლოესი მაგალითებით შემოვიფარგლებით, უნდა ითქვას, რომ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა პროლეტარიატის დიქტატურის ცნებაზე უარის თქმა ან პოლიტიკური ხაზის ცვლილებები, 1977 წელს მემარცხენე გაერთიანების დატოვება, 1981 წელს ამ გაერთიანებაში დაბრუნება, 1984 წელს კომუნისტი მინისტრების წასვლა, ხელმძღვანელთა გუნდის მიერ პარტიის აქტივისტებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე განხორციელდა. იგივე ხდება კადრების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით. როგორ შეიძლება პარტიის რიგითი წევრების სუბიექტურ შეხედულებებს მიანდონ ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა? ფანი კრიგელის ზრით, „წარმომადგენლობითობის კოლექტიური ცნება" „ინდივიდუალური უნარის ცნებაზე" იმარჯვებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნისტური პარტიები თავად იქმნიან იმიჯს და ამ უკანასკნელთან თანხვედრაზე მუშაობენ: დაუწერელი კანონით, ყოველ ეშელონზე პასუხისმგებელ პირთა შორის უნდა არსებობდეს მუშების, ფერმერების, ინტელექტუალების, ქალების და სხვ. გარკვეული პროცენტი. მთლიანობაში, ინდივიდებს შორის კონკურენცია ხორციელდება არა კომპეტენტურობის ერთადერთი კრიტერიუმით, არამედ თითოეული კატეგორიის შიგნით, რაოდენობრივად წინასწარ დადგენილი ადგილებისთვის. ამგვარად აიხსება ის ფაქტი, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჰყავთ მუშები ან მუშური წარმომავლობის პირთა დიდი რაოდენობა. თუმცა ადამიანი, რომელიც 30 წლის მანძილზე პოლიტიკური პარტიის მუდმივი წევრია, აღარ არის მუშა და იგი პროფეფესიონალი პოლიტიკოსი ხდება. მუშათა წრიდან გამოსულ პარტიის ხელმძღვანელთა რაოდენობა სოციალური სპონტანურობიდან არ მომდინარეობს. აღნიშნული შეგნებული სტრატეგიის შედეგია, რომელიც გამიზნულია რომელიმე სოციალურ ჯგუფში კორექტივის შესატანად ბედის რჩეულთა ხელშესაწყობად.

რატომ თანხმდებიან აქტივისტები იმაზე, რაც აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს მათ მნიშვნელობას აცლის? უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქ-

ტორები. ბევრ აქტივისტს გააზრებული არა აქვს აღნიშნული მანიპულაციები. მათ შორის, ვისაც კარგად ესმის საქმის ვითარება, ზოგიერთი არსებულ სიტუაციას ეთანხმება არჩეული მიზნისადმი ერთგულების გამო. პარტიის მუდმივი წევრები იძულებულნი არიან ხელმძღვანელობის დირექტივები შეასრულონ, რადგან ნებისმიერი ამბოხი მათ ადგილებს დააკარგვინებს. რწმენადაკარგული აქტივისტები, რომლებიც პარტიაში ბრძოლაზე უარს ამბობენ, მას უხმოდ ტოვებენ. ამ ფაქტორებს გარკვეული ხერხები ემატება, რომელიც განხილვებისა და გადაწყვეტილებების შესრულების გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა. ამგვარად, თითოეული ეშელონის პასუხისმგებელი ორგანოები გადაწყვეტილებას უმაღლესი ეშელონის დელეგატთა თანდასწრებით იღებენ: პრესტიჟი, დოსიეს ცოდნა და ადამიანთა მანიპულირების ჩვევა, ამ პასუხისმგებელ პირებს დიდად უწყობს ხელს საყოველთაოდ მიღებული აზრის თავს მოხვევაში. ეს მექანიზმები პარტიის უმაღლეს ეშელონთან მიახლოებისას უფრო მძაფრდება. ხელმძღვანელობა შემწყნარებლობას იჩენს პარტიის პირველადი ორგანიზაციიდან წამოსული გარკვეული უკმაყოფილების მიმართ. მნიშვნელოვანია ის, რომ უთანხმოებები პარტიის უმაღლეს ეშელონზე შეწყდეს და მმართველი ორგანოები მათგან დაცული იყვნენ. ამ კარგად დამუშავებული მექანიზმების ერთობლიობა გასაკვირი ეფექტურობის მაჩვენებელია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უვნებლად გამოიყურებოდა, მიუხედავად საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიერ ათი წლის მანძილზე გავლენის მასობრივი დაკარგვისა (1979 წლის ივნისში ევროპულ არჩევნებზე მიღებულ ხმათა 20,52%; თუმცა მხოლოდ 8,7% 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კომუნისტი კანდიდატისათვის). მით უფრო, რომ შიდა ტრანსფორმაციის მცდელობები პარტიის აპარატის სიმტკიცეს წააწყდა: რენოვატორები, რეკონსტრუქტორები, ახალი დამფუძნებლები და სხვ. დიდი ხნის განმავლობაში შესაძლებელია ეფიქრათ, რომ თუკი პარტია აუდიტორიას დაკარგავდა, ეს გარე მიზეზთა გამო მოხდებოდა: მაგალითად, მუშათა კლასის დაღმასვლა და „რეალური სოციალიზმის" მარცხი. მანქანა ფუჭად ფუნქციონირებდა, მაგრამ მაინც ფუნქციონირებდა. ამავე დროს, პარტია იმიჯის შეცვლას შეეცადა: 1994 წელს დემოკრატიულ ცენტრალიზმზე უარის თქმა, ცვლილებები სიტყვით გამოსვლებსა და კადრებში. თუკი პარტიის სწრაფი გაქრობის რისკი თავიდან იქნა აცილებული, არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი გადარჩენა უკეთესის იმედს იძლეოდეს, გარდა სტაგნაციაში მყოფი პატარა ჯგუფის მომავლისა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ გაანალიზებულ მოვლენებს დემოკრატიული ქვეყნების კომუნისტურ პარტიებში აქვს ადგილი და არ ეხება იმ კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლებაში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში, პარტიები იძულების აპარატს ეყრდნობიან და ნაკლებად დახვეწილი დარწმუნების ხერხების ამოქმედება შეუძლიათ. აქ არ შევეხებით ამ პრობლემას, რადგან ერთადერთი პარტია სრულიად განსხვავდება იმ პარტიებისგან, რომელიც აქამდე განვიხილეთ. მაგალითად, აღნიშნული პარტიისთვის უცხოა არჩევნებზე ზრუნვა. ამ ფენომენს პარტიების ფუნქციებთან დაკავშირებულ ნაწილში შევისწავლით.

2 / სტრუქტურული ტიპოლოგიის კრიტიკა და დამატებები

143. ყველას მომცველი პარტიის ცნება. — განსხვავება მასობრივ და კადრების პარტიებს შორის შემუშავდა იმ ღრმა ეკონომიკურ და სოციალურ ძვრებამდე, რომელიც დასავლეთის საზოგადოებებმა ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში განვლეს. ხომ არ მივყავართ ამ დაკვირვებას დასკვნამდე, რომ აღნიშნულმა ტრანსფორმაციებმა ტრადიციულ ცნებებს ძალა დააკარგინა? კადრების პარტიები არსებობას განაგრძნობდნენ მიუხედავად ზოგიერთი ავტორის ვარაუდისა, რომელთათვისაც ეს უკანასკნელნი მხოლოდ წარსულის გადმონაშთს წარმოადგენდნენ და გასაქრობად იყვნენ განწირული. სხვა ავტორების აზრით, მასობრივი პარტიებიც დაღმასვლას განიცდიდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ მუშათა კლასის ხვედრითი წონა, რომელიც ამ პარტიების ტრადიციულ სოციალურ საფუძველს წარმოადგენდა, არასაწარმოო სექტორის სასარგებლოდ შემცირდა. აყვავების წლების განმავლობაში ცხოვრების დონის უდავო გაუმჯობესებამ სოციალური კონფლიქტები და ინდივიდთა პოლიტიკური ანგაჟირება შეამცირა. მიუხედავად ეკონომიკური კრიზისის მძიმე შედეგებისა, ეს ევოლუცია კითხვის ქვეშ არ დამდგარა იმგვარად, რომ მის შედეგად გარიყულ ინდივიდებს, თავად მათი მარგინალიზაციის ფაქტიდან გამომდინარე, ძლიერ სოციალურ და პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბება შეძლებო-

დათ. ამ ახალმა სამყარომ ახალი ტიპის პარტიები წარმოშვა, რომელსაც „ყველას მომცველი" (partis attrape-tout) პარტიებს უწოდებენ.

ნაკლებად დახვეწილი აღნიშნული ტერმინი პირდაპირ ინგლისურიდანაა გადმოღებული (cath-all-parties). ის მიგვითითებს იმაზე, რომ თანამედროვე საზოგადოებებში, სადაც იდეოლოგიურმა კონფლიქტებმა თავისი სიმძაფრე დაკარგა, პარტიები მეტი ამომრჩევლის მოპოვებას და არა ინდივიდების პარტიაში გაწევრიანებიას ცდილობენ. ამ მიზნისათვის ყველას მომცველი პარტიები უარს ამბობენ რომელიმე ერთი კლასის ან განსაზღვრული ჯგუფის ინტერესების გამოხატვაზე, რასაც მასობრივი პარტიები აკეთებდნენ. ისინი თავის მომხრეებს ყველა სოციალური წრიდან იზიდავენ ისე, რომ თავის პროპაგანდას არც ერთ სპეციფიკურ კატეგორიას არ უსადაგებენ. ისინი უარს ამბობენ აშკარა არჩევანის შემცველ მკაფიოდ განსაზღვრული პროგრამების წარდგენაზე, რომელსაც ელექტორატის ნაწილის დაფრთხობა შეუძლია. მათ არა აქვთ არბიტრაჟის როლის შესრულების პრეტენზია განსხვავებული ინტერესების მქონე სოციალურ კატეგორიებს შორის და თითოეული კატეგორიიდან ამომრჩეველთა მოზიდვას ცდილობენ. აღნიშნული მიზანი ჩამოყალიბებულ იდეოლოგიებზე და მკაფიო მტკიცებულებებზე უარის თქმას მოითხოვს მიმზიდველი, მაგრამ ბუნდოვანი დეკლარაციების სასარგებლოდ. გარდა ამისა, ამგვარი სტრატეგიის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ლიდერების მიმზიდველობაზე, კერძოდ კი მასმედიის საშუალებებში: ამ შემთხვევაში საქმე კვლავ ძალაუფლების პერსონალიზაციას ეხება. ყველას მომცველი პარტიები თავიანთი ლიდერების იმიჯზე ზრუნავენ. ამიტომაც მათთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი კანდიდატების ყოლა, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობის გამოწვევა შეუძლიათ და ამგვარად, პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვანი პოსტების ხელში ჩაგდება, რაც თავის მხრივ, მათ საზოგადოებაზე მშვიდი და მოკრძალებული, მაგრამ ღრმა გავლენის უზრუნველყოფის ან შენარჩუნების შესაძლებლობას მისცემდა.

პარტიების ამ ახალ კატეგორიაში შემოთავაზებულ იქნა იტალიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის (ჯერ კიდევ დიდების მწვერვალზე მყოფი), გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეყვანა. ამ უკანასკნელმა 1959 წელს ბადგოდესბერგის ყრილობაზე მარქსიზმზე უარი თქვა. მასში ასევე შეყვანილი იქნა გოლისტური პარტია საფრანგეთში: გამაღიზიანებელი პრობლემის თავიდან აცილების დახვეწილი მანერა, რომელსაც ჩვენ მივუბრუნდებით. შემდგომში ამ კატეგორიას საფრანგეთის სოციალისტური პარტია დაემატა, რაც ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ სპ-ის სოციალ-პროფესიული სტრუქტურა მაგალითად, 1981 წლის არჩევნების დროს, მთლიანობაში აშკარად უახლოვდებოდა საფრანგეთის ელექტორატს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კატეგორია (ფერმერები, უმაღლესი კადრები, ლიბერალური პროფესიები, მრეწველები, წარმოებაში დაუსაქმებელი მოსახლეობა) ნაკლებად, ზოგი კი (მუშები, საშუალო ეშელონის კადრები, მომსახურეები) უფრო ჭარბად იყო წარმოდგენილი. ასეთი სიტუაცია აშკარად აღსანიშნავია და ძნელად გასაგები მასობრივი პარტიების ტრადიციული თეორიის ჩარჩოში. საქმე არ ეხება თავად კომუნისტურ პარტიას, რომელიც გახსნილობის პერიოდში, როდესაც ის სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მიზიდვას ცდილობდა გარკვეული კლასის მინიშნების გარეშე (ქრისტიანები, გოლისტები) და ელექტორატის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰყავდა, მაინც არ გამხდარა ყველას მომცველი პარტია. ბინარული ტიპოლოგია (მასობრივი და კადრების პარტიები) მესამე ტიპით, ყოვლის მომცველი პარტიით გამდიდრდა.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ ცნებაზე? უპირველეს ყოვლისა, საკითხავია, შემოწმებადია თუ არა პირველადი ცნება. სწორია თუ არა მოსაზრება, რომლის თანახმად ცხოვრების დონის ამაღლება მექანიკურად კონფლიქტის სიმძაფრის შემცირებას იწვევს? მოვლენებმა აშკარად ვერ დაადასტურეს ეს ვარაუდი. მაგალითად, საფრანგეთში პოლიტიკურ ბრძოლას სიმძაფრე არ დაუკარგავს და ბიპოლარიზაცია უდავო ფაქტად რჩება. ამასთანავე, ყოვლის მომცველი პარტიის ცნებამ ამ ანალიზით კარგად ისარგებლა. პოლიტიკური ორგანიზაციების ევოლუცია ყველას მომცველი პარტიების მიმართულებით ბუნებრივად გამოიყურებოდა იმ სამყაროში, რომელშიც პოლიტიკურ კონფლიქტებს სიმძაფრე ეკარგებოდა. რამდენადაც მიზანი არ არის დადგენილი შედეგის გადახედვის შესაძლებლობა არსებობს.

შესაძლებელია თუ არა ტიპოლოგიური კრიტერიუმის დაფუძნება ელექტორატის მიზიდვის ძალისხმევაზე? არსებობს კი პარტია, რომელიც ამომრჩეველზე უარს ამბობს? კადრებისა და მასობრივი პარტიების კონტრასტული ორგანიზაციები ერთი მიზნის მისაღწევად განსხვავებულ

საშუალებებს იყენებენ, რომელიც ამომრჩეველთა რაც შეიძლება ფართო ბაზისის უზრუნველყოფაში გამოიხატება. დოქტრინალური შეუვალობა და იდეოლოგიური სიწმინდე იმ პოლიტიკური პარტიებისთვის იყო დამახასიათებელი, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის იმედი არ ჰქონდათ. როგორც კი ამის შესაძლებლობა იქმნება, პარტიებმა, თუკი დიქტატურის დამყარება არ სურთ, სხვადასხვა სოციალურ ძალებთან უნდა ითანამშრომლონ და მოვლენათა ბუნება გაითვალისწინონ. რა თქმა უნდა, როდესაც სოციალისტური პარტიები თავს ჯერ კიდევ რევოლუციურ პარტიებად აცხადებდნენ, სპეციფიკური სოციალური კატეგორიებისთვის განკუთვნილ პროპაგანდას ეწეოდნენ და ნაკლებად ითვალისწინებდნენ სხვა სოციალური კატეგორიების აზრს. ამგვარი კონიუნქტურის პირობებშიც კი, ამ პარტიებისთვის უცხო არ იყო საარჩევნო ტაქტიკაზე ზრუნვა. აღნიშნული ტენდენცია, რომელსაც „ელექტორალიზმს" უწოდებდნენ აქტივისტებისა თუ სექტანტების მიერ დაგმობილი იქნა, მაგრამ თუ ის გაქრა ე.ი. ის არსებობდა. მართლაც, გარკვეული უხერხულობის გრძნობა არსებობს, როდესაც თავი უნდა იმართლო: ყველას მომცველი პარტია თავის დინამიურობას უკავშირებს არა იმდენად მოვლენათა ცვლილებებს, რამდენადაც ღირებულებათა დეფიციტს. ის მომდინარეობს არა არსებული და წარსული რეალობის, არამედ არსებული რეალობისა და მასობრივი პარტიების იდეალური სურათის შედარებიდან. სწორედ ამგვარი დაყოფა სიახლის გრძნობას შეიცავს, რომელიც მთლიანობაში არ არის მცდარი, მაგრამ აშკარად გადაჭარბებულია. ყოვლის მომცველი პარტია შეურაცყოფაა იმის მიმართ რასაც მასობრივი პარტია უნდა წარმოადგენდეს? თუკი მიღებულ კრიტერიუმებს დავეყრდნობით, ე.ი. დოქტრინალურ სიმტკიცესა და კლასთა შეუვალობას, ეს მიგვიყვანს მხოლოდ პროლეტარული პარტიებისა (მაგალითად, „მუშათა ბრძოლა" საფრანგეთში) და ყველას მომცველი პარტიების განსხვავებამდე, ე.ი. ხელისუფლებიდან გარიყული პოლიტიკური ჯგუფების უმრავლესობისა, რომელიც საარჩევნო პროცესით მარგინალიზებულია. გარდა ამისა, გვერდზე დარჩებოდა ბევრი მნიშვნელოვანი მახასიათებელი (მიღების ფორმა, ორგანიზაციის ტიპი, ძალაუფლების შიდა ურთიერთობები), რომელსაც ბინარული ტიპოლოგია მნიშვნელობას ანიჭებს. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ 90-იანი წლების სოციალისტური პარტია 1920 წლის მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის იდენტურია: იდეოლოგია, პარტიაში მიღების წესი, პარტიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, ქცევის სტანდარტები, აქტივისტთა ფსიქოსოციოლოგიური ურთიერთობები მათ ორგანიზაციასთან, ყველაფერი შეიცვალა. მუშათა აქტიური მუშაობის ძველი ფორმა დღეს არსებულ ღირებულებებში თავის პრინციპებს ვერ მონახავდა. თუმცა აღნიშნული ცვლილებები პარტიათა სტრუქტურას არ შეხებია. ყველას მომცველი პარტიის ცნებამ ეს ცვლილებები უნდა გაითვალისწინოს. ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ ყველას მომცველი პარტიის იდეა წარმოადგენს ეფექტურ ცნებას ტიპოლოგიის შესაქმნელად, თუკი ამ შემთხვევაში განმასხვავებელ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაცია იგულისხმება. ყველას მომცველი პარტიის იდეის შესაქმნელად მიღებული ცნებები პოლიტიკურ ძალთა თანმიმდევრ ევოლუციაზე მიგვანიშნებს. ისინი შორს არიან ტიპოლოგიის ჩამოყალიბებისგან და პირიქით, ერთი განსაზღვრული ტიპოლოგიის შექმნის სირთულეს გვიჩვენებენ.

144. ამომრჩეველთა პარტიების ცნება. — ამომრჩეველთა პარტიის ცნება სხვა კონცეპტუალურ სიახლეს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს კლასიკური ბინარული ტიპოლოგიის შევსებას. ის შემოთავაზებულ იქნა ჟან შარლოს მიერ გოლისტური მოძრაობის სპეციფიკურობის გასათვალისწინებლად, რომელიც ცუდად ერწყმოდა ტრადიციულ კატეგორიებს. ამ ანალიზის თანახმად, კადრებისა და მასობრივი პარტიების გვერდით, ამომრჩეველთა პარტია შუალედური ტიპოლოგიის ადგილს დაიკავებდა. ამომრჩეველთა პარტია მიმართული იქნებოდა არა ცნობილი ადამიანებისკენ (კადრების პარტია) და აქტივისტებისკენ (მასობრივი პარტიები), არამედ ელექტორატისკენ. ამგვარად შეიძლება აიხსნას საყოველთაო არჩევნებში გოლისტური პარტიის წარმატება მიუხედავად იმისა, რომ თავისი ისტორიის დასაწყისში მის რიგებში ნაკლებად იყვნენ ცნობილი ადამიანები და მას არ გააჩნდა მასობრივი პარტიების მსგავსი მოქმედების საშუალებები. ამავე პერსპექტივაში შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტი, რომ 60-იანი წლების მიწურულს, როგორც მოგვიანებით სოციალისტური პარტიის შემთხვევაში, გოლისტური პარტიის სოციალური შემადგენლობა მთლიანობაში ახლოს იდგა საფრანგეთის ელექტორატთან.

ხომ არ შეიძლება ყველას მომცველი პარტიის მიმართ გაკეთებული შენიშვნები ასევე ამომრჩეველთა პარტიას მივუსადაგოთ? ყველა პარტია ეძებს ამომრჩეველს და ხშირად კადრების

პარტიას ყველაზე მეტი ამომრჩეველი ყავს. პირიქით, გოლისტური პარტიის საარჩევნო გავლენამ იკლო. თუმცა საუკეთესო წლებში (1962 წ. 1968 წ.) მისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა 30% აჭარბებდა. შემდგომში აღნიშნული პროცენტი გაზრდილა და ზოგჯერ 20%-ის ქვემოთაც ჩამოსულა. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ მისდამი ინტერესი უფრო მეტად დაქვეითდა. ამასთან დაკავშირებით ჩნდება ფუნდამენტური შეკითხვა: შეიცვალა თუ არა ამ პარტიის ბუნება? როგორიც არ უნდა იყოს პასუხი ის თეორიისთვის დამანგრეველია. დადებითი პასუხის შემთხვევაში, საჭირო იქნება იმ ფაქტის ახსნა, თუ რატომ იცვლება პარტიის ბუნება თუკი არ იცვლება არც მისი სტრუქტურები, არც პროგრამა და არც ხელმძღვანელი შემადგენლობა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უნდა დავასკვნათ, რომ ამომრჩეველთა პარტია ამომრჩევლების მეშვეობით არ განისაზღვრება, როგორც მაგალითად, კადრების პარტია კადრებით და მასობრივი პარტია მასებით. აშკარაა, რომ კადრების პარტია კადრების გარეშე პარტია აღარ იქნება, ისევე როგორც მასების პარტია მასების გარეშე მხოლოდ პატარა ჯგუფი იქნება. თუკი ამომრჩეველთა პარტია ამომრჩეველთა მეშვეობით არ განისაზღვრება, ეს მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის კადრების პარტიას არ წარმოადგენს, რადგან მისი გავლენა მხოლოდ ცნობილ ადამიანებს არ ეყრდნობა. ის არც მასობრივი პარტიაა, რადგან მას არ ახასიათებს მასობრივი პარტიის სტრუქტურა. ამგვარად, კვლავ საწყის წერტილს ვუბრუნდებით.

გოლისტური პარტიის თავისებურების გასათვალისწინებლად შექმნილი ამომრჩეველთა პარტიის ცნება უფრო მეტად სირთულეს ქმნის, ვიდრე მას წყვეტს. შესაძლებელია თუ არა ამ სირთულის გადალახვა? მართლაც, ტრადიციული ტიპოლოგია ფენომენის გარკვევის საშუალებას იძლევა მისი რეალობაში განხილვის პირობით, და მასთან დაკავშირებულ აპოლოგეტიკურ და პოლემიკურ ფიქციებზე დაყრდნობით. ამის გაკეთება ასევე შეიძლება იმ პირობით, რომ კადრებისა და მასობრივი პარტიების ცნებები განსაზღვრავენ არა არსს, რომლის შორისაც არჩევანი უნდა გაკეთდეს, არამედ უფრო მეტად პოლარულობას, რომლის შესამება ცვალებადი ლოგიკისა და სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის განსაზღვრის მიხედვით არის შესაძლებელი.

145. ტიპოლოგიური დეფინიცია: გოლისტური მოძრაობა. — გოლისტური მოძრაობის გასაგებად აუცილებელი არ არის პარტიის ახალი მოდელის გამოგონება. უეჭველია უფრო ეფექტურია იმ დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა, რომელიც მას ცნობილ მოდელთან ააახლოვებს და მათი თანაარსებობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ 1976 წლამდე არსებულ პერიოდს ე.ი. გოლისტურ მოძრაობას მის ტრანსფორმაციამდე (იქამდე ვიდრე ის „გაერთიანება რესპუბლიკის მხარდასაჭერად" (RPR) სახელით გახდა ცნობილი), რადგან სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში მოძრაობამ ნამდვილი ტიპოლოგიური პრობლემა წარმოშვა და ამიტომაც ის განხილვას იმსახურებს. მართლაც, საკმაოდ განსხვავებული ნიშნების მქონე აღნიშნული მოძრაობა სხვა ცნებების გამოყენებას მოითხოვს. (გოლისტურ მოძრაობას ჩვენ „დემოკრატთა გაერთიანება რესპუბლიკისთვის" სახელით აღვნიშნავთ მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელწოდებას ის 1968 წლიდან ატარებდა. მიუხედავად სახელწოდებების შემდგომი ცვლილებებისა, პარტია 1958 წლიდან 1976 წლამდე საკუთარი თავის იდენტური დარჩა).

დემოკრატთა გაერთიანება რესპუბლიკისთვის (UDR) მასობრივი პარტიებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, საქმე წევრთა რაოდენობას ეხება. მიუხედავად გამოქვეყნებული ციფრების საეჭვო ხასიათისა, ამ პარტიის წევრთა რაოდენობა კადრების პარტიისას ბევრად აღემატებოდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პარტიის რაოდენობრივი ზრდა იყო არა შემთხვევითობის, არამედ წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის შედეგი: პარტია წევრთა მიზიდვას ცდილობდა და ამგვარი ქმედება გამოუსადეგარი იქნებოდა, თუკი UDR მხოლოდ ამისათვის იქნებოდა გამიზნული. მეორე მხრივ, კადრების პარტიების საპირისპიროდ, დემოკრატთა გაერთიანება რესპუბლიკისთვის არ იფარგლებოდა ცნობილ ადამიანთა მიზიდვით, რომლებშიც ის დიდი წარმატებით არ სარგებლობდა. მას ჭეშმარიტად სახალხო საფუძველი ჰქონდა, რომელიც რაოდენობრივი შემადგენლობის მიხედვით ორ სხვადასხვა ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი სახალხო მემარჯვენეობის გარკვეულ ტრადიციას შეესატყვისებოდა, რომლის იდეოლოგია კარგადაა ცნობილი: წესრიგის სურვილი, პატრიოტული სულისკვეთება, სახალხო ანტიკომუნიზმი და სხვ. მეორე ჯგუფი მემარცხენე იდეების მომხრე ადამიანებს აერთიანებდა, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობის დროს დე გოლს შეუერთდნენ, ან იმათ, ვინც მიიზიდა, ისეთმა თემებმა, როგორიც იყო კაპიტალისა და შრომის

გაერთიანება, დე გოლის საგარეო პოლიტიკის გარკვეულწილად „ნეიტრალისტური“ ხასიათი და სხვ. მეორე ჯგუფი, რომელიც გოლიზმის თავისებურებას წარმოადგენდა საგრძნობლად შემცირდა ჟორჟ პომპიდუსა და ვისკარ დ'ესტენის პრეზიდენტობის პერიოდში. ამავე დროს, მცირდებოდა პარტიის გავლენა მემარცხენე ელექტორატზე. ამ ორ ჯგუფს მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა საერთო: გენერალ დე გოლის პიროვნების კულტი (აღნიშნული სიტყვა არ არის გადაჭარბებული), რომელიც პარტიას ემოციურ ხასიათს აძლევდა. „დემოკრატთა გაერთიანება რესპუბლიკისთვის“ მასობრივი პარტიებისთვის დამახასიათებელი მეორე ნიშანიც ჰქონდა. მისი განაწესი სხვადასხვა დონეზე არჩევნების სისტემას ითვალისწინებდა პირამიდალური სქემის მიხედვით, რომელიც აქტივისტთა პირველობის გარანტია იყო. ისინი დასაყრდენს ირჩევდნენ. რომელიც თავის მხრივ, ცენტრალურ კომიტეტს ირჩევდა, ხოლო ეს უკანასკნელი თავად გენერალურ მდივანს. აღნიშნული მასობრივი პარტიის ტიპიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მიუხედავად დებულებების ფორმალური ხასიათისა, ისინი მაინც ყურადსაღები იყო. მეორე მხრივ, როგორც ვნახეთ, ოლიგარქიულმა ტენდენციებმა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპს არს აცლიდა, მასობრივ პარტიებში იჩინა თავი. არ შეიძლება დაკმაყოფილდეთ ზემოაღნიშნული ფენომენის დამოწმებით იმისათვის, რომ დემოკრატთა გაერთიანება რესპუბლიკისთვის ამ კატეგორიაში შესაყვანად უარვყოთ. თავად ის ფაქტი, რომ ამ ტიპის შენიღბვას მიმართავდნენ მნიშვნელოვანი იყო: ის იმ მიზნებზე მიუთითებდა, რომელიც სისტემის შემუშავებას უძღოდა წინ და მიმართული იყო მოძრაობის სახალხო და დემოკრატიული იმიჯით უზრუნველსაყოფად. გაურკვეველია, როგორ შეიძლება ამომრჩეველთა პარტიის ცნებამ ამ ფენომენთა განმარტებას შეუწყოს ხელი, მაშინ როდესაც მასობრივი პარტიების შესწავლა და მათი ევოლუცია ამის განმარტების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთანავე, UDR-ს კადრების პარტიებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა. მის შიგნით შეზღუდული და მყარი ხელმძღვანელთა ჯგუფი არსებობდა, რომელსაც ერთადერთს გააჩნდა რეალური გავლენა. ეს იყო მინისტრებისა და ყოფილი მინისტრების ე.წ. „ბარონთა“ ჯგუფი. სიტყვა „ბარონი“ თავდაპირველად ირონიული ფორმით გამოიყენებოდა პოლიტიკური გოლიზმის მცირერიცხოვანი ისტორიული ხელმძღვანელების აღსანიშნად. მინისტრების გავლენა მთავრობისადმი მიკუთვნებიდან მომდინარეობდა, ყოფილი მინისტრებისა წინათ მთავრობაში ყოფნიდან და მომავალში მასში მოსვლის შესაძლებლობიდან. ხელმძღვანელთა აღნიშნული წრე, კოოპტაციის პრინციპის თანახმად, კლუბის მსგავსად ფუნქციონირებდა. ფაქტიური მუშაობა ამ წრეში შესვლის საშუალებას არ იძლეოდა. პირველადი ორგანიზაციის წევრს მის თანასწორთა ნდობის წყალობით ელიტაში მოხვედრის არავითარი შანსი არ ჰქონდა. წევრის კარიერის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ამით პარტიის უმაღლესი ეშელონი დაკავებულიყო.

როგორი იყო ელიტაში მოხვედრის პირობები? განსხვავება ასაკის მიხედვით კეთდებოდა. 1925 წლამდე დაბადებული ადამიანისთვის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობა აუცილებელი იყო (აღსანიშნი გამონაკლისია ჟორჟ პომპიდუ). უფრო ახალგაზრდა ადამიანებისთვის IV რესპუბლიკის დროს გოლისტურ მოძრაობაში მონაწილეობა მეტად სასურველი იყო. აღნიშნული იმაზე მოწმობდა, რომ გოლიზმი (თუ წინააღმდეგობის მოძრაობას არ გავითვალისწინებთ) ამ ადამიანთა მიერ არჩეული იყო მაშინ, როდესაც ის ოპოზიციაში იყო: ამგვარ გაწევრიანებას გულწრფელობის დიდი შანსი ჰქონდა, რადგან ის მყისიერი შედეგების მომტანი არ იყო. და ბოლოს, იმ ადამიანებს, რომელთაც ზრდასრულ ასაკს V რესპუბლიკის დამყარების დროს მიაღწიეს და ამიტომაც არ შეეძლოთ თავისი ერთგულების დამტკიცება იმ ეპოქაში, როდესაც ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, ერთგულების უბრალო დეკლარაცია მოეთხოვებოდათ. რადგანაც კანდიდატებს არ შეეძლოთ რაიმეთი დაეტრაბახათ, კოოპტაციის პრინციპი მთელი სიმკაცრით მოქმედებდა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭირო იყო კარგი პატრონის ყოლა და მოწონების დამსახურება. პრაქტიკაში, ამ ვიწრო კარში შეღწევის ერთადერთ გზას მაღალი საჯარო სამსახური იძლეოდა. ახალგაზრდა უმაღლესი რანგის ფუნქციონერები, რომლებმაც თავისი უნარით, ენერგიითა და მორჩილებით მოწონება დაიმსახურეს, სანაცვლოდ საარჩევნო ოლქს იღებდნენ. ამგვარად, ტექნიკური უნარის გარდა, მათ შეეძლოთ ეჩვენებინათ, რომ პოლიტიკური თვისებებიც გააჩნდათ, ე.ი. პირველ რიგში, რჩეულად გახდომის უნარი. მართლაც, სისტემა დემოკრატიულ ხასიათს ინარჩუნებდა, რამდენადაც ნამდვილი პოლიტიკური კარიერისთვის საყოველთაო არჩევნები აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. წარმატების შემთხვევაში, რჩეულს მმართველობაში შესვლისა და პარტიის ელიტის ქვედა ეშელონში შეღწევის შანსი ეძლეოდა.

ამგვარად, UDR-ს ყოვლისშემძლე ხელმძღვანელი წრე ჰყავდა, რომელიც ბუნებრივია პასუხისმგებელი არ იყო აქტივისტთა წინაშე. ამასთანავე, ამ წრის წევრებს ძალიან სპეციფიკური ნიშანი ჰქონდათ. ერთნი ობიექტური თვისებებით იყვნენ დაფასებულნი, რომელიც სხვას არ გააჩნდა. სხვები კი პარტიაში დაწინაურებას სახელმწიფო სამსახურში დაწინაურების წყალობით აღწევდნენ და არა პირიქით. მინისტრის თანამდებობაზე ყოფნა პიროვნებას პარტიაში წონას სძენდა, რაც პარტიის წევრობის ლეგიტიმურობით არ იყო განპირობებული. ამ ფენომენის ყველაზე აღსანიშნავი ილუსტრაცია იყო ის ფაქტი, რომ ჟაკ შირაკმა პარტიაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეძლო ისე, რომ მისი წევრიც არ ყოფილა: სახელმწიფო აპარატში ადგილის დაკავება ipso facto პარტიაში წამყვანი როლის დაკავებას ნიშნავდა, ასე რომ აუცილებელი არ იყო ისეთი მეორეხარისხოვანი ფორმალობებისთვის დამორჩილება, როგორიც პარტიაში გაწევრიანება იყო....

გასაკვირი არაა, რომ ამ დროიდან პარტია ზემოდან იმართებოდა. „ბარონები" დირექტივებს ელისეის სასახლიდან იღებდნენ და მათ იერარქიის სხვადასხვა ეშელონებს გადასცემდნენ. ზეწოლის საშუალებები დონეების მიხედვით იცვლებოდა. ყველაზე ქმედითი, მაგრამ ნაკლებად მართვადი დეპუტატების მიმართ პარტიის ინვესტიტურის ჩამორთმევის მუქარა გამოიყენებოდა. ამ უკანასკნელის ჩამორთმევის შემთხვევაში, დეპუტატს ხელახალი არჩევის შესაძლებლობა დაეკარგებოდა, რადგან ამომრჩევლები არჩევანის გაკეთების დროს სწორედ ინვესტიტურით ხელმძღვანელობდნენ. მეორე მხრივ, დეპუტატი ხელმძღვანელობისგან სარგებელს მოელოდა, რომელიც მას გამარჯვებისა და ამომრჩეველთა სიმპათიის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა: სუბსიდიები, ჯილდოები, თბილი ადგილი. სახელმწიფო ასევე უიღბლო პოლიტიკოსებსაც არ ივიწყებდა: არჩევნებში წარუმატებლობის შემთხვევაში, ისინი ვისაც პოლიტიკის მიღმა უზრუნველყოფილი არსებობის საშუალება არ ჰქონდა, სახელმწიფოსგან მაღალანაზღაურებად (დიდი ძალისხმევის გარეშე) თანამდებობებს მოელოდნენ, რომელიც მათ „უდაბნოში" გზის გაკვლევის საშუალებას მისცემდა. ყოველივე ამბოხებისკენ არ უბიძგებდა. პარტიის საშუალო კადრებისთვის ნაკლებად ხარჯიანი მეთოდები არსებობდა: ხმამაღალი წოდებები, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი მცირე უპირატესობა, მაგალითად, სხდომებზე მინისტრის ხელმარჯვნივ დაჯდომა, სახელმწიფო საიდუმლოებებში გათვითცნობიერება, მოქნილად გამოყენებული ამგვარი დათმობები საკმარისი იყო მორჩილების შესანარჩუნებლად. ყველაზე ძნელად სამართავი პირველადი ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რადგან ისინი ნაკლებ სარგებელს მოელოდნენ. მოძრაობის შექმნიდანვე ისინი ყოველთვის უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მთავრობისა და ხელმძღვანელობის მისამართით. ამავე დროს, ამ მტრულ განწყობას პარტიის ზედა ეშელონის მიმართ კარგად ხედავდნენ და ზემოდან ამხნევებდნენ კიდეც: მაგალითად, როდესაც ჟორჟ პომპიდუმ და მისმა გარემოცვამ ჟაკ შაბან-დელმასის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადაყენებისთვის დაიწყეს მზადება. იმ შემთხვევაში, თუ აქტივისტთა მღელვარება ძირითადს ემუქრებოდა, ემოციურ შანტაჟს მიმართავდნენ: გენერალ დე გოლის სახელი ყოველთვის ახდენდა გავლენას. ასევე შესაძლებელი იყო მემარცხენე ოპოზიციური სპექტრის ამოქმედება და ისეთი გაფეტიშებული იდეების შეხსენება, როგორსაც გაერთიანება და სახელმწიფოს ავტორიტეტი წარმოადგენდა. ბატონ მიშელ დებრეს გამოსვლები ამგვარი თემების შესანისნავ რეპერტუარს გვთავაზობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვილად გასაგებია, რომ მიუხედავად განაწესების თეორიული სქემებისა, ამ შემთხვევაში პარტიის პირველად ორგანიზაციაში მიღებული გადაწყვეტილებები ფაქტობრივად იქ მხოლოდ მტკიცდებოდა. ქვედა ინსტანციები პასუხისმგებელ პირებად ირჩევდნენ იმ ადამიანებს, რომელთაც ამცნობდნენ, რომ მათი რჩეულებად ყოფნა სურდათ. აღნიშნული სახელდობრ, გენერალური მდივნის არჩევას ეხებოდა. კამათის შემდეგ მხოლოდ ერთი გენერალური მდივანი აირჩიეს: ალექსანდრე სანგინეტი 1973 წელს. თუმცა ამ გამონაკლისის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის წესს ამტკიცებს: ამ შემთხვევაში, ელისეის სასახლეში ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს.

მთლიანობაში „დემოკრატთა გაერთიანება რესპუბლიკისთვის" პირველადი ორგანიზაციის დონეზე და თეორიაში, მასობრივი პარტია იყო, ხოლო ზედა ეშელონის დონეზე და პრაქტიკაში, ის კადრების პარტიას წარმოადგენდა. როგორ გახდა შესაძლებელი ამ ორი შეუთავსებელი ნიშნის თანაარსებობა? ეს ორი ფაქტორით შეიძლება ავხსნათ: უპირველეს ყოვლისა, მოძრაობის დამფუძნებლის, გენერალ შარლ დე გოლის ღირშესანიშნავი პიროვნული თვისებები. ფსიქოლოგიური გავლენა, რომელიც მას მომხრეებზე გააჩნდა, უანგარო და მორჩილი აქტიური

მუშაობის შესაძლებლობას იძლეოდა. აღნიშნული, იმ სოციალური ფენების მიღმა, რომელსაც ტრადიციულად კადრების პარტიები მიმართავდნენ, ბევრად მეტი ადამიანის გაწევრიანების შესაძლებლობას იძლეოდა და ამავე დროს, გაწევრიანება იდეოლოგიურზე მეტად, ემოციურ ხასიათს ატარებდა. მეორე მხრივ, სახელმწიფო აპარატის სიძლიერე და შეღავათები, რომელსაც ის იძლეოდა, პარტიის ერთიანობისა და იმავდროულად მისი მეურვეობის შენარჩუნების საშუალებას წარმოადგენდა. ამ ფენომენებმა, ისევე როგორც მიღწეულმა ტემპმა, სისტემას თავისი სპეციფიკური ნიშნების შენარჩუნების საშუალება მისცა გენერალ დე გოლის გარდაცვალების შემდეგაც. ამ ფაქტორებით ასევე კარგად აიხსნება პარტიის საარჩევნო ეფექტურობა: ერთი ადამიანის უდიდეს პრესტიჟსა და მრავალრიცხოვან რწმენით აღაავსე აქტივისტებზე დაყრდნობილ პარტიას, საკუთარ მოედანზე შეეძლო მასობრივი პარტიებისთვის მეტოქეობა გაეწია ისე, რომ არ ჰქონოდა ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი.

1958 წლიდან 1976 წლამდე ჩვენს მიერ გაკეთებული გოლისტური მოძრაობის ანალიზი სხვა მიდგომებსაც არ გამორიცხავს. მეორე მხრივ, ის ჩამოყალიბებულ წარმოდგენას ქმნის: მხედველობაშია მისაღები ევოლუცია, რომელმაც ზოგიერთი ნიშანი გაამქაფრა, ზოგი კი წაშალა. მთლიანობაში, გაკეთებული ანალიზი უფრო საინტერესოდ გამოიყურება, ვიდრე ყველას მომცველი და ამომრჩეველთა პარტიების არამკაფიო ცნებები. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ კადრებისა და მასობრივი პარტიების ცნებების სათანადო გამოყენება რეალურ ევრისტიკულ ეფექტურობას ინარჩუნებს.

3 / იდეოლოგიური ტიპოლოგია: მემარჯვენე და მემარცხენე პარტიები

146. მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის ცნებები. — პოლიტიკური ტენდენციების გამოსახატავად სიტყვების „მემარჯვენეობისა" და „მემარცხენეობის" გამოყენების ჩვევა საფრანგეთში გაჩნდა, როგორც ამბობენ 1789 წელს.[40] ამ ჩვევას არნახული წარმატება ხვდა წილად. მას იყენებენ (მიუხედავად განსხვავებული ფორმებისა) როგორც სამრეწველო ისე განვითარებად ქვეყნებში, რუსეთში (წინათ სსრკ), ჩინეთში ისევე როგორც აშშ-ში. ის ყველა იდეისა და პოლიტიკური ქმედების კვალიფიკაციის საშუალებას იძლევა. ნებისმიერი დროისა და ადგილის ყველა პოლიტიკური კონფლიქტი ამ ორი პრინციპის ბრძოლით განისაზღვრება. ამგვარი დაპირისპირება ანგარიშს სთხოვს მათ ვინც მას უარყოფს, რადგან არ შეიძლება მისი კითხვის ქვეშ დაყენება ისე, რომ ერთი ტერმინი მეორის საწინააღმდეგოდ არ იქნეს არჩეული: მემარჯვენეობის მუდმივი ბრძოლა მემარცხენეობის წინააღმდეგ ტიპური მემარჯვენე პოზიცია იქნებოდა და პირიქით. ამავე დროს, ძალიან რთულია ამ ორი ცნებისთვის მკაფიო შინაარსის მიცემა. არ არსებობს მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის სარწმუნო კრიტერიუმები. დაკვირვებისას ვამჩნევთ, რომ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ფენომენი ერთი-მეორის მხარეზე გადადის ან ორივე ერთ მხარეს.

როგორია მემარცხენეობის კრიტერიუმები? თავისუფლება? არსებობს მემარცხენე ტოტალიტარიზმი. სამართლიანობა? მემარცხენე რეჟიმებს თანასწორობის დამყარების პრეტენზია აქვთ, მაგრამ ორუელის ცნობილი აზრით, ამ რეჟიმებში ზოგიერთი სხვებზე უფრო თანასწორია. ტერორის გზით დამყარებული თანასწორობა ყოველთვის უთანასწორობის ტერორად გარდაიქმნება. პროგრესი? სენ-ჟიუსტის აგრარული ოცნებები, ეკოლოგიური უტოპიები, რა თქმა უნდა, მემარცხენეობას განეკუთვნება და ისინი პირდაპირი მნიშვნელობით რეაქციულია. გონივრულობა? თუმცა სტალინური ეპოქის რუსეთი პასტერნაკის აზრით „მოჩვენებითის არაადამიანური ბატონობა" იყო.

---

[40] ზოგიერთი ავტორი ამ განსხვავებას სამეფო ვეტოს ფორმებთან დაკავშირებულ 1789 წელს ჩატარებულ შეკრებას უკავშირებს. შეუზღუდავი ვეტოს მომხრეები მარჯვენა მხარეს, ხოლო მათი მოწინააღმდეგენი მარცხნივ უნდა დამსხდარიყვნენ. (რის მარჯნივ და მარცხნივ? უმნიშვნელო ლოგიკური პრობლემა: როგორ შეიძლება აბსოლუტურად ნავარაუდევი ცნებების პირობითი ტერმინებით აღიბეჭდნა?) არის კი ეს ფაქტი შემოწმებული? ეს ისტორია თავიდანვე მითს წააგავს. საკამათოა დამფუძნებელი კრების თარიღიც. აშკარაა, რომ თუ ზემოაღნიშნული განსხვავება ამ ეპოქით თარიღდება, ის წლების მანძილზე მიჩქმალული იყო, რადგან კონვენტში ტენდენციების დაპირისპირება ჰორიზონტალური („მთა", „ჭაობი") და არა ვერტიკალური დაყოფით მოიაზრებოდა. რატომ იყო საჭირო ამ გამოცდილების შემდეგ სამეფო ვეტოს საკითხთან დაკავშირებულ დებატებთან დაბრუნება?

როგორია მემარჯვენეობის კრიტერიუმები? არსებული წესრიგის სიძლიერე და მისი შენარჩუნება? მაგრამ არსებობს მემარცხენე რეჟიმები, რომელშიც ყოველგვარი გართულების გარეშე, წესრიგია დამყარებული. უთანასწორობა? თუმცა არსებობს მემარჯვენე რეჟიმები, რომელშიც პროგრესული საშემოსავლო გადასახადი და შემოსავლების განაწილება გამოიყენება. ეკონომიკური ლიბერალიზმი? არსებობს მემარჯვენე რეჟიმები, რომელშიც ეკონომიკის რეგულირებას სახელმწიფო ახდენს. კარგადაა ცნობილი როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე ტოტალიტარიზმი. ნაციონალიზმი, მორალური წესრიგი? ამ მხრივ, ბრეჟნევის ეპოქის საბჭოთა რეჟიმი მარადიული მემარჯვენეობის იდეალურ ტიპად დარჩება.

გარდა ამისა, განსაზღვრებები დროთა განმავლობაში იცვლება. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში „მემარცხენეობის" ბრძოლა ინდივიდუალური თავისუფლების სახელით წარმოებდა გლობალურად აღებული საზოგადოების ინტერესთა წინააღმდეგ, რომელსაც „მემარჯვენეობის" დაცვის პრეტენზია ჰქონდა. დღეისათვის ამის საპირისპიროს ვხედავთ, რომლის სიმბოლოსაც თავად სიტყვა სოციალიზმი წარმოადგენს. რევოლუციის დროს პატრიოტიზმი პირადი სოლიდარობის ძველ ცნებას უპირისპირდებოდა და „მემარცხენეობას" უკავშირდებოდა. შემდგომში ის „მემარჯვენეობაში" გადავიდა, და დღეს მას თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია მოითხოვს, მიუხედავად მათი განსხვავებული ფორმებისა. ადგილობრივი, კულტურული და ლინგვისტური პარტიკულარიზმი „მემარჯვენეობას" განეკუთვნებოდა იმ დროს, როდესაც „მემარჯვენეობა" იაკობინური იყო. ამჟამად ის „მემარცხენეობას" მიეკუთვნება. ამავე დროს, ქრისტიანობა, რომელიც სიღარიბეს, მორჩილებასა და შრომას ასხამდა ხოტბას, „მემარჯვენეობით" ხასიათდებოდა არსებულ წესრიგთან ხანგრძლივი შეთანხმებით. აღნიშნულიდან შესაძლებელია მარქსისტული ვერსიის გამოტანა „განთავისუფლების თეოლოგიის" ფორმით. რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით უამრავი მაგალითი არსებობს.

შესაძლებელია ქაოსში წესრიგის დამყარება? შესაძლებელია ისეთი პრინციპების აღმოჩენა, რომელიც რეალობის გაზრდის მიღმა, აქამდე შეუმჩნეველი მყარი საფუძვლის მქონე განსხვავების დადგენის საშუალებას მოგვცემდა? ამგვარი იმედი ამაოა შემდეგი დილემის გამო. თუმცა შესაძლებელია მემარჯვენეობას და მემარცხენეობას a priori მუდმივ ცნებებზე დამყარებული დეფინიცია მივცეთ. ამის მიღწევა კონკრეტული ისტორიული გამოცდილების განზოგადებით არის შესაძლებელი: მაგალითად, მუდმივი მემარცხენეობა იქნებოდა ყველაფერი რაც საფრანგეთში რევოლუციის დროს, ან 1981 წლის მაისში მოხდა. ასევე შესაძლებელია საკითხთან დაკავშირებული ყველა ცნობილი მოსაზრების შეგროვება და მათთვის საერთო მნიშვნელის მონახვა. პირველ შემთხვევაში, ინტერპრეტაციის თანმიმდევრულ გრაფიკს მივიღებთ, მაგრამ ის განუწყვეტლივ გამოიწვევს მზარდ გახლეჩას მოქმედ პირთა სპონტანურ აზრთან. იმის თქმა, რომ საბჭოთა კავშირი უკიდურესი მემარჯვენეობის რეჟიმს წარმოადგენდა, რადგან მემარცხენეობა იმპლიციტურად თავისუფლებით, თანასწორობითა და ხალხთა თვითგამორკვევის უნარით ხასიათდება, უმრავლესობისთვის სასაცილო, მაგრამ არაფრის მთქმელ პარადოქსს წარმოადგენდა. გარდა ამისა, აღნიშნული შენიღბავდა იმ ფაქტს, რომ მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, საბჭოთა რეჟიმის აღრევა სამხრეთამერიკულ დიქტატურასთან შეუძლებელია. მეორე შემთხვევაში, მარცხი ასევე გარდაუვალი იქნება, რადგან სიტყვების „მემარჯვენეობისა" და „მემარცხენეობის" გამოყენება არ არის თანმიმდევრული. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ამ ტერმინების ფართო გამოყენების გამართლება მოვლენებისთვის დამახასიათებელი ორაზროვნებიდან გამომდინარე. გამოუვალ მდგომარეობაში შეიძლება პირობითი ეტიკეტით დაკმაყოფილება: ამგვარად, აშშ-ის ინტერვენციას ცენტრალურ ამერიკაში მემარჯვენეობას (**იმპერიალიზმი**), ხოლო საბჭოთა კავშირის ინტერვენციას აღმოსავლეთში მემარცხენეობას (**პროლეტარული ინტერნაციონალიზმი**) მივაკუთვნებდით. (აშკარაა, რომ თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, ამ ოპერაციებიდან ერთი **თავისუფალი სამყაროს** დაცვა, ხოლო მეორე **ტოტალიტარული** აგრესია იქნება). საუკეთესო შემთხვევაში, ამგვარი დემარში (თუკი ის წმინდა წყლის ცინიზმი არაა) მოცემულის გამეორებამდე მიგვიყვანდა: რასაც მემარცხენეობას უწოდებენ მემარცხენეობაა, რადგან მას მემარცხენეობას უწოდებენ და იგივე მემარჯვენეობასთან დაკავშირებით. არაფერია გარკვეული და კვლავ საწყის წერტილს ვუბრუნდებით. მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის ობიექტური და მოტივირებული დეფინიციის იდეა ილუზორულია, რადგან თუ აღნიშნული ცნებები ნათელია განსაზღვრულ კონიუნქტურაში, ისინი დროთა განმავლობაში იცვლება. მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას მნიშვნელობა აქვს სინქრონულობაში და არა დიაქრონიაში.

147. შეუძლიათ თუ არა მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის ცნებებს ტიპოლოგიის შექმნა? — ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ a priori საკითხი ნეგატიურად უნდა გადაწყდეს. როგორ შეუძლიათ მკაფიო და მუდმივი შინაარსის არქონე ცნებებს ტიპოლოგიის დაფუძნება? თუმცა რეალობა უფრო კომპლექსურია. აშკარაა, რომ ცნებებს არა აქვთ უცვლელი შინაარსი. ასევე ცხადია, რომ ამ ცნებების დაპირისპირება წინააღმდეგობის პრინციპს არ ექვემდებარება (ზოგიერთი რამ ერთდროულად მემარჯვენეობასაც და მემარცხენეობასაც მიეკუთვნება.... რაც არ ნიშნავს, რომ ისინი ცენტრიზმს ეხება).[41]

უეჭველია, რომ აღნიშნული ცნებები რეალობის სირთულეს ცუდად ითვალისწინებს. ამავე დროს, მათ გააჩნიათ უდავო სიმყარე განსაზღვრულ კონიუნქტურაში. რენე რემონის აზრით, ისინი სპეციალისტებს არ გამოუგონიათ. ამ უკანასკნელთ ეს ცნებები შექმნილი და ჩამოყალიბებული დახვდათ ინდივიდთა ცნობიერებაში. თუმცა ზოგიერთნი, როგორც პოლიტიკოსები ისე მოქალაქეები, მათ უარყოფენ. გამოკითხვები პერიოდულად აფასებენ მათთდამი გამოხატულ ნდობას, მოცემული ვარიანტების რეალური მნიშვნელობის ცოდნის გარეშე. გვსურს თუ არა, მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის ცნებები წარმოადგენს ერთადერთ კატეგორიებს, რომლის მეშვეობით ადამიანთა უმრავლესობა პოლიტიკას აღიქვამს. ამის წყალობით, მათ ეფექტურობის მაღალი დონე გააჩნიათ. ისინი გვიჩვენებენ სიტყვის განსაკუთრებულ როლს პოლიტიკურ სამყაროში ისე, როგორც ის პირველ ნაწილში იქნა განხილული. ადამიანის, პარტიის, იდეის კლასიფიკაცია მემარჯვენეობის ან მემარცხენეობისადმი მიკუთვნების მიხედვით არ არის უმნიშვნელო, რადგან აღნიშნული საზოგადოებრივი აზრის ნაწილში მიმხრობის ან მტრული დამოკიდებულების რეფლექსს იწვევს. ამგვარი მექანიზმი ირაციონალობის აპოთეოზია რადგან აშკარაა, რომ რა სახელიც არ უნდა დავარქვათ საგნებს, ისინი ამით არ იცვლებიან. ასევე ირაციონალური იქნებოდა იმის მტკიცება, რომ რეალობა განსხვავებულია იმიტომ რომ ეს ამგვარად უნდა ყოფილიყო. ჩიხი, რომელთანაც ცნებების ანალიზს მივყავართ, არავითარ გავლენას არ ახდენს მათ ეფექტურობაზე. თუკი განსხვავების შინაარსი ცვალებადია, განსხვავება მაინც მუდმივად რჩება. ის ცარიელ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც ყოველ წამს მნიშვნელობის შეძენა შეუძლია. განა უკეთესი არ იქნებოდა ნორმატიული თვალსაზრისის მიღება? განსხვავების არქონა დემოკრატიული საზოგადოებების დანგრევას გამოიწვევდა. საუკეთესო შემთხვევაში ის მონოტონურ მმართველობამდე მიგვიყვანდა, უარეს შემთხვევაში კი ერთადერთი პარტიის დიქტატურამდე. ამიტომაც, აუცილებელია განსხვავებების არსებობა და ორი ტერმინის (მემარჯვენეობა და მემარცხენეობა) დაპირისპირება, რომელიც იოლად აღსაქმელია საზოგადოებრივი აზრის მიერ.

შეიცავენ კი გაკეთებული დაკვირვებები პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგიის შექმნის შესაძლებლობას მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის ცნებების საფუძველზე? თუკი მეცნიერულ ტიპოლოგიას ვიგულისხმებთ პასუხი უეჭველად ნეგატიური იქნება. მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის დაპირისპირება, მოცემულ მომენტშიც კი, განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე და ტიპოლოგიის შესაქმნელად განკუთვნილ არანაირ კატეგორიას არ განეკუთვნება. ეს დაპირისპირება არ ადასტურებს კადრებისა და მასობრივ პარტიებს შორის განსხვავებას. ყველას მომცველი პარტიები ინდიფერენტული არიან როგორც მემარჯვენეობის, ისე მემარცხენეობის მიმართ. რაც შეეხება მათი საკუთარი კატეგორიების შექმნას, აშკარაა, რომ ინტელექტუალური აუცილებლობის მინიმუმის შენარჩუნების შემთხვევაში, ამ ცნებებს ამის გაკეთების უნარი არ შესწევთ. მაგრამ თუ რეფლექსურ დონეს სტიქიური პოლიტიკური დონის სასარგებლოდ დავთმობთ, მაშინ მემარჯვენეობა და მემარცხენეობა უკვე ტიპოლოგიაა, ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ის ეფექტური და ნორმატიულია და პოლიტიკურ ასპარეზს ფარგლავს, მსჯელობებს განსაზღვრავს და არჩევანს მიმართულებას აძლევს. ეს სიტყვების ერთიმეორის შევსების ის ტიპური შემთხვევაა, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების ცნებას საკუთარ ხასიათსა და ორაზროვნებას ანიჭებს. ტიპოლოგია, რომელიც მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას ერთმანეთს უპირისპირებს, არ შეიძლება გამართლებული იყოს როგორც მეცნიერული ცნება და არც გაუქმებული როგორც

---

[41] გარკვეულწილად ფრანგული პოლიტიკისთვის ტიპური ცენტრიზმის ცნება შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი. მხოლოდ ავღნიშნავთ, რომ ის კითხვის ქვეშ არ აყენება მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის არსებულ დაპირისპირებას და პირიქით, მას გულისხმობს. საწინააღმდეგო და ანტითეზური თვალსაზრისი შესაძლებელს ხდის შუალედური თვალსაზრისის არსებობასაც.

ფაქტი. ის პოლიტიკური მეცნიერების ობიექტს წარმოადგენს, მაგრამ ამ უკანასკნელისთვის ანალიზის ინსტრუმენტად ვერ გამოდგება.

ნაწილი III. პოლიტიკური პარტიების ფუნქციები

1 / დასავლეთის დემოკრატიებში პოლიტიკური პარტიების ფუნქციები

148. პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურირება. — პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურირების ფუნქციის გასარკვევად, რომელსაც პარტიები ასრულებენ, გონებაში უნდა ექსპერიმენტი ჩავატაროთ: რა იქნებოდა პარტიების არარსებობის შემთხვევაში? ალბათ, პოლიტიკური ცხოვრება საყოველთაო შეხლა-შემოხლას დაემსგავსებოდა, რომელშიც თითოეული მოქმედი პირი მხოლოდ საკუთარი თავისთვის იბრძოლებდა და მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენდა. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური პარტიები ორი ხერხის მეშვეობით, მოქალაქეებს ორიენტირს სთავაზობენ: თავისი არსებობით ისინი ელექტორალურ არჩევანს განმარტავენ, ხოლო თავისი პროგრამებით ისინი მმართველთა პრევენციული გაკონტროლების გარკვეულ შესაძლებლობას იძლევიან.

უპირველეს ყოვლისა, პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არჩევნებში ხმის მიცემის პროცესში. თავისი ყოფნითაც კი ისინი არჩევნებს მნიშვნელობას უცვლიან. არჩევანი აღარ წარმოადგენს რომელიმე ადამიანისადმი მიმხრობას მისი ინდივიდუალური თვისებების გამო. ასე რომ ყოფილიყო ამომრჩევლის ურთიერთობა რჩეულთან არ გასცდებოდა პირადი ნდობის ზღვარს, რომელსაც ზოგადი და არა მოლაპარაკებაზე დაფუძნებული ხასიათი ექნებოდა. ამგვარად, რთული იქნებოდა რჩეულის ქმედებისთვის მიმართულების მიცემა. თუმცა პირადი ფაქტორები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამომრჩეველთა მიერ არჩევანის გაკეთების დროს. ამ ფაქტორების როლი ზოგჯერ გადამწყვეტია: ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკოსს შეუძლია არჩეული იქნეს, ისე რომ არ მიეკუთვნებოდეს რომელიმე დიდ პოლიტიკურ მიმდინარეობას.[42] მომხრეთა ორგანიზებული სისტემის ჩამოყალიბების დროიდან პირადულობის ელემენტი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, აღარ წარმოადგენს ერთადერთ ელემენტს. პოლიტიკოსთა უმრავლესობა რომელიმე პარტიაში წევრიანდება, რომელიც ხშირად კოალიციის შიგნით სხვა პარტიებთან ერთიანდება. ამგვარად, საარჩევნო ბიულეტენი ორმაგ ან სამმაგ მნიშვნელობას იძენს: ადამიანის, პარტიის ან კოალიციის არჩევა, რომელიც შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდეს. ხდება ისეც, რომ ზოგიერთი ამომრჩეველი ამ ელემენტებს შორის წინააღმდეგობას ხედავს: შეიძლება ხმა მისცე ერთ ადამიანს და არა მის პარტიას, და პირიქით. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, ნდობა ორივეს მიმართ იჩენს თავს. ამომრჩეველთა მოტივაციებს, რომელიც შესაძლოა პოლიტიკური მეცნიერებისთვის ინტერესს წარმოადგენდეს, სამაგიეროდ პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვთ: ცნობილია მხოლოდ კანდიდატთა და პარტიების მიერ მიღებულ ხმათა მთლიანი რაოდენობა და არა მიმხრობის, ენთუზიაზმის ან დათმობის ხარისხი, რომელიც ამომრჩეველმა საარჩევნო ბიულეტენის ურნაში ჩაგდებისას გამოავლინა. პოლიტიკური პარტიები მიღებულ ხმებს განმარტავენ როგორც სრული ნდობის გამოვლინებას. ამგვარად, მიღებულ ხმებს პარტიები ისაკუთრებენ მიუხედავად იმისა, რომ ისინი პიროვნებებისთვის იყო მიცემული.

ამგვარია პირველი მექანიზმი, რომლის მეშვეობით პარტიები პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურას ქმნიან: პარტიები ამომრჩევლებს არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ტენდენციების არჩევის საშუალებასაც აძლევენ. იმისათვის, რომ ამ ევოლუციამ ლოგიკურ დასასრულს მიაღწიოს აუცილებელია, რომ პარტიებმა წინასწარ წარმოადგინონ მიზნები და საშუალებები, რომელსაც ისინი ამ მიზნების განსახორციელებლად აამოქმედებენ. საპირისპირო შემთხვევაში, კოლექტიურ დონეზე კვლავ აღმოჩნდებოდა ამომრჩეველის ნდობა რჩეულისადმი, როგორც ეს პარტიების გამოჩენამდე არსებობდა. ამიტომაც, პროგრამულ ფუნქციას, ზოგადად, არჩევნებთან დაკავშირებული აქტიურობის დაგვირგვინებად მიიჩნევენ. პროგრამები თანმიმდევრული და რეალისტური წინადადებების ერთობლიობაა, რომელსაც პარტიები ამომრჩევლებს წარუდგენენ,

[42] საფრანგეთში აღნიშნული ფენომენი შედარებით ხშირი იყო 60-იან წლებში. მაჟორიტარიზმის გამკაცრებასთან ერთად ის გამოხაკლისად იქცა, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო დონეზე.

ხოლო ამ უკანასკნელებმა პროგრამებს შორის არჩევანი უნდა გააკეთონ. ამასთანავე, საარჩევნო ოპერაცია გამჭვირვალობით იგებს: კანდიდატისა და პარტიისგან დამოუკიდებლად მოქალაქეს მომავლის გეგმაზე აზრის გამოთქმის საშუალება ეძლევა. ამგვარად, მას იწვევენ არჩევანი გააკეთოს ძირითად შესაძლებლობებს შორის, რომელიც პირადად მას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ გასაგები და დეტალური პროგრამების წარდგენით პარტიები ამომრჩეველს პასუხისმგებლობის მქონე ჩამოყალიბებულ ადამიანად მიიჩნევენ და მისგან, როგორც არასრულწლოვანისგან მხოლოდ ბრმა ნდობას არ ითხოვენ.

ამგვარია ის ღირსება, რომელსაც ბანალური ოპტიმიზმი პოლიტიკურ პროგრამებს მიაწერს. ეს ხედვა არ არის მცდარი: პროგრამები პროგრესს წარმოადგენს დემოკრატიის მიმართულებით. თუმცა ამგვარი ხედვა ძალიან გამარტივებულია. საკმარისია კი სრულყოფილი დემოკრატიის მისაღწევად პარტიებმა იქონიონ მკაფიო და თანმიმდევრულ პროგრამაში გაერთიანებული მკაცრი ვალდებულებები იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა ჭეშმარიტი არჩევანი გააკეთონ და რჩეულებს თავისი ნება წარუდგინონ? რა თქმა უნდა პასუხი უარყოფითია და აღნიშნულს სამი მიზეზი აქვს.

1) იშვიათად ხდება, რომ ამომრჩეველი მთლიანად ემხრობოდეს პარტიის პროგრამას: მაგალითად, იგი ემხრობა პროგრამის ეკონომიკურ მხარეს, მაგრამ არ მოსწონს მისი საგარეო პოლიტიკა და სხვ. ამომრჩეველმა დადებით და უარყოფით მხარეს შორის ბალანსი უნდა დაამყაროს თავისი მისწრაფებების სრული დაკმაყოფილების გარეშე. ამავე დროს, მას არ გააჩნია ობიექტური კრიტერიუმები რაციონალური არჩევანის გასაკეთებლად. სწორედ აქედან მომდინარეობს ის იმედგაცრუება, რომელიც მოქალაქეში პარტიის სისტემით წარმოჩენის გრძნობას ამცირებს.

2) წინასაარჩევნო დაპირებები რეალობის შეზღუდვებს ეჯახება. ოპოზიციისთვის იოლია იმის განცხადება, რომ ყველაფერი შესაძლებელია, ერთნი ყველაფერს მიიღებენ სხვების დაზარალების გარეშე, ხორბლის ფასი აიწევს, პურის ფასი კი დაიწევს. ხელისუფლებაში მოსვლისას პოლიტიკოსები ხვდებიან, რომ მათი მანევრირების თავისუფლება შეზღუდულია, განსაკუთრებით თანამედროვე საზოგადოებაში, რომლის კომპლექსურობა უხეშ ტრანსფორმაციას უპირისპირდება. დღის წესრიგში მმართველობის აუცილებლობა დგება, წინასწარმეტყველებს მმართველები ენაცვლებიან, ლირიკას კი პროზა მოჰყვება. ამგვარი მდგომარეობა, მიუხედავად გარკვეულობისა, აქტივისტთა გულაცრუებას იწვევს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პროგრამა არ არის დაცული.

3) თავისი ბუნებით პროგრამა დადგენილი რეალობაა: ის მოცემული კონიუნქტურით იყო შემუშავებული, რომელსაც არ შეეძლო მოულოდნელი სიტუაციის გათვალისწინება. შემოვიფარგლებით ერთი ცნობილი მაგალითით, რომელიც დაკავშირებულია 1972 წელს მემარცხენე მთავრობის მიერ ხელმოწერილ საერთო პროგრამასთან. ამ უკანასკნელს არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა ნავთობის ფასის ზრდა, რამაც ერთ წელიწადში ბათილი გახადა ყველა ეკონომიკური წინადადება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში მოსულ ყველა პარტიას გარემოებათა ცვლილებების მოშველიება შეუძლია ადრე გაცხადებულისგან განსხვავებული პოლიტიკის გასატარებლად. საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა არა აქვს, ცდილობენ თუ არა პარტიები ობიექტურად, თუ პირველივე საბაბის გამოყენებით, გაამართლონ არაღიარებული მოტივებით ნაკარნახევი შეხედულებათა მკვეთრი ცვლილება. მთავარია ის ფაქტი, რომ გარდაუვალად ჩნდება წინააღმდეგობა ტრანსფორმირებად ისტორიულ რეალობასა და პროგრამას შორის, რომელიც უცვლელი რჩება რედაქტირების მომენტიდან. მას სულ უფრო ნაკლებად მოიშველიებენ და ის ჩვეულებისამებრ ორმხრივი თანხმობით დავიწყებას ეძლევა: არჩევნების დაწყების მომენტში არც ამომრჩევლები და არც რჩეულები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ გუშინდელი და დღევანდელი პროგრამის შედარებას. ამ რიტუალს უგულოდ ასრულებენ. როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური სამყარო მაინც მომავალზე ორიენტირებული არჩევანია. რაც არ უნდა ითქვას, პოლიტიკური პროგრამა მხოლოდ მცირედით ამცირებს ამ ძირითად უნდობლობას. მისი არსებობა მოქალაქეებს იმ ორიენტირებს სთავაზობს, რომელიც ამ უკანასკნელთ მის გარეშე არ ექნებოდათ. თუმცა სინამდვილეში ის მოქალაქეებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შეგრძნებაა არ აძლევს. ამ შედეგის მიღწევა მხოლოდ ნახევრად პირდაპირი დემოკრატიის პროცედურებითაა შესაძლებელი, რეფერენდუმისა და სახალხო ინიციატივის მეშვეობით.

149. კანდიდატების არჩევა. — პარტიების მეორე აღიარებულ ფუნქციას კანდიდატთა შერჩევა წარმოადგენს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი როლია. იმისათვის, რომ არჩეული იყო, კანდიდატი უნდა გახდე. აღნიშნული ბანალური ჭეშმარიტებაა, რომლის შედეგები უდავოდ გასათვალისწინებელია. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პოლიტიკური ფუნქციების შესრულებისთვის განკუთვნილი კანდიდატურა კერძო ინიციატივას წარმოადგენს: ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასეც არის ან, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე გამოიყურება.[43] თუმცა თითოეულს შეუძლია კანდიდატი გახდეს და საკუთარ თავს მისცეს ხმა. ამავე დროს, აუცილებელია წინასაარჩევნო მექანიზმის არსებობა, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში სწორედ პარტიები უზრუნველყოფენ. ისინი ქმნიან ბუნებრივ გარემოს, სადაც მომავალი პოლიტიკოსები კოლექტიური პასუხისმგებლობის აღებამდე საჯარო ცხოვრების გამოცდილებას იძენენ. პარტიის ხელმძღვანელები მათ გამოცდას უწყოფენ, ამოწმებენ მათ უნარს, თანდათან პარტიის იერარქიის საფეხურებს ალახინებენ. გარკვეული დროის შემდეგ, ისინი ვინც პარტიის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, შერჩეულები იქნებიან ამომრჩევლებამდე პარტიის პოზიციის მისატანად.

კანდიდატების დანიშვნა სხვადასხვა პროცედურების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს კადრებისა და მასობრივ პარტიებს შორის არსებული განსხვავების საფუძველზე. კანდიდატები შეიძლება კოოპტირებულნი იყვნენ პარტიის მმართველი ორგანოების მიერ, ან არჩეულნი პარტიის ქვედა ეშელონზე. პირველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ცნობილი ადამიანების ჯგუფთან, რომლებიც აღიარებენ ინდივიდის თვისებებს, რაც კანდიდატს მათ შორის ყოფნის საშუალებას აძლევს. შერჩევის ამგვარი ფორმა ამორჩეული პიროვნებებისგან იმ პიროვნებების მსგავს ღირებულებებისა და აზროვნების წესის მიღებას მოითხოვს, რომელთაც ისინი აირჩიეს. აღნიშნულს მმართველთა ჯგუფის კულტურული ნიშნების რეპროდუქციამდე მივყავართ. მეორე შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებენ ის ინდივიდები, რომლებიც მმართველი ჯგუფის ნაწილს არ მიეკუთვნებიან. ამგვარი გადაწყვეტილება უფრო მეტად ხელს უწყობს ახალი ელიტის შექმნას.

პრაქტიკაში ხშირად რთულია კოოპტაციასა და ქვედა ეშელონის მიერ არჩევას შორის არსებული განსხვავებით ოპერირება. იშვიათია, რომ კოოპტაცია სრულიად ღიად წარმოჩნდებოდეს. პარტიებისთვის მნიშვნელოვანია გარეგნულად მაინც, შიდა დემოკრატიული ცხოვრების ჩვენება. ამგვარად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები ქვედა ეშელონს დასამტკიცებლად გადაეცემა. რა თქმა უნდა, აშკარაა, რომ ამ უკანასკნელს არჩევანის თავისუფლება არა აქვს. მორჩილებას შეჩვეული, ტრადიციული ზეწოლის სხვადასხვა ფორმებისადმი დაქვემდებარებული ქვედა ეშელონი მეტ-ნაკლები თავაზიანობით თანხმდება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს. როგორც ვნახეთ, მასობრივ პარტიებშიც კი, სადაც რეალური დემოკრატია არსებობს, ცენტრალურ ორგანოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მასობრივ პარტიებში, თუკი კომუნისტური პარტიების განსაკუთრებულ შემთხვევას გამოვრიცხავთ, ინდივიდის დაწინაურება ქვედა ეშელონის მიერ შესაძლებელია, მაგრამ ის ხანგრძლივი არ იქნება თუ ინდივიდს მმართველი ჯგუფი არ მიიღებს.

უნდა დავსძინოთ, რომ განსხვავებები პირველად ორგანიზაციასა და მმართველ აპარატს შორის არ აიხსნება მხოლოდ ხელმძღვანელთა სურვილით დარჩნენ თავის თანამოაზრეებს შორის. განსხვავებები ასევე განსხვავებული ხედვიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, პარტიის ხელმძღვანელები ჩვეულებისამებრ არჩევნებში გამარჯვებისთვის ზრუნავენ. ამიტომაც, ისინი მტკიცე რწმენის მქონე კანდიდატებს, რომლებიც აქტივისტებს მოსწონთ, არჩევენ მოქნილ და ნაკლებად დოგმატურ ინდივიდებს, რომლებიც უკეთ შეძლებენ არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვებას. მეორე მხრივ, მმართველ პარტიას ან პარტიას, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლა სურს, კომპეტენტური ადამიანები ესაჭიროება, რომელთაც უცილობლად არა აქვთ იდეალური კან-

---

[43] უცნაურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. საფრანგეთის ისტორიასთან („პარტიების ექსკლუზიური რეჟიმის" დაგმობა გენერალ დე გოლის მიერ) და პოლიტიკურ კულტურასთან (ტრადიციული უნდობლობა ამ ორგანიზაციების მიმართ) დაკავშირებულ კომპლექსურ მიზეზთა გამო, პრეზიდენტობის კანდიდატურის წარდგენა ელისეის სასახლეში აუცილებლად პარტიების გარეშე ან მათ წინააღმდეგ განხორციელებული „პერსონალური დემარში" უნდა იყოს. ამავე დროს, კანდიდატურის წარდგენა ორგანიზებულ ძალთა მხარდაჭერას მოითხოვს. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ თუ რომელიმე ინდივიდი თავის კანდიდატურას წარადგენს, მისი შანსები ნულოვანი იქნება, მიუხედავად მისი უაღრესად პერსონალური დემარშისა. აღნიშნული სხვადასხვა სახის გადახრებს იწვევს, რაც ფაქტისა და პრინციპების შეთანხმების მცდელობიდან მომდინარეობს: მაგალითად, როდესაც პარტიის თავჯდომარე, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატია, თავის პოსტს ტოვებს.... მარცხის შემთხვევაში, იგი მაშინვე უბრუნდება თავის თანამდებობას.

დიდატის თვისებები: ბუნებრივობა და თავაზიანობა ადამიანურ ურთიერთობებში, მშერმეტყველება და სხვ. ამ „ცუდი" კანდიდატებისთვის, რომლებიც კარგი მმართველები იქნებიან, შერჩეულია ისეთი საარჩევნო ოლქები, რომელშიც პარტიას მყარი პოზიციები აქვს ნებისმიერი პიროვნების ასარჩევად.

რეალობის გრძნობის დაკარგვის რისკი პარტიის პირველად ორგანიზაციასა და მის ელექტორატს შორის ნათლად არის ილუსტრირებული ამერიკის პირველადი არჩევნების სისტემაში, რომელიც შეიქმნა ცნობილ ადამიანთა კომიტეტების მიერ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატთა არჩევის პროცესის მონოპოლიზაციის თავიდან ასაცილებლად. ამ მეთოდის დემოკრატიული ხასიათი უდავოა, რადგან ის საარჩევნო პროცესის არა მხოლოდ ფინანსური, არამედ ყველა სტადიის სახალხო კონტროლის საშუალებას იძლევა. თუმცა, კანდიდატის არჩევის მინდობის შემთხვევაში პარტიის ყველაზე მოტივირებული ამომრჩევლებისთვის, მათ ვინც პირველად არჩევნებში აძლევენ ხმას, შეიძლება არჩიონ ისეთი კანდიდატები, რომლებიც ექსტრემისტემად იქნებიან მიჩნეულნი მთლიანი ელექტორატის მიერ და ამგვარად, გამარჯვების არავითარი შანსი არ ექნებათ.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ კანდიდატთა დანიშვნა სპეციფიკურ ფუნქციას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ის პირად არჩევანამდე და სუბიექტური უპირატესობის მინიშნებამდე არ დაიყვანება, არამედ მან სხვადასხვა ფაქტორების ინტეგრირება უნდა მოახდინოს. ამგვარად, პარტიები წარმოადგენენ იმ ორგანოს, რომელიც ყველაზე უკეთ არის ადაპტირებული ამ ფუნქციის შესასრულებლად, რადგან ეს ორგანო ის სპეციფიკური ადგილია, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა განსახილველი პარამეტრების ამოცნობა, გაანალიზება და ამ პარამეტრებს შორის არბიტრაჟის განხორციელება.

150. სოციალური ინტეგრაციის როლი. — პარტიების მესამე ფუნქციას მისი სოციალური ინტეგრაციის როლი წარმოადგენს: კომპლექსური, ბუნდოვანი კონტექსტის მქონე ცნება. ის ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ რეალობებს ასახავს და ამიტომაც მათი აღწერა წინათ აღწერილ რეალობებზე რთულია. ამავე დროს, ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან მათი მეშვეობით პარტია თავისთვის სოციალურ დამკვიდრებას უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში თუ პარტიები ამ როლს არ ასრულებენ, ისინი ჯგუფებზე თვითნებურად მიწებებულ ეპიფენომენთა რანგამდე იქნებიან დაყვანილი და ვერ გამოხატავენ იმ მისწრაფებებს, რომელიც მათთვის არ იქნება მიკუთვნებული.

უპირველეს ყოვლისა, პარტიები სოციალური ინტეგრაციის როლს ინდივიდუალურ დონეზე ასრულებენ. აუცილებლობას არ წარმოადგენს ამ საკითხზე მსჯელობა, რადგან ამ როლის არსი მხოლოდ აქტიური მუშაობის მოტივების გამოყენებას წარმოადგენს, რომელიც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ.

ინდივიდუალური დონის გარდა, პარტიები სოციალური ჯგუფების ინტეგრირების როლს ასრულებენ. ისინი მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის შუამავლები არიან. აქტივისტები დეპუტატს იცნობენ, რომელიც თავის მხრივ, მინისტრს იცნობს. ამგვარად ყალიბდება ურთიერთობა, თუმცა შეზღუდული, რომელიც შესაძლებელს ხდის განკარგულებისა და მორჩილების მარტივი ურთიერთობის გადალახვას. ამგვარი ურთიერთობით პარტიები ამცირებენ ხელისუფლებისა და საზოგადოების გლობალური შეჯახების რისკს. ეს ურთიერთობა ორი მიმართულებით ფუნქციონირებს. პარტიები მოქალაქეებს ცალკეულ საჩივარზე მაღლა დადგომას სთავაზობენ: ისინი ინდივიდთა საჩივრებსა და მოთხოვნებს აგროვებენ. საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების ხელმისაწვდომობის წყალობით, პარტიები აღნიშნულის საჯარო და ხმამაღალ გამოხატვას უზრუნველყოფენ. თუმცა მათი როლი მხოლოდ ამით არ ამოიწურება. პარტიები იმ გზავნილის მოდიფიცირებას ახდენენ, რომელსაც გადასცემენ. ისინი წარმოადგენენ პასუხისმგებელ ორგანოებს, რომლებიც ინფორმირებული არიან ობიექტური საჭიროების თაობაზე და ჩაბმული არიან ბრძოლაში, რომელშიც ნებისმიერი მცდარი ნაბიჯი სახიფათოა. პარტიები მოთხოვნებს გეზს აძლევენ და არბილებენ მათ გადაჭარბებულ და ანარქისტულ ასპექტს. ამგვარად, ისინი ერთდროულად უკმაყოფილების თავმოყრის ადგილსა და საზოგადოებიდან წამოსული ყველაზე დესტრუქციული ტენდენციებისგან დამცველ მექანიზმს წარმოადგენენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტიები შესაძლებელს ხდიან არა სოციალური კონფლიქტების აღკვეთას, არამედ მათ ფორ-

მალიზებულ გამოხატვას. აქ ჩვენ კვლავ შევხვდებით იმ ცნებებს, რომელიც ისთონის სქემის შესწავლისას ვახსენეთ.

პარტიების როლი შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. როდესაც პარტიები თავის მომხრეებს სხვადასხვა კატეგორიიდან აგროვებენ, მათ უნარი შესწევთ ეს უკანასკნელნი საკუთარ ინტერესებთან კონფორონტაციამდე მიიყვანონ სხვების აზრის გასათვალისწინებლად და ამგვარად, დაითანხმონ საკუთარი მოთხოვნების შეზღუდვაზე სოციალური ქარგის განხეთქილების თავიდან ასაცილებლად. ამ ქმედებას პოლიტიკური პარტიების გამაერთიანებელ ფუნქციას უწოდებენ. სხვადასხვა სოციალურ ძალთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, პარტიას განსხვავებულ ინტერესებს შორის არბიტრაჟის როლის შესრულება შეუძლია. ამგვარ სტრატეგიას ორმაგი მნიშვნელობა აქვს: მას შეუძლია ჯგუფების ის წარმომადგენლები, რომლებიც თავს შეეიწროებულად მიიჩნევენ, პარტიის დატოვებამდე მიიყვანოს. სწორედ ამიტომ ყველას მომცველი პარტიები სისტემატურად არიდებენ თავს ამ პროცესს და მთელ პასუხისმგებლობას მმართველებს აკისრებენ. მეორე მხრივ, არბიტრაჟის მცდელობა შეიძლება პოზიტიური პოლიტიკის საფუძველი გახდეს პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ამით პარტია მისდამი რწმენას აძლიერებს, აჩვენებს, რომ არათანმიმდევრულ პროგრამას, დოგმატური და შეუსაბამო დაპირებათა უბრალო გროვას კი არ სთავაზობს, არამედ მთავრობის წინაშე მდგარი პრობლემების რეალისტურ გამოხატვას. ხელისუფლების აღსრულების პირობებზე ზრუნვა პარტიებისთვისაა დამახასიათებელი, რაც მათ ზეწოლის ჯგუფებისგან განასხვავებს, რომლებიც პირიქით, მათ წევრებს შორის ნებისმიერ არბიტრაჟზე უარს ამბობენ, მომთხოვნელობის პოტენციალის შემცირების თავიდან ასაცილებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიები ერთდროულად წესრიგისა და უწესრიგობის ფაქტორები არიან. უწესრიგობის შემთხვევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ამ სიტუაციას იმ ქვეყნების სიტუაციას ადარებენ, სადაც პოლიტიკური პარტიები აკრძალულია. გარე დამკვირვებლისთვის ამგვარი ქვეყნები უცნაურად მშვიდად გამოიყურებიან: ადგილი არა აქვს არც დემონსტრაციებს, არც გაფიცვებს და არც „ველურ" აფიშებს და სხვ. თუმცა სიმშვიდე აშკარად მოჩვენებითია: კონფლიქტების რისკი ნაკლები არაა და მძაფრი აფეთქების რისკი თავიდან არ არის აცილებული. პირიქით, პოლიტიკური პარტიები კონფლიქტებს გამოხატავენ, რითაც მათ გამწვავებას უწყობენ ხელს: აღნიშნული პოლიტიზაციის ნეგატიური ასპექტია. შეიძლება ასევე ითქვას, რომ ამ შემთხვევაში პარტიები უსაფრთხოების სარქველის როლს ასრულებენ. გაცხადებული უკმაყოფილება დამამშვიდებლადაც მოქმედებს და განსაკუთრებით აქვს შანსი შესმენილი იყოს. უკმაყოფილების გამოხატვაშიც კი ხელისუფლებას თავისი საფუძვლის გამყარების საშუალება შეუძლია მონახოს. პარტიები ასევე ხელს უწყობენ, ყველაზე ხელსაყრელ შემთხვევაში, სოციალურ პარტნიორებს შორის კომპრომისული გამოსავლის მონახვას. ყოველივე პარტიებს წესრიგის ფაქტორად აქცევს.

ამგვარად, პარტიების გავლენა ამბივალენტურ ხასიათს ატარებს, რაც სხვათა შორის, იმ საპირისპირო მსჯელობების არსებობას ხსნის, რომლის ობიექტსაც ისინი წარმოადგენენ: არეულობათა წამომწყები ან დემოკრატიის ბურჯი. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ორაზროვანი ხასიათი რევოლუციური პარტიებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთა საბოლოო მიზანსაც სისტემის დანგრევა წარმოადგენს. როგორც კი ასეთი პარტიები უარს ამბობენ შეუპოვარ ძალადობაზე საერთო სტრატეგიულ პერსპექტივაში თავისი ქმედების ჩასართველად, ისინი არაპირდაპირი გზით იმ სისტემას აძლიერებენ, რომლის წინააღმდეგადაც იბრძვიან. ამის მაგალითია საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომლის როლი ჟორჟ ლავომ გაანალიზა და ტრიბუნის ფუნქციის ცნება შემოგვთავაზა. რომის მსგავსად, სადაც ტრიბუნები პლებეებს აწვდიდნენ ხმას, ასევე კომუნისტური პარტია ჩაგრული სოციალური კლასების რუპორის როლს ასრულებდა, რომლის გარეშეც ისინი დიდად ვერ აიმაღლებდნენ ხმას. თავისი არსებობის ფაქტით, კომუნისტური პარტია მმართველებს გარკვეულწილად მუშათა კლასის მოთხოვნებისთვის ანგარიშის გაწევას აიძულებდა. ამ უკანასკნელის არსებობის პირობები გაუმჯობესდა, მაგრამ მისი ბრძოლისუნარიანობა შემცირდა. პარადოქსულად, მაგრამ ობიექტურად კომუნისტურმა პარტიამ ინტეგრატორის როლი შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში ის არსებული სისტემის დამარცხებას ისახავდა მიზნად. კლასიკური მნიშვნელობით, საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის დაკნინება, ამ ანალიზს წარსულს მიაკუთვნებს. თუმცა ის თეორიულ ინტერესს ინარჩუნებს.

ტრიბუნის ფუნქციის ცნება სხვა ავტორთა კამათის საგანიც გახდა. თუმცა ის ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური სისტემის რეალური ფუნქციონირება ბევრად რთული და ორაზროვანია იმასთან შედარებით, რასაც ფიქრობენ გაცხადებული ლოზუნგებითა და პირველადი ანალიზით დაბრმავებული დამკვირვებლები. პარტიების გამოხატული ფუნქციების გვერდით ფარული ფუნქციებიც არსებობს ანუ ისეთი ფუნქციები, რომლის შესრულება არა აქვთ გათვითცნობიერებული ან ასრულებენ, როგორც მათი საქმიანობის უნებლიე დანამატს. პარტიებს ინდივიდების მსგავსად, ყოველთვის არა აქვთ იმის განზრახვა, რასაც ისინი აკეთებენ. ნებისმიერი ქმედება შემთხვევითობის რისკს შეიცავს და გაუთვალისწინებელ ან არასასურველ შედეგებს იწვევს. ამ შემთხვევაში, მეცნიერული ანალიზის ამოცანაა არა მოქმედ პირთა აზრის რეპროდუქცია საკუთარი საქმიანობის შესახებ, არამედ იმის განსაზღვრა, რასაც ისინი ობიექტურად აკეთებენ ე.ი. როგორ და რისთვის.

მეორე მხრივ, პარტიები კავშირს უზრუნველყოფენ ზემოდან ქვევით. მართლაც, ისინი მმართველებს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალებას სთავაზობენ. დემოკრატიულ წყობაში, აღნიშნული ფუნქცია, რომელიც სავარაუდოდ მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ პარტიას შეიძლება გააჩნდეს, შედარებით შეზღუდულია. ის დაახლოებით შემდეგზე დაიყვანება: თავისი ზემდგომების მიერ სათანადოდ განსწავლული და დამუშავებული პარტიის აქტივისტები მთავრობის პროპაგანდისტებივით მოქმედებენ. ისინი თავის ინიციატივებს განმარტავენ, თავის ქმედებებს ამართლებენ და შეცდომებისთვის ბოდიშს იხდიან. ამგვარად, მთავრობის განკარგულებაშია ნებაყოფლობითი რეკლამა, რომელიც სამოქმედო ასპარეზთან უკეთ არის ადაპტირებული და ნაკლებად საეჭვოა, რომ ის ამას თავისთვის აკეთებს. მართლაც, ოფიციალური პროპაგანდა ყოველთვის გარკვეულ უნდობლობას იწვევს. თუმცა სწორედ აქ არის ის ფუნქცია, რომლის ეფექტურობა კონიუნქტურის მიხედვით ძალიან ცვალებადია. ზოგჯერ ის მნიშვნელოვანია, ზოგჯერ კი ძალიან შეზღუდული. შემდგომი საკითხის შესწავლა ამ სიტუაციის მაგალითად გამოდგება.

2 / პოლიტიკური წონასწორობა და პარტიების ფუნქციები

151. V რესპუბლიკის მაგალითი: უმრავლესობისა და ოპოზიციური პარტიები. — ამგვარია ის ფუნქციები, რომელსაც ტრადიციული ანალიზი პარტიებს მიაკუთვნებს. აღნიშნული აღწერა ზუსტია მაგრამ ძალიან ზოგადია. პრაქტიკაში, პარტიების ფუნქციები განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომელიც გლობალური პოლიტიკის წონასწორობაზეა დამოკიდებული. ამ ფენომენის გამოსააშკარავებლად უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციონალური კუთხით უნდა იქნეს განხილული პარტიების ფუნქციებზე V რესპუბლიკის რეჟიმის გავლენა.

შეუძლებელია ამ ფუნქციების გაგება 1962-1981 წლებს შორის არსებულ პერიოდში იმ განსხვავებების გაუთვალისწინებლად, რომელსაც ტრადიციული ანალიზი უგულებელყოფს: განსხვავება მმართველ და ოპოზიციაში მყოფ პარტიებს შორის. რა თქმა უნდა, ამ პარტიებს შორის არსებული განსხვავება აშკარა მოცემულობაა და ის ყველა პოლიტიკურ სისტემაში არსებობს, სადაც ორგანიზებული ოპოზიციაა დაშვებული. ჩვენს მიერ განხილული შემთხვევის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მმართველი პარტიები ხელისუფლებაში ოც წელზე მეტხანს იყვნენ. ამ სიტუაციამ, 1958 წლის ინსტიტუციონალურ ჩარჩოსთან შეხამებით, პარტიების ფუნქციებს განსაკუთრებული დაღი დაასვა.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, ტრადიციული ანალიზი ამ შემთხვევაში თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებისგან ხანგრძლივი დაშორება პარტიებისთვის დასუსტების, დისკრედიტაციის გენერატორსაც კი წარმოადგენს. ამით ზარალდება მათი ინტეგრაციული როლი, რადგან მათ მოთხოვნების შესრულებას აღარ ანდობენ. თუმცა ისინი სავსებით ინარჩუნებენ პარტიებისთვის დამახასიათებელ პირველ ორ ფუნქციას. შეიძლება ითქვას, რომ მათ სიცოცხლისუნარიანობის დაბრუნების უნარი შესწევთ, წარმატების დაბრუნების რეალური შანსის გამოჩენისთანავე. 1981 წლის შემდეგ, და მიუხედავად ხელისუფლებაში უფრო სწრაფი როტაციისა, ასიმეტრიულობა უმრავლესობისა და ოპოზიციურ პარტიებს შორის არ გამქრალა. როგორც ჩანს, ის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მოცემულობად იქცა.

152. უმრავლესობის პარტიები და საპროგრამო საქმიანობა. — უმრავლესობის პარტიებში ვლინდება საპროგრამო (კონტრასტი უფრო აშკარაა 1982 წლამდე და შემდეგ) და კანდიდატთა შერჩევის ფუნქციების ატროფია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროგრამო ფუნქციის ატროფია პროგრამების გაქრობას არ ნიშნავს. მათი არსებობა აუცილებელია არჩევნების დასაწყისში ოპოზიციის პროგრამისთვის დასაპირისპირებლად. ამავე დროს, უმრავლესობის პარტიების პროგრამები ორ სპეციფიკურ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც 1981 წლამდე არსებულმა პერიოდმა განსაკუთრებით გამოავლინა.

უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების აღსრულება დაპირებების სივრცეს ზღუდავს. ოპოზიციურ პარტიას შეუძლია ღრმა ცვლილებების შესახებ განაცხადოს. უფლებამოსილების გასვლის პერიოდში მყოფ უმრავლესობას არ შეუძლია ამის გაკეთება ყოველგვარი ნდობის დაკარგვის შიშით. მართლაც, როგორ შეუძლიათ მოქალაქეებს, რომლებიც ხელისუფლებაში უმრავლესობის მმართველობის მოწმენი იყვნენ დაიჯერონ, რომ იგივე თანამდებობებზე დამტკიცებული იგივე ადამიანები სრულიად სხვაგვარად მოიქცევიან? ამიტომაც, უფლებამოსილების ამოწურვის პროცესში მყოფ მმართველ უმრავლესობას მხოლოდ უმნიშვნელო გაუმჯობესების დაპირების მიცემა შეუძლია. ისინი იმპლიციტურად წინათ გატარებული პოლიტიკის გაგრძელებას სთავაზობენ. ამგვარი სიტუაცია, სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით, უპირატესობას ან უარყოფით მხარეს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ უწინდებურად მოქმედების იდეა წარმოსახვას ვეღარ აღაფრთოვანებს. ის აშკარად მიუღებელია მათთვის, ვინც არსებული მდგომარეობით უკმაყოფილოა. უპირატესობა ვლინდება იმდენად, რამდენადაც აღნიშნული იდეა სიმშვიდის მომტანია: უკეთესი კარგის მტერია, უცნობი რამ შიშს ბადებს, გარანტირებული უწყვეტობა ავანტიურის საპირისპიროდ. ორივე ტენდენცია საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს, ასევე ინდივიდებშიც. პიროვნებების, ისტორიული პერიოდების მიხედვით, ერთი ან მეორე ტენდენცია დომინირებს, რის შედეგადაც უფლებამოსილების ამოწურვის პროცესში მყოფი უმრავლესობის მდგომარეობა სუსტდება ან ძლიერდება.

მეორე მხრივ, პროგრამები პარტიების საქმიანობის შედეგს არ წარმოადგენდა, მათ შეეძლოთ მხოლოდ პროგრამების მოწონება და ნაწილობრივ შემუშავება. ეს ხდებოდა უპირველეს ყოვლისა ტექნიკური მიზეზით: ადმინისტრაციის წყალობით მთავრობას ინფორმაციის შეგროვების შეუდარებლად ძლიერი ინსტრუმენტი გააჩნდა, სახელმწიფო ეკონომიკური ინფორმაციისა. მას შეეძლო სოციალური რეალობის მიმზიდველი სურათის შექმნა და მის საფუძველზე დეტალური, თანმიმდევრული და დამაჯერებელი პროგრამის ჩამოყალიბება. ნებისმიერ პარტიას, პირველი პუნქტის გამო, არ შეეძლო „ხვრელების ამოვსება" რადიკალური ცვლილებების დაპირებით. მათ არ შეეძლოთ საკუთარი ძალებით სახელმწიფო აპარატისთვის მეტოქეობა გაეწიათ და ბუნებრივია, ისინი იძულებული იყვნენ ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული პროგრამა საკუთარ თავზე აეღოთ. გარდა ამისა, სახელმწიფო აპარატს, რომელიც უმრავლესობის პარტიებს მართავდა, მათ სასარგებლოდ თავისი პრეროგატივებისგან განთავისუფლების არავითარი საბაბი არ ჰქონდა. არსებობდა აზრი, რომ მთავრობა მეტისმეტად სერიოზული ორგანო იყო იმისათვის, რომ აღნიშნული პარტიების ე.წ. „პოლიტიკური ინტრიგანობისთვის" მიენდო.

ზემოაღნიშნული განმარტავს იმ პროგრამების სპეციფიკურ და უცნაურ ხასიათს, რომელზეც უმრავლესობის პარტიები თავის საარჩევნო კამპანიას ამყარებდნენ: „პროვენსის პროგრამა" 1973 წელს, „ბლუას პროგრამა" 1978 წელს. თავად სახელწოდებები დამახასიათებელი იყო: გასაკვირია, რომ პოლიტიკური პროგრამები არ იყო იდენტიფიცირებული მათ მხარდამჭერ პარტიებთან და ქალაქების სახელებს ატარებდნენ. ამ ქალაქებში პრემიერ-მინისტრებმა პიერ მესინერმა და რაიმონდ ბარმა აღნიშნული პროგრამები წარმოადგინეს. ყოველივე ნათლად მიუთითებდა ამ დოკუმენტების სამთავრობო წარმომავლობაზე. ეს ფაქტი აღსანიშნია იმდენად რამდენადაც მთავრობა თავისი ბუნებით, ნაკლებად იმსახურებს ნდობას: მაშინაც თუ მისი მომხრე პარტიები არჩევნებში გაიმარჯვებდნენ, რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის შეცვლის უფლება ჰქონდა. ამ შემთხვევაში საჭიროა თუ არა პროგრამის ბათილად ცნობა? თუ ამ პოლიტიკურად მიუღებელ ვარაუდს უკუვაგდებთ, დასაშვები იყო, რომ მთავრობის გარეთ, პროგრამაში პოლიტიკური თამაშის სხვა პარტნიორებიც ყოფილიყო ჩართული. მაგრამ რომელ

პარტნიორებზეა ლაპარაკი თუ ისინი პარტიას არ წარმოადგენდნენ? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არის გაცემული.

შეცვალა თუ არა ძირეულად 1981 წლის პოლიტიკურმამონაცვლეობამ საქმის ვითარება? პასუხი უარყოფითია. ოპოზიციაში ყოფნისას სოციალისტურმა პარტიამ ინტენსიური საპროგრამო აქტივობა გამოავლინა. თუმცა 1986 წელს, პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის პროცესში, მან აქტივობის ნაცვლად შესამჩნევი თავშეკავება გამოიჩინა. კიდევ უფრო მეტი თავშეკავება მან 1988 წლის საკანონმდებლო არჩევნების დროს გამოავლინა, როდესაც არც კი შეეცადა გარეგნული იერის გადარჩენას და იმდროინდელი საპრეზიდენტო კამპანიის დროს ლოზუნგებით შემოიფარგლა. დიდი კონტრასტი არსებობდა 1981 წელს ფრანსუა მიტერანის, როგორც კანდიდატის 110 წინადადებასა და იმავე კანდიდატის (უფლებამოსილების ვადის მიწურულს მყოფი) 1988 წელს ნდობისკენ მოწოდებას შორის. კონტრასტი არსებობდა ასევე 1986 წელს მემარჯვენე პარტიების ამბიციურ და დეტალურ პროგრამასა და 1993 წელს მათ მიერ გამოჩენილ შესამჩნევ სიფრთხილეს შორის. ასევე სიმართლეა ის ფაქტი, რომ „თანაარსებობის" პერიოდებმა (რომელიც წინ უსწრებდა ამ ორ არჩევნებს) ბუნდოვანი გახადა ყველა განხეთქილება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, გარეგნულად აშკარად გადაულახავი განხეთქილებაც კი: ამ შემთხვევაში, ვარაუდის დონეზე, ორივე საპირისპირო ძალა ხელისუფლებაში ერთდროულად იმყოფებოდა, თუმცა პასუხისმგებლობის განსხვავებული დონით. აღნიშნული ნაკლებად ხელსაყრელ სიტუაციას წარმოადგენდა აშკარა პოზიციების განსამტკიცებლად. 1977 წლიდან 2002 წლამდე თანაარსებობის ხანგრძლივმა პერიოდმა, წინა და შემდგომმა საკანონმდებლო არჩევნებმა (1977 წლის საკანონმდებლო არჩევნები, რომელიც მემარცხენეთა გამარჯვებით აღინიშნა: 2002 წლის საპრეზიდენტო და საკანონმდებლო არჩევნები, მემარჯვენეების რევანშით) ეს ტენდენციები მხოლოდ დაამტკიცა.

153. უმრავლესობის პარტიები და კანდიდატთა შერჩევა. — საპროგრამო ფუნქციიდან გამოთიშული უმრავლესობის პარტიები ასევე შეზღუდულ როლს ასრულებდნენ კანდიდატთა შერჩევაში. აღნიშნული სიტუაცია იმ მექანიზმის განვითარებასთან იყო დაკავშირებული, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგები იქონია V რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე 1981 წლამდე: საქმე ეხება მაჟორიტარულ ინვესტიტურას.

თავდაპირველად ინვესტიტურა გაუბედავად შემოვიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში 1958 წელს. ის იარლიყის ფორმით გაჩნდა, რომელიც კანდიდატის გოლისტური თვისებების წარმოჩენას ისახავდა მიზნად, იმისათვის რომ ამომრჩეველი არ მოტყუებულიყო. მართლაც, გენერალ დე გოლის ხელისუფლებაში დაბრუნება გოლისტური ეტიკეტისგან კარგ წინაპირობას ქმნიდა ამომრჩეველთა წინაშე. დე გოლის ყველაზე ერთგულ მომხრეებს შიში ჰქონდათ, რომ ნაკლებად ერთგულ კანდიდატებს შეეძლოთ გენერლის პოლიტიკური კაპიტალი გამოეყენებინათ მისი პოლიტიკის რეალური მხარდაჭერის გარეშე. „სალი მარცვლების" გარჩევაზე ზრუნვა დე გოლის მხარდამჭერ სხვადასხვა ორგანიზაციას დაეკისრა. ამგვარად, გენერალ დე გოლის ქმედებათა მხარდამჭერი ასოციაცია ზოგიერთ კანდიდატს გოლიზმის „მოწმობას" აძლევდა. 1962 წლის შემდეგ სიტუაცია გართულდა, რადგან გენერლის ქმედებას პირდაპირი მნიშვნელობით მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ გოლისტები, არამედ დამოუკიდებელი რესპუბლიკელებიც. ამ დროიდან ინვესტიტურის მექანიზმი ახალ მნიშვნელობას იძენს: მას შემოაქვს არბიტრაჟი არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ასევე სხვადასხვა პოლიტიკურ ტენდენციებს შორის.

ამ შემთხვევაში, რისთვისაა საჭირო კანდიდატისთვის ნდობის მინიჭება? რატომ არ შეიძლება იმ თავისებურებათა გამოყენება, რომელსაც ერთი კანდიდატისთვის ხმის მიცემის საარჩევნო სისტემა (ორ ტურად) შეიცავს და ამომრჩეველებისთვის პარტიებს შორის არჩევანის გაკეთების გადაბარება? უმრავლესობის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა ჯგუფი თავისი კანდიდატების წარდგენას შეძლებდა და კანდიდატი, რომელიც სიის სათავეში აღმოჩნდებოდა, ავტომატურად თავისი უიღბლო მეტოქის კანდიდატურის მოხსნით ისარგებლებდა. განა ამგვარი პროცედურა უფრო დემოკრატიული არ იქნებოდა? ამ კითხვაზე პასუხი გულისხმობს განსხვავებას ოფიციალურად გაცხადებულ მოტივებსა და ჭეშმარიტ მამოძრავებელ ძალას შორის ან ყოველ შემთხვევაში, სისტემის ობიექტურ შედეგებს შორის.

ერთადერთი კანდიდატურის სასარგებლოდ შემდეგი ძირითადი არგუმენტი მოჰყავდათ: ერთიანობა, ოპოზიციის კანდიდათა სიმრავლეს უპირისპირდება, ის ამომრჩეველთა კეთილგან-

წყობას უწყობს ხელს და მაშასადამე, დამატებითი ხმების მოპოვებასაც. ამ ფენომენის გამოსახატავად არსებობს ტერმინი, „უნიტარული დინამიკა". ერთადერთი კანდიდატურის მომხრეები არჩევნებში გამარჯვების აუცილებლობით ხელმძღვანელობენ. თუმცა, მათი მოწინააღმდეგეებიც ამითვე ხელმძღვანელობენ. ამ უკანასკნელთა აზრით, სწორედ კანდიდატურათა სიმრავლე კოალიციას მოგების საუკეთესო შანსს აძლევს. პირველ ტურში თითოეული ამომრჩეველი საკუთარი მრწამსით აძლევს ხმას, რადგან შეჯიბრში სხვადასხვა მიმდინარეობა მონაწილეობს. ამგვარად, მოქალაქეები თავის პირად არჩევანს გამოხატავენ და იცლებიან იმ აგრესიულობისგან, რომელსაც ისინი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან კოალიციის წევრის მიმართ განიცდიან. ისინი ეთანხმებიან ურნების ვერდიქტს, რადგან ის ობიექტური და დემოკრატიულია. მოქალაქეები ხმას აძლევენ იმ კანდიდატს, რომელიც საყოველთაო არჩევნების სიამ სათავეში მოაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი დასაწყისში მათი რჩეული არ იყო. აღნიშნული მეთოდი კოალიციის გამარჯვების კომპრომენტირებას არ ახდენს. პირიქით, ის გამარჯვებას უფრო შესაძლებელს ხდის, რადგან კოალიციის შიგნით კონკურენციის შესაძლებლობას ქმნის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ კამათის გადაწყვეტა იოლია: ფაქტებზე დაკვირვება საკმარისია უპირატესობის მისანიშნებლად მიცემულ ხმებთან დაკავშირებით. სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა, რადგან თავად ფაქტები ორაზროვანია. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში, ხმების განაწილება ნორმალურად ხორციელდება. თუმცა საპირისპირო მაგალითებიც არსებობს: თუკი ორი კანდიდატი ერთი და იგივე კოალიციას წარმოადგენს, ისინი პირველივე ტურში უპირისპირდებიან ერთმანეთს, დამარცხებულის მომხრეები კი გამარჯვებულისთვის ხმის მიცემაზე ყოყმანს იწყებენ. ისინი ხმის მიცემისგან თავს იკავებენ ან საერთო მოწინააღმდეგეს აძლევენ ხმას. ამის საპირისპიროდ, უნიტარული დინამიკა ზოგჯერ სტიმულატორის როლს ასრულებს, რადგან ერთადერთი კანდიდატურა ზოგიერთ ამომრჩეველს, რომელსაც თავად უნდა არჩევანის გაკეთება, ხალისს აკარგვინებს. ამიტომაც შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ერთი სისტემა მეორეზე აბსოლუტურად ეფექტურია. ყველაფერი გარემოებებზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ორივე მიმართულებით მოყვანილი არგუმენტები განსაზღვრულ პოლიტიკურ სარჩულს ჩქმალავს. ერთადერთი კანდიდატურა იდგილობრივ მცხოვრებთა კეთილგანწყობით სარგებლობს. ის მათ მოსწონთ, რადგან ყოველგვარ კონკურენციას გამორიცხავს მათ საკუთარ ბანაკში. მათ, ვისაც ამ კანდიდატურის ადგილის დაკავება სურთ, კანდიდატურათა პლურალიზმის სასარგებლოდ საპირისპირო არგუმენტები მოჰყავთ. სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, არგუმენტებიც ასევე იცვლება.

სისტემის ლოგიკის გასაგებად აუცილებელია ერთი უდავო მოსაზრების დამატება: სისტემას მნიშვნელობა არ ექნება, თუკი უმრავლესობის ინვესტიტურა ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს არ უბიძგებს იმ კანდიდატისთვის ხმის მისაცემად, რომელიც ამ ინვესტიტურას ეთანხმება. სხვა შემთხვევაში მრავალი კანდიდატურის არსებობა გარდაუვალია, რადგან ძალიან იშვიათია, რომ თავი არ იჩინოს სხვა მისწრაფებებმა: ინვესტიტურა მხოლოდ დეკორატიული, მაგრამ არაეფექტური ცნობისმოყვარეობა იქნებოდა. ამიტომაც, საქმე ეხება არა იმდენად ინვესტიტურის არსებობას, არამედ ამომრჩეველთა მხრიდან მის გათვალისწინებას. სწორედ აქ დევს ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლის ინტერიორიზაცია ხელსაყრელმა ინსტიტუციონალურმა ჩარჩომ შეიძლება დიდად გააიოლოს, თუმცა ის ამით ასევე შემთხვევითი რჩება: ის ან არსებობს ან არა.

1962 წლიდან 1974 წლამდე მექანიზმმა უზადოდ იმუშავა. ერთადერთი კანდიდატის შერჩევის შემდეგ უმრავლესობის ამომრჩევლები თავის ხმებს მას აძლევდნენ. ფრანსტირორებს (ორგანიზაცია წინააღმდეგობის მოძრაობაში 1941-1945 წწ.), რომელთაც გოლიზმის ან დამოუკიდებელ რესპუბლიკელებად ყოფნის პრეტენზია ჰქონდათ, ოფიციალური თანხმობის მიღების გარეშე თითქმის არ გააჩნდათ არჩევნებში გამარჯვების შანსი. ამიტომაც, სისტემამ ძირითადად კონსერვატორული როლი ითამაშა. მან დიდად შეუწყო ხელი დეპუტატთა ხელახალ არჩევას, რითაც გააძლიერა უმრავლესობის ყველაზე მთავარი ფორმაციის, UDR -ის ჰეგემონია.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიები ორივე სისტემას სხვადასხვაგვარად იყენებენ: მრავალი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, შერჩევის ფუნქცია ნორმალურად ხორციელდება. საქმე სხვაგვარადაა ინვესტიტურის შემთხვევაში. მართლაც, როდესაც ბევრი პარტია ინვესტიტურისთვის იწყებს შეჯიბრს, აუცილებელია, რომ დავა პარტიებზე ზემდგომი ინსტანციის მიერ იქნეს გადაჭრილი. პრაქტიკაში, უმრავლესობის სხვადასხვა ჯგუფები იკრიბებოდნენ და თავის მოთხოვნებს აყალიბებდნენ. ბევრი შემთხვევა სწრაფად და მეგობრულად იყო მოგვარებული: შემ-

თხვევები, როდესაც ოლქებში უფლებამოსილების ვადის ამოწურვის პროცესში მყოფ დეპუტატს ძალზედ მყარი პოზიციები ჰქონდა და შემთხვევები, როდესაც უმრავლესობის კოალიციაში შემავალ პარტიებს მოგების არავითარი შანსი არ ჰქონდათ. საარჩევნო ოლქების მცირე რაოდენობა მძაფრ კონფლიქტებს იწვევდა: როდესაც უმრავლესობის ერთ-ერთი ჯგუფის წევრ დეპუტატს უფლებამოსილების ვადა ეწურებოდა, ხოლო მეორე კანდიდატურას მისი დამარცხების იმედი ჰქონდა, ამ უკანასკნელისთვის პირველადი არჩევნების თავს მოხვევით; ან, როდესაც უმრავლესობას ოპოზიციისგან ერთი ადგილის მოგების რეალური შანსი ეძლეოდა. რა თქმა უნდა, იურიდიულად პარტიები თავისუფლები იყვნენ თავიანთი კანდიდატების წარდგენის საქმეში. მაგრამ ეს იყო ღია ომი, რომელიც წამგებიანი იყო როგორც მთლიანობაში კოალიციისთვის, ისე ალბათ, მისი თითოეული წევრისთვის. საუკეთესო გამოსავალი იყო სისტემის შენარჩუნება და ამავე დროს, მისგან რაც შეიძლება დიდი სარგებელის გამოტანა. ყველაზე რთულ შემთხვევებში ბუნებრივი არბიტრის როლს პრემიერ-მინისტრი, ან თავად რესპუბლიკის პრეზიდენტი ასრულებდა.

პრაქტიკაში, პარტიების უკან დახევა არ იყო ტოტალური, მაგრამ პოტენციურად ის ამგვარი იყო: სადავო საკითხის გაჩენა საკმარისი იყო იმისათვის, რომ პარტიებს საბოლოო არჩევანზე უარი მიეღოთ. სახელმწიფოს მაკონტროლირებელი მმართველი ელიტა საკუთარი თავის რეპროდუცირებას ახდენდა სისტემატურად თავისი მსგავსი ადამიანების ხელშეწყობით, სახელდობრ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებისა და ამ უკანასკნელთ უპირისპირებდა იმ ადამიანებს, რომელთაც პარტიული ლეგიტიმურობით შეეძლოთ ესარგებლათ.

რესპუბლიკის პრეზიდენტად ვალერი ჟისკარ დ'ესტენის არჩევა „უმრავლესობის ინვესტიტურის" დასასრულს მოასწავებდა, ყოველ შემთხვევაში, ამ ფორმით. თავდაპირველად, აღნიშნული არ იყო გააზრებული: UDR-ის დეპუტატები ყველაზე მეტად შიშობდნენ, რომ სახელმწიფოს ახალი მეთაური თავისი პარტიის სასარგებლოდ აამოქმედებდა იმ მექანიზმს, რომელიც იქამდე მათ ჰეგემონიას უზრუნველყოფდა. თუმცა ფაქტობრივად UDR-ის გარდაქმნა RPR-ად (RPR - „გაერთიანება რესპუბლიკის მხარდასაჭერად") და ურთიერთობების გაუარესებამ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და უმრავლესობის ძირითად პარტიას შორის, ამ უკანასკნელს ავტონომიას აძლევდა, რომელიც ინვესტიტურას ყოველგვარ შინაარს აცლიდა. 1978 წლის საკანონმდებლო არჩევნებში იყვნენ ერთადერთი კანდიდატურები, მაგრამ ორმხრივი თანხმობით: უთანხმოების შემთხვევაში, არც ერთ ავტორიტეტს არ შეეძლო არბიტრაჟის იძულება. პარტიები, UDF-ის გარდა, რომელშიც აშკარად იგრძნობოდა ელისეის სასახლის გავლენა, ახორციელებდნენ თავიანთ პროგატივებს „კანდიდატთა შერჩევის" სფეროში.

1981 წლის საკანონმდებლო არჩევნები ამ თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ისინი დათხოვნის შემდეგ, ნაჩქარევად ჩატარდა გამარჯვებისა და დამარცხების ორმაგი შოკის ვითარებაში. 1984 წლის შემდეგ საკითხი სხვაგვარად დაისვა: 1986 წლის მარტის არჩევნები პროპორციული წარმომადგენლობით ჩატარდა და უფლებამოსილების ვადა მემარცხენე პარტიებს ეწურებოდა. პრინციპში, პროპორციული წარმომადგენლობითი არჩევნები პარტიებისთვის ყველაზე ხელსაყრელი სისტემაა, რადგან ისინი ადგილების ნაწილზე არა მხოლოდ კანდიდატების, არამედ რჩეულთა დასახელების საშუალებას იძლევიან. სოციალისტურ პარტიაში კანდიდატები აქტივისტების მიერ იყვნენ დასახელებულნი, რაც გარე ზეწოლას გამორიცხავდა. მიუხედავად ამისა, ზეწოლამ მაინც იჩინა თავი ასარჩევ ადგილებზე ზოგიერთი მემარცხენე პარტიის წევრის წარსადგენად, რომელთა ხელახალი არჩევა სახელმწიფოს მეთაურს სურდა. ჩვეულებისამებრ, ორგანიზაციის ძლიერი პატრიოტიზმით შთაგონებული აქტივისტები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და დამარცხებას ყოველთვის არ ნებდებოდნენ. იგივე მოვლენამ ამჯერად თავი იჩინა დათხოვნისა და მაჟორიტარული არჩევნების შემდეგ 1988 წლის საკანონმდებლო არჩევნებში. „მაჟორიტარული ინვესტიტურის" აღდგენის გარეშე, აღნიშნული ფაქტები არ იყო უმნიშვნელო: ისინი მიგვანიშნებენ იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი V რესპუბლიკის ინსტიტუციონალურ ფარგლებში აღმასრულებელ ხელისუფლებას გააჩნდეს ერთდროულად პარტიებზე ზეწოლის მიზეზებიც და საშუალებებიც.

გამოიწვია თუ არა 1995 წელს RPR-დან გამოსული პოლიტიკოსის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევამ (ანუ როდესაც მემარჯვენე პარტიებს უფლებამოსილების ვადა ეწურებოდათ, რასაც ადგილი არ ჰქონდა 1986 და 1993 წლების შემთხვევაში) „მაჟორიტარულ ინვესტიტურას-

თან" დაბრუნების პრობლემატიკა? ეს რეალობასთან დაკავშირებული საკითხია, რომლის გადაჭრაც მხოლოდ მოვლენას შეუძლია. ის ფენომენზე შეხედულების ჩამოყალიბებისა და მის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებსა და პოლიტიკურ კონიუნქტურასთან დამოკიდებულების უკეთ გაგების საშუალებას მოგვცემს.

154. უმრავლესობის პარტიების ფუნქცია. — ჩვენს მიერ აღწერილ სისტემაში, პარტიები თავის ფუნქციას ხედავენ საპროგრამო ფუნქციასა და კანდიდატთა შერჩევის მეტად შეზღუდულ როლში. ამ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რას ემსახურებიან პარტიები? პასუხი მარტივია: ისინი არჩევნებში გამარჯვებას ემსახურებიან. ხელისუფლებაში მყოფ ელიტას, რომელიც პარტიებით მანიპულირებას ახდენს, არ შეუძლია ღიად გამოჩენა. თავისი ძალაუფლებისა და სისტემისთვის დემოკრატიული ხასიათის შესანარჩუნებლად მან შუალედური ორგანიზაციების მეშვეობით უნდა იმოქმედოს, რომლებიც საარჩევნო შეჯიბრს საკუთარ თავზე იღებენ.

საარჩევნო ფუნქციის გარდა, ამ კონტექსტში, პარტიებს მმართველებისთვის დიდი სამსახურის გაწევა არ შეუძლიათ. მათი სოციალური ინტეგრაციის ფუნქცია ატროფირებულია. სამთავრობო სისტემისადმი პარტიების დამოკიდებულება მეტისმეტად აშკარაა იმისათვის, რომ სოციალური ცხოვრების გამოცოცხლების ეფექტური როლი შეასრულონ. ცნობილია, რომ ისინი ხელისუფლების გზავნილის გადმოცემით კმაყოფილდებიან და მასში არ შეაქვთ ის ცვლილებები, გაუმჯობესებები და ნიუანსები, რომელიც ამ გზავნილს დამოუკიდებელ ხასიათს მისცემდა. ფაქტობრივად, ისინი მმართველებისთვის კონტრასტის როლს ასრულებენ: პარტიები უფრო დოგმატურად, სექტანტურად, ნაკლებად მიუკერძოებლად, ნაკლებად უზადოდ და კომპეტენტურად გამოიყურებიან.

ამავე დროს, ჩვენს მიერ აღწერილი ფენომენები კონიუნქტურის მიხედვით იცვლება. 1976 წლიდან RPR-ში დაწყებულმა ფარულმა განხეთქილებამ ამ პარტიისგან ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების ცენტრი შექმნა, როგორიც გოლისტური მოძრაობა უკვე 1958 წელს აღარ იყო. 1981 წლის შემდეგ სოციალისტური პარტია მრავალჯერ იძულებული გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან გამოსულიყო.

ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ პარტია ხელისუფლებას წინ უსწრებს იმის ნაცვლად, რომ მისგან მომდინარეობდეს. მეორე მხრივ, ის აქტიური მუშაობისა და ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გამოხატვის ტრადიციის მემკვიდრეა. ამასთანავე აშკარაა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მეთაურის უპირატესობა, პარტიის აქტიური მუშაობის ლოგიკას ეწინააღმდეგება. როდესაც 1983 წელს მორუას მთავრობამ „მკაცრი" პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა, მან ეს სოციალისტურ პარტიასთან კონსულტაციის გარეშე გააკეთა. 1985 წელს კონფლიქტმა იჩინა თავი პრემიერ-მინისტრსა და სოციალისტური პარტიის პირველ მდივანს შორის, ორივეს პარტიის კამპანიის გაძღოლა სურდა. აღნიშნული გვიჩვენებს წინააღმდეგობას ინსტიტუციონალურ და აქტიური მუშაობის მომხრეობის ლოგიკას შორის. კიდევ უფრო აღსანიშნი იყო ფრანსუა მიტერანის გამოსვლა 1990 წელს რენში ჩატარებული კონგრესის შემდეგ. არ დაკმაყოფილდა რა ერთ-ერთი მიმდინარეობის ღია მხარდაჭერით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა „სინთეზის" მიღება აიძულა, ანუ ერთადერთი რეზოლუციის გარშემო გაერთიანება და ამგვარად, „მეგობრულად" ხელმძღვანელი პოსტების დანაწილება, მაშინ როდესაც ყრილობის დელეგატებმა თანხმობას ვერ მიაღწიეს. უეჭველია, პრეზიდენტისთვის აშკარად მიუღებელი იყო პირველი მდივნის პოსტზე მისი ოფიციალური კანდიდატის, როლან ფაბიუსისა და რამდენიმე მინისტრის ოპოზიციაში გადასვლა. ალბათ, ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შიგნით უმრავლესობა-ოპოზიციად დაყოფის არსებობა, რაც მას ღია კონფლიქტებამდე და მეტოქეობამდე მიიყვანდა, უცნაური სანახაობა იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ მომხდარის შემდეგ სოციალისტურმა პარტიამ საპრეზიდენტო მეურვეობისგან განთავისუფლების უდავო ტენდენცია გამოავლინა. ხომ არ წარმოადგენდა ეს კონიუნქტურულ მოვლენას, რომელიც დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ფრანსუა მიტერანი თავის კანდიდატურას აღარ წარადგენდა მეორე ვადის მიწურულს და რომ მისი პირადი ინტერესები სოციალისტური პარტიის, როგორც ორგანიზაციის ინტერესებთან წინააღმდეგობაში იყო? თუ ეს წარმოადგენდა ურთიერთობათა შეცვლას სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებსა და უმრავლესობის პარტიას შორის? იმ ფაქტს, რომ 1993 წლიდან თანაარსებობას არ ჰქონია ად-

გილი პრეზიდენტსა და მემარცხენე უმრავლესობას შორის, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია.

როგორც ვხედავთ, მოვლენათა სირთულე და კონიუნქტურის ცვლილება ართულებს ევოლუციის ანალიზს, უფრო მეტად კი პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას. სამაგიეროდ, აშკარაა, რომ 1958 წლის ინსტიტუციონალურ ჩარჩოსა და მომხრეთა ძალებს შორის წარმოშობილი პრობლემები სტრუქტურულ მოცემულობად დარჩა, რომელშიც მხოლოდ კონიუნქტურული გადაწყვეტილებების შეტანაა შესაძლებელი. ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ საფრანგეთს კიდევ გააჩნია პოლიტიკური ცხოვრების რესურსები.

155. პარტიების ფუნქციები და მასმედიის სამუშაველი გარემოცვა. — ინსტიტუციონალური ჩარჩო არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს, რომელსაც ცვლილებები შეაქვს მომხრეთა ფუნქციებში. საზოგადოების ევოლუცია ასევე იწვევს გარდაქმნებს, რომელიც ნაკლებად უხეშია და მაშინვე არ არის აშკარა, მაგრამ მათი მნიშვნელობა უფრო გრძელვადიანია. ამ მხრივ, ბოლო ოცი წლის დიდ სიახლეს მასმედიის ხელისუფლების დამკვიდრება წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციულმა ანალიზმა ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელსაც პარტიები კავშირის დამყარებაში ასრულებენ. თუმცა, ეს ფუნქცია მასმედიის კონკურენციამ გააუფასურა. მმართველებს თავიანთი განზრახვების სხვებისთვის გასაცნობად პარტიები აღარ სჭირდებათ. ბევრად მარტივი, სწრაფი და ეფექტურია მოქალაქეთა ინფორმირება რადიოს ან ტელევიზიის მეშვეობით. ამგვარი პირდაპირი კავშირი, იმ შემთხვევაშიც, თუ ის ნაწილობრივ ილუზორულია, ინდივიდების როლს აფასებს ორგანიზაციებთან მიმართებაში. მასმედიის ხელმძღვანელს თავისი პარტიის თავს მოხვევა შეუძლია, მაშინ როდესაც არც ერთ პარტიას, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში, არ შეუძლია მასმედიისთვის თავისი ხელმძღვანელის თავს მოხვევა. აქედან გამომდინარე, კანდიდატების შერჩევის ფუნქციაც ასევე ზემოდან მომდინარეობს. ფრანგულ სისტემაში „საპრეზიდენტო" ადამიანი არ არის არჩეული მმართველი კომიტეტის მიერ: მისი დანიშვნა გაუთვალისწინებელი პროცესით, საზოგადოებასთან და შემთხვევითობასთან ერთად ხდება, მაგრამ ამ პროცესში მასმედია ერთდროულად მოქმედი პირი და ინსტრუმენტია და ის გადამწყვეტ როლს ასრულებს.

აღნიშნული საპროგრამო ფუნქციასაც ეხება. აუდოვიზუალური მასმედიის საშუალებები ნაკლებად სანახაობრივ პროგრამებს იგნორირებას უკეთებენ და პიროვნებებს შორის დაპირისპირებას ანიჭებენ უპირატესობას. თუკი ისინი საარჩევნო დაპირებებს ეხებიან, ჩვეულებისამებრ ამას კრიტიკის ფორმას აძლევენ: ხაზს უსვამენ ამ დაპირებათა არათანმიმდევრობას, დემაგოგიასა და დამაჯერებლობის ნაკლებობას. გაუთავებლად მოუწოდებენ რა „იდეებზე დებატებისკენ", ისინი ამის გაკეთებას შეუძლებელს ხდიან. ამგვარი ქცევა საზოგადოების სკეპტიციზმის თანხვედრია, რომელმაც, ბევრჯერ გაცრუებული იმედების გამო, ნდობა დაკარგა. მასმედია პოლიტიკის დისკრედიტაციას ახდენს, მაგრამ იმავდროულად ამ დისკრედიტაციის ანარეკლიცაა.

კომუნიკაციის როლი ქვემოდან ზემოთ (კარისკაცის ისთონისეული გაგებით) კიდევ უფრო მეტად შერყეულად გამოიყურება. დღეისათვის უფრო მართებულია თუ არა ყურადღების მისაპყრობად დეპუტატის მოძებნა თუ მასმედიის მობილიზება? რისი უფრო ეშინიათ მმართველებს, აქტივისტთა ბუზღუნის თუ მასმედიის კამპანიის? ამ კითხვებზე პასუხი ნათელია. პარტიები მძაფრად განიცდიან ნდობის დაკარგვას, რომელსაც ხელისუფლების არბების ამგვარი ცვლილება იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მასმედია სულ უფრო ნაკლებად ლაპარაკობს პარტიებზე და თუკი ლაპარაკობს, მხოლოდ მათ ყველაზე ნეგატიურ თვისებებს ააშკარავებს. ამისათვის ყველაფერი გამოიყენება: თავისი ძალაუფლების განმტკიცებისას მასმედია ყველა სხვა ხელისუფლების მეტოქე ხდება. პარტიების შიგნით წარმოებული ნელი, ბუნდოვანი, არაცენტრალიზებული, განმეორებითი და ხშირ შემთხვევაში, ნაკლებად აღმაფრთოვანებელი სამუშაო, არ არის იმ ბუნების, რომ მასმედიის ყურადღება მიიპყროს; და ბოლოს, საზოგადოებრივი აზრი, სახელდობრ საფრანგეთში, ზოგადად პოლიტიკაზე მეტად პარტიებს უცხადებს უნდობლობას.

ამავე დროს, გადაჭარბებული იქნებოდა დასკვნის გაკეთება, რომ პარტიებმა გავლენა და ლეგიტიმურობა მთლიანად დაკარგეს. პარტიების როლი საარჩევნო პროცესში მათი გადარჩენის გარანტიაა, რა თქმა უნდა იმ პირობით, თუ დემოკრატია უგულებელყოფილი არ იქნება. ეჭვგარეშეა, რომ პარტიები ამ სპეციფიკური ფუნქციის გარშემო უნდა იყვნენ კონცენტრირებულნი,

რომელსაც მათ ნაცვლად ვერავინ შეასრულებს. პარტიების დღევანდელი კრიზისი მხოლოდ მწარე რეალობის გამოვლინებაა: თანამედროვე მსოფლიოში პარტიები აღარ წარმოადგენენ სინთეზს სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემატიკას შორის; ისინი საარჩევნო მანქანებად გადაიქცნენ.

3 / ერთადერთი პარტიების ფუნქციები

156. განვითარებადი ქვეყნები. — განვითარებადი ქვეყნების პარტიებს ვერ მივუსადაგებთ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში წარმოშობილ პრობლემატიკას. მართლაც, დასავლეთის ქვეყნების შემთხვევაში, პარტიები სტიქიურად გაჩნდნენ, რაც განსაზღვრულ სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციებს მიესადაგებოდა. ფუნქციამ ორგანო შექმნა. განვითარებად ქვეყნებში საქმე სრულიად სხვაგვარადაა. დეკოლონიზაციის შემდეგ ყველაფერი შესაქმნელი იყო: საჭირო იყო ერთდროულად ინსტიტუტების დაფუძნება და მათი ფუნქციონირებისთვის პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება. პირველ ხანებში ახალმა სახელმწიფოებმა ყოფილი კოლონიზატორების ინსტიტუტები გადმოიღეს. ამგვარად, საფრანგეთის ყოფილმა კოლონიებმა მიიღეს კონსტიტუციები, რომელიც 1958 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციისგან ნაკლებად განსხვავდებოდა. ამავე სულისკვეთებით გაჩნდნენ ევროპული მოდელის მიხედვით შექმნილი პარტიები. ახალ ხელმძღვანელებს დასავლეთის სკოლებში ჰქონდათ მიღებული განათლება, ხშირად ისინი საპარლამენტო ასამბლეების წევრები იყვნენ და ცდილობდნენ იმ ინსტიტუტების გადმოღებას, რომელსაც იცნობდნენ. თუმცა, კულტურული განსხვავება მოდელად გამოყენებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მეტისმეტად დიდი იყო. ტრადიციული სოციალური სისტემების წინააღმდეგობამ, ნაკლებად ადაპტირებული იდეოლოგიების გამოყენებამ, ევროპული განათლების მქონე ადმინისტრაციული და ტექნიკური კადრების რაოდენობრივმა უკმარისობამ, და ბოლოს, სხვადასხვა სახის სერიოზულმა სირთულეებმა, კერძოდ ეკონომიკაში, რომელსაც სახელმწიფოები შეეჯახნენ, ნაჩქარევი ნატურალიზაციის მცდელობების მარცხი გამოიწვია. შექმნილი ლიბერალური რეჟიმები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადგილს დიქტატურას უთმობდნენ, ხშირ შემთხვევაში სამხედროს, რომლებიც ერთადერთ პარტიებს ეყრდნობოდნენ. მართალია ზოგიერთმა სახელმწიფომ მრავალპარტიულობა შეინარჩუნა, ან საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მას დაუბრუნდა, მაგრამ მრავალპარტიული დემოკრატიები მყიფე იყო იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდი სირთულეების წინაშე იდგნენ. ერთადერთი პარტია ცდუნებად რჩება, რადგან მმართველები მასში მრავალ შეკითხვაზე ერთადერთ პასუხს ხედავენ.

ერთადერთი პარტიები რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ინდივიდთა შეჯგუფებას ისახავენ მიზნად: პარტიაში გაწევრიანება ზოგჯერ სავალდებულოა, ზოგჯერ კი მატერიალური დაინტერესების ხარჯზე ხდება. ამ ტიპის პარტიები ძალიან ორგანიზებულია. მათი მიზანია მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობაში მიზიდვა. როდესაც სისტემა ავტორიტარულია, რაც ხშირია, ერთადერთი პარტია, თავისი განშტოებებით პირველად ორგანიზაციამდე, არსებული წესრიგის სასარგებლოდ პოლიციური ზედამხედველობის საშუალებას წარმოადგენს. თუმცა მისი როლი ამით არ შემოიფარგლება. ის ასევე „მასების" მობილიზებას ცდილობს. მას ერთიანობისა და ეროვნული იდენტურობის გაღვივების პრეტენზია აქვს იმ სახელმწიფოებში, რომელიც კოლონიზაციის პროცესის გაუთვალისწინებელ შედეგს წარმოადგენენ. ის იმ მმართველებს უჭერს მხარს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში არავითარი დემოკრატიული ლეგიტიმურობა არ გააჩნიათ. ის ცდილობს ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას და ინდივიდთა პროდუქტიული შრომით დაკავებას, რომლებიც ხშირად თანამედროვე წარმოების ფორმებთან შეუთავსებელ რიტმს არიან შეჩვეულნი.

ამგვარად, ერთადერთი პარტია ზემოდან იქმნება. მმართველები მას მრავალ და რთულ ამოცანებს აკისრებენ მათთვის სასურველ პერსპექტივაში. ამ პირობებში, სისტემის დემოკრატიული ხასიათი, თუ ის საერთოდ არსებობს, უკიდურესად შეზღუდულია, რადგან პარტიას მმართველების ინფორმირება შეუძლია პირველად ორგანიზაციაში არსებული განწყობების შესახებ. იმ შემთხვევაშიც, როდესაც პარტიის განაწესი პრინციპში აზრის გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს, ჩვეულებისამებრ რეალობა განსხვავებულია. დიადი პრინციპების ქვეშ ოლიგარქიის ან ერთი ადამიანის პირადი ძალაუფლების ბატონობა იმალება. ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ ერთადერთი და თეორიულად სუვერენული პარტია, ხშირ შემთხვევაში, მხო-

ლოდ ძალაუფლების გარეგნულ მხარეს ინარჩუნებს. პარტიის ეფექტურობა იმ უზარმაზარი ამოცანების უკუპროპორციულია, რომელიც მას თავის თავზე აქვს აღებული. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ხშირად ის ხელისუფლებას შეზღუდულ ჯგუფს უთმობს, რომლის სოციალური იმპლანტაცია და იერარქიული ორგანიზაცია უფრო რეალურია: საქმე ჯარს ეხება.

157. კომუნისტური პარტიები. — უკვე აღინიშნა თუ რა პრინციპები დომინირებს კომუნისტური პარტიების შექმნასა და ორგანიზაციაში, რომელთაც ხელისუფლების აღსრულების მონოპოლია არ გააჩნიათ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, ახალი სიტუაცია პარტიის ტრანსფორმაციას გამოიწვევდა. აღარ იქნებოდა საჭირო სამხედრო დისციპლინა, რადგან ბრძოლა მოგებულია და დემოკრატია ცენტრალიზმზე გაიმარჯვებდა. სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. უპირველეს ყოვლისა, პარტია მცირერიცხოვანია. ის „ავანგარდად" რჩება: მის რიგებში შესვლა რთულია. მისი წევრები ფორმალურად მაინც, კლასებისადმი კუთვნილებით არ განისაზღვრებიან. თუკი მოვლენებს ოფიციალური იდეოლოგიის გარეშე შევხედავთ, უეჭველია, რომ პარტია თავად არის კლასი, რომელიც ყველა სახის პრივილეგიებით სარგებლობს და საზოგადოების მასისგან მოწყვეტილია. აქ არ არსებობს დემოკრატია. პარტია მონოლითური ორგანიზაციაა, რომელიც ზემოდან იმართება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ლიბერალური დემოკრატიის სტრუქტურებისა და ფუნქციონირების ანალიზის დროს გამოყენებული კატეგორიები ქმედითი არაა „რეალური სოციალიზმის" გასაგებად. ამ კატეგორიების გამოყენება, ნიუანსებითაც კი, როგორც ამას სრულიად გულწრფელად ან გარკვეული სარჩულით, ბევრი ავტორი აკეთებს, აშკარად იწვევს ფენომენის სპეციფიკურობის გაანალიზების მარცხს. კომუნისტურ რეჟიმებში პარტიის ფუნქციებზე ლაპარაკი აზრს მოკლებულია, რადგან სიტყვა „ფუნქცია" სხვა რამესთან ურთიერთობას გულისხმობს: სახელმწიფოსთან, მთავრობასთან, საზოგადოებასთან. კომუნისტურ რეჟიმებში პარტია ყველაფერია. ის ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი ცენტრია. სახელმწიფო, არმია, პოლიტიკური პოლიცია მხოლოდ შემსრულებლები არიან, ისინი ტექნიკურ საშუალებებს წარმოადგენენ სპეციფიკურ ამოცანათა შესასრულებლად. თუმცა ისინი არავითარ შემთხვევაში არ არიან ავტონომიური ძალა. საზოგადოება ნეიტრალური და ინდიფერენტული ადგილია, სადაც ნებისმიერი სტრუქტურა, გარდა პარტიისა, გაუქმებული უნდა იყოს. პარტიის გარეთ, მხოლოდ იზოლირებულ ინდივიდებს აქვთ არსებობის უფლება. ამ იზოლირების გარღვევა, პარტიის გარეთ რომელიმე სტრუქტურის შექმნას გულისხმობს, რაც ipso facto დისიდენტობაა, ყველა თანმხლები რისკით. დისიდენტთა მიმართ პარტიის ერთადერთი პოლიტიკა რეპრესიებია: მას დისიდენტთა დარწმუნების არც სურვილი და არც მოტივი აქვს, რადგან ბევრად იოლია ზიანის მიყენებაში მათთვის ხელის შეშლა. რაც შეეხება საზოგადოების დანარჩენ ნაწილს, პარტია მასში ხედავს მხოლოდ ადგილს, სადაც ის „პრივილეგირებულებს" გამოყოფა, ე.ი. დიდი მატერიალური და მორალური უპირატესობით უზრუნველყოფილებს (ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით), მაგრამ სამაგიეროდ პარტია მათ ყველა სახის ვალდებულებებს აკისრებს და რისკის ქვეშ აყენებს. ზოგადად, მუშაობის არაპროდუქტიულობა, ლოთობა, გაქნილობა არაპრივილეგირებულთა ცხოვრების დაბალი დონის ატანის საპირწონეა. უწესრიგობა არ ეხება მხოლოდ იმ სექტორებს, რომელზეც შიდა და გარე სიძლიერეა დამოკიდებული, ძალოვანი ორგანოები, უსაფრთხოება, შეიარაღების ინდუსტრია.

ამგვარად აღწერილი სურათი (წინამდებარე ნაშრომში არ არის საკმარისი ადგილი იმისათვის, რომ ამ ფენომენის მნიშვნელობა განავრცოს) თანამედროვე რეალობას (ჩინეთში, კუბაზე, სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში) და განვლილ ისტორიულ რეალობას (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ყოფილ „სახალხო დემოკრატიებში" და ყოფილ „საბჭოთა კავშირში") ასახავს. თუკი კომუნიზმისგან განთავისუფლებულ სახელმწიფოთა მომავალი გაურკვეველია, სამაგიეროდ ეჭვგარეშეა ლენინის მიერ შექმნილი ხელისუფლების გარდაცვალება. მიუხედავად იმისა, განეკუთვნება თუ არა ტოტალიტარიზმი თანამედროვეობას თუ წარსულს, ის შესწავლის საგანი უნდა იყოს: აწმყოს გასაგებად და წარსულის გამეორების თავიდან ასაცილებლად.

ნაწილი IV. პარტიათა სისტემა

1 / პარტიათა სისტემის დიდი ტიპები

158. პარტიების სისტემის ცნება. — პოლიტიკური პარტიების შესწავლა არ შეიძლება შემოიფარგლოს ამ ორგანიზაციების იზოლირებული ანალიზით. მართლაც, პოლიტიკური სისტემა არ ხასიათდება მხოლოდ მის შიგნით არსებული პოლიტიკური პარტიების ბუნებით. ის ასევე განისაზღვრება იმ ურთიერთკავშირით, რომელიც პარტიებს შორის ყალიბდება. პარტიების რაოდენობა, უფრო სწორედ მათი გამაერთიანებელი კოალიციების ბუნება, პირდაპირ გავლენას ახდენს ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება კონსტიტუციურ სამართალთან და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული იურიდიული წესების ურთიერთკავშირის ფუნდამენტურ, საინტერესო და რთულ საკითხს. ილუზია იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ნორმატიული განაწესი, მისი აბსოლუტურად მიჩნევის გამო, აყალიბებს პოლიტიკურ და სოციალურ რეალობას იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი მას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს. პრაქტიკაში, საკონსტიტუციო წესების ფუნქციონირება, რომელიც პარტიების მიმართ გამოიყენება, სიღრმისეულად იცვლება პარტიების სისტემის ბუნებითა და ტრანსფორმაციით. მაგალითად, საფრანგეთში მაჟორიტარიზმის გაჩენამ 1958 წლის კონსტიტუციის შინაარსი შეცვალა: მისი ბევრი დებულება, სახელდობრ საკანონმდებლო პროცედურაში ჩარევის მნიშვნელოვანი საშუალებები, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას გააჩნია, გაუგებარია თუკი არ გავითვალისწინებთ, რომ ის სწორედ უმრავლესობის არქონით გამოწვეულ დროებით დაბრკოლებათა გამოსასწორებლად იყო ჩაფიქრებული. კონსტიტუციურ დებულებათა შერწყმამ მოულოდნელად გამოჩენილ სტაბილურ უმრავლესობასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ წონასწორობის მნიშვნელოვანი დაკარგვა გამოიწვია. აღნიშნული განსაცვიფრებელი მაგალითია იმისა, თუ რა ფორმით ცვლიან პოლიტიკური ფაქტები უცვლელი იურიდიული წესების მნიშვნელობას.

ტრადიციულად პარტიული სისტემების სამ ტიპს განასხვავებენ: მრავალპარტიულობისა და ორპარტიულობის მომხრე სისტემები და დომინანტური პარტიის სისტემა. (ამ სისტემებს ზოგჯერ ერთადერთი პარტიის სისტემებს უმატებენ, მაგრამ ამგვარი გათანაბრება სიტყვების თამაშიდან მომდინარეობს: სავარაუდოდ, ერთადერთი პარტია სისტემაში ინტეგრირებას ვერ ახდენს). რაც შეეხება პირველ ორ სისტემას, მისთვის ჩვენ გამოვიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა ბიპოლარული და მრავალპორალური სისტემები. მართლაც, სიტყვები „ორპარტიულობის მომხრეობა" და „მრავალპარტიულობის მომხრეობა" გვაფიქრებინებს, რომ დაპირისპირება რაოდენობრივი ხასიათისაა. სისტემა არ არის მრავალპარტიული იმიტომ, რომ ის ორ პარტიაზე მეტს მოიცავს და ორპარტიული, იმიტომ რომ მხოლოდ ორ პარტიას მოიცავს. ამგვარად რომ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ორპარტიული სისტემის მაგალითის მოყვანა, რადგან თითქმის ყოველთვის არსებობს ორ ფორმაციაზე მეტი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ყველა, გარდა ორისა, სამთავრობო პასუხისმგებლობას ჩამოშორებულია.

განსხვავება მრავალპოლარულ და ბიპოლალურ სისტემებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ მეორე შემთხვევაში (ბიპოლარული სისტემა), პოტენციური სამთავრობო უმრავლესობა არჩევნების წინ არის ჩამოყალიბებული და ამომრჩევლებისთვის უკვე ცნობილია. პირველ შემთხვევაში (მრავალპოლარული სისტემა), საქმე სხვაგვარადაა. ეს დაკვირვება დასრულებას გულისხმობს. რადგან კრიტერიუმი უმრავლესობის იდეასთან არის დაკავშირებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარტიის სისტემის ცნება მხოლოდ ერთი ტიპის რეჟიმშია ქმედითი: იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლების განმკარგველებს ასამბლეები ირჩევენ, ე.ი. **საპარლამენტო** რეჟიმში. ყველა სხვა რეჟიმში (კერძოდ, საპრეზიდენტო რეჟიმში, რაც აშშ-ის მაგალითზე შეიძლება შემოწმდეს) პარტიების სისტემის ცნებას არავითარი განმარტებითი ღირებულება არა აქვს.

159. ბიპოლარული სისტემები. — რა პირობებში ხდება ბიპოლარული სისტემის გამოყენება? ის შეიძლება მკაცრი ორპარტიულობიდან მომდინარეობდეს. ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ ასპარეზზე ორი პარტია დომინირებს იმგვარად, რომ ერთ-ერთი მათგანი პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებაშია დარწმუნებული. ამ შემთხვევაში, პოლიტიკური არჩევანი აბსოლუ-

ტურად ნათელია: ამომრჩევლებს არჩევანს სთავაზობენ, რომელთაც ამგვარად, ორ პარტიასა და ორ პოლიტიკას შორის პირადი არბიტრაჟის განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ, მმართველი პარტიის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობის გვერდით. ამომრჩევლებს ასევე შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ ორ მმართველ გუნდს შორის მისი არსებობის შემთხვევაში: მთავრობის გუნდსა და „ჩრდილოვან მთავრობას" შორის, რომლის წევრებიც, გამარჯვების შემთხვევაში, შესატყვის სამთავრობო ვალდებულებებს შეასრულებენ. შეიძლება მოვიტანოთ დიდი ბრიტანეთის მაგალითი, სადაც ხელისუფლებაში ლეიბორისტული ან კონსერვატიული პარტიების მონაცვლეობა ხდება. უნდა დავსძინოთ, რომ ამგვარი სიტუაცია ხანგრძლივი და რთული ისტორიული ევოლუციის შედეგია და არაფერი უზრუნველყოფს მის უცვლელობას. XIX საუკუნეში ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებდა დაპირისპირება ლიბერალებსა (ვიგები) და კონსერვატორებს (ტორები) შორის. 1914 წლის ომის შემდეგ, ლეიბორისტული პარტიის გამოჩენამ, შემდეგ კი მისმა პროგრესმა, გაურკვევლობა და კოალიციური მთავრობების შექმნა გამოიწვია. 1935 წლის შემდეგ ლიბერალური პარტიის აბსოლუტურმა დაკნინებამ შესაძლებელი გახადა ორპარტიულობის მომხრე სისტემის აღდგენა. 60-იან და 70-იან წლებში ამ სისტემის მიმართ გარკვეულმა გულაცრუებამ იჩინა თავი: ლიბერალებმა კვლავ იწყეს წინსვლა, შოტლანდიისა და უელსის დამოუკიდებლობის მომხრეებმა საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს იმგვარად, რომ არჩევნებმა უმრავლესობა ვერ გამოავლინა ან ის იმდენად სუსტი იყო, რომ ნაწილობრივ არჩევნებს მისი დამარცხება შეეძლო. მიუხედავად ამისა, ლეიბორისტებმა გარკვეული დროის განმავლობაში მმართველობა უმრავლესობის გარეშე შეძლეს ლიბერალების წყალობით, რომელთა მიმართაც მხოლოდ მცირე დათმობებზე წავიდნენ. ამავე დროს, ჯეიმს კალაგანის მთავრობა უნდობლობის გამოცხადების შემდეგ იძულებული გახდა გადამდგარიყო. 1979 წლის მაისის არჩევნებში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს მარგარეტ ტეტჩერით სათავეში. მათი გამარჯვება განმტკიცდა 1983, 1987 და 1992 წლებში, ამჯერად ჯონ მეიჯორით სათავეში. ყველა შემთხვევაში, ეს გამარჯვებები ბიპოლარული კონფრონტაციის შედეგად, ლეიბორისტული პარტიის ხარჯზე იქნა მიღწეული.

ბევრმა დამკვირვებელმა ამგვარი შედეგები ნორმასთან დაბრუნებად მიიჩნია. თუმცა არაფერი მოწმობს იმ ფაქტზე, რომ ორპარტიულობის კითხვის ქვეშ დაყენების ტენდენციები საბოლოოდ არის თავიდან აცილებული. მართლაც, მისი გადარჩენის პირობა ორ საფრთხეს შორის წონასწორობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. ორი პარტიის ზედმეტად დაახლოების შემთხვევაში, ამომრჩევლები მონაცვლეობას ალტერნატივად აღარ მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში, მოსახლეობაში იმედგაცრუების შეგრძნება იმატებს, პატარა პარტიები მრავლდებიან, რაც უმრავლესობის ჩამოყალიბებას შეუძლებელს ხდის. საპირისპირო შემთხვევაში, თუ კონსერვატორები და ლეიბორისტები რადიკალურები გახდებიან, ისინი ცენტრში თავისუფალი ადგილის არსებობის რისკს ქმნიან, რომელიც შეიძლება მესამე პარტიამ დაიკავოს. ამგვარ შემთხვევას 1981 წელს ჰქონდა ადგილი, როდესაც ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების შეთანხმების შედეგად „ალიანსი" შეიქმნა, რომელიც ლეიბორისტული პარტიის დისიდენტებმა ჩამოაყალიბეს. თუმცა ბრიტანეთის საარჩევნო წესმა მესამე ძალას შესაძლებლობა არ მისცა საპარლამენტო დონეზე მოეპოვებინა ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც ქვეყანაში მის გავლენას შეესაბამებოდა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბიპოლარობის შენარჩუნება არ არის წინასწარ დადგენილი ჰარმონიისა და ინგლისური სულის საიდუმლოების შედეგი: მიუხედავად თავისი გამოვლინებების შედარებით სტაბილური, მაგრამ მექანიზმების შემთხვევითი ხასიათისა (რადგან სხვადასხვა სტრატეგიის შეხამება ზოგჯერ სისტემის წინააღმდეგ მუშაობს, რომლის შენარჩუნება მხოლოდ არჩევნების წესით არის უზრუნველყოფილი) ის სხვადასხვა, მაგრამ კონვერგენტული ფაქტორების შედეგია.

მსგავსი შედეგების გამოწვევა სხვა მიზეზებსაც შეუძლია. ასეა საქმე, როდესაც ორი კოალიცია და არა ორი პარტია, მოწოდებულია ადგილების უმრავლესობა მოიპოვოს. ამგვარ სიტუაციას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში 1978, 1981 და 1986 წლების საკანონმდებლო არჩევნებში. საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების სირთულე (მიუხედავად გარკვეული მოჩვენებითი სახისა, ძნელად დაიყვანებოდა მხოლოდ მექარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის დიდ დაპირისპირებამდე), ხელს უშლიდა იმის გაგებას გაგრძელდებოდა თუ არა აღნიშნული სიტუაცია. ერთი მხრივ, ნაციონალური ფრონტისა და ეკოლოგების გამოჩენამ, მეორე მხრივ კი სოციალისტურ პარტიასა და კომუნისტურ პარტიას შორის 1990 წელს მომხდარმა განხეთქილებამ, საფრანგე-

თის პოლიტიკური ცხოვრების ბიპოლარული ორგანიზაციის იდეა საბოლოოდ მოსპო. ამავე დროს, სისტემის გარეთ პარტიების ზეწოლა არჩევნების მაჟორიტარული სისტემის წყალობით, ხელს არ უშლის კლასიკურ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს შორის მნიშვნელოვან დაპირისპირებას, ისინი უფრო მეტად გაერთიანებულნი არიან საარჩევნო ურნებთან, ვიდრე სახელმწიფო აპარატის მექანიზმის დონეზე. ამის დადასტურებაა 1988 და 1993 წლების საკანონმდებლო არჩევნები. ფედერაციულ გერმანიაში 1969 და 1982 წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე ორი პოლუსის დაპირისპირება დომინირებდა: ერთი პოლუსი სოციალ-დემოკრატებისა და ლიბერალების ალიანსისგან იყო შემდგარი, მეორე კი ქრისტიან-დემოკრატთა მიერ იყო ჩამოყალიბებული.

აშკარაა, როდესაც ერთი ან ორივე პოლუსი კოალიციას ქმნის, იბადება კითხვა ამ ალიანსების სტაბილურობის ზღვართან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, ორივე პოლუსი ჩამოყალიბებულია არა ერთი ძალის, არამედ ორი ან ბევრი პარტნიორის მიერ, რომელთა მიზნები და ინტერესები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ამ ფარული წინააღმდეგობის ღია კონფლიქტად გადაქცევის შემთხვევაში, კოალიციის დანაწევრიანებასთან გვაქვს საქმე, რამაც შეიძლება ალიანსის მძაფრი ცვლილება გამოიწვიოს. ამგვარ მოვლენას ადგილი ჰქონდა 1982 წელს გერმანიაში, როდესაც ლიბერალურმა პარტიამ სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმება გაწყვიტა ქრისტიან-დემოკრატებთან კოალიციის ჩამოსაყალიბებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს ახალი ბიპოლარული სტრუქტურის შექმნა (ასეთი იყო გერმანიის შემთხვევა 1983 და 1987 წლებში ქრისტიან-დემოკრატებისა და ლიბერალების გამარჯვებით, შემდეგ 1990 და 1994 წლებში გაერთიანებული გერმანიის ახალ ჩარჩოში), ან ბიპოლარული სისტემის მრავალპოლარულ სისტემად ტრანსფორმაცია.

160. მრავალპოლარული სისტემები. — მრავალპოლარულ სისტემას ცვალებადი სიდიდის მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობის პოლიტიკური პარტიების არსებობა ახასიათებს, რომელთა შორისაც არჩევნების წინ შეთანხმება არ არსებობს (უმრავლესობა პარლამენტში ყალიბდება, ამომრჩეველთა ჩარევის გარეშე) ან გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდული და არამყარი შეთანხმებები არსებობს. ამ შეთანხმებებმა შეიძლება **საარჩევნო ან სამთავრობო ალიანსების** ფორმა მიიღოს.

საარჩევნო ალიანსები არსებობს იმდენად, რამდენადაც არჩევნების წესი ამის გაკეთების საშუალებას იძლევა. მათი გამოყენება გამორიცხულია პროპორციული წარმომადგენლობის ან ერთტურიანი (ერთი კანდიდატისთვის ხმის მიცემა) არჩევნებით, როგორც ამას დიდ ბრიტანეთში აქვს ადგილი: ამ შემთხვევაში, თითოეული პოლიტიკური პარტია ბრძოლის ასპარეზზე ცალკე გამოდის. საქმე სხვაგვარადაა ორტურიანი არჩევნების დროს. აღნიშნულ შემთხვევაში, ამომრჩეველს, რომლის კანდიდატი პირველ ტურში დამარცხდა, შეუძლია თავისი საარჩევნო ბიულეტენი იმ კანდიდატის სასარგებლოდ გამოიყენოს, რომელმაც ბარიერი გადალახა და მისთვის მეტ-ნაკლებად მოსაწონია. (სწორედ ამაშია ფრანგული ანდაზის მნიშვნელობა: „პირველ ტურში ირჩევენ, მეორეში თავიდან იცილებენ"). ამგვარად, პოლიტიკურ პარტიებს კანდიდატურის მოხსნის თაობაზე შეთანხმებების შესაძლებლობა ეძლევა, ე.ი. ისინი ამომრჩევლებს უბიძგებენ მათი კანდიდატის სიის სათავეში არმოხვედრის შემთხვევაში, ხმა მისცენ სხვა პარტიის კანდიდატს. ამომრჩევლები მეტ-ნაკლებად მისდევენ ამ ინსტრუქციებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მათ ზოგადად ეფექტურობა გააჩნიათ. ამგვარად ჩამოყალიბებულმა საარჩევნო ალიანსმა, თუ ის ორ პოლიტიკურ პარტიას შორის არის დადებული, რომელსაც უმრავლესობის მოპოვების იმედი აქვს, ბიპოლარული სისტემის შექმნამდე შეიძლება მიგვიყვანოს: მაგალითად, 1972 წელს სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის საერთო პროგრამაზე ხელმოწერას ორ პარტიას შორის უბრალო ალიანსი უსწრებდა წინ. ამავე დროს, ამ ორ სიტუაციას შორის საკმაოდ დიდი განსხვავება არსებობს: საარჩევნო ალიანსი არ მოითხოვს ერთად მართვის ვალდებულებას გამარჯვების შემთხვევაში. პარტიები ფაქტობრივად და იურიდიულად თავისუფლები რჩებიან მათი არჩევანის გადახედვისა და სხვა პარტნიორებთან ახალი ალიანსის დადების საკითხში.

ამის საპირისპიროდ, სამთავრობო ალიანსზე ლაპარაკია მაშინ, როდესაც პარტიები საზეიმო ვითარებაში ერთად მართვის ვალდებულებას იღებენ, მათი კოალიციის მიერ უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში. „საზეიმო ვითარება" რეალურად ორ რამეს აღნიშნავს: ერთი მხრივ, ვალდებულება მოწმეთა სახით აყვანილ ამომრჩევლებთან არის დადებული, რომლებმაც ასე ვთქვათ, შეთანხმების რატიფიკაცია უნდა მოახდინონ. მეორე მხრივ, ვალდებულება პროგრამაშია

გამოხატული: პარტნიორები აცხადებენ იმ მიზნების შესახებ, რომელიც ერთად უნდა განახორციელონ. ამ ორმა მახასიათებელმა დაპირებების გულწრფელობა და კავშირის სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება.

პრაქტიკაში, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ამ სამ ჰიპოთეზას — საპარლამენტო კომბინაციები, საარჩევნო ალიანსები, სამთავრობო ალიანსები — ყოველთვის ძალიან განსხვავებული შედეგები მოჰყვება. ყოველ შემთხვევაში, ამ აზრს ბადებს საფრანგეთის III და IV რესპუბლიკების პარტიათა სისტემაზე დაკვირვება. ამ რესპუბლიკების არსებობის დროს, პარტიები ძალიან მრავალრიცხოვანი და გაყოფილი იყო ინტერესთა, პიროვნებათა, პოლიტიკური და ფილოსოფიური არჩევანის შეუთავსებლობის გამო. თუკი კომუნისტურ პარტიას გამოვრიცხავთ, რომელიც 1947 წლის შემდეგ სხვა პოლიტიკური ჯგუფების შეთანხმების შედეგად იზოლაციის მდგომარეობაში დარჩა, ყველა პარტიას შეეძლო ხელისუფლებაში მოსვლა. ძალიან დიდი იყო შესაძლებელი კომბინაციების რაოდენობა. ამავე დროს, ცენტრისტულ ჯგუფებს პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდათ, იმდენად, რამდენადაც მათ შეთანხმება შეეძლოთ ხან მემარჯვენეებთან, ხან კი მემარცხენეებთან და ამგვარად, თავის სასარგებლოდ მთავრობის ორიენტაციის შეცვლის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ისინი ასევე შუალედური პარტიის როლს ასრულებდნენ. სწორედ აქ ვლინდება მრავალპოლარული სისტემებისთვის დამახასიათებელი ნიშანი. შუალედური პარტია, თავისი ცენტრისტული მდგომარეობით, თითქოსდა წარმოჩნდება როგორც აუცილებელი სხვადასხვა სამთავრობო კომბინაციების განხორციელებისთვის. ამ ტიპის პარტიები ხშირად კადრების პარტიებს წარმოადგენენ. მათი ამომრჩეველთა რაოდენობა შეზღუდულია. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მხოლოდ რჩეულებისგან შექმნილ საპარლამენტო ჯგუფების ფორმით არსებობენ, რომელთაც ძლიერი პერსონალური გავლენით დიდი პოლიტიკური პარტიების პატრონაჟის შესაძლებლობა ეძლევათ. ამავე დროს, მათი სტრატეგიული მდგომარეობა ამ ჯგუფების მთავრობებში წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. ჩვეულებისამებრ, ისინი ზედმეტადაც არიან წარმოდგენილნი: მემარჯვენეებისა და მემარცხენეების მიმართ ფარული თუ ღია შანტაჟის გამოყენება, მათთვის პორტფელთა იმ რაოდენობას უზრუნველყოფს, რომელიც არ შეესაბამება მათი საპარლამენტო ჯგუფის რაოდენობას და ქვეყანაში მათ გავლენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამომრჩეველთა არჩევანი, თუ ის სავარაუდოდ ნათლადაა გამოხატული, სწრაფად კარგავს ყოველგვარ გავლენას მთავრობის ჩამოყალიბებაზე. III რესპუბლიკის დროს ყველა ლეგისლატურა უმრავლესობის დამხობის მოწმე გახდა. ამის ყველაზე ღირშესანიშნავი მაგალითია, 1936 წელს „სახალხო ფრონტის" უმრავლესობის მიერ შექმნილი პალატა, რომელიც რადიკალების, სოციალისტებისა და კომუნისტების ალიანსის შედეგად შეიქმნა. პირველ ხანებში, საარჩევნო კორპუსის ნება დაცული იყო, რადგან ლეონ ბლუმმა ჩამოაყალიბა მთავრობა, რომელშიც სოციალისტები და რადიკალები შედიოდნენ. კომუნისტებმა მთავრობაში მონაწილეობის გარეშე მხარდაჭერა არჩიეს. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ექსპერიმენტის განვითარებით შეშფოთებული რადიკალები მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდნენ, რის შედეგადაც ბლუმის მთავრობა დაემხო. ბევრი ეპიზოდისა და 1940 წლის ივნისის კრახის შემდეგ, იმავე პალატამ პეტენს შეუზღუდავი უფლებამოსილებები გადასცა. აღნიშნული 1936 წლის არჩევნების გარკვეულწილად პარადოქსული შედეგი იყო. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა IV რესპუბლიკის პერიოდში, როდესაც 1956 წელს ამომრჩეველებმა „რესპუბლიკურ ფრონტს"" მისცეს ხმა იმ იმედით, რომ ხელისუფლებაში პიერ მენდეს ფრანსი მოვიდოდა. თუმცა ეს უკანასკნელნი გაკვირვებულნი დარჩნენ იმ ფაქტით, რომ სინამდვილეში გი მოლეს მისცეს ხმა.... რადგან არჩევნებიდან გამოსულმა ასამბლეამ საბოლოოდ, მთავრობის ჩამოყალიბება გი მოლეს დაავალა.

161. ორიეე სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები. — ამ ტიპის მოვლენები სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს შეფასებული. უდავოა, რომ ბიპოლარული სისტემები ამომრჩეველთა ნებას უკეთ გამოხატავენ, რადგან ზუსტი დაყოფის საფუძველზე, მათ ხანგრძლივი შედეგები მოჰყვება. ამავე დროს, მოვლენების ამბივალენტობა იმგვარია, რომ უპირატესობა შეიძლება ნაკლოვანებად იქცეს. მრავალპოლარული სისტემების გასამართლებლად აღნიშნავენ, რომ ისინი არჩევნების დღეს ნაციონალური წარმომადგენლობის პარალიზებას არ ახდენენ. ამ შემთხვევაში, თავს იჩენს იგივე პრობლემა, რომელიც პარტიებია პროგრამების განხილვისას აღინიშნა: საარჩევნო კონსულტაციები შეზღუდულია, ისინი გახსაზღვრულ დროს მიმდინარეობენ და გა-

უთვალისწინებელ შედეგებს ყოველთვის შეუძლია სიტუაციის სიღრმისეული შეცვლა ახალი არჩევნების დაწყებამდე. ამიტომაც, შეიძლება უფსკრული გაჩნდეს ამომრჩეველთა არჩევანს შორის, რომელიც ადრე იყო გამოხატული და უმრავლესობის გარკვეული ტიპი ჩამოაყალიბა და საზოგადოებრივ აზრს შორის, რომელიც მოვლენათა მსვლელობასთან ერთად შეიცვალა. თავის ამომრჩევლებთან კონტაქტში მყოფმა დეპუტატებმა უნდა გაითვალისწინონ ამგვარი ტრანსფორმაციები. სამთავრობო უმრავლესობის შეცვლის თავისუფლება, რომელსაც მათ მრავალპოლარული სისტემა სთავაზობს, მათ კოლექტიურ ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების ფაქტებში გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს.

სწორედ ამაში მდგომარეობს პარლამენტარებისთვის შეთავაზებული შესაძლებლობის გონიერი გამართლება, რომელთაც ფორმალური კონსულტაციის გარეშე კურსის შეცვლა შეუძლიათ, ე.ი. თავისი მანდატებისა, არჩევნების გარეშე. ამგვარი შესაძლებლობა გარკვეულ რეალობას შეესატყვისება. სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ამომრჩევლები ძალიან სწრაფად ემხრობიან ახალ ექსპერიმენტებს და უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ ამ უკანასკნელთა მიტოვების ან დავიწყების გამო. როდესაც აღნიშნული ინდიფერენტულობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ბიპოლარული სისტემით შექმნილ სტაბილურ უმრავლესობას მივყავართ იქამდე, რომ მთავრობას ხელისუფლებაში დარჩენის უფლება ეძლევა მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ის ფაქტობრივად ამომრჩეველთა მესამედს ან მეოთხედს წარმოადგენს. ამგვარი სიტუაცია შოკის მომგვრელია დემოკრატიული პრინციპების ასპექტში.

ამავე დროს, უმრავლესობის დაშლისა და შექმნის პარლამენტარებისთვის მინიჭებული თავისუფლება, ამ უკანასკნელთ საზოგადოებრივი აზრის ევოლუციის გამოააშკარავების, გაანალიზებისა და სუბიექტური განსაზღვრის გადაჭარბებულ უფლებას აძლევს, ყოველგვარი კონტროლის შესაძლებლობის გარეშე. განა ამ შემთხვევაში, ისინი ერთდროულად მოსამართლეებსა და მონაწილე მხარეს არ წარმოადგენენ? განა მათ არ შეუძლიათ თავის შეხედულებათა რადიკალური შეცვლის გასამართლებლად საზოგადოებრივი ცნობიერების „ღრმა" ტრანსფორმაცია მოიშველიონ, რასაც გარდა საკუთარი ინტერესებისა და ამბიციებისა სხვა მოტივები არ გააჩნია? ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს იმის საშიშროება, რომ რჩეულებისთვის შეთავაზებული მოქმედების ამგვარი თავისუფლება თავად დემოკრატიის ცნებას კითხვის ქვეშ დააყენებს. მართლაც, ამომრჩევლები იფიქრებენ, რომ ისინი აღარ არიან თამაშის ჭეშმარიტი მონაწილეები. ისინი განაცხადებენ, რომ მმართველთა დანიშვნა მათ გარეშე ხდება. აქედან მოყოლებული, ამომრჩევლებს აღარ ექნებათ ქვეყნის საქმეებსა და საკუთარ ბედზე გავლენის მოხდენის შეგრძნება. ამ ტიპის ცნობიერება ძალიან საშიშია, რადგან ის მოქალაქეებს ინდიფერენტულობისკენ ან არსებული პოლიტიკური სისტემის გლობალურად კითხვის ქვეშ დაყენებისკენ უბიძგებს.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბიპოლარული სისტემა დემოკრატიის ცნებით შემოტანილ იდეალს უკეთ ანხორციელებს. მართლაც, თუკი ამომრჩევლებისთვის შემოთავაზებული არჩევანი შეზღუდულია, რადგან ის ერთადერთ ალტერნატივამდეა დაყვანილი, სამაგიეროდ, ამომრჩევლებს ორ ტენდენციას შორის რეალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ, რომლის პირობები წინასწარ არის განსაზღვრული. ამიტომაც, გამძაფრებულია იმის შეგრძნება, რომ თითოეული ამომრჩეველი პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს.

მეორე მხრივ, ბიპოლარული სისტემები ერთადერთი სისტემებია, რომელიც სამთავრობო სტაბილურობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა. მართლაც, ალიანსების სიმრავლე და მრავალპოლარული სისტემიდან გამომდინარე ალიანსების დაშლა სერიოზული პოლიტიკური არასტაბილურობის ფაქტორს წარმოადგენს, რომლის მაგალითია III და IV რესპუბლიკების ისტორია საფრანგეთში. ამის საპირისპიროდ, ბიპოლარული სისტემა სტაბილურობის საწინდარია.

მესამე, ბიპოლარული სისტემები უკეთ უზრუნველყოფენ პარტიების სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას. მართლაც, როდესაც პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე პატარა პარტიების დიდი რაოდენობა თანაარსებობს, თითოეული მათგანი გარკვეული სოციალური კატეგორიის წარმოდგენას ცდილობს, რომლის სპეციფიკურ ინტერესებსაც ის იცავს. ბუნებრივია, ასეთი პარტია ზედმეტად ბევრ დაპირებას იძლევა და კორპორაციულ დემაგოგიას ეწევა. ამის საპირისპიროდ, დიდი პარტიები, რომელშიც ფართო კოალიციები თავის შიგნით უცილობლად სხვადასხვა სოციალური კატეგორიიდან გამოსულ ინდივიდებს აერთიანებენ, ამ უკანასკნელთ სიფრთხილით უნდა მოექცნენ. ამასთანავე, პარტიები იძულებული არიან ამ კოალიციებს შორის არბიტრაჟის როლი შეასრულონ. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მცირერიცხოვანმა პარტიებმა გამაერ-

თიანებელი ფუნქცია უნდა იკისრონ. ამით ისინი მთავრობებს იმ ამოცანას უიოლებენ, რომელიც ერთი საზოგადოების შიგნით განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფების თანაარსებობის შესაძლებლობაში მდგომარეობს. ამგვარ სიტემაში პარტიები უკეთ უზრუნველყოფენ დემოკრატიული სისტემის ჰარმონიულ ფუნქციონირებას.

და ბოლოს, ბიპოლარული სისტემები მონაცვლეობის პროცესის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. მონაცვლეობა სამთავრობო გუნდების რეგულარული და მშვიდობიანი ცვლილებაა, რომლის მეშვეობით სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ კატეგორიებს განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღებით, ხელისუფლებაში ერთმანეთის შენაცვლება შეუძლიათ. სამაგიეროდ, მრავალპოლარულ სისტემებში ცვლილებები ზედმეტად ხშირად ხდება და ისინი მნიშვნელოვან ხასიათს არ ატარებენ. ამგვარი ცვლილებები ყოველთვის მსგავს პოლიტიკას ატარებენ, თუკი მხედველობაში პერსონალურ ცვლილებებს არ მივიღებთ. ამ სიტუაციამ მოქალაქეებში შეიძლება მოქმედების უნაყოფობის გრძნობა წარმოშვას, რადგან ის არანაირად არ აისახება მთავრობის საქმიანობის რეალურ ცვლილებაში. უნაყოფო მოქმედება და უძრაობა შეიძლება მრავალპოლარული სისტემის შედეგი იყოს, მაშინ როდესაც მონაცვლეობა ამ ორი ნაკლოვანების სწრაფად გადაჭრის საშუალებას იძლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა დავასკვნათ, რომ ბიპოლარული სისტემა დემოკრატიული იდეალის განხორციელების ავტომატური გარანტიაა? არა, რადგან საპირისპირო მიზეზები ზოგჯერ იდენტურ შედეგს იძლევიან. ბრიტანული პოლიტიკური სისტემის მაგალითმა გვიჩვენა, რომ მკაცრმა ორპარტიულობამაც შეიძლება სისტემის მიმართ გლობალური იმედგაცრუება გამოიწვიოს. თუკი გარკვეული კონიუნქტურის შემთხვევაში, ახალი პოლიტიკური პარტიები ორი დიდი პარტიის დომინანტურ პოზიციას ემუქრებიან, ეს ხდება იმის გამო, რომ კონსერვატორებსა და ლეიბორისტებს შორის რეგულარული მონაცვლეობა ზოგჯერ პარადოქსულად ბლოკირებულად და არაეფექტურად გამოიყურება ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრის საკითხში. თავად მონაცვლეობის მექანიზმმაც შეიძლება გულაცრუება გამოიწვიოს, თუკი მისი მამოძრავებელი პოლიტიკური პარტიები მეტად მცირე კონტრასტულობას ავლენენ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალების მიერ წამოყენებულ ორ არჩევანს შორის საგრძნობი განსხვავება ბიპოლარული სისტემების კარგი ფუნქციონირების პირობაა.

გაკეთებული დაკვირვებები გვიჩვენებს თუ რამდენად ილუზორულია იმის დაჯერება, რომ ინსტიტუციონალური სისტემის მექანიკური ფუნქციონირება მხოლოდ მას აძლევს საზოგადოებაში არსებული ყველა პრობლემის გადაჭრის საშუალებას. მომხრეთა სისტემის ფუნქციონირება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ინსტიტუციონალური მახასიათებლებით. ის ასევე ადაპტირებული უნდა იყოს პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან და ამომრჩეველთა მისწრაფებებს შეესატყვისებოდეს.

162. პარტიათა სისტემა აშშ-ში. — ითვალისწინებს თუ არა ბიპოლარულ და მრავალპოლარულ სისტემებს შორის არსებული დიდი განსხვავება იმ პოლიტიკურ საზოგადოებათა ფუნქციონირებას, რომელშიც მრავალპარტიულობა არსებობს? როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. ამერიკული პარტიების შესწავლა ამის შემოწმების საშუალებას იძლევა.

აშშ-ში მხოლოდ ორი დიდი ნაციონალური მასშტაბის პოლიტიკური პარტია არსებობს: რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები. მესამე ძალის შექმნის მცდელობები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. არის კი სისტემა ორპარტიული იმ მნიშვნელობით როგორითაც, ჩვენ ის განვსაზღვრეთ? არავითარ შემთხვევაში, და ამას ორი მიზეზი აქვს.

უპირველეს ყოვლისა, ორივე პარტიის რჩეულები კონგრესში ხმის მიცემის არავითარ დისციპლინას არ იცავენ. რესპუბლიკელი რჩეულები რესპუბლიკელ პრეზიდენტს სისტემატურად არ უჭერენ მხარს, ისევე როგორც დემოკრატი რჩეულები ამ უკანასკნელს სისტემატურად არ აკრიტიკებენ. იგივე ხდება საპირისპირო შემთხვევაში. ფაქტობრივად, თითოეულ კანონპროექტზე დისკუსია სპეციფიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას ავლენს. რჩეულები თავის შეხედულებას გამოთქვამენ ისე, რომ საკუთარ პარტიას ანგარიშს არ უწევენ. ხელისუფლების მკაცრი დაყოფისა და ამერიკული პოლიტიკური ჩვევების შესაბამისად, რჩეულები თავისი ხელახალი არჩევისთვის პრეზიდენტისგან სრულიად არ არიან დამოკიდებულნი. თუკი ამომრჩეველები თავიანთ რჩეულებს ანგარიშს სთხოვენ, ისინი ამას აკეთებენ არა იდეოლოგიური არჩევანის მიხედვით,

რომელიც რომელიმე პარტიისადმი მიკუთვნებიდან მომდინარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამომრჩევლები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატს მისცეს ხმა, უცილობლად არ საყვედურობენ დემოკრატ რჩეულს, რომ მან დემოკრატ პრეზიდენტს არ დაუჭირა მხარი. აღნიშნული ფენომენი ძნელად გასაგებია ევროპელისთვის, რომელიც უმრავლესობისა და იდეოლოგიური არჩევანის კატეგორიებით აზროვნებას არის შეჩვეული. თუმცა, აშშ-ში ამაში არაფერია გასაკვირი.

უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, მოქხრეთა დისციპლინის არარსებობა იმ სოციალური ცხოვრების ანარეკლია, რომელიც ევროპული ქვეყნებისგან სიღრმისეულად განსხვავდება. აშშ-ს არ ჰქონია ისეთი მოვლენებით აღსავსე ისტორია, რომელიც უამრავი გადანაწილებების ფაქტორი გახდა და დაღი დაასვა ევროპის ქვეყნებს. იმ შემთხვევაშიც, როდესაც სოციალური კონფლიქტები ხშირად ძალადობის მაღალ დონეს აღწევდა, მათ არასოდეს გამოუწვევიათ არსებული წესრიგის კითხვის ქვეშ დაყენება. აღნიშნული ფენომენი ამერიკული კულტურის სპეციფიკური ნიშნებით შეიძლება აიხსნას: რწმენა რამდენიმე დიდი გამაერთიანებელი მითისადმი, ადამიანური გონიერების უბადლო შედეგის, აშშ-ის კონსტიტუციისადმი, ამერიკის, როგორც თავისუფლებისა და სოციალური ცვლილებების ქვეყნისადმი, სადაც ნებისმიერი ღარიბი ბავშვი შეიძლება მილიონერი გახდეს; ნაციონალიზმი კარგი გაგებით; კონფლიქტების არგამწვავების ნება ერში, რომელიც თავისი ერთიანობის სიმყიფეს აცნობიერებს. ამ ფაქტორებმა შესაძლებელი გახადეს ამერიკული პოლიტიკური სისტემის კითხვის ქვეშ დაყენების ზოგადი ეჭვის თავიდან აცილება და რევოლუციურ იდეოლოგიებზე დაფუძნებული ნებისმიერი პოლიტიკური ინტერპრეტაციის პარალიზება.

მეორე მხრივ, ამერიკული პოლიტიკური პარტიების ერთიანობა საკმაოდ პირობითია. ეს განსაკუთრებით დემოკრატიულ პარტიას ეხება. მის შიგნით სისტემიდან მეტ-ნაკლებად გარიყული უმცირესობები არიან გაერთიანებულნი: დამარცხებული სამხრეთის მომხრეები და ასევე რელიგიური უმცირესობები (კათოლიკეები, ებრაელები), ეთნიკური უმცირესობები (შავკანიანები, პუერტორიკელები), ინტელექტუალები, ფემინისტური მოძრაობები, ჰომოსექსუალები. დემოკრატიული პარტია აშკარად კონსერვატორულია სამხრეთში მაშინ, როდესაც სხვა ჯგუფები უფრო ლიბერალური ტენდენციების მატარებელია, რადიკალურისაც კი. მიუხედავად კონტრასტების ნაკლებობისა, რესპუბლიკურ პარტიაშიც ასევე ძლიერი რეგიონალური დიფერენციაცია აღინიშნება. უპირველეს ყოვლისა, ამერიკული პარტიები ადგილობრივი ორგანიზაციებია, რომლის ნორმალური და ინტენსიური საქმიანობა ქალაქის, საგრაფოსა და სახელმწიფოს დონეზე მიმდინარეობს. ნაციონალური ორგანიზაცია მხოლოდ კონფედერაციას წარმოადგენს, რომელსაც არ გააჩნია მყარი სტრუქტურები, მუდმივი ლიდერები და საშუალებები, რომელიც თავის წევრებს დისციპლინას და მნიშვნელოვან პრობლემებზე ერთიან პოზიციას მოსთხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ახლო პერიოდში ცენტრალიზაციის გარკვეულმა ტენდენციამ იჩინა თავი, ნაციონალური ინსტიტუტების გავლენა შეუდარებელია ევროპული პარტიების გავლენასთან. ამით აიხსნება ერთადერთი ეტიკეტის ქვეშ განსხვავებული ტენდენციებისა და გრძნობების თანაარსებობა.

შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური ორგანიზაციები არ გაჩნდებოდნენ, თუკი არ იარსებებდა ინსტიტუციონალური მექანიზმის შექმნის აუცილებლობა ანუ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული მექანიზმისა. მართლაც, არჩევნები ფედერალურ დონეზე კოორდინაციას გულისხმობს და, უპირველეს ყოვლისა, კანდიდატის შერჩევას. ამისათვის თითოეულმა პარტიამ ორ ტენდენციას შორის არჩევანი უნდა გააკეთოს და ამგვარად თავის შიგნით ერთიანობა შექმნას, რომელიც a priori არ არის მოცემული. კანდიდატთა შერჩევა დიდი კრებების დროს ხდება, რომელსაც კონვენციებს (პარტიის ყრილობა პრეზიდენტობის კანდიდატის ასარჩევად) უწოდებენ. ამ კონვენციებზე დელეგატებს თითოეული შტატის დონეზე პირველადი არჩევნების ან პარტიის აპარატის მიერ ირჩევენ. ხშირად ძალიან რთულია შეთანხმებამდე მისვლა ტენდენციებისა და პიროვნული კონფლიქტების გამო. თუმცა მიღწეული ერთიანობის შემდეგ პარტია ყველაფერს აკეთებს თავისი კანდიდატის გასამარჯვებლად. ამავე დროს, არჩევნების შემდეგ პარტია კვლავ ადგილობრივი ორგანიზაციების დონემდე დადის. მისი კანდიდატის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, პარტია ამ უკანასკნელზე არავითარ კონტროლს არ აწარმოებს, ისევე როგორც პრაქტიკული პოლიტიკის გატარებისას, ის უცილობლად არ უჭერს მხარს პრეზიდენტს. სახელმწიფოს დონეზე, ამერიკული პარტიები მხოლოდ საარჩევნო მანქანებს, „სარაკეტო დანადგარს" წარმოადგენენ, რომლის როლი რაკეტის ორბიტაზე გასვლისთანავე სრულდება.

ფენომენის სიღრმისეული ანალიზის გასაკეთებლად, მიზანშეწონილი იქნება რაციონალური და პოლიტიკური ხასიათის დაკვირვებებს, ეთნოლოგიური ხასიათის დაკვირვებებიც დავუმატოთ. ამერიკულმა პოლიტიკურმა პარტიებმა მთელი „ფოლკლორიც" კი შექმნეს. ამ ფაქტის მნიშვნელობა ჯეროვნად უნდა შეფასდეს იმ საზოგადოებაში, რომელშიც საერთო ტრადიციები ნაკლებად არსებობს, რადგან ის ჰეტეროგენული ჯგუფების მომიჯნავეობის შედეგია. ამიტომაც, ეს პარტიები ტოტემის როლს ასრულებენ იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის საშუალების მნიშვნელობით: არსებობს რესპუბლიკური ან დემოკრატიული ტრადიციების მქონე ოჯახები: თუკი კარგად ნაცნობი გაზიანი სასმელი რესპუბლიკური წარმომავლობისაა, მისი მეტოქე დემოკრატია და სხვ.

აღნიშნული ფენომენები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ სპეციალისტებს, რომლებიც ზუსტი და მყარი კატეგორიებით ოპერირებას არიან შეჩვეულნი. ამგვარი ფენომენები კი პარადოქსული კატეგორიიდან მომდინარეობენ: პოლიტიკის აპოლიტიკური განზომილება. პოლიტიზირებულ სახეობათა ქვეშ (პარტიები) მასში ბევრად ღრმა და უნივერსალური მექანიზმი — ინდივიდუალური და კოლექტიური თვითმყოფადობა გამოიხატება. საარჩევნო კამპანიები საპირისპირო პროცესს ანხორციელებენ: ორ მეტოქე კანდიდატს შორის არჩევანის გაკეთებით, ისინი სიმბოლოებს პოლიტიკის მეშვეობით აღადგენენ. ორი დონის კომბინაცია სარისკო და რთულია: ტოტემური ერთგულება თითოეულ პარტიას აქტივისტთა და ამომრჩეველთა რეზერვებს სთავაზობს. ამის საპირისპიროდ, თავად პოლიტიკური კონფრონტაცია (კანდიდატთა შეჯახება, პროგრამები და სხვ.) ტრადიციულ ვალდებულებებს შეუმჩნეველს ხდის, რომელიც უფრო მეტად გემოვნებიდან და არა შინაგანი სოციალური სტერეოტიპებიდან მომდინარეობს, რომელიც პრინციპში ევროპელი ამომრჩევლებისთვისაა დამახასიათებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორ უნდა განვალაგოთ ამერიკული პარტიები პარტიათა სისტემის კლასიფიკაციაში? ზოგჯერ ლაპარაკობენ მოჩვენებით ორპარტიულობაზე, რომელიც ვითომდა რეალურ მრავალპარტიულობას ჩქმალავს. სხვადასხვა ადგილობრივი კომიტეტები, ჯგუფები, ტენდენციები, რომლებიც ამერიკული პარტიების შიგნით თანაარსებობენ, ამ შემთხვევაში დამოუკიდებელ ერთეულებადაა მიჩნეული, რომელიც გარკვეულწილად ბიპოლარულ კონფრონტაციაშია საპრეზიდენტო არჩევნების ხელოვნური მექანიზმის გამო. ამერიკულ სისტემას ასევე ხშირად „მოქნილ ორპარტიულობას" უწოდებენ იმისათვის, რომ ის ინგლისური სისტემისგან განასხვავონ. სიმართლე რომ ითქვას, არც ერთი მოყვანილი ფორმულირება არ არის დამაკმაყოფილებელი. ამგვარი ანალიზის მიზანი მიუხედავად იმისა, რომ ის ვასაგებია, თავისი ბუნებით არადამაკმაყოფილებელია, რადგან გულისხმობს ამოუცნობის მიყვანას ცნობილამდე ანუ ამერიკული სისტემის ევროპულ სისტემამდე დაყვანას. აღნიშნული ორი სამყარო, მიუხედავად მათი სიახლოვისა, ერთმანეთისგან სიღრმისეულად განსხვავდება და თითოეული მათგანი მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით უნდა გაანალიზდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად პარტიების სისტემის ცნება პირობითია. ის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პარტიების რაოდენობა და ბუნება გარკვეულწილად მმართველთა დანიშვნასა და შესაბამისად, ხელისუფლების აღსრულებას განაპირობებს. აშშ-ში კონგრესს არ შეუძლია პრეზიდენტის დამხობა, ამ უკანასკნელს კი კონგრესის დაშლა. პარტიათა სისტემა ნეიტრალურია ხელისუფლების აღსრულების მიმართ, რადგან დღის წესრიგში აღარ დგას საპარლამენტო უმრავლესობის პრობლემა. თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება თითოეულ განსაზღვრულ შემთხვევაში დაისვას, როდესაც პრეზიდენტს სურს განსაკუთრებული გადაწყვეტილება მიაღებინოს კონგრესს, მაგრამ არ არსებობს მთავრობის ფორმირებისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობა. აქედან გამომდინარე, აშშ-ში ახალი პარტიების გამოჩენის შემთხვევაში (ნაკლებად სავარაუდო ჰიპოთეზა), ეს ფენომენი შეიძლება შეცვლიდა საპრეზიდენტო არჩევნების მექანიზმს, მაგრამ ის სრულიად არაფერს შეცვლიდა არჩეული პრეზიდენტის მიერ ფუნქციების აღსრულების ფორმაში, რადგან კონგრესთან მისი დიალოგის პირობები იგივე დარჩებოდა. ასევე არაფერი შეიცვლებოდა ამომრჩეველთა მიერ კონგრესმენთა არჩევის ფორმაში, რადგან ქვეყნის ნაციონალური პოლიტიკის არჩევანი უკვე საპრეზიდენტო არჩევნების დროს და არა კონგრესის წევრთა არჩევისას იქნა გაკეთებული.

163. დომინანტური პარტიის ცნება. — დომინანტური პარტიის ცნება ერთი პარადოქსის გასარკვევად შეიქმნა: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პარტია არსებობს, არჩევნები თავისუფა-

ლი და გამქვირვალეა, მონაცვლეობა მაინც არ ხდება. როგორც ჩანს, აღნიშნული ცნება ძალიან განსხვავებულ სიტუაციებს აახლოებს და სრულიადაც არ ფენს ნათელს კითხვას, რომელზე პასუხიც უნდა გასცეს.

როგორია თეორიაში დომინანტური პარტიის დამახასიათებელი ნიშნები? გარდა ნამდვილი საარჩევნო შეჯიბრის არსებობისა, საჭიროა, რომ პარტიის დომინირება მოცემული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივი იყოს. ამ პარტიამ ხმათა საგრძნობი უპირატესობა უნდა მოიპოვოს იმ პარტიებთან მიმართებაში, რომლისგანაც ის განსაკუთრებით დისტანცირებულია, ხოლო ეს უკანასკნელნი არ წარმოადგენენ სტაბილურ და ერთიან კოალიციას სათანადო ალტერნატივის შესაქმნელად: საქმე ამგვარად რომ ყოფილიყო ბიპოლარულ სისტემაში აღმოვჩნდებოდით. წარმატების როგორი მასშტაბი უნდა მოიპოვოს პარტიამ, რომ დიდი ხნის განმავლობაში დომინანტური როლი ითამაშოს? ეს საარჩევნო სისტემაზეა დამოკიდებული. თეორიულად, პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში, მმართველობის განსახორციელებლად პარტიამ ხმათა 51% უნდა მოიპოვოს. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ამ პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობა პატარა პოლიტიკურ ჯგუფებთან ჩამოაყალიბოს, რომლებიც მას ექვემდებარებიან. მაჟორიტარული სისტემით არჩევნების დროს ნაკლები ხმების მოპოვება პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

რამდენი ხნის განმავლობაში უნდა უსწრებდეს წინ პარტია თავის მეტოქეს იმისათვის, რომ მის დომინანტურ პოზიციაზე ილაპარაკონ? ნებისმიერი პასუხი თვითნებური იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დომინანტური პარტია უცილობლად არ წარმოადგენს ისეთ პარტიას, რომელიც მუდმივად ხელისუფლებაშია: დამარცხების შემთხვევაში, მისი მდგომარეობა ნამდვილად არ დგება კითხვის ქვეშ, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იბრუნებს ხელში ის ხელისუფლების სადავეებს და რამდენად სერიოზულად არყევს ამგვარი პაუზა მის ელექტორატს. დომინანტური პარტიის ჭეშმარიტი კრიტერიუმი ფსიქოლოგიური ხასიათისაა: პარტიას სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს დომინანტური იმ შემთხვევაში, თუ თავის იდენტიფიკაციას მისი ქვეყნის გარკვეულ ისტორიულ პერიოდთან ახდენს, მონარქიული სისტემების მსგავსად, როდესაც რომელიმე ეპოქა სუვერენის სახელს ატარებდა.

თუკი საკითხს ამგვარად დავაყენებთ, დომინანტური პარტიის არსებობა ძალიან განსხვავებულ პოლიტიკურ სიტუაციებს შეიძლება შეესაბამებოდეს. ამგვარად, დიდი ხნის მანძილზე იტალიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია დომინანტური პარტიის მაგალითად იყო მიჩნეული. ომის შემდეგ, ის უწყვეტლივ ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა 1993 წლამდე. ათწლეულების მანძილზე ამ პარტიას განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ სიტუაციის შედეგები ორაზროვანი იყო. ყველაზე ზედაპირულ დონეზე, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის დომინირებამ ქრონიკული სამთავრობო კრიზისი ვერ შეაჩერა. სიღრმისეულ დონეზე, პირიქით, სისტემას უძრაობა ახასიათებდა. ამგვარი წინააღმდეგობრიობა არჩევნების წესით აიხსნება: პროპორციულმა წარმომადგენლობამ ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას აბსოლუტური უმრავლესობის ჩამოყალიბებაში შეუშალა ხელი და მას თავისი ბუნებით მყიფე სამთავრობო კოალიციების ჩამოყალიბება აიძულა. ამავე დროს, არჩევნების წესი ნებისმიერ ცვლილებას პარალიზებას უკეთებდა: სისტემა ბლოკირებული იყო. 80-იან წლებში მოხდა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობის თანდათანობითი გაუარესება. 1992 წლის საკანონმდებლო არჩევნებში მან კვლავ ხმათა 29,5% მოიპოვა. მაგრამ პოლიტიკური რეჟიმის დამარცხება შესაძლებელი გახადა მოსამართლეების მიერ წამოწყებულმა ოპერაციამ სახელწოდებით „სუფთა ხელები", რომელიც კორუფციისა და მაფიის წინააღმდეგ იბრძოდა. მოხდა ბევრი წამყვანი პოლიტიკოსის სამართლებრივი დევნა და გასამართლება. 1993 წლის ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ ნამდვილი კრახი განიცადა. ნაწილებად დაყოფილი პარტიის დამარცხება საბოლოოდ 1994 წლის მარტის საკანონმდებლო არჩევნების დროს დასრულდა. მემარჯვენე კოალიციის გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ის სწრაფად დაიშალა და ვერ შეძლო 1996 წლის აპრილში მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის გამარჯვების შეჩერება. ამან გააძლიერა მონაცვლეობასთან ერთად ბიპოლარული სისტემის ჩამოყალიბების ვარაუდი, მაგრამ იტალიის პოლიტიკური ცხოვრების მომავალი გაურკვეველი რჩება.

სხვა კონტექსტებში, დომინანტური პარტია მხოლოდ სტაბილურობის ფაქტორია. ამის საუკეთესო მაგალითია შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ის ხელისუფლების სათავეში

უწყვეტლივ ორმოცდაათხი წელი იდგა, 1932 წლიდან 1976 წლამდე. ამ პარტიის სტილი და მიზნები ჭეშმარიტად შეერწყა ქვეყნის სახეს, როგორც უცხოელების, ისე თავად შვედეთის მოქალაქეთა თვალში. სოციალიზმის „შვედურ მოდელს" მთელს მსოფლიოში დიდი გულისყურით აანალიზებდნენ, მის გარშემო კამათობდნენ, ცდილობდნენ მის გადმოღებას და კიცხავდნენ კიდეც. ასევე აფასებდნენ ამ მოდელის უპირატესობებსა (თანასწორობა, სოციალური კონსენსუსი) და ნაკლოვანებებს (ბიუროკრატია, შემზღუდველი საგადასახადო სისტემა). 1976 წელს „ბურჟუაზიულმა" პარტიებმა (მახასიათებელი, რომელიც მათ მოწინააღმდეგეებმა მიანიჭეს შეიძლება დავტოვოთ კნინობითი მნიშვნელობის გარეშე) სოციალ-დემოკრატებს აბსოლუტური უმრავლესობა ჩამოართვეს. 1982 წელს ეს უკანასკნელნი კვლავ ხელისუფლების სათავეში დაბრუნდნენ და ის 1985 და 1988 წლებში შეინარჩუნეს. 1991 წელს სოციალ-დემოკრატებმა ისევ დაკარგეს ხელისუფლება, მაგრამ 1994 წელს ისინი კვლავ ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ.[44] ამასთანავე, დომინანტური პარტიის ეპოქა როგორც ჩანს დასასრულს უახლოვდება: „შვედური მოდელი" აღარ არის საოცნებო და შვედეთის პოლიტიკური ცხოვრება უფრო მეტად ბიპოლარული სისტემისკენ არის ორიენტირებული, შედარებით ხშირი მონაცვლეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სკანდინავიურმა სახელმწიფომ სოციალ-დემოკრატიის გავლენა განიცადა. მაგალითად, ნორვეგიაში მუშათა პარტია დიდი ხნის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში იდგა და ქვეყნის ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია, მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრჯერ მოუხდა „ბურჟუაზიული" კოალიციისთვის ხელისუფლების დათმობა. თუმცა 1986 წელს მან კვლავ მოახერხა ხელისუფლებაში მოსვლა. დანიაში, დიდი ხნის მანძილზე დომინანტურ პოზიციაში მყოფმა სოციალ-დემოკრატებმა 1973 წელს ნამდვილი მარცხი განიცადეს. თუმცა 1975 წელს დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმათა 30% მოიპოვა. ამავე დროს, 1982 წლის, შემდეგ კი 1987 და 1988 წლების არჩევნებმა, აშკარა უმრავლესობის გამოვლენის გარეშე, შესაძლებელი გახადა ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობის ჩამოყალიბება. ამის საპირისპიროდ, 1991 და 1994 წლების არჩევნებმა ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციები გამოავლინეს. მთლიანობაში, აღნიშნული ვარიაციები ნათლად მოწმობს სკანდინავიის ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიის უკან დახევას.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ დომინანტური პარტიის ფენომენი მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებით შემოიფარგლება, რასაც ორი ცნობილი მაგალითი მოწმობს. უპირველეს ყოვლისა, ამის მაგალითია ისრაელი, სადაც შრომის პარტია უწყვეტლივ იდგა ხელისუფლების სათავეში (მცირე საპარლამენტო ჯგუფების მხარდაჭერით, რადგან მას არასოდეს მოუპოვებია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა) 1948 წელს ამ სახელმწიფოს დაარსების დროიდან. 1977 წლის ივნისის არჩევნებში ამ პარტიამ მარცხი განიცადა, გამარჯვება კი ბენაჰემ ბეგინის ლიკუდის პარტიას ხვდა წილად. მშრომელთა პარტია ხელისუფლებაში 1984 წელს დაბრუნდა, რაც მხოლოდ ლიკუდთან შეთანხმებით და პრემიერ-მინისტრის პოსტის მონაცვლეობის სისტემის ამოქმედებით გახდა შესაძლებელი. მიუხედავად თითქმის იდენტური შედეგებისა, 1988 წლის არჩევნებმა ლიკუდს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისცა. პატარა რელიგიური პარტიების დახმარებით, რომელსაც არჩევნების წესი (ინტეგრალური პროპორციული წარმომადგენლობა) რამდენიმე დეპუტატით უზრუნველყოფდა და შუალედური პარტიების როლის თამაშის შესაძლებლობა მისცა. 1992 წელს მშრომელთა პარტია კვლავ ხელისუფლების სათავეში მოექცა, მაგრამ 1996 წელს ლიკუდმა ის დაამარცხა. ამ შემთხვევაშიც, მშრომელთა პარტია მონაცვლეობამ დაამარცხა. იაპონიაში ლიბერალურ-დემოკრატიული ანუ კონსერვატიული პარტია ხელისუფლებას სათავეში ედგა ომის დაწყებიდან 1993 წლამდე. ამ წელს ის იძულებული გახდა ხელისუფლება მის მოწინააღმდეგეთა კოალიციისთვის დაეთმო.

როგორც ვხედავთ, დომინანტური პარტიის მაგალითები იშვიათია და მთლიანობაში, ის წარსულს მიეკუთვნება. სიმართლე რომ ითქვას, ამგვარი სისტემა ნაკლებად სავარაუდო ფაქტორების გაერთიანებას გულისხმობს და უპირატესობებზე მეტად ნაკლოვანებებს შეიცავს.

როგორია დომინანტური პარტიის არსებობის შედეგები? ის თითქოსდა სტაბილურობის საწინდარად წარმოჩნდება. თუმცა, ამის დამტკიცება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც საქმე ეხება სამთავრობო სტაბილურობას, რასაც იტალიის მაგალი-

---

[44] სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ადგილების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება მხოლოდ ორჯერ 1940 წელსა და 1968 წელს მოახერხა. თუმცა მან ძალთაგლობა რამდენიმე უკიდურესი მემარცხენე დეპუტატის მხარდაჭერით, ან უმცირესობის მთავრობათა ჩამოყალიბებით შეძლო.

თი ცხადყოფს. მეორე მხრივ, სტაბილურობა ღრმად ამბივალენტური ფენომენია: გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მისმა ნაკლოვანებებმა შეიძლება მისი უპირატესობები გადაწონოს.ეს, უპირველეს ყოვლისა, ეფექტურობის ასპექტს ეხება. ქრონიკული არასტაბილურობა ეფექტურ საქმიანობასთან ძნელად თავსებადია: შეუძლებელია რაიმე პოლიტიკური უწყვეტობის არსებობა, ყოველთვის მყიფე ალიანსების შენარჩუნების აუცილებლობა პარტიებს მუდმივი კომპრომისებისკენ უბიძგებს. უძრაობა მეთოდი ხდება, რადგან მთავრობას არ შეუძლია რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა იმ მყიფე წონასწორობის დარღვევის გარეშე, რომელსაც ემყარება. ერთადერთ გამოსავლად არაფრის კეთება რჩება.... თუმცა ზედმეტად დიდ სტაბილურობას იდენტური შედეგი შეიძლება მოჰყვეს: ქვეყანაში უმრავლესობით უზრუნველყოფილი დომინანტური პარტია აღარ გრძნობს ხალხის დარწმუნების საჭიროებას. ის აღარ არის შეგულიანებული მუდმივი საშიშროებით შესაძლებელი ოპოზიციის მხრიდან. ამ დროიდან ის ეყრდნობა ნაცად გადაწყვეტილებებს, იმ რეცეპტებს, რომელმაც მისი გამარჯვება უზრუნველო. თანდათანობით მისი წარმოსახვისა და ინიციატივის უნარი ატროფირდება. უძრაობა, რომელიც წინა შემთხვევაში ორ პოლიტიკურ პარტიას შორის თავშეუკავებელი კონკურენციის შედეგი იყო, აქ როგორც კონკურენციის ტოტალური არარსებობა წარმოჩნდება.

მეორე მხრივ, ერთი პოლიტიკური პარტიის ხელისუფლებაში ზედმეტად ხანგრძლივმა ყოფნამ შეიძლება სახელმწიფოს ნამდვილი ხელში ჩაგდება გამოიწვიოს. ხელისუფლებაში მყოფი პარტიის წარმომადგენლები ადმინისტრაციას იპყრობენ, თითქმის მონოპოლიზირებული აქვთ ყველა ის ორგანო, რომელიც მეტ-ნაკლებად პოლიტიკური სისტემიდან მომდინარეობს. ამგვარად, მოწმენი ვხდებით იმ სიტუაციისკენ ევოლუციისა, რომელიც ერთადერთი პარტიის რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი ე.ი. სახელმწიფოსა და პარტიის სისტემის შერწყმისა. აშკარაა, რომ ასეთი ევოლუცია დასაგმობია დემოკრატიული პრინციპების ასპექტში, რომელსაც დომინანტური პარტია არ უკუაგდებს, რადგან მოვლენათა სირთულის გამო იძულებულია მათ ანგარიში გაუწიოს, მაგრამ გაუთვიცნობიერებლად ის მათ მნიშვნელობას ამცირებს.

და ბოლოს, დომინანტური პარტიის არსებობა სერიოზული იმედგაცრუების გენერატორია. ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც მთავრობის შემადგენლობის შედარებით სწრაფ როტაციაზეა დამყარებული, ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს მათ სასარგებლოდ წონასწორობის შეცვლის შედარებით სწრაფად განხორციელების იმედს აძლევს. მხოლოდ მარგინალური ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებს ხელისუფლებაში მოსვლის არავითარი შანსი არა აქვთ, რეჟიმის მხრიდან იმედგაცრუებას გრძნობენ. დომინანტური პარტიის შემთხვევაში, დანარჩენი პარტიები და მათი ამომრჩევლები, ე.ი. მოქალაქეთა ნაწილი, დიდი ხნის განმავლობაში გამოთიშულნი არიან საჯარო საქმეებში მონაწილეობისგან. დემოკრატიული რეჟიმისთვის აშკარად სახიფათოა ისეთი სიტუაცია, როდესაც მოსახლეობის ნაწილი a priori პოლიტიკური თამაშიდან თავს გამორიცხულად გრძნობს და იმედი არა აქვს, რომ ნაწილობრივ მაინც მისი აზრი შესმენილი იქნება. შიდა გადასახლებაში მყოფ სისტემიდან გარიყულებში გავრცელებას იწყებს დემაგოგია, პოლიტიკური პოზიციების რადიკალიზაცია, აუტანლად მიჩნეულ უკიდურეს სიტუაციაში უკანონო ქმედებებსაც კი მიმართავენ. საბოლოოდ, შეიძლება სოციალური კონსენსუსის დარღვევის წინაშე აღმოვჩნდეთ, აქედან გამომდინარე ყველა მოსალოდნელი შედეგებით ადამიანთა ერთობისთვის.

ამავე დროს, რამდენადაც სისტემა დემოკრატიული რჩება ე.ი. რამდენადაც ხელისუფლებაში მყოფი პარტია მონაცვლეობის პრინციპს იცავს, ამ ფენომენის გამოსწორება თავად მისი ექსცესით არის შესაძლებელი. მართლაც, მზარდი უნაყოფობა, ყველას მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფოს ნაწილობრივი შეცვლა მიუკერძოებელ სახელმწიფოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე აუტანელი მეურვეობის გრძნობა ის ფაქტორებია, რომელიც უკმაყოფილების პირთამდე ავსებას იწვევს არა მხოლოდ მათში, ვინც მმართველ პარტიას არასოდეს ემხრობოდა, არამედ საზოგადოების სხვა წრეებშიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად დომინანტური პარტია არ არის დაცული გამოფიტვის ფენომენისგან, რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებას ემუქრება. მმართველობა ყოველთვის უკმაყოფილებას იწვევს გარკვეულ ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებში. დროთა განმავლობაში უკმაყოფილება იზრდება და მძაფრდება. ამომრჩევლები იღლებიან ერთი და იგივე ადამიანების ყურებით, რომლებიც იგივე მეთოდებს იყენებენ. რა თქმა უნდა, თუკი დომინანტური პარტიის ფენომენის არსებობა შესაძლებელია, ეს ხდება იმის გამო, რომ ამგვარი ევოლუცია ზოგიერთ ქვეყანაში სხვა ქვეყნებზე უფრო ნაკლებად სწრაფად მიმდინარეობს. მაგალი-

თად, ამგვარი ევოლუცია უფრო სწრაფია საფრანგეთში, ვიდრე სკანდინავიის ქვეყნებში. აღნიშნული განსხვავებები პოლიტიკური კულტურით აიხსნება, ისტორიულ გარემოებათა მეტ-ნაკლები დრამატული ხასიათით და მომხრეთა სტრუქტურით (საფრანგეთისგან განსხვავებით, შვედეთში არ ყოფილა ძლიერი კომუნისტური პარტია). მიუხედავად განსხვავებული რითმისა, შედეგი თითქმის იგივეა: ხელისუფლების გამოფიტვა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვლინდება და ერთ დღეს დომინანტური პარტიის დაცემას იწვევს. ჩვეულებისამებრ, დომინანტური პარტიის სისტემები დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში მხოლოდ "ფრჩხილებია", რომელიც შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში იხსნება.

მთლიანობაში დომინანტური პარტიის სისტემის ცნება საინტერესოა, მაგრამ მისი გამოყენება შეზღუდულია, რადგან ერთ კატეგორიაში ისეთი განსხვავებული ქვეყნების შეყვანა, როგორიც იტალია და შვედეთია, ნიშნავს პრობლემის ისეთ ზოგად, ზედმეტად ზოგად ასპექტში გადატანას, რომელიც ამ ცნებას უეჭველად დააკარგინებდა მნიშვნელობას.

2 / პარტიათა სისტემის მიზეზები

164. ბანმარტებითი შაქტორების პრობლემატიკა. — ჩვენ განვიხილეთ პარტიათა სისტემების დიდი ტიპები და ის პოლიტიკური შედეგები, რომელიც მათთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ რომელიმე ქვეყანაში პარტიის სისტემის არსებობა და ევოლუცია შეგნებული არჩევანის შედეგია. ჩვენს მიერ აღნიშნულმა უპირატესობებმა და ნაკლოვანებებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ერთი სისტემა მეორეზე უკეთესია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს, განსაზღვრული კონიუნქტურის პირობებში, შეუძლია დადგენილება გამოიტანოს ორპარტიულობის მომხრე სისტემის დაფუძნებასთან დაკავშირებით. პარტიათა სისტემები არ წარმოადგენენ პარლამენტის, საპრეზიდენტო რესპუბლიკისა და სხვათა მსგავსს იურიდიულ ინსტიტუტებს. მათ ასამოქმედებლად კონსტიტუცია საკმარისი არ არის. პარტიების გაჩენა და ცვლილებები ღრმა სოციალური და ისტორიული ფაქტორებით არის განპირობებული, რომლის ტრანსფორმაციაც გარკვეულ დონემდე გააზრებულ ქმედებას შეუძლია, მაგრამ ისინი ნაწილობრივ პოლიტიკური ნების ხელყოფის გარეთ რჩებიან, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ძალადობრივი რევოლუციური მეთოდების გამოყენებაზე უარს ამბობს. პოლიტიკური პარტიების სისტემების ჭეშმარიტი მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია ამ ფაქტორების შესწავლა.

მომხრეთა სისტემების გაჩენისა და ტრანსფორმაციის სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს: სოციალური, ისტორიული და ინსტიტუციონალური რიგის ფაქტორები. პირველი ორი ტიპი პოლიტიკურ საზოგადოებათა სირღმისეულ სტრუქტურებს ეხება, რომლის მოდიფიცირება რთულია, სამაგიეროდ, მესამე ტიპის ფაქტორზე ზემოქმედება შესაძლებელია და სწორედ ამ დონეზე ჩნდება სისტემების ტრანსფორმაციის ან, ყოველ შემთხვევაში, მათი შეგნებულად შეცვლის შანსი. თუმცა, როგორც ყოველთვის, მსგავს შემთხვევაში, პროცესის ეფექტურობა მისი ამოქმედების სიიოლის უკუპროპორციულია.

165. სოციალური შაქტორები. — უპირველეს ყოვლისა აშკარაა, რომ მომხრეთა დაპირისპირება სოციალურ ანტაგონიზმთან არის დაკავშირებული. მართლაც, პოლიტიკურ პარტიებს სოციალური კლასების წარდგენა შეუძლიათ, ე.ი. ადამიანთა ერთობისა, რომელიც ეკონომიკურ სისტემასთან (კაპიტალისტები, მიწის მესაკუთრეები, მომსახურეები, მრეწველობაში დასაქმებული მუშები და სხვ.) მიმართებაში ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან და რომლებშიც მსგავსი პირობები საერთო ინტერესთა გრძნობას იწვევს. ამიტომაც, პარტია პოლიტიკური კლასის გამოხატულებას წარმოადგენს, საშუალებას, რომლითაც ეს კლასი საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობს იმ ბრძოლაში, რომელიც მას სხვა სოციალურ კატეგორიებს უპირისპირებს.

მარქსისტული თვალსაზრისით, პარტიებს არა აქვთ სხვა დანიშნულება გარდა იმისა, რომ ისინი რომელიმე კლასს გამოხატავენ. თითოეულ კლასს რომელიმე პარტია შეესაბამება და პირიქით. ამგვარია ერთადერთი პარტიის თეორიული გამართლება იმ ქვეყნებში, რომელშიც სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. თუკი პოლიტიკური პარტიები კლასის ობიექტურ ინტერესებს გამოხატავენ, სხვა რაიმეს გამორიცხვით (მისწრაფებები, უპირატესობები, განსხვავებული შეხედულებები საზოგადოების მომავალზე და სხვ.) მათი გამრავლება მხოლოდ იმ კონფლიქტე-

ბით აიხსნება, რომელიც ერთი კლასის სხვა კლასებზე გამარჯვებით გაქრა: რადგან პროლეტარიატმა ხელისუფლება იგდო ხელთ და მისი მონოპოლია სამართლებრივად და ფაქტობრივად მოიპოვა, მას აღარ ესაჭიროება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ერთმანეთთან მეტოქეობა ანტაგონისტური თეზისების გასაშარჯვებლად. პროლეტართა ინტერესების ერთობლიობა მათ გამოსახატავად პოლიტიკური ორგანიზაციის ერთეულობას მოითხოვს. ფაქტობრივად (როგორც უკვე წინა ნაწილში აღვნიშნეთ) ერთადერთი პარტიის რეალობა კომუნისტურ სისტემებში სრულიად სხვაგვარია.

იდეა მომხრეთა სისტემასა და სოციალურ ანტაგონიზმებს შორის არსებული კავშირის შესახებ კამათს არ იწვევს: ის ძალზედ აშკარაა. სამაგიეროდ უდავოა, რომ იმ პარტიებს შორის, რომლებიც სპეციფიკური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ, ზოგიერთი სრულიადაც არ განისაზღვრება მისი წევრების ადგილით წარმოების სისტემაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ წარმოადგენს სოციალური განხეთქილების ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. მაგალითად, კოლონიურ ქვეყნებში ნაციონალისტური პარტიები არსებობენ. არსებობენ ასევე ეთნიკურ საფუძველზე წარმოქმნილი პარტიები, სახელდობრ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში რასობრივი ან ნაციონალური უმცირესობებია, რომელთაც გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი განსხვავება მოსახლეობის უმრავლესობასთან მიმართებაში. არსებობენ კონფესიური პარტიებიც. და ბოლოს, არსებობენ პარტიები, რომლის წევრებიც მათში იდეოლოგიურ და არა ეკონომიკურ საფუძველზე ერთიანდებიან. ამგვარად, სახეზე გვაქვს ოთხი ტიპის ცვლადი — ნაციონალური, რელიგიური, ეთნიკური და იდეოლოგიური, რომელმაც ინტერესთა თანხვედრა შეიძლება წარმოშვას, და აქედან გამომდინარე, კლასების ინტერესებისგან დამოუკიდებელი პარტიები. მარქსისტი ავტორები აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაში ყალბ ინტერესთა თანხვედრასთან გვაქვს საქმე, რომელიც ასე ვთქვათ, დროებით და ილუზორულ ფენომენებზეა დამყარებული. ინტერესთა დროებითი თანხვედრის დროს, ნაციონალისტური პარტიები ე.წ. ნაციონალურ ბურჟუაზიას იერთებენ, რადგან ის ოკუპანტსა და პროლეტარს უპირისპირდება. დეკოლონიზაციის პროცესი ანგრევს გარემოებით ნაკარნახევ ამგვარ კოალიციას. ილუზორული თანხვედრის შემთხვევაში, ერთი ეთნიკური ჯგუფისადმი ან რელიგიისადმი მიკუთვნება მხოლოდ კლასთა ბრძოლით განსაზღვრულ რეალურ ანტაგონიზმებს ფარავს. მარქსისტული თეორიის თანახმად, გარდაუვალია მხოლოდ ერთი ისტორიული განზომილება ე.ი. დაპირისპირება მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის, რომელიც საბოლოოდ დღის წესრიგში დგება და ანგრევს ამ არაბუნებრივ ალიანსებს.

სამწუხაროდ, რეალობა წინააღმდეგობას უწევს თეორიული დასკვნების შემოწმებას. ნაციონალური ანტაგონიზმები გასაოცრად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რასაც მთელი XX საუკუნის ისტორია მოწმობს. იგივე ხდება რელიგიურ დაპირისპირებებთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც ჩანს, დღესაც სახეზეა. და ბოლოს, საკმარისია თანამედროვე საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის დაპირისპირებებზე დაკვირვება იმისათვის, რომ მივხვდეთ, რამდენად ილუზორულია კლასთა ინტერესების ტერმინებით მათი გაგება. უპირველეს ყოვლისა, ეს ხდება იმის გამო, რომ კონკრეტული ინდივიდების არჩევანზე მრავალი განსხვავებული რიგის ფაქტორები ურთიერთმოქმედებენ. ამავე დროს, მიამიტური იქნებოდა იმის დაჯერება, რომ ამ ინდივიდებს ყოველთვის გააჩნიათ თავისი ინტერესების სწორი ხედვა. პოლიტიკური სამყაროს ორაზროვნება უცილობელს ხდის არჩევანს სხვადასხვა სტრატეგიებს შორის, როგორც „მჩაგვრელთათვის" ისე „ჩაგრულთათვის". ამგვარად, გასაკვირი არ არის, რომ ინტერესთა და სტრატეგიული ანალიზების სიმრავლე პოლიტიკური პარტიების სიმრავლეს ბადებს. თეორია, რომლის მიხედვით, რომელიმე სოციალური კლასი პარტიის გაჩენასა და ქცევას მექანიკურად განსაზღვრავს და, შესაბამისად, პარტიაში მხოლოდ რომელიმე კლასის პოლიტიკურ გამოხატულებას ხედავს, გამარტივებულია და უახლოეს დროში მომხდარი ფაქტებით უარყოფილია.

ზოგიერთ შემთხვევაში, სოციალური ანტაგონიზმების შესწავლა მომხრეთა დაპირისპირების გამოააშკარავების შესაძლებლობას იძლევა. ამგვარად, მარქსის მიერ გაკეთებული ანალიზი კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის არსებული ოპოზიციის შესახებ XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ჭეშმარიტების დიდ ნაწილს შეიცავს. აღნიშნული კონფლიქტი. რომელსაც ანტაგონისტები ყოველთვის წარმოადგენენ როგორც დიდ პრინციპებს შორის კამათს (ხელისუფლება თავისუფლების წინააღმდეგ) უდავოდ გამოხატავს გავლენისთვის ბრძოლას სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიას შორის, ახალ მმართველ კლასსა და მიწათ-

მფლობელ არისტოკრატიას შორის. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალური პოლიტიკური არჩევანი მექანიკურად განისაზღვრება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებითა და მოქალაქეთა „ობიექტური" ინტერესებით. არსებობდნენ დიდი ლიბერალი სენიორები და კონსერვატორი ბურჟუები. იდეოლოგია არ წარმოადგენს მატერიალურ ინტერესთა გათვითცნობიერებულ თუ გაუთვითცნობიერებელ შენიღბვას, და რა თქმა უნდა არსებობენ ადამიანები, რომელნიც მათი იდეალების მიხედვით განისაზღვრებიან. თუმცა აშკარაა, რომ საქმე ზოგად შემთხვევას არ ეხება. სხვათა შორის, ამ მხრივ ინგლისელი კონსერვატორები შეიძლება ითქვას, რომ შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებად გვეელინებიან: მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ აუცილებელია ევოლუციის მართვა სხვა სოციალურ კლასებთან უხეში დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ შეუპოვრად იბრძოლონ და ყველა საშუალება გამოიყენონ თავიანთი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მაგრამ ეს განსხვავებული სიტუაციები არ ცვლის ჩვენს მიერ განხილულ პერსპექტივაში იმ ძირითად ფაქტს, რომელიც ანტაგონისტურ სოციალურ ჯგუფებს შორის ბინარული დაპირისპირების არსებობაში მდგომარეობს. აღნიშნული ფენომენი ზოგჯერ პირდაპირ პოლიტიკურ ტერმინებში აისახება. ის სრულყოფილ ორპარტიულობას წარმოშობს. ამის ბრწყინვალე მაგალითს დიდი ბრიტანეთი წარმოადგენს, თუმცა მსგავსი სიტუაცია სხვა ქვეყნებში ყოფილა, სახელდობრ, ბელგიასა და ავსტრალიაში. ამ მოვლენამ ასევე ფარული გავლენა იქონია სხვა ფაქტორებით, რომელსაც ჩვენ მივუბრუნდებით ამ შემთხვევაშიც კი ეს ძირითადი ანტაგონიზმი ფარულად არსებობდა და ზედაპირული დაპირისპირებების მიღმა პოლიტიკურ ძალებს შორის დიდი ალიანსების სისტემების შექმნას განაპირობებდა.

სოციალურმა ევოლუციამ, რომელმაც ორი წევრისგან შემდგარი სისტემა შექმნა, შემდგომში ის სამწევრიანი სისტემით შეცვალა. მართლაც, კონსერვატორებისა და ლიბერალების ანტაგონიზმს, რომელიც მმართველ კლასებს შორის დაპირისპირებას ასახავდა, მალე დაემატა ანტაგონიზმი მდიდარ ადამიანებს შორის, არისტოკრატებსა და ბურჟუებსა და დაბალ კლასებს შორის. ამ უკანასკნელს სოციალისტურმა პარტიებმა პირველად მიანიჭეს სპეციფიკური პოლიტიკური გამოხატულება. ამ დროიდან შესაძლებელია ორი ტიპის ევოლუცია მომხდარიყო: ან სამწევრიანი სისტემა ორწევრიან სისტემას შეცვლიდა ან დაპირისპირება, რომელიც დაბალ კლასებს მმართველ კლასებს უპირისპირებდა გაიმარჯვებდა. სანამ პოლიტიკური დემოკრატია მყიფე რჩებოდა და სოციალისტური პარტიები სუსტი და ნაკლებად სახიფათო იყო, კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის დაპირისპირება მნიშვნელობას ინარჩუნებდა. მაგრამ რამდენადაც არისტოკრატიულ სისტემასთან მიბრუნება ნაკლებად სავარაუდო იყო, ხოლო სოციალისტური პარტიების გავლენის ზრდა მფლობელთათვის ჭეშმარიტი საფრთხე გახდა, კონსერვატორები და ლიბერალები ერთმანეთთან დაახლოებას შეეცადნენ, რის შედეგადაც ოპოზიციის ახალი სისტემა გაჩნდა, რომელმაც ერთმანეთის პირისპირ ლიბერალური კაპიტალიზმისა და ეკონომიკის განსაზოგადოების მომხრეები დააყენა. აღნიშნული დაპირისპირება, რომელმაც მრავალი ცვლილება განიცადა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დღემდე არსებობს, თუმცა ეტიკეტები „კაპიტალისტი" და „სოციალისტი" უფრო მეტად ტენდენციებს აღნიშნავს, ვიდრე წმინდა ფორმებს: სოციალისტური პარტიები კითხვის ქვეშ აღარ აყენებენ პოლიტიკურ დემოკრატიას, ხოლო კაპიტალისტურმა სისტემამ მზარდი სოციალიზაცია განიცადა „მზრუნველი სახელმწიფოს" მიმართულებით. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ევოლუციამ უშუალო ასახვა ჰპოვა პარტიების დონეზე. ამგვარად, დიდ ბრიტანეთში არასტაბილური სამპარტიულობის შემდეგ (ოპოზიციის სიცხადე ირლანდიის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანი გახდა, რამაც ყველა პოლიტიკური პარტია გაყო) კონსერვატორებისა და ლეიბორისტების დაპირისპირებამ კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის არსებული ძველი დაპირისპირება შეცვალა. ამ უკანასკნელებმა დაინახეს, რომ მათი ამომრჩევლების უდიდესმა ნაწილმა ისინი მიატოვა. აღსანიშნია, რომ ამ ფენომენის მასშტაბი საგრძნობლად გაზარდა ისეთი ხასიათის ინსტიტუციონალურმა ფაქტორმა, როგორსაც საარჩევნო სისტემა წარმოადგენდა. ამ საკითხს ჩვენ მივუბრუნდებით. აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მომხრეთა სისტემა სოციალური ევოლუციის მექანიკური რეპროდუქციით არ შემოიფარგლება და მისი განვითარების გასაგებად სხვა ელემენტებიც არის მხედველობაში მისაღები. ამ ფენომენის a contrario დადასტურებაა გერმანია, სადაც ლიბერალურმა პარტიამ ქრისტიან-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის თავის გადარჩენა მოახერხა და მიუხედავად იმისა, რომ მისი გავლენა მის ორ დიდ მეტოქეზე ბევრად ნაკლები იყო, შეძლო გადაწყვეტილებებსა და უმრავლესობის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება.

მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, სოციალური ფაქტორები არ წარმოადგენენ მომხრეთა სისტემების სტრუქტურისა და ევოლუციის ერთადერთ განმსაზღვრელს. ამავე დროს, ისინი ზოგად ჩარჩოსა და დიდ საპირისპირო ტენდენციებს განაპირობებენ. თუმცა ისინი იშვიათად მოქმედებენ ასე ვთქვათ, ღიად. მათთან ბევრი სხვა ფაქტორი ურთიერთმოქმედებს და მრავალპარტიული სისტემებისთვის დამახასიათებელ მეორეხარისხოვან განხეთქილებებს წარმოშობს. ამ განხეთქილებებს შეიძლება მეორეხარისხოვანი ვუწოდოთ იმ შემთხვევაში, თუ სოციალურ ევოლუციას მის მთლიანობასა და ინდივიდთა „ობიექტურ" ინტერესებში განვიხილავთ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი პრაქტიკაში გადამწყვეტნი არ არიან, რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული დაინტერესებული ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრება.

166. ისტორიული ფაქტორები. — ძალიან ზოგადად, ისტორიიდან მომდინარე კონფლიქტები შეიძლება ისტორიულ ფაქტორებს მივაკუთვნოთ, მაგრამ მათი გავლენა სცილდება იმ კონტექსტს, რომელმაც ისინი წარმოშვა. ნებისმიერ პოლიტიკურ კულტურაში ისინი სპეციფიკური განხეთქილებების საფუძველს წარმოადგენენ. ამ სახის ფენომენები განსაკუთრებით საფრანგეთში აღინიშნებოდა, სადაც ისტორიის დამოწმება პოლიტიკის აღქმაში უდიდეს როლს ასრულებდა. ამგვარად, XIX საუკუნის განმავლობაში ინდივიდებს შორის, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან არაფერი მნიშვნელოვანი არ ყოფდა სოციალური მდგომარეობისა და „ობიექტური" ინტერესების ასპექტში, ლეგიტიმურობის შესახებ კამათმა შეურიგებელი პოლიტიკური ანტაგონიზმები წარმოშვა. რესპუბლიკელები, რომლებიც საკუთარ ლეგიტიმურობას ხალხის ნებიდან მომდინარედ აცხადებდნენ, ღვთაებრივი სამართლის ლეგიტიმურობის მომხრე მონარქისტებს უპირისპირდებოდნენ. ეს უკანასკნელნი ივლისის რევოლუციის შემდეგ გაიყვნენ კაპეტინგების ლეგიტიმურობის მემკვიდრე უფროსი შტოს მომხრე ლეგიტიმისტებად და ორლეანისტებად, რომლებიც ლუი-ფილიპესა და ერს შორის დადებულ პაქტს ეყრდნობოდნენ.[45] ამ მიმდინარეობებს ბონაპარტიზმი უპირისპირდებოდა, რომელსაც დინასტიური პრინციპისა (ხელისუფლების მემკვიდრეობითობა ნაპოლეონის ოჯახისთვის) და პლებისციტის ფორმით გამოხატულ სახალხო ნებასთან გაერთიანების პრეტენზია ჰქონდა. რა თქმა უნდა, ისტორიიდან წარმოშობილი ამგვარი განხეთქილებები თავად ისტორიულმა ევოლუციამ გადალახა: დაპირისპირებამ ლეგიტიმისტებსა და ორლეანისტებს შორის აზრი დაკარგა მას შემდეგ, რაც უფროსმა შტომ არსებობა შეწყვიტა გრაფ შამბორის გარდაცვალებასთან ერთად. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, მონარქიზმი და ბონაპარტიზმი გაქრა როგორც დრომოჭმული მმართველობის სისტემა. მიუხედავად ამისა, ამ პრობლემებმა გასული საუკუნის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება გაართულეს და შეუძლებელი გახადეს საფრანგეთის მემარჯვენე პარტიების ორგანიზაცია. ასევე XX საუკუნის საფრანგეთის ისტორიის დრამატულმა მოვლენებმა ახალი განხეთქილებები გამოავლინეს: დაპირისპირება გაჩნდა გოლისტებსა და ვიშის რეჟიმის მომხრეებს შორის, შემდეგ კი საფრანგეთის ალჟირის მომხრეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს განხეთქილებები თითქოსდა გადაილახა, მათ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს შემდგომი წლების საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ევროპის უმრავლეს ქვეყანაში მემარცხენე ძალთა ერთიანობა ასევე დაამსხვრია ისეთმა ისტორიულმა მოვლენამ, როგორსაც 1917 წლის რუსეთის რევოლუცია წარმოადგენდა. საფრანგეთში განხეთქილება 1920 წელს ტურის კონგრესზე მოხდა. გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე სოციალ-დემოკრატთა ნაწილი რევოლუციის მცდელობების წინააღმდეგ გამოვიდა. მაგრამ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში, ომითა და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული კატასტროფის პირობებში, კომუნისტური პარტიის გავლენა სწრაფად გაიზარდა. თუმცა ამგვარმა ვითარებამ კერძოდ, მოსკოვის დირექტივების გამო, რომელსაც გერმანიის კომუნისტური პარტია ბრმად ემორჩილებოდა, ხელი არ შეუშალა ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლას. დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და სკანდინავიის ქვეყნებში ახალი კომუნისტური პარტიების გავლენა სუსტი იყო და დღესაც ასეთად რჩება. სამაგიეროდ, 1945 წლის

[45] სფ. სტეფან რიალსი, „ლეგიტიმიზმი", გამ. „პუფი" („რა ვიცი?"), 1983 წ. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ სიტყვა „ლეგიტიმიზმი" დღეისათვის ხშირად გახსნავებული და საპირისპირო მნიშვნელობითაც იხმარება. ტრადიციული ლეგიტიმიზმი არალეგიტიმურად მიიჩნევს ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც ბურბონთა უფროს შტოს არ განეკუთვნება. ამ სიტყვის თანამედროვე და მასმედიის გაგებით, ის აღნიშნავს ინდივიდთა პოზიციას, რომლებიც ნებისმიერ ხელისუფლებას უჭერენ მხარს, რადგან ის ხელისუფლებაა.

შემდეგ იტალიისა და ფინეთის კომუნისტური პარტიები გაძლიერდნენ. მიუხედავად პოზიციების დასუსტებისა უკანასკნელ წლებში, იტალიის კომუნისტური პარტია დასავლეთ ევროპის უძლიერეს პარტიად რჩება, ხოლო ფინეთის კომუნისტურმა პარტიამ სამთავრობო კოალიციაში მიიღო მონაწილეობა. (აღსანიშნია, რომ საბჭოთა კავშირთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში). ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, სწორედ ისტორიული ხასიათის მოვლენამ, რომელიც შემდგომში იდეოლოგიური ფაქტორებითა და ზოგჯერ საერთაშორისო ურთიერთობებით იქნა გართულებული, ახალი პარტიების გამოჩენა გამოიწვია და ამგვარად, მომხრეთა სტრუქტურის სისტემა გაართულა, ყოველ შემთხვევაში იმ ქვეყნებში, რომელშიც ამ პარტიებმა მნიშვნელოვან გავლენას მიაღწიეს.

სხვა ფაქტორებსაც ასევე შეუძლიათ თავისი როლის შესრულება. ამგვარად, რელიგიური ფაქტორები კონფესიური პარტიების წარმოშობას უდევს საფუძვლად, რომლებიც სხვა მიმდინარეობებს ემატებიან. იტალიაში ქრისტიან-დემოკრატიამ, რომელიც 1993 წლამდე წამყვან როლს ასრულებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ლიბერალური და კონსერვატორული ტენდენციები შეაერწყვა, მაგრამ ისინი მთლიანად ვერ გამორიცხა. ისრაელში რელიგიურმა პარტიებმა ხმათა შეზღუდულ რაოდენობას მიაღწიეს, მაგრამ საარჩევნო სისტემის წყალობით ისინი უმრავლესობის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ. საფრანგეთში ქრისტიან-დემოკრატიულ მიმდინარეობას იგივე წარმატება არ ჰქონია. ომის დამთავრებისთანავე სახალხო რესპუბლიკურმა მოძრაობამ ვერ შეძლო ზომიერი მიმდინარეობის (რადიკალები, დამოუკიდებლები) წარმომადგენელთა გამორიცხვა, რომელთა მიმართ ნდობა საგრძნობლად იყო შემცირებული, მაგრამ მათ სწრაფად დაიბრუნეს მნიშვნელოვანი გავლენა. თავად სახალხო რესპუბლიკურმა მოძრაობამ ასპარეზი გოლისტურ მოძრაობასთან კონკურენციაში დაკარგა. საფრანგეთში აღნიშნული პრობლემა აღარ არსებობს, რადგან არც ერთი პარტია უშუალოდ აღარ მიუთითებს თავის ქრისტიანულ, უფრო ზოგადად კი კონფესიურ წარმომავლობაზე.

და ბოლოს, ნაციონალურ ფაქტორებს ასევე შეუძლიათ პარტიების გაჩენა გამოიწვიონ. უპირველეს ყოვლისა, ამგვარი სიტუაცია კოლონიურ ქვეყნებში გვხვდება: დასავლეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიები განვითარებად ქვეყნებში, ასევე ეროვნული პარტიები ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, ირლანდიის პარტია „აირე" დამოუკიდებლობის მიღებამდე, რომლის საქმიანობა დღესაც გრძელდება გაერთიანებულ სამეფოში ოლსტერის ყოფნის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი მოძრაობების მიერ, ბასკეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობა. სხვა შემთხვევებში, ნაციონალისტური პარტიები პოლიტიკური გამოყოფის ნებაზე მეტად დაკარგული იდენტურობის დაბრუნების ნებას ამჟღავნებენ: ასეთია შოტლანდიისა და უელსის ნაციონალისტური პარტიების შემთხვევა. ასევე შეიძლება ბელგიის ლინგვისტური პარტიების მაგალითის მოყვანა. ზოგადი თვალთახედვით, ერი-სახელმწიფოს შიგნით ჩნდება დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული პარტიკულარიზმის გამოღვიძების საფრთხე. ამ ტენდენციების მომავალი ძნელად განსაჭვრეტია და თითოეული სიტუაცია მის სპეციფიკურობაში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა დეტალური განხილვის გარეშეც ჩანს, რომ ამ ტიპის ფენომენები პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალპარტიულობის, სირთულისა და არათანმიმდევრობის ფაქტორებს წარმოადგენენ, რადგან ისინი სპეციფიკურ განხეთქილებებს წარმოშობენ, რომელიც ტრადიციულ სოციალურ და იდეოლოგიურ განხეთქილებებს არ ემთხვევა.

167. საარჩევნო რეჟიმების გავლენა. — ხალხის წარმომადგენელთა არჩევისთვის არ არსებობს ერთადერთი, ობიექტური და მყარი ფორმა. მისაღებია ბევრი სისტემა და თითოეულს სპეციფიკური, შედარებით სტაბილური და ამგვარად, პროგნოზირებადი შედეგები აქვს. აქედან გამომდინარე, პარტიათა სისტემის სფეროში პოლიტიკური თამაშის მოქმედი პირებისთვის მანევრირების ერთადერთ საშუალებას თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა წარმოადგენს. რომელიმე საარჩევნო წესის არჩევით შესაძლებელია სასურველი მიზნის მიღწევა ან, ყოველ შემთხვევაში, მისი მიღწევის მცდელობა.

საარჩევნო რეჟიმების დეტალური ანალიზის გარეშე (ნაკლებად არსებობს სფერო, რომელშიც ადამიანის გამომგონებლობის უნარი ასეთ სიმაღლეზეა აყვანილი. ყველა არსებული ვარიანტისა და შუალედური კომბინაციების შესწავლა ცალკე ნაშრომის საგანია) შესაძლებელია ორი დიდი ტიპის გამოყოფა: პროპორციული წარმომადგენლობა და მაჟორიტარული არჩევნები.

პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებში თითოეული პოლიტიკური პარტიის რჩეულთა რაოდენობა პარტიის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის პროპორციულია. ამ მიზნის განხორციელება სასურველი რიგითობით დალაგებულ კანდიდატთა სიების შედგენას გულისხმობს. სწორედ პარტიებს აქვთ მინდობილი ამ სიების შემუშავება. თუ პარტიას სამი კანდიდატი ჰყავს ასარჩევი და ის ხმათა ორ მესამედს მოიპოვებს, მისი სიის პირველი ორი კანდიდატი არჩეულია. ჩვეულებისამებრ აღნიშნავენ, რომ ამგვარი სისტემა ზუსტია იმდენად რამდენადაც ის სწორედ ასახავს არჩევნების მომენტში პარტიების ძალთა თანაფარდობას. აღნიშნული აზრი გარკვეულწილად რეფლექსად იქცა, რომელსაც მაშინვე იხსენებენ, როგორც კი საქმე პროპორციულ არჩევნებს ეხება. თუმცა, მრავალი მიზეზის გამო, ეს სისტემა საკამათოა. შემდგომში დავუბრუნდებით იმ სირთულეებს, რომელიც პროპორციულ წარმომადგენლობას მმართველთა დანიშვნის მექანიზმში შემოაქვს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნია, რომ მხოლობითი რიცხვის გამოყენება („პროპორციულობა") შეუსაბამოა, რადგან მისი ბევრი ვარიანტი არსებობს. პროპორციულობა იმ შემთხვევაშია დაცული (და ასევე ხმების დათვლის სხვადასხვა ფორმებს შორის არჩევანის პირობით: რჩეულთათვის გადასალახავი ზღვარი მდგომარეობს ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობის მოგროვებასა და ასევე სიით დამატებითი ადგილების მიკუთვნება მათთვის, ვინც ხმათა ყველაზე მეტი საშუალო რაოდენობა მიიღეს), როდესაც ადგილების გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდება ე.ი. როდესაც ქვეყანა მხოლოდ ერთადერთ და დიდ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს. არჩევნების უფრო შეზღუდულ ჩარჩოში ჩატარების შემთხვევაში, მაგალითად დეპარტამენტის დონეზე, გადახრა თავს იჩენს იმდენად, რამდენადაც თითოეულ დეპარტამენტში არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა თავად არ არის პროპორციული დეპარტამენტის მოსახლეობასთან მიმართებაში. რაც შეეხება მთელი სახელმწიფოს დონეზე პროპორციული წარმომადგენლობით ჩატარებულ არჩევნებს, მათ სერიოზული ნაკლოვანება აქვთ, რაც რჩეულებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირის გაწყვეტასა (საჭიროების შემთხვევაში ამომრჩევლებს არ შეუძლიათ „თავის" დეპუტატს მიმართონ) და პატარა ჯგუფებისთვის გადაჭარბებული ძალაუფლების მინიჭებაში მდგომარეობს. ამგვარ ჯგუფებს უმრავლესობის შედგენისა და დაშლის შესაძლებლობა აქვთ, რის მაგალითსაც ისრაელი წარმოადგენს.

მეორე მხრივ, სიღრმისეულად თუ მივუდგებით, რას ნიშნავს აზრი პროპორციული წარმომადგენლობის სამართლიანობის შესახებ? ვისთვის არის ის სამართლიანი? ვისთან მიმართებაშია ის სამართლიანი? უსამართლობა იქნებოდა, თუკი ხმათა უმცირესობა ადგილების უმრავლესობას მოიპოვებდა. უსამართლოა თუ არა ამომრჩეველთა აზრით ის ფაქტი, რომ პარტიამ, რომელმაც ხმათა 15% მოიპოვა, ადგილების მხოლოდ 5% აქვს? გრძნობენ თუ არა ამომრჩევლები თავს მოტყუებულებად? „უსამართლობა" კონკრეტულია მხოლოდ პარტიის კანდიდატებისთვის, რომლებიც პროპორციული არჩევნების შემთხვევაში არჩეულნი იქნებოდნენ, მაგრამ მაჟორიტარულმა საარჩევნო სისტემამ მათ ამის საშუალება არ მისცა. აწონასწორებს კი კანდიდატთა ლეგიტიმური, მაგრამ ვიწრო და კორპორაციული შეხედულება სისტემის ნაკლოვანებებს?

მით უმეტეს, რომ აღნიშნული სისტემა (არის კი ეს ნაკლოვანება კორპორაციული თვალსაზრისით?) საბოლოოდ მნიშვნელოვანწილად პოლიტიკურ პარტიებს გადასცემს დეპუტატთა დანიშვნაზე ზრუნვას. მართლაც, მთლიანობაში პარტიებმა იციან, თუ რამდენი რჩეული ეყოლებათ: არჩევნებს ყოველთვის ხმათა გარკვეული გადანაცვლება ახასიათებს, მაგრამ ამ გადაადგილებათა მასშტაბი ჩვეულებისამებრ შეზღუდულია. პარტიებმა იციან, რომ სიის გარკვეულ ადგილზე კანდიდატის დაყენება მისი უცილობელი არჩევით დასრულდება, სიის სხვა ადგილი კანდიდატს არჩევის შესაძლებლობას აძლევს ისევე როგორც არსებობს რიგითობა, რომელიც არჩევის არანაირ შანსს არ იძლევა. ამგვარად, პროპორციული წარმომადგენლობა კოოპტაციით არჩევნებს პარტიების სასარგებლოდ ცვლის: ნაციონალურ ჩარჩოში ჩატარებული ევროპული პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემები ამ მექანიზმის შესანიშნავი ილუსტრაციაა. მაშასადამე, საარჩევნო სისტემის ეს ფორმა ამომრჩეველს საშუალებას არ აძლევს თავისი საარჩევნო ბიულეტენით უარი თქვას იმ ინდივიდის არჩევაზე, რომელსაც არ იცნობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დემოკრატიული ლოგიკა გულისხმობს არა მხოლოდ პარტიებისა და პროგრამების, არამედ ასევე ადამიანთა თავისუფალ არჩევანს. პროპორციული წარმომადგენლობა, რომელიც მომხრე ელიტას ხელახალი არჩევის თითქმის სრულ რწმენას აძლევს, თავისი ბუნებით პოლიტიკური პარტიების ოლიგარქიულ ხასიათს აძლიერებს.

პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემებს მაჟორიტარული სისტემები უპირისპირდებიან. ქვეყანა საარჩევნო ოლქებად არის დაყოფილი, რომელიც ერთ ან ბევრ დეპუტატს ირჩევს ან საერთო საარჩევნო სიით ან ერთი კანდიდატისთვის ხმის მისაცემი სიით. მოცემულ ოლქში დეპუტატის არჩევის ფაქტი გულისხმობს ამ უკანასკნელსა და მის ამომრჩეველებს შორის ძლიერი ფსიქოლოგიური კავშირის დამყარებას (რომლის დანგრევასაც პროპორციული წარმომადგენლობა ცდილობს) და რჩეულის პასუხისმგებლობას რეალურ მნიშვნელობას ანიჭებს. დემოკრატიის თვალსაზრისით, აღნიშნული უდავო უპირატესობას წარმოადგენს. თუმცა სისტემის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მან შეიძლება სერიოზული გადახრა გამოიწვიოს ხმათა რაოდენობასა და პოლიტიკური პარტიის მიერ მოპოვებულ ადგილების რაოდენობას შორის. ამ ფენომენს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოლქებში მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის შემთხვევაშიც: ამისათვის საკმარისი იქნებოდა, რომ პარტიამ ხმათა უმრავლესობა რამდენიმე ადგილზე მიიღოს და უმცირესობა ყველგან. რეალობაში განსხვავება ყველაზე დასახლებულ და ნაკლებად დასახლებულ ოლქებს შორის ზოგჯერ საგრძნობია. აქედან მომდინარეობს უთანასწორობა წარმომადგენლობაში და არასამართლიანი სიტუაციებისთვის პრივილეგიების მინიჭება პრინციპების ასპექტში. მთელ ტერიტორიაზე კარგად გადანაწილებული სოციალური ჯგუფი იმ ჯგუფზე უფრო ძლიერად გამოიყურება, რომელიც ინდივიდთა თანაბარ რაოდენობას მოიცავს, მაგრამ გარკვეულ ზონებშია კონცენტრირებული: პირველ ჯგუფს კანდიდატთა წარმატების უზრუნველყოფა ბევრ საარჩევნო ოლქში შეუძლია. ამიტომაც მას მნიშვნელოვანი ძალა აქვს. ამის საპირისპიროდ, მეორე ადგილზე მყოფი პოლიტიკური ძალა არასახარბიელო პირობებშია ჩაყენებული, რადგან ის იშვიათად არის არბიტრის პოზიციაში. ამ შემთხვევაში ყველაზე სერიოზულია ის, რომ ეს გადახრები ზოგჯერ შეგნებულად არის მანიპულირებული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენით. ამ უკანასკნელს ზოგიერთი რეგიონებისა და სოციალური ჯგუფების ხელშეწყობა შეუძლია. ამგვარად, წინა შედეგების ანალიზის საფუძველზე, საარჩევნო ოლქების საზღვრების დამდგენელ პასუხისმგებელ პირებს ზოგიერთი პარტიის ხელშეწყობა შეუძლიათ: ეს პარტიები იმგვარად ლაგდებიან, რომ მათ მოწინააღმდეგეებს ყველგან ძლიერი უმცირესობა ჰქონდეთ, მაგრამ არსად არ ჰქონდეთ უმრავლესობა.

სწორედ ამიტომ, მაჟორიტარულ სისტემებს შემთხვევითი შედეგები აქვთ. ადგილმდებარეობის დონეზე მათ ხმათა მცირე გადაადგილების გაზრდა შეუძლიათ: მაგალითად, საფრანგეთში 1968 წელს კავშირმა რესპუბლიკის მხარდასაჭერად, 1981 წელს სოციალისტურმა პარტიამ ხმათა შედარებითი უმრავლესობით ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს. ასევე შესაძლებელია, რომ პარტიამ, რომელმაც ხმების უმცირესობა მოიპოვა ადგილების უმრავლესობა მოიპოვოს. ამ ფენომენს ბევრჯერ ჰქონია ადგილი დიდ ბრიტანეთში ხან კონსერვატორების, ხან კი ლეიბორისტების სასარგებლოდ. ამის უახლესი მაგალითია 1974 წლის 23 თებერვლის არჩევნები, როდესაც კონსერვატორებმა მიღებული ხმების 38,2%-ით 296 ადგილი მიიღეს, მაშინ როდესაც ლეიბორისტებმა ხმათა მხოლოდ 37,2%-ით 301 ადგილი მოიპოვეს და ხელთ იგდეს ქვეყნის მართვის სადავეები. იგივე ფაქტს ორჯერ ჰქონდა ადგილი აშშ-ში (1876 წელსა და 1888 წელს), როდესაც პრეზიდენტი არჩეული იქნა მის მოწინააღმდეგეზე ნაკლები ხმებით: ეს პარადოქსული სიტუაცია აიხსნება იმ ფაქტით, რომ ხმის მიცემა შტატების მიხედვით წარმოებდა.

მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ თქმული, ზოგადად სამართლეს შეეფერება. ამასთანავე უნდა დაესძინოთ, რომ მაჟორიტარული სისტემა შეიძლება ორი ფორმით გამოვლინდეს, რომლის შედეგებიც სიღრმისეულად განსხვავდება: ორტურიანი ხმის მიცემა სიაში ერთი კანდიდატისთვის და ერთტურიანი ხმის მიცემა სიაში ერთი კანდიდატისთვის. სიაში ერთი კანდიდატისთვის ორტურიანი არჩევნების დროს, კანდიდატის პირველივე ტურში არჩევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს მიცემულ ხმათა უმრავლესობა აქვს მოპოვებული. საპირისპირო შემთხვევაში, ამბობენ, რომ არჩევნების შუალედურ შედეგს (კენჭისყრა, რომელმაც აბსოლუტური უმრავლესობა ვერ გამოავლინა) აქვს ადგილი და არჩევნების მეორე ტური იმართება. ამჯერად არჩევისთვის საკმარისია შედარებითი უმრავლესობის მოპოვება.

მეორე ტურის არსებობა, იმ ოლქების გარდა რომელშიც პოლიტიკურ პარტიას დომინანტური ადგილი აქვს მოპოვებული, პირველ ტურს ზოგადი გამეორების სახეს აძლევს. აღნიშნული მართებულია ამომრჩევლებისთვის: მათ შეუძლიათ კანდიდატის მიმართ პოზიტიური დამოკიდე-

ბულების გამოხატვა მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელს არჩევის არავითარი შანსი არა აქვს, ისე რომ ხელი არ შეუწყონ არასასურველი კანდიდატის არჩევას. ეს მართებულია პარტიებისთვისაც: მათ თავიანთი კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ ამ უკანასკნელთა ძალების მოსასინჯად. ამავე დროს, პარტიები მათ ძირითად მოწინააღმდეგეებს გამარჯვების მოპოვების ამოცანას არ უიოლებენ უბრალო კონკურენტებისა და მოკავშირეთა საზიანოდ. ორ ტურს შორის თითოეული თავის გამოთვლებს აკეთებს. პარტიები თავის სტრატეგიას ცვლიან ერთდროულად ნაციონალურ დონეზე მიღებული შედეგებისა და თითოეული ოლქის სპეციფიკური კონიუნქტურის ანგარიშის გაწევით. იქ სადაც პარტიებმა გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლეს, ისინი ცდილობენ მათთან ყველაზე ახლოს მდგომი პარტიის წარმატებას შეუწყონ ხელი ან უბრალოდ, არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატი გამოთიშონ და სხვა კანდიდატისთვის ხმის მიცემისკენ მოუწოდონ. ამას საკუთარი კანდიდატურის მოხსნა ეწოდება. ახლოს მდგომ პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩევნების წინ აღნიშნულ საკითხთან შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ორ ტურს შორის გაშმაგებულ ვაჭრობას აქვს ადგილი. ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ორტურიანი მაჟორიტარული არჩევნები იმის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ფარატინა ქაღალდად რჩება პროპორციული წარმომადგენლობის ან მხოლოდ ერთურიანი არჩევნების შემთხვევაში: ამომრჩეველის აზრით, არათანაბარი დისტანცია პოლიტიკურ პარტიებს შორის (ან თუ გნებავთ არათანაბრად მიუღებელი ხასიათი) იმ კანდიდატებისთვის, რომელთაც მან ხმა არ მისცა. ამომრჩეველის ფავორიტის დამარცხების შემთხვევაში, მას მეორე არჩევანის გაკეთება შეუძლია. ამგვარი მდგომარეობის მნიშვნელოვანი შედეგია ის ფაქტი, რომ ორტურიანი არჩევნები არახელსაყრელ პირობებში აყენებს ექსტრემისტულ პარტიებს ცენტრისტული პარტიების სასარგებლოდ. მართლაც, ამ უკანასკნელებს ორივე ფრთიდან ხმების მოპოვების იმედი შეიძლება ჰქონდეთ, მაშინ როდესაც ექსტრემისტული პარტიები მხოლოდ ცალმხრივ და ხშირ შემთხვევაში, უმნიშვნელო დახმარებას იღებენ: სავარაუდოდ, არავინ არის მათ მარჯვნივ ან მარცხნივ.

აშკარაა, რომ ყველა შესაძლებლობა, რომელიც ორტურიან ხმის მიცემასთან არის დაკავშირებული, გამორიცხულია ერთტურიანი ხმის მიცემის დროს ერთი კანდიდატით სიაში. ამჯერად, პარტიებსა და ამომრჩევლებს არ შეუძლიათ ცარიელი ვაზნებით სროლა, რომელიც შემდგომში პირველი ტურის შედეგების მიხედვით კორექტირებას განიცდის. კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში, ახლოს მდგომი პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ, იქმნება საერთო მოწინააღმდეგის არჩევის რისკი, რომელიც ამასთანავე უმცირესობას მიეკუთვნება. ამომრჩეველმა, რომელმაც ხმა მარგინალურ კანდიდატს მისცა იცის, რომ მისი ბიულეტენი გაფუჭებულია. ერთტურიანი მაჟორიტარული სისტემა აბსოლუტურად ხისტი სისტემაა. ის პარტიებს შორის ალიანსებსა და გარიგებებს გამორიცხავს. ორტურიანი ხმის მიცემისგან განსხვავებით, ის უფრო მეტად ხდის შესაძლებელს უმცირესობაში მყოფი პოლიტიკური პარტიის გამარჯვებას. მას სისტემატურად მივყავართ უმცირესობის წარმომადგენლობის შემცირებამდე, რომელიც ორმაგი ფენომენის მსხვერპლია: „სარგებლით ხმის მიცემით" დაკავებული ამომრჩევლები ზურგს აქცევენ იმ პარტიებს, რომლის კანდიდატებს არჩევის არავითარი შანსი არა აქვთ; გარდა ამისა, ყველაზე სუსტ პარტიებს არ შეუძლიათ თავისი ხმებით ვაჭრობა იმ პარტიებთან, რომელთათვისაც ისინი ხმების რაოდენობის შესავსებად გამოდგებიან, რადგან ასეთი პარტიები ნებისმიერ შემთხვევაში გაიმარჯვებენ იმ ერთადერთი პირობის გამო, რომ მათ თავიანთ მოწინააღმდეეგეზე მეტი ხმა აქვთ. სუსტი პარტიების გავლენა მხოლოდ რამდენიმე ძლიერი ოლქით არის შემოფარგლული. მთლიანობაში ისინი ნაკლებ ხმებს იღებენ და სხვა საარჩევნო სისტემის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ნაკლებ ადგილებს მოიპოვებენ. განსაკუთრებით აღსანიშნია ბრიტანეთის მესამე პარტიის მაგალითი. 1983 და 1987 წლებში „ალიანსისთვის" მიცემულ ხმათა რაოდენობა მეოთხედსა და მეხუთედს შორის მერყეობდა, ხოლო მოპოვებული ადგილების რაოდენობა დაახლოებით 4%-ს აღწევდა. ამით შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ამუხრუჭებს საარჩევნო რეჟიმი პოლიტიკურ ევოლუციას.

აღნიშნული დაკვირვებები პარტიათა სისტემაზე საარჩევნო სისტემის გავლენის გაგების საშუალებას იძლევა. პროპორციული წარმომადგენლობა მრავალპოლარულ სისტემებს უწყობს ხელს, რაოდენობრივი ხასიათის მიზეზის გამო: ყველაზე სუსტი მიმდინარეობაც კი წარმომადგენლობით არის უზრუნველყოფილი. ასეთი სისტემა ახალი პოლიტიკური მიმდინარეობების გაჩენას უწყობს ხელს და ამუხრუჭებს დაკნინების პროცესში მყოფი ჯგუფების გაქრობას. ის პარტიათა სიმრავლეს უწყობს ხელს სტრუქტურული მიზეზით: ეს სისტემა არასაჭიროს ხდის საარჩევნო

ალიანსების არსებობას და არჩევნების შემდეგ უმრავლესობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა იმგვარად, რომ ამომრჩევლებს არ მოუწოდებს ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოხატვისკენ. ეს დაკვირვებები გვიჩვენებს, თუ რამდენად გამარტივებულია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ პროპორციული წარმომადგენლობა ხმის მიცემის ერთადერთი ფორმაა, რომელიც საxალxო ნებას პატივს სცემს. თუკი პროპორციული წარმომადგენლობა ხალხის მინიატურულ სახეს ქმნის სამაგიეროდ, ის ამ უკანასკნელს ალტერნატივის პირობებს შორის არჩევანის საშუალებას არ აძლევს. თუმცა შეიძლება დაისვას კითხვა ვინ იმსახურებს ხალხის ნების სახელით ლაპარაკს? სურს კი საზოგადოებრივ აზრს, რომ რესპუბლიკურ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც არჩევნებში ხმების 17,1% მიიღო დეპუტატთა ადგილების 17,1% ჰქონდეს? თუ მას სურს ხმათა უმრავლესობით არჩევანი გააკეთოს ორ გუნდსა და ორ პოლიტიკას შორის, რომელიც ერთმანეთს ხელისუფლებაში ეცილება? პრინციპების დონეზე, მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემას შორის არჩევანი ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზეა დამოკიდებული; მოვლენათა ვერაგობა ხელს უშლის ორივე შედეგის გაერთიანებას. შეუძლებელია ერთდროულად უპირატესობის მინიჭების წარმოდგენა და ალტერნატივის საკითხის გადაწყვეტა, რადგან უპირატესობის მინიჭება რთულია და თავისი ნიუანსები აქვს, ხოლო ალტერნატივა ძალიან მცირერიცხოვან და სტილიზებულ კომპრომისულ გამოსავალს მოითხოვს. მმართველთა პირდაპირი არჩევა ამომრჩევლის მიერ გულისხმობს, რომ ეს უკანასკნელი თანხმდება თავისი არჩევანის თავისუფლების შეზღუდვას. საპირისპირო შემთხვევაში, ამომრჩეველს თავისი რჩეულებისთვის მხოლოდ მმართველთა თავისუფალი არჩევის უფლების დელეგირება შეუძლია.

ბრიტანეთის მაგალითზე გაკეთებულმა დაკვირვებამ, სადაც ორპარტიულობის მომხრე სისტემა არჩევნების წესის წყალობით არის შენარჩუნებული, ბევრი ავტორი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ანალოგიური მექანიზმის სხვა ქვეყნებში გადმოტანა მსგავსს შედეგებს გამოიწვევდა. ამ ტიპის არჩევნების ფორმა ხშირად წარმოდგენილია როგორც უმრავლესობის გაჩენის საშუალება იმ პოლიტიკურ სისტემებში, რომელშიც ის არ არსებობს. ამ სახის მსჯელობები, რომლის თანახმად პარტიათა სისტემის შეცვლა შესაძლებელია ერთადერთი მოკლევადიანი ცვლადის საფუძველზე, დასაბუთებას მოითხოვს. დიდ ბრიტანეთში ერთტურიანი მაჟორიტარული არჩევნების შედეგები მენტალიტეტსა და ტრადიციაზეა დამოკიდებული. პარტიები და ბრიტანელი ამომრჩევლები შეეჩვივნენ როგორც არჩევნების ფორმას, ისე ბიპოლარულ პოლიტიკურ სისტემას, რადგან მათთვის ორივე ნორმალურ მოვლენად არის მიჩნეული. საქმე სხვაგვარადაა საფრანგეთში. საარჩევნო სისტემის შეცვლის შემთხვევაში, არაფერი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პარტიები და ამომრჩევლები თავის ქმედებებს ამ ახალ მოცემულობას მიუსადაგებენ. საქმის სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში, უმცირესობაში მყოფი მიმდინარეობები ადგილებს მოიპოვებდნენ და არაფერი დაადასტურებდა იმას, რომ ადგილობრივი ბრძოლიდან მყარი უმრავლეობა გამოვიდოდა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებს დაუპირისპირდებოდა. გამოიწვევდა თუ არა ერთტურიანი ერთკანდიდატიანი სიით ხმის მიცემა პოლიტიკური თაბაშის გამარტივებას ან ქაოსს? 1986 წლის მარტში საფრანგეთში ჩატარებულმა საკანონმდებლო არჩევნებმა გვიჩვენა, თუ რამდენად მინიმალური იყო იურიდიული წესების შეცვლის გავლენა ჩვეულებსა და ტრადიციულ ღირებულებებზე. ერთტურიანი ინტეგრალური პროპორციული არჩევნები დეპარტამენტების მიხედვით, შემოღებული იქნა საპარლამენტო უმრავლესობის გაჩენის ხელის შესაშლელად. კლასიკურ მემარჯვენე პარტიებს ერთიანი სიების შედგენა სურდათ, მიუხედავად იმისა, რომ პროპორციულ სისტემაში ამ სტრატეგიის მომგებიანობა საეჭვო იყო. პოლიტიკური ცვლილებებისადმი კეთილგანწყობილ ამომრჩევლებს ამ სიებისთვის ხმის მიცემა სურდათ. სხვაგვარად რომ კთქვათ, ერთნიც და მეორენიც ოცდარვაწლიანი მაჟორიტარული სისტემის ტრადიციის შესაბამისად რეაგირებდნენ და ამგვარი ქცევა აშკარად უმრავლესობის შექმნით სრულდება. სამაგიეროდ, 1988 წლის ივნისში მაჟორიტარული არჩევნების სისტემასთან დაბრუნებამ შესაძლებელი გახადა მხოლოდ შედარებითი უმრავლესობის გამოჩენა.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხში გაურკვევლობა შესაძლებელ ექსტრაპოლაციას სჭარბობს. არჩევნების ფორმების ტაქტიკურ ცვლილებებს ზოგადად, მოსალოდნელი შედეგების საპირისპირომდე მივყავართ.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო რეჟიმების გავლენა პარტიათა სისტემების სტრუქტურაზე არ არის უგულებელსაყოფელი, მაგრამ ამ გავლენას ავტომატური ხასიათი არა აქვს და ის მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში ვლინდება. როგორც ჩანს, მას ტენდენციების

შექმნაზე მეტად მათი დაჩქარება შეუძლია. ამიტომაც, არ შეიძლება ამ გავლენის მნიშვნელობის გადამეტება როგორც ამის გაკეთებას ხშირად ცდილობენ.

თავი III. ზეწოლის ჯგუფები

168. ზოგადი მიმოხილვა. — პოლიტიკური პარტიის ცნების განსაზღვრისას ჩვენ უკვე შევეხეთ ზეწოლის ჯგუფის ცნებას. ჩვენ აღარ მივუბრუნდებით ამ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ზეწოლის ჯგუფების შესწავლა პოლიტიკური პარტიების შესწავლაზე უფრო დელიკატურია. მართლაც, პოლიტიკური პარტიები ის ორგანიზაციებია, რომელთაც ერთადერთი და აშკარა საბოლოო მიზანი აქვთ. ვიწრო გაგებით, პარტიების მიზანი მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობაა, მიუხედავად სხვა დაკისრებული ფუნქციებისა. მეორე მხრივ, პარტიების მიზანი გაცხადებულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი იატაკქვეშა ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რადგან აღნიშნული მიზანი მათი არსებობის მიზეზია. როგორც ვნახეთ, ამის საპირისპიროდ, ზეწოლის ჯგუფებს სხვა არაპოლიტიკური მიზნები აქვთ და სწორედ ამ უკანასკნელთა განსახორციელებლად ისინი იძულებულნი არიან პოლიტიკურ საქმიანობას მიჰყონ ხელი. თუკი პარტიებისთვის პოლიტიკა მიზანია, ზეწოლის ჯგუფებისთვის ის მხოლოდ საშუალებაა.

ზეწოლის ჯგუფების პოლიტიკური საქმიანობის დამატებითი ხასიათი მათ იდენტიფიკაციას ართულებს. თუმცა უმთავრესი სირთულე ზეწოლის ჯგუფების საქმიანობის ხშირად ფარული ასპექტიდან მომდინარეობს. თუ ზოგიერთი მათგანი ღიად მოქმედებს, რეკლამას ეძებს, საზოგადოებრივ აზრს ეყრდნობა, სხვები ჩარევის მეტ-ნაკლებად ფარულ ფორმებს მიმართავენ. აღნიშნული განსაკუთრებით საფრანგეთს მიესადაგება, სადაც სახელმწიფოსა და „საერთო ინტერესის" იდუმალება (ცნებები, რომელსაც ტრადიციული ოპტიმიზმი ერთმანეთში ურევს) დიდი ხნის განმავლობაში a priori შეურაცხმყოფელად თვლიდა კერძო ინტერესების დაცვას. საქმე სხვაგვარადაა აშშ-ში, სადაც „ლობი" (პარლამენტარებზე და მთავრობაზე ზეწოლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანიზაციები) ბუნებრივ ფენომენად მიიჩნევა: მათი არსებობა ოფიციალურად არის აღიარებული, საქმიანობა რეგლამენტირებულია და ზოგიერთი უნივერსიტეტი პოლიტიკური ზეწოლის ხელოვნების შემსწავლელ ლექციების ციკლს მართავს. და ბოლოს, ხდება ისე, რომ ზეწოლის ჯგუფები იურიდიული სტრუქტურის არმქონე არაფორმალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რაც მათ იდენტიფიკაციას სრულიადაც არ აადვილებს.

ნაწილი I. ზეწოლის ჯგუფის ცნება

169. ზეწოლის ჯგუფების განმარტების მნიშვნელობა. — უპირველეს ყოვლისა, მართებული იქნება ზეწოლის ჯგუფების ცნების დაზუსტება არა ნეგატიური ფორმით, ანუ პოლიტიკურ პარტიებთან მათი დაპირისპირებით, არამედ პოზიტიურად. ერთი შეხედვით, უგულებელსაყოფელი არ არის ბატონ დე ლა პალისის განმარტება: ზეწოლის ჯგუფი არის ჯგუფი, რომელიც ზეწოლას ახდენს. თუმცა მიუხედავად ამ ფილოსოფოსის ინტელექტუალური თვისებებისა (ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობი), არ შეიძლება ამ ანალიზით შემოვიფარგლოთ. ერთი მხრივ, აშკარად უნდა დავსძინოთ, რომ განსახილველი ზეწოლა პოლიტიკურია იმდენად, რამდენადაც ის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებების არჩევანზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. თუკი ბავშვები თავიანთ მშობლებზე ზეწოლას ახდენენ არდადეგების დროს ზღვაზე და არა სოფელში წასასვლელად, ისინი შეიძლება ზეწოლის ჯგუფს მივაკუთვნოთ, მაგრამ მათი ქმედება პოლიტიკურ მეცნიერებას არ ეხება. მეორე მხრივ, ის ჯგუფებიც კი, რომელთა ქმედება პოლიტიკურ სამყაროში ელინდება უცილობლად არ შედიან ზეწოლის ჯგუფების კატეგორიაში. აღნიშნული ცნება არ შეიძლება დაყვანილი იქნეს ლინგვისტური სპონტანურობის შემთხვევითობებამდე. ის შემუშავებული იდეაა, რომლის მიზანია პოლიტიკური ფენომენების განმარტება იმ მნიშვნელოვან მსგავსებათა გამოვლენით, რომელიც მათ აერთიანებთ და არა სიტყვიერი

დამთხვევების ანალიზი. შემდგომში ვნახავთ, რომ პოლიტიკური ზეწოლის განმხორციელებელი ნებისმიერი ჯგუფი ზეწოლის ჯგუფს არ წარმოადგენს.

რომელიმე ჯგუფის ზეწოლის ჯგუფის კატეგორიაში შესაყვანად მას გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები უნდა გააჩნდეს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ორგანიზაციის მინიმუმის არსებობა. მეორე, საჭიროა, რომ პოლიტიკური ზეწოლის განმხორციელებელმა ინდივიდებმა ზეწოლა განახორციელონ იმ მიზნისთვის, რომელიც მათ საკუთარ მიზანს წარმოადგენს. მესამე, საჭიროა, რომ ზეწოლის ჯგუფი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი იყოს ე.ი. არ იყოს მხოლოდ მანიპულირების ინსტრუმენტი სხვა ორგანიზაციისთვის. ამ შემთხვევაში, ის უნდა განვიხილოთ ამ ორგანიზაციის სპეციფიკური ამოცანებისთვის ადაპტირებული ქმედების განსაკუთრებულ ფორმად და არა როგორც დამოუკიდებელი რეალობა. და ბოლოს, საჭიროა, რომ ჯგუფმა ეფექტური ზეწოლა განახორციელოს, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს ზეწოლის ჯგუფის განსაკუთრებული ბუნება რეალური ქმედებისგან დამოუკიდებლად, ისევე როგორც არ არსებობს ორგანიზაციები, რომელიც თავისი ბუნებით გამორიცხულია ზეწოლის ჯგუფების კატეგორიიდან. ზეწოლის არსებობა და ამგვარად, რომელიმე ჯგუფის ამ კატეგორიისადმი მიკუთვნება ფაქტის საკითხია, რომელიც მხოლოდ ფაქტობრივად უნდა შეფასდეს.

170. ორგანიზებული ჯგუფები. — იმისათვის, რომ ზეწოლის ჯგუფზე ვიმსჯელოთ, საჭიროა ორგანიზაციის მინიმუმის არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემონსტრაცია ამ კატეგორიაში არ შედის მიუხედავად იმისა, რომ ის ინდივიდთა გარკვეულ რაოდენობას აერთიანებს, რომლის მიზანი ზეწოლის მოხდენაა. საქმე ისაა, რომ ამგვარი შეკრებები ეფემერულ ხასიათს ატარებს. თუკი დემონსტრაცია სპონტანურია, ის მონაწილე ინდივიდთა დაშლისთანავე ქრება. თუკი ის ორგანიზებული იყო რომელიმე ჯგუფის ან კომიტეტის მიერ, ამ შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელს უნდა დაერქვას ზეწოლის ჯგუფის სახელი. დემონსტრაცია ზეწოლის ჯგუფის მიერ გამოყენებული მოქმედების ერთ-ერთი საშუალებაა.

ასევე რთულია იმ ჯგუფების კლასიფიკაცია, რომელიც მუდმივი კონტაქტის გარეშე ინდივიდებს პერიოდულად აერთიანებს მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრების მიზანი საერთო სტრატეგიის შემუშავებაა. მაგალითად, ამგვარადაა საქმე, როდესაც რეგულარულად იმართება ვახშამი, რომელზეც პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში მოღვაწე განსხვავებული შეხედულებების მქონე პასუხისმგებელი პირები ერთმანეთს ხვდებიან, რადგან ისინი უპირატესობას ანიჭებენ ამგვარ პირობებში აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას.

ამავე დროს, არ უნდა დავასკვნათ, რომ ორგანიზაციას უნდა აუცილებლად ჰქონდეს განსაზღვრული იურიდიული ფორმა იმისათვის, რომ მასზე როგორც ზეწოლის ჯგუფზე ვილაპარაკოთ. ამის მაგალითია 1901 წლის „კანონის ასოციაცია". პიროვნებები, რომლებიც რეგულარულად მსჯელობენ სტრატეგიის დადგენასთან დაკავშირებით ზეწოლის ჯგუფს წარმოადგენენ, როგორც კი მათი შეკრებები ეფექტურ და ხანგრძლივ მოქმედებაზე გადადის: სირთულე მდგომარეობს არა მათ განსაზღვრაში, არამედ მათ ამოცნობაში. რაც შეეხება ფორმალურ ინსტიტუციონალიზებულ ორგანიზაციებს, ესაა პირველი აუცილებელი ნიშანი. თუმცა, ამით წინასწარ არ არის ნაგულისხმები მათი ზეწოლის ჯგუფის ბუნება.

171. მომხრეთა ჯგუფები. — რომელიმე ორგანიზაციაზე როგორც ზეწოლის ჯგუფზე რომ ვილაპარაკოთ, მას მომხრეობის თვისება უნდა გააჩნდეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არ უნდა იყოს ნეიტრალური ან ინდიფერენტული მის ზეწოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნების მიმართ. ეს დაზუსტებები უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ზეწოლის ჯგუფების კატეგორიიდან გამორიცხოს პროპაგანდის მომზადების ჯგუფები ან სარეკლამო სააგენტოები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს თავის სამსახურს სთავაზობენ, და თავის თავზე იღებენ ამ უკანასკნელთა კამპანიების ორგანიზებას, ან მათი სამარკო იმიჯის „გაყიდვას". უდავოა, რომ ეს ორგანოები ჯგუფებს წარმოადგენენ: ისინი ინდივიდთა გარკვეულ რაოდენობას აერთიანებენ და განსაზღვრული საქმიანობის საწარმოებლად ორგანიზაციის მინიმუმი გააჩნიათ. მეორე მხრივ, ისინი აშკარად ზეწოლას ანხორციელებენ, რადგან ეს მათი არსებობის მიზეზია. თუმცა ისინი მხოლოდ კომერციული საწარმოებია, რომლებიც ნებისმიერ პოლიტიკურ მიმდინარეობას საზღაურის საფასურად გარკვეული ცოდნით ამარაგებენ. აშკარაა, რომ თუ სიტყვებით არ

ვითამაშებთ, მათი ზეწოლის ჯგუფების კატეგორიაში შეყვანა შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია საკუთარი პოლიტიკური მიზნის არსებობა.

მსგავსი განსხვავება შეიძლება გაკეთდეს ამერიკულ ლობისთან დაკავშირებით მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში იგივე სიტყვაა გამოყენებული. ზოგიერთი მათგანი პოლიტიკური ზეწოლის სპეციალიზებული ორგანოა. ისინი სამსახურებს ქირაობენ, რომლებიც მთავრობისა და პარლამენტარების წინაშე დემარშებს ანხორციელებენ და ნაკლებად ადარდებთ მათი კლიენტების პოლიტიკური ორიენტაცია. ამ შემთხვევაში, ისინი ზეწოლის ჯგუფები არ არიან ჩვენს მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობით ანუ იმ ჯგუფებისგან განსხვავებით, რომელთაც პოლიტიკური შეფერილობა აქვთ.

ზეწოლის ჯგუფების კატეგორიიდან ასევე უნდა გამოირიცხოს ზოგიერთი გაზეთი ან საინფორმაციო ორგანო. ერთნი იმ მიზეზის გამო, რომელიც ჩვენ ეს ესაა განვიხილეთ: სარეკლამო სააგენტოების მსგავსად, ისინი უბრალო კომერციული საწარმოები არიან და მიზნად მხოლოდ ფულის შოვნას ისახავენ. ამიტომაც, ისინი პოლიტიკურად ნეიტრალურნი არიან, თუმცა ეს ნეიტრალიტეტი პოლიტიკურად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული: ოპოზიციური ძალები მათ არსებული წესრიგის მხარდაჭერას საყვედურობენ. ამავე დროს, მათი საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, ამ ინფორმაციის ორგანოებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მეტად, ამ აზრის მიდევნება ახასიათებთ. მათ გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება ხელისუფლებას ზურგი შეაქციონ.

სხვა გაზეთებიც ასევე უნდა გამოირიცხოს ზეწოლის ჯგუფების კატეგორიიდან. ამ შემთხვევაში, ამის მიზეზი არ არის პოლიტიკური გეზის არქონა: აშკარაა, რომ „ლ'უმანიტეს" თავისი პოლიტიკური მიმართულება აქვს. თუკი კომუნისტური პარტიის გაზეთი ზეწოლის ჯგუფს არ წარმოადგენს, ეს ხდება იმის გამო, რომ ის სხვა ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ამ გაზეთს აქვს თავისი მიმართულება, მაგრამ ის არა მის მიერ, არამედ კომუნისტური პარტიის მიერ არის განსაზღვრული, რომლისთვისაც ის მხოლოდ ინსტრუმენტია.

172 ავტონომიური ჯგუფები. — ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში და ზოგადად, გაზეთებთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკური პარტიების ან ზეწოლის ჯგუფების გამომხატველებია, ამ ორგანოებს ორი თვისება გააჩნია: ისინი ორგანიზებულები არიან და მომხრეობას ავლენენ, მაგრამ ავტონომიურები არ არიან. ისინი წარმოადგენენ არა დამოუკიდებელ ჯგუფებს, რომლებიც ზეწოლას საკუთარი მიზნებისთვის ანხორციელებენ, არამედ მხოლოდ იმ ჯგუფების რუპორები არიან, რომლებიც მათ მანიპულირებისთვის იყენებენ. საინფორმაციო ჯგუფის ამგვარი კავშირი განსაკუთრებულ ინტერესებთან ზოგჯერ გაცხადებულია. ზოგიერთ შემთხვევაში ის შენიღბულია, იგნორირებულია ფართო საზოგადოების მიერ და მხოლოდ საქმეში ჩახედულთა ვიწრო წრისთვის არის ცნობილი. ეს საინფორმაციო ორგანოები თავს დამოუკიდებლებად, ობიექტურებად მიიჩნევენ და სხვ., თუმცა, რეალურად გარკვეულ საკითხებში ისინი რომელიმე პარტიის ან ზეწოლის ჯგუფის ინტერესებსა და დირექტივებს გამოხატავენ. ასეთი შემთხვევები ორაზროვანია იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის საინფორმაციო ორგანოებს რეალურად არავითარი ავტონომია არ გააჩნიათ იმ ჯგუფებთან მიმართებაში, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. თუმცა ისინი იმგვარად ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, რომ ეს უკანასკნელი განსხვავებულად მიიჩნევს იმ ინტერესებს, რომელსაც ისინი სინამდვილეში გამოხატავენ. თუ საფრანგეთის მეწარმეთა გაერთიანების ეროვნულ საბჭოსთან დაახლოებული ამ ტიპის გაზეთი იცავს იმავე შეხედულებას, რასაც ეს გაერთიანება, უბრალო ხალხს ორი განსხვავებული პოზიციის მიღების შთაბეჭდილება ექმნება, რომელიც ერთი მეორეს აძლიერებს. ამ შემთხვევაში, ჩახედულ პირებს ეცოდინებათ, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი შეხედულება, რომელიც ორი სხვადასხვა არხით არის გადაცემული. მთლიანობაში ეს გაზეთები მათ მკითხველთა აზრით, ზეწოლის ჯგუფებს არ წარმოადგენენ, რადგან ამ გაზეთებს მანევრირების არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ, მაგრამ ისინი ზეწოლის ჯგუფების როლს ასრულებენ იმ პიროვნებათა მიმართ, რომელნიც მათ ჭეშმარიტ ბუნებას ვერ აცნობიერებენ და დამოუკიდებელ საინფორმაციო წყაროებად მიიჩნევენ.

ზეწოლის ჯგუფების კატეგორიაში სრული უფლებით შედიან ის დამოუკიდებელი გაზეთები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრსა და ხელისუფლებაზე გავლენის მოხდნას ცდილობენ. ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ გაზეთებზე და არა ზოგადად საინფორმაციო ორგანოებზე, რადგან რადიო და ტელევიზია მეტისმეტად მძიმეწონიან საწარმოებს წარმოადგენენ იმისათვის,

რომ გვერდი აუარონ სახელმწიფოსა თუ კერძო ფინანსური ჯგუფების ზემოქმედებას. „თაიმსი" ინგლისში, „ლე მონდი" საფრანგეთში, „ნიუ-იორკ თაიმსი" და „ვაშინგტონ პოსტი" აშშ-ში დამოუკიდებელი გაზეთების მაგალითებს წარმოადგენენ. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ ფარული თუ აშკარა პოლიტიკური ტენდენციები. პირიქით, რაკი მათ ეს ტენდენციები ახასიათებთ, აზრს მოკლებული არ არის მათზე, როგორც ზეწოლის ჯგუფებზე ვილაპარაკოთ. თუმცა ისინი არ არიან უბრალოდ პოლიტიკური პარტიის ან ზეწოლის ჯგუფის გამომხატველები. ისინი ეშმარიტი ავტონომიით სარგებლობენ და საკუთარ პოზიციებს ამტკიცებენ.

173. ეფექტური ზეწოლის განმახორციელებელი ჯგუფები. — ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც ერთობას ქმნის მიუხედავად ეფექტურობისა ან შემთხვევითობისა, ინტერესები გააჩნია. მაგალითად, მატარებლის მგზავრების საერთო ინტერესია დანიშნულების ადგილზე დროზე ჩასვლა და სხვა მატარებელთან არშეჯახება. შეიძლება თუ არა ინტერესთა არსებობიდან ზეწოლის არსებობის დასკვნის გაკეთება? ხშირად ამტკიცებენ, რომ ეს ასე არაა. ამბობენ, რომ ზოგიერთი ჯგუფი მიზნად ისახავს მხოლოდ ინდივიდთა შეკრებას და საერთო მიზნისთვის მათი ძალისხმევის მიმართვას. ამ ვარაუდით, ჯგუფი გარე სამყაროზე არავითარ ზეწოლას არ ახდენს და ვერც შეძლებს ამის გაკეთებას. მიჩნეული უნდა იყოს თუ არა ის თავისი არსით a fortiori პოლიტიკურად? ამის მაგალითია ანკესით თევზმჭერთა გაერთიანება. შეიძლება კი ვიოცნებოთ ამაზე უფრო უწყინარ საქმიანობაზე, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეუძლია თავის წევრთა პოლიტიკურ კონფლიქტებში ჩართვა? სინამდვილეში გზა, რომელსაც ანკესიდან პოლიტიკურ ზეწოლამდე მივყავართ სრულიად ბუნებრივია და ამის დამტკიცება ძალიან სწრაფად არის შესაძლებელი.

ყველა ჯგუფი, ისეთიც კი, რომლის საქმიანობა ძალიან შეზღუდული და უწყინარია, არსებობს სამყაროში, რომელშიც მისი საკუთარი ინტერესები განუწყვეტლივ სხვების ინტერესებთან შეჯახების რისკთან არის დაკავშირებული. აქედან დაწყებული, ეს ჯგუფები იძულებულნი არიან საკუთარ სოციალურ გარემოზე იზრუნონ. ისინი იძულებულნი არიან, თუკი მათ თვითმკვლელობის სურვილი არა აქვთ, გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული საშუალება იმისათვის, რომ სხვები აიძულონ პატივი სცენ იმას, რასაც ისინი თავიანთ უფლებებად მიიჩნევენ და რაც ნებისმიერ შემთხვევაში მათ ინტერესებს წარმოადგენს. ამგვარად, ანკესით თევზმჭერთა გაერთიანება მდინარეების გამანადგურებელი დაბინძურების წინააღმდეგ გამოვა. ის საჯარო ხელისუფლების წინაშე განგაშს ატეხს, მას ზარალის შეწყვეტასა და თევზის ხელახალ მოშენებას მოსთხოვს და სხვ. საჯარო ხელისუფალთა მხრიდან მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში, ის თავის უკმაყოფილებას გამოთქვამს და ყველა მის ხელთ არსებულ საშუალებას გამოიყენებს თავისი თვალსაზრისის გასამარჯვებლად. აღნიშნული a fortiori სიმართლეს შეეფერება ისეთ ძლიერ ორგანოებთან დაკავშირებით, როგორიც პროფესიული კავშირებია. შიდა საქმიანობისთვის ორგანიზებული ადამიანთა ჯგუფები შეიძლება პოლიტიკურ სამყაროში მოქმედებამდე მივიდნენ, რომელშიც ისინი ზეწოლის ჯგუფების მსგავსად იქნებიან ინტეგრირებულნი. ყველა ჯგუფი პოტენციურად ზეწოლის ჯგუფია. ამავე დროს, არ შეიძლება როგორც იმის მტკიცება, რომ რომელიმე ჯგუფი თავისი ბუნებით ზეწოლის ჯგუფია და არც იმის, რომ თავისი ბუნებით ის ამ ჯგუფიდან გამორიცხულია. შეიძლება უბრალოდ განვაცხადოთ წარმოადგენს თუ არა ის ზეწოლის ჯგუფს მოცემულ კონიუნქტურაში, რაც არ გულისხმობს იმას, რომ სხვა გარემოებებში ის სტრატეგიას არ შეცვლის.

ნაწილი II. ზეწოლის ჯგუფების ტიპოლოგიები

174. სირთულეები. — ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ტიპოლოგიური მეთოდის უპირატესობები და საზღვრები. ეს შენიშვნები ზუსტია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ზეწოლის ჯგუფების ხასიათი კიდევ უფრო დელიკატურს ხდის ამ მიდგომას. მართლაც, პარტიები თავის ერთიანობას საბოლოო საერთო მიზანში, ხელისუფლების დაუფლებაში პოულობენ. წინა პარაგრაფში გაკეთებული დაკვირვებებიდან გამომდინარე, ზეწოლის ჯგუფების მრავალფეროვნებას არა აქვს არავითარი საზღვარი, გარდა ადამიანთა ჯგუფების მრავალფეროვნებისა. პოლიტიკური ზეწოლა ერ-

თიანობის ელემენტია, მაგრამ თავისი ფორმების მრავალფეროვნებით, ის ბუნდოვანი ცნებაა და მას შემდეგ ნაწილში გავაანალიზებთ. ამიტომაც, ამ სფეროში ტიპოლოგიის შექმნა, სხვა შემთხვევებთან შედარებით, თვითნებურობის უფრო დიდ წილს შეიცავს.

ამ სიტუაციას უკეთ გავიგებთ, თუკი ზეწოლის ჯგუფების ტიპოლოგიის ჩამოსაყალიბებლად შემოთავაზებულ ზოგიერთ ცნებას გავაანალიზებთ. ამგვარადაა საქმე ექსკლუზიური და ნაწილობრივი ჯგუფების შედარების შემთხვევაში. ზეწოლის ჯგუფი ნაწილობრივი იქნება, თუ ზეწოლა მისი საქმიანობის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს. ექსკლუზიური ჯგუფი კი მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლით უნდა იყოს დაკავებული. ამგვარი განსხვავება, რომელსაც ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად ახსენებენ ნაკლებად გამოსაყენებელია, რადგან რთულია ექსკლუზიური ჯგუფების მაგალითის პოვნა. მართლაც, ავტორები, რომლებიც ამ ცნებას გვთავაზობენ, ორი ტიპის ფენომენს მიმართავენ, მაგრამ ორივე ფენომენი ეჭვს ბადებს. პირველ შემთხვევაში, ექსკლუზიურ ჯგუფებს უწოდებენ იმ გაერთიანებებს, რომელიც პოლიტიკოსებს აერთიანებს, მაგალითად, პარლამენტართა „სამეგობრო" წრე. ამ გაერთიანებების მიზანს წარმოადგენს ან პოლიტიკური ჯგუფის შიგნით ტენდენციის გამოხატვა, რომელიც მხოლოდ მომხრეთა მოქმედების განსაკუთრებული ფორმაა ან საერთო სტრუქტურაში იმ პოლიტიკოსთა გაერთიანებას, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებს განეკუთვნებიან, მაგრამ განსაკუთრებული თემის, მაგალითად, კერძო სკოლის ან საერო განათლების დაცვა სურთ. მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ გაერთიანებების საქმიანობა ნაკლებად განსხვავდება მომხრეთა ქმედებისა და არჩევანისგან. ის მხოლოდ ინსტრუმენტია ზეწოლის ჯგუფის ხელში, რომელიც მას წინ უსწრებს: თუკი კერძო სწავლების მხარდამჭერი საპარლამენტო გაერთიანება არსებობს, ეს ხდება იმიტომ, რომ ქვეყანაში ზეწოლის ჯგუფები არსებობენ, რომლებიც ამ ბრძოლას აწარმოებენ. ამ შემთხვევაში, გაერთიანება საპარლამენტო გამოხატულებას წარმოადგენს მით უმეტეს, რომ ის არ არის დამოუკიდებელი ჯგუფი. ზეწოლის ჯგუფში ამ ტიპის ფენომენის შეჯვანა ეჭვს იწვევს. მეორე შემთხვევაში, ექსკლუზიურ ჯგუფებს უწოდებენ ზემოაღნიშნულ სარეკლამო ოფისებს, რომელიც პოლიტიკურ ზეწოლას ყიდის. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის ორგანიზაციები ზეწოლის ჯგუფების კატეგორიიდან უნდა გამოირიცხოს.

მართლაც, ექსკლუზიური ჯგუფების ერთდადერთ დამაკმაყოფილებელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციის ის ტიპი, რომელსაც პოლიტიკურ კლუბებს უწოდებენ. მათ ჩვენ მოგვიანებით შევისწავლით. მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ის ზეწოლის ჯგუფების კატეგორიის პერიფერიაზე მდებარეობს: შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანიზაციები ხელისუფლების ხელში ჩაგდებას არ ცდილობენ (ამ ასპექტში ისინი ზეწოლის ჯგუფებია). შემდგომში ვნახავთ, რომ მათი წევრების მიზანია პარტიებზე ზეგავლენის მოხდენა, ამ უკანასკნელთა ტრანსფორმაციისა და თავისი გავლენის აღდგენისა ან გაზრდისთვის.

აღნიშნული შენიშვნები გვიჩვენებს, რომ დაპირისპირება ექსკლუზიურ და ნაწილობრივ ჯგუფებს შორის სხვა სახის დაბრკოლებას წარმოშობს, ვიდრე იმ ფენომენთა შორის რაოდენობრივი დისპროპორცია, რომლის კლასიფიკაციის პრეტენზიაც მას გააჩნია. ის ჩქმალავს იმას, რაც ზეწოლის ჯგუფის ცნების სპეციფიკურობასა და ინტერესს წარმოადგენს: ლოგიკას, რომელსაც არაპოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც ასეთებად დარჩენა სურთ, მაინც პოლიტიკურ ზეწოლამდე მიჰყავს.

ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია დაპირისპირების ორი ტიპის გამოყოფა, რომელიც ამ ლოგიკას ააშკარავებს. პირველი ტიპი ჯგუფებს მათი დასაცავი ინტერესების ბუნებით განასხვავებს. მეორე ტიპი კერძო ზეწოლის ჯგუფებს საჯარო ზეწოლის ჯგუფებისგან განასხვავებს.

1 / დასაცავი ინტერესების ბუნებაზე დაფუძნებული ტიპოლოგია

175. ზოგადი იდეა და განსხვავების პირობითობა. — კლასიფიკაციის პირველი ტიპი ეფუძნება იმ განსხვავებებს, რომელიც ჯგუფების ინტერესებს შორის არსებობს. ზოგიერთს მატერიალური ინტერესები ამოძრავებს, სახელდობრ ახალი სარგებლის მოპოვება და მიღწეული მდგომარეობის შენარჩუნება. სხვებს კი მორალური ინტერესები აქვთ: თეზისების დაცვა, მიზნებისთვის ბრძოლა, სულიერი პრინციპების დაცვა.

ზოგჯერ ამ განსხვავებას წარმოგვიდგენენ როგორც დაპირისპირებას ანგარებიან და უანგარო ქმედებებს შორის. მართებული არ იქნება იმ ტერმინების გამოყენება, რომელსაც დამრი-

გებლობითი შეფერილობის მიღების რისკი აქვს, რაც რეალობის ობიექტურ ანალიზთან შეუთავსებელია. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არაფერი ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ თეზისების დაცვა, რომელთა მიმართაც მთელი გრძნობით არიან გამსჭვალულნი, ნაკლებად ანგარებიანი და მეტად ალტრუისტულია, ვიდრე ოსპის კერძის პროზაული დაცვა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის ფასი, რომელსაც ინდივიდები თავისი იდეოლოგიური მრწამსისთვის იღებენ და რა ძალისხმევისთვის არიან ისინი მზად მის მხარდასაჭერად უდავო ფაქტების საწინააღმდეგოდაც კი. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი თვალსაზრისი აშკარაა: განსხვავება, რომელიც მატერიალური და მორალური ინტერესების დამცველ ჯგუფებს შორის არსებობს, პირობითად უნდა იქნეს განხილული ბევრ მიზეზთა გამო.

უპირველეს ყოვლისა, არაფერი უშლის ზეწოლის ჯგუფს ერთდროულად დაიცვას ინტერესთა ორივე ტიპი. ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, აღნიშნულს ხშირად აქვს ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ჯგუფების საქმიანობაში დიდი დისპროპორცია არსებობს ინტერესთა ორივე ტიპის პარალელურად დასახულ მიზნებს შორის. თუმცა, ზოგჯერ მატერიალურ და მორალურ მიზნებს გაწონასწორების ტენდენცია აქვს. ამ სიტუაციის ცნობილი მაგალითია მასწავლებელთა პროფკავშირები. ეს უკანასკნელნი მართლაც იცავენ თავის წევრთა კორპორაციულ ინტერესებს, მაგრამ ამავე დროს, ისინი მორალურ ინტერესებზეც ზრუნავენ იმდენად, რამდენადაც მათ პოზიცია აქვთ სწავლების საბოლოო მიზნებსა და მეთოდებზე. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს მიზნები იყოს არა წინააღმდეგობრივი, არამედ თანხვედრი.

მეორე მხრივ, განსხვავებას მატერიალურ და მორალურ ინტერესებს შორის ტრადიციულად უპირისპირებენ იმ მექანიზმს, რომლითაც მატერიალური ინტერესები შეიძლება მორალური ინტერესებით შეინიღბოს. გაკეთებული შენიშვნა აშკარად სწორია. ყველაზე ნაკლებად კეთილშობილი მიზნები ყოველთვის დიადი პრინციპების საბურველშია გახვეული. ამასთანავე, ამგვარი შენიღბვა ჩვეულებისამებრ უხეშია სწორედ იმიტომ, რომ გაცხადებულ პრინციპებს ინსტრუმენტებად იყენებენ, რომლითაც არ სარგებლობენ: უცილობლად ჩნდება შეუსაბამობა იმას შორის, რასაც პრინციპები გულისხმობს და გარემოებების მიხედვით მათ გამოყენებას შორის. მაგალითად, თუ გარემოს დაცვის ასოციაცია მომხრეთა მიზნებს მალავს განაცხადებენ, რომ ის შემწყნარებლურად უყურებს იმ ქალაქების დაბინძურებას, რომელსაც მისი პოლიტიკური მეგობრები მართავენ. არ არის საჭირო იყო მიამიტი, რომ ამგვარ პრაქტიკას თავი მოატყუებინო. მით უმეტეს, რომ პროპაგანდა კონტრპროპაგანდას ბადებს: ზეწოლის ჯგუფების შენიღბული მოწინააღმდეგეები არ ააშკარავებენ თავიანთ ფარულ აზრებს და არ ლაპარაკობენ თავიანთ უთანხმოებებზე.

მიუხედავად თავისი შეზღუდულობისა, უფრო მნიშვნელოვანია უკანასკნელი მოსაზრება. ის ეფუძნება იმ უდავო ფაქტს, რომ მიუკერძოებელი ქმედებაც მატერიალურ საშუალებათა მინიმუმის არსებობას გულისხმობს. თუკი ყველაზე სამართლიანი მიზნებისთვის საკუთარი ხმის მიწვდენა სურთ, ეფექტური პროპაგანდის საწარმოებლად აუცილებელია საკმაო თანხის არსებობა. ზეწოლის ბევრი ჯგუფი, რომელსაც უანგარო ქმედებების სამსახურში ყოფნა სურს, უპირველეს ყოვლისა, სუბსიდიების მოპოვებით არის დაკავებული. ამ ჯგუფების საბოლოო მიზანი, რა თქმა უნდა, მორალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მოქმედების საშუალებათა მოპოვება მათ ზეწოლის განხორციელებას აიძულებს ყველაზე კლასიკური მატერიალური მიზნით, ანუ ფულის მოსაპოვებლად. ამ სიტუაციისთვის გვერდის ავლას ახერხებენ მხოლოდ ის ჯგუფები, რომლებიც რჩებიან რა ყოველგვარი ეჭვების მიღმა, თავისი ბიუჯეტის შევსებას მთლიანად კერძო, ნებაყოფლობითი და სხვადასხვა წყაროების დახმარებით ახერხებენ. მიზანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა თუ დამფინანსებლები საკმაოდ მრავალრიცხოვანი და უანგაროები არიან და არ ცდილობენ თავის სასარგებლოდ ორგანიზაციის გამოყენებას. ასეთი სიტუაციის მაგალითები არსებობს, მაგრამ ის არ არის ხშირი.

ამგვარად, დაპირისპირება მატერიალურ და მორალურ ინტერესებს შორის შედარებითი უნდა იყოს. ამასთანავე, ის მთლიანობაში არსებითობას ინარჩუნებს, რაც საკმარისია ზეწოლის ჯგუფების პირველი ტიპოლოგიის შესამუშავებლად.

176. მატერიალური ინტერესების დამცველი ჯგუფები. — ჯგუფები, რომლებიც მატერიალურ ინტერესებს იცავენ, ძირითადად პროფესიული ორგანიზაციებია და მათი მიზნებიც

კორპორაციული ხასიათისაა. იმის გათვალისწინებით, რაც უკვე ითქვა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ მატერიალურ ინტერესებს იცავენ: ისინი ასევე იცავენ მათი პროფესიის რეპუტაციას, ღირსებასა და სამარკო სახეს. თუმცა მატერიალური ინტერესების დაცვა მათი ძირითადი და გაცხადებული საქმიანობაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზნების დონეზე ისინი შენიღბვას არ მიმართავენ. სამაგიეროდ, არგუმენტების დონეზე ისინი შენიღბვას ადვილად იყენებენ, სისტემატურად უსვამენ რა ხაზს რეალური თუ სავარაუდო თანხვედრის არსებობას კერძო ინტერესებსა და საერთო ინტერესს შორის. ამგვარად, სამეწარმეო ორგანიზაციები ამტკიცებენ, რომ თავისუფლებას მეწარმეობის თავისუფლების დაცვით იცავენ. საჯარო სამსახურის მუშაკები ამტკიცებენ, რომ ისინი იცავენ როგორც საკუთარ ინტერესებს, გაფიცვების ჩათვლით, ისე მომხმარებელთა ინტერესებს. ამგვარი მტკიცებულება შეიძლება მართალი ან ტყუილი იყოს და ის შენიღბვასთან არის დაკავშირებული. დასავლეთის განვითარებულ საზოგადოებებში ყველა პროფესიას აქვს ისეთი ორგანიზაციები, რომელსაც ზეწოლის ჯგუფის როლის შესრულება შეუძლია და თავისი ხმის მიწვდენის შესაძლებლობა აქვს. საფრანგეთში აღნიშნული ევოლუცია ნელი ტემპით მიმდინარეობდა სახელმწიფოს „მისტიკურობის" მიზეზით, რომელსაც სამართლიანად და დამოუკიდებლად შეეძლო სოციალური ჯგუფების საკითხების გადაწყვეტა. ფრანგული საზოგადოების ტრანსფორმაციამ გვიჩვენა, რომ ამგვარი შეხედულება ოპტიმისტურ (თუ არა მეტი) ხასიათს ატარებდა. დღეისათვის ყველა პროფესია ზეწოლის ჯგუფების მსგავსად მოქმედებს, თუმცა განსხვავებული წარმატებით.

პროფესიულ ჯგუფებს შორის ცალკე უნდა გამოვყოთ ზოგიერთი ტიპის ორგანიზაცია, რაც მათი მნიშვნელობიდან მომდინარეობს: დაქირავებული მუშაკების პროფკავშირები და სამეწარმეო ორგანიზაციები. ასევე შეიძლება იმ ზეწოლის ჯგუფების გამოყოფა, რომლებიც ვაჭრებისა და ფერმერების ინტერესებს გამოხატავენ, მათი სპეციფიკური საქმიანობისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

177. დაქირავებული მუშაკების პროფკავშირები. — ძველი რეჟიმის[46] დროს სხვადასხვა გაერთიანებებს საკუთარი ავტონომიური ორგანიზაციები ჰქონდათ, რომელსაც კორპორაციებს უწოდებდნენ. თუმცა რევოლუციამ ისინი აკრძალა. ათწლეულების განმავლობაში დაქირავებულ მუშაკთა საერთო ქმედებების განსახორციელებლად ნებისმიერი შეთანხმების მცდელობა სამართალდარღვევად იყო მიჩნეული: პროფკავშირების შექმნა დასჯადი ქმედება იყო. გაფიცვა, რომელიც მშრომელთათვის ზეწოლის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა, აკრძალული იყო, რადგან მისი გამართვის გამო, მძიმე განაჩენის მიღების საშიშროება არსებობდა. აღნიშნული ლიბერალიზმის ბატონობასთან იყო დაკავშირებული, რომელიც თეორიაში თანასწორობასა და კონკურენციას ეყრდნობა: მშრომელებს არ შეუძლიათ მეპატრონის წინააღმდეგ გაერთიანება, ისევე როგორც მეპატრონეებს შეთანხმება არ შეუძლიათ ფასების დადგენასთან დაკავშირებით კონკურენციის გაუქმების გარეშე. ამგვარმა ლიბერალიზმმა ფაქტობრივად საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მშრომელები მოკლებულნი იყვნენ თავდაცვის ყოველგვარ საშუალებას მეპატრონის წინააღმდეგ, რადგან ცალკე მდგომ მეპატრონეს ძალაუფლება აქვს, ხოლო ცალკე მდგომ მშრომელს არაკითარი ძალაუფლება არ გააჩნია. ასეთი რეპრესიული კანონმდებლობა XIX საუკუნის განმავლობაში ნელ-ნელა რბილდებოდა, მაგრამ საჭირო გახდა III რესპუბლიკის დამყარება იმისათვის, რომ საფრანგეთში პროფკავშირების არსებობა სრულად ყოფილიყო აღიარებული. თუკი დღეისათვის დემოკრატიულ ქვეყნებში პროფკავშირების არსებობას კითხვის ქვეშ აღარავინ აყენებს, მუშათა ორგანიზაციებს მაინც კარგად ახსოვთ ის ბრძოლა, რომლის წარმოება საჭირო იყო ამ სიტუაციის მისაღწევად. რა თქმა უნდა, ამან მათ ქცევაზე გავლენა იქონია.

ქვეყნების მიხედვით პროფკავშირების ძალთა მდგომარეობა ძალიან განსხვავებულია მაშინაც კი, თუ დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებული სიტუაციების განხილვით შემოვიფარგლებით. ამ მხრივ, თვალშისაცემია სამი ცვლადი: უპირველეს ყოვლისა, პროფკავშირების წარმომადგენლობა; შემდეგ პროფკავშირული კონფედერაციების ერთიანობა ან პლურალიზმი; და ბოლოს, დისციპლინა.

პროფკავშირების წარმომადგენლობის ცნებას შეიძლება ორი განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. ერთი მხრივ, ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება პროფკავშირების წევრთა პროცენ-

[46] იგულისხმება საფრანგეთის მონარქია 1789 წლამდე (რედ)

ტული შეფარდება ყველა დაქირავებულ მუშაკთან, რომლებიც შეიძლება პროფკავშირების წევრები გახდნენ. მეორე მხრივ, ეს სიტყვა შეიძლება გულისხმობდეს იმ ხმების რაოდენობას, რომელიც პროფკავშირების არჩევნების დროს შეაქვთ კანდიდატთა იმ სიებში, რომელიც პროფკავშირების ცენტრალური ორგანოების მიერ არის წარდგენილი. აღნიშნული ხმები უპირისპირდება სხვა კანდიდატთა მიერ მიღებულ ხმებს. (მთლიანობაში ამგვარი განსხვავება იმ განსხვავების ეკვივალენტურია, რომელიც პარტიების დონეზე მათ წევრთა და ამომრჩეველებს შორის არსებობს). პროფკავშირების გავლენის ვანსაზღვრისას შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ფორმას შორის. მაგალითად, საფრანგეთში პროფკავშირების წარმომადგენლობა სიტყვის პირველი მნიშვნელობით, ყოველთვის შეზღუდული იყო. მაგრამ ბოლო წლებში საფრანგეთის პროფკავშირების მიერ გადატანილმა კრიზისმა ნამდვილი კრახი გამოიწვია. ამბობენ, რომ დღეისათვის საფრანგეთში პროფკავშირებში გაწევრიანებულია დაქირავებულ მუშაკთა 10%-ზე ნაკლები. კერძო სექტორში ეს ციფრი კიდევ უფრო დაბალია. თავად წარმომადგენლობაც კი, სიტყვის მეორე მნიშვნელობით, მცირდება მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირების არჩევნების დროს დაქირავებულ მუშაკთა უმრავლესობას ჯერ ისევ აქვს ნდობა პროფკავშირების მიერ წარდგენილი კანდიდატების მიმართ. კონტრასტი უფრო თვალშისაცემია სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში წარმომადგენლობა პირველი მნიშვნელობით, ბევრად ფართოა, რადგან პროფკავშირების წევრთა რაოდენობა 40%-ს, ხოლო შვედეთში 90%-ს აღწევს.

მეორე განსახილველი ცვლადია პროფკავშირების რაოდენობა ან უფრო სწორედ კონფედერაციათა ერთიანობა ან პლურალიზმი. უნდა ითქვას, რომ თავისი დეფინიციით, პროფკავშირები მრავალრიცხოვანია. თითოეულ პროფესიას თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სპეციფიკური პრობლემები, რომელიც სხვადასხვა პროფესიებში განსხვავებულია: მაღაროელებსა და კაფეს მიმტანებს სხვადასხვა პრობლემები აქვთ. ამიტომაც საჭიროა, რომ სხვადასხვა პროფესიებს საკუთარი ორგანიზაციები ჰქონდეთ. თუმცა პროფკავშირები შეიძლება ერთ კონფედერაციაში იყვნენ გაერთიანებული. მაგალითად, გერმანიაში არსებობს გერმანიის პროფკავშირების კონფედერაცია (DGB), დიდ ბრიტანეთში ტრედ-უნიონისტთა კონგრესი (TUC), შვედეთში მუშათა ძლიერი პროფკავშირი (LO), რომელიც პროფკავშირების ერთობლიობას აერთიანებს. ამის საპირისპიროდ, საფრანგეთში პროფკავშირების ბევრი კონფედერაცია არსებობს, რომლის პოზიციები ხშირად განსხვავებულია. მიუხედავად ყველა ვარაუდისა, აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ პროფკავშირების წევრთა რაოდენობა არ არის პროფკავშირების კონფედერაციების რაოდენობის პროპორციული, თუმცა ისინი დაქირავებულ მუშაკებს უფრო ფართო არჩევანს სთავაზობენ. მართლაც ერთი მხრივ, პროფკავშირების დაყოფა სისტემის ეფექტურობას ამცირებს და მას ნაკლებად მიმზიდველს ხდის. მეორე მხრივ, მიზეზები, რომელიც პროფკავშირების ერთიანობას შეუძლებელს ხდის, ხელს უწყობს იმას, რომ ბევრი მშრომელი სინდიკალიზმს გვერდს უვლის. ეს განსაკუთრებით საფრანგეთს მიესადაგება, სადაც პოლიტიკური წინააღმდეგობები სინდიკალიზმზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

ამგვარად, პროფკავშირების მრავალრიცხოვნობა პროფკავშირული მოძრაობის დასუსტების მიზეზია. მათი მრავალრიცხოვნობა ასევე ამცირებს მშრომელთა ორგანოების მიერ მოლაპარაკებათა წარმოების ეფექტურობას როგორც მეწარმეთა, ისე მთავრობის პირისპირ. ამავე დროს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ პროფკავშირების ძალთა დანაწევრიანებაში მეპატრონეები და მთავრობა მხოლოდ სარგებელს ხედავენ. მართლაც, სხვადასხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის დაპირისპირებამ ისინი შეიძლება გადამეტების პოლიტიკამდე მიიყვანოს, რაც მერყეევი მშრომელებისთვის თავისი საბრძოლო სულისკვეთებით მიმზიდველია.

მესამე მნიშვნელოვანი ცვლადი დისციპლინაა, კონფლიქტების დროს პროფკავშირების წევრები მეტ-ნაკლებად იცავენ პროფკავშირული ორგანიზაციების ინსტრუქციებს. პარტნიორების აზრით, დისციპლინის დონის შედეგებიც ასევე ორაზროვანია. სუსტმა დისციპლინამ შეიძლება პროფკავშირების ქმედებების პარალიზება გამოიწვიოს, თუკი მაგალითად, მისი წევრები გაფიცვის წესებს არ იცავენ. და პირიქით, ქმედითი დისციპლინა მყარი შეთანხმებების დადების შესაძლებლობას იძლევა, რომელსაც ყველა მხარე იცავს. სწორედ ამგვარი სიტუაციის არსებობამ დასავლეთ გერმანიაში სოციალური კონსენსუსის განხორციელებას შეუწყო ხელი და მიუხედავად პერიოდულად მისი კითხვის ქვეშ დაყენებისა, ის გერმანიის ეკონომიკის ეფექტურობის ერთ-ერთი გასაღებია. თუმცა აღნიშნული მყიფე წონასწორობაა. იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირები ზედმეტად არიან განწყობილნი პარტნიორებთან მოსალაპარაკებლად, მათ პირველადი

ორგანიზაციის წევრებზე ნდობისა და კონტროლის დაკარგვაც კი ემუქრებათ. ამ შემთხვევაში, შეიძლება ე.წ. „ველურ გაფიცვებს" ჰქონდეს ადგილი ე.ი. პროფკავშირების ლიდერთა თანხმობის ან სურვილის გარეშე გაჩაღებულ გაფიცვებს. ამ ტიპის „ველურმა" და განსაკუთრებით დამანგრეველმა გაფიცვებმა თავი იჩინა 60-იანი წლების ინგლისში, რასაც მოჰყვა ისეთი რეაქცია, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში დაასუსტა პროფკავშირული მოძრაობა. მთლიანობაში, პროფკავშირების დისციპლინა წარმოჩნდება როგორც სოციალური ურთიერთობების ორგანიზაციისა და რაციონალიზაციის ფაქტორი, მაგრამ მისი დაცვა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ამ როლის შემსრულებელი ცენტრალური ორგანოები ზედმეტად არ დისტანცირდებიან თავის წევრთა სურვილებისგან.

178. სინდიკალიზმი და პოლიტიკა. — რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემის შესახებ: საქმე ეხება სინდიკალიზმსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობებს. ამ ფენომენის გასარკვევად, კერძოდ, საფრანგეთის ფარგლებში, აუცილებელია მცირე ისტორიული ექსკურსის ჩატარება.

ხშირად ამბობენ, რომ ფრანგული სინდიკალიზმის საწყის ტრადიციას აპოლიტიკურობა წარმოადგენს. მაგრამ სიტყვა „აპოლიტიკურობა" ორაზროვანია. XIX საუკუნის მიწურულის კონტექსტში ამ სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმისაგან, რასაც ჩვენ მას დღეს მივაკუთვნებთ. მართლაც, იმ ეპოქაში პროფკავშირები აპოლიტიკურები იყვნენ იმ მნიშვნელობით, რომ ისინი მთლიანად პოლიტიკურ სისტემას აკრიტიკებდნენ და განსაკუთრებით წინააღმდეგი იყვნენ პოლიტიკური პარტიებისადმი პროფკავშირების დაქვემდებარებისა. საფრანგეთის პროფკავშირებზე დიდი გავლენა იქონია ანარქო-სინდიკალისტურმა ტრადიციამ, რომელიც პრუდონის ფრანგული სოციალიზმის მემკვიდრეობიდან და ანარქიზმიდან მომდინარეობდა. ისინი ანარქისტულ ხასიათს ატარებენ, მტრულად არიან განწყობილი ნებისმიერი სტრუქტურირებული ორგანიზაციის მიმართ, იმისდა მიუხედავად, ის გამოხატულია გლობალური პოლიტიკის დონეზე (ანტისახელმწიფოებრიობა), თუ რევოლუციური ჯგუფების დონეზე, რომლებიც არსებული სისტემის წინააღმდეგ იბრძვიან. ანარქო-სინდიკალიზმის თეორეტიკოსთა აზრით, პროფკავშირი თვითკმარია იმისათვის, რომ ერთდროულად იბრძოლოს (მითი საყოველთაო გაფიცვის შესახებ, რომელსაც კაპიტალისტური სისტემის დამარცხება შეუძლია) და ააშენოს ყოველგვარი ხელისუფლებისგან თავისუფალი საზოგადოება: პროფკავშირებს მიანდობენ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აუცილებელი ამოცანების განხორციელებას მაშინ, როდესაც სახელმწიფოს იძულების აპარატი (პოლიცია, არმია და სხვ.), რომელიც კაპიტალისტური ექსპლუატაციის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი, უბრალოდ გაუქმებული იქნება. ამგვარად, პროფკავშირული მოძრაობის ამოცანები ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით პოლიტიკურია, რადგან მათი მიზანია პოლიტიკური სისტემის შეცვლა, მისი განადგურებაც კი. ფრანგული სინდიკალიზმი აპოლიტიკურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიზნის მისაღწევად ის უარს ამბობს პოლიტიკური საშუალებების გამოყენებაზე ვიწრო გაგებით, კერძოდ, პარტიასთან ალიანსზე. ის a fortiori უარყოფს იმას, რაც ორგანიზაციისადმი ნებისმიერ დაქვემდებარებას გულისხმობს. ამ კონტექსტის დამახსოვრებაა საჭირო, როდესაც ამიენის ცნობილ ქარტიას ვკითხულობთ, რომელიც შრომის საყოველთაო კონფედერაციამ (CGT) 1906 წელს მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის დაფუძნების შემდეგ მაშინვე მიიღო. თუკი ეს დოკუმენტი დღეს ყველაზე განსხვავებული პოზიციების დამტკიცებისთვის გამოიყენება (CGT-ს პოზიციებისა კომუნისტების ხელმძღვანელობით და „მუშათა ძალის" პოზიციებისა, რომელიც მას ანტიკომუნიზმის მიზეზით გამოეყო) ეს ხდება იმიტომ, რომ ქარტია კომპრომისულ რეზოლუციას წარმოადგენდა იმ განსხვავებულ ტენდენციებს შორის, რომელიც სინდიკალიზმში არსებობდა. ამტკიცებდა რა, რომ პოლიტიკურ დაპირისპირებებს პროფკავშირებში არ უნდა შეეღწია, ქარტია გარეგნულად ყველა შეხედულებას ერთმანეთს უთანხმებდა, თუმცა ვერ წყვეტდა კამათის არსს.

დღეისათვის აპოლიტიკურობის ცნებას სხვა მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ანარქო-სინდიკალისტური ტრადიცია თითქმის დავიწყებას მიეცა. 1920 წლის რკინიგზელთა დიდი გაფიცვის მარცხმა აჩვენა, რომ საყოველთაო გაფიცვას არ ჰქონდა ის ეფექტურობა, რომელსაც მისგან მოელოდნენ. სამაგიეროდ, ახალმა მოდელმა, როგორც ჩანს, გამოცდა რუსეთში გაიარა: საქმე ეხება ლენინისტურ მოდელს, რომელიც პროფკავშირების პარტიისადმი, როგორც პროლეტარიატის

შეგნებულ ავანგარდისადმი, მჭიდრო დაქვემდებარებაზეა დაფუძნებული. ცნობილი ფორმულირების მიხედვით, პროფკავშირი „ამძრავ ღვედამდეა" დაყვანილი, რომელიც ამ პოლიტიკურ მოდელში მას პასიურ როლს მიაკუთვნებს.

ამგვარად, დებატები საფრანგეთის პროფკავშირების თაობაზე სამი განსხვავებული ტრადიციის შეჯახებას უკავშირდება: ანარქო-სინდიკალიზმი, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს და ზოგიერთ პროფკავშირულ ელემენტს ანარქისტულ, ანტიორგანიზაციულ, უტოპიურ და განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ტონალობას ანიჭებს; კომუნისტური პარტიისადმი დაქვემდებარების ტრადიცია; რეფორმისტული და აპოლიტიკური ტრადიცია ტერმინის თანამედროვე გაგებით.

ამავე დროს, ურთიერთობები პროფკავშირულ და პოლიტიკურ საქმიანობას შორის შეიძლება განხილული იქნეს არა იდეოლოგიური მიდგომით, არამედ უფრო მეტად სოციალური პარტნიორობის კონკრეტული პრაქტიკის პოზიციიდან. აშკარაა, რომ თვითნებურობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სინდიკალიზმის პოლიტიკიდან მთლიანად გამოყოფა. რა თქმა უნდა, პროფკავშირებს შეუძლიათ თავი აპოლიტიკურად მიიჩნიონ, თუკი ამ ტერმინს ძალიან ვიწრო გაგებით გამოვიყენებთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში თუ ის განისაზღვრება როგორც რომელიმე პარტიისადმი დაქვემდებარებაზე უარის თქმა. ამ მნიშვნელობით, საფრანგეთის ყველა პროფკავშირი აპოლიტიკურია, გარდა შრომის საყოველთაო კონფედერაციისა, რომლის კავშირები კომუნისტურ პარტიასთან ყველასათვის კარგადაა ცნობილი. სამაგიეროდ აშკარაა, რომ პროფკავშირები ინდიფერენტულები ვერ იქნებიან იმ პოლიტიკური კონტექსტის მიმართ, რომელშიც უცილობლად ვლინდება მათი საქმიანობა. რამდენადაც ნებისმიერი მთავრობა თანამედროვე ეპოქაში გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას ატარებს, და რამდენადაც ზოგადად მის ყველა გადაწყვეტილებას გავლენა აქვს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე, პროფკავშირებმა აუცილებლად პოზიცია უნდა დაიკავონ გაკეთებული არჩევანის მიმართ. მათ მთავრობაზე ზეწოლა უნდა მოახდინონ, როდესაც მისი გადაწყვეტილებები მათთვის არადამაკმაყოფილებელია. ამ ლოგიკას პროფკავშირები **პოლიტიკური პოზიციების** დაკავებამდე მიპყავს მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ე.ი. ყველა იმ საკითხზე, რომელიც მათ მიერ წარმოდგენილი სოციალური კატეგორიების ინტერესებს ეხება. პოლიტიკური ანგაჟირების შემდეგი სტადია **პოლიტიკური არჩევანის** განხორციელებაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში, პროფკავშირები მხარს უჭერენ, ხმის მიცემის მოწოდების ჩათვლითაც, იმ პარტიებს, რომლებიც მათთან ახლოს დგანან და მათი შეხედულებების გაზიარება შეუძლიათ. და ბოლოს, პროფკავშირებს შეუძლიათ მათი ქმედებების ჩართვა ნამდვილ **პოლიტიკურ სტრატეგიაში**. ამ შემთხვევაში, ისინი საკუთარ პროფკავშირულ საქმიანობას იმ პოლიტიკურ პერსპექტივას უსადაგებენ, რომელიც თავისად მიაჩნიათ: მაგალითად, პროფკავშირებს თავიანთი მოთხოვნების შერბილება შეუძლიათ, არჩევნების დაწყების წინ მათ ასევე შეუძლიათ თავიანთ წევრებს გაფიცვის მოწყობა გადააფიქრებინონ რათა სირთულეები არ შეუქმნან იმ პარტიას, რომელსაც მხარს უჭერენ ან იმ დროს, როდესაც ამ პარტიის წევრებს მინისტრების თანამდებობები უკავიათ. ამგვარი ვარაუდით, პროფკავშირი თმობს თავის უფლებამოსილთა მოკლევადიან ინტერესს იმ ინტერესის სასარგებლოდ, რომელიც ჭეშმარიტად მიაჩნია. აუცილებლობას არ წარმოადგენს ამგვარი ქცევის ორაზროვნებაზე მსჯელობა და იმ კონტრასტულ შეფასებებზე ლაპარაკი, რომელიც ამ ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს.

შეიძლება ითქვას, რომ პროფკავშირები ბუნებრივად და შეუმჩნევლად სრულად ერთვებიან პოლიტიკურ საქმიანობაში. საფრანგეთში სამი დიდი პროფკავშირული გაერთიანება დიდი ხნის განმავლობაში ამ სამი პოზიციის ილუსტრირებას ახდენდა: „მუშაოა ძალას" (FO), ყოველთვის გააჩნდა პოლიტიკური პოზიციები, საფრანგეთის შრომის დემოკრატიული კონფედერაცია (CFDT) ხმის მიცემის ინსტრუქციებს იძლეოდა, შრომის საყოველთაო კონფედერაცია (CGT) თავისი სტრატეგიის განსაზღვრისას კომუნისტური პარტიის ინტერესებს ითვალისწინებდა. თუკი ამ პროფკავშირების პირველმა და მესამე გაერთიანებამ პოზიცია არ შეიცვალა, მეორემ თავის პოზიციას გადახედა: ბოლოდროინდელ არჩევნებში შრომის დემოკრატიულ კონფედერაციას ხმის მიცემის ინსტრუქციები არ მიუცია.

ამავე დროს, პროფკავშირებისთვის, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში, პოლიტიკური ანგაჟირების გარკვეული ზღვარი არსებობს. საქმე ეხება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღებას. პროფკავშირების აზრით, ეს პოლიტიკური პარტიებისა და ხალხის რჩეულთა,

პარლამენტართა საქმეა. გარდა ამისა, ისინი მიიჩნევენ, რომ სისტემაში მცირედ ჩართვასაც კი შეუძლია შეამციროს მათი კამათისა და მოლაპარაკებების წარმოების შესაძლებლობა, რაც საბოლოო ჯამში პროფკავშირების არსებობის კითხვის ქვეშ დაყენების ეკვივალენტური იქნებოდა. ინტეგრირებაზე უარს ამბობენ არა მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც გლობალურად ეჰვქვეშ აყენებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას, არამედ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც თავს მხოლოდ რეფორმისტებად მიიჩნევენ. თუმცა ამგვარი ქცევა ყველა ზეწოლის ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი: მათ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა სურთ და შესაძლებლობის შემთხვევაში, მისთვის თავისი გადაწყვეტილებების თავს მოხვევა, მაგრამ ისინი უარს ამბობენ გაკეთებული არჩევანის პასუხისმგებლობის აღებაზე. მათი მოტივები ორმაგი ხასიათისაა: ერთი მხრივ, ისინი ამჯობინებენ მთავრობას დააკისრონ იმ უკმაყოფილებაზე პასუხისმგებლობა, რომელიც მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, პროფკავშირები საკუთარ წრეში არბიტრის როლში უნდა გამოვიდნენ, რაც მათ მომოხოვნელობის უნარს შეასუსტებდა და მათ ერთიანობას ეჰვქვეშ დააყენებდა: ჯგუფის წევრები შეიძლება თანხმდებოდნენ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ერთობლივ მოთხოვნაზე და პირიქით, ვერ შეთანხმდნენ, თუკი საკითხთან დაკავშირებული შეთანხმება პასუხისმგებლობის გადანაწილებას მოითხოვს.

179. მეწარმეთა ორგანიზაციები. — მუშათა პროფკავშირების გვერდით მეწარმეთა ორგანიზაციები იქმნება. ქვეყნების მიხედვით ამ ორგანოთა გავლენა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, საფრანგეთში მეორე მსოფლიო ომამდე მეწარმეთა გაერთიანება ნაკლებად ორგანიზებული იყო. ომით გამოწვეულმა სირთულეებმა, კერძოდ, ნედლეულის უკმარისობამ, ვიშის მთავრობას კორპორაციული ორგანოების, „საორგანიზაციო კომიტეტების" შექმნა აიძულა, რომლის მიზანსაც საწარმოებს შორის ძნელად საშოკნი ნედლეულის განაწილება წარმოადგენდა. განთავისუფლების შემდეგ აღნიშნული კომიტეტები გაუქმდა, მაგრამ მეწარმეები ერთად საქმიანობის უპირატესობას მიხვდნენ. ამიტომაც 1946 წელს მათ ფრანგ მეწარმეთა ნაციონალური საბჭო (CNPF) შექმნეს. ასევე შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად მცირე მეწარმეებს წარმოადგენდნენ, მაგალითად, მცირე და საშუალო მეწარმეთა საყოველთაო კონფედერაცია, მცირე და საშუალო მრეწველობის ნაციონალური სინდიკატი. ეს ორგანიზაციები არ იყვნენ ძლიერები, მაგრამ ისინი დაუღალავად მუშაობდნენ და ხშირ შემთხვევაში, ეფექტურ ზეწოლის ქმედებებს მიმართავდნენ.

როგორია ამ ჯგუფების რეალური გავლენა? წინათ მარქსიზმი ამ გავლენას გადამწყვეტად წარმოაჩენდა: მეწარმეთა გაერთიანებას მთავრობაზე, დეპუტატებზე და საინფორმაციო ორგანოებზე გავლენა უნდა მოეხდინა. დემოკრატიული სისტემა მხოლოდ შირმას წარმოადგენდა კაპიტალისტური რეჟიმის შესანიღბად.

ასეთი უხეში ფორმით წარმოდგენილი თეზისი აშკარად მცდარია. დემოკრატია არ არის მხოლოდ ფორმალური, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სოციალისტურ პარტიებს ხელისუფლებაში მოსვლა შეძლებოდათ როგორც მაგალითად, შვედეთსა და გერმანიაში: მაშინაც კი, როდესაც ეს პარტიები წინდახედულად რეფორმისტულია, ისინი ატარებენ ისეთ სოციალურ პროგრამებს, რომელიც მეწარმეებს იშვიათად შეიძლება მოეწონოთ. კიდევ უფრო მეტად გაუგებარი იქნებოდა მემარცხენე პარტიების გამარჯვება, რომელთა შორისაც იყო კომუნისტური პარტია 1981 წლის საფრანგეთში. გავლენას, რომელსაც თეორია, სავარაუდოდ, მეწარმეებს ანიჭებს, (საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებით), ამ უკანასკნელთათვის ხელი უნდა შეეწყო არჩევნებში ისეთი უმრავლესობის გამარჯვებაში, რომელიც მათ ინტერესებს გაითვალისწინებდა. ამგვარად, აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ არსებობს არა მხოლოდ ერთი აბსოლუტური, უსაზღვრო და უხილავი ძალა, არამედ მრავალი ძალა, რომელიც ბრძოლაშია ჩართული. სერიოზული არ არის მთლიანობაში დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკის წარმოდგენა როგორც ჩრდილების თეატრისა, რომელსაც მეწარმეთა გაერთიანება მალულად მართავს. რამდენადაც არსებობს არა ერთადერთი და ყოვლისშემძლე ძალა, არამედ სხვადასხვა ძალები, გადაწყვეტილების ბიმღები ინსტანციები გარკვეული ავტონომიით სარგებლობენ. ისინი არ იფარგლებიან მათ გარეთ მიღებული გადაწყვეტილებების უბრალო დამტკიცებით, მათ ასევე შეუძლიათ განსხვავებული ინტერესების ხაზგასმა და მათ შორის არბიტრის როლში გამოსვლა.

არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ამგვარი არბიტრაჟი სამართლიანი იქნება. ამავე დროს, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებში შესაძლებელია ობიექტურად სამართლიანობის კრიტერიუმების განსაზღვრა.

როგორია მეწარმეთა ორგანიზაციების რეალური გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე? რა თქმა უნდა გავლენა რეალურია, მაგრამ მისი განსაზღვრა რთულია, რადგან ის ხშირად ფარულ საშუალებებს იყენებს. უპირველეს ყოვლისა, მეწარმეთა გაერთიანებები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მეშვეობით მოქმედებენ. კერძოდ, ისინი იმ კანდიდატთა საარჩევნო კამპანიებს აფინანსებენ, რომლებიც მათ პოზიციებს უჭერენ მხარს და მათ მიმართ ხშირად მადლიერებას გამოხატავენ. სწორედ ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ამომრჩეველებზე ზემოქმედების პირველ არაპირადაპირ საშუალებასთან. ამას ემატება პრესის მიერ გაჩაღებული კამპანია, რომლის მართვაც მეწარმეთა გაერთიანებებს იოლად შეუძლიათ, რადგან მათ საინფორმაციო საშუალებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვთ. ამიტომაც, უგულებელსაყოფელი არ არის არჩევნებზე ამ გაერთიანებების გავლენა. მოწინააღმდეგეთა გამარჯვების შემთხვევაში, მეწარმეთა გაერთიანებებს მაინც გააჩნიათ მოქმედების საშუალებები. ფინანსური პანიკის ორგანიზებით ან ხელშეწყობით, კაპიტალის გადინებითა და ვალუტის კურსის დაცემით, მსხვილმა კაპიტალისტებმა 1925 წელს მემარცხენეთა კარტელის (ეპიზოდი ცნობილი გახდა „ფულის კედლის სახელწოდებით) და 1937 სახალხო ფრონტის დაშლა გამოიწვიეს. აღნიშნული ზომები ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი საზოგადოებრივი აზრის სტიქიურ მოძრაობას ხვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენათა მსვლელობის შესაცვლელად მათი გავლენა არასაკმარისი იქნებოდა.

ამავე დროს, გარდა კრიზისული სიტუაციებისა, მეწარმეთა წრეები, ზეწოლის ჯგუფების მსგავსად, საჯარო ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. მაგრამ განსხვავება გადაწყვეტილებებს შორის უნდა გაკეთდეს: გადაწყვეტილებები, რომელიც ამ თუ იმ სამრეწველო დარგის ინტერესს იწვევს და ზოგადი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. პირველ შემთხვევაში, მეწარმეთა შესაბამისი ჯგუფების გავლენა დიდია. ლიბერალური ეკონომიკის პირობებში, დიდი საწარმოები, მით უმეტეს მულტინაციონალური საწარმოები, ავტონომიური გადაწყვეტილებების მიმღებ ცენტრებს წარმოადგენენ. ამიტომაც მმართველებისთვის ისინი პარტნიორები არიან, რომლებთანაც მოლაპარაკებას რეალიზმი მოითხოვს. გარდა ამისა, ისინი შეიძლება მოწინააღმდეგეებიც იყვნენ, მიუხედავად მათი იდეოლოგიური ორიენტაციისა. თავის მხრივ, მმართველებიც სრულიად განიარაღებულნი არ არიან მეწარმეების პირისპირ. ეკონომიკური უფლებამოსილებებისა და იურიდიული რეგლამენტაციის შესაძლებლობის წყალობით, მმართველებს ზეწოლის მნიშვნელოვანი საშუალებები აქვთ. აქედან გამომდინარე, მმართველებსა და მეწარმეებს შორის გარკვეულწილად ვაჭრობის ურთიერთობები ყალიბდება, რომლის შეცვლაც მხოლოდ ეკონომიკის საყოველთაო სოციალიზაციის მოხდენით იქნებოდა შესაძლებელი. სამაგიეროდ, მეწარმეთა გავლენა ზოგად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ნაკლებად აისახება, რადგან ამ შემთხვევაში, მმართველებმა ზეწოლის სხვადასხვა ფორმები უნდა გაითვალისწინონ და უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი აზრის გავლენა, რომელიც არჩევნების მეშვეობით მათ ხელისუფლებაში დარჩენას უზრუნველყოფს. თუმცა მეწარმეებს ამგვარი პრობლემები ნაკლებად აინტერესებთ. ზეწოლის ნებისმიერი ჯგუფის მსგავსად, ისინი საკუთარ ინტერესებს იცავენ, სამთავრობო პასუხისმგებლობის თავის თავზე აღების პრეტენზიის გარეშე. 1998 წელს საფრანგეთის მეწარმეთა ნაციონალური ცენტრი (CNPF) „ MEDEF"ად (საფრანგეთის საწარმოთა მოძრაობა) გადაკეთდა, მაგრამ ეს ტრანსფორმაცია ასახავდა არა ჭეშმარიტ ცვლილებას, არამედ უფრო მეტად კომუნიკაციას შეეხებოდა.

180. სავაჭრო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციები. — ვაჭართა და ფერმერთა კორპორაციულ ორგანიზაციებს პოლიტიკურ ასპარეზზე განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ. არ მიეკუთვნებიან რა დაქირავებულ მშრომელთა კატეგორიებს, მათ არ შეუძლიათ გაფიცვას მიმართონ, რადგან ის მხოლოდ მათ დააზარალებდა. ამიტომაც, საშუალებათა ნაკლებობის ასანაზღაურებლად, მათ ზეწოლის სანახაობითი საშუალებები უნდა გამოიყენონ: მანიფესტაციები, გზის გადაკეტვა, გადასახადის შეჩერებისკენ მოწოდება, რაც ხშირად ძალადობაში გადადის (თავდასხმები გადასახადების ამკრეფებზე და სხვ.). ასეთი ჯგუფები თვალშისაცემია და საზოგადოების თვალში ისინი ზეწოლის ჯგუფის არქეტიპს წარმოადგენენ.

ომის შემდგომ საფრანგეთში ვაჭართა პირველ მოძრაობას პიერ პუჟადის „ვაჭართა და ხელოსანთა დაცვის კავშირი“ (UDCA) წარმოადგენდა. შემდგომში მოძრაობა პარტიად გარდაიქმნა. ამ მოძრაობამ ფრანგული ლექსიკონი ახალი არსებითი სახელით „პუჟადიზმით“ გაამდიდრა, რომელიც მისი მეთაურის გვარის საფუძველზე შეიქმნა. ტერმინი „პუჟადიზმი“ დარჩა როგორც სახელმწიფოს, ტექნოკრატების, „ფისკალური ინკვიზიციისა“ და ეკონომიკური ევოლუციის მიმართ მტრულად განწყობილი დემაგოგიის ფორმა, რომელიც მძიმე სიტუაციაში აყენებს განსაზღვრულ სოციალურ კლასებს. 60-იან წლებში ამავე სულისკვეთების კამპანია გაგრძელდა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი „სუპერმარკეტების“ წინააღმდეგ ბრძოლაზე იქნა გადატანილი, რომელთა განვითარებაც მთლიანად ლახავდა წვრილ მოვაჭრეთა ინტერესებს. ამ მოძრაობების აქტიურობამ მთავრობას 1973 წელს „ვაჭრობისა და ხელოსნობის ორიენტაციის კანონის“ მიღება აიძულა. ეს კანონი ერთერთი მინისტრის, რუაიერის მიერ იქნა შემუშავებული და ამიტომაც, მას ხშირად „რუაიერის კანონსაც“ უწოდებენ. აღნიშნული კანონი სერიოზულად ზღუდავდა ახალი „სუპერმარკეტების“ დანერგვის შესაძლებლობებს, რაც უდავოდ ზეწოლის ჯგუფის წარმატების მაგალითს წარმოადგენს.

დიდი ხნის განმავლობაში ფერმერთა ორგანიზაციები მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ. საფრანგეთში ამ ორგანიზაციებს შორის ყველაზე გავლენიანია 1946 წელს შექმნილი „სოფლის მეურნეობის მეწარმეთა სინდიკატების ნაციონალური ფედერაცია“ (FNSEA). ამ ორგანიზაციებში წარმოდგენილია მსხვილი წარმატებული და მცირე მეწარმეები, რომელთა მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში არამყარია. ამგვარი მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში ორგანიზაციას პარტივი ტექნიკის გამოყენების საშუალებას აძლევდა: წინა პლანზე აყენებენ იმ ფერმერებს, რომელნიც სტიქიური უბედურებით დაზარალდნენ, ან რომელთაც საფრანგეთის საერთო ბაზრის პარტნიორთა მხრიდან კონკურენცია ემუქრებათ. ამ ფერმერთა სახელით მთელი სოფლის მეურნეობის სექტორისთვის სხვადასხვა შეღავათები მიიღწევა.

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, გარკვეულ ვითარებაში სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების პოლიტიკური გავლენა, მათ რაოდენობასთან მიმართებაში, ბევრად ძლიერი იყო. ერთი მხრივ, აღნიშნული ზემოთ მოყვანილი მოქმედების ფორმასთან იყო დაკავშირებული. ხშირად არამყარი ეკონომიკური მდგომარეობით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი ფერმერები განმუხტვას მხოლოდ უმართავ, ამბოხებაში გადასულ დემონსტრაციებში პოულობდნენ. მმართველები ამ უწესრიგობებს დიდი შეშფოთებით უყურებდნენ, რადგან შეუძლებელი იყო მათი საბოლოო შედეგების წინასწარ განსაზღვრა. ყოველივე კორპორაციული ორგანიზაციების მოთხოვნათა მოსმენის მოტივს ქმნიდა, ხოლო ამ უკანასკნელთათვის თავიანთ მომხრეებს ანგარიში უნდა გაეწიათ.

სხვა ფაქტორებიც ასევე თავის როლს ასრულებდნენ. უნდა ითქვას, რომ ფერმერებს სოციალურ სისტემაში გარკვეულწილად პოლიტიკური პარტიებისთვის დამახასიათებელი შუალედური ჯგუფების ადგილი ეკავათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი ხმების გადაადგილებას უმრავლესობის ბედი შეიძლება გადაეწყვიტა. ამიტომაც შედეგი აშკარად იგივეა: ფერმერთა კეთილგანწყობის მოპოვების ძალისხმევა იმ პოზიციის სტრატეგიული ინტერესის პროპორციული იყო, რომელსაც ისინი იკავებდნენ და არა მათი რაოდენობრივი შემადგენლობისა. გარდა ამისა, ფერმერები სარგებლობდნენ (და დღესაც სარგებლობენ) თავიანთი გეოგრაფიული გაფანტულობით: მრავალ საარჩევნო ოლქში მათი ხმები შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს მაჟორიტარული სისტემით არჩევნების დროს. აქედან გამომდინარე, პარტიებიც და მმართველებიც ამ კატეგორიას ფრთხილად უნდა მოქცეოდნენ.

1981 წელს მემარცხენე ძალთა გამარჯვების შემდეგ სოფლის მეურნეობის ზეწოლის ჯგუფების გავლენამ იკლო. მართლაც, მემარცხენე ძალებმა წარმატებას მიაღწიეს არა ფერმერთა მხარდაჭერის გამო. მემარცხენე პარტიებმა, რომლებიც ტრადიციულად მემარჯვენე პარტიებზე ნაკლებად არიან კეთილგანწყობილნი ფერმერთა მიმართ, ამ გამარჯვებით დაინახეს, რომ ამ უკანასკნელთა მხარდაჭერა არ არის აუცილებელი. ამის გამო სოფლის მეურნეობის ზეწოლის ჯგუფების ეფექტურობამ საგრძნობლად იკლო. მოყვანილი მაგალითი საინტერესოა, რადგან გვიჩვენებს, რომ ზეწოლის ჯგუფის გავლენა ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული, რომელიც თავის მხრივ, პოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული ტერმინის ყველაზე სუპერსტრუქტურული მნიშვნელობით. რამდენადაც 1981 წლის აპრილიდან მაისამდე საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ზეწოლის ეფექტურობა ამით სწრაფად შეიცვალა.

ამგვარად, დაღმასვლის დასაწყისი ერთმა კონიუნქტურულმა მოვლენამ განაპირობა. თუმცა სხვა უფრო მძიმე ფაქტორებმა ამ ზეწოლის ეფექტურობის დაცემა გამოიწვია. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის საერთო კრიზისმა, რომელიც მთავრობამ მნიშვნელოვანწილად ვერ გაითვალისწინა, რამდენიმე წელიწადში სოფლის მეურნეობა ნამდვილ მარგინალიზაციამდე მიიყვანა. დაკნინების გზაზე მდგომი სოციალური კატეგორიის წარმომადგენელი ჯგუფების მოქმედება თავად მხოლოდ დაღმასვლას განიცდის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სოფლის მეურნეობის სინდიკალიზმმა უფრო გულისხმიერი პარტნიორები იპოვა 1993 და 1995 წლების არჩევნებში ხელისუფლებაში მემარჯვენე ძალთა დაბრუნებით. დღეს სახეზეა მერყეობა სანახაობითი აქციების გამოყენებასთან დაკავშირებით მიუხედავად იმისა, რომ მათ კვლავაც მიმართავენ: არჩევანი უნდა გაკეთდეს, პოლიტიკურ ზეწოლასა — რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი წონასწორობის დამყარების შესაძლებლობას იძლევა, რაც მცირერიცხოვან, მაგრამ თავის გადარჩენაში დარწმუნებულ ფერმერებს ერთდროულად ეკონომიკური საქმიანობის პირობებსა და მყარ სინდიკალისტურ წარმომადგენლობას შეუნარჩუნებს — და აგონიის უკანასკნელ მკვეთრ გამოვლინებებს შორის.

181. მორალური ინტერესების დამცველი ჯგუფები. — თუკი მატერიალური ინტერესების დამცველი ზეწოლის ჯგუფების კატეგორიას გარკვეული ჰომოგენურობა ახასიათებს, რადგან მათი საბოლოო მიზნები საკმაოდ შეპირისპირებადია, იგივეს ვერ ვიტყვით იმ ჯგუფებზე, რომლებიც პირველ რიგში მორალურ ინტერესებს იცავენ. აღნიშნული ამ ჯგუფების მიერ დასახული მიზნების, მათი განზრახვების მოკრძალებულობისა თუ მასშტაბურობის, გარკვეული სოციალური წრეებისადმი მიმართვისა და პოლიტიკურ სამყაროში მათი მეტ-ნაკლები ინტეგრაციის შედეგია. ეს ასევე იმის შედეგია, რომ ადამიანის არც ერთი საქმიანობა თავისი ბუნებით პოლიტიკური ასპარეზიდან არ შეიძლება გამორიცხოს: პოლიტიკის კატეგორიაში ყველაფრის შეყვანაა შესაძლებელი. ამგვარ სიტუაციაში კლასიფიკაციები თვითნებურობის მაღალ ხარისხს ვერ აიცილებენ და ამიტომაც ისინი მეთოდოლოგიურ ინტერესს არ წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ ორგანიზაციათა მოკლე ჩამონათვალით, რომელთაც მორალური ინტერესების დამცველი ზეწოლის ჯგუფების როლის თამაში შეუძლიათ.

ამ ორგანიზაციებიდან ზოგიერთი ინტერესთა ჯგუფებს უახლოვდება, რადგან მისი წევრები მსგავსი ობიექტური პირობების საფუძველზე ერთიანდებიან. ამის მაგალითია ფემინისტური და სტუდენტური ორგანიზაციები, ან ომის მონაწილეთა ორგანიზაციები. მართლაც, ეს გაერთიანებები ერთდროულად იცავენ მატერიალურ (მამაკაცებთან გათანაბრებული ხელფასი, სამუშაო პირობები და სამსახურით უზრუნველყოფის პერსპექტივები, საცხოვრებლისა და კვების გადასახადი, ხანდაზმულობის პენსია) და მორალურ ინტერესებს. ამ ორგანიზაციების გავლენა ცვალებადია. მაგალთად, აშშ-ში ფემინისტურ მოძრაობებს რეალური გავლენა აქვთ. ისინი ორგანიზებულ და აღიარებულ მიმდინარეობას წარმოადგენენ დემოკრატიულ პარტიაში. საფრანგეთსა და ზოგადად ევროპაში ამ მოძრაობის გავლენა ბევრად შეზღუდულია. სტუდენტურმა და ლიცეუმების მოსწავლეთა ორგანიზაციებმა გარკვეულ ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს (1968 წლის მაისი, 1990 წლის შემოდგომა), მაგრამ ისინი დიდად არიან დამოკიდებული იმ მხარდაჭერასა თუ მტრულ განწყობაზე, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი მათ მიმართ იჩენს. გარდა ამისა, მათ ზიანს აყენებს ქრონიკული დანაწევრება და მოქმედების საშუალებათა შეზღუდულობა: ქუჩის დემონსტრაციები ეფექტური, მაგრამ ორმხრივად ბასრი იარაღია; პირიქით, მშრომელთა გაფიცვებისგან განსხვავებით, სტუდენტური გაფიცვები ხელისუფლებას ნათ მიმართ გულგრილს ტოვებს. ამავე დროს, ამ ტიპის მოძრაობები ხშირად კლასიკური პოლიტიკური ძალების მიერ გამოიყენება: ამგვარად, პარტიები ფემინისტურ მოძრაობებს ან ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ქმნიან, რომელიც გამიზნულია არა იმდენად ამ უკანასკნელთა სპეციფიკური ინტერესების გამოსახატავად, არამედ მათი ზოგიერთი თეზისის პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ გამოსაყენებლად. ლიცეუმის მოსწავლეთა „გაერთიანებები", რომელიც, საკარაუდოდ, პოლიტიკური გამოცდილების არმქონე ინდივიდებისგან შედგება, ყოველგვარი მანიპულაციებისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

ყოფილ მეომართა მოძრაობების გავლენა ასევე ძალიან დამოკიდებულია ისტორიულ კონიუნქტურაზე. საფრანგეთში ამ მოძრაობებს დიდი გავლენა ჰქონდათ მსოფლიო ომებს შორის არსებულ პერიოდში. მათი საქმიანობა პირდაპირ პოლიტიკურ ასპარეზზე იქნა გადმოტანილი.

ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია პოლკოვნიკ დე ლა როკის მიერ შექმნილი მოძრაობა სახელწოდებით „კრუა-დე-ფე", რომელმაც საფრანგეთის სოციალურ პარტიას (PSF) ჩაუყარა საფუძველი. დღეისათვის პირიქით ხდება, ყოფილ მეომრებს მნიშვნელოვანი გავლენა აღარა აქვთ და მათი მოთხოვნები ვიწრო კორპორაციულ ხასიათს ატარებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის მოძრაობები, რომელსაც პროფკავშირული ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი მყარი ტრადიციები არ გააჩნიათ, ორაზროვანი და მერყეევია: ზოგიერ შემთხვევაში ისინი საკუთარი მიზნების მქონე ზეწოლის ჯგუფებს წარმოადგენენ, ზოგჯერ კი პარტიების მიერ მეტ-ნაკლებად პირდაპირ მანიპულირებულ ორგანოებს, განსაკუთრებულ მომხრეებთან სპეციფიკური ქმედების საწარმოებლად.

182. ეკლესიები. — ხშირად ეკლესიებიც ზეწოლის ჯგუფების როლს ასრულებენ. თუმცა ეკლესიის მსახურნი ზოგადად ეჭვქვეშ აყენებენ ამ მტკიცებულებას ტერმინოლოგიური უხერხულობის გამო: ისინი ამტკიცებენ, რომ მათი მიზნები წმინდა სულიერი ხასიათისაა და სხვ. მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საბოლოო მიზნისა, როდესაც ეკლესიას ხელისუფლებისგან გადაწყვეტილების მიღება სურს, ის ზეწოლის ჯგუფის მსგავსად მოქმედებს. უნდა დავსძინოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეკლესიებს და არა რელიგიებს ეხება: საეკლესიო ფორმა აუცილებელია, რადგან ის სტრუქტურას, იერარქიას, სოციალურ კორპუსში იმპლანტაციას მოიცავს და ამგვარად, შეუძლია ეფექტური ინსტრუმენტი გახდეს პოლიტიკურ ბრძოლაში. ეკლესიას ასევე შეუძლია, მართალია ძალიან იშვიათ შემთხვევაში, ხელისუფლების ხელში აღება: ასე მოხდა მაგალითად ირანში, სადაც მონარქიული რეჟიმის დამხობის შემდეგ შიიტურმა სამღვდელოებამ ძალაუფლება იგდო ხელთ და ის დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებს ქვეყნის მართვის საქმეში. აღნიშნული სიტუაცია წარმოუდგენელი იქნებოდა სუნიტური უმრავლესობის ქვეყანაში, რადგან მას არ ჰყავს ამგვარი სამღვდელოება.

საფრანგეთში კათოლიკური ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა. საზოგადოების სეკულარიზაციამ საგრძნობლად შეამცირა ეკლესიის გავლენა, მაგრამ ის მაინც არსებობს. კათოლიკური ეკლესია ყოველთვის იჩენდა ინტერესს პოლიტიკის მიმართ მას შემდეგაც კი, როდესაც ის სახელმწიფო რელიგიად აღარ ითვლებოდა. მისმა საქმიანობამ ევოლუცია განიცადა. მან ღიად დაუჭირა მხარი არსებულ რეჟიმს, შემდეგ მოკრძალებულად გაამხნევა ისეთი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები, როგორსაც სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა წარმოადგენდა. ის ღიად აღარ ერევა პოლიტიკაში, მაგრამ ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხზე თავის აზრს გამოთქვამს. პარალელურად ის ეკლესიის მსახურთ არ ურჩევს პოლიტიკაში პირად ანგაჟირებას. ის პუნქტები, რომელშიც კათოლიკური ეკლესია პოლიტიკურ ზეწოლას დღესაც ანხორციელებს, შეზღუდულია. ზოგიერთი პუნქტი ერთდროულად სამართალსაც და მორალსაც ეხება: საფრანგეთში ეკლესია აბორტის საწინააღმდეგო კამპანიას აწარმოებდა, ხოლო იტალიაში განქორწინების წინააღმდეგ გამოდიოდა. მთლიანობაში, ეს ლოგიკური შედეგია იმისა, რომ ეკლესიას ამ საკითხებზე საკუთარი დოქტრინა აქვს და მისი ქმედება პოლიტიკურ ხასიათს ატარებს იმდენად, რამდენადაც ის ერევა იმ სფეროში, რომელშიც პოლიტიკური შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია. ეკლესია ასევე თავისი სპეციფიკური ინტერესების დამცველად გამოდის, სახელდობრ, კერძო კონფესიური განათლების საკითხში. 80-იან წლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მან ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მობილიზება მოახდინა.

სხვა კონტექსტებში, რელიგიურ ხელისუფალთა ქმედებამ შეიძლება უშუალო პოლიტიკური ხასიათი მიიღოს: ასე ხდება, როდესაც სახელმწიფო ოფიციალურად აცხადებს, რომ ის მტრულად არის განწყობილი ნებისმიერი რელიგიური გამოვლენის მიმართ ან მაშინ, როდესაც სახელმწიფო რელიგიას მონოპოლიის შენარჩუნების პრეტენზია აქვს. ამიტომაც, ანტაგონისტურ ხელისუფლებებს შორის ურთიერთობები დამოკიდებული იქნება მათ შორის ძალთა თანაფარდობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიური ხელისუფლება ფაქტობრივად პოლიტიკურ ხელისუფლებას ემორჩილება. თუმცა შეიძლება მოხდეს ისე, რომ ოფიციალურად ათეისტური ხელისუფლება ცდილობს ეკლესიასთან modus vivendi დაამყაროს, რადგან ამ უკანასკნელისთვის ანგარიშის გაწევაა საჭირო. ამგვარ შემთხვევას ადგილი ჰქონდა პოლონეთში, სადაც კათოლიკური ეკლესია დიდ გავლენას ინარჩუნებდა კომუნისტური ბატონობის პირობებშიც კი. კარგადაა ცნობილი, რომ „სოლიდარობის" პროფკავშირის პირდაპირი მხარდაჭერით ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კომუნისტური რეჟიმის საბოლოო დამხობაში. ამ კონტექსტში, ეკლესიის როლი ზეწო-

ლის ჯგუფის საზღვრებსაც კი სცილდება. ის პოლიტიკური თამაშის ნამდვილ პარტნიორს წარმოადგენდა და ღირებულებათა გამომხატველის როლს ასრულებდა: ნაციონალური ხასიათის დამტკიცება, თავისუფლების სურვილი.

183. სპეციალიზებული პოლიტიკური ორგანიზაციები. — იდეების დამცველი ზეწოლის ჯგუფების სხვა ტიპს სპეციალიზებული პოლიტიკური ორგანიზაციები წარმოადგენენ. ამ მოძრაობებს ორი ნიშანი ახასიათებს. ერთი მხრივ, მათ აშკარად გამოხატული პოლიტიკური მიზანი აქვთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი შენიღბვის ტექნიკას არ მიმართავენ და თავისი მიმართულების შესახებ აცხადებენ. მათი მიზნები პოლიტიკური პრობლემების მსგავსად განსხვავებულია: ეს შეიძლება იყოს პაციფისტური ან ანტირასისტული ბრძოლა, ევროპის მშენებლობა, კერძო სკოლების დაფინანსება ან საზოგადოებრივი მორალის პატივისცემა. ამის მაგალითია სიფხიზლის ლიგები აშშ-ში, რომელიც დღესაც ძალიან აქტიურია. 1918 წელს აღნიშნულმა ლიგებმა კონსტიტუციაში მე-18 შესწორების შეტანა მოახერხეს მშრალი კანონის შესახებ. მეორე მხრივ, მათი საქმიანობა ამ მიზნით შემოიფარგლება. ამასთანავე ორი შემთხვევა უნდა გამოვყოთ. პირველ შემთხვევაში ეს ორგანოები რეალურად დამოუკიდებელნი არიან. მათი თვითმყოფადობა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ამ ორგანოებში გაერთიანებულ ინდივიდებს ზოგჯერ განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვთ, მაგრამ საერთო მიზნისთვის ერთიანდებიან. ამგვარი სიტუაცია მათდამი ნდობას ზრდის, რადგან ის მათ პოლიტიკურ მიუკერძოებლობაზე მიუთითებს, ამ ტერმინის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. თუმცა ეს მიუკერძოებლობა მხოლოდ დროებითია, რადგან თუ რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი მათ თეზისებს მიიღებს, ეს ორგანოები მის მხარდასაჭერად მობილიზებას მოახდენენ და ამით მის აუდიტორიას გააძლიერებენ. ამგვარად, ისინი ზეწოლის ჯგუფის როლს ასრულებენ, რადგან თავისი მიზნების მხარდაჭერისთვის ისინი სამაგიეროდ თავის მხარდაჭერას სთავაზობენ. თუმცა ხდება ისეც, რომ ამ ტიპის ორგანიზაციები მეტ-ნაკლებად ოფიციალურად პოლიტიკურ პარტიებთან არიან დაკავშირებულნი. ამ ჰიპოთეზით, ისინი პარტიებისთვის მხოლოდ სპეციფიკურ საშუალებებს წარმოადგენენ, რომელიც იმ ამომრჩევლებზე ზემოქმედების მოსახდენად არის მიმართული, რომელთაც განსაკუთრებული თემები იზიდავთ (მაგალითად, მშვიდობის დაცვა), მაგრამ სხვადასხვა მოტივების გამო თავად პარტიასთან გაერთიანება არ სურთ. ამ შემთხვევაში, სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ჭეშმარიტი ავტონომია არ გააჩნიათ ან შედარებითი ავტონომია აქვთ. ისინი ინდივიდთა მანიპულირებისთვის პარტიების მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ეპვს იწვევს ზეწოლის ჯგუფებში ამ ორგანიზაციების ჩართვა.

184. პოლიტიკური კლუბები. — ვიდრე მორალური ინტერესების დამცველი ზეწოლის ჯგუფების სწრაფ და არასრულ ანალიზს დავასრულებდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას პოლიტიკური ჯგუფების სპეციფიკურ ტიპზე ანუ კლუბებზე, რომლებმაც გარკვეულ ისტორიულ გარემოებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. პოლიტიკური კლუბების ფენომენს ძველი ტრადიცია აქვს. აღნიშნული ფენომენი მოაზროვნე ადამიანთა საზოგადოებების მემკვიდრეა, რომელმაც XVIII საუკუნეში პოლიტიკური ფილოსოფია განავითარა და საიდანაც საფრანგეთის რევოლუცია იღებს სათავეს. რევოლუციის გაჩაღების შემდეგ ამ საზოგადოებებიდან ისეთი კლუბები წარმოიქმნა როგორიცაა ფელიანების, იაკობინელთა და კორდილიერთა კლუბები. მოგვიანებით, მოაზროვნე ადამიანთა საზოგადოებების საფუძველზე 1901 წ. რადიკალური პარტია შეიქმნა.

IV რესპუბლიკის პერიოდში ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე პოლიტიკური კლუბების ინსტიტუტის გამოცოცხლებას შეეცადა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვების მსგავსება მოვლენათა მსგავსებას არ ნიშნავს. აშკარაა, რომ თუკი ამ ინსტიტუტის აღორძინების ინიციატორებმა სხვა რამეს სიტყვა „კლუბის" გამოყენება არჩიეს, ეს გაკეთდა რევოლუციურ ეპოქასთან ამ ორგანიზაციების სიახლოვის დასამტკიცებლად. მაგრამ რევოლუციურ და თანამედროვე ეპოქებს შორის ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა. რევოლუციის დროს პარტიები არ არსებობდნენ და კლუბები მათ ფუნქციებს ასრულებდნენ. თანამედროვე ეპოქაში პარტიები არსებობენ და პოლიტიკური კლუბები სწორედ მათთან მიმართებაში განისაზღვრებიან.

პოლიტიკურ კლუბებს მოაზროვნე ადამიანთა საზოგადოებებთან ერთი საერთო ნიშანი აქვთ: საქმე ეხება მათ აშკარა ელიტარულ ხასიათს. მათი მთავარი მიზანი რეფლექსიაა და არა პოლიტიკური ქმედება, რის გამოც ისინი უფრო მეტად რჩეულ საზოგადოებას და არა პოლიტი-

კური აქტივისტების მასას მიმართავენ. ზოგიერთი მემარჯვენე კლუბი აშკარა დაშინების პოლიტიკას ახორციელებს, თავისი წევრებისგან ძალიან მაღალი საწევროების გადახდის მოთხოვნით. კლუბების აღორძინება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთმანეთთან სასიამოვნო საუბრის წარმართვის სურვილით: ამგვარი საქმიანობისათვის შეხვედრების სპეციალური კლუბები არსებობდა. პოლიტიკური კლუბების აღორძინება დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა არსებული პარტიებით და ზოგადად, პოლიტიკური სისტემით უკმაყოფილოა.

ამ პირობებში ორი შემთხვევა უნდა განვასხვაოთ. პირველ შემთხვევაში, კლუბები პარტიის უმცირესობისთვის გაერთიანების გარკვეულ სტრუქტურას წარმოადგენენ. ამგვარად, 1951 წელს შარლ ერნიუს კლუბი გაიხსნა, რომელმაც პირდაპირ გამოიყენა „იაკობინელთა კლუბის" სახელწოდება. ამ კლუბში გაერთიანებულნი იყვნენ რადიკალური პარტიის ის წევრები, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობას არ ეთანხმებოდნენ. მეორე შემთხვევაში, რომელიც უფრო ხშირია, კლუბები იქმნება არა პარტიების შიგნით, არამედ პარტიის სისტემის გარეთ, რადგან ეს უკანასკნელი მოძველებულად, მოქნილობა დაკარგულად და ახალ პირობებთან არაადაპტირებულადაა მიჩნეული. ამგვარი შეგრძნება ახალგაზრდა აქტივისტებში განსაკუთრებით IV რესპუბლიკის მიწურულს იჩენდა თავს. თუმცა მემარცხენე პარტიებმა აღნიშნული V რესპუბლიკის დამყარებისას შეიგრძნეს, როდესაც გენერალმა დე გოლმა მათ გამაოგნებელი მარცხი განაცდევინა. აუცილებელი გახდა ყველაფრის გააზრება. მემარცხენეთა კლუბების შექმნა სწორედ შექმნილ სიტუაციაზე პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენდა.

რამდენადაც თავდაპირველად კლუბები რეფლექსიის ინსტანციებს წარმოადგენენ, ისინი პირველ ხანებში პირდაპირ არ ერთვებიან პოლიტიკურ ბრძოლაში. ისინი არ წარადგენენ და არც მხარს უჭერენ კანდიდატებს არჩევნებზე. მათი მიზანი ახალი იდეების წამოყენებაა იმ პოლიტიკური ტენდენციებისთვის, რომელთა მხარდაჭერაც სურთ პარტიებზე ზეწოლით ან პირდაპირი გზით ან საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. ამიტომაც, ამ მომენტში ისინი გამოდიან არა როგორც პარტიები, არამედ როგორც ზეწოლის ჯგუფები. სიმართლე რომ ითქვას, ამგვარი პოზიცია ნაკლებად დამაჯერებელია: ამ კლუბების პირდაპირი მიზანი პოლიტიკაა იმ ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩვენ უკვე გავაანალიზეთ და რომლებიც უშუალო პოლიტიკურ საქმიანობაზე უარს ამბობენ მათი საქმიანობის საბოლოო მიზნის არაპოლიტიკური ხასიათის გამო. რაც შეეხება კლუბებს, ისინი ორი მექანიზმის საფუძველზე სრული პოლიტიკური ანგაჟირებისკენ მიემართებიან.

ერთი მხრივ, პარტიები კლუბებს პოლიტიკური ქმედების ინსტრუმენტად იყენებენ. მართლაც, წარდგენის ფორმის წარმატება პარტიებს მის თავისთვის გამოსაყენებლად უბიძგებს, მაგრამ დეფორმირებული სახით: კლუბი აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, ის ინდივიდთა გარკვეული კატეგორიის (ინტელექტუალები, მაღალი რანგის ფუნქციონერები და სხვ.) წინაშე პარტიის გავლენის გაზრდის საშუალებაა. ინდივიდთა აღნიშნული კატეგორია განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს მისი სტატუსის გამო ან იმიტომ, რომ ის წინააღმდეგობას უწევს მომხრეობის ტოტალურ ანგაჟირებას იმ დაქვემდებარების ჩათვლითაც, რომელსაც პარტია მოითხოვს. პარტიები კლუბის ფორმას ფემინისტური მოძრაობების ან ახალგაზრდული ორგანიზაციების მსგავსად იყენებენ. ამგვარად გაჩნდნენ მემარჯვენე პარტიებზე დამოკიდებული კლუბები ისეთი როგორიც იყო 1965 წელს დაფუძნებული რესპუბლიკურ პარტიასთან ახლოს მდგომი „პერსპექტივებისა და რეალობების" კლუბი. ამ შემთხვევაში, ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო, რადგან კლუბების გამოჩენა იმ ფარულ უკმაყოფილებას გამოხატავდა, რომელიც უმრავლესობის პარტიებს არ შეხებია. ის ფაქტი, რომ პარტიებმა კლუბების ფორმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, ნიშნავს, რომ ამ სიახლემ თავისი არსებობის უფლება დაამტკიცა: საკუთარი კლუბის ქონა ასე ვთქვათ, კომფორტის საკითხად იქცა. ამ დროიდან კლუბები არა თვითმიზანს, არამედ მხოლოდ მოქმედების საშუალებას წარმოადგენენ სხვა საშუალებებს შორის.

მეორე მხრივ, ბევრი დამოუკიდებელი კლუბი პოლიტიკაში ერთვება იმგვარად, რომ მომხრეთა ჯგუფებს ერწყმის. კერძოდ, კლუბებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს „SFIO"-ს აღორძინებაში და 1969 წლის ისი-ლე-მულინოს კონგრესზე მის სოციალისტურ პარტიად გარდაქმნაში, შემდეგ კი სოციალისტური პარტიის სათავეში ფრანსუა მიტერანის ჩადგომაში 1971 წლის ეპინეი-სიურ-სენის კონგრესზე. კლუბების საქმიანობამ სიღრმისეული გავლენა იქონია ფრანგული მემარცხენეობის რეორგანიზაციაში. თუმცა ამით კლუბებმა მნიშვნელოვანწილად თავისი ორიგინალობა დაკარგეს. მთლიანობაში, როგორც ვხედავთ, კლუბი მომხრეთა სისტემის დანა-

მატია ან ფრანს-ტირორების (ფრანგი პარტიზანები წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციაში) მიერ გამოყენებული სპეციფიკური საშუალება ამ სისტემის მოდიფიცირებისთვის. ოპერაციის წარმატების შემთხვევაში კლუბი პარტიის პირისპირ ქრება. კლუბის წარმატება მის აუცილებლობას აუქმებს.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური კლუბის წარმატება ერთდროულად მომხრეთა სისტემის კრიზისის შედეგსა და სიმპტომს წარმოადგენს. სწორედ მემარცხენე პარტიების სირთულეებმა 50-იან და 60-იან წლებში კლუბების, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმის გაჩენა განაპირობა. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ 1981 წელს მემარჯვენე პარტიების მარცხმა ანალოგიური მოვლენა გამოიწვია ე.ი. სხვადასხვა ორგანიზაციების აღორძინება, რომლებიც აცხადებდნენ, რომ პოლიტიკისგან შორს იყვნენ და ამასთანავე, ახალი სტრატეგიის ინტელექტუალურ საფუძვლებს ქმნიდნენ. ამის საპირისპიროდ, 1986 და 1988 წლების თანაარსებობის მთავრობის დროს კლუბებზე აღარ ლაპარაკობდნენ. 1988 წლიდან 1993 წლამდე კლუბების საქმიანობა ისევ გააქტიურდა, მაგრამ ხელისუფლებაში მემარჯვენეების დაბრუნებამ კვლავ მათი მიჩქმალვა გამოიწვია. ანალოგიურად, მაგრამ უფრო ადრე, მემარცხენე ძალთა რეორგანიზაციამ, რომელიც ახალი სოციალისტური პარტიის შექმნითა და მემარცხენეთა გაერთიანების პოლიტიკით აღინიშნა, კლუბების ფორმულის შედარებით წაშლას დაემთხვა. დასკვნა თავად კეთდება: კლუბი მარცხის შემდეგ იმედების, ღირებულებათა თუ შესაძლებლობათა, ინიციატივის ხელახალი პოვნის საშუალებაა. კლუბის წარმატება თავად აქრობს მისი არსებობის აუცილებლობას. შეიძლება ითქვას, რომ მას გარდამავალი, მაგრამ პერიოდულად განმეორებადი როლი აქვს დაკისრებული, რადგან როდესაც ერთნი (პარტიები) რევანშს იღებენ, მეორენი (კლუბები) უცილობლად მარცხს განიცდიან.

2 / კერძო და საჯარო ჯგუფების დაპირისპირებაზე დაფუძნებული ტიპოლოგია

185. საჯარო ზეწოლის ჯგუფების არსებობა. — აქამდე ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ კერძო ინტერესების დამცველი ზეწოლის ჯგუფები. არსებობენ კი მათ გვერდით საჯარო ზეწოლის ჯგუფები? დღეისათვის ყველა აღიარებს ამ ჯგუფების არსებობას, მაგრამ თავდაპირველად საჯარო ზეწოლის ჯგუფების არსებობის იდეა წინააღმდეგობას იწვევდა. მაგალითად საფრანგეთში, ეს იდეა იურისტების მიერ სახელმწიფოს აღქმის მსგავსად იქნა გაგებული. იურისტების აზრით, სახელმწიფო ერთადერთ ორგანოს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ის მრავალ მექანიზმს შეიცავს: ადმინისტრაცია, ფუნქციონერთა კორპუსი, მთავრობა, პარლამენტი. მაგრამ ამ სხვადასხვა ნაწილების საქმიანობა ერთი მორალური პირის საფარქვეშ ხორციელდება და ერთადერთ საბოლოო მიზანს, საერთო ინტერესს ექვემდებარება. თუმცა შეიძლება მოხდეს, რომ სახელმწიფოს ზოგიერთი ნაწილი სხვა ნაწილებზე ზეწოლას დაიწყებს. თუკი მაგალითად, ადმინისტრაცია მთავრობაზე ზეწოლას ახდენს მისი პოლიტიკის შეცვლის მიზნით, ამგვარი სიტუაცია პათოლოგიურად უნდა იქნეს მიჩნეული: საერთო ინტერესის ერთად ძიების ნაცვლად ის სურვილების სიმრავლეს წარმოაჩენს; ის გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა კორპუსმა საკუთარი ინტერესები დაიცვას ნაცვლად იმისა, რომ იყოს იმ პოლიტიკის უბრალო შემსრულებელი, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოების მიერ არის განსაზღვრული. ამგვარად, იურიდიულ თეორიას მივყავართ ან თავად საჯარო ზეწოლის ჯგუფების უარყოფამდე ან მათ აღიარებამდე და ამავე დროს, მათ დაგმობამდე: თუკი ისინი არსებობენ, ისინი არ უნდა არსებობდნენ.

რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მეცნიერებას არ შეუძლია ამგვარი შეხედულების მიღება. ერთი მხრივ, ის საჯარო ჯგუფების არსებობის კონსტატაციას ახდენს, რომლებიც პრაქტიკაში ზეწოლის ჯგუფებივით მოქმედებენ. მეორე მხრივ, პოლიტიკური მეცნიერება ამ ფენომენის შეფასებასთან დაკავშირებით თავს უფლებამოსილად არ ცნობს.

ამიტომაც, მართებული იქნება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ კერძო და საჯარო ზეწოლის ჯგუფები. მეორე კლასიფიკაციის ჩარჩოში, აზრს მოკლებულია კერძო ზეწოლის ჯგუფების ანალიზი, რადგან ჩვენ ეს უკვე გავაკეთეთ. სამაგიეროდ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ საჯარო ზეწოლის ჯგუფებს, რომლებიც ორი ფორმით წარმოჩნდებიან: სამოქალაქო ჯგუფები და სამხედრო ჯგუფები.

186. სამოქალაქო ჯგუფები. — სამოქალაქო ჯგუფებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ დეცენტრალიზებული ორგანოები: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი როგორიცაა თემი, დეპარტამენტი ან რეგიონი, საჯარო დაწესებულებები და საჯარო საწარმოები. მართლაც, დეცენტრალიზაციის პრინციპი მოითხოვს ამ ორგანოებისთვის იურიდიული პირის ქონას და მაშასადამე, სახელმწიფოსგან მის იურიდიულ გამიჯვნას. არაფერია გასაკვირი იმ ფაქტში, რომ ამ ორგანოებს საკუთარი ინტერესები გააჩნიათ და ისინი მათ დაცვას საჯარო ხელისუფლების წინაშე ცდილობენ. ამის მაგალითია საფრანგეთის რკინიგზის ნაციონალური გაერთიანების (SNCF) მიერ ჩატარებული კამპანია ჩქარი მატარებლის (TGV) განვითარებასთან დაკავშირებით. ამავე სულისკვეთებით, საფრანგეთის ელექტრომომარაგებამ დიდი ზემოქმედება მოახდინა ატომური ელექტროსადგურების ასამუშავებლად. ამ შემთხვევაში, ეს აშკარად გარდაუვალი ფენომენებია, მაშინაც კი როდესაც არსებობს იმის შეგრძნება, რომ მმართველები თავის პროგრამებზე უარს ამბობენ და ძლიერი საწარმოების მხრიდან ნაკარნახევ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ხდება ისეც, რომ თავად მთავრობის შიგნით, ესა თუ ის სამინისტრო თავის ქვეშევრდომთა მხარეს დგება და მათ სასარგებლოდ მოქმედებს როგორც ნამდვილი ზეწოლის ჯგუფი. ამგვარად, სამინისტრო ერთდროულად ცდილობს კარგი ურთიერთობები შეინარჩუნოს მის განკარგულებაში არსებულ სექტორთან, რომელიც შესაბამისი ზეწოლის ჯგუფებისგანაა შემდგარი და საჯარო ხელისუფლებაში საკუთარი გავლენა გააფართოოს: მართლაც, პრესტიჟის გამო მისთვის მთავარია საკუთარი სექტორის საქმიანობის მნიშვნელობის წარმოჩენა. აღნიშნული მისთვის ასევე ნდობის გაზრდის ფორმაა, რომელიც სახელმწიფოზე გავლენის მოხდენის საშუალებას წარმოადგენს. სახელმწიფო მუდმივი შეჯიბრის ადგილია, რომლის შედეგები ყოველ წამს პოლიტიკური კონიუნქტურით განისაზღვრება.

ფუნქციონერთა გარკვეული ჯგუფები, რომელსაც ერთიანობა და კორპორაციული სულისკვეთება განსაკუთრებით ახასიათებს, ხშირად ზეწოლის ჯგუფებივით მოქმედებს: საფრანგეთში ამის მაგალითს ფინანსური ინსპექტორები, სამთო ინჟინრები, ხიდებისა და გზების მშენებლობის ინჟინრები და სხვ. წარმოადგენენ. ტექნიკური კომპეტენციითა და პირადი დაუინტერესებლობით ეს ჯგუფები ხშირად საერთო ინტერესის საკუთარი კონცეფციის დაცვას ცდილობენ. სამწუხაროდ ამგვარი კონცეფცია ერთი მთლიანი კორპუსის ინტერესებისგან ყოველთვის არ განსხვავდება. გარდა ამისა, აღნიშნული კონცეფცია ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ტექნიკურ ელემენტებს ითვალისწინებს და მხედველობაში არ იღებს ფსიქოლოგიურ ფაქტორებსა და გლობალურ სოციალურ წონასწორობას: ეს ტექნოკრატიის ერთ-ერთი წყაროა. ამ ფენომენს შეიძლება ვუსაყვედუროთ ის პოლიტიკური გავლენა, რომელიც ზოგიერთი დიდი სკოლის ყოფილ მოწაფეებს აქვთ (ძირითადად „ადმინისტრირების ნაციონალური სკოლა" და „პოლიტექნიკური სკოლა"). საერთო განათლებით, მეგობრული კავშირებითა და ადმინისტრაციისა და სახელმწიფო ცხოვრების მთავარ სექტორებში სტრატეგიულ პოსტებზე ყოფნის გამო, ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ. როგორც ვხედავთ, მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებებისა, ამ ჯგუფების გავლენას დაბრკოლება არ ექმნება.

187. სამხედრო ჯგუფები. — არმიაც ასევე შეიძლება ზეწოლის ჯგუფს წარმოადგენდეს. მართლაც, მას მატერიალური ძალა აქვს. გასაკვირია არა ის ფაქტი, რომ სამხედრო რეჟიმები არსებობენ, არამედ ის, რომ მხოლოდ სამხედრო რეჟიმები არ არსებობენ. სამხედრო ხელისუფლების საჯარო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება არ არის თავისთავადი რამ. ამგვარი დაქვემდებარება სამოქალაქო კულტურის მაღალ დონეს მოითხოვს, რაც სამხედროების მხრიდან უკურეაქციის რისკს მთლიანად არ გამორიცხავს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო ხელისუფლებისადმი არმიის დაქვემდებარება რეალურია, დიდი ხნის ისტორია აქვს და მყარია, მან ნებისმიერი სოციალური ჯგუფის მსგავსად შეიძლება ზეწოლის ჯგუფის როლი შეასრულოს. მაგალითად, აშშ-ში სადაც არასოდეს არ მომხდარა პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროების პირდაპირი ჩარევა, „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის" გავლენა იგრძნობა. ეს გამოთქმა 1961 წელს პირველად პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოიყენა და ის მაშინვე აიტაცეს. ის გამოხატავს იმ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც არმიასა და კერძო ფირმებს შორისაა დამყარებული. ეს უკანასკნელნი არმიის შეკვეთების ხარჯზე არსებობენ. საერთო ინტერესებით გაერთიანებული აღნიშნული ჯგუფები მთავრობის არჩევანზე ზეწოლას ახდენენ, სახელდობრ, შეიარაღებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში. თუმცა ამ ქმე-

დების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს გადაჭარბებული: „კომპლექსმა" ხელი ვერ შეუშალა ვიეტნამის ომიდან ამერიკის გამოთიშვას, მან ასევე ხელი ვერ შეუშალა ამ ომის შემდგომ იზოლაციონიზმს, რომელსაც შედეგად სამხედრო კრედიტების მასობრივი შემცირება მოჰყვა. საფრანგეთში არმიის პოლიტიკური გავლენა კიდევ უფრო მეტადაა შეზღუდული, სტრატეგიული არჩევანის საკითხშიც კი. მაგალითად, არმიამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია ბირთვული იარაღის განვითარებას, რომელიც გენერალ დე გოლს სურდა, მიუხედავად იმისა, რომ არმია ამ საკითხის მიმართ აშკარად მტრულად იყო განწყობილი.

კომუნისტურ სისტემებში ხელისუფლება ექსკლუზიურად პარტიას ეკუთვნის, ხოლო სამხედროები მიუხედავად მათი პრესტიჟული მდგომარეობისა, პარტიის მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან. ამავე დროს, ხშირად არმიის მეთაურები სამოქალაქო პირები არიან, რომლებიც ამ თანამდებობის გამო სამხედრო სამოსს ატარებენ. კომუნისტურ ქვეყანაში პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროების ჩარევის ერთადერთ მაგალითს ჩინეთი წარმოადგენს. არმია ბევრჯერ ყოფილა გახლეჩილი მოწინააღმდეგე ფრაქციებს შორის: სწორედ არმიის წყალობით კულტურული რევოლუციის დასაწყისში მაო ძედუნმა ხელისუფლების სათავეში მოსვლა მოახერხა, მას შემდეგ რაც მისგან ჩამოშორებული იქნა. შემდგომში ასევე არმიის დახმარებით მოხერხდა სიტუაციის ნორმალიზება და „წითელი გვარდიის" ჩახშობა და სწორედ არმიამ დენ სიაოპინს მაო ძედუნის მემკვიდრეებზე გამარჯვების შესაძლებლობა მისცა.

პოლონეთის შემთხვევაში 1981 წელს გენერალ იარუზელსკის მიერ პრემიერ-მინისტრის, შემდეგ კი პარტიის პირველი მდივნის თანამდებობის დაკავება კომუნისტური სისტემებისთვის სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა ეს მხოლოდ გარეგნული სიახლე იყო. მიუხედავად ამ მოვლენების სამხედრო გადატრიალებად წარმოჩენის პრეტენზიისა, ეს იყო მხოლოდ ხელისუფლებაზე მონოპოლიის ე.ი. პარტიის მონოპოლიის განმტკიცების განსაკუთრებული საშუალება. თუკი რეჟიმი საბოლოოდ მაინც დაინგრა, ეს არ მომხდარა სამოქალაქო პირებსა და სამხედროებს შორის დაპირისპირების გამო. რეჟიმის დანგრევა მოხდა საზოგადოების მასობრივად მტრული განწყობის შედეგად, რომლის შეჩერება მხოლოდ სამხედრო ინტერვენციის, ანუ საბჭოთა ინტერვენციის მუქარას შეეძლო.

აღნიშნულ შემთხვევებში არმია ზეწოლის ჯგუფის როლს ასრულებს. ეს ხდება ან კლასიკური მნიშვნელობით, როდესაც ის სახელმწიფო ორგანოებზე ზეწოლას ანხორციელებს საკუთარი ინტერესების დასაცავად ან სპეციფიკური მნიშვნელობით, როდესაც ის არბიტრის როლში გამოდის პოლიტიკურ ფრაქციებს შორის კონფლიქტში. პირიქით, არმია ზეწოლის ჯგუფს აღარ წარმოადგენს, თუკი ის სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებას ცვლის. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფენომენები ძალიან განსხვავებულ სიტუაციებს მოიცავს. ზოგიერთ შემთხვევაში, არმია ხელისუფლებას ეუფლება და მას შეძლებისდაგვარად ხანგრძლივად ინარჩუნებს, ზოგჯერ კი ის ხელისუფლებას სწრაფად გადასცემს სამოქალაქო პირებს. იდეოლოგიური თვალსაზრისით, სამხედრო გადატრიალება ხან მემარჯვენეების (საბერძნეთი, ჩილე, არგენტინა) ხან კი მემარცხენეების (პორტუგალია, ეთიოპია) მიერ ხორციელდება. სამხედრო გადატრიალება ასევე შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაციონალისტური რეაქცია იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც არაკომპეტენტურად, კორუმპირებულად და უცხოელების (ეგვიპტე, ლიბანი) ხელშემწყობად არის მიჩნეული. გარდა ამისა, სამხედრო რეჟიმი შეიძლება არ იყოს აშკარად დიქტატორული: პირიქით, ის შეიძლება გამიზნული იყოს დემოკრატიის დამკვიდრებისათვის ან მის აღსადგენად: ამგვარად, სალაზარის რეჟიმი პორტუგალიაში სამოქალაქო რეჟიმს წარმოადგენდა, რომლის დამფუძნებელი პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო. თავითნებობის გარეშე შეუძლებელია სამხედრო ხელისუფლების განსაკუთრებულობაზე ლაპარაკი. არსებობს სამხედრო ხელისუფლება, რომლის ერთიანობა აშკარად ნეგატიურია: ის სამოქალაქო ხელისუფლების მიერ საზოგადოების დაპირისპირებათა მართვის უუნარობიდან მომდინარეობს.

ამგვარად, სამხედრო ხელისუფლება სიმპტომია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის მკურნალი არ არის: ამის დასაბუთებაა ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ აღნიშნული სამხედრო გადატრიალებიდან გამოსული ყველა რეჟიმი საბოლოოდ დაინგრა. სამხედროებმა ყველა სფეროში მარცხი განიცადეს, განსაკუთრებით კი ეკონომიკის სფეროში. საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ამ რეჟიმების დაგმობამ ასევე თავისი როლი ითამაშა. ნებისმიერ შემთხვევაში საკვირველია, რომ ბოლო წლებში ამ ფენომენის აშკარა რეგრესი შეიმჩნევა. რეგიონებში, სადაც სამხედ-

რო გადატრიალებებს ყველაზე ხშირად ჰქონდა ადგილი სახელდობრ, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში, პირიქით, სამოქალაქო და დემოკრატიულ რეჟიმებთან დაბრუნება აღინიშნება.

ნაწილი III. ზეწოლის ჯგუფების მოქმედების საშუალებები

188. უშუალო და გამუალებული სტრატეგიები. — აქამდე ჩვენ ძირითადად ჯგუფებს განვიხილავდით. ახლა მართებული იქნება ზეწოლის ცნების დეტალური შესწავლა. ის განისაზღვრება როგორც პოლიტიკურ ხელისუფალთა მხრიდან გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღწევად გამოყენებულ საშუალებათა ერთობლიობა. თუკი ისთონის სიტყვებს მოვიშველიებთ, ზეწოლის მიზანი პასუხების მიღებაა. თუმცა საქმე ნებისმიერ პასუხს არ ეხება: ზეწოლის მთელი არსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ჯგუფები ინდიფერენტულები არ არიან მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. თავისი მიზნების მისაღწევად ჯგუფებს ორ სტრატეგიას შორის აქვთ არჩევანი. პირველი სტრატეგია მდგომარეობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებისადმი უშუალოდ მიმართვაში: მთავრობა, პარლამენტი ან ადმინისტრაცია, მისაღწევი გადაწყვეტილებების მიხედვით. მეორე სტრატეგიას იგივე მიზანი აქვს, რადგან ისიც გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. თუმცა მის მისაღწევად ჯგუფი არაპირდაპირ სტრატეგიას იყენებს: მიზნის მისაღწევად ჯგუფი საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლას ახდენს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა თავის მხრივ, ზეწოლა მოახდინოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებზე. არჩევანი ამ ორ სტრატეგიას შორის დამოკიდებულია არა დოქტრინაზე, არამედ მართებულობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ მაშინ, როდესაც ზეწოლის ჯგუფს საზოგადოებრივი აზრი არ წყალობს, უფრო მართებულია პირდაპირ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებისთვის მიმართვა. ეფექტური ქმედებით ჯგუფს მეტი წარმატების მიღწევა შეუძლია, რასაც საკითხის ფართოდ განხილვის შემთხვევაში ვერ მიაღწევდა. ზოგჯერ პირიქით, თუკი ჯგუფი ასე ვთქვათ „შერისხულია" ხელისუფალთა მხრიდან, თავისი მიზნების მისაღწევად მან საზოგადოებრივ აზრს უნდა მიმართოს. მან იმ სასიკეთო შიშის იმედი უნდა იქონიოს, რომელსაც მმართველები საზოგადოებრივი აზრის მიმართ განიცდიან. მეორე მხრივ, ყველა ჯგუფი თანაბარი არ არის ამგვარი არჩევანის წინაშე. ზოგიერთ მათგანს გავლენის მეტ-ნაკლებად ფარული ქსელები აქვთ, რაც მათ საშუალებას აძლევს პირდაპირ მიმართონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებს. სხვებს იგივე შესაძლებლობები არ გააჩნიათ და მათ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება უნდა მოახდინონ.

1 / ზეწოლა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებზე

189. ინფორმაცია. — პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებზე ზეწოლის პირველი საშუალება ინფორმაციაა. ეს მტკიცება შეიძლება პარადოქსულად ჩანდეს: განა ვინმეს ინფორმირება მასზე ზეწოლას ნიშნავს? რა თქმა უნდა, რადგან ახალი მონაცემების მიწოდებით ინფორმაცია პასუხისმგებელ პირთა შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებს ცვლის. გარდა ამისა, ზეწოლის ჯგუფების მხრიდან გმირობის ტოლფასია საჯარო ხელისუფლებისთვის აბსოლუტურად ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. საჯარო ხელისუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ ინფორმაციას. ზეწოლის ჯგუფების პუბლიკაციები, მათ მიერ გამოქვეყნებული ბროშურები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ფაქტებს არ ნიღბავენ (ეს სახიფათო იქნებოდა, რადგან ამგვარი უხეში ფალსიფიკაციის ავტორებს დანაშაულზე წაასწრებდნენ) ამ უკანასკნელთ კეთილგანწყობილად წარმოაჩენენ მათი თეზისების მიმართ. არსებობს მიზანმიმართული ობიექტურობის ხელოვნება, რომლის ეფექტურობა გამოუცდელ მკითხველებში (ეს ჩვეულებისამებრ ხელმძღვანელებს ეხება, რადგან მათ ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ცოდნა არა აქვთ ტექნიკური საკითხების შესაფასებლად) ძალზედ დიდია. ინფორმაციის აღნიშნული მეთოდები ყველა ჯგუფის მიერ გამოიყენება, როგორც კი მათ ორგანიზაცია და საკმარისი ფინანსური საშუალებები უჩნდებათ. ზეწოლის ამ მეთოდებს ზეწოლის ჯგუფები განსაკუთრებით პარლამენტარების მიმართ იყენებენ. მართლაც, მთავრობასა და ადმინისტრაციასთან მიმართებაში ზეწოლის ჯგუფებს გააჩნიათ შეთანხმებისა და მონაწილეობის პროცედურებზე უფრო პირდაპირი ზემოქმედების საშუალებები.

190. შეთანხმება და მონაწილეობა. — აქტიურად მოქმედი ხელმძღვანელების გვერდით საკონსულტაციო ორგანოების შექმნის იდეა დიდი ხანია არსებობს. მაგრამ ეს იდეა შეიძლება სხვადასხვა საბოლოო მიზნებს პასუხობდეს. ამგვარად, ნაპოლეონის ეპოქაში ამ ორგანოების შექმნა (სახელმწიფო საბჭო მთელი ქვეყნის მასშტაბით, პრეფექტურის საბჭოები — მომავალი ადმინისტრაციული ტრიბუნალები დეპარტამენტების დონეზე) ძირითადად კომპეტენტური პიროვნებების გაერთიანებას ისახავდა მიზნად, რომელთაც ადმინისტრაცია უნდა გაენათლებინათ. სხვათა შორის, ეს იმაზე მიუთითებს, რომ იმ შორეულ ეპოქაში ადმინისტრაცია ყოვლისმცოდნე ორგანოდ არ განიხილებოდა. დღეისათვის საეჭვოა, რომ ეს ასპექტი (მიუხედავად იმისა, რომ ის სრულიად არ გამქრალა) უპირველესი იყოს. დღეს აქცენტი უფრო მეტად კეთდება ამ მეთოდის დემოკრატიულ ხასიათზე: შეთანხმების სტრუქტურების გამრავლების წყალობით, რომელთა შორისაც ზოგიერთი მუდმივ ხასიათს ატარებს (ეკონომიკური და საზოგადოებრივი საბჭო, გეგმური კომისიები), ზოგი კი გარემოებისდა მიხედვით იქმნება („მრგვალი მაგიდები", ad hoc-ის კომისიები), ხელქვეითები მონაწილეობას იღებენ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც მათ ეხებათ.

უდავოა, რომ ეს პრინციპი ქებას იმსახურებს, მაგრამ მისი განხორციელება მრავალ პრობლემას წარმოშობს. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება დაინტერესებულ პირთა წარმომადგენლების დანიშვნას: პრაქტიკაში ყოველთვის ზეწოლის ჯგუფების წარმომადგენლებს ნიშნავენ, მიუხედავად ისეთი ეუფემიზმის გამოყენებისა როგორიცაა „წარმომადგენლობითი ორგანიზაციები". ეს ფენომენი მოხერხებულობის მიზეზით აიხსნება: ნიშნავენ მათ, ვისაც იცნობენ. არსებობს ასევე პოლიტიკური ხასიათის მიზეზები: საჯარო ხელისუფლებას არ სურს იმ ორგანიზაციების უკმაყოფილების გამოწვევა, რომლებთანაც მან ნებისმიერ შემთხვევაში მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს. ამავე დროს, ამ შემთხვევაში სისტემის პირველ ორაზროვნებას უნდა შევეხოთ: განა იმ სოციალური კატეგორიების აზრი მართლაც არის გამოხატული ზეწოლის ჯგუფების მიერ, რომელთა ხელმძღვანელებიც საკუთარ თავს ნიშნავენ და არა აქვთ მიღებული მკაფიოდ და დემოკრატიულად ფორმულირებული მანდატი? პასუხი ამ კითხვაზე არ არის სრულიად აშკარა.

მეორე მხრივ, თავად შეთანხმებების პროცედურების დონეზე, კარიკატურული სახით წარმოდგენის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ორი შესაძლებლობა არსებობს. ან ზეწოლის ჯგუფი ძალიან ძლიერია მაგალითად, როგორც ამას საფრანგეთში ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობის სექტორში 1981 წლამდე და სწორედ ამ შემთხვევაში ზეწოლის ჯგუფი სახელმწიფოს თავის პოლიტიკას კარნახობს: საერთო ინტერესების საფარქვეშ ადმინისტრაცია იმ გადაწყვეტილებებს იღებს, რომელიც შეიძლება ლეგიტიმური, მაგრამ სპეციფიკური ინტერესებით იყოს ნაკარნახევი. ან თავად ადმინისტრაცია არის ძლიერი და არ სურს დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების დემოკრატიულად ჩატარება. საკონსულტაციო ჯგუფების მეშვეობით, მცირე დათმობების სანაცვლოდ, ის იმ გადაწყვეტილებებს ამტკიცებს, რომელიც უკვე მიღებული ჰქონდა. ამ შემთხვევაში, შეთანხმება მანიპულაციის ტექნიკად გარდაიქმნება. ორ აღნიშნულ სიტუაციაში, იშვიათად ხდება ჭეშმარიტი მოლაპარაკებების წარმოება, რომელსაც ორივე მხარის დაკმაყოფილება შეუძლია.

იოლი გასაგები ხდება თუ რატომ თანხმდება ზეწოლის ზოგიერთი ჯგუფი შეთანხმების პრინციპს, რომელიც ძირითადად მის სასარგებლოდ მუშაობს. სხვა ჯგუფები კი პირიქით, მასში ხაფანგს ხედავენ. თუმცა ეს პრინციპი გამოყენებისთვის ძალიან მოქნილია. ამგვარად, მუშათა გაერთიანებული პროფკავშირები, რომლებიც ამ პრაქტიკის მიმართ ხშირად თავს იკავებენ, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში, დისკუსიებში მონაწილეობაზე უარს არ ამბობენ: ისინი ამ დისკუსიებს ინფორმაციის შეგროვებისა და მათი იდეების გაცხადების ტრიბუნად იყენებენ. მაგრამ ისინი უარს ამბობენ ამ შეკრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების გარშემო დებატებზე.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ ამ სისტემას ბევრი ორაზროვნება ახასიათებს. ის პრინციპების სახელით შეიქმნა, მაგრამ მხოლოდ პარტნიორებისა და მეტოქეების ქვენა აზრის საფუძველზე ფუნქციონირებს და ამიტომაც, ხშირად ძალთა თანაფარდობის შესანიღბავად გამოიყენება.

191. ღია მუქარა. — ზეწოლის ჯგუფები ასევე ღია მუქარას მიმართავენ, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ცდილობენ არა საკუთარი აუდიტორიის გაფართოებას, არამედ სპეცი-

ფიკურ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას. ეს ფენომენი განსაკუთრებით არჩევნების დროს ვლინდება. ზეწოლის ჯგუფები კანდიდატებს პოულობენ, ამ უკანასკნელთ მოთხოვნათა ნუსხას წარუდგენენ, ისინი მათდამი კეთილგანწყობილ კანდიდატებს უპერენ მხარს და ყველა მათ ხელთ არსებული საშუალებებით სხვა კანდიდატებს ხელს უშლიან მათი ქმედების განხორციელებაში. არჩევნების პერიოდი ხელსაყრელია, რადგან ყველა კანდიდატი, მმართველთა ჩათვლითაც, მყიფე პოზიციაში იმყოფება. გარდა ამისა, ამგვარი დემარში დემოკრატიული სისტემის ნორმალურ შედეგად გამოიყურება. საარჩევნო პერიოდის მიღმა, ამ ტიპის ზეწოლა პარლამენტარებზე ხორციელდება.

არიან კი მმართველები და ფუნქციონერები მუქარისგან საიმედოდ დაცულნი საარჩევნო პერიოდის მიღმა? არა, მაგრამ მუქარა უცილობლად სხვა ფორმას იძენს. მართლაც, დასაშვებად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ რომელიმე ზეწოლის ჯგუფი რჩეულს დაემუქროს მის წინააღმდეგ ხმის მიცემით: ეს არის საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპის განსაკუთრებული, მაგრამ ლეგიტიმური პრაქტიკა. ამის საპირისპიროდ, დაუშვებლად მიიჩნევენ იმას, რომ ზეწოლის ჯგუფი რომელიმე ფუნქციონერს მისი კარიერისთვის ხელის შეშლით დაემუქროს ან მთავრობის მიმართ საჯარო შანტაჟი გამოიყენოს. თუკი ზეწოლის ჯგუფი ამგვარ სტრატეგიას მიმართავს, ის მის წინააღმდეგვე შემოტრიალდება. ამ ტიპის ჩარევები, მათი არსებობის შემთხვევაში, ფარული ზეწოლიდან მომდინარეობს ან მთავრობის შემთხვევაში, არაპირდაპირი ზეწოლიდან, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით ხორციელდება.

გარდა ამისა, უნდა დავსძინოთ, რომ ღია მუქარა ნაკლებად ეფექტური იარაღია. პარლამენტარებს არ მოსწონთ საჯარო შანტაჟის წინაშე დათმობა, რადგან ეს აშკარად ეწინააღმდეგება იმ იმიჯს, რომელიც მათ საკუთარ თავზე აქვთ შექმნილი. ზეწოლის ჯგუფები, რომლებიც ამ საშუალებას იყენებენ, აღნიშნულ ფაქტს ხსნიან იმით, რომ მათ სხვა საშუალებები არ გააჩნიათ: ღია, მაგრამ პატივისაცემი ზეწოლა, ფარული, მაგრამ ეფექტური ზეწოლა.

192. ფარული ზეწოლა. — ფარული ზეწოლის საშუალებები ძალიან მრავალფეროვანია და ყველა მათგანი პოლიტიკურ გადახრას არ მიეკუთვნება. რა თქმა უნდა, ყველაზე ეფექტური საშუალება აბსოლუტურად კანონიერია. ის ეყრდნობა ზეწოლის ჯგუფების წევრთა იმ პირად ურთიერთობებს, რომელიც მათ მმართველ წრეებთან გააჩნიათ. ქცევის მანერის ერთიანობა, ინტელექტუალური პოზიცია მნიშვნელოვანწილად აიოლებს შეხედულებების გაცვლასა და დაახლოებას. ამასთანავე, მეგობრულ ურთიერთობათა ფართო ქსელი ძალაუფლების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით, ზეწოლის ჯგუფები ძალიან განსხვავებულ სიტუაციაში არიან. ზეწოლის ის ჯგუფები, რომლებიც საქმიან სამყაროსთან არიან დაკავშირებულნი, მმართველების წინაშე დიდი უპირატესობით სარგებლობენ, რაც მომდინარეობს სოციალური წარმომავლობიდან, საერთო განათლებიდან და ამასთანავე იმასთან, რომ კერძო და საჯარო სექტორს შორის მრავალი კავშირი არსებობს. დაქირავებულ მუშაკთა ორგანიზაციებს იგივე შესაძლებლობები არ გააჩნიათ.

აღნიშნული ფაქტები უდავოა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მათი პრაქტიკული ეფექტურობის განსაზღვრა რთულია. ისინი „სოციოლოგიური ინერციის" (ცვლილებების განხორციელების სურვილის არქონა) სფეროს არ სცილდებიან: სხვა სფეროების მსგავსად, აქაც სოციალური სოლიდარობა მოქმედებს. შეიძლება ამასთან დაკავშირებით სინანული გამოვთქვათ, მაგრამ ეს ფაქტია. ჯგუფები ამ სიტუაციას თავის სასარგებლოდ იყენებენ, მაგრამ ისინი მას არ ქმნიან. საქმე სხვაგვარადაა ფარული ზეწოლის საშუალებების და, უპირველეს ყოვლისა, კორუფციის შემთხვევაში.

კორუფცია შეიძლება ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდეს: მცირე საჩუქრების საშუალებით პასუხისმგებელი პირის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობენ. საფრანგეთში III რესპუბლიკის პერიოდში, ბევრმა სკანდალმა (პანამის საქმე, სტავისკის საქმე) დიდი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. უახლოეს დროში მომხდარი ბევრი სკანდალი, მაგალითად ფირმა „ლოკჰიდის" (Lockeed) მიერ დასავლეთის მაღალი რანგის პოლიტიკური პასუხისმგებელი პირებისთვის ქრთამის მიცემა შეიარაღების ბაზარზე პირველი ადგილის მოსაპოვებლად ნათლად გვიჩვენებს, რომ ამგვარი პრაქტიკა არ არის საბოლოოდ დასრულებული. თუმცა ამ ტიპის საქმეები იშვიათად გამოაქვთ სააშკარაოზე და ამიტომაც, თითქმის შეუძლებელია ამ ფენომენის მასშტაბისა და გავლენის თაობაზე ვარაუდების გამოთქმა.

ფარული ზეწოლის საშუალებად ასევე შანტაჟი გამოიყენება. თუმცა, წინა შემთხვევის მსგავსად, შანტაჟის ეფექტურობის პირობა მისი საიდუმლოდ შენახვაა. წარმატებული შანტაჟი ის შანტაჟია, რომლის შესახებაც არ იციან. ამ პირობებში, ეს საკითხი არ შეიძლება მეცნიერული თვალთახედვით იქნეს განხილული. თუკი ცნობილი გახდებოდა ყველა მოტივი, რამაც რომელიმე პოლიტიკოსს ესა თუ ის არჩევანი გააკეთებინა, შეიძლება გვეგარაუდა, რომ ზოგიერთი მოვლენა ახლებურად იქნებოდა გაშუქებული.[47]

2 / ზეწოლა საზოგადოებრივ აზრზე

193. ღია პროპაგანდა. — საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლის პირველ ფორმად უდავოდ, ღია პროპაგანდა უნდა ჩაითვალოს. ჯგუფები მას სამი სახით ანხორციელებენ: უპირველეს ყოვლისა, იმ გაზეთებით, რომელსაც ისინი უშუალოდ და ოფიციალურად გამოსცემენ. თუმცა ამ პროფკავშირულ და კორპორაციულ პრესას შეზღუდული გავრცელება აქვს. ის უფრო მეტად ჯგუფების წევრებისადმი არის მიმართული, ვიდრე ფართო საზოგადოებისადმი, რომელმაც ხშირ შემთხვევაში, არც კი იცის ამ გაზეთების არსებობის შესახებ. მეორე მხრივ, ჯგუფები თავისი შეხედულებების გავრცელებას საინფორმაციო ორგანოების მეშვეობით ცდილობენ, რომლებიც მათ საქმიანობას აშუქებენ, მათ შეხედულებებს აქვეყნებენ, მათ ხელმძღვანელებს ინტერვიუს ართმევენ და სხვ. აშკარაა, რომ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ამა თუ იმ ზეწოლის ჯგუფისადმი კეთილგანწყობილი გაზეთები მას ამგვარ სამსახურს უწევენ, რაც ობიექტურად რეკლამის ტოლფასია. ზოგიერთი გაზეთი, მაგალითად „ლე მონდი" საფრანგეთში, სისტემატურად აშუქებს ზოგიერთი ჯგუფის პოზიციას (კერძოდ, პროფკავშირული ჯგუფებისას), რომელსაც ის ამ კუთხით პოლიტიკურ პარტიებთან აიგივებს. მაგრამ ამ შემთხვევაში, არჩევანი გარდაუვალად ხორციელდება, რასაც მატერიალური მიზეზები აქვს: გაზეთებს მოცულობის უსასრულოდ გაზრდა არ შეუძლიათ. ზოგიერთი ორგანიზაცია დასახელებულია, ზოგი კი არა. არჩევანი მხოლოდ ნაკლებად თვითნებურია ან პოლიტიკურად ნაკლებად ცალმხრივი. მესამე, ამ სირთულის გადასალახავად ჯგუფები იძულებულნი არიან დიდი საინფორმაციო გაზეთების გვერდები იყიდონ, რათა მათზე თავისი შეხედულებები თავისუფლად ჩამოაყალიბონ. აღ პრაქტიკას აშშ-ში ხშირად მიმართავენ და მისი გამოყენება საფრანგეთშიც დაიწყეს.

საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ამგვარი ფორმები არ არის შეურაცხმყოფელი, რადგან ყველა შემთხვევაში, გადმოცემული შეხედულება ხელმოწერილია. მოცემულ ჯგუფებს გამოხატვის საშუალება ეძლევათ, რაც ნორმალურია. მათ მოწინააღმდეგეებსაც აქვთ იგივე შესაძლებლობა, რაც ასევე ბუნებრივია. მკითხველები მოსამართლეებად გვევლინებიან. მაგრამ უბრალო ადამიანების თვალში გზავნილების ეფექტურობა შეზღუდულია იმ ფაქტის გამო, რომ მათ ხელს აწერს ის ხალხი, რომელსაც აღნიშნულ საკითხში თავისი პირდაპირი ინტერესი აქვს. ზეწოლის ჯგუფების თეზისების გამოყენებით რომელიმე თემაზე დაწყებული პრესის კამპანია მაშინ, როდესაც მისი შემკვეთები უცნობია, ნაკლებად მისაღებია, მაგრამ ის უფრო ეფექტურია. მართლაც, ბუნებრივია უპირატესობის მინიჭება სხვადასხვა დაუინტერესებელ პირთა აზრისათვის და არა მხოლოდ ერთი დაინტერესებული პირის აზრისათვის. აქედან მომდინარეობს ზეწოლის ჯგუფების მხრიდან ამგვარი სიტუაციის ხელოვნურად შექმნის ცდუნება: ამგვარად, ისინი ფარულ პროპაგანდას მიმართავენ.

194. ფარული პროპაგანდა. — „ობიექტური" ინფორმაციის ილუზიის შექმნის ყველაზე მარტივ საშუალებას ზოგიერთი საინფორმაციო ორგანოს პირდაპირი, მაგრამ ფარული კონტროლი წარმოადგენს. ამის მაგალითად ყოველთვის მოჰყავთ 1929 წელს ფორჯის კომიტეტის მიერ გაზეთ „თაიმსის" შესყიდვა. უახლესმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ეს ფენომენი წარსულს არ

[47] ამ შემთხვევაში, ჩვენ არ შევეხებით პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხს, რომელიც ინდივიდუალური კორუფციისაგან აშკარად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ მაათან ახლოს დგას ფულიდა და საიდუმლოებით. მართლაც, ეს პრობლემა არ შეიძლება იქნეს სერიოზულად განხილული რთულ, წინააღმდეგობრივ და ხშირად ნაკლებად ცნობილ დეტალებში ჩაღრმავების გარეშე. საფრანგეთში აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად შეცვალა პარტიების საჯარო დაფინანსების პრინციპმა (1988 წლის 11 მარტის კანონი, შეცვლილი 1990, 1993, 1995 და 1996 წლებში). თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველა ორაზროვნება მოხსნილია.

ჩაბარდა. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ინფორმაციის თავისუფლება იზღუდება. გაზეთების ყოველდღიურ მუშაობაში ინტერესთა შეჯახება შეიძლება მეტ-ნაკლებად ენერგიული იყოს: ყველაფერი პიროვნებაზე, მის გავლენაზე, მოხერხებულობაზე და თამაშის ჭეშმარიტ წარმმართველებზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ჩარევა სრულიადაც არ ვლინდება. ფარული ხელისუფლება ჟურნალისტების თვითცენზურას ენდობა: ამ უკანასკნელებმა ძალიან კარგად იციან, სადამდე შეუძლიათ წასვლა და რა დაუწერელი, მაგრამ საგრძნობი ზღვარიდან ისინი თავის მდგომარეობას საფრთხის ქვეშ ჩააგდებენ. ჟურნალისტებმა, სხვა დანარჩენებივით, არსებობის საშუალება უნდა მოიპოვონ.

მეორე მხრივ, გაზეთები შეზღუდვებს ექვემდებარებიან, რომელსაც მათ აუცილებლობა კარნახობთ და ისინი რეკლამას მიმართავენ. მართლაც, ყველა გაზეთმა, განსაკუთრებით კი ყოველდღიურმა გაზეთებმა, მკითხველის დაკარგვის შიშით გაყიდვის დაბალი ფასები უნდა შეინარჩუნონ. მაგრამ ამ შემთხვევაში, მათ არ შეუძლიათ თავისი ბიუჯეტის გაწონასწორების იმედი იქონიონ, სახელდობრ, პროდუქციის ღირებულების უწყვეტი ზრდის გამო. მათი გადარჩენა დაკავშირებულია იმ შემოსავლებთან, რომელიც მათთვის რეკლამას მოაქვს. ამ ვალდებულებას გვერდს უვლიან ის გაზეთები, რომელიც მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით და ასევე დამოუკიდებლობის რეპუტაციის მიზეზით, მთლიანად უარს ამბობენ რეკლამაზე. ამასთანავე, ისინი თავისი ხარჯების დაფარვას ახერხებენ: ამის მაგალითები არსებობს, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა. სხვა გაზეთებისთვის სარეკლამო შემოსავლები ძალიან მნიშვნელოვანია: რეკლამა მათ გადარჩენის საშუალებას აძლევს. თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს: რეკლამის მიმცემთა ზეწოლა შეიძლება საგრძნობი გახდეს, რაც სამი ფორმით ვლინდება. პირდაპირი ფორმით: რეკლამის მიმცემი გაზეთის ხელმძღვანელს უცხადებს, რომ თუ იგი არ დაიწყებს ან არ შეაჩერებს პრესის კამპანიას, იგი თავის რეკლამას უკან წაიღებს. გავრცელებული ფორმით: გაზეთის ხელმძღვანელმა იცის იმ პიროვნებათა დომინანტური პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, რომელნიც მას რეკლამას ანდობენ და ამას ანგარიშს უწევს. ჩვეულებისამებრ, რეკლამის წესი მის განთავსებას ყველაზე რენტაბელურ ადგილას მოითხოვს, მაშასადამე იმ გაზეთებში, რომელსაც ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს. აქედან გამომდინარე, მკითხველების დაკარგვა გარკვეულ შემთხვევაში, ასევე რამის დაკარგვას იწვევს. ეს ფენომენი უცილობლად არ იწვევს პოლიტიკურ შედეგებს: მემარცხენე ორიენტაციის რომელიმე გაზეთი რეკლამის მიმცემებს პოულობს, რადგან ეს უკანასკნელნი არ უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ ფაქტობრივად გაზეთი საზოგადოებაში გავლენის მქონე კატეგორიებს მიმართავს, სხვები ამ გაზეთებს არ ყიდულობენ. სწორედ აქედან მომდინარეობს გაზეთების ტონის კონტრასტულობა: ძალიან მკაცრი პრივილეგირებული კატეგორიების მიმართ და ამასთანავე ამ უკანასკნელთა მისამართით ღიად ხოტბისშემცველი სარეკლამო გვერდები. ამასთანავე, რეკლამის ძალას უფერულობით ნიველირების გამოწვევა შეუძლია: მკითხველების დაკარგვის და ამგვარად, რეკლამის დაკარგვის შიშით, გაზეთი იქამდე მიდის, რომ ნებისმიერ შეხედულებას იშორებს თავიდან, რომელიც გარემომცველი კონფორმიზმისგან განსხვავდება. თუმცა ამგვარი ფენომენი ნეგატიური პოლიტიკური შედეგის გარეშე არ რჩება: კრიტიკული აზრის თავიდან აცილებით, გაზეთი statu quo-ს შენარჩუნებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება ისეთ საინფორმაციო საშუალებებს, როგორსაც რადიო და ტელევიზია წარმოადგენს, განსხვავება უნდა გაკეთეს კერძო და საჯარო ორგანოებს შორის. პირველები მხოლოდ რეკლამის წყალობით არსებობენ და ამიტომაც, მათი სიტუაცია თითქმის გაზეთების სიტუაციის ანალოგიურია. მეორენი სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად მჭიდრო მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან. თუკი ეს ორგანოები კერძო ჯგუფებისაგან დამოუკიდებელნი არიან, პრობლემა აშკარად იჩენს თავს სახელმწიფოსთან, უფრო მეტად კი მთავრობასთან მათ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. სიტუაცია ძალიან ცვალებადია ქვეყნებისა და პოლიტიკური ტრადიციების მიხედვით. დიდ ბრიტანეთში ბი-ბი-სი (BBC) რეალური დამოუკიდებლობით სარგებლობს. ცნობილია, რომ საფრანგეთში იგივე არ ხდება. IV რესპუბლიკის დროს სისტემის მოწინააღმდეგეებისთვის (კომუნისტები და გოლისტები) სატელევიზიო ეთერის გამოყენება პრაქტიკულად აკრძალული იყო. V რესპუბლიკის დამყარებით კონფორმიზმი წესად დარჩა. წლების განმავლობაში სატელევიზიო ინფორმაციის დამოუკიდებლობის საკითხი პოლიტიკური დებატების ძირითად თემად რჩებოდა. მთავრობის ინტერესში აშკარად შედიოდა statu quo-ს შენარჩუნება, მაგრამ მეორე მხრივ, ზედმეტად მანიპულირებული ინფორმაცია დამაჯერებლობას კარგავდა. სწორედ აქედან გამომდინარე განხორციელდა რეფორმები, თუმცა მათ არსებული რეალობა სიღრმისეულად ვერ

შეცვალეს. საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის (RTF) სამსახურად გადაკეთება. შემდეგ კი მის სათავეში გენერალური-პრეზიდენტ დირექტორის დანიშვნამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყო. უშედეგობა კარგად გამოჩნდა, როდესაც გენერალური-პრეზიდენტი დირექტორი (PDG) თანამდებობიდან უხეში ფორმით იქნა გადაყენებული, მას შემდეგ რაც უკმაყოფილება გამოთქვა საინფორმაციო ორგანოში სახელმწიფო მდივნის ჩარევის გამო. 1974 წელს მოხდა საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის სამსახურის შვიდ დამოუკიდებელ გაერთიანებად დაშლა, რაც კრიტიკის განიარაღების მცდელობას წარმოადგენდა. ამ რეფორმამ მნიშვნელოვნად ვერ გააუმჯობესა რადიოსა და ტელევიზიის ინფორმაციის დამოუკიდებლობა, რაზეც მოწმობს ის მღელვარება, რომელიც თან ახლდა 1981 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მემარცხენეები სატელევიზიო ინფორმაციის მაღალი რანგის პასუხისმგებელ პირთა მოხსნას შეუდგნენ. ამ მხრივ, აღნიშნულის გაკეთება ნორმალურად გამოიყურებოდა, რადგან ეს უკანასკნელნი მემარცხენეების აშკარა მოწინააღმდეგეებივით იქცეოდნენ. თუმცა ცხადია, რომ რადიოსა და ტელევიზიის სფეროში ამგვარი წმენდის ჩატარება ლიბერალური პოლიტიკის საუკეთესო დასაწყისი არ იყო. ახალი რეფორმის საფუძველზე შეიქმნა აუდიო-ვიზუალურ საშუალებათა უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც 1986 წლის მარტის შემდეგ „კომუნიკაციისა და თავისუფლების ნაციონალური კომისიით" (CNCL) შეიცვალა. 1988 წელს ეს კომისია „აუდიო-ვიზუალური სამსახურის უმაღლესმა საბჭომ" შეცვალა. ყოველივე მიგვითითებს ამ საკითხის რთულ და ცვალებად ხასიათზე. მეორე მხრივ, სატელევიზიო არხების პრივატიზაციამ აუდიო-ვიზუალურ საშუალებათა პეიზაჟი შეცვალა. აღნიშნულს რთული შედეგები მოჰყვა: აუდიტორიისათვის ბრძოლა, აქედან გამომდინარე ნიველირებისა და კონფორმიზმის გამომწვევი შედეგებით, კერძო არხების ხელმძღვანელთა ზრუნვა მთავრობასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებისთვის.. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, ტექნიკის განვითარება (სატელიტი, საკაბელო ტელევიზია, მულტიმედია) ართულებს სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის ეფექტური გაკონტროლების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საინფორმაციო ორგანოები მთავარ ფსონს წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა მიერ წარმოებულ ბრძოლაში. ილუზორული იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ამ ორგანოებს შეუძლიათ აბსოლუტური დამოუკიდებლობით ისარგებლონ და მხოლოდ სიმართლე გადმოსცენ.

195. ბაშიცა. — ზეწოლის ჯგუფები ასევე მიმართავენ უფრო სპეციფიკურ და ნაკლებად მშვიდობიან საშუალებებს. მართლაც, მათთვის საკმარისი არ არის ზოგადად საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის მოპოვება და მისი შეხედულებების გაზიარება. მათ ასევე ესაჭიროებათ დახმარება იმ კონკრეტულ კონფლიქტებში, რომელიც მათ თავიანთ პარტნიორებს უპირისპირებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება გაფიცვაა.

ამასთანავე, თავიდანვე ჩნდება შეკითხვა. გაფიცვა სამუშაო კონფლიქტია. ის ერთმანეთს დამქირავებლებსა და დაქირავებულ მუშაკებს უპირისპირებს, რომლებიც კერძო პირები არიან. რატომ ატარებს ეს კონფლიქტი პოლიტიკურ ხასიათს? რატომ უნდა იყვნენ მმართველები დაკავებულნი გაფიცვის პრობლემებით?

მართლაც, ბევრ შემთხვევაში გაფიცვამ შეიძლება პოლიტიკური ხასიათი მიიღოს. ეს ხდება უპირველს ყოვლისა მაშინ, როდესაც გაფიცვა აკრძალულია. არაკანონიერი გაფიცვა უცილობლად არსებული წესრიგისადმი გლობალური პროტესტის ხასიათს იძენს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის აშკარად მეამბოხე ხასიათს არ ატარებს. ამგვარი ტიპის მოძრაობები რეპრესიას იწვევს და ამგვარად, პოლიტიკური ძალებისთვის პირდაპირ გამოცდას წარმოადგენს.

მეორე, გაფიცვა პოლიტიკურ ხასიათს იძენს მაშინ, როდესაც სახელმწიფო თავად გამოდის დამქირავებლის როლში. ფუნქციონერებისა და დიდი საჯარო სამსახურების (ტრანსპორტი, ელექტრომომარაგება და სხვ.) მუშაკთა გაფიცვები სახელმწიფოს პირველ რიგში ეხება, რადგან ის კონფლიქტის მხარეა და ასევე იმიტომ, რომ გაფიცვა ქვეყნის ცხოვრებას სიღრმისეულად არღვევს. მოქალაქეები სახელმწიფოს პრობლემების სწრაფად გადაჭრის უნარის მიხედვით განსჯიან. მნიშვნელოვანი დათმობების გარეშე, რომელიც შეიძლება გადამდები გახდეს, სახელმწიფომ პრობლემის მოგვარება უნდა შესძლოს.

მესამე, აშკარად კერძო კონფლიქტი შეიძლება პოლიტიკურ საქმედ იქცეს, საწარმოს დახურვის შემთხვევაში, რადგან ეს დაქირავებულ მუშაკთა უმუშევრად დარჩენას იწვევს. ამ შემთხ-

ვევაში სამუშაო კონფლიქტის პრობლემატიკიდან გამოსვლა ხდება იმდენად, რამდენადაც თავად სიტყვა „გაფიცვა" მთლიანად უნდა იქნეს უკუგდებული. მართლაც, აღარ არსებობს ორი პარტნიორი, რომელიც ერთი მეორეზე ზეწოლას ანხორციელებს, რადგან მათ ერთი საერთო ინტერესი ამოძრავებთ: საწარმოს გადარჩენა. პირიქით, პრობლემა დამქირავებლის გაქრობასთან ერთად ჩნდება. ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ მოსამსახურეებმა? მათ მხოლოდ სახელმწიფოს იმედი რჩებათ: ისინი იმედოვნებენ, რომ ის მათზე იზრუნებს, იპოვის „წამგებიანი საწარმოს მყიდველს" და მნიშვნელოვანი სუბსიდიების დახმარებით ახალ უმუშევრებს მზრუნველობას გაუწევს და უკიდურეს შემთხვევაში, 1848 წლის ნაციონალურ სახელოსნოებს აღადგენს, რომელიც ეკონომიკური ლოგიკის მიღმა, მათ ხელფასებით უზრუნველყოფს. ამგვარი სიტუაციის მსხვერპლთა უკიდურესი გაჭირვება მათ ხანგრძლივი და ზოგჯერ ძალადობრივი ქმედებებისკენ უბიძგებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უწესრიგობით შანტაჟი, როგორც ეს ფერმერების შემთხვევაში ხდება, თუმცა განსხვავებული პროცესის გამო, უმუშევართა მოქმედების ერთადერთ საშუალებად რჩება. ამ ქმედების ეფექტურობა შეიძლება რეალური იყოს, როდესაც პრობლემა შეზღუდულია. ამგვარი ქმედება ძალიან შეიზღუდა 80-იან და 90-იან წლებში მემარცხენე მთავრობების პირობებშიც კი, როდესაც ეკონომიკის ნაწილი (მეტალურგია, გემთმშენებლობა და სხვ.) დაინგრა.

ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი უკანასკნელში, საზოგადოებრივი აზრი გადამწყვეტ როლს თამაშობს. თუკი ის გაფიცულთა მოთხოვნებს უჭერს მხარს, მას შეუძლია მთავრობა დათმობებზე წასვლაზე აიძულოს, თუკი ეს უკანასკნელი კონფლიქტში დამქირავებლის როლშია წარმოდგენილი ან დაქირავებული მუშაკების სასარგებლოდ ჩაერიოს. თუკი პირიქით, საზოგადოებრივი აზრი მტრულად ან ინდიფერენტულად არის განწყობილი გაფიცულთა მიმართ, რადგან მათ მოთხოვნებს გადაჭარბებულად მიიჩნევს ან მაშინ, როდესაც გაფიცულთა მიმართ ინტერესს არ იჩენს, ამ შემთხვევაში, მთავრობას არ ეშინია მტკიცე და არაპოპულარული ზომების მიღება. მთავრობა ბრძოლას იწყებს მოგების დიდი შანსით. ყოველივე მოქნილი თამაშის წარმოების შესაძლებლობას იძლევა, რასაც კარგად გვიჩვენებს საჯარო სამსახურების გაფიცვები: პროფკავშირებმა თავისი ძალა უნდა აჩვენონ, მთავრობას სირთულეები შეუქმნან იმისათვის, რომ შეთანხმებაზე წასვლა აიძულონ. იმისათვის რომ უკმაყოფილება პროფკავშირების წინააღმდეგ არ იქნეს მიმართული მათ ისე უნდა იმოქმედონ, რომ გაფიცვებით გამოწვეული უკმაყოფილება საჯარო ხელისუფლებისკენ წარიმართოს, რომლის უკომპრომისობას გმობენ. ეს დელიკატური ამოცანაა, რადგან მთავრობაც თავის მხრივ, საპირისპირო პროპაგანდას მიმართავს. აქედან გამომდინარე, ყველაზე ეფექტური იარაღი ასევე ყველაზე ნაკლებად მოსახერხებელია: მაგალითად, ენერგომომარაგების მუშაკთა გაფიცვის დროს დენის მიწოდების შეჩერება ქვეყნის პარალიზებას იწვევს. ამგვარი ქმედებების არაპოპულარულობის გამო პროფკავშირები იძულებულნი გახდნენ ისინი თითქმის მთლიანად შეეწყვიტათ.

196. ძალადობა. — იგივე ტიპის ანალიზი შეიძლება გამოყენებული იქნეს მოქმედების იმ ფორმებთან, რომელიც ასევე შანტაჟის ფორმას იძენს. მაგრამ ამჯერად საქმე ეხება არა სამუშაოს შეჩერების გზით შანტაჟს, არამედ უწესრიგობასა და ძალადობას. ჩვენ უკვე ვახსენეთ ამ ტიპის პრაქტიკა (მასობრივი დემონსტარციები, გზის გადაკეტვა, საზოგადოებრივ ადგილებზე ხილისა და ბოსტნეულის დაყრა, ბუნტი). მოქმედების ამ საშუალებებს ადგილი აქვს გაფიცვის შეუძლებლობის შემთხვევაში (ფერმერები), მისი ნაკლებად ხელსაყრელობის (ვაჭრები) ან ნაკლებად შემზღუდველი (სტუდენტები) ხასიათის გამო, ან მაშინ, როდესაც დამქირავებელი აღარ არსებობს. ზეწოლის ამ ტიპის შერბილებული ფორმაა ის ქმედებები, რომელიც საზოგადოებრივი აზრის „ყურადღების მიქცევისკენ" არის მიმართული და ამ შემთხვევაში, ძალადობით მუქარა ფოლკლორით ან ხუმრობით არის შელამაზებული. ფაქტობრივად, ყოველივე ნაკლებად მოქნილი და სახიფათო თამაშია. სუსტ პოზიციაში მყოფმა ჯგუფებმა (ძლიერი პოზიციის არსებობის შემთხვევაში ისინი სხვა მეთოდებს გამოიყენებდნენ) მოვლენა უნდა შექმნან ჩუმად გასრესის შიშით. გამოაქვთ რა სააშკარაოზე მათი უფლებამოსილების მიმცემთა აღშფოთება (რომელთაც ამ უკანასკნელთა თქმით, ისინი დიდი ძალისხმევის შედეგად აკავებენ), ისინი ცდილობენ მმართველებს უწესრიგობის შიში ჩაუნერგონ და ამ გზით მათ დათმობებზე წასვლა აიძულონ. ამავე დროს, ზეწოლის ჯგუფებს ესმით, რომ გარკვეული ზღვარის შემდეგ, საზოგადოებრივი აზრი მათ ზურგს შეაქცევს და უპირველეს ყოვლისა, წესრიგის აღდგენას მოითხოვს, რითაც საჯარო ხელისუფლებას მოქმედების თავისუფლების სრულ საშუალებას მისცემს: 1968 წლის მაისის მოვლენებმა ამ პროცესის

კარგი ილუსტრირება მოახდინა მიუხედავად იმისა, რომ მათი საფუძველი ნაწილობრივ განსხვავებული იყო. ამასთანავე, თუკი ხელისუფლება დათმობაზე წავა მას მოთხოვნათა გაზრდის რისკი ემუქრება; თუკი ის წინააღმდეგობას გაწევს, ის შეიძლება ძალადობათა სპირალის რისკის ქვეშ აღმოჩნდეს. ამ ტიპის კონფრონტაციები სარისკო შედეგებს იწვევს.

როგორც ვხედავთ, შეზღუდული და მშვიდობიანი მოთხოვნებიდან შეიძლება გლობალური და დრამატული პრობლემები წარმოიშვას: არსებული წესრიგის, სოციალური ერთიანობის შენარჩუნება, მმართველთა ან პოლიტიკური რეჟიმის კითხვის ქვეშ დაყენება. თუმცა ამ შემთხვევაში, ძალადობა შეიძლება ითქვას ტაქტიკურ ხასიათს ატარებს, ის სოციალურ მოქმედ პირთა გამოთვლებში შედის, მაგრამ ის რეალობაზე მეტად მუქარას წარმოადგენს. ძალადობის აფეთქება ნორმიდან გადახრას იწვევს და კარგად წარმოებული თამაში მას გამორიცხავს. ამის საპირისპიროდ, ტერორიზმი ძალადობის სტრატეგიად წარმოჩნდება.

197. ტერორიზმი. — შეიძლება თუ არა ტერორისტული ჯგუფების ზეწოლის ჯგუფებად განხილვა? აშკარაა, რომ ისინი ორგანიზებულნი არიან და ზეწოლას ახდენენ. სამაგიეროდ მათი დამოუკიდებლობა პრობლემატურია. ხშირ შემთხვევაში, ისინი რომელიმე პარტიის (სახელმწიფოსიც კი) შეიარაღებულ დასაყრდენს წარმოადგენენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაციონალური პროფკავშირული გაერთიანებისა და ტერორისტული ჯგუფების, დამოუკიდებლებისაც კი, ერთი სახელით მოხსენიება მხოლოდ სიტყვების თამაშიდან მომდინარეობს. თუკი ამ ნაშრომში ტერორიზმს ვეხებით, ეს ხდება (საუბედუროდ) ამ ფენომენის მასშტაბის გაზრდის გამო და ასევე იმის გამო, რომ ტერორიზმი შეზღუდული ცნებაა, რომელსაც კონტრასტის მეშვეობით ზეწოლის ჯგუფის იდეის (ჩვეულებრივი მნიშვნელობით) განსაზღვრა შეუძლია.

ტერორიზმის ქვეშ იგულისხმება იატაკქვეშა ჯგუფების მიერ ფიზიკური ძალადობის (ე.ი. მკვლელობის) სისტემატური გამოყენება **პოლიტიკური მიზნების** მისაღწევად. პოლიტიკა **საზიზღარ** მკვლელობას უპირისპირდება: ტერორიზმი არ არის ბანდიტიზმი.[48] ის ასევე **ომს** უპირისპირდება, რომელიც მტრის ძალების დამარცხებას გულისხმობს განადგურების ან კაპიტულაციის გზით. ამის საპირისპიროდ, ტერორიზმი მაშინ იწყებს მოქმედებას, როდესაც ძალთა თანაფარდობა სამხედრო გამარჯვებისთვის ძალიან არახელსაყრელია.[49] და ბოლოს, ტერორიზმი ასევე **ტერორს** უპირისპირდება ე.ი. სისტემატურ ძალადობას, რომელსაც სახელმწიფო ანხორციელებს (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის რევოლუციასთან დაკავშირებული).

ამგვარად, ფენომენი ნეგატიურ ერთიანობას წარმოადგენს. მის მიღმა განსხვავება უნდა გაკეთდეს. ტერორისტულ მოძრაობებს აქვთ განსხვავებული მოტივები, საშუალებები და პერსპექტივები და მათ შესახებ განსხვავებული შეხედულებები შეიძლება ვიქონიოთ.

უპირველეს ყოვლისა, განსხვავება უნდა გაკეთდეს **მიზანმიმართულ** და **ბრმა** ტერორიზმს შორის. მიზანმიმართული ტერორიზმი განსაზღვრულ ინდივიდზეა მიმართული (სახელმწიფოს მეთაური, პოლიციელი და სხვ.) ბრმა ტერორიზმს შეიძლება შემთხვევითი მკვლელობა მოჰყვეს. პირველ და მეორე შემთხვევას შორის დიდი განსხვავება არსებობს: სამხედროსთვის ზურგში სროლა იგივე არ არის, რაც კინოთეატრში ბომბის ჩადება. მიზანმიმართული ტერორიზმი ისეთივე ძველია, როგორც პოლიტიკური ძალადობა ე.ი. ძველია როგორც ძალადობა და ძველია როგორც პოლიტიკა. თუმცა XI საუკუნეში ისმაილის სექტის მიერ ტერორიზმის სისტემატური გამოყენება სპარსეთში თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ სიახლედ წარმოჩნდება, რადგან მისი სახელის საფუძველზე წარმოიქმნა სიტყვა „მკვლელი". XIX საუკუნის რუსი ნიჰილისტებიც კი იგივე ტაქტიკით იბრძოდნენ. სამაგიეროდ, ბრმა ტერორიზმი XX საუკუნის ინოვაციაა. ამ სახის ტერორიზმი ტექნიკური საშუალებების გამოყენებას (შენელებული მოქმედების ბომბები) და ასევე, მორალური საფუძვლების სრულ უარყოფას გულისხმობს.

მეორე განსხვავება **ნაციონალისტური** და **იდეოლოგიური** ტერორიზმის განსხვავებიდან მომდინარეობს.

---

[48] პრაქტიკაში საეჭვო შემთხვევები არსებობს (რევოლუციური **hold-up**). მაგრამ თუკი განსხვავება ზოგჯერ ძნელად გამოსაყენებელია, ის ამით ნაკლებად აშკარა არ არის. სამაგიეროდ მას არავითარი უეფასებითი ღირებულება არა აქვს: დიადი და მარცხისათვის განწირული თეორიების სახელით მოკვლა, მორალური თვალსაზრისით, ფულისათვის მოკვლაზე მეტად არაა დასაცავი.

[49] მნიშვნელობა არა აქვს, რომ პარტიზანული ომი ომის და არა ტერორიზმის მხარეზეა.

ნაციონალისტური ტერორიზმი უცხოეთის ოკუპაციის დროს იჩენს თავს და ის თავად ორ ნაწილად არის დაყოფილი, რადგან სამხედრო მარცხიდან ან კოლონიალური მდგომარეობიდან მომდინარეობს. ჩვეულებისამებრ მიზანმიმართული ტერორიზმი სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგია და ბრბოში უსაფრთხოების არქონის გრძნობის გამოწვევას ისახავს მიზნად; დაუნდობელი რეპრესიების პროვოცირებით მას ასევე შეუძლია ოკუპანტების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება. ამასთანავე, ამ სიტუაციაში მხოლოდ სამხედრო გამარჯვებაა შესაძლებელი, რომლის განხორციელებაც მხოლოდ სამხედრო ოპერაციებს შეუძლია. ამის საპირისპიროდ, კოლონიალური კონფლიქტი ხშირად ბრმა ტერორიზმს გულისხმობს, რადგან ამ ტიპის შეტაკებას ჩვეულებისამებრ ორმაგი სამოქალაქო ომი ახლავს თან: ერთი მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობასა და კოლონიალისტებს შორის და ასევე ნაციონალისტებსა (დასაწყისში ისინი ხშირად მცირერიცხოვანნი არიან) და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შორის, რომელიც კოლონიალურ რეჟიმს რწმენის, შიშის ან ინდიფერენტულობის გამო ეთანხმება. ზღვარგადასული ძალადობა ერთდროულად წარმოადგენს ტრადიციულ, ოდიოზურ და შეუქცევად საშუალებას ადამიანთა ერთობებს შორის გადაულახავი უფსკრულის შესაქმნელად. მეორე მხრივ, წინა კონფლიქტისაგან განსხვავებით, ამ ტიპის კონფლიქტი პოლიტიკურ გამარჯვებას დასაშვებს ხდის. ამისათვის შესაძლებელია საერთაშორისო აზრის მობილიზება, ისევე როგორც თავად მეტროპოლიის საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლის მოხდენა: ამ უკანასკნელის სასიცოცხლო ინტერესები კითხვის ქვეშ არ დგება, ომი ძვირი ჯდება როგორც ადამიანური ისე ფინანსური რესურსებით. გარდაუვალად დგება მომენტი, როდესაც საზოგადოებრივი აზრი სვამს შეკითხვას ღირდა თუ არა ამად თამაში. ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური იარაღი ამ შემთხვევაში სრულიად ეფექტურია.

იდეოლოგიური ტერორიზმი მიზნად ისახავს მთავრობის ან რეჟიმის დამხობას. უკიდურესი მემარცხენეები (მაგალითად, „წითელი ბრიგადები") ძალადობის გამოყენებით პროლეტარიატის გამოღვიძებას (რომელიც რატომღაც ჩაძინებულია) და მის კვლავ კლასთა ბრძოლისკენ შემოტრიალებას იმედოვნებენ. უკიდურესი მემარჯვენეები უფრო მეტად **დაძაბულობის სტრატეგიას** მიმართავენ: ქაოსის შექმნით მათ ძლიერი ხელისუფლების აუცილებლობის დამტკიცება სურთ. ამ პოლიტიკურ ბრძოლებს ერთი საერთო ნიშანი აქვს: ისინი ყოველთვის მარცხდებიან. (ამიტომაც ლენინი ინდივიდუალურ ტერორიზმს არ იზიარებდა).[50] თუმცა ეს დაკვირვება გარდაცვლილებს არ გააცოცხლებს.

ამ ორ დიდ ტიპს შორის შუალედური შემთხვევები არსებობს, რადგან ნაციონალური ან რეგიონალური მოთხოვნები შეიძლება იდეოლოგიური ტერორიზმიდან მომდინარეობდეს, ორივე ასპექტი კონიუნქტურის მიხედვით ერთიანდება: მაგალითად შეიძლება ბასკური ტერორიზმის მოყვანა, რომელიც პოლიტიკურ საფუძვლებზე არსებობდა, როდესაც ესპანეთის რეჟიმი დემოკრატიული გახდა და რეალური დეცენტრალიზაცია განახორციელა. ირლანდიურ ტერორიზმს, რომელიც ერთდროულად ნაციონალურ, სოციალურ და რელიგიურ ხასიათს ატარებს იგივე ორაზროვნება ახასიათებს. ამავე დროს, ყველაზე აღსანიშნია პალესტინური ტერორიზმი: მიუხედავად იმისა, რომ პალესტინას არა აქვს საკუთარი ტერიტორია, ის ნაციონალურ ხასიათს ატარებს და „ანტიიმპერიალისტურ" მოძრაობად წარმოგვიდგება. ის საკუთარ თავს რევოლუციად განსაზღვრავს, იქამდე ვიდრე „სოციალისტური ბანაკის" გაქრობა მას სტრატეგიის სრულ შეცვლას არ აიძულებს. ამ შემთხვევაშიც ტერორიზმის საბოლოო მიზანი პოლიტიკური იყო: ის მიზნად ისახავდა პალესტინის საკითხის დახურვისთვის ხელის შეშლას და საერთაშორისო არენაზე მის ხელახალ წამოყენებას. ამ საჯარო ურთიერთობის პროცესის მიღმა ტერორიზმი მაკომპრომენტირებელი იყო. დასრულდა თუ არა პალესტინური ტერორიზმი კონიუნქტურის შეცვლით? თუკი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ ისრაელთან შეთანხმებებს მოაწერა ხელი, სხვა ჯგუფებმა ტერორისტული სტრატეგია არჩიეს, სამშვიდობო პროცესის ჩაშლის მიზნით.

სახელმწიფო ტერორიზმი დიპლომატიური საქმიანობის განსაკუთრებული და ახალი ნაირსახეობაა. (ამ სფეროში გაკეთებული ანალიზი, როგორც უკვე აღინიშნა, იოლად იძენს შავი იუმორის ხასიათს). აქვს კი XX საუკუნის მიწურულს ამ ბრწყინვალე ინოვაციას მომავალი? ეს საეჭვოა. მართლაც, ტერორიზმის ძალა ძნელად განსასაზღვრია, რაც ხელს უშლის სათანადო რეპრესიების განხორციელებას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ კარგადაა ცნობილი ის სა-

[50] იგი მასობრივი ტერორის მომხრე იყო, ე.ი. რეალურ თუ პოტენციურ ოპოზიციონერთა სისტემატური ხოცვისა, უფრო ზოგადად კი ყველა ინდივიდისა, რომელიც მისი აზრით, მავნებელი იყო.

ხელმწიფოები, სადაც ტერორისტები არიან, და პირველი წუთების ყოყმანის შემდეგ, ძლიერ სახელმწიფოთა რეაქცია არ დააყოვნებს: ტერორისტულ სახელმწიფოებს ჭკუაზე მოსვლას აიძულებენ კლასიკური ე.ი. სამხედრო მეთოდებით.

ტერორიზმი ასევე სხვა პრობლემებსაც წარმოშობს, რომელსაც ჩვენ ამ ნაშრომში არ განვიხილავთ.პირიქით, მართებული იქნება უფრო შეზღუდულ პრობლემებთან დაბრუნება, რომელიც საბედნიეროდ უფრო კლასიკურია.

ნაწილი IV. ზეწოლის ჯგუფების ფუნქციები

198. ზეწოლის ჯგუფების ფუნქციები და პარტიების ფუნქციები. — ჩვენ უკვე განვიხილეთ პოლიტიკური პარტიების ფუნქციები. თუმცა ზეწოლის ჯგუფების ფუნქციების გასაანალიზებლად მართებული იქნება მათი პოლიტიკური პარტიების ფუნქციებთან შედარება. თავიდანვე ჩნდება პირველი შენიშვნა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ზეწოლის ჯგუფები პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ. ისინი არ ასრულებენ არჩევნებში მონაწილეობისა და კანდიდატთა შერჩევის ფუნქციებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება დაკავშირებულია არა ზეწოლის ჯგუფების „ბუნებასთან", არამედ სიტუაციის განსხვავებასთან. მართლაც, საარჩევნო სისტემის არსებობის დროიდან, რომელშიც ჯგუფები იღებენ მონაწილეობას (მაგალითად, პროფკავშირების პროფესიულ არჩევნებში) მათი როლი პოლიტიკური პარტიების ანალოგიური ხდება: ისინი დაქირავებულ მუშაკებს არჩევანს სთავაზობენ და კანდიდატებს ირჩევენ, რომლებიც პროფკავშირული მოძრაობის კადრები უნდა გახდნენ. წარმოადგენენ რა ზეწოლის ჯგუფებს პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, პროფკავშირები პროფესიულ არჩევნებში ნამდვილი პარტიების როლში გამოდიან. ამგვარად, როგორც ჩანს, ორგანიზაციის ამ ორ ტიპს შორის ნაკლები განსხვავება არსებობს ვიდრე a priori შეიძლებოდა გვეფიქრა. ყველაზე დელიკატური პრობლემა სოციალური ინტეგრაციის ფუნქციასთან დაკავშირებით ჩნდება. ხომ არ არის პარადოქსული იმის მტკიცება, რომ ზეწოლის ჯგუფები ამ როლს ასრულებენ?

199. წარმოადგენენ თუ არა ზეწოლის ჯგუფები სოციალური ინტეგრაციის შაქტორებს? — სიმართლეს შეეფერება ის ფაქტი, რომ ზეწოლის ჯგუფები განსაკუთრებით მომთხოვნ ძალას წარმოადგენენ, რაც სხვადასხვა შედეგს იწვევს. უპირველეს ყოვლისა, მათ საკუთარი შეუძლიათ პროგრამის გარეშე არსებობა, რაც პოლიტიკური პარტიებისთვის ძალიან რთული იქნებოდა. მათ მისიას საქმეთა მართვა არ წარმოადგენს. მათ შეუძლიათ თავი აარიდონ პრობლემების პოზიტიურ ანალიზს და კონკრეტული მოთხოვნების წამოყენებით დაკმაყოფილდნენ.[51] მეორე მხრივ, ჯგუფები არ არიან პასუხისმგებელი ორგანიზაციები და აქედან გამომდინარე, მათ შეუძლიათ ყველაფრის მიმართ პროტესტი გამოთქვან და დემაგოგიას მიმართონ. მივყავართ კი ამ ტენდენციებს სოციალური ინტეგრაციისკენ? ხომ არ მივყავართ ამ ტენდენციებს კონფლიქტების გამწვავებამდე, დაძაბულობის გაზრდამდე, საზოგადოებაში არსებული ფარული კორპორაციული ტენდენციების გამწვავებამდე? ხომ არ არსებობს ამ ჯგუფების მიერ საზოგადოების აფეთქების რისკი?

ზემოაღნიშნული სიმართლეს შეეფერება. მართლაც, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნების შემცველი ქმედება დამანგრეველ ქმედებად წარმოჩნდება. თუმცა ფაქტობრივად ის იგივე ამბი-

---

[51] ამავე დროს, ეს განსხვავება გადამეტებულად არ უნდა შეფასდეს. ხშირად პარტიების პროგრამები მხოლოდ დემაგოგიურ დაპირებათა ნუსხამდეა დაყვანილი. პირიქით, ზოგიერთი ზეწოლის ჯგუფი, სახელდობრ, პროფკავშირების ნაციონალური გაერთიანებები გარკვეულ შემთხვევაში, პროგრამებს აძუშავებენ იმ საკითხებზე, რომელსაც მათ კომპეტენციაში არსებულად მიიჩნევენ. მაგალითად, საფრანგეთის შრომის დემოკრატიულმა კონფედერაციამ (CFDT) ატომური ელექტროსადგურების საწინააღმდეგო კამპანიის ჩარჩოში, ნამდვილი ენერგეტიკული პროგრამა ააშოქმედა. მართალია ამით, პროკავშირების აღნიშნული ნაციონალური გაერთიანება მოთხოვნების ფუნქციის გადაჭარბებას ცდილობდა და პასუხისმგებლობის აღების პრეტენზია ჰქონდა პოლიტიკური და სოციალური მომავლის პოზიტიურ განსაზღვრაში. ამგვარი ევოლუცია სხვადასხვაგვარად იქნა შეფასებული დაქირავებული მუშაკების მიერ, რითაც აიხსნება CFDT-ს სინდიკალიზმის კლასიკურ პრაქტიკამდე დაბრუნება. აქასთანავე, მას უარი არ უთქვამს თავისი განსხვავებული პოზიციის გამოხატვაზე პროფკავშირების სხვა ნაციონალურ გაერთიანებებთან მიმართებაში. ამგვარად, 1995 წელს მან უარი თქვა მთავრობის მიერ სოციალური უსაფრთხოების რეფორმის გეგმის დაგმობაზე, რომელიც ნაწილობრივ მისი საკუთარი წინადადებების საფუძველზე შემუშავდა.

ვალენტობას ავლენს, რასაც პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური პარტიები ორაზროვან როლს ასრულებენ: ისინი ერთდროულად წესრიგისა და უწესრიგობის ფაქტორებს წარმოადგენენ. იგივე ანალიზი mutatis mutandis ზეწოლის ჯგუფებს შეიძლება მივუსადაგოთ. როგორც ამ თუ იმ საზოგადოებრივი სექტორის ღრმა ტენდენციების გამომხატველი, ზეწოლის ჯგუფები იმ მისწრაფებათა გამომხატველები არიან, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოვლენილი არ იქნებოდა. ამით ისინი დაინტერესებულ პირთა უფლებათა შელახვას ამცირებენ. ამ სიმბოლურ ეფექტურობას, რომელიც ამის გამო ნაკლებად მნიშვნელოვანი არაა, კონკრეტული ეფექტურობაც ემატება. ნორმალურ ფორმაში გამოვლენილი ზეწოლის ჯგუფების საქმიანობა ინდივიდებს მინიმალური დაკმაყოფილებით უზრუნველყოფს, რისი მიღების გარანტია მათ სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ. ხელისუფლება, ისევე როგორც მეპატრონე, არასოდეს თმობს იმას რისი შენარჩუნებაც შეუძლია. აიძულებენ რა ამ უკანასკნელთ დათმობებზე წასვლას. ზეწოლის ჯგუფები მათი მოკავშირეებივით მოქმედებენ ე.ი. როგორც სოციალური წესრიგის ობიექტური მოკავშირეები. სისტემა, რომელშიც ზეწოლის ჯგუფებს გავლენა არა აქვთ, გარეგნულად შეიძლება სტაბილურად გამოიყურებოდეს, მაგრამ მას დაგროვილი უკმაყოფილების უცაბედი დამანგრეველი აფეთქების რისკი ემუქრება. ამ მნიშვნელობით, ზეწოლის ჯგუფები არსებული წესრიგის კონსოლიდაციას ახდენენ, მიუხედავად ამ უკანასკნელის კომპრომენტირების შთაბეჭდილებისა.

ზეწოლის ჯგუფები ასევე ინტეგრაციულ როლს ასრულებენ იმდენად, რამდენადაც ისინი შუამავლების როლში გამოდიან „ბაზისსა" და „ზედნაშენს", უფლებამოსილების მიმნიჭებლებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის. ქვემოდან ზევით, ისინი ამას ღიად აკეთებენ: სწორედ მოთხოვნათა წამოყენებით ისინი თანამოაზრეთა სურვილებს გამოხატავენ და ამასთანავე, ამ უკანასკნელთ გადაჭარბებულ და ანარქისტულ ასპექტს აშორებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ზეწოლის ჯგუფები პირველადი ორგანიზაციის წევრების ქმედებებს ამუხრუჭებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გლობალური პოლიტიკური სტრატეგიის პერსპექტივაში, უპასუხისმგებლოდ კვალიფიცირებული („ავანტიურიზმი" მათ ენაზე) ქმედებების თავიდან აცილებას ცდილობენ. მეორე მნიშვნელობით (ეს მეორე ასპექტი აშკარა მიზეზების გამო ნაკლებად გამოიყენება ან სრულიად დაფარულია დაინტერესებულ პირთა მიერ), საჯარო ხელისუფლებასთან დისკუსიისა და მასთან შეთანხმებების დადების შემდეგ, ისინი ამ შეთანხმების მიღებას, შემდეგ კი მათ დაცვას ცდილობენ. მართლაც იშვიათად ხდება, რომ წარმოებულმა მოლაპარაკებებმა დაინტერესებულ პირთა მოთხოვნები მთლიანად დააკმაყოფილოს. სხვა სფეროების მსგავსად, მიღებული გადაწყვეტილებები ჩვეულებისამებრ კომპრომისული გადაწყვეტილებებია. თუკი შეთანხმება დადებულია ეს ნიშნავს, რომ ჯგუფებმა ამით დაკმაყოფილება გადაწყვიტეს: როგორც პასუხისმგებელი ორგანოები, ისინი ფიქრობენ, რომ მეტის მიღწევა შეუძლებელია. ზეწოლის ჯგუფებისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებლებს ხშირად არა აქვთ გათვითცნობიერებული ძალთა თანაფარდობა ან რომელიმე ლირიკული ილუზიით არიან შეპყრობილნი: ისინი მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და ბრძოლის გაგრძელება სურთ. ამ შემთხვევაში, ხელმძღვანელების ქმედება წინააღმდეგობის შემცირებისკენ არის მიმართული. ამგვარად, მუშათა პროფკავშირები თავიანთ წევრებს მიუთითებენ, რომ გაფიცვის გაგრძელებით მათ ნახევრად გამარჯვებას შეიძლება მარცხის რისკი დაემუქროს. ასევე, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები შეეცდებიან თავიანთ წევრებს მიუთითონ იმაზე, რომ გზების გადაკეტვა უკვე საკმარისია და მათ საზოგადოებრივი აზრის გაუცხოება არ უნდა გამოიწვიონ. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯგუფები უწესრიგობის გაზრდას ზღუდავენ. ჯგუფების არარსებობის ან მათი დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, სათანადო პარტნიორების არარსებობის დროს, საჯარო ხელისუფლება გლობალური აღშფოთების პირისპირ დგება, რომლის განვითარებასაც ვერაფერი შეაჩერებს.

ამავე დროს, ზემოაღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა ზეწოლის ჯგუფი ნაწილობრივ მაინც, არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრირებისთვის არის მზად. ზეწოლის ჯგუფები ამ მიმართულებით სვლას თანხმდებიან ურთიერთობების შეცვლის შემთხვევაში ე.ი. მაშინ, როდესაც ისინი თავს საკმაოდ ძლიერებად გრძნობენ საჯარო ხელისუფლებას ის გადაწყვეტილებები მიაღებინონ, რომელთა მიღებასაც ის დათანხმდება. საპირისპირო შემთხვევაში, მუშათა პროფკავშირები საერთოდ უარს ამბობენ (თუმცა გამონაკლისი არსებობს), ამის მაგალითია გერმანიის პროფკავშირები, რომლებმაც უარი თქვეს მართვის პასუხისმგებლობაზე, რადგან მათ არ სურდათ იმის ოფიციალურად და სრულად გაკეთება, რასაც ისინი ნაწილობრივ

და ობიექტურად აკეთებენ. პრინციპების შეთავსების აუცილებლობა ეფექტურად წარმოებულ პრაქტიკასთან და პირიქით, რთულ სტრატეგიებს წარმოქმნის თუკი არ გავითვალისწინებთ პროფკავშირის ორაზროვან, ორმაგად ორაზროვან ხასიათსაც კი: რამდენადაც ის პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში ობიექტურად, ის ხშირად რადიკალური თეზისების სასარგებლოდ გამოდის, მაგრამ ჩვეულებისამებრ ფრთხილ ტაქტიკას მიმართავს. როგორც განსაზღვრული ინტერესების დამცველი, მას მონაცვლეობით ამუხრუჭებს ხან „მშრომელთა ბრძოლისუნარიანობის ნაკლებობა", ხან კი ამ უკანასკნელთა არაქმედითი სპონტანური ინიციატივები. ყოველივეს ერთმანეთთან შეთავსება არ არის იოლი და ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ სოციალური პარტნიორები აკეთებენ მათ მიერ გაცხადებულის საპირისპიროს და დებენ დამაკმაყოფილებელ და მყარ შეთანხმებებს, მიუხედავად ფუნდამენტური შეუთანხმებლობისა საზოგადოების ბუნების, საბოლოო მიზნებისა და ორგანიზაციის თაობაზე. ასევე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარი ქმედებები შეიძლება კონტრასტული შეფასების საგანი გახდეს: თუკი მაგალითად „შრომის საყოველთაო კონფედერაცია" (CGT) უარს იტყვის გაფიცვაზე უწყობს თუ არა ის ამით ხელს მთავრობის მიერ წარმოებულ თამაშს? ხომ არ სურს შრომის საყოველთაო კონფედერაციას აღნიშნულით იმ უწესრიგობათა თავიდან აცილება, რომელიც ამომრჩევლებს მემარჯვენე პარტიებისთვის ხმის მიცემისკენ უბიძგებს? ხომ არ მიაჩნია მას, რომ ძალთა არსებული თანაფარდობიდან გამომდინარე მოძრაობა მარცხისათვის არის განწირული ყველა თანხლები უარყოფითი შედეგებით? მართლაც, ეს სხვადასხვა მოსაზრებები შეიძლება ერთდროულად სიმართლეს შეესაბამებოდეს, რადგან ერთი და იგივე ფაქტის ინტერპრეტაცია, დაგმობა ან გამართლება სხვადასხვა კუთხით, ერთადერთ რეალობას ითვალისწინებს, რომელიც ისეთივე რთული და ორაზროვანია, როგორც მთლიანად პოლიტიკური რეალობა.

ასევე უნდა დავსძინოთ, რომ საფრანგეთის კონტექსტში სინდიკალიზმის კრიზისმა და შედარებით ხანგრძლივი პერიოდით მემარცხენე მთავრობის მართვამ საგრძნობლად შეცვალა ამ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკა და რეაქცია. დღევანდელ პირობებში პროფკავშირებს აღარ ჰყავთ მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომელთაც მათი პირველი მოწოდებისთანავე მობილიზების უნარი გააჩნიათ. პოლიტიკური პერსპექტივა, რომელიც ათწლეულების მანძილზე პროფკავშირებისთვის მემარცხენე პარტიების პოლიტიკურ გამარჯვებას წარმოადგენდა, განხორციელდა, მაგრამ მას მათი ყველა დაპირება არ შეუსრულებია. კომუნისტური პარტიის დაღმასვლა, რომელიც ნაწილობრივ იგივე მიზეზებიდან მომდინარეობს, შრომის საყოველთაო კონფედერაციისთვის შედეგების გარეშე არ დარჩენილა. ამ რთული კონიუნქტურის პირისპირ, პროფკავშირები იმის რეორგანიზაციის ჩატარებას შეეცადნენ, რაც თავად მათი არსებობის საფუძველს წარმოადგენდა ე.ი. პროფესიული ინტერესების დაცვას. თუმცა ამ სფეროშიც მათი მოქმედების შესაძლებლობა შეზღუდულად გამოიყურება. პროფკავშირებს აბსოლუტურად განსხვავებული ორგანიზაციები „კოორდინაციის" ორგანიზაციები უწევენ კონკურენციას, რომლებიც როგორც შემდგომში ვნახავთ, a contrario წარმოაჩენენ იმას, რასაც ზეწოლის ჯგუფების ტრადიციული ფუნქციები წარმოადგენს.

200. სიტუაციის თუ ბუნების განსხვავება? — ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზეწოლის ჯგუფების ფუნქციები პარტიების ფუნქციებზე სავარაუდოზე ნაკლებად განსხვავდება. გარკვეული კონიუნქტურის პირობებში, მათ შორის დაახლოება უფრო შორსაც შეიძლება წავიდეს. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა საფრანგეთში 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დასაწყისში. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში პარტიები დიდწილად მოკლებულნი იყვნენ ინიციატივის შესაძლებლობას. ოპოზიციურმა პარტიებმა, სწრაფი გამარჯვების იმედის დაკარგვასთან ერთად, თითქოსდა დაკარგეს მთავრობის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის ყოველგვარი საშუალება. უმრავლესობის პარტიები ხელისუფლების უდავო მხარდამჭერებად რჩებოდნენ, მაგრამ მათ თავისი მოვალეობა ხელმძღვანელობას მიანდეს, რომელსაც ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდნენ (რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობა, ადმინისტრაცია). ამ დროიდან ხელისუფლების აღსრულების კრიტერიუმებთან დაკავშირებული ფუნქციონალური განსხვავებები (პარტიებისთვის ბუნებრივი, მაგრამ ზეწოლის ჯგუფებისთვის გამორიცხული) დაშლისკენ მიდიოდა. ერთადერთ ფაქტად რჩებოდა ის, რომ მმართველები ძირითადად პარტიებში იყვნენ არჩეულები და იმ ზეწოლის ჯგუფებს, რომელთაც პოლიტიკური კარიერის დაწყება სურდათ, საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვნა უნდა მიეღოთ. ამავე დროს, ზეწოლის ჯგუფების, განსაკუთრებით კი

პროფკავშირების მობილიზებისა და წინააღმდეგობის გაწევის ძალა თითქოსდა უცვლელი რჩებოდა. სწორედ მათი მეშვეობით გადაიცემოდა ძირითადი მოთხოვნები. ეს სიტუაცია მიუხედავად იმისა, რომ ის წარსულს განეკუთვნება, კარგ გაკვეთილად გამოდგება: ის გვიჩვენებს, რომ ზეწოლის ჯგუფებს პარტიების ნამდვილ შემცვლელებად გახდომის ტენდენცია ახასიათებთ იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიები ხელისუფლებას ზედმეტად ექვემდებარებიან (როგორც უმრავლესობის პარტიებთან, ისე აბსოლუტურად უძლურ ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებაში). სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი პოლიტიკური სიტუაცია აბსოლუტურად ბლოკირებულია, ზეწოლის ჯგუფები გვევლინებიან იმ ერთადერთ არხად, რომლის მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ სექტორული და კორპორაციული მოთხოვნების, არამედ ასევე იმ ფარული უკმაყოფილების გამოხატვა, რომელიც გამოსავალს ვერ პოულობს.

ამგვარად იყო საქმე V რესპუბლიკის დროს, ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში, როდესაც არავითარი პოლიტიკური ალტერნატივის შესაძლებლობა არ არსებობდა. კერძოდ, პროფკავშირები წარმოჩნდებოდნენ იმ ერთადერთ ძალად, რომელსაც აქტიური ქმედებით უნარი შესწევდა გამარჯვებული და ყოვლისშემძლე მთავრობის ნებისთვის მიმართულება შეეცვალა. ეს უკანასკნელი წარმატებაში თავისი შეუმცდარობის დამტკიცებას ხედავდა. მაშინაც კი, როდესაც პროფკავშირები იმის შეგრძნებას ბადებდნენ, რომ მოქმედება შესაძლებელი იყო, ისინი ჩვენს მიერ აღნიშნულის შესაბამისად, ხელისუფლებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ: ისინი ხელს უშლიდნენ მის საბოლოოდ დამშვიდებას და ამცირებდნენ მისი საკუთარი ძალიდან წარმოშობილ სისუსტეს. ხელისუფლება ამას რომ მიმხვდარიყო, შესაძლებელია ის თავიდან აიცილებდა 1968 წლის მაისის მოვლენებს.

201. პროფკავშირების როლი 1968 წლის მაისში. — ეს ეპიზოდი ჩვენს მიერ განხილულის გასაოცარი ილუსტრაციაა.[52] მართლაც, აფეთქება ძალიან განსაზღვრულ მომენტში მოხდა და სტუდენტური ამბოხება მხოლოდ ფარული უკმაყოფილების კატალიზატორი იყო. 1965 წლის დეკემბერში გენერალი დე გოლი ხელმეორედ აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტად შვიდი წლის ვადით, ჟორჟ პომპიდუს კი პრემიერ-მინისტრის ფუნქციები შეუნარჩუნდა. 1967 წლის მარტში უფლებამოსილების ვადის ამოწურვის პროცესში მყოფ უმრავლესობას ვადა ხუთი წლით გაუგრძელდა. ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების პირობებში (უმუშევრობის ზრდა, მსყიდველობითი უნარის დაცემა[53]), თავად პროფკავშირების საქმიანობა უძლურად გამოიყურებოდა: წინა თვეებში ჩატარებული ბევრი გაფიცვა მარცხით დასრულდა. მოკლედ, სიტუაცია ყველა მხრიდან ბლოკირებული იყო. შესაძლებელია სწორედ ამ სიტუაციაში უნდა ვეძებოთ „მოვლენათა" ძირითადი მიზეზი მიუხედავად იმისა, რომ სხვა ფაქტორებმაც თავისი როლი ითამაშეს.

გარდა ამისა, მოვლენათა განვითარებამ და მათმა დასასრულმა კარგად წარმოაჩინა პროფკავშირული ორგანიზაციების როლი. დასაწყისში მათ ფრთხილი პოზიცია დაიკავეს: მათ არც გაუჩაღებიათ და არც წინასწარ განუკვრეტიათ „მოვლენათა„ ამგვარი მსვლელობა, ისინი უბრალოდ თავიანთ ჯგუფებს მიჰყვებოდნენ. სად მიდიოდნენ ეს ჯგუფები? ეს არავინ იცის, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს შეშფოთების ფაქტორი. თუმცა სხვა ნებისმიერი პოზიცია თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. გავლენის შესანარჩუნებლად და შემდგომში სიტუაციის ხელში აღების იმედით, პროფკავშირულ ორგანიზაციებს გზა უნდა მიეცათ უკმაყოფილების ტალღისათვის. თავდაპირველად ეს იყო ნაციონალური უკმაყოფილების გრძნობის განმუხტვა და პროფკავშირები ცდილობდნენ მხოლოდ ყველაზე ავანტიურისტული ინიციატივების შეჩერებას, მაგალითად, ისეთის, როგორიც იყო სტუდენტებისა და მუშების „დაძმობილება", რაც სხვათა შორის, ამ უკანასკნელთ სრულიადაც არ ხიბლავდა. შემდგომში პროფკავშირებმა საჯარო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები დაიწყეს. სწორედ ამაში იყო აღსანიშნი და მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი ფაქტი. მართლაც, პროფკავშირებს „საბოლოო ბრძოლის" დაწყება შეეძლოთ.

---

[52] 1968 წლის მაისის „მოვლენათა" მნიშვნელობა და მასშტაბი დღესაც დიდი საიდუმლოებით არის მოცული. მოცემული ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ამ ფენომენის შესახებ ამომწურავი განმარტების მიცემა და არც მისი ისტორიის განხილვა. ეს ასე ვთქვათ, „მოვლენათა აღმნუსხველის" საქმეა. ჩვენ გვსურს მხოლოდ მისი მასშტაბის მნიშვნელობის ჩვენება, რაზეც კარგად მიუთითებს მისი წინმსწრები მოვლენები.

[53] უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო კონიუნქტურის წარმოუდგენელი შემოტრიალება იმასთან მიმართებაში, რასაც 70-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი წარმოადგენდა. 1968 წლის მაისში მომავალი გაურკვეველი იყო, მაშინ როდესაც უახლოესი წარსული მყარი კეთილდღეობით იყო აღნიშნული. სწორედ აქედან ამომდინარეობდა ფსიქოლოგიური შოკი.

ამის ბევრი მომასწავებელი ნიშანი არსებობდა. მიუხედავად სიტუაციის სიმძიმისა, პროფკავშირები მმართველებს არ უარყოფდნენ, ისინი მათთან დისკუსიაზე უარს არ ამბობდნენ. პროფკავშირებს კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ მიუხედავად გარეგნული სისუატისა, ხელისუფლება კლავაც ძლიერი იყო და ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს არსებულ წესრიგს დაუბრუნდებოდა: უმჯობესი იყო სიფრთხილის გამოჩენა და ხანგრძლივი პერიოდით დათმობების მიღწევა, რადგან ამ მომენტისათვის პროფკავშირები ძლიერები იყვნენ. თუმცა აწარმოებდნენ რა კამათს არსებულ წესრიგთან დაკავშირებით, ისინი მის დაბრუნებას უწყობდნენ ხელს. მიუხედავად ორმხრივი ბრალდებებისა, პროფკავშირები ხელისუფლებას დიდად ეხმარებოდნენ. მათმა რეალისტურმა ხედვამ სიტუაციის რადიკალიზაციას და მის სამოქალაქო ომში გადაზრდას შეუშალა ხელი. ისინი მთავრობისთვის ღირსეული პარტნიორები იყვნენ მოლაპარაკებების წარმოების დროს. მათ გარეშე მთავრობას, რომელმაც მოვლენათა განვითარების ზეწოლით დათმობებზე წასვლა გადაწყვიტა, დამლაპარაკებელი არ ეყოლებოდა. მართლაც, როდესაც პრემიერ-მინისტრის ეგიდით მოხდა გრენელის შეთანხმებების დადება მეწარმეთა გაერთიანებასა და პროფკავშირებს შორის, ამ უკანასკნელებმა მათი გავლენა სრულად გამოიყენეს ამ შეთანხმებათა მისაღებად. აღნიშნული სირთულეების გარეშე არ მომხდარა. „ბაზისი", რომელშიც მემარცხენეთა გავლენა გაიზარდა, მონოტონური დღეების დაბრუნებას არ ჩქარობდა და თავდაპირველად კომპრომისი უარყო. სიტუაცია კვლავ ბლოკირებული აღმოჩნდა, კვლავ გაჩნდა „ავანტიურის" მუქარა: 29 მაისის მანიფესტაციამ, რომელსაც შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მასობრივად დაუჭირა მხარი აშკარად პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

ამავე დროს, 30 მაისს გენერალმა დე გოლმა, რომლის ქმედებაც კრიზისის დასაწყისიდან მერყეევი იყო, თავისი რადიო გამოსვლით სიტუაციაზე კონტროლი კვლავ ხელში აიღო. მართლაც, ეს იყო წარმატებული გამოსვლა: მან ნაციონალური ასამბლეის დაშლა გამოაცხადა. მაგრამ რაში გამოიხატებოდა ეს წარმატება? ხომ არ არსებობდა შეუსაბამობა სიტუაციის სიმძიმესა და ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას შორის? არა, რადგან ნაციონალური ასამბლეის დაშლა არჩევნებს გულისხმობს. რეჟიმის მოწინააღმდეგეებს მხოლოდ ორი გამოსავალი ჰქონდათ. ან ისინი არჩევნების ჩატარებას შეუშლიდნენ ხელს, რითაც თავად დემოკრატიულ სისტემას კითხვის ქვეშ დააყენებდნენ, რომლის მიმართაც ფრანგების უმრავლესობა ერთგულებას იჩენდა, ან ისინი ამ ასპარეზზე ბრძოლას დათანხმდებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ სერიოზული სირთულეები შეექმნებოდათ, რადგან ამომრჩეველთა უმრავლესობა უწესრიგობისგან საკმაოდ იყო დაღლილი. ზარალის შესამცირებლად საჭირო იყო სიტუაციის უსწრაფესად ნორმალიზება. და ამჯერად, პროფკავშირებმა, კერძოდ კი შრომის საყოველთაო კონფედერაციამ, რომელიც კომუნისტური პარტიის საარჩევნო ინტერესებზე ზრუნავდა, საჯარო სამსახურებში მუშაობის აღდგენას მიაღწია. ცალკეული გაფიცვები თანდათან ლიკვიდირებული იქნა.

აღნიშნული მთლიანობაში გვიჩვენებს დროის მცირე მონაკვეთში პროფკავშირების სხვადასხვა ტიპის სტრატეგიისა და ობიექტური ორაზროვანი სოლიდარობის არსებობას, რომელიც პროფკავშირებს მმართველებთან აერთიანებს.

202. "კოორდინაციის" პრობლემები საფრანგეთში. — პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ როგორ შეიძლება ორგანიზაციის ძირითად ფუნქციებზე იმოქმედოს ინსტიტუტებისა და მენტალობის ევოლუციამ. ანალოგიური ფენომენი აშკარად არ არის გამორიცხული ზეწოლის ჯგუფების შემთხვევაშიც. თანამედროვე საფრანგეთში ამის მაგალითია კორპორაციული ბრძოლის ახალი ორგანიზაციების, „კოორდინაციის" ორგანიზაციების შექმნა.

„კოორდინაციის" ორგანიზაციები 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ ე.წ. „თანაარსებობის" (1986-1988 წწ.) პირველ პერიოდში. მათი გამოჩენის პირდაპირი მიზეზი გახდა საჯარო სექტორში არსებული სხვადასხვა სოციალური კონფლიქტი (რკინიგზელთა, მედდების გაფიცვები). თავდაპირველად ისინი ასახავდნენ იმ უნდობლობის მოძრაობას, რომელიც ტრადიციული პროფკავშირების მიმართ არსებობდა. „ბაზისის" აზრით, ეს უკანასკნელნი მათ მისწრაფებებს არ ასახავდნენ. ტრადიციულ პროფკავშირებს ბრალს სდებდნენ კორპორაციის ინტერესთა ცუდად დაცვაში სისუსტის, სიხისტის, არაკომპეტენტურობისა და საჯარო ხელისუფლებასთან შეთქმულების გამო. სამაგიეროდ, კონფლიქტიდან წარმოშობილი, ნაკლებად სტრუქტურირებული, რანგიანი ხელმძღვანელების არმქონე „კოორდინაციის" ორგანიზაციებს ეს ნაკლი არ ჰქონდათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფენომენი აშკარად ორაზროვანია. თეორიულად ის ტრადიციული სინდიკალიზმის უარყოფითი მხარეების, ბიუროკრატიის, მოქნილობის დაკარგვისა და პოლიტიზაციის გადალახვის საშუალებას იძლევა. ერთი რომელიმე პროფესიის მუშაკები უკეთ გაგებულნი და წარმოდგენილნი არიან მათ მიერ, ვინც მათსავით მუშაობს, ვიდრე პროფკავშირების მუდმივი წევრები (განსაზღვრული სპეციალიზაციის არმქონე), რომელთაც ხშირ შემთხვევაში, ბიუროკრატიული პროფკავშირული მუშაობისთვის დიდი ხნის მიტოვებული აქვთ თავიანთი სამუშაო ადგილები. „კოორდინაციის" ორგანიზაციების წევრები a priori ნაკლებად იხრებიან მათი უფლებამოსილების მიმნიჭებელთა სურვილების რთული პოლიტიკური სტრატეგიისათვის შესაწირად და კიდევ უფრო ნაკლებად, მათი საქმიანობის დაქვემდებარებისა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ. სამაგიეროდ, ნებისმიერი სტიქიური მოძრაობის მსგავსად, „კოორდინაციის" ორგანიზაციები ადვილად მართვადი არიან მცირე ჯგუფების მიერ. არიან რა პარტიებისგან დამოუკიდებლები, მათ პატარა ჯგუფების დაქვემდებარებაში ჩავარდნის რისკი ემუქრებათ და აქედან გამომდინარე, პოლიტიზაცია შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ამით ის ნაკლებად ეფექტური არაა. მეორე მხრივ, კონკრეტული კორპორაციული მიზნებისთვის უკეთ ადაპტირებულ „კოორდინაციის" ორგანიზაციებს, ნაციონალური პროფკავშირული გაერთიანებებისგან განსხვავებით, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობების შესახებ უფრო ვიწრო ხედვა აქვთ. მათ ემუქრებათ ინფორმაციულობის და ეფექტურობის დაკარგვის რისკი, მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობის საკითხში ისინი მოგებულები არიან. პროფკავშირები, რომელთაც „კოორდინაციის" ორგანიზაციები გაუბედავებად მიიჩნევენ, ზოგჯერ რეალისტები არიან მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი გარკვეულწილად უნაყოფო დაჟინებამდე მიდიან. ხომ არ შედის მათ ინტერესში იმ კრიზისის გაგრძელება, რომელმაც ისინი წარმოშვა და რომლის მიღმაც ისინი დიდხანს ვერ იარსებებენ, მათი საქმიანობის ლოგიკასთან წინააღმდეგობაში შესვლის გარეშე?

გასაკვირია არაა, რომ ეს ეპიზოდი ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფკავშირებმა ტრადიციული გავლენა აღადგინეს: ყოველივე გვიჩვენებს, რომ საქმე ამგვარად არაა. თუმცა პროფკავშირებს გააჩნიათ ის ხანგრძლივობა, რომელიც მათ ინსტიტუციონალიზაციას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ 1995 წლის დეკემბრის რკინიგზელთა გაფიცვას 1986 წლის გაფიცვისაგან განსხვავებით, „კოორდინაციის" ორგანიზაციების გაჩენა არ გამოუწვევია: გაძღოლაზე მეტად პროფკავშირები თავიანთ ჯგუფებს გაჰყვნენ, მაგრამ სწორედ მათ მართეს კონფლიქტი. შემდგომ ევოლუციას კითხვის ქვეშ არ დაყენებია ეს დასკვნა. მიუხედავად სუსტი წარმომადგენლობისა, და მეტ-ნაკლებად უკონტროლო ჯგუფების მცდელობების საპირისპიროდ, მხოლოდ პროფკავშირებს აღმოაჩნდათ უნარი სოციალურ კონფლიქტებში საჯარო ხელისუფლების წინაშე სათანადო პარტნიორის როლში გამოსულიყვნენ.

როგორც ვხედავთ, „კოორდინაცია" როგორც სოციალური ბრძოლის ფორმა ჩიხის როლში წარმოჩნდა. თუმცა ფენომენი საინტერესოა როგორც მოდელი. კონტრასტი პროფკავშირების მიერ 1968 წელს შესრულებულ როლთან განსაკუთრებით თვალსაჩინოა. როგორც განადგურებული სოციალური პეიზაჟის პროდუქტი და სიმბოლო, „კოორდინაციის" ორგანიზაციები ზეწოლის ჯგუფების არასრულ ფუნქციებს წარმოადგენენ: მხოლოდ მოთხოვნათა წამომყენებელი ორგანიზაციები, რომლებიც თავის საქმიანობას ხანგრძლივი დროით არ განიხილავენ და ინსტიტუციონალიზაციაზე უარს ამბობენ, მათ სოციალური რეგულირების არავითარი ფუნქცია არ გააჩნიათ. ამასთანავე, მათ ღირსებას ფორმალური ენის დამსხვრევა, ინდივიდთა ჭეშმარიტი გრძნობების გამოხატვა წარმოადგენს. ამით ისინი სპონტანურ უკმაყოფილებას ავლენენ, რომელიც ხშირად ამაღელვებელია, მაგრამ შუამავლობისა და კომპრომისის გარეშე არსებობს: კორპორაციული მოთხოვნების პირდაპირი კონფრონტაცია კითხვის ქვეშ აყენებს თავად საზოგადოების არსებობას.